

150  
1987/2

ISSN 0134-9848

1987/5

# საქართველო

№ 254  
(5-6)

გაერთიანებული  
საბჭოთაო





زاید تر بای ایستاده تا جوی زمین افتد استخوانش شکسته نشود و بیل زاشهوت اندک باشد چون  
 از روی گشتی کند بر زمینها و شرق و آلب خوش رود و مرغاری اندر که کل لغاح بسیار باشد و بوی می کز دوی



ی خورد ماشهوت زیاد است کز دد و ماده با او باشد و از جوداشود و جوی کسر آید بای زباز بسیار کند



# საუნა

1987/5

სამკაშხარი

მამოხარი



18.5/3

## ზინაარსი

### პროზა და პოეზია

ვასილ ბიკოვი, უბედურების ნიშანი, რომანი, დახატუნი.	
თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ	8
იოანე ვოლფგანგ გოეთე, ლექსები, გერმანულიდან	
თარგმნა გურამ კანკავამ	107
მეოცე საუკუნის ინგლისური პოეზიიდან, ინგლისურიდან	
თარგმნა ვასო ბაიძემ	118
უილიამ ფოლკნერი, აბესალომ, აბესალომ! რომანი, გაგრძელება.	
ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ	117
სერგეი მსენინი, ანა სნებინა, თარგმნა	
ზურაბ კუბიანიძემ	221
სამუილ მარშაკი, მისტერ ტვისტერი, თარგმნა	
ვაჟა უფუხიძემ	227
იკლმარ ირიკ ფრედრიკ სედერბერგი, იკიმი ბლასი, რომანი.	
დახასრული, თარგმნა დოდო ქავთარაძემ	288
ლევინგსტონ კიუზი, ლექსები, ინგლისურიდან	
თარგმნა მარინე ხმალაძემ	258
ავლანური ხალხური პოეზია, ავლანურიდან თარგმნა	
მედეა შონიამ	262
მარკო მარკოვი, ლექსები, ბულგარულიდან თარგმნა მიხეილ ქვლივიძემ	264
ლემონ ფილიპე, ლექსი, თარგმნა ხუბან ქორჩანელმა	265

### წერილები

ნოვალისი, ფრაგმენტები ციკლიდან „უვამილთა მტვერი“.	
გერმანულიდან თარგმნა ლევან ბერიძემ	266
ხუნ ძინენი, რჩეული აფორიზმები კრებულიდან „შესვების გემო“.	
თარგმნა ქუმბერ თითმერიამ	272
ნაირა გალასვილი, ნოვალისი.	289
დავით ლაშტარაძე, გერმანულენოვანი ლიტერატურა საქართველოში	304
რიჩარდ მთინაუზენი, არაბული მინიატურა, ფრანგულიდან	
თარგმნა ნინო გოგიჩაიშვილმა	

საქ. სსრ კ. მარტოვი  
საბ. საბ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა



საქართველოს მწერალთა კავშირი  
მსოფლიო ლიტერატურის მრთველი ალმანახი



მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობებში  
მთავარი სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი:

**მუხრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯემალ აკიაშვილი

გიორგი ბაჭანიძე

მზია ბაჭრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

გურამ გოგიაშვილი

ნანა დარჩია (პ. მგ. მდივანი).

მაგალი თოფუა

ნოდარ ქაქაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვახუშტი კოტატიშვილი

რომან მიმინოშვილი

გიორგი ნიშნიაშვილი

ოთარ ნოღია

დალი ზანდიაშვილი

რუსუდან ქეზულაძე

იორამ ქვერთუღიძე

ნიკო ყიასაშვილი

გივი შანაზარი

გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

დავით წერეთელი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წიფიშვილი

რაფო ჭიჭიშვილი

გარეგანე: ალ.—ვახუშტი. ალ. კარირის მინიატურები (მაგამატი) საუბრები სოფლის  
აბლოს (ორმოცდამესამე მინიატურა) ბაღდადი (ერაყი) 1237.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგაძე, ტექნოლოგიური რ. იმნაიშვილი  
გამომცემი ნანა ბართია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დიდუბის ქ. № 2  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.  
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30





თარგმან ნათელა ლორთქიფანიძე

თანდათანობით, დროისა და აღამიანთა წყალობით, ბევრი აღარაფერი დარჩენილიყო ოდესღაც აქ გადაშლილ ვრცელ ხუტორულ კარ-მიდამოსგან. მხოლოდ აქა-იქლა ჩანდა მისი ნაშთი — ეს იყო სამირკვლის კუთხის ქვა, ჩამოცვენილი აგურების გროვა და ქვის ორი საფეხური ყოფილ შესასვლელთან. ეს ზღურობლის ქვები იმავე ადგილას ესვენებოდა, სადაც იდგნენ მრავალი წლის წინათაც, ხოლო წვრილ-წვრილი წითური ჭიანჭველები, სადღაც აქვე რომ შეერჩიათ სადგომი, საქმიანად დაფუსფუსებდნენ მიწაში ჩაზრდილ საფეხურზე. ხევხუვებში აყრილ მურყნარს მინდორი შეევიწროვებინა და ეზოს ზედ მისდგომოდა: ღუმლის ადგილას დიდებულად გაბარდულიყო ასკილის ბუჩქი, ირგვლივ რომ ოროვანდი, ჭინჭარი და ყოლოს ბარდები ეხვია. ჭისგან აღარაფერი იყო დარჩენილი. გვიმი დამპალიყო ან იქნებ ხალხს გაეტიალებინა, წყალი, რომელიც აღარავისთვის იყო საჭირო, დაშრეტილიყო. მიწის სიღრმეს შეეწოვა. აქ მდგარი ქობის ადგილას სარეველებში ამოზრდილი ეკლიანი ტყის მსხალი მიიწევდა მზისკენ — ურგები ამონაყარი თუ იყო იმ ჯიშის მსხლის ხეებისა. ოდესღაც აქ რომ იდგნენ, ან იქნებ — ტყიდან შემთხვევით ჩიტებს მოეტანათ თესლი.

შარავზიდან ცოტა რამ თუ მიგანიშნებდათ, აქ რომ ერთ დროს კარ-მიდამო იყო, გარდა იმ ორი ხიდან შემორჩენილი ერთი ცაცხვისა. ოდესღაც ხუტორის ჭიშკართან რომ იწონებდნენ თავს, მეორე ხე აღარც ახსოვდა ვინმეს, ის კი არადა, რომელიც შემორჩა, ისიც საბრალო სანახავი იყო: შერუჯულსა და ცალგვერდას დასახიჩრებული მსხვილი ტანი ჰქონდა. დამპალი და ფუტურო, კაცმა არ იცის, როგორ იმაგრებდა რამდენიმე დიდსა და ძლიერ როკს. ტყიდან მოფრენილი ჩიტები რატომღაც არასოდეს სხდებოდნენ მის ტოტებზე, იქვე, მახლობლად ტანაყრილ თხმელას არჩევდნენ. ყვავებს იქნებ კიდევაც ახსოვდათ რაღაც, ან იქნებ თავიანთი თანდაყოლილი ალღოთი გრძნობდნენ, ამ სახიჩარ ხეში უბედურების სული და ნიშანი რომ ბუდობდა. ეს საბედისწერო დამლა აქ ყველაფერს ეტყობოდა: კარ-მიდამოს ჩამპალ ნაშთსაც, მთელ სივრცეზე განცხრომით გაბადრულ სარეველასა და ყოლოსაც, თავმომწონე და უკარება ჩხელუტია ასკილსაც და მოკაკულ ნაგერალა მსხალსაც კი. და მხოლოდ ტანწვრილი ნორჩი ცირცელი, სულ ახლახანს რომ ამოეყარა მზეზე რამდენიმე ფოთოლი ბალახმოდებული ეზოს შუა ადგილას, თავისი ამ უმწეო კადნიერებით უცხო სამყაროდან მოსულ სტუმარს ჰგავდა, იმედის და სხვა, უცნობელი ცხოვრების განსახიერებას.

აღბათ სხვა დანარჩენი აქ წარსულს ეკუთვნოდა, ხრწნასა და არყოფნას რომ დამორჩილებოდა, გარდა ყოვლისმომცველი აღამიანური ხსოვნისა, დროს



რომ არ ემორჩილება და დასაბამიდანვე მომადლებია ნიჭი — წარსული აწყმოდ აქციოს, ხოლო აწმყო მომავლად.

I



გაუმართლარი მოთმინებით კორტნიდა ძროხა ღამით დატყვანულ მზაშაბას და, როგორც ყოველთვის, დიანჯად დატრიალებდა თავის ჩვეულებრივ გზა-შავალზე: შარაგზის გაყოლებით შამბნარმოდებული თხრილის პირას, გზის მიწაყრილის კიდეზე, ბალახაბიბინებულ ღარტაფზე, სადაც გატიკნული კერატვიით გასლიპული ლოდი იყო, და იმის იქით მდებარე ტყის პირს, ფართო რკალად რომ ერტყმოდა იმ გორაკს, სადაც ხუტორი იდგა. სტეპანიდამ იცოდა, რომ ტყის პირას ძროხა „ვერძის ხევისკენ“ იბრუნებდა პირს და იქ, მურყნარში, უფრო უნდა ეფრთხილა, ძროხას უცებ შორს არ გაეტია და თვალს არ მიფარებოდა. ბობოვკა მკვირცხლი ძროხა გახლდათ, და ჭრელი კი იყო — შავი, თეთრხალებიანი — მაგრამ თუ სადმე გადაიკარგებოდა, ბუჩქებში სირბილს მოგიწევდა. თუმცა ეს იქ, ტყისპირას თუ მოხდებოდა, თორემ აქ გადასაკარგი არსად ჰქონდა — ამ დაბალ მიწაყრილსა და ცარიელ კარტოფილის მიხდორს სად გასცდებოდა — აქ შეიძლებოდა მშვიდად მჯდარიყავ, ჰოდა, სტეპანიდაც ლოდის დამრგვალებულ გვერდს მიეყუდა, მიწაზე მაგრად დააყრდნო შიშველი ფეხები და დროდადრო თავის ბობოვკას ზევრავდა.

სიცივე არ იყო, თუმცა სტეპანიდას ბალახზე ფეხები კი გათოშოდა და ქარიც უბერავდა. ცა წვიმიანი ღრუბლებით დაფარულიყო, მზე დილიდახვე არ გამოჩენილა; რუხ, უსაყუდრო სივრცეს მინდორში ქარის დაუცხრომელი შრიალი ავსებდა, უნებლიეთ გინდოდა პირი გებრუნებინა მისგან, მაგრად გაბვეულიყავ ბამბულაში და მჯდარიყავ გაუნძრევლად. შარაგზაზე, როგორც ყოველთვის ამ დღეებში, არავინ იყო და სიჩუმე სუფევდა, ახლა აქ ცოტა ვიხმე თუ დადიოდა, რომც გამოჩენილიყო თითო-ოროლა გამვლელი, ეს უფრო ხშირად დილით ხდებოდა — ვინმე მახლობელი სოფლელი ქალი თუ ჩაირბენდა დაბაში და უკან მხოლოდ საღამოთი დაბრუნდებოდა. გზის ასე გაუკაცრიელება გულს უკლავდა სტეპანიდას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ დიდხანს არ გაევილო მას შემდეგ, რაც აქ ყოველივეს გუგუნ-გრიალი გაჰქონდა მახქანების, საზიდრების, ცხენების, ჯარის ურიცხვი რაზმების წყალობით, დღისით თუ ღამით რომ აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდნენ. გეგონებოდა, ამ დიად სვლას ბოლო აღარ ექნებოდა და არც შეშფოთებული ფუსფუსი დაცხრებოდა ხუტორში. კარვად მოგეხსენებათ გზისპირა კარ-მიდამოს ამბავი: ვისაც რა დაჭირდება, ყველას აქეთ უჭირავს თვალი. სტეპანიდა და პეტროკი ფეხზე ჩამოწყდნენ, დიდსა თუ პატარას ისინი უნდა შეჰგებებოდნენ და მათ უნდა გაეცილებინათ — ვინც კი წემოივლიდა, შემოირბენდა თუ აქ შეჩერდებოდა, რომ ფეხსაცმელი გამოეცვალა, წყურვილი მოეკლა, ხვატში ცაცხვებქვეშ სული მოეთქვა, ცხენებისთვის ეჭმია და თავადაც წაეხმსა, გზა ეკითხა. თუმცა ერთხელ, საღამო ხანს შარაგზა გათავისუფლდა, მოძრაობა საგრძნობლად შენელდა და საცა იყო მთლად შეწყდებოდა; მანქანები უკვე აღარ დადიოდნენ, წითელარმიელთა მწყობრები, გზიდან რომ გადმოუხვიეს, მწყარივებად მოედვნენ კარტოფილის ნათესს, თრიმეტაური კი ხუტორში შევიდა და რაღაცას დიდხანს ჩასჩერებოდნენ რუკაზე. მათმა ჯარისკაცმა — ცხენების მეთვალყურემა სათლი ითხოვა, ცხენებს წყალს დავაღვინებო, და ასე თქვა, ხუტორში დარჩენა საშიშია, რადგან აქ ბრძოლა გაიმართებაო. შეშინებულმა სტეპანიდამ ძროხას რქებზე გადაადგმო ბაწარი და



ბუჩქებს გაუყვა ვერძის ხევისაკენ. ხუტორში პეტროკი დარჩა — კარ-მოდამოს უმეტესად უფროდ ხომ არ მიატოვებდნენ. მთელი ღამე მეორე დღის შუადღემდე არყნარში ჩამჯდარმა სტეპანიდამ დიდი შიში გამოიარა. ნაშუადღევს გუნდნენ თვითმფრინავები, იმავე წამს მიწაც აზანზარდა, სადღაც რაღაცამ დი-გრილა, აკაკუნდა და ხევის თავზე ნაცარა კვამლის ბოლქვი ავარდა. სტეპანი-და თანდათან გამოერკვა ელდისაგან, მიხვდა, რომ ეს ამბავი შორს, მაღალმთიან და იქნებ იმის იქითაც კი, დაბაში ხდებოდა, თუმცა მალე ყოველივე ჩაწყნარდა, თითქოს არც მომხდარიყოს. სტეპანიდამ ცოტა ხანს მოიცადა და, შეშინებუ-ლი, ძროხიანად წაჩაქჩაქდა ხუტორისაკენ, ფიქრობდა, დაქცეული დამხედება აქაურობაო და ველარც პეტროკს ვიხილავ ცოცხალსო. მაგრამ ხუტორი, ვითომც აქ არაფერიო, მშვიდად იდგა გზიდან მოშორებით ცაცხვებქვეშ. ხოლო ეზოში სარდაფიდან გამომძვრალი მისი პეტროკი მიდი-მოდიოდა, წვერში ნამჯა უჩან-და, ქარი კი მესრის იქიდან მოაქროლებდა მისივე ხელით დაგრეხილი თამბაქოს ნაცნობ კვამლს.

იმ ღამეს წითელარმიელებმა კარტოფილის ბურტზე<sup>1</sup> ტრანშეა ბოლომდე აღარ გათხარეს, მიატოვეს და წავიდნენ. შარაგზა დაცარიელდა, მიუჩრდა; მეო-რე დილას სამხედრო საზიდრები გამოჩნდნენ ხამუშ-ხამუშ, უკან მობრუნე-ბულნი კულბაკის შემოვლით მიდიოდნენ — ფიქვნარს იქით თვითმფრინავებმა დაბომბეს ჭაობიან დერეფიანკაზე გაღებული ხიდი და შარაგზით დაბაში მისვლა შეუძლებელი გახადეს.

დაიწყო ახალი, უჩვეულო, საზარელი ცხოვრება გერმანელების ხელში. რაც თანდათანობით, გარდაუვალი სიჯიუტით იკიდებდა ფეხს რაიონში. დაიწყო იმით, რომ ვისელკიში კოლმეურნეობა დაშალეს, დაიტაცეს მისი ღარიბული ქონება, ინვენტარი, ცხენები და სტეპანიდამ პეტროკი თავისი, ოდესღაც საზო-გადოებრივ საკუთრებად გამხდარი ფაშატის მოსაძებნად გაგზავნა. მაგრამ ფაშატი კოლმეურნეობაში არ აღმოჩნდა — გერმანელების მოსვლის წინააღმდეგ ბიჭი საზიდრით გაეგზავნათ სადგურში, საიდანაც აღარც დაბრუნებულიყო. სტეპანიდა პეტროკს აუყვირდა, თუ ასეთი ამბავი მოხდა, რომელიმე სხვა ცხე-ნი უნდა წამოგვეყვანა — აბა რა უნდა გავაწყოთ, უცხენოდ? როგორ უნდა ვიც-ხოვროთო? მაგრამ ეს ბებერი ყეყეჩი პეტროკი განა რამეს რიგიანად მოისაქ-მებს? ერთი რამ ეხერხება მხოლოდ — სიტყვაგამწყდარმა აბოლოს თავისი აყროლებული წეკო. პოდა, ახლა იცხოვრე, როგორც გინდოდეს. კიდევ კარგი, რომ ბობოვკა მაინც შერჩათ იმედოდ, ჯერჯერობით ორივეს ეს ძროხა კვებავს. მერე რაღა იქნება?

ამასობაში ბობოვკას, ეტყობა, მობეზრდა გზისპირა, მაგარ ფერდობზე ძოვა და უფრო მალლა ავიდა, შარაგზის კიდეზე. სტეპანიდა წამოდგა ლოდი-დან — რატომ უნდა მიუშვას ძროხა, მიწაყრილიდან თავი ამოყოს, ვინ იცის, რა ხდება, ვინმეს რომ მოუვიდეს თვალში? თუმცა ეს ორი თვეა გერმანელე-ბის ხელში ცხოვრობს და მიხვდა, რომ ყველაფრისაგან ვერ დაიცავ თავს, სა-დაც არ უნდა დაიმალო, თუ მოინდომეს, მაინც გიპოვიან. მით უმეტეს, რომ გერმანელებს უკვე გამოუჩნდნენ დამხმარენი — აქაური მცხოვრებლები, პოლი-ცაები, რომლებიც ყველას იცნობენ. წინა კვირას მოედანზე ორი კომუნისტი ჩამოახრჩეს, ერთ-ერთი მათგანი იმ სკოლის დირექტორი იყო, სადაც მისი ფენ-

<sup>1</sup> ბურტი — კარტოფილის შესანახი ადგილი.



კა და ფედკა სწავლობდნენ. იქვე დაბაში, სახლების კედლებსა და ღობეებზე გაკრული იყო მათი განცხადებები, რომლებშიც იმუქრებოდნენ, რომ სასტიკად გაუსწორდებიან ყველა ურჩს, მით უმეტეს, თუ გერმანელ ხელისუფალთ გაუწევინ წინააღმდეგობას.

სტეპანიდა გზისპირა ფერდობზე ავიდა, წნელი მსუბუქი ჰაერით დაუჭირა ბობოვკას გავაზე და იმანაც აღარ ალოდინა, დინჯად გაგზავნილი იყო და ჩაევიდა თხრილში. რასაკვირველია, აქ მაინცდამაინც გემრიელი ბაღები არ იყო — სარეველა და ღიქა ხარობდა მხოლოდ — მაგრამ მთელი დღე ძოვით როგორმე გამოიძღობდა კუქს. სტეპანიდა ცოტა ხანს კიდევ იდგა შარავნაზე, მიწაყრილიდან გადმოჰყურებდა მისთვის ასე კარგად ნაცნობ ხუტორის მიწდორს. ათი წელია იგი მასა და პეტროკს აღარ ეკუთვნოდა, კოლმეურნეობისა გახდა. მაგრამ ახლა რაღა იქნება? საეჭვოა გერმანელებმა გლეხებს გადასცენ მიწები, ალბათ იციან, თუ ხელიდან გაუშვებს, უკან ველარ დაიბრუნებენ. როგორც არ უნდა იყოს, ამ პატარა მიწა-წყალზე, ღვთისაგან დაწყევლილ ბორცვზე, რომელსაც გოლგოთას ეძახდნენ, სტეპანიდას მაინც შესტკივა გული, როგორც დედას თავის თუნდაც სწულს ერთაზე. რამდენი უვლიათ აქ მის ბებერ ფეხებს, უმუშევრიათ მის დაუილურებულ ხელებს, რამდენ წელიწადს ხნავდნენ, თესავდნენ, მკიდნენ ამ მიწაზე ისა და პეტროკი, აყრიდნენ ნაკელს და ანამცეცებდნენ თიხის კოშტებს, განსაკუთრებით იქ, თიხნარში. ამ ალალ გლეხურ სამუშაოში თანდათან ფედკაც ჩაება. ფენიამ კი სწავლა მოინდომა და მინსკს მიაშურა. სად არიან ახლა მისი შვილები? ფენია იქნებ ცოცხალია, თუ ბედმა გაუღიმა და თავის დროზე გააღწია აღმოსავლეთისკენ, ახლა სადმე რუსეთში იქნება. ფედკა კი? შემოდგომაზე ჯარში რომ წავიდა, მთელ ზამთარს სამად სამი წერილი გამოგზავნა ლატვიიდან, ის იყო, სამსახურს იწყებდა ტანკისტად და ომიც გამოცხადდა! ნეტავ სად არის, ცოცხალი კი გადარჩა?

ღრუბლების ვიწრო ჭრილში გამოაჩეცა მზემ და მოულოდნელი ცივი შუქით გააბრწყინა დედამიწა. მოშავბნელებულმა შემოდგომის სივრცემ წამსვე დაკარგა ნალვლიანი იერი, თითქმის ღიმილი შეაგება ნანატრი მზის ალერსს.

მზის ალმაცერი სხივებით გაშუქებული ბოსტნები, ბაღები და სლობდსკიე ვისელკის ნაგებობანი, გრძელ რიგად რომ გადაჭიმულიყო გზისპირა ვიარაკზე, მკვეთრად გამოიკვეთნენ; შორიახლოს დაკბილულ კედლად აციალდა ნაძვის ტყე, ხოლო უფრო ახლოს და მარჯვნივ თვალის გასახარლად ჩანდა ჩახუჭუქებულ ფერდობზე ნორჩი ფიჭვნარი, გზის ვიწრო ზოლი რომ ჭრიდა. იქით, მიწდორს გადაღმა გრძელ ჩრდილს ფენდა ხუტორის კარ-მიდამოში, რომელიც ორი ბებერი ცაცხვის მძლავრ ვარჯს შეჰყუჟოდა. ეს სტეპანიდას იახიმოვშიჩანა იყო. ქალი დაჟინებით ჩასცქეროდა, იქნებ პეტროკი დავიხახო, რასა იქმს ბერიკაციო. დილით ძროხა რომ გამოდენა, დაუბარა, ესა და ეს გააკეთეო, რაც მთავარია — ჩაათბუნე და მიწა კარგად დააყარე ბოსტანში კარ-როფილის ბურტსო. თუმცა პეტროკს ვერსად მოჰკრა თვალი და მზეც მალე ღრუბელს მიეფარა; ხუტორის ველი მოიჭუშა, ჩაბნელდა და სტეპანიდამაც ველარ მოასწრო რაიმეს დანახვა.

სტეპანიდა მიწაყრილიდან ჩამოვიდა — უმიზნოდ რად უნდა ეხეტილა გზაზე — და ნელ-ნელა წინ გაიდენა ძროხა.

უკვე კარგა მანძილზე მოშორდა ლოდს, ტყის პირს ხელსაც მიუწვდენდა, რომ უცებ გზის გადაღმა ვილაცის ხმა შემოესმა. სტეპანიდამ თავი ასწია და მიაყურა, მაგრამ შიში მაშინვე გაუქრა, როგორც კი გზისპირა მიწაყრილზე



ცნუტია რუდკა გამოჩნდა. ძალი ნაპირზე გამოხტა, მაშინვე გაირინდა, რაკი იცნო ქალი, და სიხარულით ააქიცინა კული. ქარმა ისევ მოიტანა მიყრუებული ხორხისმიერი შეძახილი და სტეპანიდა მიხვდა, რომ ვისელკელი იანკა მწყემსავდა თავის ნახირს გზის იქითა მხარეს, ისევე როგორც თავად მწყემსავს ბობოვკას აქეთკენ. ბიჭი მართლაც გამოჩნდა. რუდკას მოჰყვებოდა მიწაყრილზე, გრძელფეხება ყმაწვილი იყო, მუქი, შარვალში ჩატანებული პერანგის მსგავსი ხელში შოლტი ეჭირა. სტეპანიდა ხშირად ხვდებოდა მას ამ გზისპირა მინდორზე ან კიდეც — ჯაგნარში თავისი ოთხი ძროხითა და ყოველ შეხვედრაზე სიბრაღულით ეკუმშებოდა გული — ისეთი ძვალტყავა, მოუვლელი იყო ბიჭი. რომელსაც ნამველარა შარვალზე თოკის ნაგლეჯი შემოეჭირა და მუდამ ფეხშიშველი დატანტალებდა. შეშინებული და გაშტერებული ჩააშტერდებოდა ხოლმე სტეპანიდას სახეში, თითქოს რაღაცის გაგება უნდოდა და ვერ გაეგო. ზოგჯერ მოყვებოდა ხელების ქნევას და როყროყს ხორხისმიერი ბგერებით, მოულოდნელად რომ აფრთხოდა სტეპანიდას. ასე ცდილობდა რაღაც ეთქვა მისთვის, ხანაც სტეპანიდა ცდილობდა რაიმე გაეგებინებინა იანკასათვის, მაგრამ ბიჭი წამოიროყროყებდა ხოლმე და სტეპანიდა ვერ ხვდებოდა. გააგებინა თუ არა, თუმცა თუ კარტოფილს ან ლორის ნაჭერს გაუწვდიდა, ბიჭი ხელად გამოართმევდა, სადმე სამანთან მიიკუნჭებოდა და ნამცეცსაც არ დატოვებდა, ისე შეჭამდა. ეტყობოდა, რომ ხშირად მშიერი დარბოდა — მაშ რა იქნებოდა, განა ღვიძლ დედასთან ცხოვრობდა, სოფელში შორეულ ნათესავებს დასდგომოდა მწყემსად და გაზაფხულიდან მოყოლებული რაღაც ორი ლუკმისა და ღამის გათევინების საფასურად უმწყემსავდა საქონელს.

მწყემსმა თავის პატარა ნახირს თვალი შეავლო, შოლტი ჰაერში გაატყლაშუნა და, სტეპანიდას რომ მიუახლოვდა, ხმისამოუღებლივ დაეშვა გზის კიდეზე. იარებით დაფარული ფეხები მუხლებამდე გამოეჩარა უხეში ტილოს შარვიდან, შემცივნებული ხელები გულზე შემოიჭდო, მოიკუნტა და იდაყვები მუხლებზე დაიყრდნო.

— ი-ი-ა-ა-ა! — რაღაცის თქმას ლამობდა, — ა-ე-ე!

ვინ იცის, რა ფიქრები აწუხებდა, რისგან უქანქარებდა დაუვარცხნელი თავი დაჰმუჭვნილ, საჩიხდამტვრეულ კეპში, რა აზრი იხატებოდა მის გულუბრყვილოდ დაჰყვტილ თვალებში? სტეპანიდა ზოგჯერ ბობოვკას მიაბარებდა ხოლმე, თუკი ასეთი საჭიროება გამოუჩნდებოდა და მინდორში მობრუნებული, ცდილობდა რაიმე ძღვენი მიეტანა მისთვის — ოღადი იქნებოდა, ხიწიწი, ერთი მუჭა ცერცვი თუ ხიდან მოწყვეტილი მწიფე ვაშლი მაინც. დღეს კი არაფერი ვააჩნდა.

— გცივა, იანოჩკა? რატომ თბილი ტანსაცმელი არ წამოიღე? — უთხრა სტეპანიდამ საყვედურით და ქვემოდან ახედა.

— ა-ა, ე-ე-ე! — ჩაიზმუვლა ბიჭმა და ხელი ჩაიქნია.

— ხომ ხედავ, როგორი ქარია, დაგიბერავს და ავად გახდები. გესძის, ავად გახდები-მეთქი. — ხელი დაიტყაპუნა მკედრზე სტეპანიდამ. — წადი და რაიმე წამოიღე ჩასაცმელი! ტანსაცმელი-მეთქი, რაიმე თბილი სამოსი!

იანკა თითქოს რაღაცას მიხვდა, გზაზე გახტა და თავის პატარა ნახირს მოავლო თვალი.

— ა-ა-ა! უ-ა-ა-ა!

— წადი, წადი, — უთხრა სტეპანიდამ. — მე მიგიხედავ, მიგიხედავ-მეთქი! — გაუმეორა უფრო ხმამაღლა და ხელით მის ძროხებსა და თავის ბობოვკაზე უჩვენა.



სტეპანიდას გასაოცრად, ბიჭმა თითქოს გაიგო, რასაც ეუბნებოდნენ, გზიდან ჩამოიბრუნა, შოლტის ქნევით მოაბრუნა წინა შავი ძროხა და სიბოლოთ მოუშვა ფიჭვნარში, რომლის სიახლოვესაც მოჩანდა შარავნის გადასახვევი ვისელსკისაკენ. რუდკა ჯერ გაეკიდა ბიჭს, მაგრამ უცებ თითქოს თავისი მოვალეობა მოაგონდა, უკან მობრუნდა და სტეპანიდას მჭიდროდ დაეჭიდა გზისპირას ჩაცუცქდა.

ბიჭ-ბიჭუნა

— რუდკა, აქეთ, რუდკა! — მოუხმო სტეპანიდამ, მაგრამ ძაღლმა მხოლოდ ყურები შეარბია, მზრუნველობით შეათვალიერა თხრილში და გზის ფერდობზე მშვიდად მობალახე ნახირი. მართლაც რომ დიდებული ძაღლი იყო. თუმცა ცოტათი ეშმაკი კი გახლდათ, ისე არ მიეკარებოდა კაცს, თუ ხელში სასუსნავს არ დაუნახავდა.

იანკას რომ არ დაშორებოდა, სტეპანიდამ შარავნის იქითა მხარეს გადენა ბობოვკა და თავად მიწაყრილზე დარჩა. აქედან ყველა ძროხას კარგად ხედავდა. ფეხებსაც თავისუფლად აბიჯებდა გზის გამხმარ ბალახზე, მაგრამ ქარი აქ უფრო ძლიერად უბერავდა და ქალი ზურგშექცევით დადგა მისკენ. ცაში ვამალებით დაცურავდნენ ღრუბლები, ვერ გაიგებდი, რა ადგილას მიძალულო იქ მზე და როდის დალამდებოდა. მაგრამ სტეპანიდა გრძნობდა, რომ კარგა ხანია მონაშუადღევდა და ერთი-ორი საათის შემდეგ ბინდი ჩამოვდებოდა. წინათ სტეპანიდას უყვარდა, ელოდებოდა კიდევ იმ დროის დადგომას, როცა ბინდურის სამუშაოებიდან შინ ბრუნდებოდა, სადაც ოჯახი იყრიდა თავს. ათასნაირი ოჯახური საქმე არასოდეს არ გასჭირვებია, გინდაც ქანცაწყვეტილი დაბრუნებულიყო მინდურიდან. ახლა კი მოსალამოება გულს თითქმის აღარ უხარებდა, არცთუ ღუმელთან საქმლის მოსამზადებლად ფუსფუსი იზიდავდა — ოჯახი, შეიძლება ითქვას, აღარ ჰქონდა: ერთიმეორის მიყოლებით გაემგზავრნენ საიჭიოს მოხუცები; ბავშვები, როგორც კი წამოიზარდნენ, დაიფანტნენ, შეუმჩნევლად განვლო სიძნელეებისა თუ სიხარულის დღეებმა, რაც ამასთან იყო დაკავშირებული. ერთადერთი პეტროკილა შემორჩა და ორ ბებერს განა რა სჭირდებოდა იმდენი? რამეს შესჭამდნენ, გაცვეთილ ტყაბუქს წაიფარებდნენ და მიეგდებოდნენ გვერდზე, ღამით ცეცხლის დანთებაც აღარ სურდათ, ისედაც იოლას გადიოდნენ. ჰო, მართალია, საქონელიც ჰყავდათ მოსავლელი: ძროხა, გომურში გოჭი, ათიოდე ქათამი. მათ საქმელ-სასმელი უნდოდათ და ყურისგდება. თითქმის, ეს იყო და ეს სტეპანიდას იოლი საშინაო საქმე.

ვისელკელი წითური ახალგაზრდა ძროხა ჩამორჩა სხვებს და სტეპანიდამ ჩემი ხმით გასძახა. ძროხა, ეტყობა, არ იყო მიჩვეული უცხო ხმით მოხმობას და ფეხი არ აუჩქარებია. სტეპანიდა მიწაყრილიდან ჩამოვიდა, უკან წავიდა და გამოდენა ძროხა. როცა ისევ ავიდა შარავნაზე, უცებ დაინახა, ფიჭვნარის მხრიდან ეილაც ისე თავქუდმოგლეჯილი გამოვდებოდა, რომ ზურგზე პერანგი ებუშტებოდა. რომ ჩააცქერდა, იანკა იცნო, მაგრამ უკან რატომ მობრუნებულიყო ნეტა, რატომ ვერ მიეღწია ვისელკამდე? სტეპანიდას ქარი თვალებს უცრემლებდა, იანკას მისჩერებოდა, სხეულში რაღაც დაეძაგრა — შეუცნობელი შიში გადმოედო ბიჭისაგან.

სტეპანიდა გარინდებული იდგა შარავნაზე, უკვე იცოდა, რაღაც ცუდი ამბავი იყო, მაგრამ ჯერ ვერ ვერ გაეგო, რა მოხდა. შემდეგში იგი ბევრჯერ მოიგონებს ამ თავის წინათგრძნობას და გაოცდება, თუ რა სწორად იწინასწარმეტყველა იმის მოახლოება, რამაც მოულოდნელად დაამხო მთელი მისი ცხოვრება. ახლა კი შიშნეული გრძნობით შეეგება იანკას. ბიჭი მასთან მისვლას აღარ და-



დოდებია, მიწაყრილიდანვე მოწინავე ძროხას ეცა, შოლტი გადაუჭიოა და ვაცეცლებულმა ნახირი უკან მოაბრუნა. ძროხებმა ჯერ უნდობლად მერე კი სირბილით მიჰყვნენ ერთიმეორეს თხრილის გაყოლებით ტყის პირზე, იაშვილით ანიშნებდა, უკან მობრუნდითო, სახე შიშისაგან თუ გაოცებისაგან დიდოვოდა, მისმა დამნახევმა სტეპანიდამაც ყოყმანით უკან მოაბრუნდა და მხოლოდ ბოვკა, ეტყობა, იქ, ფიჭვნარში გამოჩნდა საშიში რაღაც, რისგანაც სტეპანიდამ უნდა ეუშველოთ თავსო, ასეთნაირად გაიგო მან იანკას შემფოთება; თავადაც, საცა იყო, შიში აიტანდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ მათ მთელი ნახირი გზისგან მოშორებით, თხმელნარში, ჭაობის პირას შეერეს. სტეპანიდა იანკასთან მივიდა, მწყემსმა ზიჰმა ქალს სხვანაირი, უცხო გამოხედვა შეაგება, ხორხისმიერი როყროყით ცდილობდა აეხსნა მისთვის რაღაც, თანაც ერთთავად შარაგზაზე უთითებდა.

— რა ნახე იქ? რა? — ეკითხებოდა სტეპანიდა, რაკი ხედავდა, იანკას ჭარისაგან აქერცლილ, ჭორფლიან სახეზე მხოლოდ შიში აღბეჭდვოდა, რაც დაჭყეტილ თვალებზედაც ეტყობოდა, არასასიკეთოდ რომ აგზნებოდა. იანკა მხოლოდ ხელებით უხსნიდა რაღაცას, ჩირგვნარზე უთითებდა, ჭაერში ხაზებს ავლებდა და თითებს იშველიებდა, სტეპანიდას ვერაფერი გაეგო.

„ღმერთო ჩემო, რამ გაგაჩინა ასეთი უნდილი!“ — პირველად იყო, რომ გაჯავრდა იანკაზე და სივრცეს დააყურადა, თხმელნარში სიჩუმე იდგა, ქარი ტოტებს აშრილებდა, ცოტა მოშორებით რომელიღაც ძროხა შემძვრალიყო ბარდებში და ფიჩხებს ატყაცუნებდა. გზიდან კი არაფერი ისმოდა და სტეპანიდამ გადაწყვიტა ფიჭვნარში ჩასულიყო.

— შენ ბობოვკა მომწყემსე, ძროხა მომიმწყემსე-მეთქი! ჩავალ და ძალე დაგბრუნდები.

იანკამ მხოლოდ გაურკვეველად ამოიზმუვლა და ხელები აიჭნია, ან ვერ გაიგო ნათქვამი, ან არ ეთანხმებოდა, ქალმაც წუთით შეიცადა და მერე ფრთხილად დაადგა გზას.

შარაგზაზე კვლავ არავინ იყო, არც ფიჭვნარის სიახლოვეს, სტეპანიდა ცოტა ხნით დადგა, იფიქრა, მერე მიწაყრალზე ავიდა და ჩქარი ნაბიჯებით გაუყვა გზას თხრილის გასწვრივ.

ვერაფრით ვერ გაეგო, რა დამართვნოდა იანკას, თუმცა კი სულ შარაგზის ბოლოსკენ ეჭირა თვალი, ერთი ოთხჯერ მაინც შეჩერდა და დაფიქრებულმა ყური მაუგდო. სლობოდსკიე ვისელციშიც ყოველივე მიუთჩებულოყო, ისევე როგორც მისი ხუტორის სიახლოვეს, კარტოფილის ფერდობზე მძაფრი პირ-ქარი უბერავდა და სტეფანიდას ეგონა, საცაა ღრუბლებიდან მზე გამოაჭყიტავსო, მაგრამ მზე არ გამოჩენილა. სტეპანიდა უკვე მიუახლოვდა ფიჭვნარს, რომლის სქელი ტევრი არცთუ დიდზე განფენილიყო გზის ორთავე მხარეს, ჰოდა, მაშინ იყო, მის სმენადაძაბულ ყურებს რომ პირველად მისწვდა ის უცნაური ხმაური, ფიჭვნარს გადაღმა შორეული მძიმე ზანზარის ხმა მკვეთრად ისმოდა ცივ ქარში და სტეპანიდას თითქოს თავში დაჰკრა რაღაცამ, მიხვდა: ხიდი! დიას, იქ, კორომის იქითა მხარეს, აქვე, ახლოს, გზის მოსახვევს გადაღმა, სადაც ზაფხულს აქეთ მდინარეზე ყუმბარით დანგრეული ხიდის ნარჩენები ამოჩნბოდა, რაღაც ხდებოდა.

სტეპანიდამ ნაბიჯი შეანელა, შეჩერება განიზრახა, მაგრამ არ შეჩერებულა.



ლა, პირიქით, საჩქაროდ მიიღებინა ტყის პირას და გზით რომ არ ევლო. წიწვნარის ტევოს გაუყვა.

აქედან ხელის გაწვდენაზე იყო ხუტორი. სტეპანიდამ აქ ყველა განაკაფი და ბილიკი იცოდა. წლების განმავლობაში თავისი ფეხით მოეწეა. ქალი ჩველეთია ტოტებს ეხეთქებოდა. თითქმის სიბილით გადალახა დაბალი ნორჩი წიწვოვანი ხეებით მოფენილი ბეჭობი და ფრთხილად გარშემოწავს ტყის პირიდან ვრცელ ველს, რომელზედაც პატარა მდინარე მიჰქანებოდა. თუმცა აქედან არ მოჩანდა. ხიდიდან უკვე კარგად აღწევდა ხმები, საზიდრიდან რომ მორი მოისროლეს, მიწა შეზანზარდა, სტეპანიდამ სახიდან გატოტვილი ფიჭვის ტოტი აიცილინა და გაირინდა. შარავნაზე, ხიდიდან, ხედ წყლის პირას და აფეთქებისაგან გადათხრილ მიწაყრილზე ხალხი ფუთფუთებდა: ერთნი მიწას თხრიდნენ, მეორენი საზიდრებს მორებით ტვირთავდნენ, ხოლო ფლატეზე, რომელზეც ხიმინჯები და განივი კოჭები ეყარა, უცნობ სამხედროფორმიანი რამდენიმე კაცი იდგა გაქვავებული და მხარზე თოფგადაგდებული. ერთ-ერთი მათგანი, მაღალი, ფართოსაჩიხიანი ქუდი რომ ეხურა, ხელით რაღაცას აჩვენებდა აქეთ-იქით მხარეს. სხვები დუმილით უსმენდნენ და შეფიქრიალებულები ათვალერებდნენ დანგრეული ხიდის ნარჩნებს. უცებ შეშინებული სტეპანიდა მიხვდა — ესენი ხომ გერმანელები არიან!

2

„რა იქნება? რას უნდა ველოდოთ გერმანელებისაგან? ჩვენები სადღა არიან? — ნალვლიანად ფიქრობდა პეტროკი, — როგორღა ვიცხოვრებთ ახლა?“

ასეთი დარდისამწლელი ფიქრები უამრავი იყო და რაკი ერთ მათგანზედაც ვერ იპოვა პასუხი, დანარჩენზე რაღას უბასუხებდა. ამოი იყო თავის მტვრევა, წუხილი, ახლა მართლაც რომ ვერაფერს მოისაზრებდა კაცი, სხვა რა გზა იყო, იმას უნდა დასჯერებოდი, რაც ბედმა გარგუნა.

მაგრამ ფიქრები მაინც თავისთავად გიძვრებოდნენ თავში, გაფორიაქებდნენ: ომი დაიწყო თუ არა, მას მერე მოუშორებელი ნალველი ქერქიჭამია ნოჭოსავით ხრავდა სულს და ვერა და ვერ ჩაგეკლა.

თუმცა ვერ იტყვი, რომ ხუტორში ცხოვრება ძალზე ცუდი შეიქნა და რომ რაიმე შეიცვალა გერმანელთა ახალი ხელისუფლების დროს. პირიქით, თითქმის ყველაფერი ძველებურად დარჩა: როგორც ყოველთვის, ახლაც მოაბეს თავი პურის აღების საშემოდგომო საზრუნავს, ჰყავდათ ძროხა, გოძურში პატარა გოჭი ჰყვრიდნებდა და ეზოშიაც ქათმები დაეხეტებოდნენ. ასე თუ ისე, საქმელიც ჰქონდათ: ქარხალი, კომბოსტო, ბოსტანში კარტოფილი, ბელელში ეწყო სამი კოდი ხორბალი — მან და სტეპანიდამ ერთად მოიმკეს შემოდგომის დამდეგს, მიტოვებული კოლმეურნეობის მინდორზე. მაგიდაზე პური ედოთ, წინათ რომ ჰქონდათ, იმაზე მეტიც კი, ხოლო კარტოფილი შეეძლოთ ამოეთხარათ და კიდევ — აი აგერ გოლგოთაზე, მესერს გადაღმა კოლმეურნეობის ნათესი იყო, რომელიც ახლა არავის ეკუთვნოდა. ვისეულკელი დედაკაცები, ვიხც უფრო თამამი იყო, ჩუმად თხრიდნენ გზის ახლომახლო, ნებართვას არად დაელოდებოდნენ, არც პეტროკს აწყენდა ერთი-ორი ტომრის მოთხრა ბურტში შესანახად, რასაც ერთ კვირას მაინც მოუწოდებოდა — სტეპანიდამ კი უთხრა, დღესვე მორჩი მაგ საქმესო, პოდა, აი მოდენის ძროხას და ისევ იჩხუბებენ. პეტროკს გული არ უდგებოდა საქმეზე, თავი სხვა საზრუნავით ჰქონდა სავსე, სული უწუხდა, გაუთავებლად აბრჩოლებდა შინაურ თამბაქოს და სნეულივით იჯდა



დაბალ მერხზე პარმალთან ან კიდევ უმიზნოდ დაეხეტებოდა ეზოში. მაგრამ ყურადღებას არაფერზე არ აჩერებდა, ირგვლივ ყველაფერი მისეული იყო, ძალიან კარგად ნაცნობი და უკვე თავის ნაწილად მიაჩნდა, თუმცა რა გასაკვირიც უნდა არის: აქ გაატარა ოცი წელი მძიმე, ხელმოკლე და საზრუნავით სავსე ცხოვრებისა, რაც აგერ ახლა ლამის მიწასთან გასწორდეს, სხვას კი უკვე ეძლეოდა მოესწრება. იქნებ გაეძლო ამ მისთვის ღვთისაგან მომადლებული ადამიანისთვის, თუ კუჭი ვერ ექნებოდა მაინცდამაინც მაძლრად, მშვიდად მოეძინა რომ არ ამტყდარიყო...

ამ ბოლო დროს პარმალსა და მესერთან ნაწვიმარზე აბიბინებულმა მოლმა ძალიან აიყარა ტანი, ერთთავად დაცვარული იყო, ამიტომ პეტროკმა უფრო მშრალი ადგილი შეარჩია, მიწაყრილს გაუყვა და შუა ეზოში შეჩერდა. მრავალი წელი იყო იგი აქაურობის მფლობელი, ავად თუ კარგად სახლ-კარს პატრონობდა, ახლა კი თითქოს უცხო თვალთ შესცქეროდა მას, თითქოს სადღაც მიემგზავრებოდა და უნდა განშორებოდა იმ ადგილს, სადაც გაიარა მისმა ცხოვრებამ. თუ კარგად ჩაუკვირდებოდი საქმეს, დასანანი არაფერი ჰქონდა. ქოხი კარგა ხანია მოძველდა, თუმცა თავის დროზე ხე-ტყე კარგი გამოადგა — უკვე მომწიფებული ფისოვანი ფიჭვი; კედლების მორები ცოტა დასკდა, მაგრამ ერთიც არ დამპალა. ქოხი კიდევ იდგება, იქნებ გამოადგეს ხალხს, სახურავს კი დასჭირდება შეკეთება, კვამლსადენთან გაზაფხულს აქეთაა წვიმა ჩამოდის, ისევე, როგორც ფარდულში, რომელსაც წინკარით ქოხთან საერთო სახურავი აქვს. ის კი არადა, ფარდულში წვიმა კიდევ ასხამს როცა მაგრად წვიმს, თიხის იატაკზე გუბე დგება და სტეპანიდა ილანძლება: მთელი ზაფხული ვერ მოახერხე ნაჩვრეტის ამოჭოლვას, მართლაც ვერ მოიტალა — ხან ესო და ხან ისო, რაც მთავარია, მაინცდამაინც არ ეპრიანებოდა თავისი ძვლები იმ დანჯღრეულ კიბეზე აეთრია, ფიჭრობდა: აი, წვიმა გადაიღებს და გუბეც დაშრებაო. თანაც, იმ დამპალ ნამჭას თუ შეარხევ, უფრო ძლიერ ჩამოვა წყალი, რა გინდა უყოს ამ შენობას, რომელიც ასი წლის წინათ დაუდგამთ, მგონი, ჯერ კიდევ პანების დროს, ფარდული კი უფრო აღრინდელიცაა. მისი სახურავი, რაც პეტროკს თავი ახსოვს, მუდამ ხავსით იყო გადამწვანებული, პაწაწინა სარკმლის მინა სიძველისაგან ნაირფრად ბზინავდა.

ყველაზე უფრო გამართული ნაგებობა აქ გომურს იქით ახალნაშენი ბეღელია. შესახედად ეზოში ყველაზე უსაჩინო, სახელდახელოდ ნაგები ნაძვის წვეროებისაგან. კედლები მთლად დაბზარვია, მაგრამ ბელლად დაბზარულიც გამოდგება — ქარში გაჰქარავს, წვიმა კი არ დაასველებს. პეტროკმა და ფედკამ დადგეს, პეტროკი ფიჭრობდა, ჩვენ თუ არა, იქნებ ვაჟიშვილს გამოადგესო, აი, სამხედრო სამსახურს მოიხდის, დაცოლშვილდება და გვარს გააგრძელებსო.

მაგრამ სად არის ახლა ფედკა?.. ბეღელში კი ჭვავის ძნებს ქარი ახშობს, თავის დროს ელოდება. დროდადრო ზემოდან ორ-სამს ააცლის, წინკარში საგებელზე გაფენს და დოლაბზე ფქვავს. სტეპანიდა ორიოდ გოგორას გამოაცხობს და მთელი კვირა სამყოფი პური აქვთ.

პეტროკმა ნაღვლიანი მზერა მოავლო შემოდგომის რუხ სივრცეს, კარტოფილის მიწდორს, ზედ ტყემდე რომ გაჭიმულიყო, და ჭასთან მივიდა. ქვემოთ, გვიმის ჩაშავებულ ჩანაქცევში, წყალი ბრწყინავდა — ახლა ბლომად დაგროვილიყო, ზაფხულზე მეტი. ჭის წყალი გემრიელი იყო, მუდამ ცივი და ცრემლივით სუფთა. ასეთი კარგი წყალი ვისელკის რვა ჭიდან ერთშიც არ იყო. მოხუცები ყვებოდნენ, ძველ დროში აქ მიწიდან ამოჩუხჩუხებდა წყალიო, ამი-



ტომაც მოხდა ალბათ, რომ მის ახლოს გააშენეს პანების, იახომოვსკების კარ-  
მიდამო — გორაკზე, ღრმა, ტყემოდებულ ხევში. ვინც კი მოიკლა წყურვილი  
ამ ჭის წყლით, მუდამ მის ქებაში იყო. ამ რვა წლის წინათ ტლანქი ოწინარის  
ნაცვლად პეტროკმა ძელური ჯაჭვიანი ჯალამბარი დაუყენა, რომელსაც წვიმი-  
საგან დასაცავად ეწერო, ორმხრივ დაფერდილი სახურავი ჰქონდა, ერთი სახუ-  
რავიც კიდევ უნდა გაუკეთოს, რომ ეზოდან არაფერი ჩაცვივდეს, თუმცა, მგო-  
ნი, უიმისოდაც არაფერი უჭირს. რა უნდა ჩაცვივდეს შიგ? აი, ქარი თუ ამ ორი  
ცაცხვის ფოთლებს ახვეტს. შემოდგომაზე ასე უხვად რომ იყრება ეზოში. ცაც-  
ხვები ძალზე გაიფურჩქნენ ამ ბოლო წლებში და მათი ჩრდილი ზაფხულობით  
თითქმის ნახევარ ბოსტანს ფარავს. სტეპანიდა ერთთავად იმას ჩამჩიჩინებს, მო-  
ჭერიო, მაგრამ პეტროკი ასეთ მშვენიერებაზე ხელს როგორ აღმართავს. მას  
კი არ დაურგავს, სხვებმა დარგეს, მთელი ცხოვრება მის თვალწინ იზრდებოდ-  
ნენ ეს ცაცხვები და დაე, პეტროკი რომ აღარ იქნება, მაშინაც იდგნენ აქ.

პეტროკი ჭასთან დადგა და მინდვრის გაღმა შარავზას გახედა. იქ წელან  
სტეპანიდა მოჩანდა ძროხიანად, მაგრამ ახლა აღარც ძროხა იყო და აღარც სტე-  
პანიდა. ალბათ ჯაგნარში თუ შედენა ძროხაო, იფიქრა პეტროკმა. ჯერ გვიანი არ  
არის, საღამომდე ერთი-ორი საათი კიდევ წააძოვებს და მერე კი მოგქამა ჭირი  
პეტროკის თავისუფლებამ, უნდა მიდგეს და იმუშაოს: ჭიდან წყალი ათრიოს,  
გოჭს კარტოფილი გაურეცხოს, ქერი დანაყოს. ჰოდა, მაშინ ველარ განმარტოვ-  
დება თავის ფიქრებთან — სტეპანიდა უქმად არ გააჩერებს.

გაზეთის დაჭმუჭნილ ნაგლეჯში პეტროკმა თითის სიმსხოდ გაახვია წეკო,  
გულმოდგინედ შეკრა ტყავის ქისა; ცეცხლის მოსაცილებლად ქოხში უნდა შე-  
სულიყო, ღუმელში ნაკვერჩხალი მოეჩხრიკა. სადღაც ცოტაოდენი ასანთი შე-  
მორჩა, მაგრამ სტეპანიდას ჰქონდა გადამალული შავი ღლისათვის. სწორადაც  
იქცევოდა: აბა ახლა ასანთს სად იშოვიო კაცი? დაბაში ვაჭრობა ნაკლებადია, ორი  
დუქნის საქონელი ჯერ კიდევ ზაფხულში დაიტაცეს თავად აქაურებმა, სანამ  
გერმანელთა ხელისუფალნი გაჰაჭანდებოდნენ, მალაზიებში აღარაფერი დარჩა.  
ერთხელ თავადაც წავიდა საშოვარზე — სტეპანიდამ ძალით გააგდო — მაგ-  
რამ მაინცდამაინც არ აშენებულა ამით: გადმოყირავებული რკინის კასრიდან  
ერთი ბოცა ნავთი გადმოიხსხა, ფსკერზე რომ ქანგიანი თბლე მოიღო, რა თავში  
იხლიდა, მაგრამ აი დადგება შემოდგომა, ზამთარი და დასჭირდებათ. უფრო  
უარესი ის არის, რომ მარილი არ გააჩნიათ, უიმისოდ კი საქმელს რაღა გეშო  
აქვს. მაგრამ ახლა განა მარილის მეტი არაფერი აკლიათ?

იქნებ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ცხენი არა ჰყავთ.

პეტროკი მიტრიალდა, რომ ჭას მოშორებოდა, და უცებ მესრის გადაღმა  
ძროხა დაინახა. ბობოვკა გაქანებული მოაბიჯებდა უმოკლესი გზით, კარტო-  
ფილზე გადავლით, რატომღაც ტყის მხრიდან და არა ისე, როგორც იცოდა  
ხოლმე, გზის გაყოლებით, ჭიშკრისკენ; მას გამალებით მოსდევდა ბაძბულაგა-  
დელილი სტეპანიდა — ეტყობოდა, შეშინებული და შეშფოთებული იყო; თავ-  
შალი თავიდან ჩამოსძრობოდა და გვერდზე მოქცევოდა, ქარი შუბლზე გადმოყ-  
რილ ქალარა თმას უფრიალებდა. პეტროკი გაოცებით მიაშტერდა სტეპანიდას  
ოფლგადახვითქულ სახეს — ჯერ ადრე იყო, ბობოვკას საღამომდე არასოდეს არ  
დენიდა ხოლმე შინ. მაგრამ, ეტყობა, რაღაც მომხდარიყო. პეტროკი ჭიშკარ-  
თან მივიდა და მის გამოსაღებად შიგ გახიდილი ლატანი გამოაძრო.

— პეტროკ, გერმანელები მოვიდნენ!

— რაო?



— გერმანელები მოვიდნენ-მეთქი! იქ, შარაგზაზე ხიდს აგებენ...

— ხიდს?

ეს ახალი ამბავი იყო, პეტროკი ამას არ მოელოდა. იქნებ მხოლოდ ახლა-  
ლა მიხვდა, რა კარგი იყო აქ უხიდოდ და რა საფრთხე მოჰყვებოდა  
დაბიდან მას.

— ჰო, ცუდად არის საქმე.

— ამაზე ცუდი რაღა იქნება! გერმანელები მოხვადნენ და ჩვენი დაბე-  
ლებიც საზიდრებიდან მეორებს ტვირთავენ — რაიმე უნდა ვიღონოთ, თორემ  
შოვლენ და ყველაფერს დაეპატრონებიან, მერე რითილა ვიცხოვროთ?

— ჰო მაგრამ, რა ვქნათ? — ველარ მოისაზრა პეტროკმა.

— რაიმე მაინც გადავვქმალა, ძროხა ტყეში შევდენოთ, იქნებ დაგვება  
იქ... გოჭი კი.

იქნებ ძროხა კი წაეყვანათ ტყეში და ბაწრით დაებათ, მაგრამ გოქს ხომ არ  
დააბამდნენ. ჭამა უნდოდა, აგერ კიდევ ქათმები. დიდი სიმდიდრე არ იყო  
ათიოდე ქათამი, მაგრამ არც უამისობა იქნებოდა, რა უნდა ეღონათ, სად უნდა  
გადაემაღათ ყოველივე?

— გოჭზე ვშიშობ, — თქვა მოღლილად სტეპანიდამ და თავშალი შეიპო-  
რა. — წაგვართმევენ, მერე რა კარგი გოჭია!

— ღორზე მიუდით სულს: მატკა-შპეც, მატკა-იაიკაო! — გაიძახიან! —  
თქვა პეტროკმა, რაც ჯერ კიდევ წინა ომში ჰქონდა გერმანელებზე განაგონი.

— მე ვფიქრობ, უნდა გადავმალოთ სადმე, ერთი აქეთ მოდი, — სტეპა-  
ნიდამ ქმარს ეზოს სიღრმისაკენ მიუხმო.

გარს შემოუარეს ფარდულს, რომლის კუთხის იქით იყო შეშის საპობი,  
იქ. კედლის ძირში დაბალ ხორად ეყარა შეშა და მიწაზე მორი იდო; ლატანზე  
ვადამდნენ ბოსტანში, გადაიარეს ოროვანდები და ქანჭრის ბარდები და ფარ-  
დულის ჩამოფხატულ სახურავს ქვემოთ მიკუნჭულ უშნო ფიცრულ გადალო-  
ბილა წაადგნენ. ეს პატარა ფარდული დიდი ხანია ცარიელი იყო და არც არავის  
ესაჭიროებოდა, შიგ საოჯახო ხარახურას ყრიდნენ და იშვიათად თუ შიგით-  
ხავდნენ, უმეტესად კვერცხების წასაღებად. კართან, თივაში, ზოგჯერ ქათმები  
კვერცხებს დებდნენ ახლაც იდო ორი გაყვითლებული ძველი კვერცხი.

— აქ რომ შემოვიყვანოთ გოჭი? — თქვა სტეპანიდამ და ფარდულის და-  
ბალი კარი ფართოდ მოაღო. — ძალიან წყნარია, იჯდება თავისთვის. იქნებ  
ვერ იპოვნონ.

იპოვიან თუ არა — ვინ იცის, მაგრამ პეტროკი მთელი ცხოვრება ნაჩვე-  
ვი იყო ცოლის დაჯერებას, სულელი დედაკაცი როდია, და რაც მთავარია, მუ-  
დამ იცის ხოლმე, რა უნდა. და თუმცა გოჭზე ზრუნვა ახლა პეტროკისათვის  
მთავარი არ იყო, იგი მორჩილად შეუდგა ახალი თავშესაფრის მოწყობას. უწი-  
ნარეს ყოვლისა, ფარდულიდან გამოათრია მრავალი წლის განმავლობაში უწეს-  
რიგოდ მიყრილი ხარახურა: ხმელი ჯოხები, ძველი, ღორებისაგან შემოხრული  
ვარცლი, გატეხილი, წკირებდამძვრალი საზიდრის ბორბალი, ძველი, ალბათ პა-  
პისეული ჩაყანგებული სახნისი, ნახევარ საათში დამტვრეული ყუთისა და ჯოხე-  
ბისაგან როგორღაც გადატიხრა პატარა საღორე. ბოსლიდან თივა მოიტანა,  
უწესრიგოდ დაყარა, რომ ყურადღება ნაკლებად მიეპყრო, და შემოღობილში  
ჩატენა. ამასობაში სტეპანიდამ გოჭი, ამ ზაფხულს რომ კარგა წამოზრდილიყო,  
ეურობს უკან ფხანით წყნარად გამოიყვანა ბოსლიდან.

— აქეთ მოდი... ახლა აქეთ. აი, ყოჩაღ...



„ბაღოვით ეფერება“, — გაიფიქრა პეტროვმა და ჯიხურში შეუშვა გოჭი, რომელიც ჩუმად ჭყვიტინებდა. მან ნდობით დაუწოლა პარმალი, თივა, მერე კმაყოფილი მოკალათდა თავის სამყოფელში და რაიმე საფრთხე ეჭვადაც არ გაუვლია გულში. მართლაც ჩაუურატებელი, წყნარი გოჭი იყო და პეტროვებს ძალიან ენაწებოდათ მისი დაკარგვა. იქნებ გადარჩეს კიდევ, თუკი თავის თუნდაც მოკლე ღორულ ჭკუას მოუხმობს და უცხოებთან ჭყვიტინებს, მისი სტეპანიდან ფიქრობდა პეტროვი.

— მორჩა, — მშვიდად თქვა სტეპანიდამ. — ახლა დამალული იქნება, იცოცხლებს და იჭდეს იქ.

ცოლ-ქმარი ეზოში მობრუნდა. სადაც ძროხა ელოდებოდათ, პირუტყვს ნალვლიან თვალეში შეშფოთება ემჩნეოდა; იქვე, ძროხას ფეხებთან, ორი ქათამი დაბორილობდა.

— ქათმებს რაღა ვუყვით? — იკითხა პეტროვმა.

ისინიც უნდა გადაემაღათ სადმე, თვალისგან მოფარებით. მაგრამ სულელ ქათამს რა უნდა მოუხერხო კაცმა? წყნარად ყოფნა მას არ შეუძლია და, კვერცხს რომ დადებს, გაბარებული ისეთ კაკანს ატებს, თავს დაიღუპავს. მაგრამ ქათამი რა სადარდებელი იყო, მასზე მეტი ზრუნვა ძროხას ესაჭიროებოდა, რომ როგორმე პირველს მას არ დასტეხოდა უბედურება.

— იქნებ ბერესტოვკაში წაგვეყვანა ძროხა? მანკასთან? დაბისაგან მოშორებით მაინც იქნება, — ყოყმანით შესთავაზა პეტროვმა. მაგრამ სტეპანიდა მაშინვე უარზე დადგა:

— ო, არა, ბობოვკას უცხოვს ვერ მივანდობ.

— მაშ, რა ვუყვით?

— ვერძის ბევში გავუშვათ. ან ბაწრიანად იაროს, ან დაბორკილმა.

— მერე ღამით?

— ღამით იქნება არ მოვიდნენ. ისინი ხომ უფრო მეტად დღისით დაეხეტებიან.

არც ღამე იყო საიმედო, მაგრამ, ეტყობა, სხვას ვერაფერს მოიფიქრებდნენ და პეტროვიც დაუბრუნდა.

შემოდგომის დღე შეუმჩნევლად ილეოდა, თანდათან ბინდდებოდა, თუმცა ეზოში და მახლობელ მიწებში ჯერ კიდევ სინათლე იდგა. შეშფოთებული სტეპანიდა ბობოვკას მოწველას არ ჩქარობდა, ძროხა ერთბაშად იდგა, მერე ამოიხენწეშა და დიასახლისს აღარ დალოდებია, მესრის ქვემოთ ბალახის წიწკნას შეუღგა, იმის შესავესებად, რისი შეჭმაც მიწებში ვერ მოასწრო. პეტროვი დროდადრო შიშით გახედავდა ხოლმე ჭიშკრის გადაღმა შარაგზას, ელოდა, როდის გამოჩნდებოდნენ გერმანელები. სმენად ქცეულიყო, აქაოდა, ღამის სიჩუმეში უცხო და საეჭვო ხმა არ გამოემჟაროსო. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ბილიკიც და შარაგზაც გამოცარიელებული იყო. ქარილა წეწავდა დაუცხრომლად ცაცხვების გაყვითლებულ ფოთლებს, უხვად აყრიდა მათ ბოსტანს, ბილიკს, ეზოს. პეტროვმა სათლით წყალი ამოიღო ჭიდან და ბობოვკას წინ დაუდგა. მაგრამ ძროხამ მხოლოდ დრუნჩი ჩაყო შიგ. არ დალია, რატომღაც მესრიდან გასცქეროდა მიწებში, თითქოს რაღაცას ელოდა იქიდან. მისი ბოსტანში შედგენის დრო იყო, მაგრამ სტეპანიდა ქობიდან არ გამოდიოდა და პეტროვმა გასძახა:

— გეყურება? ძროხაა მოსაწველი.

სტეპანიდა ხმას არ იღებდა და პეტროვი ფიქრობდა, თუკი ქალი ძროხის



მოწვევას აგვიანებს. იანიშვილში მართლაც რაღაც შეცვლილია. მაგრამ ახლა ყველგან ყველაფერი იცვლება და ხეტოვებიც რომ შეცვალოს. რაღა გასაკვირი არისო, ფილოსოფიურად მწვალებდა თავს პეტროკი. ადამიანის პასუხს აღარ დაელოდა. ზღუბლის ბრტყელ ლოდს გადააღო და წინაშე შეიხედა. სტეპანი და ლურჯ ზანდუკზე დაბრუნდა და რაღაცას ვეფხვნიდა. რაღაც კოფთა პურის ცომის თასზე მიაგდო. მერე მეორეც მიაყოლა. შავი, წითელყვავილებიანი თავშალიც დაფერთხა. პეტროკი გაოცდა:

— რას ეძებ მანდ?

— აი ეს... ფენკასია, იქნებ სადმე სხვაგან შეეინახოთ-მეთქი.

— ფენკასია? ნეტა ერთი რაღაცას არ იგონებდე! ვინ რა თავში ინდის?

— ვინ? გერმანელები! — მკვახედ მიახალა ცოლმა. თან ზანდუკში იჭირებოდა. — აი ესეც! სად უნდა წავიღოთ?

სტეპანიდამ წვრილად დახვეული ქაღალდი გაშალა და დახედა თუ არა. მაშინვე იცნო თავისი ძველი სიამაყის საგანი — სელის წარმატებით დამუშავებისათვის მიღებული სიგელი. სქელ ქაღალდის ფურცლებზე ზემოთ ეხატა ბელორუსიის ფერადი გერბი, ქვემოთ კი ლურჯად აჩნდა ბეჭედი და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ჩერვიაკოვის გაკრული ხელმოწერა. ეს სიგელი ოდესღაც ფანჯრებს შორის კედელზე ეკიდა. მერე ჩამოხსნეს და უნდოდან დაეწვათ, მაგრამ სტეპანიდამ არ დაანება და ზანდუკში შეინახა.

— ადექი და ლუმელში შეაგდე. — შეშფოთდა პეტროკი. — სათამაშო კი არ გეგონოს.

— არა, დაე იდოს. განა ქურდობისთვის, მუყაითობისთვის მომცეს.

სტეპანიდამ სიგელი ისევ მილივით დაახვია და ტანსაცმელში შეჩურთა. უკეთესი სამოსი, უმთავრესად ფენკასი, გადაარჩინა და ქრელი თავშალში დიდ ფუთად გამოკრა.

— უნდა დავშალოთ. იქნებ კარტოფილის ორმოში ჩავდეთ?

— დალპება. გეუბნები, ტყუილად აკეთებ მაგას. გერმანელები უფრო საქმელს ეტანებიან. ჩვრებს ხელს არ ახლებენ. ვიცო, რომ ასე იქნება.

— ბევრი იცი შენ! — დაეჭვდა სტეპანიდა, — ნეტა მაგ შენი ცოდნით შიმკელ-ტიტველს არ დაგვტოვებდე და...

— არა უშავს, რაიმე გვეშველება, — უთხრა პეტროკმა. — ჩვენ მათ წინაშე არავითარი ბრალი არა გვაქვს. ხოლო თუ კარგად მოვექცევით, იქნებ არც მათ... შეგვჭამონ-მეთქი, იქნებ...

ამას რომ ამბობდა პეტროკი, თავსაც იმხნევებდა და ცოლსაც ამშვიდებდა. თუმცა თავადაც ცოლზე ნაკლებად არ ექვობდა: მართლაც ასე იქნება კიო? პხოლოდ ის იცოდა და გრძნობდა, რომ უნდა დალოდებოდა, როდის გადაივლიდა ეს ავი დრო. გულში ჩაემარხა დარდი. გატრუნებულიყო. მერე კი იქნება რაიმე სასიკეთოდ შეცვლილიყო. მუდამ ზომ არ გაგრძელდება ეს ომი. მაგრამ უბედურებისაგან რომ თავი დაიცვას, რაც შეიძლება ფრთხილად უნდა მოიქცეს და ჩუმად იყოს. როგორც ავ, კბენია ძაღლს ექცევიან, ისე უნდა აუარო გვერდი. შიში არ გაუმელავნო, აქაოდა, სულაც არ მეშინია შენიო და არც გასაბრაზებელი საბაბი რამ არ მისცე. ჰოდა, თუკი პეტროკი ფაშისტებს არ გააბრაზებს. ნუთუ ისინი უმჩვეულოდ მოსდებენ შარს? პეტროკი ზომ არც უფროსია, არც პარტიული, არც დაბელი ებრაელი? მადლობა ღმერთს, აქაურია, ქრისტიანია, ისეთივე კოლმეურნე, როგორიც ყველანი არიან მთელ ოლქში. ჰოდა,



წვილი რომ წითელარმული ჰყავს, განა ეს მისი ნებით მოხდა? ეს ხომ სამსახური. ასე მოდის მეფის დროიდან და უფრო ადრეიდანვე. ბევრნი წავიდნენ მისი სოფლიდან სამხედრო სამსახურში, თუმცა თავად პეტროს არ მოუწია — განა უღალატა. პეტროსის მთელმა ცხოვრებამ აქ, ხალხის თვალწინ ჩაიარა, რაღაზე უნდა მოსდონ შარი?

8

ერეკლე II  
გეგლიშვილი

საქონლის ამბავს ასე თუ ისე თავი რომ გაართვას, შებინდებისას ცოლქმარმა საჩქაროდ ივახშმა ღუმელში გაცოცებული წვნიანით და დასაძინებლად დაწვენენ. ქმარი კარადის უკან, საწოლზე, ცოლი კი ღუმელთან. ჯერჯერობით ყველგან სიჩუმე და სიწყნარე იყო და ამ სიჩუმემ და ჩვეულმა საღამო ხანის ფუსფუსმა, ცოტა არ იყოს, გაუქარწყლათ შიში, პეტროსმა საჩქაროდ ჩაიბუტბუტა „მამათ ჩვენო“, რაც ამ შემოდგომაზე კარგა ხანია აღარ გაუკეთებია და ოხვრით გადაიწერა პირველი, იმედოვნებდა, იქნებ იოლად ჩაიაროს ყოველივე. თუკი აქამდე მოვიდნენ, გზასაც განაგრძობენ, აქ რად დაყოვნდნენ. ამ შარავზე? იქნებ ხიდს იმიტომ აკეთებენ, რომ წასვლა უნდათ, თორემ რაში ესაჭიროებათ გზას მოშორებული ხუტორი? ფრონტი, კაცმა არ იცის, საით გადაიწია. ამბობდნენ, გერმანელებმა მოსკოვი აიღესო, მაგრამ არ ეტყობოდა, რომ ომი დამთავრებულიყო, სადღაც ისევ გრძელდება ეს საშინელი ომი. იქნებ უკვე ციმბირში იბრძვიან? ან იქნებ ყველაფერი ეს მონაჩმახია, მოსკოვის ისინი დიახაც ვერ აიღებდნენ. მერე რა, რომ დიდ მანძილზე არიან შემოჭრილნი, ნაპოლეონიც ხომ შორს შემოიჭრა, მაგრამ ყელზე დაადგა კია. არც ისე ადვილია რუსეთის ამხელა ნაწილის ჩაყლაპვა, გინდაც იმოღენა ხახა გქონდეს, როგორც აი იმ ჰიტლერსა აქვს. ალბათ მასაც გაეჩხარება ყელში. პეტროს თავის თივის ლეიბზე აწრილდა, ამოიოხრა, მერე გაიგონა, რომ სტეპახილაც ასევე წრილდებდა, და ჩუმად ჰკითხა:

— არა გძინავს, დედაკაცო?

— მძინავს. რატომაც არა, — უხალისოდ გამოეხმაურა სტეპახილა და გაჩუმდა.

— მე კი ასე ვფიქრობ, იქნებ ტყუილად ვიხეთქავთ-მეთქი გულს? აბა რაში ვუნდივართ გერმანელებს? როგორც მოვიდნენ, ისევე წავლენ.

— ნეტა მართლა! დაბოიდან კი ფეხს არ იცვლიან და, ის მასწავლებელი და ის პოდობედიც აქამდე ბაწარზე კონწიალობენ.

— ოჰ, ამისთანა რამეებს ნუ ლაპარაკობ ამ ღამეში. ღმერთმა ნუ ქხას! — ზელი აიქნია პეტროსმა, უკვე ნანობდა, რომ ლაპარაკი გაუბა ცოლს.

მეტი აღარაფერი უთქვამთ და პეტროსაც თანდათან მოეკიდა შფოთით სავსე ძილი, რაც არც ასვენებს კაცს და არც ამშვიდებს. კარგა ხანს ესიზმრებოდა რაღაც მატლები — მთელი გორგალი წვრილი, თითქოს ხორცის მატლებისა, რომლებიც ცოცავდნენ, ფუთფუთებდნენ, მის ფეხებთან იხვეოდნენ. პეტროსი ზიზღმა აიტანა, ის კი არადა, რატომღაც შეეშინდა კიდეც და გამოედვიდა. მაშინვე მიხვდა, რომ ჯერ კიდევ ადრეა, მამლებს ჯერ არ უყივლიათ უბსელკიში, სიჩუმეში კედლის საათის ტიქტიკი მკაფიოდ ისმოდა, მაგრამ პეტროსს ადგომა ეზარებოდა, რომ დაეხედა, რა დრო იყო, და კელავ გაუნძრევლად იწვა. ცდილობდა დაეძინა ან განთიადს დალოდებოდა. სულ ერთ საფიქრალს ფიქრობდა. როგორ უნდა გაიტანო თავი კაცმა ქვეყანაში, სადაც ასე მოულოდნელად და უკვალოდ დაიშხვრა წინანდელი წყობა, რას უნდა



დაეცნო, რომ ამ მძიმე, შფოთიან ცხოვრებაში ფეხი მოიკიდო? ფიქრობდა თავის ვაჟზე, ფიოდორზე, რომელიც ალბათ უკვე აღარ არის ცოცხალი — რამდენი ხალხი დაიღუპა ამ საშინელ ომში. ფენიას დარდიც ჰქონდა — გაზაფხულის აქეთაა გოგოსი არაფერი ისმის, არდადეგებზე შინ ელოდნენ. მაგრამ იგი მინსკში დარჩა, იქნებ აღმოსავლეთისაკენ წავიდა და სადმე ~~ფრონტს~~ იჭიბა, რაც უნდა იყოს, საექიმოზე სწავლობდა და იქ ახლა სწოტეფანოვს ნები სჭირდებოდათ. ამას რა სჯობდა, ოღონდ კი გერმანელებს ატინსკაჩინსკა და ხელში, მაგრამ ვაითუ ქალაქში ან კიდეც შინ მომავალი გადააწყდა მათ? ზარავდა იმის ფიქრი, რომ ამისთანა დროში, ვინ იცის, რა შეემთხვეოდა გოგოს.

1853  
დღამდე პეტროკმა მაინც წაიძინა ცოტა ხნით და სტეპანიდას ნაბიჯების ხმა რომ მოესმა, მაშინ გაიღვიძა. იწყებოდა ახალი შფოთიანი დღე, ღამით დაორთქლილ ფანჯრებში ლეგა, ღრუბლიანი განთიადი ჩანდა, სტეპანიდას ბამბულა ჩაეცვა, მოვიდა და საწოლთან ფარდა გადასწია.


— ბურტს მორჩი, იცოდე, თორემ უკარტოფილოდ დავრჩებით, გოქსაც აქამე, აბა, მე გავდენი ახლა ძროხას...

სტეპანიდა ეზოში გავიდა და მალე მისი ნაბიჯების ხმა ფარდულთან გაისმა, მას ძროხის ფეხის ხმაც მოჰყვა ეზოდან. ეტყობა, სტეპანიდამ ბობოვკა ვერძის ხევისკენ გადენა, რალა თქმა უნდა, იქ, შარაგზიდან მოშორებით, უფრო მშვიდად იქნება.

პეტროკი უხალისოდ შეუდგა ადგომას: ლოგინიდან შიშველი ფეხები ჩანოპყო და ნიფხვისამარა იჭდა ერთხანს, ფიქრობდა, ახლა გავაბოლო თუ ჯერ შარვალის ჩაიცვაო. თამბაქოს გაბოლება ღამის აქეთაა უნდოდა. ქოხში გვარიანად ციოდა — სტეპანიდა ღუმელს არ ანთებდა — რაც შეიძლება ადრე იჩქაროდა ბობოვკას გაყვანას — ახლა პეტროკი შუადღემდე მარტოდმარტო გაუძღვებოდა ოჯახის საქმეებს. მარტოდმარტო საქმიანობა არც არის ცუდი. შეგიძლია არ იჩქარო, ის კარტოფილის ბურტი ბოსტნის ბოლოში არსად გაეჭყვევა: წვიმიანი დარია, არ ეტყობა. მალე სუსხიანი ამინდები დაიჭიროს. პეტროკმა შარვალის ჩაიცვა, ფეხები ჯღანებში წაყო და ტყაპუჭი მხარზე მოიგდო. უპირველეს ყოვლისა საკვამურიდან ორი ფოთოლი შინაური თამბაქო ამოიღო და მაგიდის კუთხეში მის წვრილად დაჭრას შეუდგა. ეს საქმე ყველაზე ძალიან უყვარდა — მთელი დღის მოსაწევი თამბაქოს დამზადება. დანის ბასრი წვერი იოლად ჭრიდა დამჭკნარ ყვითელ ფოთოლს; საამო სურნელი ცხვირში უღიტინებდა და ჩვეული სიამის მოლოდინით წინასწარ დამტკბარმა პეტროკმა მკვირცხლად გაიხედა ფანჯარაში.

არა, ხუტორიდან შარაგზისკენ მომავალი გზა ცარიელი იყო, არც ფიჭვნართან ჩანდა არავინ, აი ვისელკიდან მომავალ გზაზე კი, პეტროკს მოეჩვენა, ვიღაც მოდიოდა. დანით ხელში ფანჯრისკენ გაიწია, უფრო მალლა აიხედა. დაორთქლილ შინაში გამოჩნდა შორიდან მომავალი ორი კაცი, ჩქარი ნაბიჯებით რომ უახლოვდებოდნენ ხუტორის მოსახვევს.

პეტროკი ერთხანს იდგა ასე და აკვირდებოდა, ვინემ უცებ არ მიხვდა — ესენი ხომ ვისელკელი პოლიცაები იყვნენ, დიახ, გუფი და კოლონდენოკი ბრძანდებოდნენ. პოლიცაის ამ ახალ თანამდებობაზე პეტროკი მათ პირველად ხედავდა. მაგრამ ხალხისაგან გაეგონა, ერთავად ვისელკიში და დაბაში დასუნსულდნენ. ირგვლივ სოფლებსა და ხუტორებს აკითხავდნო, — გერმანელთა ხელისუფლებას ამკვიდრებდნო. ახლა აქეთკენ გამოუწევიათ მხარბეჭიან, ბრგე





გუესა და კოლონდენოკს. სახეზე რომ სულ ბიჭსა ჰგავს: მხრებზე ორთავეს  
შაშხანები მქვთ გადაგდებულს. ბოლო სახელოზე თერი სამკლაურები უკეთიათ.  
აგერ, მოსახვევს მოატანეს. პეტროკს პატარა იმედმა გაჰკრა გულში. იქნებ შა-  
რაგზისკენ მოუხვითონ და გზა იქით განაგრძონო. მაგრამ, რასაკვირველია, შეც-  
და. პოლიცაებმა მოსახვევთან გუბურას შემოუარეს და ვიწრო, ბალახმოვლებუ-  
ლი ბილიკით გამოემართნენ მისი ხუტორისაკენ.

ერქმეწულნი

პეტროკმა საჩქაროდ გაუყარა ხელები ტყაბუჭის სახელობისკენ. მისი  
კარი გააღო, ჯერაც არ იცოდა, რა უნდა ექნა, მაგრამ გული ავს უგრძობდა,  
მერე კარი გულმოდგინედ გაიხურა და ზღუბლთან რომ იყო, იმ ფანჯრიდან  
დაუწყო თვალთვალი პოლიცაებს. თუმცა რაც უფრო უახლოვდებოდნენ  
ისინი, უფრო და უფრო მშვიდდებოდა. ნეტა რისი უნდა ეშინოდეს, არავითარი  
დანაშაული მას არ ზაუდენია. გუეი პაპის მხრიდან შორეულ ნათესავადაც მო-  
ხედებოდა, ოდესღაც დაბის ბაზარზე ერთადაც დაუღევიათ. მაგრამ კოლექ-  
ტივიზაციის დროიდან პეტროკი მას აქ არ შეხვედრია და არც არავითარი  
სურვილი ჰქონდა შეხვედრისა.

მალე პოლიცაებმა ცაცხვებქვეშ ჭიშკარი გამოიარეს და ეზოში შემოვიდ-  
ნენ. გუეის მახვილმა მზერამ გადაურა შეშის საჭრელს, ბოსელს და წინკარის  
შესასვლელთან შეჩერდა. უკვე საჭირო იყო გამოხმაურებოდა, თუმცა არ სურ-  
და კია. პეტროკი წინკარში გამოვიდა და გაუბედავად გაიჩინდა შერბთან, რო-  
მელზედაც სათლიდოდა. პოდა, როცა უცხო ხელმა გარედან რაზა ააჩხაკუნა  
მაშინდა გამოაღო კარი.

— ოპო, — ვი, თუ რამე სად იმალება! — ვითომ წაიხუმრა ბოხბმიანმა  
გუემ, თავი დაღუნა და ზღუბლზე გადმოალაჯა. — ვხედავ, ეზოში არსად  
ჩანს. დილა მშვიდობისა!

— დილა მშვიდობისა, — ჩამწყდარი ხმით მიუგო პეტროკმა. — ეს ისე...

— ვის ელოდებოდით? სტუმრებს? მაშ, შეგვეგებე!

— დიახ, შემოდით, — ყასიდი გულთბილობით მოიპატრუა პეტროკმა და  
ფართოდ მოაღო ქოხის კარი. გაცვეთილი ტყავის ქურთუკის შრიალით, ხელში  
შაშხანამომარჯვებულმა გამოიარა ზღუბლი გუემა, მას შემოჰყვა აყლაყუდა  
კოლონდენოკი, ნაცრისფერ მაზარაზე ქამარი რომ შემოეჭირა მაგრად. პეტრო-  
კიც უკან მიჰყვა მათ, კარი გაიხურა და შუა ოთახში გამოსწია შერბი. მაგრამ  
სტუმრები არ დამსხდარან. კოლონდენოკი, თითქოს დარაჯად დააყენესო, შე-  
სასვლელში გაიჭიმა, გუეი კი მძიმე ჩექმების ბრახუნით აუჩქარებლივ მივიდა  
მაგიდასთან და მერე უკან გამობრუნდა, თან რიგ-რიგობით იყურებოდა ყველა  
ფანჯარაში.

— თითქოს აგარაკზე იყო! — ჩაიბუბუნა მან. — ტყეც აქვე გვაქვს და  
მდინარეც, დაბაც მეზობლადაა, ხომ?

— ახლოსაა, დიახ, — დაეთანხმა პეტროკი, თან ნაღვლანად ფიქრობდა,  
რა ეშმაკმა მოახეტათ ამ დილაადრიანო. რა უნდათ ნეტა? მეორედ აღარ შეუ-  
თავაზებია, დასხედითო, იფიქრა, მეტყვიან, რაც უნდათ, და წავლენო.

მაგრამ ისინი, ეტყობა, სულაც არ ფიქრობდნენ წასვლას.

ქოხის ბნელი კუთხეები და გაზეთაყრული კედლები რომ შეათვალიერა,  
გუემა მზერა მოავლო ხატებს, თითქოს ითვლიდა, და მკერდზე თავისი მოწითა-  
ლო, ვიწრო ქურთუკის რამდენიმე ღილი შეიხსნა.

— თბილა, ხომ იცო, შენთან.



— ისე რა... ლუმელი არ დაგვიჩინია.

— მაშ, თბილი ქოხი გქონია. ეს კარგია. უნდა გავიხადო, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს?

პეტროკს, რასაკვირველია, არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, გუჟმა ხვდებოდა, რომ ნასხვისარი ჭურთხევი და შუაქედელზე რომ პეტროკის ვიოლინო უკიდა, იმის გვერდით, ლურსმანზე ჩამოჰკიდა. მერე ყვითელი სამხედრობა-თიანი ქამარი გამოხუნებულ, გამოყვითლებულ წითელარმიელის გემასტურობაზე შემოიჭრა.

— ისევე უკრავ? — თავი გააქნია ვიოლინოსკენ.

— სადა მაქვს მაგისი თავი! რა მემუხიკება, — ამოიოხრა პეტროკმა. მართლაც, როდის უნდა დაეკრა — ეს ერთი ხანია მის სულში სულ სხვა მუსიკა ედებოდა. მაგრამ რაიმეს ახსნა-განმარტება არ დაუწყია, გულსტკივილით გაიფიქრა მხოლოდ, რომ ვიოლინო სადმე უნდა გადავუმალო უცხო თვალსო.

— მახსოვს, ერთხელ. ქორწილზე რომ აწრიპინებდი ვისელკიში. შენ ვიოლინოს, იარმაში კი დაირას.

— ჰო, იყო ოდესღაც...

— აჰ, იყო! — თქვა გუჟმა და კუთხეში გაძვრა მაგიდასთან დასაჯდომად, თავისი გრძელი შაშხანაც გვერდით მოიღო, მერხზე. კოლონდენოკი გაუხდელად, ხელში შაშხანით დაჭდა ზღურბლზე. — აბა, გაგვიმასპინძლდი, ოჯახის პატრონო! — გუჟმა ჯაგარა წარბებიდან გამომშვირალი თვალები ცივად მიაპყრო პეტროკს. — ნახევარლიტრიანი დაგვიდგი. მაშ როგორ გინდა!

— ჰო, თუ მაქვს, კი! — თითქოს გაუხარდა კიდეც პეტროკს, — წახემსება, რა თქმა უნდა, შეიძლება, არაფერ კი არა მაქვს, ასე რომ...

— მაშ, ცუდად გიცხოვრია, ბოგატკა, არც საბჭოთა ხელისუფლების დროს იყავი მდიდარი...

— არ ვიყავი მდიდარი, არა...

— არც გერმანელთა ხელში გსურს გამდიდრდე! ჩვენ კი მასე როდი ვართ. აი, რაღაც-რაღაცები გაგვაჩნია.

გუჟმა მაგიდის ქვეშ ჩექმიანი მსხვილი ფეხი გაჭიმა და შავი გალიფეს ჯიბიდან თეთრი ბოთლი ამოაძვრინა.

— ნამდვილი მოსკოვეურია! — მიუკაკუნა ბოთლს და მოსაჩვენებელი სიანაყით დადგა მაგიდაზე.

მეტი გაჭიანურება აღარ იქნებოდა, პეტროკმა გუნებაში ყველასა და ყველაფერს შეუკუთხა და პურის მოსატანად წავიდა, მაგრამ მოაგონდა, რომ კვერცხები ფარდულიდან უნდა ამოეტანა და იქ ეგულებოდა კასრში ჩადებული ცოტათდენი კიტრიც. ლორიც იქვეა, თავლია კასრში. პეტროკი აწრიალდა, ცდილობდა სწრაფად მოეზიდა ყველაფერი, რომ ჩქარა მოეშორებინა თავიდან პოლიცაები, მაგიდაზე გოგორა პური დადო, მაგრამ დანა ვერ იპოვა, თუმცა ეს წუთია ხელში ეჭირა, ნეტა სად გაქრა? გუჟი აღარ დაელოდა მას, ჩექმის ყელიდან თავისი ფართო, წვერმოღუნული ხანჯალი იძრო და ხელად ჩამოაჭრა პურის გოგორას ორი სქელი ნაჭერი.

— შენი აქტივისტი დედაკაცი სადღაა? — თითქოს სხვათა შორის ჰკითხა პოლიციამ და პასუხის მოლოდინში თვალები მოჭუტა. — კოლმეურნეობაში ხომ არ მუშაობს?

— იცით, ძროხა გადენა და...

— აჰ, ძროხა გყოლიათ თურმე? თავს კი ისაწყლებდი.



— არა, მე არა მიშავს. სხვადავით მეც ვცხოვრობ, ხომ იცით...

— მერე კარტოფილს ვინ ამოიღებს?

— რომელ კარტოფილს?

— კოლმეურნეობებისა! აი, გოლგოთაზე რომ არის. საბჭოთა ხელისუფლებამ ჭირი მოგჭამა, მაგრამ კოლმეურნეობამ — არამც და არამც! პეტლერმა ბრძანა, დარჩესო კოლმეურნეობა. ასე რომ, კარტოფილია ამოსაღები. და ჩასაბარებელიც, რაღა თქმა უნდა. როგორც ომამდე ხდებოდა, ხანა-უხანა გაიცინა პოლიციამ.

ეს ამბავი პეტროკს უკვე გაგონილი ჰქონდა, თუმცა თავიდან მაინცდამაინც არ სჯეროდა, რომ გერმანელები კოლმეურნეობებს არ დაშლიდნენ. ეგონა. კოლმეურნეებს მკაცრად გაუსწორდებიანო, თურმე კი რა ყოფილა: კარტოფილი ანტერესებით ალბათ და იმიტომ. ასე უფრო ხელსაყრელია მათთვის.

— იცით, მე ჩემი სამყოფი უკვე ვიშრომე. დე, ჩემზე ახალგაზრდებმა იმუშაონ ახლა. — შეეცადა თავის დაძვრენას პეტროკი. — ჩემზე ჯანიანებმა.

— ვინ არის ნეტა უჯანო? შენა? ან აქნებ შენი დედაცა? ომამდე ხომ ასე მუყაითად შრომობდა, სამას მაგივრობას წევდა, ავადმყოფობას არ უჩიოდა. კრებაზედაც სიტყვით გამოვიდა, მაშ რა, მოწინავე მესელე იყო:

— სადაური მესელე! — წყნარად თქვა პეტროკმა. შეეცადა როგორმე აეცდინა პოლიციის მრავალმნიშვნელოვანი გადაკრული ნათქვამი და მაგიდაზე სუფთა ჭიქა დადო. — ბოლო დროს, ხომ იცი, ცოტას თესდნენ მაგ სელს!

— რასაც თესდნენ, იმას; შენი დედაცა მუყაითობდა. ხალხს ახსოვს ეს. ახლა კი ავადაა თურმე...

პეტროკი საკუჭნაოში კიტრისა და ლორის მოსატანად უნდა წასულიყო, მაგრამ ზღუბლზე ის თეთრუა კოლონდენოკი იჯდა. მუწუკებიანი სახე, მოკა-მოდა და განზე იცქირებოდა. პოლიციეები რომ ასე აშკარად ეშარებოდნენ მის დედაკაცს, ჭკუაში არ დაუჭდა პეტროკს და გაიფიქრა: იმიტომ ხომ არ მობრძანდნენ აქაო?

— უთხრეს და ისიც გამოვიდა კრებაზე. სად გაქცეულიყო აბა.

— უთხრესო, ამბობ? აბა ახლა რომ გერმანელთა ხელისუფლებამ უთხრას სხვა რამე? მაშინ რაღას იზამთ?

— ჩვენ რა უნდა ვქნათ? — მხრები აიჩეჩა პეტროკმა. — რასაც სხვა იზამს, ჩვენც იმას ვიქმთ.

გუყი მოხერხებულად მოეწყო მაგიდასთან, ფანჯარაში გაიხედა და აქაურობის ბატონ-პატრონივით ჩააელო ხელი მაგიდაზე დადებულ ბოთლს.

— პო, ლორი თუ მოგეძევება?

— ახლავე, ახლავე. — კარისკენ გატრიალდა პეტროკი და მაშინვე დაეჯახა კოლონდენოკს. რომელიც არც განძრეულა.

— გაატარე! — მშვიდი ხმით უთხრა გუყმა. კოლონდენოკი მხოლოდ მაშინ გაჩოჩდა და პეტროკი კარში გაატარა.

პეტროკმა ყურთამდე მოაღო წინკარი, სინათლე რომ შემოსულიყო, მერე ფარდულში კასრში დამარილებული ლორის ნაჭერი მოიძია. უკვე მიხვდა, მის ხუტორში პოლიციეები შემთხვევით არ მოსულან, რაიმე გარკვეული მიზანი აქვთ და მალე ყოველივე ნათელი გახდება. მაგრამ ნეტა სტეპანიდა კი არ შემოეჩივრებოდეს ახლა, როგორმე უნდა ვაცნობო, რა სტუმრებიც გვეწვივნენო, ფიქრობდა გულზე ცეცხლმოკიდებული პეტროკი, როცა საჩქაროდ მიჰქონდა ქოხში მისართმევი.

— აი, ეს მესმის! — თქვა გუყმა კმაყოფილებით. პოლიციამ უკვე გა-



დაპყრა არაყო, ჭიქა ცარიელ იყო, გუეს კი გაფუფუნებულ სახე ჯერაც ელრი-  
ჯებოდა; და მაშინვე შეუდგა ღოორის დაჭრას. — ასე, ახლა შენი რიგია, რაც უნდა  
იყოს, შენა ხარ სახლის პატრონი, ასეთებს გერძანებლები აფასებენ. საბჭოთა  
ხელისუფლება კი არ გეგონოს...



— არა, რაღა, მე მაინც დამაინც...  
— ეგეთები არ იყოს! — დაუფვირო გუემა პეტროკს, ბოთლი დაეჭირა და  
და ნახევარ ჭიქაზე მეტი დაუსხა. — დალოე! გამარჯვებისა იყოს.

— ჰო, რაკი გამარჯვებია არის, — ნალულიანად დაეთანხმა პეტროკი და  
ჭიქა გამოართვა.

— შენი ვაჟი სადღაა? მგონია წითელარმიაშია, არა? სტალინს იცავს?

— ჰო, არმიაშია, ჯარისკაცია, ასე რომ...

— ასე რომ, გამარჯვებისა იყოს! ბოლშევიკებზე გამარჯვებისა: — და-  
აზუსტა გუემა.

პეტროკმა გუნებაში ყველაფერ დაწეველა ამ ქვეყანაზე, უწინარეს ყოვე-  
ლისა კი თავისი დრუნჩა სტუმარი და თათქმის ზიზლით შესვა არაყო.

— აი, ეს მესმის! — მოუწონა პოლიცაიმ. — აბა, ახლა ეს შეატანე.

გუეს მაგიდაზე მასპინძელივით ეჭირა თავი, პეტროკი კი შეუმჩნევლად  
მასპინძლიდან სტუმრად იქცა. რა თქმა უნდა, დამფრთხალი იყო პოლიცაის  
მოულოდნელი მოსვლით, შეშფოთებული იყო გუეს გადაკრული ფი სიტყვე-  
ბით და შიშობდა, ვაითუ ცუდად დამთავრდეს ყველაფერი. თუმცა იქნებ კარ-  
გიც არის, რომ დაღევანზე უფრო არ იქცა, არაყმა თანდათანობით დაუცხრო  
შიში და დაბნეულობამაც გაუარა. უკვე შეიჭრა თანამეინათის როლში, რაკი  
მასპინძლის როლი ჩამოართვეს, გვერდულად მოუჭდა მაგიდას და პურის ქერ-  
ქს ღეჭდა, ამასობაში გუემა ფართო ყბებით დოღაბებივით დაფქვა პური,  
ლორიც შეატანა და ხელახლა გაივსო ჭიქა.

— კარგი საქმე კაცმა უნდა გაიმეორო, ასე არ არის?

— ალბათ ასეა; პირველი ჭიქა ცეცხლია, მეორე კი თაფლი, — ლაპარაკის  
საღერდელი აეშალა პეტროკს. — ეს კი... ამხანაგს, არა? — კოლონდენოკის  
მხარეს გაიქნია თავი.

— უამისოდაც არაფერი უჭირს, — ჩაიბუბუნა გუემა. — ეგ მსმელი კაცი  
არ არის, ხომ არა ხარ მსმელი, პოტაპ?

— არა, არა ვარ, — წვრილი ხმით მიუგო კოლონდენოკმა, მერე ყველას  
მიყუჩდნენ და ყური მიუგდეს, ეზოდან ფერს ხმა მოისმა, ბოსლოს მახლობლად  
ხმამალა აკრიახდა ქათამი.

— აბა გახედე, — თავით ანიშნა გუემა ხელქვეითს, თან ჭიქისთვის ხელი  
არ გაუშვია, კოლონდენოკი პარმადზე გახტა და მალე უკანვე მობრუნდა.

— დეიდა მოვიდა.

პეტროკს შეაერყოლა, შეშინდა, ნეტა რამ მოიგვანა, ჰოდა, როგორმე უნ-  
და გააფრთხილოს, რომ ქოხში არ შემოვიდეს, მაგრამ პეტროკი სმაში ჩაით-  
რის და რაღა დროსია.)

— მე, მე ვეტყვი, რომ საუზმე მოგვიტანოს, — წამოდგა პეტროკი, მაგრამ  
გუემა ხელი მაგრად ჩაავლო და ისევ თავის ადგილას დასვა.

— იჭექი! თავად მოიტანა, ბრმა ხომ არ არის.

მართლაც, წინკარის კარი მალე გაიღო და სტეპანიდა წამით ზღუბოლზე  
გაირინდა, ეტყობოდა, უცებ ვერ იცნო სტუმრები.



— შემოდი! შემოდი! — გუჟმა ღეჭვა-ღეჭვით მასპინძელივით მიიპატიჟა სტეპანიდა. — ნუ გერიდება, ხა-ხა! მოდი, რას მორცხვობ?

— გამარჯობათ, — წყნარად მიესალმა სტეპანიდა და ზღურობდა ჯაღმოაბი-  
ჭა. „აი, ახლა კი დააპატიმრებენ!“ — შიშით გაიფიქრა პეტროკმა და კლმაცე-  
რად გახედა გუჟს. მაგრამ იგი, ეტყობა, ყურადღებას არ აქცევდა დიასახლისს,  
ერთი ნაჭერი კიდეც ჩამოჭრა გოგორა პურს, ლორი დაადო და კოლონდენოვს  
გაუწოდა.

— ჭამე, პოტაბ.

კოლონდენოვს უმეტველო სახე არ შეცვლია, წამოდგა და გამოართვა.

— თქვენ აქ სვით, იქ კი ხიდზე გერმანელები დადიან, — თქვა სტეპანიდამ  
საყვედურნარევ კილოზე, უფრო იმიტომ, რომ ქოხში გამეფებული უხერხული  
სიჩუმე დაერღვია.

— მართალია, დადიან, — დაეთანხმა გუჟი. — ერთი-ორი ღლე ქიდეც და  
ხიდზე გასვლაც შეიძლება. საქმიანი ხალხია გერმანელები!

— რად უნდა იარონ აქ გერმანელებმა? რაო, გერმანიაში არ პყოფნით თა-  
ვიანთი გზები თუ რა? — ავად მოწყურა თვალები სტეპანიდამ. გუჟმა გამოძ-  
ცდელად შეხედა და ზღარბივით უკმაყოფილოდ ჩაიფრუტუნა.

— ვხედავ, ძალიან ჭკვიანი ვინმე ხარ! ტყუილა კი არ იყავი აქტივისტი.  
ჯერ კიდეც არ ავიღია ხელი?

— ნეტა რაზე უნდა ავიღო ხელი? ბოროტმოქმედი კი არა ვარ. დაე, ავკა-  
ცებმა თქვან უარი თავიანთ საქციელზე.

— გადაკრულებს ამბობ? ვის გადაუკარი სიტყვა? — ყურები ცქვიტა  
გუჟმა.

— ზოგიერთს. ღღეს რომ ასე გაჩვენებენ პირს და ხეალ — ისე.

„ენა ჩაიგდე, დედაკაცო! — ჩააგონებდა გუნებაში პეტროკი ცოლს. —  
პირში რას უვარდები? განა ვერ ხედავ, ვინც არის?“

ეტყობა, სტეპანიდას კიდეც უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ შეჩერდა და  
მხოლოდ ავი მზერა სტყორცნა ჯერ გუჟს, მერე კი პეტროკსა და კოლონდე-  
ხოვსაც. თუმცა ეს ერთი შეხედვაც საკმარისი აღმოჩნდა გუჟისათვის, მუქარით  
წამოდგა.

— შენ რას დაწანწალებ? რას უთვალთვალე გზებზე? გარეთ რა გინ-  
დოდა, როცა შინ სტუმრები გყავს?

— ძროხას ვაძოვებდი. მასპინძელი ხომ შინ არის.

— მერე რისი მაქნისია ეგ შენი მასპინძელი? ქათამსაც ვერ დაიჭერს! ჩვენ  
კი საუზმე გვინდა.

— კიდეც რა გნებავთ?

— კარგი საუზმე-მეთქი. როგორც გერმანელთა ხელისუფლების წარმო-  
მადგენლებს შეჰფერის.

— დიდი ხანია, რაც ხელისუფლების წარმომადგენლები გახდით? — გაც-  
ხარდა სტეპანიდა და პეტროკმა იგრძნო, რომ ახლა რაღაც უბედურება დატ-  
რიალდება.

— ხმა ჩაიკმინდე, დედაკაცო! — დაუყვირა მან მოჩვენებითი სიძკაც-  
რით. — ერბოკვერცხი შეგვიწვი. გაიგონე თუ არა, რა გიბრძანე?

გუჟი მაგიდის იქიდან მოწონებით ახვიხვინდა, სტეპანიდას კი ხმა არ გაუ-  
ღია. მოტრიალდა და წინკარში გავიდა. კარი მოღებულ იდარჩა და კოლონდენ-







პეტროკმა მაინც ვერ იპოვა სათქმელი პოლიცაისათვის: წინკარიდან სტე-  
პანიდა შემოვიდა და უბმოდ დადგა მაგიდაზე თასი. რომელშიც კომბოსტო  
იყო.

— ეტყობა, გერმანელები კარგად არ გაქმევენ? — გესლიანად ჰკითხა მან  
გუეს. გუეს ბრაზიანად დაუბრკვალდა თვალები.

— მერე შენ რა გინდა? თუ გერმანელები არ მოგდიან ~~მეტი~~ <sup>მეტი</sup>...

— ისე მემამებიან, როგორც საჯდომზე გაჩენილი ძირმაგამა... <sup>მეტი</sup>...

— სტეპანიდა! — დაუყვირა პეტროკმა. — ხმა ჩაიკმინდე!

— მე ხმას არ ვიღებ.

— ჩუმად იყავი! იცი... ეს კაცი ნათესაურად გელაპარაკება. კარგი უნდა  
შენთვის! შენ კი...

— პო-პო, — უთხრა ქალმა პეტროკს. — გადახუხე და ახლა მზადა ხარ  
უკანალი აულოკო, ხომ! ვხედავ, დიდი სულსწრაფი ვინმე ყოფილხარ.

მისი პოლო სიტყვები უკვე წინკარიდან მოისმა, ქალმა კარი გაიჯახუნა. ჩა-  
მოვარდნილ სიჩუმეში პეტროკმა დამნაშავესავეით ჩაახველა. გულის კანკალით  
ელოდა, რას იტყოდა ახლა გუეი, მაგრამ პოლოცაი პირქუშად იჯდა, საუზმეს  
ჭამდა და ხმას არ იღებდა. პეტროკმა ჩუმად ჩაილაპარაკა:

— დედაკაცია, ხომ იცი. რა უნდა უყო კაცმა?

— რა უნდა უყო? — ჩამოართვა სიტყვა გაჯავრებულმა პოლიცაიმ. —  
დაიჭირე პუტო,<sup>1</sup> სქელი, მაგარი პუტო და იმითი სცემე! თორემ, იცოდე, ქე-  
რელის მარყუევი არ ასცდება. მერე მომიგონებ.

მაგიდასთან მიმჯდარი პეტროკი ნაღვლიანად დუმდა. თავისი დაჭრილი ში-  
ნაური თამბაქო მაგიდის კუთხეში მისწია, გაშტერებული აქუჩებდა თითებით  
თამბაქოს ნაფხვენებს და თვალს აყოლებდა, როგორ თქვლეფდა მის ლორს  
გუეი, თან ემუჭრებოდა და ჭკუასაც ასწავლიდა, ასე და ასე უნდა მოეპყრო  
შენს დედაკაცსო. მასზე ორჯერ უმცროსია გუეი და დაბეთ ერთი, გერმანე-  
ლების ხელში როგორ დატყვიანებულა.

— ერთი მაღალჩინიანი კაცი ჩამოვიდა, — მშვიდად ამცნო გუემა, რომე-  
ლიც მორიგ ლუკმას ღეჭდა. — ზონდერფიურერი ჰქვია. ბრძანება გასცა, მიხ-  
დვრის მოსავალი მთლიანად აიღეთო.

— ვითომც ალებულია, ისე იფიქრე, — უთხრა პეტროკმა.

— ყველაფერი როდი აიღეს. რაც ალებულია, არსად გაგეჭყევა,  
გერმანელთა ბეღელში ჩავა. კარტოფილი დაგვრჩა, სწორედ ის არის ამოსათ-  
ხრელი და ჩასაბარებელი. გერმანელთა არმიას სჭირდება. გაიგე? ისევე, რო-  
გორც საბჭოთა ხელისუფლების დროს ხდებოდა.

„ჯანდაბას და დოზანას აიღებ მინდვრიდან გერმანული არმიისათვის, —  
გაიფიქრა პეტროკმა. — დაე, იქვე ჩალბეს“.

ბოთლში ცოტა არაყო დარჩენილიყო, გუემა ჭიქაში დაასხა და უბმოდ გა-  
დაუშვა პირში. მერე ჩაიჯიყჯიყა და ხელისგულით ლორით გაქონილი ტუჩები  
მოიწმინდა.

— აი, კიდევ რა. აქ ალბათ ვიღაც-ვიღაცები შემოივლიან ხოლმე, არა? აი,  
ტყეში გაქცეულები. ბანდიტები! — გუეი ისევ მიაჩერდა პეტროკს, რომელიც  
კვლავ დააბნია ამ მხერამ. — რაო, არავინ მოსულა თუ? კეთილი, დაგიჯერებ.  
მაგრამ გახსოვდეს, თუ ვინმემ შემოიარა, მაშინვე, პოლიცაის აცნობე. ან და-

1. პუტო — პირუტყვის დასაბორკი ბაწარი.



ბაძი ან ვისეღვიში. დაუყოვნებლივ აცნობე. გაიგე? თორემ ხელის დაფარები-  
სათუ... რომ იცო? დაბაში იყავი?

— პო. ვიყავი.

— ბრძანება ზომ წაყიფი? დახვრეტა და ქონებებს კონფისკაცია. ჯობინე-  
ლები როდი ხუმრობენ. ზომ გაიგე?

პეტროკმა ნაღვლიანად ამოიოხრა. რას იზამ კაცი? ყოველმხრივ კონფისკაცია.  
დღეში ხარ, მუქარა, დახვრეტა, კონფისკაცია, როგორ უნდა უცხოვრო ამქვეყ-  
ნად?

გუთი აღჩქარებლივ გამოძვრა მაგიდიდან და გამაძღრის სლოკინით მხრებ-  
ზე გააცვეთილი წითური ტყავის ქურთუკის ჩაცმას შეუდგა.

— ერბოკვერცხი გადაიდოს! — გამოაცხადა უცებ. — სხვა დროს იყოს.  
ასე რომ, მზად იყავ!

4

პეტროკი ნაღვლიანად აჯდა მერხზე. თავი ხელებზე დაეყრდნო და დაბ-  
ხეული დასჩერებოდა მაგიდას. დიდრონი შემოდგომის ბუხები ლორით გაქო-  
ნილ მაგიდაზე დასოცავდნენ. არც ქურქელი აულაგებია და არც პური გაუ-  
ტანია. არც სტეპანიდა გაკარებია აქაურობას — ზღუბბლიდან ტუქსავდა  
ქმარს.

— გამიმართა აქ მასპინძლობა! ეს ლორით, ეს კიტრით! და მიბრძანებს  
კიდეც: ერბოკვერცხი მოართვიო. თავად დადებ კვერცხებს? ერთხელ მაინც  
თუ გიჭმევია ქათმებისათვის? მე რომ არა, როგორ გაართმევდი იჯახს თავს?  
მეხი ცხენიც კი ვერ დაიბრუნე, მაშინ როცა ყველამ დაიბრუნა...

ცხენზე პეტროკს მართლა ხელი მოეცარა. მას კარგად ესმოდა ეს და სტე-  
პანიდაზე ნაკლებ როდი დარდობდა, მაგრამ აბა სად უნდა ეშოვა? ბევრ-  
იარა ვისეღვიში, სოფლელებსაც გამოჰკითხა, მაგრამ ვინ დაუთმობდა? ყველას  
თავის მეურნეობაში, უწინარეს ყოვლისა, ცხენი ესაჭიროებოდა. სამაგიეროდ  
დაბაში გაუღიმა ბედმა და ახლა მოაგონდა თავისი თავიდათავი მონაბოვარი.

— ნავთი ვიღამ იშოვა? განა მე არ ვიყავი ის?

— ეჰ, ნავთი სასაცილოა პირდაპირ — ნავთო! ხალხმა აგერ ტომრებით  
მოზიდა მარილი, ასანთი მოიმარაგეს, შექარიც. თორემ რაღაც ერთი ბოთლი  
ნავთის შოვნა — სასაცილოა და მეტი არაფერო...


— რაღაო ვითომ! ნავთი ზამთარში, ზომ გესმის, რაც არი! ცოტა ვინმეს  
თუ ექნება, ჩვენ კი გვაქვს!

— ნუ ლაპარაკობ ერთი ნავთიო... კარგი მოყვარე კი გამონახე! თანა-  
მეინახე, ჩემი მოყვარე რომ იყოს, ღუმლის გამოსაწმენდი ცოცხით გამოვენ-  
თებოდი. ის მოღალატე, ისა! ეს კი ამდგარა და არაყს სვამს მასთან ერთად,  
მასპინძლობს. აი, გერმანელები რომ მოვლენ, მათაც ასევე ვაუმასპინძლები?


წინკარის კარი ისევ მოღებული იყო, როგორც ზაფხულში, სტეპანიდა ხან  
წიხვარში გადიოდა, ხან ღუმელთან მიდიოდა და ხან საკუჭნაოსთან სათლში  
ტოლჩას აჩხარუნებდა. ახლა, ორნი რომ დარჩნენ, თავს ველარ იკავებდა და  
ყველაფერზე ერთად საყვედურობდა, რაც კი რამ სამუნათო ამ ერთ კვირაში  
დაგროვებოდა ქმარზე, ომზე და საერთოდ ცხოვრებაზე. პეტროკი უფრო მეტად  
ღუმდა — აბა რა უნდა ეთქვა ცოლისთვის, რაში შედევებოდა? მას ესმოდა,  
რომ სტეპანიდა ქალის პირობაზე მართალი იყო, მაგრამ არ უნდოდა დაეთმო  
თავისი სიმართლეც, რისი შეგრძნებაც ზოგჯერ ასე ტანჯავდა ხოლმე.



— თუ მოვლენ, გაუმასპინძლები, აბა რას ვიზამ — სად დაემალეები? — ჩუმაღ თქვა მან. იქნებ ცოლმა ვერ გაიგონოსო. მაგრამ სტეპანიდამ გაიგონა და მთლად დაკარგა თავთან.

— ჰოდა, შენ გაუმასპინძლდი! მხოლოდ უჩემოდ. მე  გავდენი ტყეში. რომ ჩემმა თვალებმა არ დაინახონ.

— რას იზამ! შენ წადი. უშენოდაც გავართმევ თავს.

— აბა, თავს გაართმევ, არა? შენ გგონია, ლოთობას  მოუქონავ, არა? იცოდე, შენსას დალევენ და მერე ბრაწს გიჩვენებენ.

პეტროკს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მხოლოდ ხელი ჩაიქნია — სტეპანიდამ კამათში ვინ აჯობებდა. განა დედაკაცს რაშეს შეასმენს კაცი? ის, რაც შენთვის დღესავით ნათელია, მისთვის ღამესავით ბნელია, აბა სცადე და დაარწმუნე, რომ დღეს მართლაც ბედმა უწყალობათ, რომ გუფი გამობრუევის შემდეგ მოლბა და მაინცდამაინც არ გამოედავა, რომ იგი იქნებ მართლაც იცავს მათ გერმანელებთან. აქი თავადა თქვა: ნათესავეები ვართო! ამიტომაც საჭიროა კარგად იყვნენ მასთან. როგორმე მოიმაღლიერონ. კიდევაც დაიმეგობრონ, რა თქმა უნდა, გუფი არამზადაა, ყაჩაღი, გერმანელთა ლაქია. მაგრამ იგი ხომ ხელსუფლებაა! გეგონება, მისთვის, პეტროკისათვის დიდი სიამოვნება იყოს მასთან არაყის სმა, თავის ქაცინი და მისი დარიგებების მოსმენაც — მაგრამ თუ სიცოცხლე გინდა, განა მაგისტანები უნდა მოითმინო, მგლებთან მგელივით უნდა იყმუვლო.

თუმცა ეს აზრები გამობრუეულ პეტროკს თავში არეულ-დარეულად უტრიალებდა. ისე კი მხოლოდ ჩუმაღ თუ შეუღრინავდა ცოლს, რადგან გამოცდილებით იცოდა, ცოლს სჯობს არ ეუბრალო, სულ ერთია, მაინც ვერ გაიტან შენსას.

ამასობაში სტეპანიდამ, ეტყობა, ამოთქვა თავისი სათქმელი და უცებ მიუყრდა. თავდაპირველად, ქოხში რომ შევიდა, შეშინდა კიდევ უცბოების დანახვაზე. მაგრამ მერე თანდათანობით გათამამდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გაბრაზდა. ყველაზე მეტად პეტროკის დაცაცხანება ეწყინა. მეტადრე ამ წყევ-წყავა ფინიების თანდასწრებით. დაე ეყვირა, რამდენიც უნდოდა, როცა მარტონი დარჩნენ, ახლა ხომ ხმას არ იღებს და თავის გასამართლებლად რაღაცას დუდლუნებს ცხვირში. მაშინ კი, როცა დაუცაცხანა, სტეპანიდამ იგრძნო აშკარა განზრახვა, ცოლის დამცირების ხარჯზე გუფის გული მოეგო. მაგრამ სტეპანი-პახიდა არავის მიაყვამდა უფლებას დაემცირებინათ იგი. ჰქონდა თავის დაცვის უნარი. ვისელებს დღემდე აბსოვთ. ოდესღაც კოლმეურნეობის კრებაზე რაიონის წარმომადგენლის თანდასწრებით როგორ ამხილა საწყობის გაბგე, ქურდი და ლოთი კოლომირიკი, რომელიც მალე მოხსნეს სარფიანი თანამდებობიდან და სამართალში მიცემაც დაუპირეს. ხოლო როცა სტეპანიდა შესულე-თა მერგოლური იყო და კონდობიშინის სიძემ სოფელში ხმა დააგდო, მაგისტ-რგოლის წევრები ღამით სელს იპარავენო, სტეპანიდამ იმაა მიაღწია, რომ შეემოწმებინათ, ჩბრეკაც კი მოაწყობინა — რამდენჯერმე გააჩერეს მისი დედაკა-ცები ბილიყზე, უბეც უნახეს და ტანსაცმელიც გაუსინჯეს, მაგრამ ამოდ, — ჰოდა, მათ ქურდობაზე ეჭვი გაქარწყლდა.

ხელგაშლით კეპავდა ქალი საკეპავი დანით ბალახს გობში. პარშალთან ზუქი იდგა, ღია კარიდან შემოდრიოდა სინათლე, ნაცეპი დაბეკნილ მიწის იატაკზე ცვიოდა, ფეხებზე ეყრებოდა სტეპანიდა და ქალი მწარედ ფიქრობდა. ამ წყეულ დროში დამლუპავს ჩემი პეტროკიო. რაც მთავარი იყო, მის ქმარს სრულებით არ გააჩნდა სიმტკიცე, მამაკაცური დამოუკიდებლობა, მზად იყო



ყველას ყველაფერში დათანხმებოდა, ყველასათვის კვერი დაეკრა, თუნდაც გათავხედებულისათვის, მაღალი ღმერთისაც რომ არ ეშინია, ისეთისათვის. იქნებ ჰგონია, რომ ხალხის მორჩილება ვინმეს გულს მოუგებს. პირიქით, თუ მაშინვე არ მოიგერიე, ეს თავხედი მყვირალეები ზურგზე შეგახტებიან და გასწევენ, საითაც სურთ. ბალობიდან იცნობდა ვისეულკელ გუეს, რომელიც კოლექტივიზაციის დროს განკულაგებას სადღაც დაემალა, ახლა კერძო ვაჭრობაში ჩნდა ხელში შაშხანით, რომ არაყი ხუხოს და წარსულისათვის აზღვევინოს ხალხს. მაგრამ სტეპანიდას არ დავიწყნია მასთან ბოლო შეხვედრა ოცდაათ წელში და არც არასოდეს აპატიებს. ჰქონდეს შაშხანა, მერე რა. ისევე, როგორც იმ კოლონდენოკს, რომელიც დიდი ხანია მთელ სოფელს ეზიზღება. ომის დაწყებისას პირველივე გაწვევაზე წავიდა ჯარში, მაგრამ ერთი თვის შემდეგ უკან დაბრუნდა, ხალხი ამბობდა, გერმანელებმა ტყვეობიდან გაათავისუფლესო. კოლონდენოკი დაბაში გამხდარი, გატილიანებული და მშვიერი ჩამოვიდა, ახლა კი აგერ პოლიციის საჰმელ-სასმელს ხეთქავს და სუქდება.

სტეპანიდას ეზიზღებოდა ისინი და ამიტომაც არ ეშინოდა მათი. გარდა მაგისა, სძულდა კიდევ. საერთოდ, რა საქმე ჰქონდა მათთან. იმ ცხოვრებაში, ომმა რომ მოახვია თავს ხალხს, სტეპანიდა ძველისძველი, ხალხთან განდომილი სიმართლით ცხოვრობდა და სანამ ამ სიმართლის შეგრძნების უნარი გააჩნდა, შეეძლო ყველასათვის გაესწორებინა თვალი.

ეზოში, მესერთან და ბოსტანში მისი ქათმები დაწრიალებდნენ, რაღაცას ენკავდნენ. ჭერჭერობით მხოლოდ ექვსი ბებერი დედალი დებდა კვერცხს, რაც დიდად ფასობდა სტეპანიდასათვის: კარგა ხანია ხუტორის მთელი ფულადი შემოსავალი კვერცხს შემოჰქონდა — საცოდავი კაპიკები, რაც მუდამ ასე საჭირო იყო ხოლმე ოჯახში. ათიოდე კვერცხს რომ შეაგროვებდა, სტეპანიდას ისინი დაბაში მიჰქონდა და რაიმე საჭირო საგანზე ცვლიდა ან ყიდდა. უქათმოდა თავს ვერ გაიტანდნენ. ახლა ფიქრობდა სწორედ, რომ რაღაც ნაკაფი მაინც დაეუყაროთო, მაგრამ მინდორში ეჩქარებოდა და ქათმებისათვის ვერ მოიცალა. საჩქაროდ მოამზადა და გაუტანა ნახევარი სათლი სალაფავი გოჭს, გადალობილი საღორის დაბალი კარი გააღო და გოჭმაც გაიგონა თუ არა პატრონის ფეხის ხმა, თივაში აწრიალდა. სტეპანიდამ სათლი კუთხეში დადო და ცოტა შეიცადა, თვალს ადევნებდა, რა მადიანად აწკლავუნებდა გოჭი პირს სათლში. წუთის შემდეგ ფეხებით შეძვრა შიგ და გადმოაყირავა, მაგრამ სტეპანიდას არ გაუხსწორებია სათლი, იცოდა, რომ გოჭი ისედაც ნამცეცს არ დატოვებდა შეუჭმელს.

ახლა მინდორში უნდა გაქცეულიყო — ვერძის ხევში ლერწზე მიბმული ბობოკა სძოვდა ბალახს და არ ივარგებდა, რომ ამ არეულ დროში დიდხანს მიეგდო უყურადღებოდ. წასვლის წინ სტეპანიდამ ქოხში შეირბინა და პურის ქერქი წამოიღო — თავისთვისაც და ძროხისთვისაც. ქოხში სიჩუმე და სიწყნარე იყო. პეტროკი კვლავინდებურად მოწყენილი იჯდა მაგიდასთან და არც მოუხედავს სტეპანიდასკენ.

— ქათმებს აჭამე, — ახლა წინანდელზე უფრო წყნარად უთხრა ქალმა. სტეპანიდა, როგორ ყოველთვის წყენის გამოთქმის შემდეგ ქმართან, დაბმუილდა და შეეცოდა კიდევ ეს ბედნავსი პეტროკი, ხშირად რომ აბრაზებდა მას, ზოგჯერ სიცილს ჰგვრიდა და მხოლოდ იშვიათად თუ გაახარებდა. მაგრამ საერთოდ კი ცუდი ადამიანი არ იყო, რაც მთავარია, უბოროტო კაცი გახლდათ, ცოტა სიმარდე აკლდა და ცხოვრებაც არ უმართლებდა მაინცდამაინც. თანაც ათიოდე წლით უფროსი იყო ცოლზე და კარგა ხანია ავადმყოფობდა.



თუმცა მთელი მისი ავადმყოფობა თამბაქოს უზომოდ წვევის ბრალი იყო. სტე-  
პანიამ იცოდა ეს და მოდამდღე ამას ჩასჩიჩინებდა ქმარს, მაგრამ ამაოდ.

სტეპანიდამ ბოსტახი გადაჭრა და ბილიცით გაიქცა ვეოდს ხევისკენ.

პეტროკი კი ერთხანს ისევ იჯდა, მერე მძიმედ ამოიოხრა და წამოდგა... დი-  
ლიდანვე არაყის სმას შეჰყვა, თამბაქო ვერ მოსწია და ახლა, ქრხში მარტო  
რომ დარჩა, აუჩქარებლად გაახვია თავისი თამბაქო. ცეცხლში მჭრუჭრედებინა,  
მთელი გუშინდელი ნაკვერჩხლები გადაქექა ღუმელში, როგორც იქნა, იპოვა  
ნაპერწყლიანი, გააჩაღა და ბოლოს და ბოლოს ნანატრი სიამით გააბოლა. ეს  
სიხარულითა დარჩენოდა, თამბაქო ებოლებინა, სხვა სიამოვნება ცხოვრებაში  
ალბათ აღარ ჰქონდა. კარგია, რომ გაზაფხულზე ბოსტანში დათესა ცოტაოდენი  
და მალაზიის იმედით არ დარჩა — ახლა სადღა იშოვი იქ თამბაქოს, თუმცა  
მის მოყვანილს წვეკი კი სჯობდა, მაგრამ არც ისე ცუდი იყო, პეტროკი შე-  
ეჩვია და უკეთესი აღარც უნდოდა.

გრძნობდა, რომ სასმელი ჯერ არ გამოწვებოდა, დღევანდელი ამბითაც  
შეშფოთებული იყო და დროდადრო ჩუმად, თითქმის უხმოდ იგინებოდა: ეშ-  
მაკმა წაიღოს ყველაფერიო! სად არიან გერმანელები, ღმერთმა იცის, მოალწე-  
ვენ თუ ვერა ხუტორამდე, აი მისიანებმა კი მოალწიეს! მერე ვინ? ნათესაებმა  
გუჟმა. მას ალბათ გოჭს ვერ გადაუმაღავ, იცის, გოჭი, ძროხა და ქათმები რომ  
ჰყავთ — ისევე, როგორც პეტროკის წარსული ცხოვრება იცის, ვერაფერს  
დაფარავ მისგან. ძალა ახლა გუჟის ხელშია, თუ მოისურვებს, დაბაში ჩაგი-  
ყვანს, პოლიციაში და პირველივე ბოძზე ჩამოგკიდებს, ასეა ახლა მათთან მიღე-  
ბული. მაშ რაღა დარჩენია — სთხოვოს, ხელი არ მახლო, შემიწყალო? საექვოა,  
ასეთმა კაცმა შეგიწყალოს, პეტროკი მთვრალი კი იყო, მაგრამ არ გამოპარვია,  
რა მტაცებელიცთ გაუბრწყინდა გუჟს თვალები, სტეპანიდა რომ ახსენა. ამი-  
ტომაც ცოტ-ცოტა რაღაცებით თავი უნდა მოუქონოს — კვერცხებით, ლორით,  
კიტრებით, კომბოსტოთი, რადგან მეტი არაფერი გააჩნია.

ოდესღაც, ჯერ კიდევ კოლმეურნეობამდე, პეტროკმა სცადა არაყის გა-  
მოხდა, თუმცა არაფერი გამოუვიდა, სელზე მაშინ დიდი სიმკაცრე შეიქნა.  
მთელი ბოჭკო სელის დამზადებაში ჩააბარეს, მაგრამ ეს არ იქმარეს, ოლქიდან  
რწმუნებულები ჩამოვიდნენ, დადიოდნენ ეზო-ეზო და ჭინჭებს ბერტყდნენ,  
სათივეებში თივა მიყარ-მოყარეს — სელს ეძებდნენ. მას სელი ვერ უპოვეს,  
მაგრამ არაყის გამოსახდელ ხელსაწყოებს კი წააწყდნენ ფარდულში — ქვაბსა  
და სპილენძის ამოღუნულ კლავნილას, რომელიც მაშინვე ჩამოართვეს. მერე  
პეტროკმა ჯარიმაც გადაიხადა და კრებაზედაც სირცხვილი ჰამა. ამიტომ დას-  
წყევლა არაყის გამოხდის აუგი საქმიანობა, მაგრამ ეს ამბავი დიდი  
ჩხის წინათ მოხდა. ახლა კი, როცა ცხოვრებაში ასე გადასხვაფერდა ყოველივე,  
არაყსაც სხვა ფასი დაედო — პეტროკი მთელი არსებით გრძნობდა, რომ არაყი  
ახლა ლამის ერთადერთ ღირებულებად იქცეს ცხოვრებისა, ურომლისოდაც  
ამ დროში თავს ვერ გაიტან. მსმელი ხარ თუ არა, მაინც უნდა გამოხადო.

პეტროკმა წინკარი გაიარა, ფარდულამდე მივიდა და ზღურბლთან ხველე-  
ბით მიეყრდნო შვერილს. როგორც ყოველთვის, ფარდულში ახლაც ბნელოდა,  
ჰაერი დაგუბებულიყო, ვერ გაარჩევდი, რისი სუნის იდგა. უმეტესად მაინც  
ძველი ტანსაცმლის, მტვრის, თავგების სუნით ყარდა იქაურობა. მორში გამოჭ-  
რილ პატარა სარკმელში ძლივს ატანდა ღრუბლიანი დღის სუსტი შუქი. პეტ-  
როკმა შეათვალიერა ყრუ, უფანჯრო კედლის ძირში ჩამწყვრივებული ხაროები,  
თივის მოწნული ბოკერები, რომლებშიაც ოდესღაც, მოსავლიან წლებში მარ-



ცვლელს ყრიდნენ, თუკი ხარბებში არ დაეტეოდით. კუთხეში ზღურბლთან იღო ძველი დოლაბები, თხელი, გაცვეთილი ქვებითურთ, სქელ მტვერად რომ ედოთ ფქვილი. აქვე მტვერი ჭამდა ძველ სართავ ჯარასაც, ვერხვის ფერდები თეთრად უელავდა ახალ, თავსახურიან, ზანდუკისმაგვარ კასრს, რომელსაც გვერდები უკვე ჩაუანგებოდა. უმეტესად ცარიელი კასრები ელაფქრებოდნენ წელიწადი იყო, თავის საქმეს ელოდნენ კედელთან კოხტად ჩამოწმულ გვერდებგამობერილი სტეპანიდას საქსოვი დგარები, ძაფებით და საქსელავებით. თაროზე მქრქალად ელავდა არამწყობრად დალაგებული ცარიელი დამტვერილი ბოთლები. კიდეში თავს იწონებდა შემოწნული ბოცა, რომელშიც ნავთი ესხა. გვერდით ფანჯარასთან ეკიდა შარშანდელი ხაზვის გალები, მჭვარტლისაგან გაშავებულ ჭერზე რამდენიმე არყის ცოცხი და სამკურნალო ბალახების კონები, რომლებიც სტეპანიდამ ზაფხულში მოიმარაგა. ეს პატარა ფარდული, შავი, საუკუნის განმავლობაში გამჭვარტული კედლები რომ ჰქონდა და კუთხეებიც ობობისგან ამოქსელილი, მჭიდროდ იყო გამოტენილი ნაირნაირი საოჯახო ნივთით, მაგრამ მისთვის საჭირო ქვაბი სად ჰქონდა — ვერ გაიხსენა პეტროკმა. მოიარა მთელი ფარდული, მის ყველა ბნელ კუთხეში შეიხედა, გადაქექა ხარახურა ბუხრის უკანაც და ბოლოს, როგორც იქნა, იქიდან ამოათრია შავი, ქანგისაგან შეჭმული ჭურჭელი, რომელიც ათი წელი იქნებოდა არ ეხმარათ.

წინკარში, კართან, სადაც უფრო სინათლე იყო, გულმოდგინედ დაათვალიერა და ნახა, რომ კარგი და, რაც მთავარია, გაუხვრეტელი ქვაბი იყო და თუ ქანგს მოაცლიდი და სილით გახეზავდი, სავსებით გამოდგებოდა. კიდეც ჭირდებოდა ბადია ან კასრი, თუმცა ბადიად ისიც ვარგოდა, რომელშიაც სტეპანიდა კარტოფილს რეცხდა, ხოლო კარტოფილს თუჯიაში გარეცხდნენ.

ერთი იყო ცუდი მხოლოდ — კლაკნილა არ გააჩნდა.

პეტროკი დაბალ მერხზე დაჯდა წყლიანი სათლების გვერდით და ხველებ-ხველებით იმას ფიქრობდა, სად ვიშოვო კლაკნილაო. წინათ ასეთი რამ თუ დასჭირდებოდა, დაბაში მჭედელ ლეიბას მიაკითხავდა ხოლმე, აი იმას, ცხენებს რომ ჭედდა, ნაჯახებს ლესდა და ნამგლებს უპირავდა დედაკაცებს, შეეძლო აგრეთვე თასების მოკალვა, საკეტების შეკეთება. ლეიბა ხელოსანი კაცი იყო, პეტროკის ძველი მეგობარი და ახლა გამოადგებოდა სწორედ. ყოველ შემთხვევაში, პეტროკი მას პატივისცემით ეკიდებოდა და მუდამ ლეიბოჩკას ეძახდა, ხოლო თავის მხრივ ლეიბაც პეტროჩკეს ეძახდა — ყველაფრის გარდა, ისინი ტოლებიც იყვნენ და თითქმის ბალღობიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს. მრავალი წელი ყოველგვარ სამჭედლო საქმეს პეტროკს ლეიბა უკეთებდა და არც პეტროკი ძუნწობდა გასამრჯელოს გადახდაში. ფული იქნებოდა, კვერცხი ღორი თუ ზოგჯერ ხორბალიც — ყველაფერი, რაც იმ დროს გააჩნდა ხოლმე ოჯახში. თუ არაფერი ჰქონდა, ლეიბასგან სესხად დაიდებდა ხოლმე ერთი თვით, ნახევარი წლით, სანამ ხორბალს მოიწევდა ან კიდეც საქონლის კვლის დრო დადგებოდა. თავის დღეში უსიამოვნება არ მოსვლიათ, მით უმეტეს, ერთმანეთის წყენა არასოდეს ჩაუდევთ გულში. ლეიბა ნამდვილად გაულუნავდა ამ უკუღმართ კლაკნილას, მაგრამ სამჭედლო რა ხანია კოლმეურნეობას მიეკუთვნა, ხოლო თავად მჭედელი ნათესავებთან გადასახლდა ლეპელში. ახლა კაცმა არ იცოდა, მუშაობდა თუ არა ვინმე სამჭედლოში, რომელიც ზაფხულში დაკეტილი იყო.

ვისელკიში შარავზის გადაღმა კიდეც ერთი კაცი იყო, კორნილა, იმასაც ძალიან ეხერხებოდა ხელოსნობა, ალბათ ისიც რაღაცას იღონებდა ან თავისი



მარაგიდან გამოძებნიდა რაიმეს. მაგრამ რა ხანია პეტროკი მასთან არათუ მეგობრობდა, ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ და არც კი ესალმებოდნენ ერთ-  
 თუთს. ეს კი სტეპანიდას ბრალი იყო, რომელსაც ქალიშვილობაში სანამ პეტ-  
 როკს ცოლად გაჰყვებოდა. რალაც ამბები ჰქონდა მასთან, თუმცა სწორად მოი-  
 ქცა, რომ პეტროკს გაჰყვა, რომელიც თვის დროზე გვარიანი ქაბუკი გახლდათ.  
 თანაც ვიოლინოზე უკრავდა, იმ მუდო კორნილას კი არ უკრავდა — მართლაც  
 მძიმე ხასიათის კაცი იყო კორნილა. მის გულს ვერ მოიგებდი, და თუ ვინმეს  
 თვალისაგან ამოიღებდა, მთელი სიცოცხლე აღმაცერად უცქერდა ხოლმე. თა-  
 ნაც ძუნწი და ხარბიც იყო, თუმცა შეძლებულად ცხოვრობდა. კოლმეურნეო-  
 ბაში არ შევიდა — საბანძრო საზოგადოებაში მუშაობდა. ხელმარჯვე იყო —  
 იატაკსაც დააგებდა, ფანჯრის მინასაც ჩასვამდა და ღუმელსაც გაგიმართავდა  
 ქოხში, — მაგრამ სჯობდა პეტროკი კორნილას არ გაკარებოდა და თუ შემთ-  
 ხვევა მიეცემოდა, ვინმე ვისელკელისათვის ეკითხა.

გემოზე რომ იჯერა გული თამბაქოთი, პეტროკმა ყელის ჩასაწმენდად ჩა-  
 ახველა. სწორედ რომ დრო იყო, საქმისათვის მოეკიდა ხელი. აჰა, უწინარეს  
 ყოველისა, ქათმებს უნდა დაუყაროს საკენკი, ფარდულში ძველი ხის საწყაო  
 მოძებნა, ქერის ბზე ჭურჭელში ჩაყარა და გაიტანა. ქათმები, ეტყობა, უკვე და-  
 დარაჯებულები იყვნენ, როგორც კი საწყაოთი ხელში თვალი მოჰკრეს, კისრის-  
 ტეხით გადმოცვივდნენ ზოგი ლობიდან, ზოგი კიდეც — ჩარდახიდან და პეტ-  
 როკმაც ფართოდ მოაბნია საკენკი ეზოში, რომ ყველას ყოფნოდა. სანამ ისინი  
 გულმოდგინედ იკენებოდნენ ეზოში და ბალახში იქექებოდნენ, პეტროკი ფიქ-  
 რობდა ბედის საოცარ ტრიალზე, ასე სასტიკად რომ უსწორდება ადამიანს.  
 განა ოდესმე იახიმოვშიჩნას პატრონი იმას იკადრებდა, რომ დილდილობით  
 ქათმები დაეპურებინა! ან განა მას სხვა უფრო დიდი საქმე დაეღეოდა ოჯახში?  
 მარტო პირუტყვი ჰყავდა ათ თავზე მეტი: ცხენი, ახალგაზრდა ფაშატი, ორი  
 ძროხა მაინც, თუ ხბორებიანად არა, ექვსი თუ რვა ცხვარი. ჰო, რა თქმა უნდა,  
 ღორებიც, არა ნაკლები ორისა — კარგა ნაპატიები ტახი და უფრო პატარა,  
 საგაისო ბურვაკი. მუშახელიც, რასაკვირველია, მეტი იყო. მაგრამ აი, თითქმის  
 აღარაფერი აღარ არის, ერთი ძროხა, პატარა ტახი და ეს ცხრა ქათამილა დარჩა.  
 ცხენისა და მასთან დაკავშირებული საზრუნავიდან ოდესღაც კოლმეურნეობამ  
 გაათავისუფლა, ცხვრები თანდათანობით გაწყდნენ, ვის ჰქონდა მათი მოვლის  
 თავი? შვილები წამოიჩიბნენ თუ არა, აღრიანად გაიფანტნენ მშობლიური ბუ-  
 დიდან, მათ უკან ვეღარ დააბრუნებ.

ახლა კი ეს ომი, ეტყობა, საბოლოოდ მოუღებს ბოლოს.

პეტროკი ფეხებით გასიპულ ქვებზე იდგა ზღუბლთან, ახველებდა. ჯერაც  
 ვერ გადაეწყვიტა, მისდგომოდა თუ არა კარტოფილის ბურტს. ახლა კარტოფი-  
 ლის კარგი მოსავალი იყო, ბოსტანში უკვე მთლად ამოიღეს და სარდაფი გა-  
 ავსეს. მაგრამ სარდაფში გაზაფხულობით ზოგჯერ წყალი დგებოდა ხოლმე, ამი-  
 ტომაც ბოსტნის ბოლოს ბორცვზე დარჩენილი კარტოფილი ბურტში  
 უნდა მოეთავსებინათ — ყოველთვის ასე აკეთებდნენ აქ კარტოფილის მოსავ-  
 ლიანობის წელიწადში. კარტოფილს უნდა გაფრთხილებოდნენ, იგი ათა-ბაბა-  
 დან მინდვრის მთავარი მოსავალი იყო — პური ზოგჯერ ღალატობდათ და გა-  
 ზაფხულობით ხშირად შემოაკლდებოდათ ხოლმე, ხოლო კარტოფილი, მადლო-  
 ბა ღმერთს, ახალწლამდე საკმაო ჰქონდათ — თუ დროზე აიღებდნენ და ყიბ-  
 ვისა და წყლისგან დაიცავდნენ, მათთვისაც კმაროდა და პირუტყვისთვისაც,  
 ერთხელ და ორჯერ კი არ უხსნია კარტოფილს ხალხი შიმშილისაგან...



რამდენიმე დღე შემოდგომის ზეცა დამძიმებული იყო საწვიმარი ღრუბ-  
ლებით. პეტროსი ცივი ქარი, რომელიც ხან ერთი მხრიდან მოვარდებოდა, ხან —  
მეორიდან, მერე კი მიუტუნდა, ღამით დათბა, დილაადრიანვე კი წვიმამ დაიწყო.  
სტეპანიდას განთიადისას გაელვოდა, მოესმა წვიმის ერთფეროვანი ყრუ  
შხაპური კედელს გადაღმა და გაიფიქრა, დღეს ძროხას ადრიანად უნდა გადმო-  
წიოს. პეტროსი კუთხეში საწოლზე იწვა და არც კი ახველებდებოდა. სტეპანიდა  
სტეპანიდა აღგა და წინკარში გავიდა. პარმალთან, კარს იქით ისმოდა სახუ-  
რავიდან წვიმის ჩუმი რაკრაკი. წინკარში კი, ხვრელს ქვემოთ უკვე მუქი გუბე  
დამდგარიყო. მერამდენეჯერ გათათბა სტეპანიდამ გამწარებით თავისი უთაური  
ქმარი და ბაღია სახურავის იმ ადგილას მისწია, საიდანაც თანაბრად წვეთავდა  
ქვემოთ, სტეპანიდა დაჩვეული იყო ადრე ადგომას და მიხვდა, ველარ დაიძი-  
ნებდა, მით უმეტეს, რომ ფარდის იქით უკვე პეტროსი აწრიალდა. ხველა მოის-  
მა, იგი თავის ქისას ეძებდა — გაუბოლებლად დღეს ვერ დაიწყებდა, ნამძინა-  
რევეს სტეპანიდამ დაამთქნარა, ფანჯრის ქვემოთ ნეკერჩხლის დერგი აიღო,  
ამ გაზაფხულზე რომ იყიდა, და ბოსელში ძროხის მოსაწველად წავიდა.

ამასობაში თითქმის გათენდა. წვიმა მაგრად ასხამდა ჩამომხობილ ნისლიან  
ციდან, მაგრამ შემოდგომისებურად წვრილად ცრიდა, უქაროდ და ჯერ კიდევ  
არ აეტალახებინა ეზო. მხოლოდ ბოსელთან და დაბლობ ადგილას ბრწყინავდა  
ნეხვის გუბე, რომელიც ზაფხულს აქეთ არა და არ შრებოდა.

ცაცხვის სველ, ჩამომჟკნარ, გამეჩხერებულ ფოთლებში აჩხავლდა ყვავი.  
ნეტა რაიმე უბედურება არ მოხდესო, გაიფიქრა სტეპანიდამ. ყვანჩალა მეოთხე  
თუ მეხუთე დილა იყო მოფრინდებოდა აქ, შემოჯდებოდა ცაცხვის კენწეროზე,  
შავ, ფართო ნისკარტს გადმოკიდებდა და ჩხაოდა გამყინავად, თითქოს ვი-  
ლაცას უხმობდა ტყიდან. ერთი-ორჯერ სტეპანიდამ შეშის ღერი ესროლა, მაგ-  
რამ ყვავი სულაც არ დამფრთხალა. ახლა, ყელი რომ ჩაიხლიჩა ჩხავილით, თა-  
ვადვე ჩაიწყვიტა ხმა, ერთხანს კიდევ იჯდა ჩუმიად, მერე აიქნია ფრთები და  
ლარტაფისაკენ გაფრინდა. ცაცხვზე ნელა ირწეოდა მისი დარბეული ტოტი,  
ფერნაქცევი ფოთოლი რომ ეკიდა ბოლოში.

სტეპანიდამ აუჩქარებლივ, გულდაგულ მოწველა ბობოვკა და კმაყოფილმა  
შეატყო, რომ გუშინ ძროხას კარგად უძოვნია ვერძის ხევში — დერგი პირთამ-  
დე სავსე იყო. სასაყვედუროს ვერაფერს იტყოდა. მტრის გულის გასახეთქად  
ძროხა მართლაც რომ კარგი გამოადგა. ჯერ ახალგაზრდაა. საკვების დაწუნება  
არ იცის და თანაც კარგად იწველის. სტეპანიდა თვალისჩინივით უფრთხილდე-  
ბოდა მას. ამ დროში ასეთი ძროხა ბედნიერება იყო.

სტეპანიდა ბოსლიდან გამოვიდა, იფიქრა, ერთ ილლია ბაღას კიდევ და-  
ვუყრიო ძროხას. ცოტა კიდევ ინებიეროს ბოსელშიო, თავად კი, სანამ წვიმა  
გადაიღებდეს, წვნიანს ან კარტოფილს მოვხარშავო — რამდენიმე დღეა ლუმე-  
ლი არ დაუნთია და არც ცხელი კერძი გაუკეთებია. თუმცა ეზოს გავლაც ვერ  
მოასწრო, რომ წვიმის ჩხრიალში ყრუდ მოესმა მძლავრი გუგუნე, ქალი ჯერ  
ვერ მიხვდა, რა იყო ეს, ჭიშკარში გაიხედა და გახევდა — წვიმის ბურუსში შა-  
რაგზიდან ხუტორისაკენ ღრანტეებზე მძიმედ მოლაყლაყებდა ვეება რუხი რა-  
ღაც, რამაც სტეპანიდას ძლივს მოაგონა მანქანა. მის უკან მოგორავდა უფრო  
პატარა, სამოვარივით მაღალმილიანი რაღაც, და ქარსაც კვამლის სუნი აქეთ-  
კენ მოჰქონდა. მანქანის სველ, აპრიანებულ ფერდებზე თეთრად ეწერა რაღაც  
ნომრები და ასოები, ხოლო ვეება ბორბლები ვიწრო ნაურმალებში ვერ ეტეო-



და და ნაპირის იქით ბალახს თელავდა. ნელ-ნელა, მაგრამ რაღაცნაირი გარდუვალობით უახლოვდებოდა მანქანა ეზოს, სანამ მძიმე, მზურვალე ქშენით არ შეჩერდა ქიშკართან და ეზოშიც ბენზინის სუნის არ დატრიალდა. კაბინის მალა-ლი საფეხურიდან ჩამოხტა ვიღაც ჩია, შლაპიანი კაცი, გრძელქოლთებიანი სველი პალტო რომ ეცვა, და სტეპანიდამაც მაშინვე იცნო დაბის მასწავლებელი სვენტკოვსკი.

— დილა მშვიდობისა, პანი ბოგატკა, — უჩვეულო თავაზიანობით მიესალმა იგი ქალს, გამხდარ, ცხვირწაწვეტებულ სახეზე იდუმალი, დათაფლული ღიმილი ასახვოდა. — გუჟმა ითავა გერმანელთა მეთაურების დაბინავება, პოდა, ყველაფერი წესრიგში უნდა იყოს.

გაშეშებული სტეპანიდა ხმას არ იღებდა, გაოგნებული შესცქეროდა მანქანას, რომლის ბრეზენტის სახურავმა ცაცხვის დაბლა ჩამოწოლილი ტოტები განზე გასწია. ამ დროს კაბინის კარმა ლითონივით გაიქლარუნა და ეზოში ერთსა და იმავე დროს გადმოხტა ორი კაცი. სტეპანიდამ ვერც მათი ტანსაცმელის დათვალიერება მოასწრო, ვერც სახისა, თუმცა ის კი შეატყო, რომ რაღაც დაძაბულად აცეცებდნენ თვალებს. მაშინ კი მიხვდა, რომ გერმანელები ეწვივნენ და როცა ისინი მისკენ გამოემართნენ, გუნებაში გაივლო, ესენიც ადამიანებივით ორ ფეხზე დადიან და, მგონი, იარაღიც არ ასხიათო. იმას, ვინც მანქანის ამ მხრიდან ჩამოხტა, ვიწრო, ღილებჩამწკრივებული მუნდირი ეცვა, კეფააკრეჭილ თავზე გაფშეკილი პილოტურა ეხურა, ხოლო მოკლე სახელოებიდან წვრილი მკლავები გამოსჩროდა. ქაბუკურ ფერმკრთალ სახეზე, მრგვალი სათვალის მინებს მიღმა, შავ ბუდეში უელავდა მთლად უბოროტო, თითქმის ბავშვური ცნობისმოყვარეობა ყველაფრისადმი, რასაც აქ ხედავდა. მეორე კაცი კი, ცქვიტად რომ გამოგორდა მანქანიდან, სრულებითაც არ ჰგავდა პირველს — ჩამრგვალებული იყო, ხნიერი, მეტისმეტად სწრაფი, შეფიქრიანებული გამოხედვა წამში მოავლო ეზოს, ბოსელს, ქოხს და უცებ წყრომით და მბრძანებლურად რაღაც წამოიყვია. სტეპანიდამ ვერ გაიგო ნათქვამი, თავად მღელვარებისაგან თავტანდაკარგული უხმოდ იდგა დერგით ხელში შუა ეზოში.

— ო, მლეკო?

გერმანელები სათითაოდ ხტებოდნენ ბრეზენტის ძარიდან ეზოში და სტეპანიდა თანდათან ხვდებოდა, რომ აქ ისინი ისე, სხვათაშორის კი არ მოსულან, ბინა უნდა დაიდონ, როგორც მასწავლებელმა თქვა, და უკვე რძესაც თხოულობენ — აგრემც ყელზე დადგომიათ, სტეპანიდას არ ენანება ეს რძე. მაგრამ ისინი მაშინვე როდი მისცვივდნენ რძეს; მასწავლებელი ჩამრგვალებულს მიუბრუნდა, რაღაც უთხრა, და ქალი, რომელსაც არასოდეს გაეგონა ეს ენა, საოცარი ინტერესით უგდებდა ყურს, თუმცა სიტყვაც არ ესმოდა. ეტყობოდა, სვენტკოვსკი კარგად ლაპარაკობდა გერმანულად, ხოლო გერმანელს ჩვენებურისა არაფერი გაეგებოდა და თავის ენაზე რაღაც უთხრა მასწავლებელს. სვენტკოვსკი სტეპანიდას მიუბრუნდა:

— პანი გერმანელი ფელდფებელი კითხულობს, ახალი მოწველილი თუ არისო რძე.

— ახალია, რა თქმა უნდა, — უთხრა ქალმა და მოლზე დადო დერგი, რომლის ნაპირებზე ჯერაც ფამფალებდა ქაფი.

გერმანელებმა და სვენტკოვსკიმ რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს. გერმანელი მანქანისაკენ გაიქცა და მალევე მობრუნდა თეთრი ტოლჩით ხელში; სვენტკოვსკიმ ფრთხილად ამოიღო ტოლჩით დერგიდან რძე და თავაზიან-



ნად მიაწოდა ფელდფებელს. იმანაც გამოართვა, ოდნავ გადმოიხარა, რომ საგრძნობლად გამობერილ ღიბზე არ დასხმოდა, რძე დალია და ჰაერშივე გადმოაყირავა ტოლჩა.

— გუტ, გუტ!

თითქოს უცებ გამოცოცხლდაო, მასწავლებელმა ერთი ტოლჩა კიდევ ამოწოტა და ახლა სათვალთან ჰაბუკს მიაწოდა. მან მუნდირის მოკლე სახეურებიდან ხელები გამოჰყო და დალია. მერე ტოლჩა კიდევ ერთმა გამოართვა — ჰაერშივე გადმოაყირავა გერმანელმა, თითქოს ნაყვავილარი სახე რომ ჰქონდა და იმანაც დალია. მაგრამ მეოთხემ, მაღალმა და ჭოკივით გამხმარმა, რალაცნაირი ბალახონისებური კომბინეზონი რომ ეცვა, მხოლოდ მოსვა ტოლჩიდან, ხმელი სახე უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა და რძე ბალახზე გადმოასხა. „არ მოგეწონა თუ? შენ კი დამიწდი!“ — გაიფიქრა სტეპანიდამ. ქალი მოჩივრით იდგა დერგთან და შიშისა და ცნობისმოყვარეობის ნარევი გრძნობით ნაუცბათვე მდგმურებს ათვალთქმობდა, გული ძლიერ უცემდა, თუმცა მუქარის მსგავსი რამ გერმანელებს სახეზე არ ეტყობოდათ. იქნებ დალიონ რძე და წავიდნენო, უნებლიეთ ფიქრობდა ქალი და ანგარიშმიუცემლად იმეორებდა: კარგი რძეა, კარგიო... თუმცა გერმანელები მის სიტყვებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, ისევ როგორც თავად სტეპანიდას. სანამ დანარჩენები რძეს სვამდნენ, ფელდფებელმა მოკლე-მოკლე ნაბიჯებით ცქვიტად შემოიბრინა ეზო, შეშის საპობშიაც წეიხედა, ფარდულსაც შემოუარა; სტეპანიდამ იფიქრა, ჰობშიც შევაო, მაგრამ, არა, ბოსლისკენ გაუხვია და უცებ ჰასთან შედგა. სვენტკოვსკი გაპრიანებული ქრომის ჩექმებით უკან მიჰყვა მას ნამიან ბალახზე. სტეპანიდას ესმოდა მათი ლაპარაკი მისთვის უცხო ენაზე.

დანარჩენებმა, რძით რომ გული იჯერეს, სათითაოდ მიაშურეს ჰას, რალაცამ დაინტერესათ იქ. სტეპანიდა კი ისევ დერგთან იდგა და არ იცოდა, რა სჯობდა — თვალთაგან მოფარებოდა თუ კიდევ შეეცადა? მაგრამ, ეტყობა, აქ ოჯახის უფროსის ყოფნაა საჭირო, რომელიც სადღაც გადაიკარგა და არ ჩნდება, ან იქნებ ვერ ხედავს, ვინ ეწვიაო, ბრაზით გაიფიქრა სტეპანიდამ.

— პანი ბოგატკა! — ისევ დაუძახა სვენტკოვსკიმ. — გერმანელ ფელდფებელს სურს თქვენი წყალი იგემოს! თუ შეიძლება, სათლი მოგვიტანეთ.

— სათლი? ახლავე...

„ესეც აღმოაჩინეს“. — გაიფიქრა სტეპანიდამ, წინკარში რომ შერბოდა. იგრძნო, რომ ბრაზი ერევა. იქ მან ჩამწყდარ-შეშფოთებული ხმით შესძახა: „პეტროკ!“ წყალი ბადიაში გადმოღვარა და ახალი თუთიის სათლი გერმანელებს გამოუტანა. სათლი ახალგაზრდა, სათვალთანმა გერმანელმა გამოართვა, ჯაჭვზე მიიბა, მარჯვედ დაატრიალა ჯალამბარი და როგორც კი სათლი კარგა სიღრმეზე შეეხო წყალს, რკინის სახელურის ტრიალით მსუბუქად შეუდგა მის ამოწევის; დანარჩენები გაუნძრევლად იდგნენ ჰასთან — ელოდებოდნენ, ქალს ისინი არც ახლა აქცევდნენ ყურადღებას და სტეპანიდამ იფიქრა, მაინც საჭიროა, რომ პეტროკი ძალით გამოეფადო აქო. მაგრამ სწორედ ამ დროს იგი თავად გამოვიდა წინკარიდან; შიშველი ფეხები ჯღანებში წაეყო, ცოლს გვერდით ჩაუარა და ჰისკენ გაემართა. რალაცნაირი მფრთხალი მოწიწებით მოიხადა თავიდან მაუდის საჩიხმოჩვარული კეპი.

— ჰო, ჰო, კარგი წყალია... — მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით მიმართა პეტროკმა გერმანელებს.

ამასობაში გერმანელებმა უკვე ამოიღეს სათლით წყალი და რალაცნაირ



ბრტყელ. მწვანე ჭურჭელში ჩაასხეს. თან თავდაჭერით ლაპარაკობდნენ ერთმანეთში. სვენტოვსკის გარდა არც ერთმა ზედაც არ შეხედა ზუტორის მასპინძელს და მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელმა რაღაც თქვა გერმანულად, ჩოფურა გერმანელმა გაურკვეველი მზერით ნელა ჩაათვალიერა. პეტროვი ერთხელ კიდევ მიესალმა და მაშინ ახალგაზრდა, სათვლიანმა გერმანელმა, ყველაზე ახლოს რომ იდგა მასთან, ჯიბიდან სიგარეტების დასტა ამოიღო. ჩოფურა სიგარეტს თავისთვის ამოაძრო, მეორე კი პეტროვს გაუწოდა. პეტროვი ღიმილით, დაკოწრებული თითებით უნიათოდ გამოართვა სიგარეტი და იდგა ასე, თითქოს არ იცოდა, რა ექნა მისთვის. გერმანელმა სანთებელათი მოუკიდა სიგარეტს, თუმცა პეტროვისათვის ის არ გაუწოდებია.

გერმანელები ერთმანეთში რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, მგონი, ჭის თაობაზე, სტეპანიდამაც აიღო ეზოდან დერგი და წინკარში შევიდა; კარი რომ გაიხურა, შეეშინდა და ბნელი წინკარიდან დაუწყო თვალთვალი გერმანელებს. ჭურს უგდებდა მათ ლაპარაკს. გაიფიქრა, როგორ პირმოთნეობს გერმანელთა წინაშე პეტროვი, ნეტა რას უხსნის და აჩვენებსო. პეტროვს კეპი აღარ დაუხურავს და წვრილი წვიმა აცრიდა მელოტ თავზე, აქა-იქ რომ საცოდავად შემორჩენოდა ქაღარა. გერმანელები სიტყვის შეუწყვეტინებლივ უსმენდნენ პეტროვს; სტეპანიდას არ ეამა, მისი ქმარი ასე თავისუფლად რომ ემუხაფებოდა მათ, იფიქრა: ქოხში მაინც არ შემოიყვანოსო. მათი შინ შემოშვება არამც და არამც არ უნდოდა სტეპანიდას, ქოხი ხელშეუხებელ თავშესაფარად მიაჩნდა, რომელიც უცხოთაგან უნდა დაგეცვა, მით უმეტეს, გადამთიელთაგან. ნეტა ჩქარა აიბარგებოდნენ აქედანო, ფიქრობდა ქალი, მაგრამ ყველაფერზე ეტყობოდა, რომ აბარგებას არავინ აპირებდა — გერმანელებმა თავიანთ ვეება მანქანას სალაშქრო სამზარეულო მოხსნეს და ყველანი. ფელდფებელს გარდა, სახეაწითლებულები მიაგორებდნენ მას ეზოში. პეტროვიც ეხმარებოდა — გაჭინთული მოაგორებდა ვეება რეზინის ბორბალს, მერე კი უჩვენა, სად უკეთესი იყო სამზარეულოს დადგმა. ბოლოს იპოვეს შესაფერისი ალაგი ჭის გვერდით და სტეპანიდამ მთლად ჩამოყარა ყურები — სწორედ ის მოხდა, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა: იახიმოვიშჩინა ვერ გადაურჩა გერმანელებს. ნეტა ახლა რაღა იქნება?

მაგრამ ყველაფერი ჩვეულებრივი რიგით მიდიოდა, ვინმეს ნებასურვილის დაუკითხავად, რაღაც თავისი, ზოგჯერ საშინელი, ზოგჯერაც უცნაური კანონებით, რასაც ომი კარნახობდა. ეზოში სამზარეულო რომ დადგეს, ფელდფებელი მასწავლებელთან ერთად წინკარისკენ გამოემართა. ეს სულელი პეტროვი წინ გამოუძღვათ. პარძალის წინ, ქვებზე, სანამ ზღურბლს გადააბიჯებდა, ფელდფებელი შეჩერდა და უკმაყოფილო-ზიზღნარევი მზერა მოავლო ბნელ წინკარს. სვენტოვსკი კი ენაგაუჩერებლივ რაღაცას უხსნიდა, სტეპანიდამ პარძალიდან შორს გადადგა ბადია და გერმანელიც შემოვიდა. ხელი რომ არ შეეშალა მათთვის ქალი ფარდულისაკენ წავიდა, არ ასვენებდა ფიქრი: აქ რა ესაქმებათ გერმანელებსო? მაგრამ აი პეტროვმა ფართოდ მოაღო ქოხის კარი, გერმანელები გამოცოცხლდნენ და რაღაცნაირი ცნობისმოყვარეობითაც კი დაიძრნენ ქოხისკენ. მათ ზურგს უკნიდან სტეპანიდამ თითქოს პირველად დაინახა უცხო თვალთ თავისი უკვე კარგა მოძველებული ქოხი, მისი კოჭებგაშავებული ჭერი და ძველი, გაყვითლებული გაზეთებით აწებილი დაბრეცილი კედლები. იატაკი კარგა ხანია არ მოეწმინდა და ახლა გაჯავრებით მისჩერებოდა პარძალთან ჭუჭყიან ფიცრებს. კარტოფილის ნაფცქვენები რომ მიკვროდა, გამურულ თუჯიებს ღუმელ-



თან. ქობში უცხოები დააბოტებდნენ უბეში ტყავის წაღებით, სველ, ტალახიან ნაკვალევს ტოვებდნენ იატაკის მშრალ ფიცრებზე, და სტეპანიდამ გაიფიქრა: რა ჯანდაბას ათვალიერებენ აქო? ქალი წინკარში იდგა და დაძაბული იდგოდა მათ წასვლას. მაგრამ გერმანელები აუჩქარებლად მასლაათობდნენ. იყურებოდნენ ფანჯრებში, ათვალიერებდნენ ხატებს, ხოლო ფელდფებელმა ჯვალს ფარდა გადასწია, ლუმელს უკან შეიხედა და ტუჩები ზიზლით დაბრუნდა. სტეპანიდამ ველარ დაუცადა მათ წასვლას, მისი ყურადღება მიიზიდა ეზომ, სადაც ქის გვერდით ხრჩოლავდა და შმორის სუნს აყენებდა სამზარეულოს ნოტიო შეშა. გამხდარი, კომბინეზონიანი გერმანელი დახრილიყო და ცეცხლს უჩხიკინებდა. მერე საითკენღაც მტკიცედ გასწია, ეზო რომ გადაიარა, სტეპანიდას შეეშინდა: გოჭის ჭყვირილს ხომ არ მოჰკრა ყურიო? მაგრამ არა, მგონი, გოჭისკენ არ წასულა. ეტყობა, იგი ჩუმად იყო თავისთვის, გერმანელი კი მალე ისევ გამოჩნდა ეზოში, წელმოქცეული მოათრევდა სამზარეულოსკენ მთელ ილღია შეშას. სტეპანიდას მის დანახვაზე გააცია — ეს ხომ არყის ხის შეშის ღერები იყო, საზამთროდ ცეცხლის დასანთებად რომ უფრთხილდებოდა, ცოტაოდენი ჰქონდა მომარაგებული ლაფაროსთან, ბოსლის გვერდით. მაგრამ მიაგნო მაინც! ჯერ იყო და იფიქრა, გავალ და ვეტყვიო: ცუდ საქმეს სჩადიხარ, კაცო, შენი საკუთრება ხომ არ არის ეს შეშაო. მაგრამ თითქოს ბურთი გაეჩხირა ყელში, თავისთვისღა თქვა: კეთილი, ვნახოთ ერთი, კიდევ რა მოხდებაო.

პირველ შიშს რომ სძლია, სტეპანიდამ აქ ზედმეტად იგრძნო თავი და მოუწინა, რომ აქაურობას გასცლოდა, რათა არაფერი დაენახა და გული არ მოეცდომოდა: დაე დაეპატრონონ აქაურობას, როგორც სურთ. განა რაში შეუძლია შეუშალოს ხელი გერმანელებს? მაგრამ მიხვდა, რომ სახლ-კარის მიტოვებაც არ იქნებოდა, რაც გინდა იყოს, ძროხაც აქა ჰყავს, გოჭიც, უმამლო ცხრა დედალიც. საუბედუროდ, ძროხის მინდორში წაყვანა ვერ მოასწრო, მაგრამ მაღლობა ღმერთს, გოჭი მაინც გადაშალა, იმის პოვნა ახლა არც ისე ადვილია ქობის მოშორებით ჭინჭარში. კიდევ კარგი, რომ ბოსლიდან ქათმები გამოუშვა — მშვივრები კი არიან, მაგრამ ჯერჯერობით ხიფათი არ ელით. ძროხის გადამალვას აზრი არ ჰქონდა, სულ ერთია, უკვე იციან მისი არსებობა, ძროხა საძოვარზე უნდა გაედგნა. ის იყო, სტეპანიდა ბაწრის ძებნას შეუდგა, რომ ქობიდან პეტროკი გამოვარდა, შეჭმუხნილი, ჯაგარმოდებული სახე გამოცოცხლებოდა, თითქოს სიხარულით ანთებოდა.

— დედაკაცო, კვერცხი, კვერცხი მოიტა ჩქარა!

„კვერცხი!“ — გაიმეორა სტეპანიდამ თავისთვის. რა თქმა უნდა, უკვერცხოდ როგორ ეკადრებათ. კვერცხიდან რომ იწყებენ, რითი დაამთავრებენ ნეტა? თუმცა ცოტა ხნის მერე ქალმა გააღო ფარდულის კარი და დოლაბებში ცხავიდან თავისი ძველი კალათი ამოიღო, შიგ ოციოდე კვერცხი იდო. სტეპანიდას უნდოდა პეტროკისათვის მიეცა კვერცხები, დაე თვითონ გაუმასპინდლდესო, მაგრამ პეტროკი უკვე ქობში მიბრუნებულიყო და ქალიც მას მიჰყვა. რაჟი არ იცოდა, ვისთვის მიეცა კვერცხები, კალათი მერხის ბოლოში დადო. კალათს მაშინვე წაეპოტინენ ხელები, სტეპანიდამ უკან გადადგა ერთი ნაბიჯი, ძალა აღარ შესწევდა თვალი მოეწყვიტა ამ უცხო, ხარბი ხელებისათვის. კალათაში პირველი მარდად ჩახტა თეთრი, სათუთი ხელი, ეტყობოდა, იმ ფელდფებელისა იყო, ამ ხელმა ზემოთა მრგვალი კვერცხი აიღო ჭრელ დედლისა, სტეპანიდას თავიდათავი კვერცხმდებელი რომ იყო. მაგრამ გერმანელს რატომ-



ლაც თვალში არ მოუვიდა იგი, უკან დადო და სხვა აიღო, ისეთივე, მაგრამ უფრო მომცრო და იქნებ უფრო სუფთა ან პირველზე უფრო ყვითელი. ის მრგვალი კვერცხი კი მაშინვე აიტაცეს ძროხის ცურებივით მსხვილმა თითებმა, სახსრებთან რომ ყავისფერი ზოლები დაუყვებოდა; მერე მფორე კიბიდან აიღო ახალგაზრდულმა, შავად გამურულმა შოფრის ხელმა, ნაცნობი მუხლირის მოკლე სახელოებიდან რომ გამოიჩარა. სტეპანიდამ ველარ შეძლეს ცქერა. — თვალები დახარა და სვენტოვსკის თიხით დათითხნილ ქრომის ჩექმებზე დააჩერდა. გაისმა ნაჭუჭის მტვრევის ხმა, გერმანელები ლაპარაკ-ლაპარაკით შეუდგნენ კვერცხების მტვრევას და ხმაურით მათ ამოსვლესას, მარილისა და პურის შეუტანებლად. სტეპანიდას ზიზღი მოერია, გატრიალდა, რომ წინკარში გასულიყო, და კინალამ შეეჩახა ფელდფებელს, რომელიც სხვებისაგან მოშორებით პატარა დანით ფაქიზად ტეხდა ყვითელ კვერცხს.

თავისდა გასაოცრად, სტეპანიდა მალე დამშვიდდა, იქნებ იმიტომ, რომ გერმანელები სულაც არ აღმოჩნდნენ საშიშნი, არ ილანძლებოდნენ და არც იმუქრებოდნენ, თავი დინჯად და მტკიცედ ეჭირათ, როგორც ამ სახლ-კარის ბატონ-პატრონებს. რა ვუყოთ, გასაგებია: მათ გაიმარჯვეს, ბრძოლით მოიპოვეს ეს მიწა-წყალი და ახლა უფლება აქვთ, რაც უნდათ, ისა ქნან. ყველაფერზე ეტყობოდათ, რომ ეს თავისი უფლება ძალიან კარგად იცოდნენ და მთლიანად სარგებლობდნენ იმით. მაგრამ სწორედ თავიანთ სიმართლეში ამ თავდაჯერებულობამ იმის დაუსჯელობის შეგრძნებასთან ერთად, რისი გაკეთებაც მიღებული არ არის ადამიანებს შორის, სტეპანიდა მაშინვე მოსულთა წინააღმდეგ ამხედრა.

გერმანელები დაბალი კარიდან რომ გამოცვივდნენ და ზღურბლის ქვის საფეხურიდან გადმოხტნენ, სტეპანიდა ეზოში იდგა, ბოსელთან, და ელოდა. ქალი განგებ დაყარაულებულიყო შეშის ზვინისკენ მიმავალ გზაზე, რომ იმ კომბინეზონიანს შეხვედროდა, ახლა რომ სამზარეულოში ფუსფუსებდა — არყის ხის შეშის ნაჭრებს ცეცხლში ყრიდა. სტეპანიდას არაფრის თქმა არ შეეძლო მისთვის, მხოლოდ ის სურდა, უსირცხვილო თვალებში შეეხედა. მაგრამ შეშისთვის გერმანელი აღარ წამოსულა, მისი სამზარეულო-მანქანა კარგად გაჩაღებულიყო, კვამლი ბოლქვად აღიოდა და დროდადრო მილიდან ნაპერწკლებს ყრიდა. სტეპანიდამ შიშით გაიფიქრა: ნეტა ხანძარი არ გააჩინონო. მუდამ ეშინოდა ხანძრის გაჩენისა ღუმლიდან ან ელვისაგან, ბევრჯერ ღამითაც დასიზმრებია, რომ თითქოს მის იახიმოვშიჩინას ცეცხლი ეკიდა, თავად კი ფეხებმოღუნებული უმწეოდ დარბოდა მის ირგვლივ და ვერაფერი ელონა.

გერმანელები ერთად გამოვიდნენ ეზოში, ფელდფებელი ცოტა ჩამორჩა სხვებს და რაღაცას ელაპარაკებოდა სვენტოვსკის, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა. მერე ფელდფებელმა რაღაც უბრძანა მზარეულს, იმანაც თავი გაანება ცეცხლს, მორჩილად გაიჭიმა, თან ერთადერთი სიტყვა ჩაილაპარაკა „იავოლ“. რაზე ჰქონდა საუბარი, სტეპანიდამ არ იცოდა და გულში გაიფიქრა: ნეტა მიწა გაგისკდეთ ყველას და თან ჩაგიტანოთო!

ამასობაში დანარჩენმა გერმანელებმა სახლის ირგვლივ მიწაყრილზე გადმოზიდეს რამდენიმე ყვითელი ყუთი, გადმოიღეს სამი მძიმე ტომარა, გვერდზე რომ შავი დაღები ესვა; იქვე, მიწაყრილზე კედელს მიაყუდეს ორი მოკლე, ყვითელღვედიანი შაშხანა. ეტყობოდა, ყველაფერი ეს აქ, სამზარეულოსთან რჩებოდა, ხოლო მანქანას გასამგზავრებლად ამზადებდნენ. სათვალისიანი ქაბუკი, მალლა აკრეჭილი კეფა რომ ჰქონდა, უკვე ჯდებოდა მანქანაში, რო-



მელმაც მალე დაიფრუტუნა, აძაგდა და ბენზინის სუნი მოჰტინა აქაურობას. ფელდფებელი მეორე მხრიდან შეხტა კაბინაში, მანქანა მძიმედ გაგორდა უკან. რბილი მიწა გადათხარა და ჯოჯობეთური ღრიალით გავიდა გზაზე.

ეზოში დარჩა სამზარეულო და მასთან ორი გერმანელი — კონბანეზი და გამხდარი და ხანშიშესული, სახედაკენკილი ჯარისკაცი. ისინი ჯიდან წელს ზიდვას შეუდგნენ, ხოლო დანაშაულის შეგრძნებით ნირშეცვლენ. სტეპანიდას მიადგა.

— ვაი, ვაი! — შესჩივლა ჩუმად. — დიდხანს გვეყოლებიან მდგომარეობი. სტეპანიდას ხმა არ გაუღია, თუმცა ჭმრის სიტყვებმა ცუდად გახადა. მაგრამ თვითონაც ჩამხვდარიყო უკვე, რომ ეს ამბავი კარგა ხანს გასტანდა. პეტროკმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვინმე იყო მათი ყურის მიმგდები.

— ასე თქვეს, იატაკი მორეცხეთო. ზედმეტი ბარგი გაიტანეთო.

— სად გავიტანოთ? — გაუკვირდა სტეპანიდას.

— ასე თქვეს, ფარდულშიო, ჩვენც უნდა გავეცალოთ.

— რაო, ზაფხული კი არ არის, რომ ფარდულში გავიდეთ? მოუფიქრებიათ მაგათაც.

— ასე თქვეს, საღამოსთვის ყველაფერი მზად იყოსო. მათი უფროსი მოდის.

— დაე აალაგონ! დაე ყველაფერი გამოყარონ. აგრემც გულზე დადგომიათ. — ბრაზით თქვა სტეპანიდამ, მოაგონდა, როგორ ცდილობდა პეტროკი მათი გულის მოგებას. მაგრამ სულ ამაოდ კი, მაინც აგდებენ სახლიდან.

უკვე გვიანი ხანი იყო, ზეცა უსაყუდრო მიწას ჩამოსწოლოდა, მაგრამ წვიმამ გადაიღო და ქარიც ჩაყურდა. ყელში უღიტინებდათ კვამლი, რომელსაც დაებურა ქოხი, ფარდული, მისი მტრედისფერი სუდარა ბოსტანში კარტოფილის მინდორსაც შემობურვოდა. სტეპანიდამ ბოსლის კარი მტკიცედ გააღო და ბობოვკა გამოიყვანა. დაე, რაც სურთ, ის აკეთონ გერმანელებმა. მან ძროხა უნდა მოაძოვოს, სანამ უნდა ჰყავდეს ბოსელში გამომწყვდეული? რომ გერმანელებს თვალში არ მოხვედროდა, სტეპანიდამ შეშის საპოხი და ბოსატანი გადაჭრა — მოკლე გზით გადენა ძროხა მინდორში. ბობოვკამ ერთი-ორჯერ შეფოთებით მოიხედა უკან, ეზოში უცხოები ეჩითირა; სტეპანიდამ გააღმასებულმა მოქაჩა ბაწარი — უნდოდა ჩქარა გასცლოდა ეზოს.

კარტოფილის მინდვრის კიდე-კიდე მიდენიდა ძროხას, წვრილტყეშეფენილი ღარტაფის გასწვრივ ხუტორის ბოსტანს რომ ციცაბო ფლატად მოსდგომოდა. ღარტაფი ღრმა იყო, მის ფსკერზე დაკლავნილი ნაკადული მიჩუხჩუხებდა. იქითა მზარეს ფოთლოვან კორომში შეჩხირული ათიოდე ნაძვის ხე აღმართულიყო, რომელნიც ძალზე მკვეთრად გამოირჩეოდნენ უკვე შეთხელებულ, ჩაყამებულ თხილნარის, არყის ხისა და ვერხვის ფოთლებში, ორივე ფერდობს რომ ასე ძლიერ მოსდებოდნენ. ღარტაფიც თითქოს ამ ხუტორის ნაწილი, იყო, შეიძლებოდა უბედურების დროს იქ თავი შეეფარებინა, ერთ-ორ დღეს ომს, ბოროტ გადამთიელთა თვალს დამალვოდა, საქონელი რომ არა; რა უნდა ექნა. ხომ უნდა ექმია მათთვის. სახლ-კარიც ენანება თავისი, რაც აბადია, ის გლეხური ქონებაც, თან რომ ვერ წაიღებ, უიმისოდ კი აბა როგორ უნდა იცხოვრო ტყეში? მით უმეტეს შემოდგომაზე, როცა უკვე წვიმები დაიწყო და მალე ყინვებსაც დაიჭერს. ამიტომაც ეჭიდება სახლს. ჰოდა, აი, ეს მისი სახლი გერმანელებსაც თვალში მოუვიდათ, თითქოს ამაზე უკეთესი ახლომახლო ვერაფერი იპოვეს? ეტყობა, ყველაფერში ხილია დამნაშავე, ასე რომ დასჭირდათ, ჰოდა, მასთან ერთად ხუტორიც გამოიყენეს.



დილიდანვე დამშეული ძროხა ფეხებქვეშ სველ ბალახს აცლიდა, ხელიდან გლეჯდა ბაწარს და სტეპანიდამ იფიქრა: დაე, მოხდეს მოსახდენი! ნეტა რას ვე-  
მართლები ამ სულელ პეტროკს, რა უნდა გააწყოს ახლა? რამდენიც უნდა იბტუ-  
ნო, თუ გიბრძანეს უნდა შეასრულო, დაუპატიუებელ სტუმრებს ბინა უნდა  
გაუმზადო. მაგრამ იატაკს პეტროკი ვერ მორეცხავს, მაშასადამე, ორთავეს  
მოხედება. არა, საჩქაროდ უნდა დაბრუნდეს ხუტორში.

პატარა, ბალახაბიბინებულ მინდორზე, ზედ ლარტაფთხის ხეზე  
მიაბა ბაწრის ბოლო, ცოტა ხანს თვალი ადევნა ბობოცვას და მერე კიდევ-კიდევ  
გაუყვია მინდორს შინისაკენ.

გული აფორიაქებული და დადარდიანებული ჰქონდა, გრძნობდა: ადამია-  
ნური ცხოვრების შესაძლებლობა თანდათან ქრებოდა. ომის მძლავრი ტორი  
უფრო უახლოვდებოდა და აგერ ახლა ქოხშიაც შემოძვრა ხატებქვეშ, სუფ-  
რაზე. ჰოდა, რა უნდა ეღონა, დარდი და ტირილით დარჩენოდა. მაგრამ ცრემ-  
ლებითა და სისხლით ახლა უმისოდაც სავსეა დედამიწა. მაშ რაღა დარჩენია —  
ყველაფერი ხმისამოუღებლად მოითმინოს და უკეთეს დროს დაელოდოს? მერე  
ვინ მოესწრება ამას. სტეპანიდას გული უგრძნობდა: პატარა უბედურებას დი-  
დი უბედურება მოჰყვება, აბა მაშინ ნახე ღრიალი და ტირილი, ვინ იქნება  
მშველელი...

6

ორი გერმანელი სამზარეულოსთან დაფუსფუსებდა, პეტროკი ქოხში ფან-  
ჯარასთან მიმჯდარიყო და დარდიან გულზე თამბაქოს ქალაღდის დიდ ნაგლეჯ-  
ში ახვევდა. თითებში დასრესილი მოყვითალო გერმანული სიგარეტი ხატის  
უკან კუთხეში შეჩარა — მერე მოეწეო. ახლა საქმისთვის უნდა მოეკიდა ხელი:  
ქოხი მიელაგებინა, ფარდულში გაეტანა, რაც ზედმეტი იყო და რაც მთავარია,  
იატაკი მოერეცხა. პეტროკი სტეპანიდაზე ჯავრობდა, ასე ჯიუტი რატომ არისო.  
მიაგდო ყველაფერი და გაიქცა. დაღახვროს ეშმაკმა ეს ძროხა, პოსელშიაც  
დაჰყოფდა შუადღემდე! ძროხის თავი სადა აქვთ, როცა ფეხში შემობრძანდხენ  
ეს... მართლაც რომ უკეთურმა ძალამ დაატეხა თავს საზრუნავი, გერმანელები  
გამოუგზავნა — განა სხვა ქალაქები, დაბები, პატარა და დიდი სოფლები არ  
ეყოფოდათ, რომ ამ ღვთისგან მივიწყებულ ხუტორს მოადგნენ?

გულშემოყრილი პეტროკი, ხველებ-ხველებით (ლამიდანვე მკერდს იტკი-  
ვებდა) ფანჯრიდან გასცქეროდა მზარეულ ჯარისკაცებს, ახლა რომ ჭას დაპატ-  
რონებოდნენ. ერთ-ერთმა, გამხდარი რომ იყო და თეთფეროვანი, უკან რომ  
ფომფლოდ ეკიდა კომბინეზონი, რაღაც თეთრი ჩაპყარა ქვაბში, საიდანაც ოხში-  
ვარი ამოდიოდა, ხოლო ხნიერი ჩოფურა რაღაც სანოვავეს ალაგებდა ხის ყუ-  
თის სახურავზე, რომელსაც კოხტად ეფარა თეთრი მუშამბა. „უყურე ერთი, რა  
კულტურული ხალხია!“ — შურით გაიფიქრა პეტროკმა და ნაღვლიანად ამოი-  
თხრა: ჰოდა, მაგათ ამ კულტურის გამო მოკიდე ახლა ხელი სათლსა და ჩვარს  
და მოატალახე მთელი ქოხი. ის არ ეყოფოდათ, რომ ქოხში თბილა და სიმ-  
წრაღეა, ისიც სურთ, სისუფთავე იყოს. კულტურულები...

ამასობაში პეტროკს ქალაღდში გახვეული თამბაქო დაეშალა, აღარ იცო-  
და, როგორ მოეკიდებინა, უნდოდა გერმანელებისათვის ეთხოვა ცეცხლი და  
ვერ გაბედა. ბოლოს და ბოლოს გაბოლებს სურვილმა სძლია, ეზოში გავიდა  
და სამზარეულოდან ხუთიოდ ნაბიჯზე გაჩერდა, მოუკიდებელი თამბაქო გამო-  
საჩენად ეჭირა ხელში. ფიქრობდა, იქნებ გერმანელებმა შემნიშნონ და ცეცხლი



შემომთავაზონო, თხოვნა მაინც ეუხერხულებოდა და ცოტათი ეშინოდა კიდეც. მაგრამ გერმანელები თითქოს ვერც ამჩნევდნენ — აყლაყულა ერთთავად თავის წენიანს ურევდა ქვაბში, ორთქლი და კვამლი მთელი სახლ-კარს მოსდებოდა, ბოლო ტანმოორჩილი და ჯმუხი კაცი, როგორც ეტყობა, მისი თანაშემწე, დადიანით ჭრიდა ფიცარზე ლორს. პეტროკმა წყნარად ჩაახველა და ორი ნაბიჯი გადადგა წინ.

— ეს... ბატონებო, იქნებ მომაკიდებინოთ...

როგორც ჩანს, მიუხვდნენ, რაც უნდოდა, ჯმუხმა, თეთრი გაქონილი წინსაფარი რომ ეკეთა, მისკენ მოატრიალა ფართო, დაკენკილი სახე და გულთბილად ჩაიბურტყუნა: „ია, ია!“ პეტროკმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ რაკი გერმანელს მეტი არაფერი დაუყოლებია, მიხვდა, რომ ნებას რთავდნენ. მივიდა სამზარეულოსთან და არყის ქერქის ნატეხით გამოიტანა ცეცხლიდან ნაკვერჩხალი, თუმცა ვერ იმარჯვა და თითები დაეწვა, სიგარას მაინც მოუკიდა და მოქაჩვისთანავე იგრძნო, რომ მისი მოყვანილი თამბაქოს სუნმა განდევნა ეზოში ყველა სხვა, აჭაურობისათვის უცხო სუნი.

— ვას? ვას? — გამოცოცხლებული ინტერესით მიუბრუნდა მზარეულის თანაშემწე და დანა მუშამბაზე დადო. პეტროკი მიუხვდა და იმწამსვე ამოიღო ჯიბიდან ქისა.

— აჰა, ინებეთ. საკუთარია, შინაურული, თუკი პანი ისურვებს...

გერმანელმა დაკეცილ გაზეთს პატარა ქაღალდი მოახია და პეტროკმა კარგადიდი მწიკვი თამბაქო დაუყარა ზედ. მერე გერმანელმა საკმაოდ მარჯვედ გაახვია თამბაქო, გულმოდგინედ დაასველა ნერწყვით და თავისი სახთებელათი მოუკიდა — ერთი ბეწო სახთებელამ პაწაწა ალით გაიბრწყინა. პეტროკი ბალღური თრთოლვით ადევნებდა თვალს, გულით უნდოდა მისი თამბაქო გერმანელს მოსწონებოდა. აი, გერმანელმა გემოზე მოქაჩა, ბოლი გამოუშვა და პეტროკმა იფიქრა, ახლა კი ხველა აუტყდებოდა. თუმცა გერმანელს არ დაუხველებია, მხოლოდ ბაცი. თითქოს მზისგან გამოხუნებული წარბები შეხარა.

— ისტ გუტ!

— გუტ? — გაახსენა პეტროკმა მისთვის ჯერ კიდევ წინანდელი ომიდან ნაცნობი სიტყვა და გაუხარდა. — აბა მე რა ვთქვი... კარგია, პო. საკუთარია, ასე რომ...

— გუტ, — გაიმეორა გერმანელმა, მიუბრუნდა და რაღაც უთხრა მზარეულს, რომელიც ვეება ხოფს ურევდა ქვაბში. მაგრამ მან ერთი-ორჯერ ბრაზით რაღაც დაუყვირა. ჩოფურამ მაგიდის კიდეში დადო თამბაქო და დანას მოჭკიდა ხელი. პეტროკმა იფიქრა, ალბათ კმაყოფილიაო. რაც გინდა იყოს, საქმეს აკეთებენ, თავი რომ შევაწყინო, არ ივარგებსო, და უკან-უკან სვლით წავიდა პარმალისაკენ.

დრო იყო, სახლის დაღაგებას შედგომოდა, მაგრამ აჭიანურებდა, რადგან არ იცოდა, რითი დაეწყო. თავის დღეში არ მიუღწევია ქოხი, ეს სტეპანიდას საქმე იყო, ბოლო წლებში ფენიაც ეხმარებოდა, მას კი თავისი მამაკაცური საქმეები ჰქონდა. მაგრამ ახლა ომმა, ეტყობა, ქალის საქმე მამაკაცურთან გაათანაბრა. რას იზამს, უწინარეს ყოვლისა, იატაკი უნდა გაათავისუფლოს, რომ მორეცხვაში არაფერმა შეუშალოს ხელი, პეტროკმა გაზიდა ყველა ქოთანი და თუჯია, აგრეთვე ფიწლები, ქარცახი, თუ ღუმელის საწმენდი ცოცხი; მერხი კუთხიდან გამოსწია, სადაც ნაირ-ნაირი ხარახურა ეყარა: დახეული ჭლანები, ჩაუანგებული ცარიელი ყვავილის ქოთანი, კასრის სახურავი, რაღაც ჩვრები.



ნაფოტები, ალბათ ღუმლის გასახურებლად, ყოველივე ეს, მრავალი წელი რომ ეყარა აქ, თავისი ადგილი რომ ჰქონდა მიჩნეული და არავის უშლიდა ხელს, ახლა რად აღმოჩნდა დაბრკოლებად ამ ნაბიჭვრებისთვის? პეტროკმა ფარდულში გაიტანა ღუმელთან დაყრილი ნაირ-ნაირი ძველმანი და ნაგავი, ღურსმნიდან ტყაპუჭი ჩამოიღო, ფრთხილად აიღო ხელში ვიოლინო, ვიოლინოს ფარდულში გატანა არ ივარგებდა, ნესტს შეიძლება ევნო და პეტროკმა ფრთხილად შეჩურთა იგი ხატებს უკან. მისი პატარა ვიოლინო მთლად ჩაიმალა იქ და პეტროკმა იფიქრა: დაე, იქ იდოს და უკეთეს დროს დაელოდოსო.

ქოხი გათავისუფლდა, თითქმის გამოცარიელდა, პეტროკმა ამოიოხრა, წინკარიდან წყლიანი სათლი მოიტანა და ღუმელს ქვემოდან ძველი ჩვარი გამოიღო. ისევ ბრაზობდა სტეპანიდაზე, ღუმელთან ყველაზე უფრო გატალახიანებულ ადგილას მოასხა წყალი — დაღბესო. წყალი მაშინვე ფართოდ მოიღვარა ფიცრებზე, თანდათან შექუჩდა და ზღურბლთან შავ, მღვრიე ტბორად დადგა. პეტროკი შეაგულ ქოხში გაჩერდა. წინკარში უნდა გასულიყო ცოცხის მოსატანად, მაგრამ ტბორისათვის ვერ გადაელაჩებინა, ხოლო ფეხთ გახდა ან კიდევ დახეულ ჭლანებში ფეხების დასველებაც არ სურდა. სხვა რა გზა იყო, უნდა დალოდებოდა, როდის გაიკვლევდა გზას ზღურბლიდან წყალი.

— ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ? ეს რა გიქნია? — მოისმა წინკარიდან სტეპანიდას ხმა.

— იატაკს ვრეცხავ...

— ეს ჩვარი უნდა თვალეში ჩაგაფაროს კაცმა! აბა ვინ რეცხავს ასე იატაკს? გაგიყდი თუ რა მოგივიდა?

სტეპანიდა ზღურბლს გადაღმა იდგა, გაბრაზებული იტყაპუნებდა ხელებს გვერდებზე და ილანძლებოდა — რასაკვირველია, პეტროკი მუდამ ყველაფერს თავის გუნებაზე აკეთებდა, რის გამოც ყოველთვის ხვდებოდა ხოლმე ცოლისაგან. მაგრამ რაკი მოვიდა, დაე თავად მორეცხოს, პეტროკმა თავისი გააქეთა, ყველაფერი მიაღაგა, უბრალო საქმელა დარჩა — იატაკის მორეცხვა.

— შენ რაღად მიდენიდი ძროხას?

— შენთვის არ მიკითხავს ჭკუა...

თუმცა ცოლ-ქმარი ცოტა უფრო თავშეკავებით ლანძღავდა ერთმანეთს, ვიდრე სხვა დროს, რადგან ეზოში უცხოები უსმენდნენ, იმათ მაინც გაიგონეს. სტეპანიდა ჯერ ისევ ხელებს ასავესავებდა წინკარში, მასაც ვერ გაეხედა ზღურბლზე გადმოიჩეხა, როცა მის ზურგს უკან გამოჩნდა გერმანელის ცნობის-მოყვარე ჩოფურა სახე. მან ჩაიცინა, რაღაც თქვა კიდევ და სტეპანიდამაც ხმა ჩაიწყვიტა. თუმცა გერმანელი სამზარეულოში გაბრუნდა, ხოლო სტეპანიდამ ზღურბლიდანვე ესროლა პეტროკს ჩვარი.

— ააშრე წყალი! მთლად ააშრე, წვეთიც არ დატოვო!

რა ძალა იყო, უნდა დამორჩილებოდა და პეტროკიც კრუსუხ-კრუსუნით დაიხარა ტბორზე. ჩვრით აიღო ჭუჭყიანი წყალი და ძველ გამჭვარტლულ თუჩიაში ჩაწურა. მაგრამ წყალი ჯერ ისევ ბევრი იდგა, ტბორს თითქმის არც მოკლებოდა. ამასობაში სტეპანიდა ისევ საღდაც გაქრა და პეტროკმაც, ამ მოსაწყენ საქმეს რომ ჩქარა მორჩენილიყო, წყალი კუთხეებისაკენ და ღუმლის ქვეშ მიდენა, ოღონდ კი ტბორად აღარ მდგარიყო, ამ საქმეს უფრო დიდა წარმატებით გაართვა თავი, ვიდრე წყლის ჩვრით აწმენდას და ის იყო, ძველ გატალახიანებულ ზღურბლს მიუახლოვდა, რომ კარის ღიობში ისევ აილანდა გერმანელის ჩრდილი. ამჯერად წყლით სავსე სათლი ეჭირა, მსუბუქი ორთქლი



რომ ასდიოდა. პეტროკი მაშინვე მიხვდა ყოველივეს და მიაშიტი მადლიერებით შეხედა გერმანელს, ბრძოლულ სახეზე თავშეგაფებული ღიმილი რომ ასახვოდა.

— მადლობა პანეს, დიდი მადლობა თქვენ...

გერმანელმა ზღურბლზე გადმოდო კარდალა და წელში გასწორდა.

— ბიტე, ბიტე.

— ოჰ, მადლობელი ვარ. — გაუმეორა პეტროკმა გრძნობები, რომლებიც გაიფიქრა, რაიმეთი უნდა გადავუხადო ამ სიკეთისთვისო. სიკეთეზე რომ სიკეთით უნდა უპასუხო, ეს კარგად იცოდა პეტროკმა. — ერთი წუთით, პანე, — უთხრა მან და ზღურბლიდან ფარდულში გავარდა, სადაც რამდენიმე კვერცხი კიდევ ეგულებოდა. ოღონდ პეტროკმა არ იცოდა, სად ელაგა ის კვერცხები და სანამ კალათებსა და კასრებში ჩაიხედა, ეზოდან უფროსი მზარეულის ყვირილი მოისმო.

— კარლ, კომ! კარლ!

პეტროკი მიხვდა, რომ ვერ მოასწრებდა — სტეპანიდამ გადაძალვა კარგად იცოდა. გერმანელი მართლაც სამზარეულოსკენ გაიქცა, ხოლო გულნაკლული პეტროკი წინკარში გამოვიდა, სადაც ცოლს შეეფეთა.

— აი, კარლამ ცხელი წყალი მოიტანა.

— ცხელი...

თითქოს სულაც არ გახარებიაო, სტეპანიდამ უხმოდ გადააღაჯა ზღურბლს და იატაკიდან ჩვარი აიღო. მაგრამ ვერ მოასწრო მისი თბილ წყალში ჩადება. რომ წინკარში უფროსი აყლაყუდა მზარეული გამოჩნდა. მან რაღაც ჩაიჩურჩულა ბრაზით, ზღურბლს იქიდან სტაცა სათლს ხელი, მოიქნია და იატაკზე მიუშვა წყალი. თბილი ორთქლი სქლად მიაწყდა ჭერს და სტეპანიდას გაქვავებული სახე დაუფარა. სათლმა გაიჩხაკუნა და გერმანელი სწრაფად გახტა წინკარიდან.

— შენ კი დამიწდი, უწმინდურო! — ჩუმად თქვა სტეპანიდამ და სველი ქვედატანი დაიფერთხა. პეტროკმა მიიხედ-მოიხედა — ვაითუ გაიგონეს და მიხვდნენ ნათქვამსო. ეტყობა, ეს გამხდარი გერმანელი მართლაც რომ ბრაზიანია, მასთან ერთთავად ყურებდაცქვეტილი უნდა იყო.

— ჩუმად, დედაკაცო! რას იზამ, ძალა მაგათია...

— ძალა! ბარემ კი ამოწყდნენ ყველანი...

იატაკს ცივი წყლით რეცხდნენ — კიდევ კარგი, რომ ბაღიაში ღამითვე გომარაგეს, თორემ ახლა ვინ მივიდოდა ქასთან. არც პეტროკს უნდოდა იქ მისვლა და არც სტეპანიდას. ქალი გულმოდგინედ ხეხდა ცოცხით იატაკს, რეცხდა მერხებს, დანით ფხეკდა გრძელ, ძველ მაგიდას, მტვერს წმენდდა ფანჯრის რაფებიდან. პეტროკი წინკარს ალაგებდა, ყოველგვარი ხარახურა გაჰქონდა ფარდულში, კიდევ ეზოში ჩარდაბქვეშ, ან კიდევ მიწაყრილზე. ძენძები სხვენზე აიტანა. ალბათ ამ სახლში არასოდეს ამტყდარა ასეთ ფაციფუცი, ღღესასწაულებს წინაც კი არ დაულაგებიათ ასე გულმოდგინედ, როგორც ახლა, როცა იძულებულები გახადეს, და პეტროკი ფიქრობდა: ვინ იცის, როგორ მოეწონებათ გერმანელებს ჩვენი ნახელავი? იქნებ რაიმეთი ვერ მოვიგოთ მათი გული და რა გვეშველება მაშინაო?

ამასობაში ქასთან საჭმელი, საცა იყო, მოიხარშებოდა, სამზარეულოდან კვამლი თითქმის აღარ ამოდიოდა, ორთქლიც ინავლებოდა, სამზარეულოს მრგვალი სახურავი მჭიდროდ არ ეხურა და ეზოში მოხრაკული ხახვის და ლორის სუნნი იდგა. რითაც შეეკმაზათ გერმანელებს წვნიანი. გაავებული, მღუმარე



მზარეული იქ მომართულივით ტრიალებდა, მგონი, მუხლი ჯერაც არ ჩაედგა; მასთან პატარა წალაპარაკების შემდეგ მაგიდასთან მოწყენით იდგა და ტოკავდა მიჩუმებული კარლაც. მაგრამ აი, აყლაყულამ უბის ჯიბიდან მბრწყინავძეწკვიანი საათი ამოიღო და რაღაც გადაულაპარაკა თანაშემწეს. პეტროკი წიხკარში საქმიანობდა, მაგრამ თვალი კი მათკენ ეჭირა და უნებლევად კეთილკარლას თანაუგრძნობდა. როგორც ჩანს, უფროსისაგან მოხვედრით ვინა ასე ხაზგასმული გულგრილობით შეაქცევდა ზურგა პეტროკს, როცა იგი კიბეზე გამოვიდა პარმალის დასახვეტად. პეტროკს ჯერაც არ დაემთავრებინა თავისი საქმე, რომ შარაგზიდან გუგუნნი მოისმა და ნაცნობმა ბრეზენტგადაბურულმა მანქანამ ღრანტეებზე ყანყალით გადმოუხვია მისი სახლისაკენ. პეტროკი ცოცხით ხელში წინკარს მიაწყდა.

— მოდიან! დედაკაცო, გეყურება? მოდიან-მეთქი!

სტეპანიდამ გზად რაღაცას წაავლო ხელი, ქოხიდან გამოვარდა და კარიც გამოიხურა. ცოლ-ქმარი წინკარში გაინაბა, ელოდნენ და აყურდებდნენ. მანქანა მძიმედ მოგორავდა ვიწრო ბილიცზე, სანამ ცაცხვების ქვეშ ტიშკართახ არ შეჩერდა. პეტროკი ელოდა, ვინმე ისკუბებს კაბინიდანო, მაგრამ მანქანაში რაღაცამ ლითონისებურად გაიფლრა და მაშინვე ბრეზენტის ძარიდან ერთმანეთის მიყოლებით გადმოცვივდა ათიოდე გერმანელი. მათ სხვადასახვანაირად ეცვათ: ზოგს მუნდირი, ზოგს მოკლე ქურთუკი, ორს დაფოთლილი მოსასხამი ესხა, ყოველ მათგანს ბრტყელი კარდალა ეჭირა ხელში ან ქამარზე ჰქონდა გამობმული. იარაღი რატომღაც არ უჩანდათ. თუმცა გერმანელები მაშინვე არ მივარდნილან სამზარეულოს, რომლის გვერდითაც გაჭიმული იდგა ორივე მზარეული, ერთხანს ქამრებს ისწორებდნენ, მუნდირებს იქაჩავდნენ, თავზე კოხტად ირგებდნენ მოკლე-მოკლე პილოტურებს — ეტყობა, ბრძახებას ელოდებოდნენ. ამასობაში კაბინიდან გადმოვიდა კაცი, რომელსაც შავი მუშამბის ლაბადა ესხა და მ.მლის ბიბილოსავით მაღალი, საჩიხზე თეთრნიშანმიბმული ქუდი ეხურა. მან რაღაც უთხრა აყლაყულა მზარეულს, რომელმაც დაძაბულად შეარხია მხრები და მაშინვე ჩამოუშვა. ეტყობა, უფროსმა რაღაცის ნება მისცა ან უბრძანა „თავისუფლად“.

— აფიცერია! — მიხვდა პეტროკი.

სტეპანიდა წინკარის ღია კართან, წირთხლს გადაღმა იდგა და ხმას არ იღებდა სმენად და თვალეზად ქცეული, აბა ვნახოთ, რა მოხდება ეზოშიო! მაგრამ რაიმე საშინელება იქ ჯერ არ მომხდარა. სალდათები სამზარეულოს შემოეხვივნენ, მათ ზემოთ მზარეულის ციცივიანი გრძელი ხელი ირბეოდა — სადილს არიგებდა, სწორედ ისევე, როგორც წინა ზაფხულს, როცა მდინარის პირას შეიმუხლეს სასადილოდ ჩვენმა წითელარმიელებმა, სანამ აღმოსავლეთისაკენ დაიხვედნენ. ახლა ქის მახლობად შემჭიდროვებულიყო თორმეტიოდე გერმანელი, მხიარულად ყბედობდნენ და იცინოდნენ. ზოგი კარდალას მესერთან დადგმულ სათლში ავლებდა, მხოლოდ ოფიცერი დადგა მოშორებით, შუა ეზოში და სადღაც მაღლა იყურებოდა — ფარდულთან ქერს გასცქეროდა. მერე ჯიბიდან კოხტა, მბრწყინავი პორტსიგარი ამოიღო, სანამ იგი უკიდებდა, პეტროკი ცდილობდა მისი მზერა დაეჭირა, მაგრამ ოფიცერს თვალები სრულებით არ მოუჩანდა, ცხენის ქაჩაჩივით ფართო ქუდის საჩიხი უფარავდა. გერმანელი პაპიროსს უკიდებდა, ოდნავ იქნევდა თავს და თან ნაცნობ ჩამრგვალბულ ფელდფებელს უსმენდა, სხაპასხუპით რომ ელაპარაკებოდა რაღაც გაუგებარს და ხელებით აქეთ-იქით აჩვენებდა. მაგრამ აი, ფელდფებელმა



ხელით მოულოდნელად მოათითა კარზე, და ოფიცერიც, მასპინძლებს რომ თვალს მოჰკრა წინკარში, შესამჩნევად დაიძაბა. პეტროკი სტეპანიდას მხარზე შეეხო.

— უყურე, აქეთ მოდიან!

— მოვიდნენ მერე.



ცოლ-ქმარი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, არ იცოდნენ, რა ექნათ. მდგომარეობა ეცნენ ასე, სადმე დამალულიყვნენ თუ იქნებ ზღუბლზე შეგებებოდნენ სტეპანიდას რებს, როცა ბოლოს პეტროკმა ქუდი იძრო და ზღუბლს გადააბიჯა, გერმანელებიც წინ შემოხვდნენ. მაშინ პეტროკმა უკან დაიხია, წინკარისაკენ, დაძაბული მიაჩერდა ოფიცერს სახეში, რომ გაეგო, ცუდი თუ კარგი მიზნით მოდის ქობშიო. მაგრამ ოფიცერს გაპარსულ ახალგაზრდულ სახეზე არაფერი ეტყობოდა ყურადღებისა და ჩვეულებრივი მეთაურული სიმტკიცის გარდა. შავ წარბებს ქვემოთ გამომჩირალი მუქი თვალები გულგრილად მოავლო მასპინძლებს. უფრო დიდხანს ბნელ წინკარში, კუთხეში დახორავებულ კარტოფილზე შეაჩერა მზერა, თუმცა აფუსფუსებული ფელდფებელი უკვე ქობის კარს აღებდა და პეტროკს წინკარში ესმოდა მათი მშვიდი, დინჯი ლაპარაკი. მერე მისთვის ჩვეული საქმიანი ფუსფუსით ფელდფებელი წინკარში გამოვარდა და ეზოდახვიდაცას მოუხმო („კომ, კომ!“), ორი ჯარისკაცი მძიმე ჩექმების ბრაზუხით სირბილით მოაწყდა წინკარს, ფელდფებელმა რაღაც უბრძანა, მათ თანხმობით დაუქნიეს თავი („იავოლ, იავოლ!“) და ისევ სირბილით ეცნენ ცაცხეების ძირში მდგარ ვეება მანქანის ძარას. „დისცაპლინა მართლაც რომ აქვთ!“ — უნებლიე პატივისცემით გაიფიქრა პეტროკმა, რომელიც ჯერაც ვერ მიხვედრილიყო, რა ედოთ გულში ქობში მყოფთ. მაგრამ მალე ყველაფერი გასაგები გახდა. ჯარისკაცებმა მანქანიდან გადმოათრიეს ლითონის დასაკეცი საწოლები — ბრჭყვიალა საზურგეები, ალუმინის წნული ცხავეები, თეთრეულის და საბნების ფუთები და ყველაფრის ქობში შეზიდვა დაიწყეს. პეტროკმა კვლავ ფარდულისკენ დაიხია, რომ გერმანელებისათვის ხელი არ შეეშალა მის სახლ-კარში თავიანთი საკუთარი წესრიგის დამაყარებისათვის. ისინი გულმოდგინედ ფუსფუსებდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ჯერ კიდევ მოუშპრალ იატაკს თითხნიდნენ, მერხებს აქეთ-იქით სწევდნენ, საწოლებს აბრაზუნებდნენ. პეტროკსა და სტეპანიდას არავინ აქცევდა ყურადღებას და პეტროკი დამშვიდდა კიდევ, იქნებ ყოველივე კეთილად მოგვარდესო. რასაკვირველია, ისე სინდისიერად იშრომეს და მიაღაგეს აქაურობა, ალბათ კმაყოფილები დარჩებიან გერმანელები. მაგრამ სწორედ ამ ფიქრში იყო, როცა ღია კარის წირთხლზე გამოჩნდა ცმუტია ფელდფებელი და პატარა ბიჭივით თითით მიიხმო პეტროკი.

— კომ!

პეტროკს უცებ ფეხები მოუდუნდა, ქობში შევიდა. განზე გაწეულ მაგიდის ადგილას უკვე იდგა აწყობილი ბრჭყვიალა საწოლი, ცხაურზე თეთრეულის ფუთა იდო; მეორე საწოლთან ჭაბუკი, ავადმყოფური შესახედაობის გერმანელი ფუსფუსებდა. ეტყობოდა, რაღაც საქმე გასჩენოდათ პეტროკთან, ოფიცერი, ფეხებგაჩახული რომ იდგა, პეტროკს მიაჩერდა, დაელოდა მის ახლოს მოსვლას. მან თვალი თვალში გაუყარა პეტროკს, რომელსაც გულმა რეჩხი უყო მოახლოებული უბედურების მოლოდინში.

— ვას ისტ დას? — შეფარული მუქარით ჰკითხა ოფიცერმა და გაყვითლებული, ალაგ-ალაგ ჩამოფხრეწილი გაზეთებით აწებულ კედელს ატაკა თითო. თვალი შეავლო თუ არა, პეტროკს შიშით კინაღამ გული გაუსკდა — შუა კე-



დელზე, სადაც ტყაბუჭი ეკიდა ხოლმე, შავად მოჩანდა გაზეთიდან ამოჭრილი, მოსკოვში საპირველმაისო ზეიმის სურათი, გამოხუნებულ გაზეთზე ნათლად ჩანდა სტალინის სახე. — ვას ისტ დას? — გაიმეორა გერმანელმა.

პეტროკი ყოველივეს მიხვდა, მაგრამ დუმდა — რა ჰქონდა სათქმელი? მხოლოდ ჩუმად შეიგინა თავისთვის — ასე როგორ უნდა გაეხსენებინა! გახეხეს იატაკი, მაგიდა, მერხები, კუთხე არ დარჩენიათ მიუღწევად, კედლის-ათვის კი ერთხელაც არ შეუხედავთ. ჰოდა, ახლა აგე პასუხი.

— სტალინია, ბატონო, — ჩამწყდარი ხმით ამოთქვა, როგორც იქნა, სას-ჯელისათვის გამზადებულმა.

— სტალინი კარკია?

— იცით, ბატონო... ჩვენ უბრალო ხალხი ვართ. ვის მოსწონს და ვის მაინცდამაინც არ... — სცადა თავის დაძვრენა პეტროკმა, თან გულში ფიქრობდა: მეხი შენ დაგეცეს, რას გადამეკიდო? მაგრამ მზერას მაინც არ აშორებდა ოფიცერს, ცდილობდა გაეგო, აწ რა მოხდება, რა სასჯელი მელისო. ოფიცერის მუქ თვალებში მრისხანებამ გაიელვა, თუმცა შევგვრემანი მტკიცე სახე არ შეცვლია, აუბღვრეველი და მშვიდი ჰქონდა. მაგრამ აი მისი ხელი წელზე ქამარს მისწვდა, ბალთასთან ტყავის ბუდე გამობერვოდა. პეტროკი თითქოს მონუსხუ-ლი იყო, მზერა ვერ მოეწყვიტა ამ ხელისათვის, რომელიც ბუდიდან უკვე აძ-რობდა მოკლე, ბრტყელულის პატარა შავ დამბაჩას.

„მორჩა! — ნაღვლიანად გაიფიქრა პეტროკმა. — რა უაზრო სიკვდი-ლია. სტეპანიდასათვის რაიმეს თქმა მაინც მომესწრო...“

გერმანელმა წინანდებუდად აუჩქარებლივ შემართა დამბაჩა, ორჯერ გაისმა ჩხაკუნი, მერე ოფიცერმა ხელი აღმართა. „ახლა მესვრის!“ — გაიფიქრა პეტ-როკმა და უკვე თითები მოიმარჯვა, რომ უკანასკნელად გადაეწერა პირჯვარი, მაგრამ ამ დროს ოფიცერი წუთით გაირინდა და ქოხში გამაყრუებელი გრიალი გაისმა. პეტროკი შიშისაგან შექანდა, ირგვლივ დენტის სუნი დადგა და ლუღი-საგან ავარდნილი ლურჯი კვამლი ნელ-ნელა გაცურდა ფანჯრისკენ. კედელზე, სურათის შუაგულში შავი პატარა წერტილი გაჩნდა; აქაოდა, მოვასწრო, უა-რესი უბედურების მოლოდინში პეტროკმა საჩქაროდ გადაიწერა პირჯვარი.

— კაბუტ! — ცივად მიუგდო გერმანელმა, დამბაჩის ლულაში ჩაბერა და ბუდეში ჩადო იგი. სახე კვლავ უმეტყველო გაუხდა, თვალები ცივად იმზირე-ბოდნენ ფართო საჩიხიდან. პეტროკი შიშისაგან გონდაკარგული იდგა შუა კედელთან, მერე ფელდფებელმა თუმცა ღონივრად არა, მაგრამ მტკიცედ კი უბიძგა კარისკენ.

— ვეკ!

ფეხებდამძიმებული პეტროკი ძლივს წალასლასდა საკუჭნაოსაკენ. აქ, მტვრიან ბინდბუნდში, გახევებული იდგა სტეპანიდა და ღონეგამოცლილი პეტ-როკიც მხარზე მიეყრდნო.

ეზოში რომ დანაყრდნენ, გერმანელებმა ცოტათი წაიმასლაათეს თავიანთ სამზარეულოსთან, გააბოლეს და ისევ მანქანაში აძვრნენ. ამჯერად ფელდფე-ბელიც მათ გაჰყვა, ოფიცერი კი ქოხში მიიმაღა და მისი ხმაც არ ისმოდა, ეტ-ყობა, რაღაც საქმე ჰქონდა ან დასაძინებლად დაწვა. პეტროკი თავჩაქინდრული იჯდა ფარდულში დოლაბებთან და თამბაქოსაც კი არ ეწეოდა. იმ ამბის შემ-დეგ, რაც თავს გადახდა, ალბათ თამბაქოც ვერ უშვებოდა. შეშინებული სტეპა-



ნიდა თანდათან მოვიდა გონს და წყნარად მიიკუნჭა სარკმელთან. თან ყური ეზოსკენ ეჭირა, სადაც მხოლოდ ორი მზარეული დარჩა, დანარჩენები ხოლზე წავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ სტეპანიდა დაძაბული გავიდა წინკარში და ყური მიუგდო — კარს იქით ქოხში თითქოს ყოველივე ჩამკვდარიყო, ჩამჩუმოდა არ ისმოდა, არადა, გოჭის ჭმევის დრომ მოაღწია, თორემ საცაა ჭყვირილს აწერდა და მერე ვეღარ დაიფარავდი, უეჭველად დაკლავდნენ. ეს რომ ჩემთვის თუჩიაში კარტოფილი ჩაჭრა, ქათო მოაყარა, გუშინდელი ნახარშის წყალს და ერთმანეთში აურიო, ახლა საჭიროა შეუმჩნევლად გაიტანოს თუჩია გადალობილში.

— პეტროკ, აბა გახედე, — წასჩურჩულა ქმარს, მაგრამ პეტროკს თავიც კი არ აუწევია, — გეყურება?

— ა-ა-ა, სულ ერთია, ვერ გადაარჩენ...

— როგორ თუ სულ ერთია?

ისინი ჩუმად ლაპარაკობდნენ. ქოხში გასროლამ, ეტყობა, ისე შეადრწუნა პეტროკი, რომ თავის ჭკუაზე აღარ იყო, თითქოს გამოშტერებული ჩანდა. სხვა დროს სტეპანიდა კარგად შეახურობდა ქმარს, მაგრამ ახლა ამის დრო არ იყო, მიხვდა, რომ ბერიკაცმა დიდი შიში ჭამა. ქალმა ჩუმად გაიხედა წინკარიდან.

ეზო დაცარიელებულიყო, მხოლოდ ქასთან, სამზარეულო მანქანას კედლებზე გადმოყუდებული კარლა ქვაბს რეცხდა; ავი მზარეული ზურგით იდგა ქოხში ყუთებთან და რაღაცა საქმიანობდა, რატომ არ უნდა გავიდო, გაიფიქრა სტეპანიდამ, გერმანელებს რა ესაქმებათ, მე რას ჩავყრი თუჩიაშიო.

ასეც მოიქცა — ჩუმად გაიქცა ფარდულის უკან და შეშის საპობიდან გადახტა ბირკავამოდებულ ბოსტანში. გოჭი ჭკვიანურად მოიქცა. მისი ნაბიჯების ხმას არც კი გამოხმაურებია, მხოლოდ თივაში ახვანცალდა, როცა სტეპანიდა ფარდულის კარს აღებდა. დიდხანს რომ არ გაჩერებულიყო, სტეპანიდამ თუჩია ზღურბლიდანვე გადადო და კავით გადაკეტა ადამუამისდროინდელი კარი.

გოჭი ნელა მოძრაობდა ფიცრის კედლის იქით, ძლივს გასაგონად აწყაბუნებდა ყბებს, სტეპანიდა კი ბირკავაში იდგა და ფიქრობდა, მაინცდამაინც საიმედო რაღაცა ეს თავშესაფარი, აი, ეზოში რამდენი ხალხი ტრიალებს, იქნებ ვინმეს გაუჭირდეს, მოფარებულ კუთხეში მოსასაქმებლად გამოვიდეს და გოჭის ჭყვიტინი გაიგონოს. ახლა ქათმები! როგორღაც თავიდანვე არ უფიქრია მათზე და ახლა აგერ ღობის ძირში ჭინჭარში დაწრიალებენ, რაღაცას ხხრეკენ და კენკავენ. ჰოდა, სტეპანიდამ არ იცოდა, რა აჯობებდა: ყველანი ერთად ჩაეკეტა ფარდულში თუ სახლიდან მოშორებით, შორს გაერეკა. გერმანელები ბრძნები ხომ არ არიან, თვალს მოკრავენ და სანაშენოდაც აღარ დატოვებენ.

თუმცა, ქათმების გადამალვა არ დაუწყია, უფრო მეტად ბობოვკაზე მიწობდა. ძროხა ამჯერად ბუჩქნარში იანკას ნახირთან ერთად დატოვა, საღამოვდებოდა და იანკას იქნებ ვისელკიში გაედენა ნახირი, ნოტიო, კარტოფილის მინდვრის დაბეკნილ ბილიკით სტეპანიდა ნაპირ-ნაპირ გაუყვა ლარტაფს და იქ ოდნავ მოთელილ ნაკვალევს მიჰყვა ბალახზე. დღე იწურებოდა, ისევ ღრუბლებს დაეფარათ, მთლად დაებურათ მინდვრებსა და ტყეზე ჩამომხობილი ზეცა. თუმცა არ ციოდა, ქარი ჩადგომას აპირებდა, ჩამხმარ ბუჩქნარს ლარტაფში საღამოს სიჩუმე დაუფლებოდა. სველ ბალახში ფეხშიშველა სიარული თავდაპირველად არ ეამებოდა, მაგრამ სიარულში გაუთბა ფეხები — მინდვრის კიდე-კიდე მიიჩქაროდა ვერძის ხევისაყენ და ფიქრობდა, ახლა ხომ გვიჭირს, არა



და, ეტყობა, მალე უფრო გაგვიჭირდებაო; გერმანელები არ დაკმაყოფილდებიან მასპინძლების მხოლოდ ფარდულში გადასახლებით. თუ დიდხანს დამკვიდრდნენ ამ სახლ-კარში, ვინ იცის, რა მოხდება, ხოლო ოჯახს რომ ძაფსაც არ შეარჩენენ, ეს ნამდვილია. როგორღა იცხოვროს მაშინ? როგორ გადაარჩინოს ძროხა, გოჭი, ქათმები? ხორბალი და კარტოფილი იქნებ არ წავიდეს, რაში უნდათ ხორბალი, მაგრამ შეშას საწვავად იხმარენ. მერე, ცხენი რა უნდა ქვავთ, როგორ უნდა მოზიდონ? ან რითი გათბნენ ზამთარში?

საზრუნავი თავსაყრელად ჰქონდა, ისევე, როგორც საშფოთავი, ცუდი წინათგონობა აწამებდა ერთთავად, მაგრამ სტეპანიდა ითმენდა და გარეგნულად მშვიდი ჩანდა. იგი ისეთი დედაკაცი არ იყო, უბედურება რომ დაატყდა თავს, ცრემლად დაღვრილიყო, ხელებოდა, ისედაც მოელოდა ბევრი უბედურების გადატანა, რაც მის ცრემლძუნწ, თავის დროზე ბევრჯერ ნამტირალევი თვალების ასაცრემლებლად იქმარებდა.

იანკას პატარა ნახირი ბუჩქნარში, ტყის პირას წაქცეულ ფუტურო მუხის სიახლოვეს სძოვდა ბალახს. ძროხები მურყნარში დაეხეტებოდნენ, ხოლო იანკამ როგორც კი თვალი მოჰკრა სტეპანიდას, ცხარედ და შეშფოთებით მოჰყვა რაღაცის ბურტყუნს, თან ხელით მიანდორზე უჩვენებდა. იქნებ რაიმე დაინახა იქ? მაგრამ ახლა იქაურობა გამოცარიელებული იყო და სიწყნარე სუფევდა, ღამდებოდა და ძროხა შინისკენ უნდა გაედენა. სტეპანიდამ ჯოგს ჩამოაშორა ბობოვკა და მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ იანკასთვის არაფერი წამოუშვლვანებია. მაგრამ თავადაც დღეს ლუკმა არ ჩაეშვა პირში. იანკა ტყის პირას იდგა და თავის ენაზე, რომელიც მხოლოდ მას ესმოდა, რაღაცას ლაპარაკობდა, თან შეშფოთებით იქნევდა ხელებს. და უცებ მის ბაგეთ ორი მოკლე სიტყვა მოსწყდა, ახლა რომ ყველასათვის გასაგებია, ის სიტყვები:

— პუკ! პუკ!

თუმცა სტეპანიდა არ ჩასციებია, რისი თქმა სურდა იანკას, წნელით საჩქაროდ გადენა ბობოვკა. სანამ გერმანელები შინ არ დაბრუნებულიყვნენ, ძროხის მოწველა უნდა მოესწრო.

სტეპანიდას დასცხა კიდევაც სქელ თავშალსა და ქურთუკში, მან ძროხა კარტოფილის მიწოდვის ღობესთან მიდენა და მიხვდა, რომ მაინც დააგვიანა. ეზოში, ცაცხვების იორში უკვე მოჩანდა მალლა აღმართული ბრეზენტის სახურავი, ისმოდა ლაპარაკი და ჩვეულებრივი წამოძახილები, ეტყობოდა, იქ რაღაც ხდებოდა. ქალი გაოგნებული შეჩერდა, ძროხამ თავი აიღო და ნაბიჯი შეანელა. ღობის ზემოდან მოჩანდა, რომ გერმანელები მანქანასთან შექუჩებულებიყვნენ და რაღაც ვეებასა და მძიმეს ექაჩებოდნენ იქიდან. ერთმა გერმანელმა ღობის გაღალმა სტეპანიდა შენიშნა და ჭაბუკური ხმით ანცად დაუყვირა შორიდან:

— ო, მატკა! მლეკო!

რაღა გაეწყობოდა, სტეპანიდამ ბობოვკას წყნარად გადაუჭირა წნელი. ძროხამ ღობის ქვემოთა ლატანს გადააბიჯა და ჩვეული გზით გაემართა ეზოში ბოსლისაკენ.

სტეპანიდას სახლ-კარში სწორედ ის ხდებოდა, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა, გერმანელები ისე გულდაგულ ეწყობოდნენ, ეტყობა, დიდხანს დარჩენას ეპირებოდნენ. მანქანიდან ვეება რუხი ბრეზენტი რომ გადმოაგდეს, გადათელილ ბალახზე გაჭიმეს, ერთმანეთის ჯიკავ-ჯიკავით არჭობდნენ მოკლემოკლე პალოებს. ორნი, თითქმის მიწაზე გაწოლილები, რაც ძალი და ღონე



ჰქონდათ, კიდევოდან ეჭაჩებოდნენ ბაწარს, კარვის ბრეზენტის სახურავი მორჩილად სწორდებოდა და მკვიდრ, ფართო ნაგებობას ქმნიდა, რომ ავდარსა ახსიცივში სადღათებს თავი შეეფარებინათ.

შეშის საჭრელზე, ხორად დაწყობილ შეშასთან, მოკაცული იდგა პეტროკი და მალულად იყურებოდა კუთხიდან: ცოლი რომ დაინახა, უსიტყვოდ გამალა ხელები. მაგრამ სტეპანიდას ხმა არ გაუღია, ჯანდაბას ყოფილანო, რაღაა იქნებ კარავში რომ იცხოვრებენ, ნაკლებად შემაწყინონ თავით. მთავარი ის იყო, რომ ეზოს იმ ბოლოში არ დაბინავებულიყვნენ, სადაც ფარდული. საქათმე, შეშის საჭრელი და გადალობილთან გასასვლელი იყო. აქაურობა, კაცმა რომ თქვას, საკმაოდ ტალახიანია მათთვის, მათ ხომ მშრალი და სუფთა ადგილები უყვართ. ეზოს იქითა ბოლო კი უფრო მალლობი იყო და, ცხადია, იქ სჯობდა.

ბობოვკა, ეტყობოდა, პატრონებზე ნაკლებ როდი გრძნობდა, რომ ეზოში უცხოები იყვნენ და ის იყო დააპირა შეშისსაპობიდან გამოსვლა, რომ გაუბედავად შეჩერდა და წაიფრუტუნა — უცხოებისა შეეშინდა. სტეპანიდა წინ წავიდა და ძროხას აღერსით მოუთათუნა ხელი თბილ კისერზე, მისი შეხებისაგან რომ აუთაგძავდა ბობოვკას.

— ნუ გეშინია... მიდო, მიდი...

— მლეკა! მლეკა! — ნაბახუსევი ხმით დაიყვირა რომელიღაც გერძახელმა.

სტეპანიდამ ვერ მოასწრო ძროხიანად ბოსლამდე მისვლა, რომ მზარეულის თანაშემწე კარლამ მოკლე, მოგრეხილ ფეხებზე ბაჯბაჯით შემოაგება ფართო თუნუქის სათლი. სამზარეულოს მხრიდან მას სამი თუ ოთხი გერმანელი შემოსცქეროდა და მათ შორის ჩამრგვალებული, წითელლოყება, ფელდფებელიც, რომელიც ახლა იქ ფუსფუსებდა, ყვიროდა და ბრძანებებს იძლეოდა.

სტეპანიდა მოწველს წინ ბობოვკას ერთ ილღია ბალახს ან აქვიტს უყრიდა ხოლმე, ჭამაში გართული ძროხა მშვიდად იდგა და მისი მოწველაც იოლი იყო. ახლა ქალს ხელში არაფერი ჰქონდა, ხოლო გერმანელები, ეტყობა, სულაც არ აპირებდნენ ლოდიხს. უნდოდა პეტროკისათვის ეთქვა, ბალახი მომიტანეო, მაგრამ გადაიფიქრა: ჯანდაბასო! სტეპანიდა ბრაზმა აიტანა გერმანელების მოუპრიდებლობაზე, იფიქრა, სულაც არა ვარ მოვალე, ჩემი ძროხის რძე ვასვა მაგათო, სხვა ძროხები იშოვნონ თავიანთთვისო. ამასობაში ბობოვკა ტოკავდა და აქეთ-იქით იყურებოდა; სტეპანიდა ჯიქანს მიუჯდა. უცხოების აქ ყოფნა აშკარად არ მოსწონდა ძროხას, სტეპანიდა გრძნობდა ამას და აღშფოთება თანდათან ერეოდა. როგორც იქნა, ნახევარი სათლი რძე გამოწველა და ადგა. კარლას თავისი გაზინთული მუნდირი ეცვა, გვერდით ედგა, ავადმყოფურ, შეშუპებულ სახეზე არავითარი გამომეტყველება არ ასახვოდა, მოთმინებისა და გულგრილი მოლოდინის გარდა.

— აი, მეტი არ არის, — უთხრა სტეპანიდამ და სათლი მიაწოდა.

გერმანელმა უსიტყვოდ გამოართვა სათლი და ბაჯბაჯით წაიღო სამზარეულოსაკენ. სტეპანიდას უცებ გვერდით პეტროკი ამოუდგა, აქეთ-იქით ძიიხედნიოხედა და ჩასჩურჩულა:

— ცოტა იყო, იცი... მაგათმა არ...

— ეყოფათ! — მაშინვე შეაწყვეტინა სიტყვა ცოლმა და ძროხას გავაზე დაუტყაპუნა, ბოსლისკენ უბიძგა. მაგრამ იმავე წამს შეაკრთო სამზარეულოსთან აღშფოთებულმა დატატანებამ:

— ჰალტ!

ეს ის ფელდფებელი იყო, ბრაზით წამოჭარხლებულმა და განრისხებულ-



აღელვებულმა გამოსტაცა სათლი კარლას და სანამ სტეპანიდა მიხვდებოდა, რა სურდათ მისგან, სათლიანად მოვარდა მასთან და ცხვირწინ აეტუზა. რალაცას სხაპასხუპით და გაბრაზებით ეუბნებოდა, თან სათლს იქნევდა. სტეპანიდა უსმენდა და უკვე ზედებოდა, რაზე ბრაზობდა გერმანელი.

— მეტი რძე არ არის. მორჩა.

— მოფჩა? ალესს?



ჩამრგვალეზულმა ფელდფებელმა რალაც კიდევ თქვა <sup>მეტი რძე არ არის</sup> ~~მეტი რძე არ არის~~ მერე ცოცხლად მიბრუნდა სამზარეულოსკენ, იქ ვილაც მოძებნა <sup>მეტი რძე არ არის</sup> ~~მეტი რძე არ არის~~ და თავი დაუქნია, — კომ! ისევ ის კარლა კვლავ აუჩქარებლად, ბაჯბაჯით მივიდა ფელდფებელთან, გამოართვა სათლი და გაუბედავად გადადგა ნაბიჯი ძროხისაკენ, რომელსაც, ეტყობა, ვერაფერი გაეგო და შეშფოთებულ თვალებს ავლებდა ირგვლივ. გერმანელი რომ მიუახლოვდა, ძროხამ, თითქოს განზრახვას მიუხვდაო, საჩქაროდ ზურგი შეაქცია. კარლა იძულებული გახდა ისევ თავი დაეარა მისთვის და გვერდიდან მისდგომოდა. ასე განმეორდა ორჯერ თუ სამჯერ, სანამ ფელდფებელმა პეტროკს არ დაუყვირა და იმანაც შეშინებულმა ხელი არ სტაცა ბობოვკას რქებში.

სტეპანიდამ უკვე იცოდა, ახლა რა მოხდებოდა, და შეშინდა — ჩემი ტყუილი სადაცაა გამოჩნდებაო. თან გულისამრავი სანახავი იყო, სალდათი რომ ძროხის მოწველას აპირებდა და მისი სულელი პეტროკი ეხმარებოდა. საცოდავი ბობოვკა, რას უპირებენ! ნეტა მისი თვალები არ ხედავდნენ ამას. მაგრამ ასე იყო თუ ისე, როგორღაც მოახერხეს მოწველა, სათლში რძე აჩხრიალდა, ფებებგაჩაჩხული კარლა ძროხის მუცელთან დახრილიყო და უგერგილოდ ჩაქცეროდა ცურს, ძროხა ფებებს იქნევდა და თავს ატრიალებდა, ალბათ რჩოლა უნდოდა, მაგრამ პეტროკს მაგრად ეჭირა. ჩუმი რისხვით დაძაბული სტეპანიდა მოშორებით იდგა, თვალები ვერ აეწია მაღლა, ისედაც ყველაფერს ხედავდა, გუნებაში წყევლიდა გერმანელებს, ყველაზე მეტად კი ამ გასიებულ ფელდფებელს, რომელიც ახლა დაძაბული აღევნებდა თვალს, რაც ხდებოდა. ბოლოს, სულ რალაც ხუთ წუთში, სტეპანიდამ სათლში ჩაიხედა და უფრო მეტად მოიკუნტა — რძე შესამჩნევად მომატებულიყო. აი შე სულელო ბობოვკა, რატომ აძლევ მაგათ რძეს! მაგრამ, ეტყობოდა, ძროხასაც ეშინოდა, ეშინოდა პეტროკსაც, ძროხას რომ ძალით იჭერდა, მუხლებზე დაკონკილ მაუდის შარვალში ნახევრად მოხრილი ფებები უძაგძაგებდა. შიში თანდათან იპყრობდა სტეპანიდას. იცოდა, ეს საქმე კეთილად არ დამთავრდებოდა.

— გენუგ! — ბრძანა უცებ ფელდფებელმა, სათლი რომ პირთამდე აივსო. კარლა წელში გასწორდა და ფრთხილად, რომ არ დაღვროდა, რძე წინ დაუდგა უფროსს. ფელდფებელმა სიძულვილით შეხედა სტეპანიდას და მკაცრად მოკუმა ყბები. — კომ!

ქალმა უკვე იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს მოკლე სიტყვა, და აუჩქარებლად, მონუსხულივით მივიდა გერმანელთან, რძიანი სათლისათვის თვალის მოწყვეტა ვერ შეძლო. ეგონა, მიყვირებს, დამემუჭრებაო, მაგრამ ფელდფებელს არ დაუყვირია, ეს იყო, მძიმე რევოლვერის ბუდე ქამრის ბალთისკენ მისწია.

— პანოჩკუ! — უცებ უცხო, ჩახრინწული ხმით დაიყვირა პეტროკმა და მუხლებზე დაეცა წვიმისაგან ატალახებულ მიწაზე. — პანოჩკუ, ნუ იზამთ!

სტეპანიდა ახლალა მიხვდა, რომ გერმანელი რევოლვერის ამოღებას აპირებდა და გული უსიამოდ შეუკრთა. თუმცა ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ



მისწერებოდა, როგორ უგერგილოდ აწვალებდა იგი რევოლვერის ბუდეს. მგონი, ვერა და ვერ შეეხსნა. პეტროკი ისევ შეევედრა. უფრო ახლოს მიუჩინდა მუხლებით, ხელში დაჭმუჭვნილი კეპი ეჭირა გაჭალარავებულს. წვერგანობა სავსა და დამფრთხალს. სტეპანიდა კი გაქვავებული იდგა, თითქოს სიკვდილს დაუმორჩილებელი და მის შესახვედრად ყოველ წამს მზადყოფნაში ყოფილიყო. ფელდფებელმა რევოლვერის ბუდეს გრძელი თეთრი ძეწკვი შეხსწმუნდა. ნემ სტეპანიდა მიხედებოდა, რას უპირებდა, მწვავე ტკივილმა აუწვა მხარ-კისერი. ქალმა ასწია ხელი და იმავე წამს თითები დაუკრუნჩხა ძლიერმა ტკივილმა. შემდეგი დარტყმა ზურგში იგრძნო: კიდევ კარგი, რომ მხრებზე ჯუბა ესხა, იმან შეუმსუბუქა დარტყმის ძალა. გაავეებული ფელდფებელი გერმანულად იგინებოდა და რამდენჯერმე კიდევ გადაუჭირა ძეწკვი. ყველაზე ძლიერ თითები მეორე დარტყმაზე ეტკინა. ზურგის ტკივილმა თითქმის გაუარა. სტეპანიდამ უკვე მოახერხა დარტყმისგან თავის დაცვა — თითებს კი არა, ახლა იდაყვებს იფარებდა, გერმანელმა ერთი-ორჯერ კიდევ რომ გადაუჭირა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ეტყობა, მიხვდა, რომ ეს არ კმაროდა. მან დაუშვა ძეწკვი და ახლა ისე დაიყვირა, თეთრფეროვანი სახე მთლად წამოუჭარხლდა დაძაბულობისაგან, მაგრამ სტეპანიდა თითქოს ყრუ იყო, აღარ ესმოდა მისი ყვირილი და არც სურდა გაეგო. ოდნავ გახელილი თვალებით ხედავდა, რომ კარვისა და სამზარეულოს ახლოს სალდათები შექუჩულიყვნენ და მხიარული ყივილ-ხივალნი ჰქონდათ, როგორც ჩანდა, ასეთი დასჯა ძალზე სასაცილო ეჩვენებოდათ. გართობად მიაჩნდათ და სხვად არაფრად. რა ვუყოთ მერე, იცინეთ. წყეულებო, გაერთეთო. იფიქრა ქალმა, ურტყით საცოდავ ქალს, ვისაც არავინ ჰყავს დამცველით. მაგრამ იცოდნენ კი, რომ ამ ქალის შვილი ჯარისკაცია და ყველაფერს გაგიხსენებთ. შეიძლება ახლა არა, მაგრამ შემდეგ დადგება დრო და სამაგიეროს გადაგიხდით დედის ტკივილისა და დამცირებისათვის. შენც ადექი, პეტროკ, არ არის საკადრისი ამათ წინაშე მუხლებზე ფორთხვა. დაე, რაც არის, არის, სტეპანიდა თავისივე ეზოში გაწკებლეს უცხო სალდათთა სიცილ-ხარხარში, მაგრამ იგი შოიომენს — ყველაფერს მოითმენს. შენც უნდა მოითმინო.

ყურის ძირში კისერი ეწვოდა. მარცხენა ხელის თითებს ველარ შლიდა, როცა ენით უთქმელად შეურაცხყოფილმა ნელი ნაბიჯით გადაიარა შეშისსაჭრელი, რომ ამ უტიფარ თვალებს მოფარებოდა ან იქნებ წაეტირა კიდევ. მაგრამ ისე, რომ ამათ არ დაენახათ, ძალიან ჟნდოდა ეტირა, ცრემლი რომ არ გაშრობოდა. მაგრამ ცრემლები კარგა ხანია დაღეოდა, რისხვალა შემორჩენოდა, ნებისყოფით დათრგუნული, და ეს კიდევ უფრო უკლავდა გულს. მაგრამ მაინც დაე, მოხდეს მოსახდენიო, ინუგეშებდა თავს, მერე კი ვნახოთ, იქნებ საღამომდე არ მომკლან, არ დამხვრიტონ, ცოტა ხანს კიდევ ვიცოცხლოო...

8

მთელი ღამე გათენებამდე მოუსვენრად წრიალებდა პეტროკი მაგარ კასრებზე, ტყაბუჭწაფარებული, დაიძინებას ცდილობდა. ჯერ ყურს უგდებდა ეზოს ხმაურს, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დაღამდა, დიდხანს ისმოდა უცხო ენაზე ლაპარაკი, შეძახილები, გერმანელების სიცილი — რატომღაც გვიანობამდე ვერ დაცხრნენ. წინკარიდან მოისმოდა კარების ჯახუნი, ქოხში შერბოდ-გამორბოდნენ, ჭურჭელს აჩხარუნებდნენ — უფროსობას უმასპინძლებოდნენ. შუალამე გადასული იქნებოდა, რომ იქაურობა მიწყნარდა, ჯარისკაცებმა კარავში დაიძინეს, მაგრამ პეტროკს ძილი არა და არ ეკარებოდა,



ერთთავად იმას ფიქრობდა და სწუხდა, რა უნდა ვქნათ? ეს რა სასჯელი გამოუგზავნა ღმერთმა ორ ბებერს, რატომ დასაჯა ასე? პეტროკს უნდოდა კოლისთვის ეკითხა, მაგრამ მის მოკუდულ ჩურჩულს ქალი არ აგონებოდა. არადა, პეტროკიც ვერ ბედავდა უფრო ხმაშაღლა ლაპარაკს. მთელი მისი ცხოვრება შუდამ ყველაფრისა ეშინოდა, ახლა კი მართლაც რომ ვერ უნდა შიშის მიზეზი.

გამთენიის ხანს მაინც ჩასთვლიდა, ეტყობა, სულ ცოტა ხნით, და სადაგელი, სულელური სიზმარი ნახა — ფარდულში დოლაბებს ქვემოთ ვირთხის სორი რომ იყო, სიზმარში ვითომ იქიდან რაღაც საზიზღარმა, ტახივით გრძელ-გშვება არსებამ დრუნჩი გამოყო. პეტროკმა ცოცხი ესროლა, მერე კი ჯობით გამოენთო, მაგრამ ამაოდ: ვირთხა მიიშალა, თუმცა იმწამსვე ისევ გამოჩნდა, ეშვებიანი პირი დაკრიჭა და ისე შესცქეროდა პეტროკს, თითქოს ეძუქრობოდა ან დასცინოდა. გამწარებულმა პეტროკმა ზღუბლზე დაჟანგულ, ძველ ცუღს წამოავლო ხელი და იმ კუთხეში ისროლა. ცუღი დოლაბებს წამოედო, დოლაბები გრილით ჩამოიყარა და ფარდულში მტვრის ღრუბელი დააყენა.

პეტროკს იმავე წამს გაეღვიძა და მაშინვე მიხვდა, რომ რაღაცამ მართლაც დაიგრილა საღდაც ახლოს. ფარდულში სინათლე იყო, გათენებულყო. მიწურიატაყზე მისი ჭლანები ეყარა, დოლაბები თავის ადგილას იდო კუთხეში. სტეპანიდა კი აღარსად ჩანდა. სარკმლის ქვემოთ ფიცრის ტახტზე მისი დაჭმუჭნილი თივის ლეიბი ეგო. პეტროკს ფეხთ არ ჩაუცვამს, ჭუჭყიან, აბლაბუდამო-ღებულ სარკმელს მიაწყდა და იქიდან გადახედა ეზოში მდგარ სამზარეულოს, სწადაც ის ძვალტყავა ავი მზარეული ხელში შაშხანაშემართული იდგა. მან საკეტი გააჩნაკუნა, პილზი ბალახზე გადმოავდო, ჭიშკრისკენ გაემართა და ყვითელღვედიანი შაშხანა სამზარეულოსთან მესერზე ჩამოჰკიდა. სტეპანიდაზე შიშით შეპყრობილმა პეტროკმა ტყაბუჭი მხრებზე მოიგდო და ფეხშიშველი გამოვიდა წინკარიდან; იქვე კარვიდან გამოძვრა სალდათიც, ლურჯ მაისურზე აჭიმები რომ ეკეთა და თავზე მაუდის პილოტურა ეხურა. მან რაღაც უთხრა მზარეულს, რომელიც ამასობაში მესერს მოეფარა. თუმცა მალე ყველაფერი გაირკვა: მზარეული ჭიშკარში გამოჩნდა, აწეულ ხელში ეჭირა მომჩვარული, ნისკარტგასისხლიანებული ყვავი, რომელიც ისევ ფართხალებდა.

პეტროკმა მზერა ბოსელზე გადაიტანა, რომლის კარი მოფლეთილი იყო, ეტყობა, სტეპანიდას უკვე გაედენა ბობოვკა. ამაზე დაამშვიდა, ყვავი რაში ენადვლებოდა, ჯანდაბას მისი თავი, რას მოდიოდა და ყრანტალებდა აქ, იმდები იყრანტალა, სანამ თავისი არ დაიმართა...

პეტროკი ისევ საკუჭნაოში დაბრუნდა და კარი გაიხურა. გრძნობდა, ახლა საჭირო იყო რაც შეიძლება ნაკლებად გასულიყო ეზოში, თვალში არ შეჩხირებოდა სალდათებს და წყნარად მჯდარიყო თავის ძველ თავშესაფარში. პეტროკმა ჩუმად წაყო ფეხები ჭლანებში, ცდილობდა ამ სიბნელეში რაიმეს არ წამოსდებოდა და ხმაური არ აეტება, ტყაბუჭში მაგრად გაეხვია და ფანჯარასთან დადგა. თამბაქო მოუნდა, მაგრამ ასანთი არ ჰქონდა და მოთმინებით ელოდებოდა, კაცმა არ იცის, რას... ამასობაში მთლად გათენდა, გერმანელებმა გაიღვიძეს და ეზოში აბორიალდნენ, ნახევრად შიშველნი, ქვედა საცვლებისამარა, ცისფერ და თეთრ მაისურებში, ზოგი ბოსელს უკან ვარბოდა მოსასაქმებლად, ზოგი თამბაქოს აბოლებდა. ზოგი კარავთან დამდგარიყო და ხალისიანად ვარჯიშობდა. ერთმა, ჩამოშვებულაჭიმებიანმა, ჭიდან სათლით წყალი ამოიღო და მესრის ძირში, სამზარეულოს მხარეს შეუდგა პირის ბანას. სხვებს უკვე.



ლეიბზე სარკე მოემაჩვებინათ და რაღაცნაირი მოკლე საპარსებით პირს იპარ-  
საედნენ. სათვალთან, აყლაყუდა ჭაბუკი. კეფაზე მალლა აჭრილი თმა რომ  
ჭკონდა, ნელა დასეირნობდა ეზოში, რაღაცას ინტერესით ათვალიერებდა  
კუთხე-კუთხე თუ სახურავზე, შეშისსაპობთანაც შეჩერდა და ფანქარით რაღაც  
ჩაიწერა პაწაწა შავ წიგნაკში. მერე შეინახა წიგნაკი. ბოსელს ჩაუხარა და ღმა  
კარიდან შავნით შეიჭვრიტა. პეტროკს მოეჩვენა, იქ თითქოს რაღაცა მუშაობდა.  
მაგრამ გვერდითა გიბიდან გერმანელმა ისევ ამოიღო თავისი წიგნაკი და კვლავ  
ფაქიზად ჩაიწერა რაღაც. „სწავლული ვილადა, — გაიფიქრა პეტროკმა, —  
მაგრამ ნეტა ბოსელში რა არის საცქერი?“ ელოდებოდა, რომ სალდათები ერ-  
თად შეიყრიან თავს და ხიდზე წავლენ, ხომ უნდა იმუშაონო იქ. მაგრამ დრო  
გადიოდა, სამზარეულოდან კვამლი ამოდიოდა და რაღაც უცხო გემრიელი  
სურნელი ტრიალებდა. გერმანელები კი ისევ არ იცვლიდნენ ეზოდან ფეხს,  
ყველაფერზე ეტყობოდათ, სამუშაოდ არ მიიჩქაროდნენ, არც ოფიცერი და  
ფელდფებელი ჩანდნენ. ალბათ მათ ქოხში ეძინათ — წინკარში დილას აქეთია  
არავის შეუხედავს.

გარეთ შემოდგომისათვის შეუფერებელი თბილი დილა იდგა. სალდაც  
ღრუბლის თხელ საფარს იქით ციმციმებდა მზე, რომელიც საცა იყო ჩახჩახა  
შუქს მოჰფენდა იქაურობას. სითბო რომ იგრძნეს, გერმანელები ჩაცმასაც არ  
ჩქარობდნენ, ერთი, მზისგან გაშავებული ზურგი რომ ჰქონდა, კარგა ხანს  
კმაყოფილებით იბანდა პირს ჭასთან, თან ტრუსებში გაღებული უკანალი უტო-  
კავდა, მეორე კარდალიდან უსხამდა წყალს და ორთავენი ახალგაზრდულად, უზ-  
რუნველად იცინოდნენ. მზარეულოსა და კარლას დღეს სუფთა, თეთრი ქურთუ-  
კები ეცვათ, სამზარეულოსთან საქმიანობდნენ. კარლა დახრილიყო და ღუ-  
მელში იჭექებოდა. ხოლო მზარეული რაღაცას ურევდა თავახდილ ქვაბში. იმ  
მოკლულ ყვავს ორი უკვე ჩაცმული, უქუდო გერმანელი ღობეზე აღურსძავ-  
და; ფაქიზად დაულაგეს ფრთები, რომ ცოცხალს მგვანებოდა, მაგრამ მკვდარ  
ჩიტს თავი ვერ გაუჩერეს, გვერდზე უვარდებოდა. მაშინ ერთ-ერთმა გერმა-  
ნელმა წვრილი მავთული მოიტანა და მისი დახმარებით გაუსწორა თავი, თუმცა  
ყვავს მაინც ეტყობოდა, რომ მკვდარი იყო. გერმანელმა ის იყო უკან დაიწია,  
რათა თავისი ნახელავით დამტკბარიყო, რომ წინკარში კარი გაჯახუნდა. პეტ-  
როკმა ყურები ცქვიტა და სარკმელში აღმაცერად გაიჭვრიტა — ზღურბლთან,  
ქვებზე იდგა ოფიცერი, მასაც მოეღელა კიტელი და თავზე შავი ქოჩორი აბურ-  
ჭნოდა. მან მოათვალიერა ეზო, სადაც მაშინვე გაიჭიმნენ და მიყუჩდნენ სალ-  
დათები, და რაღაც უთხრა იმას, ყვავთან რომ იდგა. იმ სალდათს კი პასუხად  
ლიმილით გაეზადრა ჭაბუკური, მზედაკრული სახე და კარვისკენ გატრიალდა.

პეტროკი კედლის მორებს მიეკრა, ცდილობდა დაენახა, რა მოხდებოდა,  
თუმცა ისედაც აშკარა იყო ყველაფერი. ოფიცერი პარზალიდან უმიზნებდა  
ყვავს. სანამ იგი მიზანში იღებდა, მისი დამბაჩის მოკლე ლულა ნელა ირხეოდა,  
მერე ცოტა ხნით გაირინდა და მოულოდნელად გაისმა გასროლა — ჩიტის  
ნაკრტენი პაერში აცვივდა.

— ბრავო! ბრავო! — აატყაბუნეს ხელისფულები იმან, ჭასთან პირს რომ  
იბანდა, მეორემ, რომელიც გვერდზე ედგა პირზე საპონწასმული და კიდევ  
ვიღაც მესამემ, რომელსაც პეტროკი სარკმლიდან ვერ ხედავდა. მაშინ ოფი-  
ცერმა ისევ დაუმიზნა და ისევ გაისროლა, ამჯერად ტყვიამ ყვავს ნისკარტიანი  
თავი წააცალა. კმაყოფილმა ოფიცერმა დამბაჩა ბუდეში შეინახა და სამზა-  
რეულოსაკენ გაემართა, გზადაგზა კიტელს იცვამდა. საიდანღაც მასთან ფუს-



ფუსა ფელდფებელმა მიიბინა და გააბეს გაუგებარი ლაპარაკი, რომლისთვისაც პეტროს აღარ მოუვდია ყური.

ფანჯარასთან მჯდარმა სხვა ხმა გაიგონა, რამაც წუთით დააბრია რადგან არ იცოდა, რა ექნა — ფარდულის ყრუ კედლის უკან, სადაც პეტროს ბაღია ჰქონდა, გაშლს ბერტყდნენ. ისმოდა ფოთლების ძლიერი შრიალი და მიწაზე ჩამოყრილი ვაშლების ხშირ-ხშირი კაკაკუკი, ეს მისი ანტონისა და მისი ძმისა რომ უფროსილდებოდა ზამთრისთვის. რასაკვირველია, პეტროსი კარგს არფერს ნოელოდა ამ სალდათებისაგან, მაგრამ განა მოწიფული კაცი ასე მოიქცევა? კარგი, ჰო, მოეწყვიტათ ხუთიოდე თუ ათიოდე ვაშლი, თუნდაც ორივე პილოტურა აევისთ ვაშლებით — დროზე ადრე ნაყოფი რად უნდა დაბერტყო ხიდან? მერე ეს ოფიცერი რატომ არ დაუშლის?

ამ მოულოდნელი ამბით გულმოკლული პეტროსი წინკარის გაღებული კარიდან გამოვარდა, ზედ მიწაყრილთან გაჭიმულ კარავს ჩაურბინა და ბოსტანში შევარდა. რასაკვირველია, ასეც იყო. ერთი გერმანელი ფეხებგაჩაჩხული შემჯდარიყო ვაშლის ხეზე და ტოტებს არხევდა, მწიფე ვაშლები მძიმედ ცვიოდნენ კვალში, სადაც ქუდში იყრიდა თმაწითური ავადმყოფური შესახედაობის მეორე გერმანელი. პეტროსი მიჯნაზე შედგა და საყვედურითანი ძხერა მიაპყრო მათ. მაგრამ იმათ ზედაც არ შეხედეს, თითქოს ისიც ხე იყო და არა ამ ხუტორის პატრონი.

— მაინც არ არის კარგი, — პეტროსი ცდილობდა, რაც შეიძლება მშვიდად ეთქვა სათქმელი. — თქვენს ოფიცერთან გიჩივლებთ. არ არის კარგი საქციელი ეს, ბატონო გერმანელებო.

ის, წითურა, ჯერ კიდევ ბიჭუნას რომ ჰგავდა, წელში გაიძართა, როგორც ანცად შეხედა პეტროსს და ხითხითით ესროლა ნაკბეჩი ვაშლი. პეტროსმა მლივს მოასწრო დახრა, ვაშლი მის უკან კედელს მიეხეთქა და ჭინკარში ჩაეარდა.

— ავკაცები ხართ! — თითქმის განწირული ხმით აღმოხდა ყვირილი პეტროსს. — აბა ერთი დამაცადეთ!..

პეტროსი გატრიალდა მტკიცე გადაწყვეტილებით, ოფიცრისათვის შეეჩივლა ეს ამბავი. მაგრამ ოროვანდების გაყოლებით მიმავალს გადალობილამდე არ მიეღწია, რომ შესისსატრელზე ორჯერ ზედიზედ გაისმა სროლის ხმა და ღობეს შემზარავი კაკანი გადმოველნენ ქათმები. პეტროსს ცალი ჯღანი კვალში ჩარჩა, საკუჭნაოს ამ მხრიდან მიაშურა ფარდულს. ერთხელ კიდევ გაისმა სროლა, აყლაყულა გერმანელი მსუბუქად გადმოველო ბოსტანს და თითებგაპარჭყული შევარდა შამბნარში. უკან, ძველ მორთან, რევოლვერით ხელში იდგა ფელდფებელი, რაღაცას გაცხარებით ელაპარაკებოდა ორ თუ სამ სალდათს და ისიც კბილებდაკრეჭილები შესცქეროდნენ — იცინოდნენ. შორიდან ყველაფერ ამას გულთბილი ღიმილით ადევნებდა თვალს ოფიცერი. იგი ბოლთას სცემდა, ნოშორებით, გულგაღებული კიტელი ეცვა, საიდანაც დროდადრო უჩანდა ღვედზე დაკიდებული რევოლვერის შავი ბუდე.

პეტროსს მყის გაუქრა სიმტკიცე და შეჩერდა — ვისთვის უნდა შეეჩივლა? ის, რასაც სალდათები სჩადიოდნენ, ეტყობა, სულაც არ იყო მათთვის აკრძალული, აღმათ მათი მეთაურებიც მაგათნაირები იყვნენ და ყველაფერი ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდათ. მძლევაართა, გამარჯვებულთა უფლებად. ამასობაში აყლაყულა ღობეზე გადმოვიდა, აწეულ ხელში ფეხებით ეკავა მოკლული



დედალი, რომელიც ჯერ კიდევ თავგანწირვით აფართოვებდა ფრთებს. ფელდ-ფებელს რევოლვერი ეჭირა ხელში, აქეთ-იქით იყურებოდა. ეტყობოდა, კედევ ეძებდა ქათმებს. შეშინებული დედლები კი, სადაც მოხვდათ, იქ დაშინდნენ. ეზოში ერთი კი არ ჩანდა. პეტროკმა საშინელი უმწეობა იგრძნო და წაღვლიანად წაჩანჩალდა, არ იცოდა, სად წასულიყო, თავის სახლ-კარისკენ უნდა არ დაენახა. თუმცა უკვე მოხვდა თვალში ფელდფებელს, რომელმაც დაუშვა, სახიდან მონადირის უწყინარი სიხარული ჩამოირეცხა და დაუღრიალა:

— კომ!

ოპ, რაღა თქმა უნდა, ახლა რაღაც შარს მოდებს. იქნებ სცემოს, ეს კარადა, მიახვრიტოს კიდევაც პეტროკი, ბევრს კი არ მოელოლიავენ. პეტროკი, როგორც იყო, ისევე, ცალფეხშიშველი შეჩერდა კედეში ჩამოშლილ შეშის ხორასთან.

— მლეკო! ვარუმ ნიკს მლეკო?

ფელდფებელი პასუხს ელოდა, გვერდით კიდევ ორი გერმანელ უღვა. აქეთკენ გამოემართა ოფიცერიც, გაღელილი კიტელის მრავალრიცხოვანი ღლები ჯერაც არ შეეკრა.

— ძროხა საძოვარზეა, — უბრალოდ უთხრა პეტროკმა, ცოტა არ იყოს გაოცებულმა ამ მიაშიტური შეკითხვით.

— კომ კოროვა! ჩქარა! გაიგე? — დაუყვირა ფელდფებელმა. პეტროკმა გაიფიქრა: რას ჩააცივდნენ რძეს, ნუთუ მეტი არაფერი აქვთ საჭმელი, ასე რამ შეაყვარათ ეს რძეო? — კომ კოროვა! ნახ პაუზ კოროვა! გაიგე?

— გავიგე, — ნაღვლიანად მიუგო პეტროკმა და უკან, ბოსტნისკენ მიბრუნდა. უნდა წასულიყო და სტეპანიდა თავის ბობოვკიანად ბარდებში მოეძებნა.

ბოსტანში გერმანელები უკვე მეორე ვაშლის ხეზე ამძვრალიყვნენ. მკავე პატარ-პატარა ვაშლები რომ ესხა ბლომ-ბლომად, სალდათები უბეებსა და პილოტურებს ივსებდნენ ვაშლებით. ორი გერმანელი კიდევ რაღაცას აკვირდებოდა მიწაზე, კვლებზე დასუნსულებდნენ, ჯერ კიდევ აუღებელ ხახვს, ქარხალს, სტაფილოს ფეხებით თელავდნენ. ამჯერად პეტროკს არაფერი უთქვამს მათთვის — დაე თელონ, ქამონ, ყელში გაჩხირვიათ თუნდაც. კვალში პეტროკმა თავისი ჯღანი იპოვა და კვლების გადავლით გაეშურა ლარტაფისაკენ. უკვე ამკარა იყო, ბოსტნეულს, ხილსა და მთელ მეურნეობას უნდა გამოეთხოვოს, ამათგან ველარაფერს გადაარჩენს კაცი. ნეტა თავი კი შერჩებოდეს და!

პეტროკი აუჩქარებლივ მიუყვებოდა ბილიკს, თავისი სახლიდან სროლის მოლოდინში იყო, ალბათ ერთ დედალს არ დასჯერდებიანო, ფიქრობდა. პოდა, ლარტაფის ნაპირას, ბუჩქნარს რომ მიაღწია, უკნიდან სამჯერ ზედიზედ იგრიალა. პეტროკმა მიიხედა. არა, აქედან არაფერი მოჩანდა, ეზოში ისროდნენ, სახლის იქითა მხარეს. ნეტა დაერეოდნენ ერთმანეთსო, იფიქრა, ამქვეყნად ცოტანი დარჩებოდნენო. არა, რა თქმა უნდა, აქამდე არ მივა საქმე, აი ქათმებს კი მუსრს გაავლებენ ნამდვილად. თანაც ნახე ერთი, თითქოს სულაც არ მიიჩქარიან სამუშაოზე, ხიდზე, დასვენების დღე აქვთ ან იქნებ რაიმე დღესასწაულით, ფიქრობდა პეტროკი. ძალიან უნდოდა წასულიყო და აღარ დაბრუნებულყო ამ ხუტორში, მით უმეტეს, რომ დილიდანვე გამოიდარა, ცა მოიწმინდა, მზე აცხუნებდა კედევ, ქარმა სამხრეთიდან პირი იბრუნა, რაოდენი დახანებული ალერსი იგრძნობოდა ბუნებაში. შემოდგომაზე ასეთი რამ ხშირად როდი



ჩდება და მუდამ სიმშვიდითა და სიკეთით აღავსებს გლეხკაცის გულს. ახლაც მოესალბუნებოდა სულსა და გულს, ეს ომი და ხუტორში ეს დაუპატიჟებელი სტუმრები რომ არ ყოფილიყვნენ.

ჰო, სტეპანიდა მაინც უნდა მოძებნოს.

პეტროკმა ტყის პირის გაყოლებით მინდორს ზემოთ ღარტაფამდე მიიღწია. წაქცეული მუხის ქერქგადაყვლეფილ თეთრ მორთან შეჩერდა და შეწყურადა. სტეპანიდა და ძროხა არსად ჩანდნენ, რომ დაავიანოს, რას ბრწყინან გერმანელები? ჯერ კიდევ იმ წინა ომის დროს ხალხისგან გაუგონია, გერმანელებს არ უყვართ თურმე, მაშინვე რომ არ შეასრულებ მათ ბრძანებებს და ვაი იმას, ვინც ზოზინაა და ხელგამოუვალი. თუ ვერ აამებ, ქათამივით გაგაფრთხოვინებენ სულს, გაფრთხოებასაც ვერ მოასწრებ, ისე.

ბევრი რომ ირბინა ვერძის ხევის ბარდებში, უცებ ჭაობის პირას ბუჩქნარის შრიალი მოესმა. ბობოვკა იყო, ხოლო მის გვერდით სტეპანიდა იდგა. ქალი სვეგამწარებული განდგომილის მზერით მოაჩერდა შორიდან პეტროკს, ელოდა, ახლოს როდის მოვაო, ეტყობა, ცუდს უგრძნობდა გული.

— სად შემძვრალხართ აქ! ძლივს გიპოვეთ! — მოღლილად ჩაილაპარაკა პეტროკმა, ძლივს რომ მიიკვლევდა გზას ნორჩ, თითქმის უკვე მოტიტვლებულ, უფოთლო ვერხვნარში. — რძეს თხოულობენ.

სტეპანიდა წუთით დაფიქრდა, ყური მიუგდო.

— შენც ვეტყოდი: არ არის-თქო, გუშინ გამოილია-თქო.

— ასე თქვეს, ძროხა მოგვიყვანეთ. ალბათ თავადვე მოწველიან. ქათმებს ხოცავენ. ვაშლები სულ ჩამოყარეს.

სტეპანიდამ მშვიდად მოისმინა ეს უსიამო ამბები. არაფერი უკითხავს, თავსაფარი კიდევ უფრო მაგრად შემოიხვია ყელზე.

— ბრაწი მაგათ, — თქვა ბოლოს და მივიდა ძროხასთან, მშვიდად რომ ძოვდა ბალახს ბუჩქნარში.

პეტროკს ეგონა, ძროხას გამოაბრუნებსო ალბათ და ორივენი შინ გავდნითო. მაგრამ, ეტყობა, სტეპანიდა სულ სხვას ფიქრობდა, იგი მტკიცედ ჩაცუცქდა ძროხასთან.

— რაო, რას აპირებ?

— რასაც ხედავ.

რაღა თქმა უნდა, სტეპანიდა ბალახში ძროხის მოწველას შეუდგა, პეტროკს კიდევაც შეეშინდა.

— ჰო, მაგრამ, რძე ხომ...

— ბრაწი-მეთქი მაგათ, რძე კი არა...

მართლაც რომ ბრაწი ეკუთვნითო, გაიფიქრა პეტროკმა, თან დაბნეული მისჩერებოდა, როგორ უჩინარდებოდა სტეპანიდას ხელებიდან გადმოსხმული რძის თეთრი ქავლები წვრილ, ჩამოცვენილი ფოთლებით მოფენილ ბალახში. ბალიან კარგად იცოდა თავისი ცოლის ხასიათი და ისიც, რომ ვერ გადაარწმუნებდა, განსაკუთრებით გუშინდელს მერე, გაწკეპლილსა და შეურაცყოფილს. ამიტომ სანამ ქალი ძროხას გამოწველიდა, პეტროკი მორჩილად იდგა მოშორებით, ბუჩქნარში.

— ჰოო... რა უნდა ვქნათ?

— აი, ახლა წაიყვანე. დაე მოწველონ.

სტეპანიდამ რქებზე ბაწარი მოავლო და მეორე ბოლო პეტროკს შეაჩერა ხელში.



— აჰა, გაღენე!

პეტროკმა ძროხა ტყის პირას მიიყვანა და ხუტორისაკენ მიმავალ გზას გაუყვია. სტეპანიდამ ჯერ შეიყადა და მერე უკან მიჰყვია მათ. ბობოვკას პეტროკი არაფერი გაეგებოდა თავისი პატრონების განზრახვისა, ხან მიდიოდა, ხან ჩერდებოდა, გზადაგზა ბალახის ბლუჯებს გლეჯდა, ეტყობოდა, კუჭზე ვერაფერი ღებოდა და შინისაკენ არ მიუწევდა გული. თითქოს გრძნობდა, რომ კარგი იქ არაფერი ელოდა, საღამომდე ხომ ჯერ დიდი დრო იყო. პეტროკი ძლივს მიაფრატუნებდა სველ ჭლანებს. თან შიშით ფიქრობდა, კარგი საქმე არაა, — გამოწველილი ძროხა მიუყვანო მაგათო. მაგრამ რას გააწყობდა, ძროხა არ იყო მისი, უფრო მეტად ცოლს ეკუთვნოდა, ხოლო გუშინდელი ამბის შემდეგ სტეპანიდა, რასაკვირველია, მეტად განაწყენებული იყო და ჰქონდა კიდევაც საბაბი. ვერც პეტროკი შეიკავებდა ალბათ თავს, ისიც რომ მასავით გაეწყებლათ რევოლვერის ძეწკვით. საბედნიეროდ, ჯერჯერობით პეტროკს მხოლოდ აშინებდნენ. თუმცა დაშინებას ნაჩვევი იყო, შიშსაც კარგა ხანია შეეგუა და მალე გონს მოგებაც ისწავლა. აბა სხვაფრივ როგორ უნდა გაეძლო, ისიც ამ ომში.

თითქოს რაღაც უგრძნოო გულმა, ხუტორთან ბობოვკა მთლად გაჩიქდა და ბოსტანიდან ეზოში შესვლას უარობდა: ფეხს არ სძრავდა, თავზე ბაწარს იგრეხდა და პატრონს შესცქეროდა. პეტროკი უყვიროდა, ექაჩებოდა, მაგრამ სანამ უკანიდან სტეპანიდამ წნელი არ გადაუჭირა, ვერაფერი გააწყვეს მასთან. აქა ლარტაფზევე მიხვდნენ, რომ გერმანელები დღეს არც კი ფიქრობდნენ ხუტორიდან გამოსვლას — ახლა ღრიანცელი და სიცილი ისმოდა იქიდან. რაღაც მწყობრი და დაბალი ხმით ბუხუნებდა ჰაერში. პეტროკმა გახედა ფარდულთახ მდგარ ანტონოვკას — კენწეროშილა შერჩენოდა რამდენიმე წვრილი ვაშლი, ისე კი მთელი ხე გაცლილი იყო, ერთი მსხვილი ჩამომტვრეული ტოტი მიწამდე დაკიდულიყო. მთელი ბოსტანი გადაქელილი იყო ჩექმებით, კვლები — გადათვლილი; კიტრის ნათესებში დატყლული სათესლე კიტრები მოჩანდა. „ეს რა ღვთის რისხვაა, — გაიფიქრა გულმოკლულმა პეტროკმა — რა ცოდვა გვქონდა ასეთი? ან რაღა მე დამატყდა თავს ეს ღვთის რისხვა?“

ჯერ კიდევ ბოსტანშივე მიხვდა პეტროკი, რომ ეზოში თამაში იყო გაჩაღებული — გაცხარებულ ლაპარაკში ისმოდა ბურთის ბათქაბუთქი და სიცილი. მალე ეს კვახივით გეგბა ყავისფერი ბურთი ფარდულს უკნიდან გამოგორდა, ავალდავალ თამაშით შეხურებული თეთრფეროვანი ჭაბუკი გერმანელი გამოედევნა. მან თვალი შეავლო მასპინძლებს, ბურთი აიტაცა და ფარდულის კუთხეში გაუჩინარდა.

პეტროკმა შეშისსაპობი გადაატარა ბობოვკას და უსიტყვოდ შეჩერდა ფელდფებელის მოლოდინში, რომელმაც სამზარეულოდანვე დაინახა იგი, რაღაც წამოიყვირა და კარლამაც ბრჭყვიალა სათლით ხელში ძროხას მოაშურა. პეტროკმა ძალიან უხერხულად იგრძნო თავი, შეეშინდა კიდევ, ამ სათლს რომ შეხედა, იფიქრა: ნეტა ცოტას მაინც გამოიწველიდეს ბობოვკა, თორემ უბედურება მაშინ ნახეო. ეზოს იქითა ბოლოში ხუთიოდე წელამდე ტახთგახდილი გერმანელი აწეული ხელებით მალლა ისროდა ბურთს, მთლად გაექელათ კარვის წინ მოლი, გოდორა ფელდფებელი რაღაცას ბჭობდა მზარეულთან, ხოლო კარლა ნელა უახლოვდებოდა ძროხას. პეტროკს ხელიდან არ გაუშვია ბაწარი, მხოლოდ უფრო მოკლედ დაიჭირა. ბობოვკა ისევ შეშინებული იხედებოდა გერმანელებისაკენ და ბურთის ყოველ დარტყმაზე ბანჯგვლიან წამწამებს აფა-



ხულებდა. კარლა გუშინდელივით ჩაცუცქდა მასთან, იდაყვები გაჩაჩხა და დაუწყო წველა.

მაგრამ გამოსაწველი არაფერი იყო და არც ძროხას სურდა გაჩაჩხება, თუძ-ცა პეტროკი არ უშვებდა, ბობოვკა მაინც ფეხებს არ აჩერებდა და იქაჩებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კარლამ წამოავლო ხელი ცარიელ კაპოტს და წელში გასწორდა. პეტროკს მოეჩვენა, რომ კარლამ ჯერ მას შეხედო მუხუთფეხებით და მერე შეშისსაპობისაკენ მიიხედა, სადაც გამოჩნდა და ისევ გაქრა სტეპანიდა. მზარეულმა ჩუმად წარმოთქვა ორად ორი გაუგებარი სიტყვა, რაც ფელდფე-ბელს მოესმა, და იმავე წუთს მოვარდა ძროხასთან.

— ვას ისტ დას? — მიუთითა სათლზე. — ვარუმ ნიკს მლეკო?

— აბა რა ვიცი, — უასილი გულწრფელობით უთხრა პეტროკმა და მხრები აიჩეჩა, თან თითქმის ერთგულად შეაცქერდა გაავებულ თვალებში ფელდფე-ბელს, რომელსაც ისედაც წითური სახე კიდევ უფრო წამოუჭარხალდა.

— ვარუმ? — უფრო ხმამაღლა წამოიყვირა მან და ჩვეულებისამებრ ვეება რევოლვერის ბუდეზე წაივლო ხელი.

— ისე, არ იძლევა რძეს, ხელი მოაკლდა, თანაც მაქეა, — არეულ-დარეუ-ლად, უგერგილოდ იცრუა პეტროკმა, თან გუნებაში სტეპანიდას ლანძღავდა: რამ გამოსაწველინა ასე! რა ენაღვლებოდა, ჩამხრჩვალყვნენ რძეში ეს გერმა-ნელები, სულაც არ მეპრიანება რძის გამო თავის დაღუპვას.

გერმანელებმა ეზოში თამაში შეწყვიტეს, ერთი, ბურთამოჩრილი, ახლოს მოვიდა, მას სხვებიც მოჰყვნენ, გაოფლილ სახეებზე ცნობისმოყვარეობა ასახ-ვოდათ. რიგ-რიგობით ყველა იცქირებოდა თითქმის ცარიელ სათლში, რომ-ლის ფსკერზედაც თეთრად მოჩანდა ძლივს გამოწველილი რძე, ერთი ტოლჩა იქნებოდა, მეტი არა. ფელდფებელმა რაღაც უთხრა ავკაც მზარეულს, ისიც მოეთრა, იდგა და პეტროკს უფრო აკვირდებოდა, გიდრე სათლს ან ძრო-ხას. როცა ცოტა ხნით ყველანი გაჩუმდნენ, ფელდფებელმა ჭრატუნით შეიხსხა რევოლვერის ბუდე და ნელა ამოაძვრინა იქიდან თავისი წვრილლულიანი და შავძვლისტარა რევოლვერი.

მოულოდნელი შიშით შეპყრობილმა პეტროკმა გაიფიქრა, მაინც ხომ უნდა შემეკითხონ რაიმეს, სანამ დამხვრეტენო, იქნებ რა მაქვს სათქმელი სიკვდი-ლის წინო. შევიგინო მაინც ერთიო. მაგრამ მოულოდნელობით ისე დაიბნა, ყველა სიტყვა დაავიწყდა, თვალგაშტერებული შესცქეროდა, როგორც გააჩხა-კუნა ფელდფებელმა რევოლვერი.

— ვეა, ფერდფლიუპტერ...

ფელდფებელმა ჯლიქვის კვრით განზე მიაგდო პეტროკი, ბაწარი ხელი-დან გამოგლიჯა. ბობოვკამ თავი გაიქნია, თვალები დაბრიცა, თითქოს იგრძნო, რომ იღუპებოდა, ხოლო გერმანელმა ძალზე გაწაფულად, თითქოსდა უნე-ბლივით დაახალა ძროხას რევოლვერი მუდამ წამოცქვეტილ ძირთოლვარე ყურში.

პეტროკი ელოდა, რომ ბობოვკა ადგილიდან მოწყდებოდა, აბლავლდებო-და, მაგრამ ძროხა ძალზე მორჩილად დაეშვა ჩაკეცილ ფეხებზე და სველი დრუნჩი ტალახში ჩარგო. ნელ-ნელა გაწვა გვერდზე, თავი აიქნია და უკან გა-დააგდო. დიდრონი თვალების გუგები გადაატრიალა, ყელიდან ჩუმი ხრიალი აღმოხდა და მისი ვეება მუცელი წყნარად გაქვავდა მიწაზე. ეს იყო მხო-ლოდ, ტალღისებრმა ქრეოლამ გადაურბინა ტყავზე რამდენჯერმე და მერე მიყუჩდა.



ხელეპაკანკალეებული და ფეხებმოდუნებული პეტროკი ლასლასით გავიდა  
ეზოდან, სადაც ფელდფებელი უკვე თმახიანად რაღაცას გასძახოდა საილდა-  
თებს, ბრძანებებს თუ აძლევდა.



თავადვე უკვირდა სტეპანიძას, მაინცდამაინც თავი რომ არ მოეპოვებოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ რა-  
ღაც უსაზღვროდ უფრო დიდი რამ ენგრეოდა, გარდაუვალი საფრთხე კარს მოს-  
დგომოდა. ამ საფრთხემ შორიდან მოუარა — ეზოდან, გზიდან, რძიდან, ქიდან,  
მაგრამ უკვე ისე მოახლოვდა, ეჭვი არ იყო: გერმანელები მასა და მის ქმარს  
საცაა ყელში სწვდებოდნენ! თუმცა ფიქრით თავს იმტვრევდა, მაინც ვერ ჩას-  
წვდენოდა ნათლად მათი ქცევის და განზრახვების ქეშმარიტ აზრს. მისთვის  
ყველანი მტრები იყვნენ, მაგრამ აბა როგორ გამოეცნო, რომელი მოუვლესდა  
ჯვლაზე დიდ საშინელებას. რასაკვირველია, შეიძლებოდა ამ საშინელების  
შეფერხება, გატრუნულიყავ შენთვის, მიტმასნოდი ამ გადამთიელებს, გეცადა,  
დიდი თუ პატარა საქმით მოგეგო მათი გული, მაგრამ ფიქრობდა, ამით რას  
კუშველიო? ბალღობიდანვე არ შეეძლო თავი აეძულებინა და რაც არ სურდა,  
ის გაეკეთებინა, მით უმეტეს, თავი დაემცირებინა; ამის უნარი არასოდეს გა-  
აჩნდა და არც ის იცოდა, როგორ შეეძლო ეამებინა გერმანელებისათვის, მით  
უმეტეს, რაც გერმანელებმა დამართეს. გამოჩენისთანავე რაც დამცირება აგე-  
მეს ქალს. სხვანაირად აბა როგორ განეწყობოდა მათ მიმართ, თუ არა მტრუ-  
ლად, ხოლო რაც შემდეგ ჩაიდინეს, იმან კიდევ უფრო გაუღვივა აღშფოთება  
და ზიზღი. ასეთი რამ მართლაც რომ არასოდეს დამართნია. მოძხდარა, რომ  
უწყენინებიათ მისთვის, დაუჩაგრავთ, დაუმცირებიათ კიდევ, მაგრამ ხელი თა-  
ვის დღეში არავის აღუმართავს მასზე — არც მამას პატარაობაში, არც მისიანს  
ვინმეს და პეტროკსაც კი არა. აი, ამათ კი გაწყებლეს, თუმცა ასაკით ბევრ  
მათგანს დედად ერგებოდა.

სტეპანიდა საკუჭნაოში იჯდა და სარკმელშიც კი არ იხედებოდა, ისედაც ესმოდა ყველაფერი, რაც მის სახლ-კარში ხდებოდა. ღრიანცელითა და ფაცა-ფუციით ჩამოხსნეს გერმანელებმა ბოსლის კარი, შუა ეზოში დადეს და ზედ ბობოვკას გატყავება-გამოშიგნვას შეუდგნენ. ალბათ ისევ ის კარლა ატყავებ-და. სტეპანიდას ესმოდა სალდათების შეძახილებსა და სიცილში კარლას სა-ხელი, ხოლო როცა ფელდფებელი ლაპარაკობდა, სხვები ენას იწყვეტდნენ, მხო-ლოდ ვიღაც იძახდა მოკლედ „იაგოლ“. ჭსიტინებდნენ ძალღონედაცხული სალდათები და ტკაცუნი გაუდიოდა ბობოვკას ტყავს. პეტროკი სადღაც გამ-ქრალიყო, ეტყობა, ეზოში არ ჩანდა, თორემ ვინმე დაუყვირებდა რამეს და სტეპანიდა გაიგონებდა. ქალი მარტო იჯდა ფანჯრის ქვეშ, ჩაბნელებული ფარ-დულის სიგრილეში, ახლა წასასვლელი არსაით ჰქონდა, არც საქმე რაიმე. ფარ-დულში სიჩუმე და სიწყნარე სუფევდა, გარეთ შემოდგომის მზიანი დღე ილეოდა, ფანჯრიდან შემოჭრილი მზის ალმაცერი სხივი აჩიჩქნილ მიწურ ჩატაკზე დოლაბებს მიეფინა და გამურული, დამსკდარი კედლის მორები გამოა-ჩინა. თუმცა ეს ოქროსფერი სხივი თანდათან წვრილდებოდა, თითქოს დნებო-და, მერე მბრწყინავ ნამსხვრევად იქცა და ბოლოს მთლად გაქრა — მზე ვისელ-კის ბორცვს მიეფარა. საკუჭნაოში ხელად ჩამობნელდა, ბინდბუნდში ჩაინთქა მისი კუთხეები თავის ხარახურიანად, შფოთიანი ღამე დგებოდა. გერძახელებ-მა მთელი დღე იყიალეს ხუტორში, ხიდზე არ წასულან, ეტყობა, დღეს მარ-



თლაც რაღაც დღესასწაული ჰქონდათ. სტეპანიდა ელოდა, ბოლოს და ბოლოს როდის მიწყნარდებიან გერმანელები ეზოში ან რაიმე საქმით გაერთობიანო — პატარა ფარდულში უნდა შეეცლო, გოჭისთვის ექმია, რომ უცაბეოდ არ აყვირებულყო, საქმელი არ მოეთხოვა და ბოზოვკასავით ამ დრომდეცელების ლუკმა არ გამხდარიყო.

მთელი დღე შესაფერის დროს ელოდებოდა, და აი მარტოველი ღამეა.

იგი ეზოში რაღაც ძლიერი, ყრუ დარტყმის ხმამ შეზავდა, მკმდე კიდეც და კიდეც; რაღაც გამხმარ ხესავით ჭრიალებდა, ქალი აღგა და სარკმელში გაიხედა. ოთხი საღდათი ფაცაფუცობდა გატყავებულ-გამოშიგნულ, დაკლულ ხბოსოდენა, მთლად დაპატარავებულ ბოზოვკასთან და მხრებდასხებილი, მუნდირჩაცმული გერმანელი, პერანგის ამარა, მკლავებდაკაპიწებული ნაჯახით ჩეხდა ხორცს; კარის ფიცარზე კაკუნით ხტოდნენ ძროხის ფეხები. თავი უკვე მოეჭრათ, აგერ, მესრის ძირში, გათელილ მოლზე დაედოთ და საღამოს ცისტვის მიეშვირა შავი, უკან გადაქანებული რქები.

სტეპანიდამ ერთი-ორჯერ გაიხედა სარკმელში, მეტად აღარ, ვეღარ შეძლო ცქერა — გერმანელები კი კიდეც დიდხანს ამტვრევდნენ ბოზოვკას ძვლებს, ხერხემალს და ნაჯახის ყოველ დარტყმაზე ქალს გული უკვდებოდა.

მოახლოებული ღამის ბინდბუნდი თანდათან ავსებდა ძველმანებით გამოკედილ საკუჭნაოს. რაიმესათვის უნდა მოეკიდა ხელი. მაგრამ რისთვის? საერთოდ რის გაკეთება შეეძლო აქ ახლა, როცა არაფრის უფლება არ ჰქონდა, პირიქით, თავად მას გამგებლობდნენ. მაგრამ მისი საქმიანი ბუნება მაინც ვერ ურიგდებოდა საკუთარ უმწყობას, გამოსავალს ეძებდა, იმის შესაძლებლობას, რომ არ დამორჩილებოდა და თავი დაეცვა.

სტეპანიდამ ისევ გაიხედა სარკმელში, ეტყობოდა, საქმეს მორჩნენ. ბალახზე სისხლით მოსვრილი კარი იდო, გერმანელები სამზარეულოსთან იდგნენ თუ ისხდნენ, იქ, ეტყობა, ვახშამი იხარშებოდა და იქიდან მოხარშული ხორცის გაუსაძლისად გულისამრევი სუნი მოდიოდა. პეტროკი ისევ არ ჩანდა. სტეპანიდა ფარდულის ყრუ კედელთან მივიდა და ყური მიუგდო — არა, ბოსტნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, იქნებ ღირს, რომ სწორედ ახლა. ამ მოსაღამოეზბულზე მიაშუროს გადალობილს? მიყურადებისას მისი მზერა შემთხვევით მოხვდა ბოცის დამტვერილ გვერდს თაროზე და გაიფიქრა: გერმანელები დაწვავენ ამ ნავთსო. რასაკვირველია, სინათლე დასჭირდებათ და ნავთსაც წაიღებენ. უცხოთა თვალისაგან რომ დაეფარა, სტეპანიდამ თაროდან მძიმე ბოცა ჩამოიღო და დოლაბებში შემალა, გოვზას მიაფარა. მერე გოვზიდან თუჯიაში გადმოიღო გუშინდელი მოხარშული კარტოფილი, წინსაფარი გადაათარა და ფრთხილად გამოაღო საკუჭნაოს კარი.

წინკარში არავინ იყო, არც კიბეზე, ქალმა უხმოდ გაიარა ზღურბლი და შეშისსაპობისაკენ კედელ-კედელ წავიდა. იგი გერმანელებს არ უცქეროდა, ეშინოდა, ვაითუ დამიტატანონო, მაგრამ ისინი სამზარეულოთი იყვნენ გართულნი და, ეტყობა, ყურადღებას მაინცდამაინც არ აქცევდნენ. შეშის ხორასთან სტეპანიდამ თავისუფლად ამოისუნთქა, ლატანზე გადაძვრა და ბოსტანში შევიდა — ბაქათმის კარი მოფლეთილი იყო; ბიჭვები მიწაზე ეყარა, ერთი დედალიც აღარ ჩანდა — ყველა ხომ არ ამოხოცეს ამ ძაღლებმაო, გაიფიქრა ქალმა, ან იქნებ ქათმები სადმე დაიმაღლნენო? ან ღარტაფს მიაშურეს, როგორც ზოგჯერ ზაფხულში მიდიოდნენ ხოლმეო? საღდათების ერთსულოვანმა ხარხარმა რომ იფეთქა, სტეპანიდამ გადალობილის კარის რაზა გადასწია და ფეხებთან ისეთი



სახარულით მიუგორდა გოჭი, ქალს შეეშინდა: რა უნდა ეუყო ამასო? გოჭი ჩუმი ღრუტუნით აღერსიანად ეტმასნებოდა ფეხებში, თავის ცივ, ბრტყელ ღრუნჩს ჩრიდა, თითქოს რაღაცას სთხოვდა. სტეპანიდა ბირკავას მიაწყდა, ბილიკზე გავიდა, ბოსტანი გადაიარა და ლარტაფს მიადგა. გოჭი ლეკვით მარად გაეკიდა უკან, მაგრამ გზადაგზა ჩერდებოდა და სტეპანიდაც შიშით იზავებოდა: ნეტა კი ვინმე არ გამოვიდოდეს ეზოდან და არ დაგვინახებდესო.

მაგრამ ყველაფერი ბედნიერად დამთავრდა — ეზოდან არავინ გამოჩენილა, ქალმა ბოსტნის გადავლით ღობემდე მიიყვანა გოჭი, ლატანზე გადაძვრა, გოჭიც ღრუტუნით ლატანს ქვემოთ შეძვრა და მაშინვე დაიშალა ბილიკთან გაბარდულ მამულასა და მაყვლის ბუჩქებში, იქვე, ჯაგნარიან, თხრილის ნაპირას ბინდბუნდში შავად გამოჩნდა ნაცნობი ფიგურა. იანკა იყო. სტეპანიდას გაუკვირდა: ამას რა უნდა აქაო? გაიქეცი აქედანო, გაიქეციო, აუქნია ხელი ქალმა. ახლა ისღა აკლდა, გერმანელებს იანკა მოხვედროდათ თვალში თავის ნახირიანად, ხომ ამოხოცავდნენ ძროხებს — ვანა შეიბრალებდნენ? მაგრამ მახლობლად ნახირი არ ჩანდა, ეტყობა, იანკას ვისელკიში გაერეკა, თავად კი აცამა არ იცის, რატომ მოსულიყო ხუტორში და აი, უკვე მისკენ მორბოდა. ორივენი ლარტაფის პირას შედგნენ, მურყნარის ბუჩქები ოდნავ ფარავდა მათ კარმიდამოსაგან. იანკა, როგორც ყოველთვის, რაღაცის თქმა ცდილობდა, მაგრამ ქალმა ვერაფერი გაუგო. თავადაც ლუღლუღებდა:

— ხომ ხედავ გოჭს! სად უნდა დავმალო?

საოცარი, მაგრამ იანკა მიუხვდა ნათქვამს. წამით სახე მოქუშა, საგონებელში ჩავარდა, მაგრამ მალე ხელები აიქნია და საღამოს ბინდში ჩაფლულ ლარტაფისკენ მიუთითა, საითაც დაკლაკნილი ბილიკი ჩადიოდა. სტეპანიდამ ვერ გაუგო, იანკამ ჯუბის სახელოში ჩაავლო ხელი და ბილიკისაკენ გაჰქაჩა. სანამ სტეპანიდა ყოყმანში იყო, გოჭი უკვე უკან მისდევდა ბიჭს და ღრუნჩს მოუთმენლად ჰკრავდა შიშველ ქუსლებზე.

ნელა ჩაუყვნენ ციცაბო, ადგილ-ადგილ კი ფლატეებიან ბილიკს ლარტაფისაკენ. გოჭი უკან არ რჩებოდა, მხოლოდ ფლატესთან დაიჭყვიტინა დამფრთხალმა. იანკა ცალ მუხლზე დაეშვა და ქვემოდან წელში წაავლო ხელი. თავქვეზე გოჭი მიწაზე ჩამოუშვა და ისიც, ბილიკისაგან გადაუხვევლად, ჩქარ-ჩქარა გამოეკიდა ბიჭს.

მალე დელისპირა ნოტიო, დაბურულ ბარდებში აღმოჩნდნენ. ფოთლებშემეჩხერებული ტანმაღალი თხმელები თავზე წამოდგომოდით. იანკა სულ წინ მიიწევდა, გოჭსა და სტეპანიდას ტყიანი ლარტაფის მიუუჩებულ, ბინდით მოცულ ტევრისკენ ეწეოდა. საოცარი ის იყო, რომ გოჭი მეტი ხალისით მისდევდა ბიჭს უკან, ვიდრე სტეპანიდას დაჰყვებოდა. მალე იანკამ ბილიკიდან გახზე გადაუხვია, თხილის ტოტებს ჩაეჭიდა და მალა აძვრა, სტეპანიდა მიხვდა, სადაც უპირებდა გოჭს დამალვას იანკა — სადღაც აქვე, ლარტაფის ფერდობზე, მაჩვის სორო იყო. მაჩვზე კარგა ხანია დაბელმა ძმებმა ბოკლაგებმა ინადირეს მეძებრებით, ოთხი წელი იქნებოდა, სორო ცარიელი იყო, ბოლღებმა გათხარეს მისი შესასვლელი თამაშის დროს, მაგრამ ისე გრძელი აღმოჩნდა, ბოლომდე ვეღარ მიადწიეს.

ახლა საჭირო იყო ფერდობით გადამძვრალიყვნენ თხილნარის ტევრში. გოჭს უჭირდა მალა აბობლები, ცოტა ხნით შეჩერდებოდა ხოლმე დაღლილი და მაშინ, თუ მეტისმეტად დამრეცი ადგილი იყო, იანკა ხელში იყვანდა და მის წყნარ ჰყვითინს ყურადღებას არ აქცევდა, რამდენიმე ნაბიჯზე მუხლებით მი-



ცოცავდა. სტეპანიდას ცალ ხელში თუჯია ეჭირა, მეორეთი, რომ არ დაცემულიყო, ხეების შავ ტოტებს ეჭიდებოდა და ძლივს ეწეოდა იანკას. ასე ააღწიეს ფერდობზე ნაძვნართან. იქვე, გვერდით, პატარა ხრეშიან მოედანს იქით შავად მოჩანდა მაჩვის სოროს ხვრელი. გოჭი, ხელი რომ გაუშვეს, დაწყნარდა და სიხარულით მიყნოს-მოყნოსა ბიჭუნების ფეხებით მობეჭდვით დაფარულ ფესვებზე. მაგრამ როგორც კი სტეპანიდამ თუჯია მიწაზე დადო, დაიწყო ხელის მოძრაობა და აიჭყვინტინა, მაშინვე მადიანად მივარდა კარტოფილს.

— ი-ი-ი! — ისევ აიჭნია ხელები იანკამ. — ი-ი-ი! — აღმოხდა გაჭაჭულს მკერდიდან, მაგრამ გასაგები ვერაფერი თქვა, სტეპანიდა კი იმის ფიქრში იყო, რა აეფარებინა ამ სოროსთვის, რომ გოჭი ღარტაფში არ გადაძვრალიყო. — ი-ი-ი — ერთხელ კიდევ შეეცადა იანკა რალაცას თქმას, მერე ხელი ჩაიჭნია და ღარტაფის ფერდობს აუყვა.

სტეპანიდა იდგა და ყურს უგდებდა, როგორ თქვლევდა თუჯიაში გოჭი სალაფავს და როგორ შრილებდნენ ფერდობზე ჩამოცვენილი ფოთლები. თუმცა ეს შრიალი თანდათან შორიდან ისმოდა, სანამ მთლად არ მიყუჩდა. ღარტაფში თითქმის მთლად ჩამობნელდა, მხოლოდ მოპირდაპირე ფერდობზე ოდნავ კიაფობდა ჩამავალი მზის სხივით გაშუქებული ცის კიდე. სტეპანიდამ არ იცოდა, საით გაიქცა იანკა — შინ, ვისელკიში, თუ იქნებ აქვე ეძებდა ქალის-თვის რაიმე საშველს, მაგრამ სანამ გოჭი გამოძლებოდა, იგი გვერდით ედგა და ყურს უგდებდა ჩალამებული ღარტაფის გულის შემაშფოთებელ, სულგანაბულ ჩურჩულს; უცებ გაიფიქრა: ამას რას მოვესწარიო! სახლიდან გამოქცეული ღარტაფში იმალება, აქ ეძებს თავშესაფარს, სადაც მუდამ ეშინოდა ყოფნა, განსაკუთრებით ბინდისას — საღამოთი ან ღამით. მაგრამ რას იზამ, ასე კია და: აქ უფრო მშვიდად იყო, ვიდრე თავის სახლში — ქოხსა თუ საკუჭნაოში და ეს საყვარელი არსება, მისი გამგონე გოჭი ადამიანზე უფრო ახლობლად ეჩვენა, პატარა ბალღით. განსაკუთრებით ბობოქრას მერე, ასე სულელურად რომ დაეღუპა.

სტეპანიდა ამოშვერილ ფეხზე დაჯდა და სულგანაბული გაიტრუნა. გოჭმა მთლად შეთქვლიდა, რაც თუჯიაში საჭმელი იყო, და მშვიდად მიუწვა ქალს ფეხით, ცხელი გვერდებით საამოდ გაუთბო გაყინული ტერფები, სტეპანიდაც ფეხებით ნელა ფხანდა მუცელს. გოჭი მიწებდა ადამიანის ალერსს და კმაყოფილი ღრუტუნით იცვლიდა გვერდს. ასე იჯდა სტეპანიდა, სანამ მალლა, ღარტაფში ჩამოცვენილი ფოთლები არ აშრილდა ბალახზე, რალაცამ გაიტკაცუნა, გამხმარი ტოტი თუ მოტყდა. სტეპანიდა წამოხტა და ყური მიუგდო. ირგვლივ ბნელოდა, ქვემოთ, სადაც ღელე მორაყრავებდა, ისეთი წყვდიადი იდგა, თვალთან თითქმის ვერ მიიტანდი, მალლაც, ღარტაფს ზემოთაც, ერთიან შავ მასად შერწყმულიყვნენ ხეები და ბუჩქები, მხოლოდ ოდნავ კიაფობდა განათებული შორეული ცის კიდე. მალლა შრიალმა თანდათან იმატა, სოროს გვერდით რალაცამ ბრაგვანი მოიღო და ქვემოთ იანკა ჩამოგორდა. სტეპანიდამ დაინახა, რომ ბიჭი რალაც ვეება საგანს მოათრევდა გაჭირვებით.

— ე-ე-ე! ი! — მოღლილად აუწყა მწყემსმა ბიჭმა და ზედ სოროს შესასვლელთან მოისროლა ხის დაკბილული ფარცხი, რომელიც, ეტყობა, მინდორში ეპოვა.

ეს კარგი რამ იყო — ფარცხმა ხელად გადაღობა სოროს შესასვლელი, მხოლოდ საჭირო იყო მისი რაიმეთი გამაგრება, რომ გოჭს არ გამოეგდო. სტეპანიდამ და იანკამ გოჭი მაჩვის ცარიელ სოროში შეაგდეს და საჩქაროდ მიად-



გეს სოროს ფარცხი. გოჭი შეშფოთებით აღრუტუნდა, ფარცხს მოაწვა, შეეცა-  
და მის გამოგდებას, მაგრამ სტეპანიდამ დააყავა, ხოლო ამასობაში იანკამ იქვე  
ახლოს დიდი როკი მოამტვრია და ორჯავემ იმით გაამაგრა ფარცხი.

— აი, ასე კარგია, — წყნარად თქვა სტეპანიდამ. — იფიქრი შენთვის და  
იდრუტუნე, თორემ... შეგახრამუნებენ და მადლობასაც არ გატყვევებენ.  
იანკამ ჭიბიდან რაღაც ამოიღო და გოჭს შეუჩურთა სოროს შიგნით. მან  
მიმალულმა გოჭმაც მაშინვე მადიანად შეახრამუნა, ხოლო სტეპანიდა და იანკა  
ფერდობით მალა ავიდნენ. აქედან მართლაც უფრო ახლოს იყო, თუმცა ავლა  
კი უფრო ჭირდა, ვიდრე ღელის გაყოლებით ბილიკით სიარული. მალე, მალ-  
ლობზე ასვლით გვარიანად გახვითქულები, ბორცვზე გამოვიდნენ, ბუჩქნარს  
ჩაუარეს და კარტოფილის ყანის ბოლოში ამოყვეს თავი. მინდორსა და ხუ-  
ტორს უკვე ღამე დაეუფლა, ბნელოდა, შორს აღარაფერი ჩანდა, შორიახლოს  
მდებარე გოლგოთას დამრეცი კუზი თითქმის შერწყმოდა ცის ჩაბნელებულ კი-  
დეს, რომელზედაც ეულად ციმციმებდა პაწაწა მოწითალო ვარსკვლავი. ხეები  
და ბუჩქნარი გვერდიგვერდ აყუდებულიყვნენ ოკრობოკრო კედლად, შიგ კი  
ალაგ-ალაგ ნისლმორეული ღარტაფი მოჩანდა.

— მადლობელი ვარ, იანოჩკა, — უთხრა სტეპანიდამ და ხელი მოუთა-  
თუნა მხარზე ბიჭს, რომელსაც თხელი პერანგი ეცვა. იანკა დაიძაბა, ძეხერდა,  
ახლოს მივიდა ქალთან, კითხვით ჩახედა თვალებში და რაღაც ჩაიბურტყუნა,  
როგორც ყოველთვის, მხოლოდ მისთვის გასაგები. სტეპანიდამ იფიქრა, სა-  
ჭიროა რაიმე კიდევ ვუთხრაო, მაგრამ სათქმელი ვერ იპოვა და ხუტორის გზას  
გაუყვა. ბილიკი აქ სწორ გზაზე გადიოდა, ღარტაფის პირას, მინდვრის მიჯ-  
ნასთან. იანკა უკან დარჩა. ბიჭი თავის ვისელკის გზის შემოვლით თუ მიაშუ-  
რებდა, ხუტორში ახლა ცხვირს ვერ შეჰყოფდი, მისთვის ერთ ვერსზე უნდა  
მოგველო.

შორიდანვე დაინახა სტეპანიდამ კაშკაშა, თითქმის თვალისმომკრელი  
შუქი ფანჯარაში და იფიქრა — ღამის შუქი არ არის ესო, ეტყობა, თავიანთი  
ელექტრონი ანთესო. უსიამო შიშის გრძნობით მიუახლოვდა სახლ-კარს და  
ბილიკით შევიდა ბოსტანში. აქ ბნელოდა და სიწყნარე სუფევდა, გერმახე-  
ლები, ეტყობა, დაშოშმინებულიყვნენ, მხოლოდ ქოხის ფანჯრიდან გათელილ  
აკლებზე ეცემოდა შუქის ალმაცერი, კაშკაშა სხივები; ასეთივე სხივის კონა  
დაინახა სტეპანიდამ ეზოშიაც, სადაც შეშისსაპობიდან შევიდა. შავი სამზა-  
რეულო, მაღალი მილითურთ, გულდაგულ მილაგებული იყო და ზემოდან ბრე-  
ჯენტის ფართო ნაჭერი ეფარა. მესერთან სათლები იყო ჩამწყვრივებული, გვერ-  
დით ბინდში ძლივს ჩანდა, ეტყობა, დილიდანვე მივიწყებული შაშხანა, ახალთა-  
ახალი ყვითელი ღვედი რომ ება. სტეპანიდამ მხოლოდ თვალი მოავლო ყო-  
ველივეს და მიაშურა წინკარს, რომლის კარი ღია იყო. ქოხიდან მოისმოდა  
მშვიდი ბაასი ორი თუ სამი გერმანელისა და სტეპანიდა საჩქაროდ შეძვრა  
ფარდულში.

პეტროკი უკვე აქ იყო, თავის კასრებზე, და მაშინვე, როგორც კი სტეპა-  
ნიდამ კარი მოიხურა, გამოეხმაურა:

— ოჰ, სად დადიხარ ამ ღამეში? შენზე შიშით ვერ მოვისვენე აქ...

— აკი შენც არსად ჩანდი შუადღემდე, — წყნარად უთხრა ქალმა და  
ბნელში თავისი თივის ლეიბი ხელით მოძებნა.

— ქათმებს ვდარაჯობდი. ის ორი ხომ დახოცეს, ჰოდა, დანარჩენები კა-



ლოს იქით ორმოში დაიმაღლნენ, ფიჩხი რომ გვიყრია, იქ, საჭმელიც იქვე დავუყარე, დაე იქ იყვნენ ღამითაც.

— რამდენი დარჩა?

— შვიდი. ის ჭრელი დედალი და შავთავა არსად ჩანან, არც ბებერი ყვითელი დედალი, მაგრამ არა მგონია, ის ყვითელიც მოეკლათ. ალბათ ჭინჭრებში თუ იმალება.

— კიდევ კარგი, თუ დაიძალა, — ამოიოხრა სტეპანიდამ. იგი უკვე სხვაზე ფიქრობდა, მოულოდნელად ახალმა აზრებმა დაიპყრო მისი გონება და ქათმებსა და გოჭზე ფიქრი აღარ შეეძლო. ეზომ წარიტაცა მისი ყურადღება. მაგრამ გადაწყვეტით ჯერ ვერაფერი გადაწყვიტა და მხოლოდ ხმის ამოუღებლად უსმენდა პეტროკის საწუხარს.

— ოჰ-ოჰ! რა გვეშველება? რა უნდა ვქნათ?.. ხედავ, ქერქს ვიღებები. აჰა, შენც გამომართვი, ალბათ არაფერი გიჭამია დღეს?..

პეტროკმა სიბნელეში გამხმარი პურის ნაჭერი მიაჩეჩა, სტეპანიდამაც გამოართვა, თან უცებ საოცარი სიბრაღული იგრძნო თავისი თავისა კი არა, პეტროკის მიმართ. კაცს კუჭი სტკივა და ეს მერამდენე დღეა ხმელა პურზეა — საცოდავი ბებერი პეტროკი! წინათ მოჰყვებოდა ჩივილს თავის ბედზე ან კიდევ ცოლს დაუწყებდა საყვედურებს, ახლა კი ხედავთ, როგორ მოთვინიერდა, ხმელი ქერქის პატარა ნატეხით იოლად გადის. რას მოესწრო! სტეპანიდასაც ხომ დაუდგა ეს დღე — გუშინდელს აქეთ ჯერ ხემსი არ ჩაედო პირში და ახლა ხმელი პურის ნატეხი ნუგბარად ეჩვენა. ქალი თივის ლეიბზე მიწვა, ფეხებზე ჯუბა წაიფარა, პურს პატარ-პატარა ნატეხებს ამტვრევდა, პირში იღებდა და ნელა ლოდნიდა. მაგრამ უფრო მეტად აყურადებდა. ეზოსა და კარავში უკვე მიწყნარდნენ, თუმცა წინკარიდან ისმოდა, ქოხში რომ ხმადაბლა საუბრობდნენ ოფიცერი და ფელდფებელი, ამათ ჯერ არ ეძინათ.. სტეპანიდას ძალიან უნდოდა მათ დაეძინათ, უფრო და უფრო აჩემებით და ძლიერად ეუფლებოდა იდუმალი, სახიფათო განზრახვა, რომლის ფიქრზედაც კი აკანკალებდა, მაგრამ კარგად იცოდა, უარს ვეღარ იტყოდა ამ ჩანაფიქრზე. თუმცა არც უფიქრია უარის თქმა, პირიქით, ძალას იკრებდა. ამ გულისნადებს მაინც აისრულებდა, დანამდვილებით რომ სცოდნოდა კიდევ, რომ წაამწარებდნენ, მაგრამ ჯერ აქ უნდა იყოს თავშეფარებული. რაკი იმათ არ სძინავთ, მაშასადამე, მისი ფარდულიდან გამოსვლა არ შეიძლება. სტეპანიდას შეეძლო ლოდინი. მთელი სიცოცხლე ლოდინში გაატარა. ზოგჯერ ამაოდ, ზოგჯერ კი მაინც გაუღიშებდა ხოლმე ბედი. და მხოლოდ იშვიათად თუ გადაიფიქრებდა, რასაც გულში ჩაიდებდა. ასეთი იყო ბუნებით: ჩანაფიქრის უარის თქმაზე უფრო დიდი ძალის დახარჯვა უხდებოდა, ვიდრე მის განხორციელებაზე.

პური გამოუთავდა, იწვა ახლა თავის თივის ლეიბზე და რული არ ეკიდებოდა. არ იცოდა, პეტროკს ეძინა თუ არა, რადგან მისი არც სუნთქვა ისმოდა და არც წრიალი, ალბათ მთელი დღის გაწამებულს მაინც ჩაეძინა. ქოხში ბაასი, ეტყობა, მიწყნარდა. სტეპანიდა რამდენიმე წუთს კიდევ იწვა, შერე წყნარად წამოდგა და კედელზე ხელმიყრდნობილმა გაიხედა სარკმელში. არა! ეზოში, ბალახზე, ჯერ კიდევ ბრწყინავდა შუქის კაშკაშა ზოლი, ფანჯრის ჩარჩოს შავი ჩრდილი რომ კვეთდა, ხოლო მეორე ბოლოთი თითქმის მესერთან მიდგმულ სათლებს სწვდებოდა. შაშხანა აქედან არ მოჩანდა, მაგრამ ქალი გრძნობდა, რომ ისევ იქ ეკიდა. სტეპანიდამ ალმაცერად გახედა ეზოს ცალ მხარეს. თითქოს არსად არავინ ჩანდა. იგი ისევ თივის ლეიბზე მიწვა და იმე-



დიანად გაიფიქრა: არა უშავს, ადრე თუ გვიან ხომ ქოხში მყოფნიც დაიძინებენო. უნდა დაელოდოს მხოლოდ.

თითქმის უჩინო საათი კიდევ იწვა და გაფაციცებული აყურადებდა ახლოდან თუ შორიდან მოსულ ღამის ხმაურს. სადღაც, ალბათ ქაობს იქით, ღარბავს გადაღმა დიდხანს, გულისგამაწვრილებლად ყეფდა ძაღლი, მერე აწკმუტუნდა და ბოლოს ხმა ჩაიწყვიტა — ეტყობა, ჩაარტყეს რაიმე ან იქნებ ჩაქვნიან მზისნეს. ქოხში ბაასი მიწყნარდა, მაგრამ სიჩუმეში გაისმა, ფიცრის ბატკნე ვილაქამ რომ გაიარა, კარმა გაიჯახუნა, ვილაც ეზოში გამოვიდა, მაგრამ ჩქარა უკანვე დაბრუნდა. ზემოთ, გამურულ კოჭზე ჯერ აციმციმდა, ხოლო მერე მთლად გაქრა მკრთალი ათინათი და სტეპანიდა მიხვდა, რომ ქოხში, როგორც იყო, ჩააქრეს შუქი; წინკარში, ეზოსა და საკუჭნაოში უმთვარო შემოდგომის ღამის წყვდიადი გამეფდა. სტეპანიდა კიდევ დიდხანს იწვა და თითქოს გულისხმით ხელახლა განიცდიდა იმდღევანდელ არასაამო ამბებს: საკუთარ ოინს რძეზე, რამაც შეიწირა ბობოვკა, მისი სახლ-კარის ძარცვა-გლეჯას, ქათმების დახოცვას, მოულოდნელად გოჭის იღბლიან გადარჩენას, იქნებ ის მაინც შეირჩინოს, თუ ამ ავკაცებმა არ მიაგნეს ღარტაფში და არ გამოათრიეს მაჩვის სოროდან. ასეთი ფიქრები დაუფლებოდა ქალს თითოეულ ამბავზე და ყველაფერზე ერთად, თითქოს ნელ-ნელა იკრებდა ძალას, რომ ყველაზე ძნელი გადასაწყვეტი გადაწყვიტა.

თუმცა, ეტყობა, მაინც წათვლიმა. უცებ შეუცნობელმა შინაგანმა ბიძგამ გონს მოიყვანა და ყური მიუგდო. დოლაბებს ქვემოთ ჩუმად დასუნსულებდა ვირთხა და სტევენით ფშვინავდა კასრებზე ჩაძინებული პეტროკი. სტეპანიდა თივის ლეიბზე ჩამოჯდა და ფეხები მიწაზე ჩამოუშვა. ახლა უკვე აღარაფერს გრძნობდა, გარდა მიზნისკენ გაკერპებული სწრაფვისა — გაეკეთებინა ის, რისი გაუკეთებლობაც უკვე აღარ შეეძლო. თითქოს საკუთარი ნებით კი არა, ვისიმე სასტიკი დაძალებით წამოდგა, რაც შეიძლება ჩუმად გადასწია რაზა და ძველი, მუხის ფიცრებით შეჭედილი საკუჭნაოს კარი გამოაღო. კიდევ კარგი, კარს არ გაუჭრიანლებია, ოღონდ ცოტათი გაიშრაშუნა და ქალმაც აღარ გაიხურა, ღია დასტოვა. მერე თითისწვერებზე მოუახლოვდა წინკარის ნახევარად ღია კარს, საიდანაც ნიავი ქროდა, და ისევ მიაყურა. ქოხში ვილაც მძინარე არც ისე ხმამაღლა, თანაბრად და მშვიდად ხვრინავდა. უფრო გაბედულად უნდა მოიქცეს. რა მოხდა ბოლოს და ბოლოს, ნუთუ უფლება არა აქვს თავისი საჭიროებისათვის ეზოში გამოვიდეს, თუ ადამიანად აღარ ითვლება?! მერე რა, რომ ომია და გერმანელები მოვიდნენ... ამ ომამდე ხომ ცხოვრობდა ხალხი და მის შემდეგაც იცხოვრებს, ხოლო ამათ ეღირსებათ თუ არა ცოცხლად დარჩენა, კაცმა არ იცის. ვინც სარით სხვას გამოეკიდება, ვაითუ თავადვე წამოეგოს ზედ. სტეპანიდამ ფრთხილად მოაცეცა ფეხები მიწაზე, ქვის საფეხურებით ცივ, სველ ბალახში გადმოაბიჯა, კუთხის უკან გაძვრა და იქ დაიმაღლა — მოეჩვენა, თითქოს კარავში ვილაცა აწრიალდა. მაგრამ, ეტყობა, ძილში იბრუნა გვერდი, რადგან კარვიდან არავინ გამოსულა. ეზოში გუშაგიც არ ჩანდა და ამან გაამზნევა. რასაკვირველია, გერმანელები აქაურობის ბატონ-პატრონივით თავს ყოჩაღად გრძნობდნენ, ან კი რისი შიში უნდა ჰქონოდათ, ვინ რას დააკლებთ?

სტეპანიდას მაინც თავის სიცოცხლეში ასე არ შეშინებია. განსაკუთრებით მაშინ აიტანა შიშმა. შეშისსაჭრელიდან რომ გამოვიდა და ფეხებაკანკალებულმა მიაღწია მესერს. მას არ ესაჭიროებოდა ღამის წყვდიადში თვლების დაცეცება, ზუსტად იცოდა ის ადგილი. ზელად მოძებნა ხელით შაშხანა და წვრი-



ლი, ცივი ლუღით დაითრია. შაშხანა უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა, ამსიძძიმე რამე წყალში ტყაპანს რომ მოიღებს, ვაითუ ყველა ფეხზე წამოაგდოსო, შეშფოთებით გაიფიქრა სტეპანიდამ. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა, მაგრამ თავისი განზრახვის შეცვლის თავი უკვე აღარ ჰქონდა — ისეთი ძალით დაუფლებოდა იგი. თითისწვერებზე მიიბრინა ქასთან და შაშხანა გვიმზე გადაკიდა. სანამ გაუშვებდა ხელიდან, ქოხსა და ქაღალდს ამოღებდა, კუხს შეავლო თვალი, მაგრამ იქ ყველას მშვიდად ეძინა, არც არავინ ჩანდა სადმე და სტეპანიდამაც ხელი უშვა შაშხანას.

მერე მსწრაფლ მოშორდა ქას და როცა მის სიღრმეში ძლიერი ტყაპანი მოიღო თოფმა, ასე ეგონა, ახლა კი ყველანი ფეხზე წამოცვივდებიანო. თავტანდაკარგული საკუჭნაოს მიაწყდა და მისი კედლის გაყოლებით წინკარში შევარდა. საკუჭნაოს კარი რომ დაკეტილი დახვდა, კინაღამ გული წაუვიდა, მაგრამ მერე მოაგონდა, რომ ეს კარი ზოგჯერ თავად იკეტებოდა, გულზე მოეშვა და თავისკენ მოსწია ხის სახელური.

სანამ საკუჭნაოში ჩაიკეტებოდა, წუთით შეყოვნდა — არა, ირგვლივ სიჩუმე და სიწყნარე იყო, მგონი, ბედმა გაუღიმა. „ახლა რა მოხდება“? — გაიფიქრა ცივბიანივით აკანკალებულმა. იქნებ სწორედ ახლა დაეუფლა ნამდვილი შიში და ისე ძლიერადაც, რომ კბილები აუკაწყაწდა. ამან გააღვიძა ალბათ პეტროკი.

— რაო, ხომ არ გაითოშე? აჰა, წაიხურე, — წაილაპარაკა ძილღვიძილში და შაშინვე წყნარი ფშვინვა ამოუშვა იმ თავის კასრებზე.

სტეპანიდას კი დილამდე არ მოჰკიდებია რული.

10

გერმანელები ადრიანად, უთენია ადგნენ. პეტროკს ესმოდა, როგორ დადიოდნენ საკუჭნაოსთან. ეზოდან ხველა და ჩუმი ჩახრინწული ხმები გაიგონა. ჭაში სათლის ჩხარუნიც გაისმა — სამზარეულოსთვის ეზიდებოდნენ წყალს. ეტყობა, გუშინდელი დღესასწაული მოეთავებინათ და ყველაფრის შიხედვით თუ განსჯილით, დღეს აპირებდნენ საქმისთვის მოეკიდათ ხელი.

პეტროკი კასრებზე გადაფარებულ ჩვრებზე იწვა, თავზე ტყაპუჭი ეფარა, აყურადებდა ეზოში ფაციფუცს და ფიქრობდა, როგორ არაჩვენებურად, თავისებურად აკეთებენ ეს გერმანელები ყველაფერსო. გუშინ საღამოსაც, როცა დღესასწაული ჰქონდათ, ქოხი ელექტრონის შუქით გააჩახჩახეს, ჩანგლებით ჭამდნენ და რაღაც სასმელს სვამდნენ პატარა თეთრი ფიალებიდან, გამოცოცხლდნენ, საუბარიც გააბეს ერთმანეთში, მაგრამ ყველაფერი ისევე იყო, როგორც ჩვეულებრივ, ყოველდღიურად, ერთი მათგანიც კი არ დამთვრალა. ოფიცერი და ფელდფებელი სხვებისაგან განცალკევებით საუზმობდნენ ქოხში, სადაც მათთვის ხელსახოცწაფარებული პრილა თეფშებით შეჰქონდათ საჭმელი. ისინიც თავშეკავებულები იყვნენ, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ და იმაზე დიდხანს არ დამსხდარან საჭმელად, ვიდრე ჩვეულებრივ ვახშამზე. ეს ვახშამი ერთი საათის ან ცოტა მეტი ხნის დაწყებული ჰქონდათ, რომ კიბეზე ფელდფებელი გამოვიდა, რაღაც ბრძანა და მაშინვე თითქოს აიხვეტა ეზო — ყველანი კარავში შელაგდნენ. „დისციპლინა კი გქონიათ, მე თქვენი!“ — თავის გუნებაში შურიტ გაიფიქრა მაშინ პეტროკმა. უფროსის სიტყვა მათთვის კანონია, ყველანი მხოლოდ ბრძანებით ჭამენ, ბრძანებით სძინავთ და ლოცულობენ. საკვირველიც არ არის, რომ იმარჯვებენ, რას იზამ, ორგანიზაცია!



აი, დაამდგრეს კიდევ ბობოვკა, პეტროკს, ცოტა არ იყოს, გული მოს-  
ციოდა სტეპანიდაზე, როცა გაახსენდებოდა, რა ტყუილად გაჩქდა, რა იქნე-  
ბოდა მიეცა რძე ამათთვის, ეხეთქათ, რაკი ასე ყვარებით, რას იეშმაკა? ჰოდა,  
სტეპანიდას ეშმაკობის წყალობა იყო, უძროხოდ რომ დარჩნენ ახლა, თუმცა  
პეტროკს ესმოდა, რომ უამისოდაც წაართმევდნენ ძროხას — ახლა თუ არა,  
მერე მაინც, წასვლისას, რაღა თქმა უნდა, ის სჯობდა, ბობოვკას სედეგეცადე  
მალათ, მაგრამ როგორ? ქათამი ხომ არ არის ძროხა, ჭინჭრებზე მფრინოებს  
თავი, თანაც ვინ იცოდა, რომ გერმანელები ასე მოულოდნელად დაატყდებოდ-  
ნენ თავს ხუტორს? ისინი ხომ ვისელკიშიც არ მოსულიყვნენ ჯერ.

ფარდულში გარედან რაღაც სასიმო მოტკბო, თითქოს ნაცნობმა სურნელმა  
შემოაღწია და პეტროკი გვიანდა მიხვდა, რომ ეს ყავის სუნია იყო. მას ჯერ კი-  
დეც იმ ომში გაეგონა, გერმანელები დილით პირველად ყავას მიირთმევდნენ, ბუ-  
რაბს და ჩაის კი არაო, როგორც, ვთქვათ, რუსებო. პეტროკს არასოდეს ეგემ-  
ნა ეს სასმელი და ძალზე გემრიელ რამედ წარმოედგინა, თუმცა ყავა რა სალა-  
პარაკოა, როცა მარტილი სამი პეშვილა დარჩათ, კარტოფილს როგორღა შე-  
ჭამენ უმარილოდ? ყელში არ გადაუვიათ, უბედურებაა და მეტი არაფერი!

გარეთ თანდათან თენდებოდა, მაგრამ მზე არ ჩანდა, ისმოდა სახურავზე  
ქარის შარიშური, ეტყობა, გუშინდელი დღიდან მორჩა კარგი ამინდები. ღამით  
იმ კუთხეებშიმპალ საკუჭნაოში გრილობდა, განთიადისას პეტროკი გაითოშა კი-  
დევაც, მოკუნტული იწვა ტყაბუჭწაფარებული, თუმცა ადგომაც არ ეხალისე-  
ბოდა, აღმაცერად, ცალი თვალით გადახედა ფანჯარასთან თივის ლეიბს —  
სტეპანიდა მკვდარივით ჯუბაწაფარებული იწვა და პეტროკმა გაიფიქრა:  
ბობოვკას დარდობსო, რასაკვირველია, რაღაა მათი სიცოცხლე უბობოვკოდ.  
დღდაკაცმა უძროხოდ როგორ უნდა გაძლოს.

ის იყო დაბირა ადგომა, რომ საკუჭნაოს კარი ძლიერად მოჰქაჩეს წინკა-  
რიდან ზღურბლზე გერმანელი გამოჩნდა — სწორედ ის უყმური მზარეუ-  
ლი, თავზე გარდიგარდმო რომ მოეგდო პილოტურა, მის უკან ჰაბუკი სათვა-  
ლიანი გერმანელი იყურებოდა. პეტროკი სწრაფად წამოჯდა კასრზე, თან ტყა-  
ბუჭის სახელოები მოძებნა ხელებით, მზარეულს არაფერი უთქვამს, სახეში მია-  
ნათა პეტროკს პატარა ფარანი და მერე სათითაოდ გააშუქა ყოველი კუთხე,  
დოლაბების დამტვერალი ქვები, თარო, კუთხეში მიდგმული დიდი კასრი; ხი-  
როებსაც მიადგა, სახურავები გადახადა, სამივეში ფარნით ჩაიხედა. ორი  
მთლად ცარიელი იყო, ხოლო მესამეში სამიოდე ფუთი ქერი ეყარათ — სა-  
ბურღულედ ინახავდნენ, მერე გერმანელმა „ვეე!“ წამოიყვირა და პეტროკს მი-  
ვარდა, რომელიც ფეხშიშველი ჩამოხტა ცივ იატაკზე; გერმანელმა აქეთ-იქით  
მიმოისროლა მისი ტანსაცმელი, კასრების სახურავები და ყოველ კასრში ჩაი-  
ხედა. კაცმა არ იცის, რატომ დაიხარა დოლაბებთან, ფარნის თეთრი შუქი  
მოავლო კედლებს, კუთხეებსა და ჰერსაც კი და სიტყვის უთქმელად გავარდა  
წინკარში.

პეტროკმა ტყაბუჭის სახელოებში გაუყარა ხელები, ფრთხილად მიხურა  
მზარეულის გასვლის შემდეგ კარი და ცოლს მიუბრუნდა, რომელიც თავდი-  
ხრილი იჯდა თივის ლეიბზე გულგრილი გამომეტყველებით.

— რაო, რა უნდოდა?

სტეპანიდამ მხრები აიჩეჩა, უხმოდ შემოიბუდნა თავშალი და აუჩქარებ-  
ლად ჩაიცვა ბამბულა, როგორც ჩანს, სულაც არ გაკვირვებია გერმანელის ეს  
უცნაური გამოცხადება, მხოლოდ თვალებზე ეტყობოდა, რა ყურადღებით



აყურადებდა გარედან შემოსულ ბნელს. პეტროვი ვერაფერს მხედდა და სარკმელში გაიზედა. იქ, სამზარეულოსთან შეჭვდილული ფერმანელები რაღაცაზე ცხარედ და ასე გასინჯეთ, დამფრთხალნიც ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, რამდენიმე რატომღაც ბოხლის მახლობლად და შემოსაპაობზე დახეტებოდა. რას ეძებდნენ ნეტა იქ?

— ნგონი, რაღაც დაკარგვიან, — თქვა პეტროვმა. მარცხენა

სტეპანიდამ პასუხის გაცემაც ვერ მოასწორო, რომ მან დაიწყო მისი "შე-  
ქუჩილი გერმანელები ქოხისკენ დაიძრნენ, წინაარში ჩექმების ბრავაბრუგა  
ატეხეს და ამჯერად ერთი კი არა, სამი ერთად შემოვარდა ლუარდულის, და  
ატყდა ერთი ამბავი... გააგებულნი და მტკიცე გადაწყვეტილებით გადააყირა-  
ვეს ყველაფერი — გადააბრუნეს დიდი თუ მომცრო კასრები. ჩამოგლიჯეს  
ლურსმანზე დაკიდებული ჩვრები, წინაარში ფეხებით გადაქექეს კარტოფილის  
კროვა, გრილით გადახადეს ზანდუკს თავი და წუთში გადააქოთეს, შიგ რაც  
იყო, პეტროკი კართან მოხუხულიყო და ხმას არ იღებდა, მას არც არავინ  
ეკითხებოდა არაფერს. მხოლოდ შესცქეროდა, აყლაყუდა დიდრონჩექმებიანი  
გერმანელი როგორ აქოთებდა კალათებს, კანაფის კასრს, აქეთ-იქით ისროდა  
ფეხებში მოხვედრილ თუჯიებს. მერე გერმანელი სტეპანიდას მივარდა, გვერ-  
დზე მიაგდო და მუხლით მოსაჩა მერხზე თავის ლეიბი, პეტროკმა სარკმელ-  
ში გაიხედა და დაინახა, როგორ აძვრა რამდენიმე სალდათი სათივეში თივის  
ძნებზე: გადაქექეს და მერე ძნები კიშკართან ჩამოყარეს.

— რაო, ბატონებო, რას ეძებთ? — რაც შეიძლება აღერსიანად იკითხა პეტროკმა, თუმცა არაფრისთვის მიუმაართავს.

აყლაყუდამ გაწყალებული თვალების გაყინული მზერა ზავლ-ჩაველო პეტროკს და რაღაც გაუგებარი დაიყვირა; პეტროკსაც მეტი არაფერი უკითხავს. კიდევ უფრო მიიყუჩა კუთხეში კარისგან მოშორებით და უხმოდ ადევნებდა თვალს, თუ რა ხდებოდა. ბოლოს გერმანელებმა წინკარიცა და საკუჭნაოც გადაქოთებული დატოვეს. ეზოში გაცვივდნენ და იქ კარგა დიდხანს კიდევ დადიოდნენ კედლების გაყოლებით, მოათვალიერეს ლაფაროები, ბოსტანს გადაღმა ქინკარი და საკუჭნაოს ხავსმოდებული სახურავიც კი.

— გაგეუდნენ თუ რა მოუვიდათ? — საგონებელში ჩაეარდხილიყო პეტროკი.

იქაურობის მისალაგ-მოსალაგებლად პეტროკმა სცადა თავას აღვილზე მიეწია კასრები, რომ უცებ მოესმა ნაცნობი სიმების ხმა და შეშინებული გაი-  
რინდა — გერმანელებს მისი ვიოლინოსათვისაც მიეგნოთ. „ვაი ჩემს თავს!“ —  
გაიფიქრა პეტროკმა, ისეთი ელდა ეცა, ლამის ატირებულიყო, მაგრამ რა უხდა  
ექნა? იქნებ ცოტა გაერთონ და უკან დამიბრუნონ? ხომ არ დაამტვრევენ და  
გადააგდებენ, რად უნდათ ვიოლინოთ? თუმცა ბევრი არ უფიქრია, წინკარში  
სწორედ იმ დროს გამოვარდა, როცა ქოხიდან საჩქაროდ გამოდიოდა მაღალ-  
ქუდიანი თავჩალუნული ოფიცერი, მის უკან კი მოგორავდა გოდორა ფელდ-  
ფებელი. წინკარში ისინი პეტროკს შეეჩეხნენ და მღელვარებისაგან მთლად  
დაბნეული პეტროკიც აღაპარაკდა:

— ბატონო ოფიცერო, უთხრით, დამიბრუნონ ისა... ჰო, ვიოლინო... იმით, რომ ის ხომ ჩემია, საკუთარი... იცით, მე ვიყიდე...

— ვეჰ! — წამოიყვირა, თითქოს მათრახი გაატყლაშუნაო, ოფიცერმა.

პეტროკმა ყველაფერი დასწყევლა ამქვეყნად, უკან-უკან დაიბრია საკუჭ-



ნაოსაყენ და წყნარად გააღო კარი. სარკმელთან ყურადღებადაცხებული იდგა სტეპანიდა.

— დავკარგე ვიოლინო და ეს არის, — უთხრა შეწუხებულმა პეტროკმა. — რა ჭირი ეცათ ნეტა?

კარგი ამბავი არ უნდა იყოს ამათ თავსო, გაიფიქრა პეტროკმა, როცა ეზოდან მკვახე ბრძანება მოესმა და სარკმლიდან დაინახა, როგორ დაეწივნენ მანქანები ორ მწყრივად ხელში შაშხანებითურთ. ყველანი მწყობრში ჩადგნენ — ფელდფებელიც და კარლაც, — მწყობრის წინ მხოლოდ ოფიცერი დარჩა, მის გვერდით კი ფერდებზე ხელებმიჭერილი გაჭიმულიყო დარდით გულმოკლული მზარეული, თეთრ ქურთუკზე მასაც შემოეჭირა ქამარი, რომლის ბალთის ორივე მხარეზე შავაზნეები ეკიდა. მზარეულს თავი ჩაეჭინდრა და გაუნძრევლად იყურებოდა წინ, მოლს ჩასცქეროდა, მხოლოდ ოფიცრის წამოძახილზე ასწია ვიწრო, ავადმყოფური, გაღეული პირსახე და თავდაპერილად უპასუხა ორი სიტყვით. ოფიცერმა იქვე, ხელის მოუქნევლად სტიკა ლოყაში სილა; მზარეული შეტორტმანდა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა და თავის დასაცავად ხელიც კი არ გაუნძრევია.

— სტეპანიდა, სტეპანიდა! უყურე! — უთხრა თითქმის შეშინებულმა პეტროკმა. — აი, საოცრება.

შემცივნებული, ბამბულაში შეფუთვნილი სტეპანიდა თავის ლეიბზე ჩამოჯდა, ხოლო პეტროკი, გეგონება, საინტერესო კინოსურათს უცქერისო, სარკმლიდან ეზოში იყურებოდა. გერმანელებს ცხვირ-პირი ჩამოსტიროდათ, ხმას არ იღებდნენ, არც გაღახული მზარეული სძრავდა კრინტს. მწყობრის ბოლოში დადგა, ხოლო ოფიცერმა ზურგზე შემოიწყო ხელთათმანიანი ხელები, მწყობრის წინ დადიოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა რაღაცას. იტყოდა, გაჩუმდებოდა, სამ ნაბიჯს გადადგამდა, შეჩერდებოდა, ისევ იტყოდა და კვლავ გაჩუმდებოდა. სალდათებს დანადვლიანებულ სახეებზე ეტყობოდათ, გასახარელს მაინცდამაინც არაფერს ეუბნებოდათ, ალბათ თუ ტუქსავდათ. პეტროკი ხვდებოდა, რომ რაღაც ამბავი მომხდარიყო და, მგონი, მზარეულს ადანაშაულებდნენ. საინტერესო საყურებელი კი იყო, მაგრამ პეტროკს შიში შეეპარა, მე და სტეპანიდა არაფერში გაგვხვიონო. ყველაფერი ხომ ოფიცერზე იყო დამოკიდებული. პეტროკმა უკვე იცოდა, რომ ყველას უფროსი აქ ეს ოფიცერია და კარგს არაფერს უნდა მოელოდეს მისგან კაცი, ცუდისათვის კი, ეტყობოდა, მუდამ მზად იყო.

მაგრამ აი, ეზოში ჭკუის დარიგება მოთაჲდა, მწყობრი დაიშალა, ზოგმა თამბაქოს გაბოლება იწყო, დანარჩენებმა მანქანას მიაშურეს. იქნებ სამუდამოდ აიბარგნონო, იმედი მიეცა პეტროკს. მაგრამ, როგორც ჩანს, ადრე იყო მათი აქედან აბარგება. ეზოში ჭერაც იდგა რუხი კარავი და სამზარეულო; ოფიცერმა რა რომღაც ხელები აუქნია ფელდფებელს და ისიც კიბისკენ წაგორდა. პეტროკს გული შეუქანდა, აქეთ, ჩემკენ ხომ არ გამოსწიან?

არც შემცდარა. საკუჭნაოს კარი მოიფლითა და ფელდფებელმა ზღურბლიდანვე ლეკვივით თითით მოუხმო.

— კომ! კომ-კომ...

— შე?

— ია, ია. შენ, — დაუდასტურა ფელდფებელმა.

პეტროკმა თავზე კეპი შეისწორა და ფელდფებელს წინკარის გავლით ეზოში გაჰყვა. სალდათები უკვე მანქანაში სხდებოდნენ. ურთმანეთის მიყოლე-



ბით ძვრებოდნენ კარიდან, ხოლო ოფიცერი კაბინის ღია კართან იდგა. ლობე-  
ში გამომტვრეული ხვრელიდან ფელდფებელი ბოსტანში გადაძვრა, ჭარხლის  
კვალი გადათელა და მოკლე ნაბიჯებით წაუტუნტუნა ბოსტნის ბოლოსკენ.  
საგონებელში ჩავარდნილი პეტროკი მის უკან მიჩანჩალებდა.

— კლოზეტ ნიხტ? — უცებ შედგა ფელდფებელი.

— ვინო? — ვერ მიუხვდა პეტროკი.

— კლოზეტ ნიხტ? ფერშტეინ? კლოზეტ? — ჩასციებდა ფელდფებელი  
პეტროკს, მაგრამ, ეტყობა, მიხვდა, რომ მისი ცდა ამაო იყო, უცებ სწრაფად  
ჩაუტუნტუნა და მკვეთრად წარმოთქვა: — -ა-ა-ა...

— არა! — მიუხვდა პეტროკი. — ისა, არა?

— სწორედ ისა, — გაუმეორა გერმანელმა. — გაკეთება!

— მაშ, ისა... თუკი ვინმეს სჭირდება, ისა...

პეტროკს უნდოდა დაწვრილებით განემარტა ეს საჩოთირო საკითხი და  
მიეთითებინა ბოსელზე, ახლა რომ უქმად იდგა გამოცარიელებული. მაგრამ  
ფელდფებელმა ყური აღარ ათხოვა და მესრის ძირში, მოცხარის ბუჩქთან მოკ-  
ლე ფეხებით გადაზომა სამი დიდი ნაბიჯი.

— ოფიცირკლოზეტ! — განუცხადა მტკიცედ, — დრო გვაქვს დრამი საათი.  
ფერშტეინ, გასაგებია?

— დიახ, გასაგებია, — ყოყმანით მიუგო პეტროკმა.

რას იზამ, კლოზეტის ამოთხრა გერმანელებისათვის როდი იყო ყველაზე  
უარესი საქმე, პეტროკს გაუხარდა კიდევაც, რომ ყველაფერი ასე უბრალოდ  
მოგვარდა. მას კი უკვე ეგონა... შეეშინდა კიდევ, ვაითუ ეს ორმო ჩემი უკა-  
ნასკნელი სამყოფელი გახდესო.

პეტროკი ეზოში დაბრუნდა, შეშისსაჭრელზე ფიცრებს ქვემოდან  
ძველი, დაჟანგული ნიჩაბი ამოათრია. მიწის ამოსათხრელად მაინცადამაინც არ  
ვარგოდა, მაგრამ სამ საათში იქნებ როგორმე ამოეთხარა ორმო. უნდა შეუდგეს  
საქმეს, თორემ, ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი, თუ დროზე არ ამოთხარა, ვინ  
იცის, რა უქნან.

მოისმა მანქანის მოტორის თუხთუხი, ეტყობა, ყველანი ჩახდნენ შიგ.  
ამაში რომ დარწმუნებულიყო, პეტროკმა ჩუმად გამოიხედა შეშის ხორის  
კუთხიდან. ეზო თითქმის დაცარიელდა, მანქანამ ვეება ბორბლებით გადათხარა  
ბოსტანი და ახლა ცაცხვებთან ტრიალდებოდა. სამზარეულოსთან მარტო  
კარლა დარჩა. მის გვერდით კი, მესრის ძირში, მერხზე მოეკალათებინა სტეპანი-  
დას და კარტოფილს ფცქენდა. ჰო, რასაკვირველია, სამუშაო ყველას ჩამოუ-  
რიგესო, გაიფიქრა პეტროკმა, როცა დაინახა, მის ცოლს ნახევარი ტომარა კარ-  
ტოფილი ედო წინ, ეტყობა, წინკარში რომ ეყარა, იქიდან აეღო. მანქანა თუხ-  
თუხით გაუყვა გზას და პეტროკი ნიჩბით ხელში ეზოში გამოვიდა. გულზე მოე-  
შვა, რომ ცოტა ხნით მაინც მოიშორა თავიდან მდგმურები. მაგრამ ნაადრევი  
იყო სიხარული — კარავსა და ქოხის ფანჯრებს შორის იდგა სახედაძუწუ-  
კებული ქაბუკი გერმანელი შაშხანითურთ, ბრჭყვიალა ფართე ხიშტი რომ  
წაღლა იეშვირა. აბა უყურე, გუშაგიც დაგვიყენესო, მიხვდა პეტროკი და მა-  
შინვე ისევ დაეუფლა უხალისო, დარდიანი განწყობილება. რასაკვირველია,  
სიხარულს ამათ ხელში ვერ მოესწრები კაციო, იფიქრა ეზოში ბოსტნისკენ მი-  
მავალმა, და სწორედ ამ დროს კარლას ხმაც მოესმა სამზარეულოდან:

— ფატერ, კომ!

კარლა ვეება, თეთრ გეჯას დასდგომოდა თავს და პეტროკი რომ ახლოს



მივიდა. სახურავი გადახადა. გეჭაწი ხორცი იდო, რასაცვირველია, ბობოვეკას ხორცი. კარლამ დიდი ნაჭერი ამოიღო და ჯერ სტეპანიდას მიუტანა. მაგრამ ქალმა ზიზლით გაიქნია თავი.

— არ შევჭამ მაგას.

მაშინ კარლა პეტროკს მიუბრუნდა. მანაც გამოართვა კარგი ძელიანი ნაჭერი. ხორცს მადის აღმძვრელი მსუყე სუნი ასდიოდა. პეტროკს ძაღრამს მტუქვამს შეჭმა. მაგრამ სტეპანიდამ მესერიდან ისეთი ზიზლით შეხედა ქმარს, — ბეჭყყყყყა საჭციელი წაუხდა.

— ეს... მერმისთვის იყოს, ხომ პან კარლა? იცით რა, ჯობდა, რომ ჩვენ, ესე იგი... გაგვებოლებოდა.

— გაგვებოლებია! — მიხვდა კარლა. — ია, იაფოლ.

მან ჯიბიდან ერთი კოლოფი სიგარეტი ამოიღო და ორთავემ აუჩქარებლად გააბოლა თითო-თითო. პეტროკმა ხარბად მოქაჩა, თუმცად მარჯვენა ხელში ისევ ხორცის ნაჭერი ეჭირა.

— მე ამას... დავდებ. პო, მერე რომ... — ხელით უჩვენა ხორცზე და საკუჭნაოზე.

— ია, ია, — დაეთანხმა კარლა.

პეტროკი საჩქაროდ მიაწყდა წინკარს, მაგრამ ამ დროს კარვიდან მტკიცედ გამოაბიჯა გუშაგმა.

— პალტ! ფერბოტენ!

— რაო?

— პალტ! ცურიუკ! — ფოლადისებრი ხმით დაუყვირა გუშაგმა და მარჯვდ გადაუღობა პარმალის ვზა. ჭაბუკური სახე გაქვავებოდა.

— „ვამ ჩემი ცოდვა! — გაიფიქრა პეტროკმა. — უკვე ქოხშიც აღარ მიშვებენ. როგორ უნდა ვიცხოვრო აქ?“ მაგრამ ასე კი იყო: საკუჭნაოშიც აღარ შეუშვეს. პეტროკი ერთ ალვილზე იტყეპნებოდა ეზოში, კარლას სიგარეტი ბოლომდე ჩაწვა. სამზარეულოსთან მოფუსფუსე კარლა ზოგჯერ გამოხედავდა ხოლმე არაფრისგამომხატველი მზერით. მესერთან კარტოფილს ფცქვნიდა სტეპანიდა. იგი სამზარეულოსკენ ზურგშექცეული იჯდა, ალბათ იმიტომ, რომ ეზოში რა ხდებოდა, არ დაენახა.

რა უნდა ექნა, პეტროკმა სინანულით დადო ხორცის ნაჭერი გეჯის ლითონის სახურავზე და ბოსტნისკენ გაეშურა. ოფიცრების კლოზეტი უნდა ამოეთხარა.

თავდაპირველად ადვილი სათხრელი იყო, ნიჩაბი ძალისდაუტანებლივ ჩადიოდა ბოსტნის რბილ ნეშომპალაში, რომელსაც პეტროკი ცოტ-ცოტაობით ყრიდა მესერთან. მაგრამ მერე მიწა გამაგრდა, თიხნარი დაიწყო და აქ უკვე საჭირო გახდა ამომტვრევა, თანაც ვიწრო თხრილში ნიჩბიანად ტრიალიც ქირდა. თუმცა დილიდანვე ცივი და ქარიანი ამინდი იდგა, პეტროკს მალე ძვალ-რბილი გაუთბა მუშაობაში და ტყაბუჭი შეიხსნა. მხოლოდ მუხლამდე ამოთხარა და უკვე დაიღალა; მიხვდა, რომ ასე თუ იმუშავა, იქნებ ვერც მოასწროს, თუ მეტი არა. მისთვის მიცემული დროის ნახევარი უკვე გალია. ტყაბუჭის შიგნით ზურგი დაუსველდა და, ცოტათი რომ სული მოეთქვა, თხრილის პირას ჩამოჯდა.

ამ დროს ეზოდან ლაპარაკი შემოესმა. პეტროკს ხმა ეცნო და იქითკენ მიიხედა. ქოხიდან ქარხლის კვლების გადმოვლით მისკენ ფართო ნაბიჯებით მოაბიჯებდა გუყი; ტალახიანი ჩექმები ეცვა, მხარზე შაშხანა გადაეგდო და თეთრი, დაჭმუჭვნილი სამკლაური იდაყვს ქვემოთ ჩამოცურებოდა ისევ ამ მოწითალო



ქურთუკის სახელობე. „ეს რა ქირია!“ — ავად გაიფიქრა პეტროკმა, უკვე გრძნობდა ახალი უბედურების მოახლოებას. პოლიცაი ორმოსთან მოვიდა და მხრიდან შაშხანა ჩამოიღო.

— ეთხრით, ხომ? — მიუსალმებლად ჰკითხა მან პეტროკს.

— ჰო... როგორც ხედავ...

— სათხრელი სხვა რამე გვაქვს.

— რასაც გვეტყვიან, იმას ვაკეთებთ, ჩვენ ახლა, ხომ მტრ-სყუდელს ბრძანებას ვასრულებთ.

— ჩემი ბრძანება კი ესაა: კარტოფილის სათხრელად წახვალ, ვისელკიში. უკვე ყველა იქ გარეკეს, შენ და შენი დედაცაც დარჩით მხოლოდ.

„ესეც ახალი ამბავი! — გაიფიქრა პეტროკმა, — ჯანდაბამდის გზა გქონიათ თქვენი კარტოფილიანად!“ ამ ყინვაში უჭმელ-უსმელი მთელი დღით მინდორში ყოფნა პეტროკს სულაც არ ეპიტნაებოდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ ეთქვა უარი.

— იქნებ ჩვენ განთავისუფლებულები ვართ, პა? ხომ იცი, ჯანზე ვერა ვარ, ისა... გვერდი ისე მტეხს, ასე რომ...

— აბა, აბა, — მკაცრად შეაწყვეტინა გუჟმა. — თურმე გვერდი ტეხს! აი, თუ კარტოფილს არ ამოვთხრით, გერმანელები მაშინ მოგტეხენ კისერს. ასე ბრძანეს: ერთი კარტოფილიც არ დატოვოთ აულებელი, სადგურში მიიტანეთ. კვირამდე მოგვცეს ვადა.

— კი მაგრამ... განა ჩემზე ახალგაზრდა სხვა არავინაა? — გაცხარდა პეტროკი. — ქალები, გოგონები. მე სამოცი წლის კაცი ვარ...

— აბა, აბა, წამოდი! — მოუთმენლად დააკაკუნა კონდახით მიწაზე გუჟმა. — ლაპარაკი არ იყოს.

პეტროკმა ცოტა შეაყოვნა და მერე თხრილიდან ამოძვრა. ძალიანაც არ უნდოდა წასვლა, კაცმა არ იცის, სად, სადღაც ვისელკის მინდორში, მაგრამ ალბათ იძულებული გახდება. ამათ უფრო ვერ მოიშორებს, ესენი, მიწაში რომ დაიმალა, იქაც მოგაგნებენ, ამოგათრევენ და გაიძულებენ გააკეთო, რასაც კი მათ გერმანელები უბრძანებენ.

პეტროკმა ნიჩაბი თან წაიღო და მორჩილად მიჰყვა პოლიცაის ქოხისკენ. გრძნობდა, როგორ ტეხდა ნაჯაფი წელი და უცებ გაიფიქრა: იქნებ ასე სჯობდეს კიდევო — ამ გათელილ, გაძარცვულ სახლ-კარს რომ მოვშორდები და ტრიალ მინდორში, ჩემიანებში ვიქნებიო, ნაძალადეობასა და აბუჩად აგდებისაგან მაინც ვიხსნი თავსო. როგორც ყოველთვის, პეტროკი ახლაც ცდილობდა თავის ახალ მდგომარეობაში რაიმე უპირატესობა ეპოვა, თორემ გარემოებას თუ არ შეეგუე, ისე როგორ გაძლებ კაცი? შენ რომ გინდა, ისე მაინც რომ არ იქნება, ეს დანამდვილებით იცოდა.

ორთავენი ბოსტნის ხვრელში გაძვრნენ და ეზოში ამოყვეს თავი. აქ უკვე კვამლი სქლად ადგა სამზარეულოს, ქვაბიდან ბოლქვა-ბოლქვა ამოდიოდა ოხშივარი. კარლა რაღაცას ურევდა, ისევ მესერთან მიმჯდარი სტეპანიდა კი უტყვი გულმოდგინებით ფცქვნიდა კარტოფილს.

— აბა, აქტივისტო ქალო, მალე მორჩები მაგას თუ არა? — მოუთმეხლად დაუღრიალა ქალს გუჟმა.

— შენს უღელში არა ვარ, ნუ მერეკები, — მშვიდად მიუგო სტეპანიდამ და სათლში კარტოფილი მოისროლა.



— ქარ გერეკები, გიბრძანებ, აიღეთ კალათები და ორთავენი უკან მომ-  
ყავით.

— სად გვაქვს კალათები?

— სახლში შედი და აიღე! აგერ წინკარში ხომ გიღერს კალატები!

— მე რე ვინ შემიშვეებს რა?

— როგორ თუ ვინ? რაო, გუშაგი არ შეგიშვებს თუ?..  
 კილო იცვალა გუქმა და აღერსიანად მიმართა გუშაგს. —  
 თუ შეიძლება, კალათი მჭირდება, გესმის, კალათი-მეთქი!

— ცუდია! — დაუფვირა გუშაგმა და მბრძან შეშხანა მოიხსნა.

„უპ. რა კარგია! — გაუხარდა გულში პეტროს. — ესეც შენ: ცურიუკი აბა რა გეგონა? „პეტროკმა მოწონებით შეხედა ბრტყელსიფათიან გუშაგს. სწორედ რომ დროზე ჩაჩარა ბურთი პარში ამ გულზევე პეტროკის.

— ეშმაქმა იცის თქვენი თავი! — საგონებებულში ჩავატრია გუფი. — აბა ტომარა წამოიღე ან სათლი.

— სად ვიშოვო სათლი? ეს ხომ იმითია.

„ჰე, ჰე, სტეპანიდას ასე იოლადა ვერ გამოიჭერ! — ამ მრავალი წლის განმავლობაში იქნებ პირველად გაიფიქრა აღფრთოვანებით ცოლზე პეტროკმა. — თუ გაჭიქდა, კუდიტ ქვას გასროლინებს, ვერც მე შეგაშველები ამ საქმეში. აბა აიძულე, თუ შეგიძლია!“

ლაბარაკში გართულებმა მაშინვე ვერ გაიგეს, გერმანელების ვეებერთელა მანქანამ შარავშიდან რომ გადმოუხვია და ჭიშკართან მოგრილდა. -გი ჯერ კიდევ არ შეჩერებულყო, რომ კაბინიდან გოდორა ფელდფეხელი გადმოგორდა. აჭარხლებული სახე გერმანელს რაღაცნაირად გამოცოცხლებოდა. კაცი მაშინვე ვერ მიხვდებოდა, სიკეთის მაუწყებელი იყო ეს თუ არა.

— ვას ისტ დას? — დაიყვირა ფელდფებელმა და გუჟს წინ დაუდგა; პო-  
ლიცაიმ უგერგილოდ სცადა ქუდის საჩიზისათვის ხელის წაღება, მაგრამ შაშ-  
ხანამ გაუფუჭა საქმე, მისი ღვედი ტყავის ქურთუკის მხრიდან ჩამოუცურდა  
და იდაყვზე დაეკიდა. — ვას ისტ დას? რა არის ეს? — უკვე გაცოფებით გაი-  
მეორა ფელდფებელმა. ცალი ხელით დოინჯ შემოდგმული დადგომოდა წინ  
პატარა და ჩამრგვალებული გერმანელი ტლანქი, გრძელხელემა გუჟს.

— ბრძანებაა კარტოფილის თაობაზე, პან ოფიცერ, კარტოფილის ასა-  
ღებად! — დააზუსტა გუფმა. — კვირამდე უნდა მორჩნენ აღებას.

— ეას ისტ დას? — ყურიც არ ათხოვა ახსნა-განმარტებას, განრისხებით დასჭყივლა ისევ ფელდფებელმა და ერთ ნაბიჯზე მიუახლოვდა პოლიციას.

— ზომ გეუბნებით, პან ოფიცერ, ნაბრძანები გვაქვს ყველანი კარტოფილ-ზე წავიდნენ, პან ბურგომისტრმა...

— ვას ისტ დას? — არა და არ ვშვებოდა ფელდფებელი და ამჯერად გუფმა ყველა სიტყვა ჩაყლაბა. გაჭიმული და თვალებდაჭყეტილი უხმოდ იდგა გერმანელის პირისპირ. ფელდფებელი უცებ შეტოკდა და ძალზე მარჯვედ ქვე-  
ვიდან ზემოთ ორჯერ სტკიცა სილა ზედიზედ — ჯერ ცალ ლოყაში, მერე —  
მეორეში. პოლიცაი შაშხანიანად წაბარბაცდა, თითებში ჩაბლუჯული შაშხანა  
ფერდზე მიიხუტა და დაბნეულმა თვალები ააბამხამა, ეტყობა, ზელახალი გასი-  
ლაქების მოლოდინში, მაგრამ ფელდფებელს მეტი აღარ გაურტყამს, ამის მა-  
გიერად მოკლე თითი ჭიშკარს ატაკა, — ვეკ!

და როცა შეშინებული თუ გახარებული გუფი ეზოს გაეცალა, ფელდფ-  
ბელში ზიზლით გამოსცრა კბილებში:



— ამკრალეებული პოლიცაიშეაინ...

— კი, კი, ასე უნდა მაგას. ცუდი კაცია, — თავი ვერ შეიკავა პეტროკმა, რომელიც ძალზე კმაყოფილი იყო საქმის ასე შეტრიალებით. იგი სიხარული-საგან მთლად კანკალებდა, მაგრამ ფელდფებელმა რაღაც უცნაურად შეხედა მოხუცს, თითქოს პირველად დაინახაო, და ავად მოწყურა თვალები.

— ოფიცერკლოზეტ ფერტიგ?

— ჰა?

ერქუნული

გინგლირუნება

— იქ მზადა ხარ? — მიუთითა ფელდფებელმა ბოსტანზე.

— არა, როგორ მოვათივებდი, როცა ის კაცი ჩამაცივდა და ვერ მოვიშორე, — გამოერკვა უცებ პეტროკი, როცა მიხვდა, რასაც ეკითხებოდა გერმანელი. მაგრამ მაშინვე ხმა ჩაიკმინდა, დაინახა რომ ფელდფებელი გვერდიდან ეპარებოდა, სანამ გონზე მოვიდოდა, საჯდომზე ჩექმით მტკივნეული პან-ლური ამოჰკრეს და სამ ნაბიჯზე გადააბტუნეს ბოსტნისაკენ. „ოჰ, ღმერთო ჩემო!“ — ამის გაფიქრებალა მოასწრო და დამღუღრულებით გაეარდა ზვრე-ლიდან ბოსტანში.

11

სტეპანიდას თავადაც ვერ გაეგო, როგორ გაუძლო იმ საშინელ წუთებს, როცა დილაადრიანად გერმანელებმა მისი სახლ-კარი და ნივთები გადააქო-თეს. აშკარა იყო, ღამით ვერავინ შეამჩნია მისი საქციელი, მაგრამ ამით გულს არ მოფონებია, რაღა ფიქრი არ მოუვიდა თავში. შეშხანა ხომ აქ, ამ სახლ-კარში დაიკარგა და ეს ალბათ კმაროდა იმისათვის, რომ მკაცრად გასწორე-ბოდნენ სახლის პატრონებს. საოცარია, რომ გუშინდამ, როცა დაუძლეველი შურისგების წყურვილმა აიტანა, სულაც არ უფიქრია ამაზე. სამაგიეროდ დი-ლით აიტანა შიშმა.

მაგრამ ჭერჭერობით ყველაფერი რიგზე იყო, გერმანელები სამუშაოზე გაიკრიფნენ, სამზარეულოში მხოლოდ კარლა დარჩა და სტეპანიდას უბრძა-ნეს, მიეშველეო; ჭერ კარტოფილი უნდა გაეფცქვნა (სამი სავსე სათლი), მერე ხელახლა გაერეცხა ორი დუჟინი ბრტყელსახურავიანი კარდალა. კიდევ კარ-ლამ სილით გაახეხინა ორი გამურული გეჯა და გარდა ამისა, ცხელ წყალში საპ-ნით გაარეცხინა რაღაც სამზარეულოს ჩვრები. სტეპანიდა განგებ არ ჩქარობ-და, ხალისგამქრალი აკეთებდა ყველაფერ ამას, მერე თანდათან, როცა დილის შიში გამოუნელდა, გოჭის დარღმა აიტანა: ნეტა როგორ არის იქო? სალაფავი უნდა მიეტანა მისთვის, თორემ ისე აჭყვირდებოდა, ვინმე წააწყდებოდა და ახ გამოუშვებდა, ან მოიპარავდა, ჰოდა, მერე რაღა დარჩებოდა ოჯახში?

მაგრამ კარლა ერთი ნაბიჯითაც არ იშორებდა მას, ახალ და ახალ საქმეს უძებნიდა და ისიც ხმისამოუღებლად აკეთებდა. გერმანელები სადილად აქ არ დაბრუნებულან, იქნებ ხიდის საქმეს ვერ გაართვეს თავი ან კიდევ გუშინდელ უქმე დღეს ინაზღაურებდნენ. შებინდებამდე მოვიდნენ და მაშინვე გაავსეს სამზარეულო; ყველანი, ეტყობა, დაღლილები, დამშეულები, ქართთა და სიცი-კით გათოშილები იყვნენ. პეტროკმა უკვე ამოთხარა ბოსტანში საოფიცრო კლოზეტი და ახლა მესერს ავლებდა; სტეპანიდა სამზარეულოდან წინკარში გასხლტა, გუშაგი გვერდზე მიდგა და ახლა უკვე ნება მისცა, საკუჭნაოში შე-სულიყო.

სტეპანიდა შევიდა იქ და გაიტრუნა, ეშინოდა, თვალში არ შეჩხირებოდა გერმანელებს, ერთთავად იმის ფიქრში იყო, იქნებ უცებ ვინმემ გაიგოს ახ



ზიზვდეს, რომ სწორედ მე ავიღე შაშხანაო. რომ არ დასჭირვებოდა, არც გამოძვრებოდა ამ საკუჭნაოდან, რომელიც ახლა მისი თავშესაფარი გახდა და რომელიც დილის მერე ასევე გადაჭოთებული და აყრილ-დაყრილი დარჩა. პეტროკი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო ბოსტნიდან და სტეპანიდა თავის კუჭნიდა კუთხე-კუთხე კასრებს, დგამებსა და ჭურჭლეულს, კედლის ლურჯაზე კიდებდა ტანსაცმელს; სუსხიანი შემოდგომის დღე საღამოთი მთლად გაუქმდა, ჟინჯლავედა, გერმანელები ნაკლებად დასეირნობდნენ ეზოში, სწრაფად წაიღეს თავიანთი ხორციანი კარდალები სამზარეულოდან და კარავში შევიდნენ.

ეზო რომ დაცარიელდა, სტეპანიდამ გოვზიდან თუჯიაში ჩაყარა ძველი მოხარშული კარტოფილი, ქათო მოაყარა და ფანჯარაში გაიხედა. ეზოსა და სახლის ირგვლივ მიდამო წვიმიან ბინდბუნდში ჩაძირულიყო, სამზარეულოსთან არავინ იყო კარლას გარდა, რომელსაც თავზე დაფოთლილი მოსასხამის ირიბი ზიშტაკი ჩამოეჭენჭა და იქაურობას ალაგებდა, ქალმა თუჯიას ბამბულის კალთა წააფარა და წინკარიდან გამოვიდა, თუმცა მაშინვე გადააწყდა გუშაგს — ხანშიშესულ, გრძელცხვირა გერმანელს, ყურებზე რომ სველი პილოტურა ჩამოეფხატა. გუშაგი კართან იდგა, სახურავს შეფარებული, და დაინახა თუ არა სტეპანიდა, ზღურბლზე გადო ფეხი.

— ეს ისტ ფერბოტენ! არ შეიძლება!

— არ შეიძლება?... აი რა...

სტეპანიდას არც ხვეწნა დაუწყია და არც დაყოლიება — ქოხიდან ფელდფებელის გააგებული ლაპარაკი ისმოდა, ეტყობა, ან მან, ან ოფიცერმა უბრძანეს გუშაგს მასზე, ეზოში არ გაუშვაო. „თქვენ კი ამოწყდით ერთიანად!“ — თქვა გუნებაში სტეპანიდამ და საკუჭნაოში შებრუნდა.

მან თუჯია ზღურბლთან დადგა, თივას ლეიბზე დაჯდა და მანამდე იჯდა იქ, სანამ საკუჭნაოში პეტროკი არ შემოძვრა და სუსხი და ნოტიო სუნი არ შემოიტანა, თუმცა თავად სულაც არ ეტყობოდა არც გათოშვა და არც დაღლა, მზიარული და კმაყოფილი ჩანდა.

— გვიცოცხლია, დედაკაცო! — მისთვის უჩვეულო ხალისით ალაპარაკდა ზღურბლიდან კაცი. — ნამდვილი სორტირი გავაკეთე, ჰო, აი ის კლოზეტი... ოფიცერმა შემაქო.

— იქნებ შეგაგინა?

— არა, ღმერთმანი, შემაქო. მხარზე დამარტყა ხელი, გუტო, მითხრა.

— კარგად კი გიმლიქვნელიათ, — დაცინვით უთხრა სტეპანიდამ, უკვირდა, ნეტა რა აზარებსო.

— კი არ მიმლიქვნელია, ეშმაკმა დალაზვროს მაგათი თავი! — აჩურჩულდა პეტროკი. — ვიფიქრე, იქნებ ვიოლინო დამიბრუნონ-მეთქი.

— არ დაგიბრუნებენ, — უთხრა ქალმა. — დასაბრუნებლად კი არ წაურთმევიათ.

— მერე რაში სჭირდებათ? დაკვრა მაგათ არ იციან და...

— იქნებ იციან კიდევ.

— რომ იცოდნენ, უკვე დაუკრავდნენ. ვიცი მე.

— მაშ, წადი და სთხოვე, — უთხრა ცოლმა. თუმცა კი მისი ფიქრი სხვანაირად ჰქროდა.

ნამდვილად დაეღუპება გოჭი, სხვა რომ არაფერი, სიცივით ამოხდება სული, თუ მანამ შიშმა არ მოკლა მაჩვის სოროში. რა უნდა ქნას? იქნებ სთხოვოს,



რაიმე საჭიროებისათვის გაუშვან? მაგრამ რა მოხეზი მოეგონებინა, რომ დაე-  
ჯერებინათ, ვერა და ვერ მოეფიქრებინა, თუმცა ტვინს იჭულეტდა ფიქრით.

— ჰოდა, წავალ კიდეც, — გამბედაობას იკრებდა პეტროკი, — მაგრამ აღ-  
ლიდან არ იძროდა.

მაშინლა მოაგონდა სტეპანიდას თავისი ცოცხლად გადარჩენილი ქათმები,  
რომლებიც, ეტყობა, ხუტორს გაეცალნენ ან იქნებ დარტყმულნი იქნებოდნენ,  
დღისით სამზარეულოსთან რომ საქმიანობდა, მალულად უნდა გადამაყ იხე-  
დებოდა, იქნებ თვალი მოეკრაო, მაგრამ ერთიც არ გამოჩენილა, სადღაც გად-  
კარგულიყვნენ და დაბრუნებას არ ჩქარობდნენ.

— სთხოვე მათ, რომ ქათმების საძებრად გაგვიშვან. უთხარი, გუშინ და-  
აფრთხეს-თქო დედლები და უნდა მოვიტყუოთ-თქო.

— მერედა რა? ვთხოვ კიდევაც, ღმერთო შენ შემიწყალე...

სტეპანიდამ ბნელში ვერ დაინახა, მაგრამ მიხვდა, რომ პეტროკმა პირჯვ-  
რი გადაიწერა და გაუბედავად გამოადო კარი. შემდეგ, ~~ცოტა~~ ხნის მერე და  
არა მაშინვე, წინკარიდან მოისმა ქოხის კარზე წყნარი კაკუნი და სტეპანიდა  
აფორიაქდა. ეშმაკმა იცის, რა მოხდება ახლა, ნეტა ცოცხალი კი დაბრუნდ-  
ბოდესო ჩემი პეტროკი.

ეტყობა, პეტროკი ქოხში შეუშვეს და კარგა ხანს აღარ დაბრუნდა, ცოლ-  
ელოდა და აყურადებდა, მაგრამ თითქმის არაფერი ისმოდა, ვარდა კანტიკუხტი  
უცხო სიტყვებისა, რისგანაც ვერაფერი გაარკვია. უცებ წვრილად აჟღერდა  
ვიოლინოს ერთი სიმღერა, მეორე და მესამეც, მერე მათი ხმები თანხმიანად შე-  
ერწყა მელოდიას და ქალმა იცნო პეტროკის დაკვრა, რაიმე სხვა საქმე მაინც-  
დამაინც არ გამოსდიოდა ხელიდან, მაგრამ ვიოლინოზე დაკვრა რომ შეეძლო,  
ეს სტეპანიდამ იცოდა. ნუთუ მისცემენ ვიოლინოსო, ნაღვლიანი სიხარულით  
გაიფიქრა ქალმა, მაგრამ პეტროკი უკან არ ბრუნდებოდა. სამაგიეროდ ქოხი-  
დან რაკრაკით მოდიოდა ოდესღაც მისთვის საყვარელი „კუპალინკის“ ნაღვ-  
ლიანი პანგები. სტეპანიდა უსმენდა, უსმენდა და თავს ებრძოდა, გულს არ  
აჩვილებოდა, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა, თვალთაგან ერთიმეორის მიყოლე-  
ბით რამდენიმე კურცხალი გადმოუგორდა, ქალმა სასწრაფოდ მოიწმინდა უხეში  
თავსაფრის ყურით ისინი და სულგანაბრულმა ისევ მიუგდო ყური. პეტროკი  
დახვეწით, დიდი მონდომებით უკრავდა, როგორც ოდესღაც დაუკრავს საღ-  
მოს თავშეყრებზე ვისელკიში, ზამობიეში, გუშჩაში მეციმბალე ლავრიკთან  
ერთად. დაკვრას რომ მოტრია, ქოხში ისევ გაისმა ლაპარაკი, მაგრამ მალევე  
მიუუჩინნენ და ისევ აჟღერდა ახალი პანგი, ეს იყო სიმღერა ვოლგაზე, ომის  
დაწყებამდე რომ მღეროდნენ ხოლმე. ახლა პეტროკს ხმასაც კი უწყობდნენ;  
არეულ-დარეულად, შეცდომებით, უცხო ენაზე, სტეპანიდა ისევ ყურს უგდებ-  
და და მისი თავდაპირველი აღფრთოვანება მუსიკით ახლა წყენამ და გაავებამაც  
კი შეცვალა — რატომ უკრავს მისი ქმარი ამათთვის? იპოვა რა ამანაც მუსი-  
კით დასატკბობი ხალხი! რაო, უარს ვერ ეტყოდა თუ რა? ეთქვა, არ ვიცი დაკ-  
ვრაო, ჩემი კი არა, სხვისი ვიოლინოაო, იმან კი გაიხარა, აქაოდა, ოფიცერმა  
სორტირისთვის შემაქო და ახლა იქნებ დამკვრელადაც დაუდგეს, აბა დაბრუნ-  
დეს ერთი!.. თუ ბოლოს და ბოლოს ერთი პანჩური კიდევ არ დაიმსახურა მათ-  
გან.

დრო მიდიოდა, პანჩურის ამოკვრას კი ქოხში აშჩიარად არ ჩქარობდნენ,  
ალბათ მართლაც მოეწონათ პეტროკის დაკვრა. პეტროკი დიდხანს უკრავდა,  
სიმღერებს ცეკვებს მიჰყოლა, დაუკრა მათთვის „კაზაჩკაც“, „ლეგონიხაც“ და



„კრაკოვიაკი“. სტეპანიდას ისიც კი მოეჩვენა, რომ იქ ერთი-ორჯერ ტაშიც შე-  
მოჭრეს და ვლაცამ „ბრავო“ თქვა. „ერთი უყურე! — გაოცდა ქალი. — და-  
მაცადე, მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა აამო ამ ყვავებს!“

მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გაჯახუნდა ჯერ ერთი კარი და მერე მეორე.  
რე. პეტროკი საკუჭნაოში დაბრუნდა და ზღუბლიდანვე ჩუმად, მკერდზე დაკრული  
დიდი კმაყოფილებით თქვა:

— აქი გითხარი...

— დაგიბრუნეს?

— დამიბრუნეს, შენ კი არ გჯეროდა, — კაცმა სიბნელეში რაღაც შესჩა-  
რა ცოლს ხელში და ქალმაც ძლივს მოუფათურა ხელი ვიოლინოს ვიწრო  
ყელს.

— ქათმებზე თუ პკითზე რაიმე?

— ჰოო, ქათმებზე... დამავიწყდა. დამავიწყდა, ხომ იცი... იმათ აბა როგორ  
უნდა ელაპარაკო.

ქალმა ხელი მოიქნია და დოლაბებზე მიაგდო ვიოლინო, რომელიც მსუბუ-  
ქად მიეხეთქა რაღაც რბილს და უკანვე გადმოვარდა. სიმებმა წყნარად გაიღო-  
რუნეს. პეტროკს ელდა ეცა:

— რას შვრები, რას? ხომ არ გასულელდი?..

— მე არადა, შენ კი, როგორც ვხედავ, თავად მალე გასულელდები. —  
ჩუმად ჩაისისინა ქალმა. — ხასიათი უკვე შეუწყვე, მათთვის უკრავ. იფიქრე  
თუ არა, ვისთვის ირჯები? იქნებ მაგათ შვილები დაგვიხოცეს. სადა გყავს გო-  
გო? ან ვაჟიშვილი? რამდენი თვეა, არაფერი ვიცით მათი, იქნებ უკვე მიწაში  
წვანან, შენ კი მაგათთვის უკრავ!

— მაშ, რა უნდა მექნა? მოთხრეს და! ჰოდა, მეც დავუკარი. ამიტომაც  
დამიბრუნეს.

— დაგიბრუნეს? ახლა ყოველ ღამე უნდა დაუკრა მათთვის?

პეტროკმა პასუხის გაცემაც ვერ მოახწრო, რომ გარეთ, ქოხის შორიახლოს  
ღამის სიჩუმე გაჰყვითა სროლის ხმამ, და წამსვე მრავალნაირი ხმა ერთად  
აჰყვა — შეშფოთებული, ხმამალალი, გერმანულ ენაზე ნათქვამი სიტყვებით.  
ქოხის კარი გაჯახუნდა, ყველანი ჩაბნელებულ ეზოში გამოცვივდნენ. იქ ისევ  
გაისმა დაფეთებული ყვირილი და ისევ ორჯერ ზედიზედ იგრიალა თოფმა. სტე-  
პანიდა ცოცხალმკვდარივით იჯდა, არ ესმოდა, რა ხდებოდა, საით ისროდნენ და  
ვის ესროდნენ, უცებ ქოხისა და ეზოს თავზე აბრიალდა ელექტრონის შუქივით  
თვალისმომკრელი სინათლე; სარკმელს მოადგა კაშკაშა, აალებული სინათლის  
კონა, რამაც სწრაფად გადაურბინა იატაკს, კარებს, სუნთქვაშეკრულ პეტროკს,  
ხელში რომ წითელი ვიოლინო ეჭირა, და კედელზე, ქერის გამურულ კოჭზე  
ჩაქრა.

— რაკეტაა, — ჩამწყდარი ხმით თქვა პეტროკმა. — რა ხდება ეს? გადა-  
გვბუგავენ...

არც სტეპანიდამ იცოდა, რა ხდებოდა იქ, ვერც ვერაფერს ხედავდა და  
შეძრწუნებული აყურადებდა თავისი სახლ-კარის სიახლოვეს ატეხილ ალია-  
ქოთს. ეტყობა, მთელი ეს აურზაური ქოხის გადაღმა, ღარტაფთან იყო, ისმოდა  
მიწაზე ჩექმების ბრავუნი, მოშორებით კიდევ რამდენიმეჯერ იგრიალა თოფმა.  
ჰოდა, როცა მალე ერთი რაკეტა კიდევ აბრიალდა, მისი შორეული შუქი  
მჭრქალ, ოკრობოკრო ათინათად მიეტყორცნა ცაცხვის რტოებს ქვემოთ დაყე-  
ნებულ მანქანის ვეება წვეტს. „ნეტავი ვინ დაინახეს იქ? — ფიქრობდა სტეპა-



ნიდა. — ნუთუ გოჭი შენიშნეს? იქნებ გამოძვრა, აქ მოიბრინა და ახლა ნამდვილად ვეღარ გადაურჩება ამათ, მოკლავენ!”

სტეპანიდას თივის ლეიბზე გული აღარ უდგებოდა, ჩოქრით მიაღმა სარკმელსა და ეზოს სიბნელეში იწყო ჰვრეტა. მერე გაოქრებულ გასვლა სცადა, მაგრამ წამსვე სარკმელთან დაბრუნდა, რადგან დარწმუნდა, ახლა იქ გასვლა არ შეიძლებოდა, იქნებ მოეკლათ კიდევ ამ სიბნელეში. მან დაიწყო აყურადება გერმანელების წამოძახილებს და მათ აქოთქოთებულ ფიქრებს ლარტაფის სიახლოვეს თუ ბოსტანში, თავისი კარ-მიდამოს გადაღმა. იქ რამდენიმეჯერ კიდევ იგროლა თოფმა და გაისმა რიხიანი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბრძახება.

— ღმერთო ჩემო! რა არის ეს? — კითხულობდა დაბნეული პეტროკი, რომელსაც ვერა გაეგო რა.

— ჩუმად იყავი! ყური უგდე...

რა თქმა უნდა, სხვა რა შეეძლოთ, თუ არ მსხდარიყვნენ და მიეყურადებიათ. ამ გაუთავებელ დაძაბულ ვითარებაში, ცოტა რომ მიეუჩნა იქაურობა, სტეპანიდას პარმალთან მოესმა საუბარი, ვიღაცა გუშაგს გამოელაპარაკა და ქალმა გაარჩია მხოლოდ ერთი ნაცნობი სიტყვა „ბანდიტენ“. „კი მაგრამ, საიდან უნდა გამოჩენილიყვნენ აქ ბანდიტები? — გაიფიქრა ქალმა. — იქნებ ტყიდან დაესხნენ თავს გერმანელებს, ასე გაცოფებულები რომ მიაწყდნენ ლარტაფს? მაგრამ რატომ იმ მხრიდან, ლარტაფიდან არ ისმის სროლა?..“

— რა მოხდება, რას იზამენ ახლა? — წუწუნებდა ისევ პეტროკი და ცოლიც წყნარად გამოეხმაურა:

— რაც მოხდება, მოხდება, არ იცი განა?

— ნეტავი ხუტორს კი არ გადაბუგავდნენ და...

— იქნებ გადაბუგონ კიდევაც, — კვერი დაუჭრა სტეპანიდამ. — მაგათ ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ.

ქალს მოეჩვენა, რომ ვიღაც კედლის გაყოლებით ეზოსა თუ კარვისკენ გაიქცა, იქიდან ისევ მოესმა ამჯერად უფრო თავშეკავებული ლაპარაკი, ვიღაცამ მიწაზე ფეხების ბაკუნით გაიბრინა და სადღაც ისევ გაუჩინარდა. სროლის ხმა არ ისმოდა, თუმცა რაკეტა კიდევ რამდენჯერმე აბრიალდა. მისმა შორეულმა მოლივლივე ათინათმა მცირე ხნით გაფანტა ეზოსა და საკუჭნაოს წყვდიადი. სტეპანიდამ დაინახა მიტკალივით გათვთრებული პეტროკის სახე, მას ხელში ეჭირა ახლა უკვე უმაქნისი ვიოლინო, თითქოს არ იცოდა, სად გადაკარგულიყო მისიანად.

— მოდიან!!

პეტროკი მთლად დაიძაბა იმ სიბნელეში, მისმა ცოლმა თითქმის ფიზიკურად იგრძნო, მერე კი უკვე მის ყურამდეც მოაღწია გერმანელების აღელვებულმა ხმებმა, ჯერ კიდევ შორიდან რომ მოისმოდა. ხმები თანდათან ახლოვდებოდა — ჩგუფად თუ მოდიოდნენ ან იქნებ ყველანი ერთად ბრუნდებოდნენ. დიახ, უკან ბრუნდებოდნენ — ახლა ხმება უფრო გარკვევით ისმოდა, დროდადრო ვიოლის ხმამაღალი ხმა აწყვეტილებდათ ლაპარაკს, იქნებ ფელდფებელით, ფიქრობდა სტეპანიდა და ისევ აყურადებდა. არა, ეს სხვისი ხმა იყო, რალაცას განმარტავდა ან იქნებ თავს იმართლებდა.

მალე იქით, ბილიკზე და შეშისსაპობზე აბრავუნდა მძიმე ნაბიჯები, ეზოში ფარნის შუქმა გაიბრინა რამდენჯერმე, გერმანელები ფარნით ინათებდნენ გზას. ისინი ჭგროდ შემოცვივდნენ ქიშკარში და შუა ეზოში გაჩერდნენ. ვიღაცამ



ქობში შეირბინა („ლიბტ“, „ლიბტ“) და ფანჯარაში ელექტროლამპა აკიაფდა — შუქი ჩართეს.

სტეპანიდა სარკმელთან იდგა, უკვე ნათლად გრძნობდა, რომ ახლა მისთვის მეტად უსიამო ამბავი გაირკვევა, მაგრამ იმას, რაც სინამდვილეში გაირკვა, ვერც წარმოიდგენდა. ღამის წყვილიაღში სარკმლის ქუჩუიანი მინიდან ვიწრო ბევრს ვერაფერს დაინახავდი, მოჩანდა მხოლოდ ის ადგილი, რასაც უკვე წინა დღეს გამოსული ელექტროშუქი ანათებდა. ქალმა დაინახა, რომ გერმანელებმა მოათრიეს და ბალახზე მოისროლეს რაღაც მძიმე საგანი. თავად კი მის ირგვლივ შეჯგუფდნენ და გაცხარებული საუბარი გააბეს. ერთნი იცინოდნენ, მეორენი გაგულსებით ყვიროდნენ რაღაცას. მათ ზურგებსა და პილოტურებს შორის მოჩანდა მხოლოდ მაღალი ქუდი ოფიცრისა. მბზინვარე ლაბადა რომ ეცვა. ფარანი მის ფეხით მიწაზე სცემდა შუქს.

— ვილაც მოუკლავთ, — უთხრა ცოლმა პეტროკს. მის გვერდით რომ იდგა და სარკმელში იყურებოდა. მაგრამ ვერაფრის დანახვა ვერ მოასწრო. რადგან წინკარში გაისმა გრუხუნის, ფარანის სუსტი სხივი საკუჭნაოს მოაწყდა და თივის ლეიბზე მსხდართ თვალი მოსჭრა.

— ფატერ, კომ! ნახე აინ ბანდიტი! იცანი აინ ბანდიტი, — თქვა ფელდფებელმა, მაშინვე თავადვე რომ შეასწორა თავისი ნათქვამი.

პეტროკმა გზად პირველი გადაიწერა და კარს მოაშურა. სტეპანიდა კი სიბნელეში დარჩა, სარკმელში აღარ იყურებოდა. თითქოს გაქვავებული იდგა საკუჭნაოში, უკვე იცოდა, რაღაც საშინელი ამბავი მომხდარიყო და განაჩენით ელოდებოდა იმის დასტურს, რასაც მიმხვდარიყო.

პეტროკი რომ მალევე მობრუნდა, სტეპანიდას არც უკითხავს მისთვის — გინო. მადლობელიც დაუჩიებოდა ქმარს, თუ საერთოდ არაფერს ეტყოდა და დილაზე ხმასაც არ ამოიღებდა. მაგრამ პეტროკი ის კაცი არ იყო, მთავარი სათქმელი დიდხანს შეენახა და კარი მოახურა თუ არა. შიშნეული ჩურჩულით აცნობა:

— იანკა მოუკლავთ!

სტეპანიდას ეგონა, სადღაც წყვილიაღში ჩაემხო, ხმა არ გაუღია, გული მტკივნეულად შეეკუმშა. პეტროკმა კი, ეტყობა, იფიქრა, ჩემი ცოლი ვერ მიხვდაო, და საჩქაროდ დაუზუსტა:

— ჰო, ის მწყემსი ბიჭი-მეთქი, ვისელკელი.

რომ არ წაქცეულიყო, სტეპანიდამ ხელით თივის ლეიბის კიდე მოიძია და ნელა დაეშვა ლეიბზე.

ცნობიერება სტეპანიდას თითქოს მართლაც წაერთვა, ამ საკუჭნაოდან და ამ საშინელი ღამიდან სადღაც გაუჩინარებულიყო, საკუთარ თავსაც ვერ გრძნობდა ამ შფოთიან სამყაროში, თანდათან რომ ვიწროვდებოდა და პატარავდებოდა მის ირგვლივ. რათა მალე ხაფანგში მოემწყვდია. იცოდა, ახლოვდებოდა მისი აღსასრული, სწრაფად და დაუნდობლად ახლოვდებოდა. და ქალი ამასღა ფიქრობდა: რატომ და რისთვის?! რა ჩაიდინა საიმისო, ღვთისა და სინდისის საწინააღმდეგო, რად დაატყდა თავს ასეთი სასჯელი, ან ხალხმა რა დააშავა? რატომ შემოიჭრნენ უამისოდაც მძიმე ცხოვრებაში ეს გადამთიელები და ყველაფერი ყირაზე დააყენეს, აღამიანს სულ მცირე იმედიც მოუსპეს მომავლისა?! რატომ და რისთვისო, ერთთავად ამას ეკითხებოდა თავს სტეპანიდა და პასუხი კი ვერ ეპოვა. ამიტომ ფიქრებით უკან, წარსულის სიღრმეში დაფათუ-



რობდა. კედელს მიღმა, ეზოში, თანდათან მიჟუჟდა, აღარ ისმოდა უხეში სალ-  
დათური ჩექმების ბრაგაბრუვი, დროდადრო აღწევდა გერმანულად წარმოთ-  
ქმული ფრაზები, მაგრამ სტეპანიდა ყურს არ უგდებდა ამ მოძულეებულ, უცხო  
სიტყვებს, გულს იწყნარებდა და უკვე სხვა დროში გადასულა, სხვა ხალხის  
სხვა ხმები ესმოდა, მთელი ცხოვრება თან რომ სდევდა, ჩქვებ წარჩეღ მათ  
მოგონებას ენუგეშებინა ახლა, თუკი ამ ქვეყანაზე კიდევ დეჩქოუნებულებში...  
გინგლიფსიქა

იმ დღეს ხუტორში არ უსადილიათ — სტეპანიდა შვილების სკოლიდან  
მოსვლას ელოდებოდა. პეტროკი დილიდანვე არ იყო შინ, — უთენია გლეხებ-  
თან ერთად სადგურზე თვითდასაბეჭრი წაიღო და ღამით უნდა დაბრუნებუ-  
ლიყო, გზები ძალიან მოლიპული იყო — მანამდე ერთი სამი დღე ლელმა დაპ-  
კრა, ეზო წყლით იყო სავსე, ციდან წვიმა ცრიდა, დილით კი მოყინა — მინ-  
დორი, გზა, ხეები ყინულის ქერქით დაიფარა, ცაცხვმა ერთი როკი ველარ  
დაიკავა, მოტყდა და მოყინული ტოტები ჩამოეკიდა თოვლზე, ცოტათი შემლ-  
ღვალ ფანჯრიდან სტეპანიდამ ამ როკს იქით ვიღაც კაცი დაინახა მინდორში,  
ხან სწრაფად რომ მორბოდა ვისელკიდან მომავალ გზაზე, ხან კი ცოტა ხნით  
შეჩერდებოდა და მარხილის ნაკვალევზე მოსრიდებდა ზუბუნის გრძელი სახე-  
ლოების ქნევით, როცა კაცმა შარაგზა გადმოარბინა და ხუტორისაკენ გამოე-  
შარა, სტეპანიდამ ვისელკელი ყმაწვილი პოტაპკა იცნო, პოტაპკა თავის ასა-  
კისთვის ტანად დადიოდა, ზამთრობით სკოლაში არ დადიოდა — ფეხსაცმელი  
არ ჰქონდა — მთელი დღეები მერხზე იჯდა ქობში, რომლის ნახევარი სოფლ-  
საბჭოს ეჭირა, და მუდამ პირდაღებული უსმენდა გლეხების ლაპარაკს, თუ  
ეინმეს დაძახება დასჭირდებოდათ, სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, ცალთვალა  
ლევონ ბოგატკა პოტაპკას გზავნიდა, ყმაწვალს უხალისოდ მიდიოდა თუ მირ-  
ბოდა, სადაც გააგზავნიდნენ და უკან დაბრუნებული კვლავ ჩამოჯდებოდა  
ზღუბლზე, არაბავშვურად დაინტერესებული უფროსების ლაპარაკით.

სტეპანიდამ ერთი კი გაიხედა ფანჯარაში, სართავი ჯარა ქუთხეში მოდგა  
და თავშალი გაისწორა, ამკარა იყო, პოტაპკა ტყუილად არ მორბოდა ხუტო-  
რისაკენ, ამ ბოლო დროს ვისელკიში თითქმის ყოველ საღამოს აკრიბებოდნენ  
თავყრილობებზე, ნათლისღების აქეთ სოფლის აქტივისტები და რაიონიდან  
ჩამოსული რწმუნებულები ცდილობდნენ გლეხების დაყოლიებას კოლმეურ-  
ნობაში შესვლაზე, მაგრამ ამაოდ, გუშინ მთელი ღამე ისხდნენ, იკამათეს,  
ილანძღეს და განთიადისას დაიშალნენ, კოლმეურნეობაში კი მხოლოდ ექვსი  
კარ-მიდამოს პატრონი გაერთიანდა.

პოტაპკას დანახვაზე სტეპანიდამ გაიფიქრა, კრებას თუ იწვევენ და ალბათ  
ამის შესატყობინებლად გამორბისო, მაშასადამე, წერა-კითხვის უცოდინართა  
მეცადინეობა ჩაიშალა, ქალს ცოტათი გული დასწყდა, რადგან დღეს ისე კარ-  
გად დაწერა რვეულში ერთი გვერდი, როგორც არასდროს, სიტყვებიც ისე  
კოხტად ნაწერი გამოუვიდა, მთელი ზამთარი რომ ვერ მოახერხა, სულ თანაბ-  
რად ჩააწიკწიკა, ალბათ შეაქებდნენ სკოლაში.

ამას წინათ მასწავლებელმა ქალმა უსაფვედურა, უგულისყურო ხარო —  
ბნელში დაწერა, ბავშვები რომ დაწვნენ, მერე, კრაქში ნავთი გამოელია, პეტ-  
როკი კი ლუმელს იქიდან ბუზლუნებდა, რა დროს შენი წერა-კითხვის სწავლაა,  
დაწეტი და დაიბინეო, ახლა კი, მარტო რომ დარჩა ქობში, მიუჯდა ალაგებულ  
მაგიდას და აუჩქარებლად დაწერა რვა სტრიქონი: ჩვენ ვაკეთებთ მანქანებს.



ჩვენ ვაყალიბებთ კოლმეურნეობებს“. მაგრამ, ეტყობა, დღეს მეცადინეობა არ შედგება.

ამასობაში წინკარში კარმა გაიჭრია და ფეხებიც არ დაუფერია. ისე შემოვარდა ქოხში პოტაპკა — ზორბა, ფერმკრთალი ყმაწვილი, ბნელი, რომ შემოერთყა ნასხვისსარ დაკერილ ზუბუნზე. მას გამარჯობაც არ უთქვამს. მან გაწითლებული, გაყინული ცხვირი აასრუტუნა ერთ-ორჯერ და მერე დაიწყო ლუნა:

- დეიდა, იქ ლევონი გეძახით.
- რათ, კრებაა თუ?
- არა, კრება არ არის. ღარიბკომში იქნება.
- ახლა?
- ჰო.

— მოვემზადები და წამოვალ, — უთხრა სტეპანიდამ, რომელიც ცოტათი შეაფიქრია ამ ცნობამ. შემოდგომის აქეთ ღარიბკომში არ შეკრებოდა, ახალი უნდა აირჩიონო. მაგრამ, ეტყობა, ახლა ძველიც დასჭირდათ.

პოტაპკა ერთხელ კიდევ აასრუტუნა ცხვირი, თავზე შემოჭერილი ცხვირის ქუდი გაისწორა და კარში გაძვრა. სანამ კარს გაიხურავდა, ზღუბლზე დიდ-რონი ჩექმები ააბაკუნა და სტეპანიდა მიხვდა, ყმაწვილს ლევონის ჩექმები ეცვა. თავად ლევონი ალბათ ახლა სოფლსაბჭოში მაგიდასთან ზის, მერხქვეშ ღრმად შეულაგებია ფეხები, რომ შემოსულებმა არ დაინახონ, თავმჯდომარე ფეხშიშველიაო. ფეხსაცმლის საქმე ხუტორშიაც ვერ იყო კარგად, პირდაპირ უბედურება გახდა. ვერც შენთვის და ვერც ბავშვებისათვის ყიდვითაც ვერ იყიდდი და შეკერვითაც ვერ შეიკერავდი. მთელ ოჯახში ერთი დაკერებული თექურები ჰქონდათ, რომელიც ამ დილით პეტროკმა ჩაიცვა გზაში და ამიტომ სტეპანიდა იძულებული იყო ქალამნები ამოეცვა. თუმცა ჩაცმაზე მაინცდამაინც არ ზრუნავდა, ეკლესიაში კი არ აპირებდა წასვლას, რაკი ღარიბკომის სხდომაზე მიდიოდა, რაღა ჰქონდა სასიარცხო. ფეხზე თბილად კი ცმოდა და სხვამხრივ რა უშავდა.

სტეპანიდა ხელად მოემზადა, ჩაიცვა შალის ქვედატანი, რომელიც უფრო ახალი ჰქონდა, შემოიხვია ახალთახალი თეთრი, წინწკლებიანი თავშალი და ქალამნებიც კოხტად ამოიკრა. საერთოდ, დეიდად არ დაგიდევდათ ჩაცმას: ყმაწვილი აღარ იყო, თუმცა ჯანი კი მოეცა მისთვის ღმერთს, რაც უნდა იყოს, ორმოცი წლისა გახლდათ — დედაკაცი იყო უკვე და არა ოცი წლის გოგო. პარმალთან ლურსმნიდან ჩამოხსნა თავისი საუკეთესო მორთულობა — კოხტა და თბილი, მოქარგული ჯუბაჩა, საგარეოდ ყველგან რომ ჩაიცმებოდა. ქოხს სტეპანიდა არ კეტავდა, მალე ბავშვები უნდა დაბრუნებულიყვნენ სკოლიდან, იქნებ გზაზედაც შემოხვდნენ. სკოლა ახლოს ჰქონდათ, ისევ იმ ვისელ-კიში, სადაც ხუტორიდან ვიწრო სამარხილო გზას მიჰყავდი. მიდიოდა სტეპანიდა და თან წინ იყურებოდა, იქნებ ჩემი პატარები გამოჩნდნენო: ფენეჩკა მესამე კლასში დადიოდა, ფედიკა კი მეორეში. მაგრამ ბავშვები არსად ჩანდნენ, გზა კი ძალზე მოლიპული იყო, მიწასავით მოსარკული. რომ არ დაცემულიყო, სტეპანიდა დროდადრო ძირს იყურებოდა, ფრთხილად მიაბიჯებდა შეფიქრანებული: ნეტა რა საქმე გამოგვიჩნდა ღარიბკომშიო?

მაგრამ რაკი უხმობდნენ, ეტყობა, საჭირო იყო.

გუშინ უთენია სოფლსაბჭოს თამბაქოს ბოლით დაბურულ ქოხში ისეთი ამბავი ატყდა, სტეპანიდამ იგრძნო, რომ კეთილად და მშვიდობიანად საქმე



არ დამთავრდებოდა, უეჭველად რაღაც მოხდებოდა. ჯერ იყო და გლეხებიც, რწმუნებულიც და სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ლევონიც დაძაბულები და სმენა-გაფაციცებულები ისხდნენ; სანამ პრეზიდიუმი აარჩიეს, ხმა მისცეს, დღის წესრიგი დაამტკიცეს — რომელიც შობიდან მოყოლებული უცვლელად ერთი და იგივე იყო — ქოხში თანდათან მოზღვადა შფოთიანი და მუქარით სავსე განწყობაც კი, რაიონის რწმუნებულმა კოსმახოვმა რომ სიტყვა დაიწყო, ყველამ თავი ჩაქინდრა, თვალები დახარეს და უხმოდ უგდებდნენ. კოსმახოვი დალაგებით ლაპარაკობდა, უფრო მეტად პოლიტიკას ეყრდნობოდა და მოჰყავდა მაგალითი, თუ რა კარგად მოიწყვეს ცხოვრება კოლმეურნეებმა ლეპელის მახლობლად მდებარე რომელიღაც სოფელში; მეორე წელია დიდ მოსავალს ღებულობენ, კლუბს იშენებენ, მინდორში ორი ტრაქტორი მუშაობს, სალენი და სამკალი მანქანებიც შეიძინეს. ეყოთ ვისელკელებს ამ ვიწრო-ვიწრო ნაკვეთების იმედით ყოფნა, უბადრუკი ცხოვრება, მით უმეტეს, როცა ჩვენი, საბჭოთა ხელისუფლება ასეთ დიდ შესაძლებლობებს იძლევა. მხარს უჭერს ღარიბებს და შეგნებულ საშუალო გლეხებსაც. მთელი ქვეყანა ერთსულოვნად დგება კოლექტივიზაციის რელსებზე, ჰოდა, ისინიც რატომ უნდა ჩამორჩნენ? კოსმახოვი გონებადამჯდარად ლაპარაკობდა, შეგნებულობისაკენ მოუწოდებდა საშუალო გლეხს, რომელიც ღარიბ გლეხთან შეკავშირებული კულაკებისა და მოკულაკო ელემენტების წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს. მომხსენებელი ჰკვიანურ, კარგ სიტყვებს არჩევდა, თავადაც ჰკვიანი, გონებადამჯდარი კაცი ჩანდა. იგი მართლაც კარგი ხელმძღვანელი იყო: სანამ რაიონში მუშაობას დაიწყებდა, რამდენიმე წელი ისტორიას ასწავლიდა სკოლაში და ამბობდნენ, კარგი მასწავლებელი იყო. მისი სჯეროდათ. მაგრამ მართო რწმენა ვისელკელებსათვის არ აღმოჩნდა საკმარისი, საჭირო იყო თვალსაჩინო მაგალითი. ხოლო ასეთი მაგალითი მახლობლად სწორედ რომ არ იყო.

კოსმახოვის გვერდით, მაგიდაზე მძიმედ მკერდდაყრდნობილი, იჯდა ლევონ ბოგატკა, რომელსაც შუბლზე ირიბად ეკეთა ვიწრო შავი სახვევი. ლევონი აქაური, ვისელკელი გლეხი იყო, მრავალშვილიანი, მცირემიწიანი და სტეპანიდასა და პეტროკივით სიღარიბის გამო ორ დესეტინა იახიმოვშიჩინის მიწანაწყალობევი. ლევონმა ცალი თვალი პოლონეთის ომში დაკარგა, სადღაც ვისლასთან, როცა პოლონელი ულანს ხმლით შეება. იქ ცუდი დღე დაადგა ლევონს, მერე პოსპიტალში ძლივს მოაკეთეს და ინვალიდად დაბრუნდა შინ — ფეხდასახიჩრებული, ცალთვალა და მარჯვენა ხელზე ორთითმოჭრილი. ლევონმა დალაგებული ლაპარაკი არ იცოდა, რომ ლაპარაკობდა, გეგონებოდა, მინდორზე გაჭრებს აგორებენო, საქმეც უფრო მეტად თავისი ჭიუტი და დაუთმობელი ხასიათით გაჰქონდა. კოსმახოვის გამოსვლის შემდეგ კენჭი უყარეს კოლმეურნეობის ჩამოყალიბებას, თუმცა ხელი ბევრმა არ ასწია, ხოლო როცა საქმე ჩაწერაზე მიდგა, ყველა გაჩერდა. მაშინ უკვე მხრჩოლავი ლამპის მეორე მხრიდან მოუქნელად წამოდგა ტყაპუჭიანი ლევონი, ხელი ასწია და თქვა:

— რაკი ასეა, პირველი მე ჩამწერეთ! ჰოდა, სტეპანიდა ბოგატკას ვიწვევ, რათა მე მომბაძოს.

ეს უკვე ახალი ამბავი იყო. სხვა დროს ლევონი ასევე პირველი ეწერებოდა ხოლმე, მაგრამ, მე მომბაძეთო, არ უთქვამს. მის მერე ეწერებოდნენ სტეპანიდა, ანტოს ნედოსეკა, დემობილიზებული წითელარმიელი და უმიწაწყლო ვასილ გონჩაროვი. ეს იყო და ეს. მეტი აღარავინ ჩაწერილა, ჩუმად ისხდნენ



და თამბაქოს აბოლებდნენ. კვლავ გამოვიდა სიტყვით რწმუნებული, ლევონი დედას აგინებდა შეუგნებლებს, მაგრამ ისევ ამოიყვანა ყველაფერი.

ახლა კედელთან მდგარ მერხიდან სტეპანიდა წამოდგა და თქვა: თანამდგომარეობაში შევიდეთ.

— მერე ვის იწვევ, რომ მოგზაობს? — დაძაბულად მიაპყრო ლევონმა.

სტეპანიდა

სტეპანიდა ცოტათი დაიბნა. თუმცა, სანამ მერხთან გლეხკაცების მოხროლ ზურგებს მალდა იდგა და მათ აბურბგნილ, ჭაღარა, მელოტ კეფებს, წლებით, შრომითა და მოულოდნელად თავს დამტყდარი საზრუნავით დამძიმებულ, ტყაპუქებში, ბიფათნებსა და დაბეჭდილ არმიაკებში გახვეული მათ მოხრილ ბეჭებს დასცქეროდა, მიხვდა: ის უნდა გამოიწვიოს, ვინც ნამდვილად ჩაეწერება და ასევე გამოიწვევს სხვას, მაგალითისთვის გამოსადეგს. ჯერ იყო და კორნილას დასახელება სურდა, რომელიც ახლა სამი კაცის იქით იჯდა მისგან და სწორედ ამ დროს როგორღაც აღმაცერად, ტყაპუქის ბანჯგვლიან საყელოდან, გამოიხედა სტეპანიდასაკენ, მაგრამ მის მზერაში ქალმა ვერ იგრძნო მხარდაჭერა, უფრო მეტად შიში, მტრული გრძნობა შეატყო და ამან აუბნია თავგზა.

— ჰო, ლადიმირ ბოგატკას ვიწვევ, — თქვა მცირე სიჩუმის შემდეგ დაუფიქრებლად, არ განუსჯია, კარგი იქნებოდა ეს თუ არა.

ლადიმირი ყველაზე ღარიბი კაცი არ იყო სოფელში, მაგრამ ძლიდარიც არ ეთქმოდა, მიწა ჰქონდა, იქნებ რამდენიმე დესეტინით სტეპანიდასა და პეტროვზე მეტიც. მის უმცროს ქალ ანიუტასთან ერთად დადიოდა სტეპანიდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კურსებზე და სკოლაში ერთ მაგიდასთანაც ისხდნენ.

მალალი, ხმელი, მოკლებიფთანიათი ლადიმირი მერხიდან წამოდგა. აკანკალებული ხელი ულვაშზე გადაისვა და ძალზე უხალისოდ, სნეულივით ძლივს გამოცრა ორიოდ სიტყვა, რაც პრეზიდენტის წევრებმა კოლმეურნეობაში შესვლის თანხმობად ღეს. მერე ლადიმირი თითქმის ასევე დაძაბული ფიქრობდა, ვინ გამოეწვია მისი მაგალითის მისაბამად, და ანტოს ნედოსეკა დაასახელა. ჯერ კიდევ ჭარმაგი, ცოცხალი და ცქვიტი ანტოსი მაშინვე დაეთანხმა და თავის მზრივ ქუჩის გადაღმელი მეზობელი ივან გუჟოვი გამოიწვია, რომელსაც სოფელში უბრალოდ გუჟს ეძახდნენ.

წავიდა, დაიძრა საქმეო, გაიფიქრა სტეპანიდამ და გაუხარდა კიდევ, ლევონმა რომ ასეთი კარგი ხერხი მოიგონა კოლმეურნეობის საქმის წინ წასაწევად. რა უბრალოდ გამოვიდა, ძეწკვის რგოლებივით მიჰყვებიან ერთმანეთს, აქტივისტის, მეზობლის, თავისიანის მიბაძვით. ასე მაინც უფრო ხალისიანი და საიმედოა. მარტო ერთი კი არ გამოხტება, ამაზე ფიქრით შეწუხებული, ვაითუ სხვებმა მხარი არ დამიჭირონ და მეტიჩარა და ბრიყვი გამოვიდეთ, რადგან თუ მთელ სოფელს წინ აღუდგები, ბევრს ვერაფერს მოიგებ. რაც უნდა იყოს, ეს საქმე, თუ საერთოდ ვიტყვით, სახელმწიფო საქმე კი არის, ჭკვიანი ხალხის მოფიქრებული და შეიძლება გაცთუნოს კაცი, მაგრამ ახალია, ასეთი რამ აქაურ ხალხს ჯერ არ მოსწრებია, არავის გამოუცდია და, ვინ იცის, როგორ შემობრუნდება. იქნებ კეთილადაც შემობრუნდა საქმე სხვაგან, მაგრამ აქაური მიწა სჯობს ალბათ აქაურ ქვიშას, თიხნარსა და ქაობს და ხალხიც ალბათ უფრო მუყაითია, აქაურ ვისელკელებს კი არა ჰგვანან. ვინც არ უნდა აიღო, თუ უქნარა არაა, ძაბუნი ვინმეა, ან კიდევ ხარბი და გაუმაძღარი, ან ყიამყრალი, უყაირათო თუ გონებაჩლუნგი. თუ მათ ერთბაშად მეთურნეობისთვის ვერ



გაურთმევიათ თავი, კოლმეურნეობაში რაღა უნდა გააკეთონ? სტეპანიდას თავისი თავისი მაინცდამაინც არ ეშინოდა, ისევე ექნებოდა, როგორც სხვა, ხოლო თუ თავისი ნებით პირველი შედიოდა, ალბათ იმიტომ, რომ მარქსის შემთხვევაში ბევრს არაფერს კარგავდა — ღარიბი იყო და დიდა გაჭირვებული იქნა ორ დესეტინა მიწის მფლობელად. შარავნის გადაღმა ღარტაფს ქვემოთ, ეყოფა, რაც გაწამდა, ეყოფა, რომ ექვსი წელიწადი თავდაუზოგავად იმუშავებდა მოჯამაგირეობაში მოიწყვიტა წელი. მერე რა იშოვა? კიდევ კარგი — მარქსი და ორი დესეტინა მიწა მისცეს, თორემ როგორ უნდა ეცხოვრა? პეტროვიც ხომ მასავით მოჯამაგირე იყო და თან ორი შვილიც ჰყავდათ.

იმ საღამოს სოფლსაბჭოს ქოხში სტეპანიდას გული მოეცა: როგორც იქნა დაიძრა და წინ წავიდა საქმე, კოლმეურნეობა დაარსდება, ამ უღიმავს ღატაკ ცხოვრებას ხომ უნდა დააღწიონ თავი, განა დრო არ არის, ახალ საქმეს მიენდონ? მით უმეტეს, რომ ქვეიანი ხალხი ურჩევს ამას. სტეპანიდა პატივს სცემდა ქვეიან ხალხს, განსაკუთრებით მათ, ვინც ქალაქელი იყო, მუშათა კლასის წარმომადგენელი, ესმოდა, რომ ისინი ცუდ საქმეზე არ შეაგულიანებდნენ, კიდევ კარგი, რომ პეტროვიც არ იყო მაინცდამაინც წინააღმდეგი, თუმცა კრებებზე სიარული შეწყვიტა, ცოლს გზავნიდა და დილაობით, კალოზე წასვლამდე ახ საქონელს სანამ მიხედავდა, უწყინრად ბუზღუნებდა. მაგრამ აბა რა გაეგებოდა პეტროვს, უსწავლელ კაცს, ოდესღაც ორიოდე ზამთარს რომ ევლო სკოლაში და ხელის მოწერას ძლივს ახერხებდა, ოფლში იჭურებოდა. სანამ ქალაქში თავის უბრალო გვარს გამოიყვანდა, თუმცა სიხარული ნაადრევი გამოდგა, სტეპანიდამ აკი თავიდანვე იცოდა, რომ ეს საქმე ცუდად დამთავრდებოდა. ბებერმა გუჟმა ნედოსეკას გამოწვევა არ მიიღო, კოლმეურნეობაში ჩაწერაზე უარი განაცხადა. ასე მოულოდნელად გაწყდა დიდი იმედის მომცემი ძეწვეი.

ისევ გამოვიდა სიტყვით კოსმაჩოვი, მაგიდაზე მუშტს აბრაზუნებდა ლევონი, შეგნებულობისაკენ მოუწოდებდა, კრებაზე უაზრო ყაყანი და ღრიანცელი ატყდა, გეგონებოდა, ხალხს ეშმაკი შეუჯდაო, ლადიმირი კორნილას წაეკინკლავა, კანალამ ჩხუბი ატეხეს. ხოლო ბებერი, ჩაგარმოდებული გუჟი ისე იჯდა, თითქოს სიკვდილის მოლოდინში იყო, ხმაგაკმენდილს ტუჩები მაგრად მოეკუმდა და იმ კუთხეს მისჩერებოდა, სადაც ოდესღაც ხატები ეკიდა, ახლა კი თამბაქოს ბოლში ძლივს მოჩანდა ქალაქში დაბეჭდილი კარლ მარქსის პორტრეტი, კუთხეებში ლურსმნებით რომ მიეკრათ. საბოლოოდ მეტს ველარაფერს მიაღწიეს და განთიადისას სათითაოდ დაიშალნენ.

ვისელკის ქუჩიდან დაინახა სტეპანიდამ სოფლსაბჭოს ეზოში კოხტა, მწვანე საზიდარში შებმული ჩალისფერი, ჭრელჩულიანი ცხენი და მიხვდა, ნოვიკი ჩამოვიდაო. ზამთრის დადგომიდან ამ ღამეზე საზიდრით მოდიოდა ხოლმე, იმიტომ, რომ ზაფხულშივე ქალაქში გადასახლდა და საოლქო კომიტეტში დაიწყო მუშაობა. ჩქარა წაიწია წინ ამ ვისელკელმა ბოგატკამ, რომელმაც, უფროსი რომ გახდა, რატომღაც ძველი გვარი აღარ იკადრა და უწინარეს ყოვლისა გვარი გამოიცვალა, ნოვიკი გახდა. ბაღლობაშივე საზრიანი ყმაწვილი იყო. სკოლაში კარგად სწავლობდა, მერე ვიტებსკში სამასწავლებლობაზე შევიდა, მაგრამ მასწავლებლობა აღარ ისურვა და ხელმძღვანელ სამუშაოზე მოეწყო. ეს კაცი კოსმაჩოვი როდიაო, გაიფიქრა სტეპანიდამ, სოფლსაბჭოსაკენ რომ შეუხვია, ეგ აქ ყველას მოხარშულს იცნობსო და თუმცა აქაური კი არის, მაგრამ ხალხთან თავი მკაცრად, უფროსივით უჭირავს, პრინციპული, საქმიანი ადამიანია, ასე ამბობენ, მაგარი პარტიულიაო. ისე კიო, ფიქრობდა სტეპანიდა, იქნებ



ახლა სწორედ ასეთი ხალხია საჭირო, რადგან აქაურებთან სხვანაირად არ შეიძლება, თუ რაიმეს უწევინ ანგარიშს, ყველაზე მეტად სიმკაცრესა და ხასიათის სიმტკიცესო.

სოფლსაბჭოს ქოხი სოფლის შუაგულში, ქუჩის პირას იდგა, ყავრით გაღებულ გრძელ დაბალ შენობას კედელზე გამოხუნებული ტილოს ლოზუნგი ჰქონდა გაკრული, რომელზედაც თეთრი ასოებით ეწერა: „ნათქვამი მჭიდრო გახადეთ ქალაქისა და სოფლის კავშირი!“ ქოხს წინგანაშენი ჰქონდა, კარს რომ გააღებდი, პირდაპირ დიდ, გამოცარიელებულ ოთახში ამოყოფდი თავს, სადაც ოდესღაც ცხოვრობდა ამჟამად გასახლებული მედავითნე კონონი თავისი დიდი ოჯახით, ახლა კი სწეული კოლონდენჩიხა ჩასახლებულ ლიყო თავისი ვაჟიშვილით პოტაპით, რომელზეც გადაწყვეტილი იყო იტყოდო, მოზარდია თუ უკვე ქაბუკიო. პარმალთან სტეპანიდამ მსუბუქად დაიფერთხა ქალამნები და გამოაღო კარი, საიდანაც მაშინვე შემოეფრქვია ღუმლით გამთბარი პაეტი, ბოლო მის ფერხთაგან ბოლქვა-ბოლქვა შეიჭრა სუსხი. ქალმა საჩქაროდ მიხურა კარი და შედგა, ჯერ იქ მყოფნი შეათვალიერა. კედელთან მერხზე რამდენიმე კაცი იჯდა, ჰერს ქვემოთ თამბაქოს ნაცრისფერი კვამლის ბოლქვები ირხეოდა. მამაკაცების ხმამაღალი საუბარი წამსვე შეწყდა.

— აი, ბოგატკაც მოვიდა, — ესლა თქვა მაგიდის იქიდან ლევონმა და გაჩუმდა.

სტეპანიდა მიესალმა იქ მყოფთ და კართან მერხის ბოლოში დაჯდა, იცოდა, შეკითხვა არ იყო საჭირო, ისედაც ახლავე გაირკვეოდა ყველაფერი. ქალმა მხოლოდ თავშეკავებით შეავლო თვალი თავმჯდომარის შეფიქრიანებულ და კიდევაც შეწუხებულ სახეს. თავმჯდომარე რაღაც ქალაქს ჩასჩერებოდა, სტეპანიდამ მზერა ახლა კოხტა, ლაზათიან ნოვიკზე გადაიტანა; ნოვიკს ხაკისფერ ფრენჩზე ფართო სამხედრო ქამარი ერტყა და პეწიანი მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, ენერგიულად სცემდა ბოლოს ფანჯარასა და ღუმელს შორის და, სტეპანიდას მოსვლამდე, ეტყობა, რაღაც საჭირო საქმეზე ლაპარაკობდა. შავი, ჯაგარა ქოჩორი წამდაუწუმ შუბლზე ეჩეჩებოდა და თავის აქნევით ისევ უკან იყრიდა თმას. ზღუბრბლთან პოტაპკა იქეჩებოდა ღუმელში — მსხვილ, გაფისულ შეშის ღერებს ტენიდა შიგ; საამოდ გუგუნებდა ოდესღაც შეთეთრებული ღუმელი, ახლა გლეხების ზურგებისაგან საკმაოდ შელანძლული. იქვე, მერხიდან ცნობისმოყვარედ იმზირებოდა ნედოსეკაც, რომელიც სტეპანიდასავით ღარიბთა კომიტეტის წევრი იყო. მას თავისი გაქუცული ტყაბუჭი ფართოდ მოედებდა, რადგან ქოხში თბილობდა.

ნოვიკმა ცოტა იყუჩა, მერე იატაკზე სამი მძიმე ნაბიჯი გადადგა და მტკიცედ მიბრუნდა მაგიდისკენ.

— მე უკვე ვთქვი: მთავარი საფრთხე მოცემულ ეტაპზე — ეს მარჯვნივ გადახრაა. არ შეიძლება დავუშვათ, რომ კოლექტივიზაციის ტემპები შენელდეს. მით უმეტეს დაუშვებელია მისი ჩავარდნა. თქვენთან კი საქმე სწორედ ჩავარდნილია. ეს უთაურობაა! რვა კრება მოიწვიეთ და კოლმეურნეობა ვერ ჩამოაყალიბეთ. ეს კლასობრივ მტერთან უნიათობის გამოჩენა და მისი ნებაზე მიშვებაა. ამხანაგო თავმჯდომარე, რამდენი განაკულაქეთ? — მკვირცხლად მოტრიალდა ნოვიკი ქუსლებზე და ლევონს წინ აეტუზა. თავმჯდომარემ გაოცებით ასწია ცალთვალა სახე, მარცხენა ლოყაზე ლურჯი ნაიარევი აჩნდა.

— მერე ვინ უნდა განვაკულაქოთ? ღარიბ-ღატაკია ყველა.



- აჰ, ლარიბ-ლატაკნი არიან? მაშ რატომ უცხადებენ ბოიკოტს შენი ლარიბ-ლატაკნი საკოლმეურნეო მშენებლობას?
- იმიტომ, რომ ეშინიათ, არ იციან, რა და როგორ იქნება კოლმეურნეობაში. სახუმარო საქმე ხომ არ არის...
- პარტიამ გვითხრა, როგორც იქნება. საბჭოების ყრილობის გადაწყვეტილებებში წერია. თუ თქვენ ვერ განუმარტეთ?
- ჩვენ განვუმარტეთ. გლეხობის შეგნებული ნაწილები... მაგრამ შეგნებული ნაწილი ცოტაა.
- შეგნებულები ცოტაა? — ჩამოართვა სიტყვა ნოვიკმა. — უწინარეს ყოვლისა თავად უნდა გახდეთ შეგნებულები, ვინაიდან თავად თქვენც გადამხრელობის სული გადმოგედოთ. როგორც ვხედავ, კერძო მესაკუთრეთა ტენდენციები უფრო ძვირად გიღირთ, ვიდრე პარტიის გადაწყვეტილებანი.
- ნოვიკი ბრაზობდა, ეს მიმოხრაზედაც ეტყობოდა. სიარულზედაც და იმაზედაც, ხშირად რომ ჩერდებოდა და ლევონს შეურაცხმყოფელი სიტყვებით ადანაშაულებდა. მაგრამ, ეტყობა, ლევონსაც გული გაუწყალდა: დასახიჩრებული სახე უფრო და უფრო აუჭარხალდა, ბანჯგვლიან წარბის ქვემოთ ცალი თვალი რისხვით აენთო და მოთმინებაც გაუწყდა:
- გადახრას მე ნუ მაყვედრი! შენზე ნაკლებად არ შემტკივა გული კოლმეურნეობაზე. ახალი ცხოვრების დასამკვიდრებლად მე სისხლი დამიღვრია. შენ რა ვაჭირს, დაგრილებ წინ და უკან და მოითხოვ. აბა ერთი ჩემს ადგილზე დაჯექი და დააჯერე ხალხი: ასე, რომ თავიანთი სურვილით დათანხმდნენ. ნაგანის გარეშე, ზოგიერთებივით...
- ეტყობა, ნოვიკი მიხვდა, რომ ასე საუბარი კი არა, ჩხუბი გამოუვიდოდათ და ისიც ხალხის თანდასწრებით, ცოტა ხანს იყუჩა და მაგიდის კიდეში დაჯდა.
- კეთილი. მე გასწავლით, — თქვა უფრო მშვიდად. — ლარიბკომი სად არის?
- აი, სტეპანიდა ბოგატკა, სადაცაა გონჩარიკიც მოვა, სემიონი არ იქნება, რადგან ხორბალი წაიღო სადგურში, — ლევონმა სიბრაზე დაიოკა და უფრო წყნარად უპასუხა.
- პოდა, რაღა გინდა, უფლებამოსილება გაგვაჩნია. სოფლსაბჭო, ლარიბკომი, საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი — რა თქმა უნდა, უფლებამოსილი იქნება. უნდა გადავწყვიტოთ. მესაბოტაჟეებს უნდა დავცხოთ! უთაურობა კი არ უნდა გამოიჩინოთ!.. აბა გახსენი საერთო სხდომა.
- ისა... საერთო სხდომას გახსნილად ვაცხადებ, — ჩაიბურღლუნა ლევონმა და გაჩუმდა.
- საკითხი ერთია: მოვიგერიოთ საკოლმეურნეო მოძრაობის მესაბოტაჟენი, — უკარნახა ნოვიკმა. — პირველი მუხლი ჩემი წინადადებით იქნება: განვაკუთლოთ ივანე გუჟოვი, როგორც კულაკების დამქაში და მესაბოტაჟე.
- ნოვიკმა მტკიცედ დააყაუტა გადატყაულ მაგიდის ფიცარზე, შეხედა სტეპანიდას და მერე ხანგრძლივი მზერა შეაჩერა ლევონის სახეზე. ლევონი მკერდით მაგიდას მიაწვა და გაყუჩდა.
- მერე რა საბაბით? — იკითხა მცირე დუმილის შემდეგ. — მას ოთხი დესეტინა მიწა აქვს. ნამდვილი საშუალო შეძლების გლეხია.
- ვიცი, — თქვა ნოვიკმა. — მისი ნაკვეთი ჩვენი ნაკვეთის გვერდითაა. გეთანხმები, მიწა ცოტა აქვს. მაგრამ მესაბოტაჟეა და კრება ჩაშალა. მაშასადამე, საქმის ჩამფუშველია, რომ გაჩიქდება, ძვრას ვერ უზამ. კარგად ვიცნობ...



სტეპანიდა ხმას არ იღებდა — საქმის ასე შემოხრუნებისათვის არ იყო მზად. მის თვალში გუფი სხვებისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა: მათზე უფრო მდიდარი არ ეთქმოდა, ეს იყო, შრომობდა უფრო მეტი გულმოდგინებით, თანაც ორი ვაჟი ჰყავდა, ორთავე მაგარი მუშა, ხოლო სამი მუშაკაცი ოჯახში — სამი დედაკაცი არ გეგონოს, ისე ტრიალებენ, რომ მაგნიტისა უნდა განაკულაყონ?

— მას ხომ სხვები არ წაუქეზებია, თავად არ შევიდა კოლმეურნეობაში, მაშ, რატომღა არის ჩამფუშველი? ან კიდევ მესაბოტაჟე? — დაძაბულად მსჯელობდა ლევონი, თან ქალაქს ერთი ადგილიდან მეორეზე დებდა.

— როგორ არ გესმით?! — მკვეთრად მიბრუნდა მისკენ ნოვიკი. — თუ მას ძვრას ვერ უხამთ, დანარჩენებიც არ დაიძრებიან. სოფელში ყოველთვის ისე უყურებენ, როგორც ავტორიტეტს! ჰოდა, ჩვენც მის ავტორიტეტს დავცხები! მაშინ სხვაგვარად ამღერდებიან. შეეშინდებათ.

— მერედა, ეს სწორია? — სითამამე მოიკრიბა სტეპანიდამაც. — ვინც კულაყია, ის უნდა განვაკულაყოთ. გუფი კი — საშუალო გლეხია, არა, მე არა ვარ თანახმა.

— დამიხედეთ ერთი ხელმძღვანელობას! აი, მესმის აქტივი! — აღშფოთდა ნოვიკი და მაგიდიდან წამოხტა. — ყველანი უთავონი ხართ! ეგ ხომ სოფლის წურბელაზე უარესია. მესაბოტაჟეა. ვისელკიში კოლექტივიზაციის საქმეს ფუშავს. ვისელკი კი რაიონის ტემპს შლის. რაიონი — საოლქო საქმის ჩამწლეული გამოდის, გესმით თუ არა, რას ნიშნავს ეს? ამისთვის თავზე ხელს არა-ვინ გადაგვისვამს. არც ჩვენ და არც თქვენ.

— როგორც გსურდეთ, მაგრამ სამართლიანი კი არ არის, — არ ეთანხმებოდა სტეპანიდა. ყელში რაღაც მოაწვა, უკვე მზად იყო არამც და არამც არ დათანხმდებოდა, მაგრამ ნოვიკი უცებ ისე აყვირდა, თითქოს ქალს შეურაცხყოფა მიეყენებინოს მისთვის:

— რა სამართლიანობაზე მელაპარაკებით, დეიდაჩემო! თქვენს თავში ბნელეთია, ჩამორჩენილი შეხედულება გაქვთ რაღაც არაკლასობრივ სამართლიანობაზე, ჩვენ კი მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივი სამართლიანობით უნდა ვიხელმძღვანელოთ: არავითარი დანდობა მტერს! ის, ვინც გზაზე გველობება, — მტერია და ჩვენ მას კისერს მოვუგრებთ. სხვაგვარად ახალ ცხოვრებას ვერ ველირსებით. თავადვე გაგვაცამტვერებენ. თქვენ კაპიტულანტური მემარჯვენე გადამხრელთა შეხედულებები გაქვთ, რომლებიც დაუნდობლად უნდა ამოვძირკვოთ!

სტეპანიდა ხმას არ იღებდა, ფიქრობდა, იქნებ მართლაც ასეაო, იქნებ ეს ნოვიკი მართალიც არისო. რა თქმა უნდა, ჭკვიანი, განათლებული კაცია, ვინა სტეპანიდასავით წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლის მეორე კლასში სწავლობს. მაგრამ სტეპანიდამ როგორც კი წარმოიდგინა განკულაყება, რასაც ალბათ ტირილი, მწუხარება და გასახლება მოჰყვებოდა, გული დაუძიმდა. როგორ მოიქცეს?

— როგორ ვუთხრა ჩვენს სოფლელებს? — გამწარებით წრიალებდა მაგიდასთან ლევონი. — რას ნიშნავს მესაბოტაჟე? განა გაიგებენ? არა, ვერ გაიგებენ. იმიტომ, რომ თავადაც არ მესმის, — ამბობდა და თან ქალაქს მაგიდაზე ერთთავად ადგის უნაცვლებდა — ხან ახლოს მოიწევდა, ხან იქით გადადებდა, ხან აქეთ.

ამ დროს კარი ფართოდ გაიღო და ქუჩიდან ქოხში შემოიჭრა ვიღაც ბრგე



ჭაბუკი, რომელსაც საყულოზე ჟოლოსფერნაკერებიანი მაზარა ეცვა. მან თავიდან მოიხადა ბოლოწაწვეტილებული მუზარადი, წინ რომ დიდი ვარსკვლავი ებნია. დაღლილი ჩანდა, ქშენა ავარდნოდა, ეტყობა, ძალზე მოიჩქაროდა, თვლები კი სიცოცხლითა და მოზღვავებული ახალგაზრდული ძალით, გაუხარჯავი სულიერი სიკეთით გაბრწყინდა.

— დაიგვიანე, გონჩარიკ, — პირქუშად უსაყვედურებდა <sup>მარქუნეშვილი</sup> დიდი ხანია გელოდებით...

— ეს-ეს არის დაბიდან მოვირბინე, დედამ ამბავი დამახვედრა: ღარიბ-კომიათ.

ვასილ გონჩარიკმა ხელი ჩამოართვა ნოვიკს, მერე ლევონს, ნედოსეკას, პოტაპს მხარზე მოუთათუნა, ცივი თითები მოუჭირა სტეპანიდას ხელს.

— თქვენ გვერდით დავჯდები, დეიდა.

— დაჯექი, — ცოტათი მიიწია სტეპანიდა. გონჩარიკის თავი სად ჰქონდა, იმოდენა საშფოთარი მოწოლოდა გულზე.

— რაზე საუბრობდით? — იკითხა გონჩარიკმა, ჯერაც ღიმილი რომ შერჩენოდა აწითლებულ სახეზე და ლოყები საყვარლად ჩაჩუტოდა. იგი მხოლოდ შემოდგომაზე დაბრუნდა ჯარიდან, სავალდებულო სამსახური შორეულ აღმოსავლეთში მოიხადა და ახლა ცოლის შერთვას აპირებდა. მის შეკითხვას არაფერი გაეპასუხა, ყველანი შეწუხებულნი და წარბებშეჭმუხვნილნი ისხდნენ, ჭაბუკმაც რაღაც იგრძნო და სახიდან წაეშალა საამო ღიმილი. სტეპანიდამ უჩურობდა:

— გუეი უნდა განაკულაკონ...

— აი, თურმე რა!

— დიახ, უნდა განაკულაკონ, — ისევ დაიყვირა ნოვიკმა. — და გასაქიანურებელიც არაფერია. კოლმეურნეობას ჩაშლის საფრთხე ემუქრება. ხოლო გუეი... მოჯამაგირე თუ ჰყავდა? — იკითხა უცებ ნოვიკმა და პასუხის მოლოდინში ყურები ცქციტა.

— მოჯამაგირე კი არადა! — თითქოს თავი აარიდა პასუხს ლევონმა. მაგრამ ამდროს ღუმელთან მერხზე ანტოს ნედოსეკა შეირხა.

— აი ის... ტრისტენი როცა დადგა, დაიქირავა, პო. ზაგრიანიდან ერთი ბერიკაცი ჩამოიყვანა. ჩხუბიც მოუვიდათ ფულზე. გუემა სამი მანეთი დააკლო.

— ხედავ?! — გამოცოცხლდა ნოვიკი და ლევონისკენ დაიხარა. — ჰყოლია თუ არა?

— ასე რამდენს ჰყოლია... ტრისტენი აუშენა! თუ ასე ვიტყვით..

— ასეა, ასე. დაქირავებული მუშაძალა — პირველი ნიშანი ექსპლუატატორისა. მერე რა, რომ მიწა ცოტა აქვს.

— ჰოდა... მკაშიაც შველოდნენ, — განაგრძობდა საკუთარი მიხვედრილობით გახარებული ნედოსეკა. — დაიქირავეს თუ ტყუილად იყო, ვერ გეტყვით. მაგრამ ეხმარებოდნენ კია. მკერავის გოგო მარუსია მკიდა.

— მით უმეტეს! — კიდევ უფრო გაუხარდა ნოვიკს და თავის ძველ ადგილას, მაგიდასთან დაჯდა. — ყველაფერი ნათელია. მიდი, კენჭი უყარე.

სტეპანიდა ისე აღელდა, ვერც შეამჩნია, რამდენჯერმე როგორ შეიხსნა და შეიკრა ისე ჯუბაჩა... ესმოდა, რომ ნოვიკი მართალს ლაპარაკობდა: ეს გუეი ვაჭიუტდა და თავისას არ იშლიდა, მისი წამხედურობით იქცეოდნენ სხვებიც. მაგრამ მაინც... ძალიან ეცოდებოდა ეს ბერიკაცი, მით უფრო მისი ქალები —



დღედა ფრუზინა და ავადმყოფი გოგო ნასტულკა, რომელთან ერთადაც შარ-  
შან ზაფხულს მორიგეობით მწყემსავდა სოფლის ნახირს. არა, სტეპანიდას ეს  
სიბრაღული დიდი კლასობრივი ინტერესების ხაზითაც კი ვერ დაუძლეოდა  
აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— რა გაეწყობა. — ჩაიბურტყუნა მაგიდის იქით თავჩაქინდრულმა სტეპანი-  
დამ. — რაკი ასეა, ვუყაროთ კენჭი. ვინ არის მომხრე რომ გუჟოვი არ გან-  
ვაცულებოთ და დავტოვოთ...

— არა, მასე არა! — გონს მოეგო ნოვიკი. — სწორი არ არის! ვინაა  
მომხრე, რომ ივან გუჟოვი განვაცულებოთ, ხელი ასწიეთ, — გამოაცხადა მან  
და თავისი ხელი მაღლა ასწია.

ლუმელთან ხალისით ასიწა ხელი ანტოსმა. (ლუმელთან ჩაცუცქეული პოტაპ  
კოლენდონოვი პირდაღებული მოტრიალებულიყო და ისე შესცქეროდა კენჭის  
ყრას, როგორც ძალზე საინტერესო მოვლენას). სტეპანიდამ თვალეზი დახარა  
და ცერად გახედა ლევონს, აბა როგორ მოიქცევით. ლევონი უფრო მაგრად  
დასწოლოდა მაგიდას, ხელი კი არ აუწევია.

— სულ ორმა ასწია ხელი, — უკმაყოფილოდ თქვა ნოვიკმა და დაუშვა  
მკლავი. — ვინ არის განცულებების წინააღმდეგი?

ლევონს მაგიდიდან თავი არ აუწევია, ჰაერში ხელის მტევანი შეარხია და  
სტეპანიდამაც ოდნავ ასწია ხელი.

— ორზე ორია, მაშასადამე! — გამოაცხადა გულგატეხილმა ნოვიკმა. —  
თქმა! შენ რას იტყვი, გონჩაროვი? — მიაჩერდა უცებ ვასილს და სტეპანი-  
და მიხედა, რომ ჰაბუკს არც პირველად მიუცია ხმა და არც მეორედ.

— მე თავი შევიკავე, — უბრალოდ თქვა ვასილმა.

— როგორ თუ თავი შეიკავე? — შეტოკდა ნოვიკი და წამოხტა. — რო-  
გორ თუ თავი შეიკავე? — კომკავშირელმა, დემობილიზებულმა წითელარბიელ-  
მა? წითელ მილიციაში სამსახურს აპირებ და მწყვეტ კლასობრივი ბრძოლისა-  
გან იკავეთ თავს? მაშ შენ შეგნებულად უწყობ ხელს კლასობრივ მტერს? —  
პრისხანედ ყვიროდა იგი და უფრო და უფრო ახლოს იწევდა ვასილისაკენ. მან  
კი უმწეოდ დააფახულა გოგოსავით ლამაზი თვალეზი.

— კი მაგრამ, რა ვქნა, თუ ვერ გავერკვიე?

— გაერკვიე მერე! კოლექტივიზაციის საქმეს ჩაშლა ემუქრება, ლარიბკომს  
სახეწეროდ შემარჯვენე გადამხრელთა სენი შეჰყრია, სოფლსაბჭო ოპორტუ-  
ნიზებს ავლენს. აქტივი — თავიდან ბოლომდე უთაური ხალხია. ეს კი ვერ გარ-  
კვეულა! სამ წუთს გაძლევ მოფიქრებისათვის, რომ გაარკვიო: ვინ ხარ შენ?  
კოლმეურნეობის პოლიტიკის მომხრე თუ კოლმეურნეობის პოლიტიკის წი-  
ნააღმდეგი? გაარკვიე საკუთარი პოლიტიკური ხაზი.

სტეპანიდას ციებიანივით ააძაგდა, აუტანლად დასცხა, ცივი ოფლი ზურ-  
გზე ჩამოუწურწურდა, იგრძნო, რომ ახლა კი გადაწყდებოდა გადასაწყვეტი.  
ვასილის ხმაზე იქნება დამოკიდებული გუჟოვების და იქნებ მთელი მათი  
კოლმეურნეობის ბედი.

მართლაც, ვასილს სამ წუთზე მეტი არ უფიქრია, თავი ჩაეჭინდრა და რა-  
ღაცას საზრობდა, თითები ლურჯ გალიფთან მუხლზე ედო და ოდნავ უთრთო-  
და. ნოვიკი წინ ედგა და პასუხს ელოდა.

— აბა?

— მაშ, კარგი. მე მომხრე ვარ, — გადაწყვიტა გონჩაროვმა და წელში  
გასწორდა.



ნოვეტი მკვებელ მიუბრუნდა ლევონს.

— მორჩა! მიღებულია. ხმის უმრავლესობით. ოქმში შეიტანეთ. ივანე გუგოვი განკულაგებული უნდა იქნეს...

18



ერეკლე

ნეტავი ადამიანს შეეძლოს ცოტათი წინ გაიხედოს, თუ არა, თუ არა თავის მომავალ ზვედრს, დროის შრეები რომ ფარავს და მთელი სიცხადით შემდგომში, მომავალ დღეთა დურდოში გამოჩნდება ხოლმე. მაგრამ ვაი რომ არ შეუძლია! ადამიანი ვერაფერს იგებს თავისი მომავლისა და ზოგჯერ ის უბრალოა, რაც მალე მწუხარების მიზეზი გაუხდება ან კიდევ მწარედ ტირის იმაზე, რაც მერე იქნება სასაცილოდაც არ ეყოს.

იმ საღამოს სტეპანიდამ მაინც არ გააცდინა სკოლა და თუმცა კოხტად ჩაწკაპული სტრიქონებით თავი ვერ მოიწონა (ვერ მოასწრო რვეულის წამოსაღებად ხუტორში შერბენა), სამაგიეროდ დავალება კარგად წაიკითხა. მხოლოდ ერთხელ შეშალა ის სიტყვა, რომელიც ახლა ყველაზე ხშირად ეკრა პირზე. ხალხს. „კოლექტივიზაცია“. — გაუსწორა მასწავლებელმა როზა იაკოვლევანამ და გაიმეორა, — კოლექტივიზაცია! ყველამ დაიმახსოვრეთ ამ სიტყვის სწორი გამოთქმა“.

რასაკვირველია, სტეპანიდას ყველა დაამახსოვრდა, ვინც კი იმ საღამოს გაუთბობელ სკოლის ოთახში იჯდა — ჭაბუკები თუ მამაკაცები; მათ შორის ორი ქალი — ერია მხოლოდ, სტეპანიდა ბოგატკა და ანა ბოგატკა, ანუ, როგორც სოფელში ეძახდნენ, ანიუტა. არა, ნათესავეები არ იყვნენ, უბრალოდ, ვისელკიში ნახევარი სოფელი ბოგატკები ესახლნენ, ხოლო მეორე ნახევარს შეადგენენ ნედოსეკები, გუგოვები, გონჩარიკთა პატარა ოჯახი. შუალამისას, მეცადინეობა რომ დამთავრდა, ქალები ერთად გამოვიდნენ სკოლიდან და ნელა გაუყვნენ ვისელკის გზას.

ანიუტა მთელი საღამო მოწყენილი იყო და კითხვის დროს შეცდომებს უშვებდა. სტეპანიდამ ორჯერ უკარნახა კიდევ, მაგრამ მან მაინც ვერ დაიხსოვა. რიდაც გაუგებარი სჭირდა. სტეპანიდას კი ჩვევად არ ჰქონდა ვინმეს სულში ჩაძვრომოდა, საკუთარი საზრუნავიც ჰყოფნიდა. თუმცა ანიუტამ თავად ვერ შეიკავა თავი:

— იცი, დეიდა, სასიხარულო საქმე მაქვს, არა და არ მიხარია.

— რატომ არ გიხარია, თუ სასიხარულოა? — გაოცდა სტეპანიდა.

მარხილით დატკეპნილ ვიწრო გზაზე მიდიოდნენ, მაღლა, სახურავებს ზემოდან მრგვალი, პირბადრი მთვარე ჩამოცქეროდათ, ვარსკვლავებით მოკენჭილიყო ცა, ყინვა ლოყებს უსუსხავდათ. სტეპანიდამ თითები ტყაპუჭის სახელოებში შეშალა და ხელები მუცელზე გადაიჯვარედინა. გზა ძალზე მოლიპული იყო და პატარ-პატარა, გაუბედავ ნაბიჯებს აღგამდნენ. რომ არ დაეცემულიყო, ანიუტამ იდაყვში ჩაავლო ხელი სტეპანიდას.

— მე და ვასილ გონჩარიკმა დავთქვით, რვა მარტს ვიქორწილოთ, გუშინ მამაჩემთან იყო რჩევის საკითხავად.

— ჰოდა, მერე რაღა გადარდებს?! — უთხრა სტეპანიდამ. — ვასია კარგი ბიჭია. ამბობენ, მილიციელად იმუშევებსო, არა?

— დიახ, ჰო. ისეთი ჭკვიანი და ალერსიანი...

— გიყვარს?

— ოჰ, დეიდა, ვერ წარმოიდგენთ, როგორ! ძალიან მიყვარს.



— ჰოდა, მეტი რა გინდა. რა განაღვლებს, უნდა გიხაროდეს.  
 — გამიხარდებოდა კიდევ. მაგრამ ჯვრისწერაზე უარსაა.  
 — რა უბედურებაც ეგ არის! ახლა კომკავშირულ ქორწილებს აწყობენ, უმღვდლოდ. სოფლსაბჭოში აწერენ ხელს, ეს არის და ეს.

— ჩემთვის არც არაფერია, მაგრამ მამაჩემს რა ვუყო! — ამოიწრო ანიუტამ. — მამას არ სურს უმღვდლო ჯვრისწერა. ასე ამბობს, არ უნდა იქნება ნიერი ქორწინებაო. მე კი არ მინდა უბედური ვიყო. რომ იცოდე, რამდენი ბედნიერება მსურს მისთვის, დეიდა..

— ოჰ, ნუ მიაქცევ მაგას ყურადღებას. ანიუტა. მღვდელი დიდად ვერ გაგაბედნიერებს. წინათ ყველა ეკლესიაში იწერდა ჯვარს, მაგრამ განა ყველა ბედნიერად ცხოვრობდა? ეპეპე! მამაშენს ნუ დაუჯერებ! როგორც თქვენ გინდათ, ისე გააკეთეთ.

— ეს ასეა, მაგრამ მაინც...

ანიუტა გაჩუმდა და თავის დარღებს მიეცა, სტეპანიდამ კი იფიქრა: რა დროს ესაა! ჯერ არ გათხოვილა და ახლაც ნაღველი და კაეშანი გულს უჭამს გოგოსო, რა თქმა უნდა. ანიუტა ის გოგო არ არის. ვისაც მარტო ის ადარდებს, თავისი გაიტანოს და საქმროს თავბრუ დაახვიოს, მას ისიც სურს, რომ მის ირგვლივ სიამტკბილობა სუფევდეს, რომ დედ-მამა კმაყოფილი ჰყავდეს, რომ ყველაფერი ღირსეულად ჩატარდეს. მაგრამ განა გონიაროვანი ეკლესიაში ჯვრისწერაზე დათანხმდება, ან კიდევ უწინდებურად მაქანკლებით, გარიგებითა და მეჯვარე-მაყრებით, სმითა და კოცნით იქორწინებს? ასეთი რამ ხომ კომკავშირელს არ შეშვენის.

— დეიდა, იქნებ მოსულიყავი ჩვენსა და მამაჩემისათვის გათხოვა. შენ ღაგიჯერებს, — შეჩერდა უცებ ანიუტა. მის ნაზ ხმაში იმდენი ნაღველი და თანაც იმედი გამოსჭვიოდა, რომ სტეპანიდა მაშინვე დაეთანხმა:

— კარგი. მოვალ. ოღონდ მითხარი, როდის...

ლობესთან დაშორდნენ ერთმანეთს. ანიუტამ შარავნით გადაუხვია თავისი ეზოსაკენ, სტეპანიდამ კი გზა განაგრძო — ბეჭიდან დაეშვა და ხუტორისაკენ შარავნას გაუყვა. ფიქრობდა, რაც არ უნდა ველაპარაკო ლადიმირს, საქმე ისე მოხდება. როგორც ახალგაზრდებს სურთო. ახლა მათი დრო დადგა. ძველი დრო კი არ არის, როცა მშობლების უნებართვოდ ახალგაზრდები ვერაფერს გადაწყვეტდნენ, ხოლო მშობლები მტკიცედ იცავდნენ ძველისძველ, მაშაპაპურ კანონებს, რომელთა დარღვევას ჭრავინ ბედავდა. ახლა ძველი ძირისძირობამდე ირღვევა და არც არავინ იცის, სასიკეთოდ არის თუ არა ეს. იქნებ მერე ინანონ კიდევ, მაგრამ უკან დასახევი გზა უკვე აღარ აქვთ — მხოლოდ წინ, წინ უნდა იარონ, როგორც სიმღერაშია.

ირგვლივ თეთრად ელავდა ბურუსით მოცული მინდორი, ცა სავსე იყო მოციმციმე მბრწყინავი ვარსკვლავებით, შორეთიც მოჩანდა — ფართო დათოვლილი სივრცე შარავნითურთ, სწორ ხაზად რომ კვეთდა სტეპანიდას გზას. ამ სივრცის შორეთში, კედლადაღმართულ ღარტაფისპირა ბარდებთან, გოლგოთაზე, სტეპანიდას იახიმოვშიჩინის ნაგებობანი მოჩანდა შავად, იმ ხუტორისა, მისი ბედი რომ გახდა. განა ვინ იფიქრებდა ამას? ოდესღაც უმაწვილი გოგო ამ ხუტორის უცნობ პატრონთან მივიდა, მკაში მოჯამაგირედ დამიყენეთო, ახლა კი აი, იქითკენ გარბის, როგორც თავის ერთადერთ თავშესაფრისაკენ. აი როგორ შემოტრიალდა ცხოვრება. როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე! სტეპანიდას წარსულში დიდად მოსაჭიდი არაფერი ჰქონია — ნახევარი წელიწადი



დიც არ ექნებოდა ამ წარსულში ადამიანური ცხოვრება, მუდამ შრომით იყო წელში გაწყვეტილი, იმაზე ადრე კი ობლობა, სიღატაკე და უუფლებობა ჩაგრავდა. წლობით ემოჯამაგარევა პან ეულეგასა და ბებერ შლიახტერ იახიმოვსკის, სხვის მიწაზე ღვრიდა ოფლს, რადგან საკუთარი არ გააჩნდა. ხოლო სხვის მიწაზე შრომა რაც არის, თავის დღეში ვერ დაივიწყებს ის. გინც ერთხელ მაინც იგემა სხვისი ლუკმა. თუმცა რევოლუციის შემდეგ მრავალმა მკვეთრად შეიცვალა, ისეთებს, როგორიც სტეპანიდაა, ყველაფერი მისწავლა შემოუტრიალდათ: ეულეგა ვარშავაში გაიქცა, თავისი ამქვეყნიური გზა დაასრულა ბებერმა იახიმოვსკიმაც და სტეპანიდასა და პეტროკს ახალმა ხელისუფლებამ ორი დესეტინა ხუტორის მიწა-წყალი უბოძა. დაიწყეს ცხოვრება და არცთუ ცუდად, პური მაძღრისად პქონდათ, პანის კი არა, საკუთარი პურა, გაიჩინეს საქონელი, ცხენი. პეტროკი, რომელიც მამისეულ გაჭირვებულ ოჯახში დაუქირავებელი მოჯამაგირესავე იყო, საკუთარ მიწაზე ისე დაეწათა მეურნეობას, ცოლს შიში შეეპარა, ვაითუ ჯანმა უღალატოსო. მაგრამ საკუთარი მიწა-წყალი სთხოვდა და პეტროკი ყველა საქმეს თავს აკლავდა: ხნავდა, აფხვიერებდა მიწას, აპოხიერებდა თითოეულ მტკაველს, მერე თავად თიბავდა, ეზიდებოდა და ისევ ხნავდა, თესავდა, ფარცხავდა. ახალგაზრდა ფაშატი პირველივე გაზაფხულზე დაედუპათ, ეს დიდი სადარღებელი დიდხანს ვერ მოინელეს. სანამ ახალი ცხენი არ შეიძინეს. მაგრამ ახლა პეტროკს დაატყა უბედურება თავს. ფენია რომ დაიბდა, სტეპანიდა ჯანს ვერ გაუფრთხილდა და ქმარი იძულებული იყო მარტო ემკა და ეთიბა, ორის მაგიერობა გაეწია. პოდა, გაუტყდა ჯანი. ერთხელ ჭალიდან თივას ეზიდებოდა და ღარტაფის პირას საზიდარი გადაუბრუნდა. პეტროკმა მხარი შეუდგა და ლავიწი გაიტეხა, ორი თვე იწვა საავადმყოფოში, ძლივს გადაარჩინეს ექიმებმა. მინდორში საგაზაფხულო ნათესები გადაუმწიფდა და წაუხდა, შემოდგომაზე ორიოდე ძნა ქერი მოიმკეს, სათესლე ძლივს შეაგროვეს. იმ წელს შიმშილობა იყო, პურა აღდგომაძღე ძლივს ეყოთ, კიდეც კარგი, კარტოფილი შეეშველათ. ისევ გამოერია პურის მოუსავლიანობის წლები, როცა ხან წვიმა აღპობდა ნათესებს და ხან კიდეც გვალვა ახმობდა, ან კიდეც თესლი, ნაველი, საქონელი აკლდათ. თუმცა პეტროკი ფარ-ხმალს არ ყრიდა, დაუზოგავად შრომობდა, ვისელებელი თანასოფლელები ხშირად დასცინოდნენ; მართლაც დღე და ღამე წლებზე ფეხს იდგამდა, შედეგი კი ამ ჭაპანწყვეტისა უბადრუკი იყო. მაგრამ პეტროკს მაინც ვერ მოეჯერებინა გული მეოჯახეობით. გახდა, ჩამოხმა კიდეც, ხრიწინით სუნთქავდა, მაგრამ მაინც ტრიალებდა, ყველაზე გვიან წვებოდა და ყველაზე ადრე ღვებოდა. თავადვე იყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, როგორც მოუვლიდა, ისეთსავე მოსავალს მიიღებდა, რასაც იმსახურებდა, იმას მისცემდა მიწა, უყვარდა ამის გამეორება, როცა ცოლი ეჩიჩინებოდა, ცოტა დაიცა, დაისვენე, თავს გაუფრთხილდით. სტეპანიდამ კი, მაწასთან ამ გაუთავებელ დუელში რამდენიმეჯერ მარცხი რომ განიცადა, თავის თავს უთხრა: არა, ასე ვერ გამდიდრდები კაცი, ჯანსაც შეაღვე და უდროოდ გადაბარგდები სოფლის სასაფლაოზე, ფიქვებშიო. თუ კოლმეურნეობაა, იყოს კოლმეურნეობათ, უთხრა თავს, რაც უნდა იყოს, ამაზე უარეს დღეში ხომ არ ჩავვარდებითო, როგორც ყველა იქნება, ისე ჩვენცო, ეგების არ დაგვდუპოს კოლმეურნეობამ, პეტროკს არგებს კიდეც, იქნებ ერთ წელიწადს კიდეც გაუძლოს ამ უგემურ საწუთროსო.

შორს, ტყის ძირას, ფანჯარაში წითელი ალი აცამციმდა, სტეპანიდამ იფიქრა, პეტროკი დაბრუნებულათ შინ, და ყმაწვილი ქალის სიხარულათ გაიხარა,



ახლა მთელი ოჯახი შეიყრიდა თავს, სადღეისო ჯახირს მორჩა და ხვალამდე გულდამშვიდებული იქნება. ქალმა ფეხს აუჩქარა, შარავზე გადაიბრინა და ვიწრო ბილიკით მიადწია ხუტორს. მთვარის შუქით გადათეთრებულ ქარაში აქა-იქ თივა შერჩენილი მარხილი იდგა, ცხენი უკვე მიხედული იყო და ბოსელში ჰამდა. პეტროკი ნავთით გამდიდრებულაო, გაიფიქრა სტეპანიდამ. ჭრაქში ხომ ცოტალა ესხათ ნავთი — ერთი საღამოს სამყოფი თუ იქნებოდა? პეტე არა. სტეპანიდამ დილით ისიც დააბარა ჭმარს, სადგურში ერთ ნაცნობ მეწაღე ებრაელთან ეგების ფახსაცმელი იშოვოო. რა თქმა უნდა, მაგისი სამყოფი ფული არ ჰქონდათ, ათი მანეთი გააჩნდათ სულ, მაგრამ იქნებ დაითამხმოს პეტროკმა, ცხვრის ბექს დაჰპირდეს, ან კიდევ ორიოდ გირვანქა ერბოთ ან იქნებ როგორმე სხვაფრივ გადაიხადონ. თორემ ერთი წყვილი თექვრებით ორნი იოლას ვერ გავლენ: ერთი რომ ჩაიცვამს, მეორე შინ უნდა იჯდეს? თავს ვერ გამოყოფ გარეთ, არადა, გიხდება კია თავის გამოყოფა, როგორც მაგალითად, დღეს, ასეა ყოველდღე: ხან ესაო, ხან ისაო, დაგიძახებენ, რაიმეს დაგავალებენ, უნდა წახვიდე, ხან ვისელკიში გაიქცე, ხან სოფლსაბჭოში, ხან კიდევ დაბაში ან რაიონში.

წინკარი ღია იყო, სტეპანიდამ ზღურბლს გადააბიჯა, კარი გამოაღო და ქოხში შევიდა. მაშინვე მიხვდა, რომ ბავშვებს უკვე ეძინათ, ქოხის გაბოლილ ბინდებუნდში სიწყნარე და სითბო სუფევდა, ნავთისა და თამბაქოს სუნით ყარდა იქაურობა, მაგიდის ბოლოში ჭრაქი ბეუტავდა, მის შუქზე პეტროკი რაღაც ქალღლებს ჭეჭავდა, ეტყობოდა, ჭვითრები იყო, გადასახადებს ამოწმებდა: რა ჰქონდათ გადახდილი, რა გადაუხდელი, საურავი რამდენი დაუგროვდათ და რა დარჩათ.

— დიდი ხანია მოხვედი? — ჰკითხა ჩუმად სტეპანიდამ.

— არც ისე დიდი ხანია.

— ჰამე რამე?

— ვჰამე... ბურღული ხომ იყო.

სტეპანიდა შეუდგა გახდას, ლურსმანზე ტყაბუჭი დაჰკიდა, თავიდან თბილი თავშალი მოიხადა.

— აბა, როგორ არის კომუნის საქმე? — ჰკითხა ჭრაქს იქიდან პეტროკმა. — უკვე ჩამოაყალიბეთ?

— დავადგინეთ, რომ გუფი განვაკუთლოთ, — უთხრა ცოლმა, — ნოვიკი ჩამოვიდა, როგორც მესაბოტაეე და მოჯამაგირის პატრონიო.

პეტროკმა ჭრაქიდან ასწია მობერებული, დანაოჭებული, წვერმოდებული სახე და ყურადღებით შეხედა ცოლს. თვალებში ჯერ შფოთნარევი გაოცება აესახა, რაც მალე ნაღვლიანი გამომეტყველებით შეეცვალა.

— რა არ ხდება ქვეყანაზე! — თქვა ნელა პეტროკმა. — მოჯამაგირეო! რომელი მოჯამაგირე?

— აი, ის, — უთხრა ცოლმა. — ტრისტენის დადგმა რომ უშველა. მოსავლის ასაღებადაც დაიჭირავა.

— უღმერთოები ხართ! — ამოიოხრა პეტროკმა. — მოჯამაგირეო!.. თუ ასეა, თავმჯდომარე ლევონსაც ჰყავდა მოჯამაგირე, ლეწვის დროს ხომ ლადიმირის ბიჭები ეხმარებოდნენ. თავისი ხელით აბა რას გააწყობდა. მაშინ ისიც უნდა განაკუთლოთ?

— თან მესაბოტაეეც გამოდის, — უთხრა სტეპანიდამ. — გუშინწინ არ იყო, რომ კრებაზე გაჩქდა და კოლმეურნეობის საქმე ჩაშალა?



ქალი დაბალ მერხზე ჩამოჯდა და თოკის შეხსნა იწყო, რომ გზაში ყინ-  
ლისაგან გაფიჩხებული ქალამნები გაეხალა. პეტროკი კი ვერა და ვერ დაწყნა-  
რებულიყო.

— თუ მაგისტანებზე მიდგა ჯერო, მერე რაღა იქნება? ~~ერთი-ორი~~ წლის  
შემდეგ ვისღა განაკუთლავებთ?

— მაშინ იქნებ არც არავინ იყოს. ყველანი კოლმეურნეობაში შევლენ.

— იქნებ შევიდნენ კიდეც. მაგრამ კლასობრივი ბრძოლა როგორღა იქნე-  
ბა? კლასობრივი ბრძოლა ხომ არ გაუქმდება?

— იქნებ გაუქმდეს კიდეც. მტერი რომ მოისპობა. ბევრი კი გაგეგება  
შენ! — უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა სტეპანიდამ.

მართლაც რა გაგეგებოდა ამ უმეცარ კაცს, რომელიც კრებებზედაც კი არ  
დადიოდა, გაზეთს იშვიათად თუ აიღებდა ხელში და ხელმძღვანელებთანაც  
არასოდეს ულაპარაკნია! მხოლოდ არეულ-დარეულად უყვარს ყველაფრის  
განსჯა თავისი გლეხური მოკლე ჭკუით.

— რატომღაც ჩვენში სხვანაირად ხდება ყველაფერი, ვიდრე სხვაგან. —  
ბჭობდა პეტროკი და ჭრაქის მოპარპალე ალს შესცქეროდა. — აი, სადგურში  
ერთ კაცს ველაპარაკე, სადღაც ულიდან იყო. მათთან არაფერი არ არის, სიწ-  
უნარეა. არც კოლმეურნეობისა არ ისმის არაფერი, არც არავინ ჩამოღის, არც  
ძალით ერეკებიან. ჯერ არავინ არ განუკუთლავებიათ.

— დაიცადე, იქაც მივლენ. ალბათ ყრუ ადგილას ცხოვრობენ. სადმე  
ჭაობს გადაღმა.

— იქნებ ჭაობს გადაღმაც იყვნენ. ჩვენიან კი?..

— ჩვენ რაიონი-ცხვირწინ გვაქვს. ოლქსაც არ გამოივლიან, გზაზევე  
ვართ. კარგიც არის, რომ გზაზე ვართ, ესეც სასარგებლოა. — უთხრა სტეპა-  
ნიდამ და უცებ მოაგონდა. — ნავთი იყიდე?

— მომცეს ერთი ლიტრა. ჩვენი წილი. მერედა, ბევრ ხანს იკმარებს ეს  
ერთი ლიტრა?

— რამდენ ხანსაც გვეყოფა, მერე ისევ მოიტან. გზა ხომ გააკეთეს. წა-  
ღების ამბავი თუ იკითხე?

— წაღების? — თითქმის შიშით შეხვდა ცოლს პეტროკმა, თითქოს მხო-  
ლოდ ახლა მოაგონდა წაღები, — არ არის ფეხსაცმელი, — თქვა და მაგიდი-  
დან წამოდგა. ჩია, გამხდარი, მკერდჩავარდნილი ბერიკაცი იყო. დიახ, ბერი-  
კაცი, რადგან ორმოცდაათი წლისა უკვე ბებერი ჩანდა. პეტროკმა ქვეშაგები  
გადასწია ღუმელთან და რაღაც აიღო ლოგინიდან, რომელზედაც ცოლ-ქმარი  
იწვა ხოლმე. — აი, წაღების მაგიერი.

— რა არის ეს?

ქალმა გაოცებით გამოართვა კოხტა, შავი ფუტლარი. ბალღურ სათამა-  
შოს რომ ჰგავდა, და მაშინვე ვერ მიხვდა, რა იყო ეს და რაში სჭირდებოდათ.

— ვიოლინოა! — თქვა პეტროკმა.

— გაგეგებულხარ და ეს არის!

— ალბათ გავგიჟდი.

— ეს ხომ ძვირი ღირს? — შეეშინდა სტეპანიდას. — ფეხზე ჩასაცმელი  
კი არ გაგვაჩნია, ფედვას წაღები შემოეფხრია, ეს კი ვიოლინოს ყიდულობს!  
ეგ ხომ დიდი ფული ღირს. ვინძლო ათმანეთიანი სულ მიეცი?

პეტროკი ერთხანს უხერხულად იტყუებოდა ცოლის გვერდით, აიღო  
ფუტლარი, ფრთხილად შეეხო დაკოჟრილი თითებით და გახსნა ისეთი სიფრ-



თხილით. თითქოს ბაღლი იყო, გამოიღო იქიდან მბზინვარე, წითელი, შავდ-  
გიანი და გვერდებზე ლამაზჭრილებიანი ვიოლინო.

— აკი შენც გინდოდა. — გაახსენა ცოლს დამნაშავეს კილოთი.

— მერე როდის მინდოდა? ყმაწვილი გოგო რომ ვიყავი და ბავშვები არ  
მყავდა, მაშინ, ახლა კი... შენ მართლა გაგიყდი? რა უნდა ჩავიციო? —  
ზე, შენ ფეხშიშველი იტანტალე, ამან კი ვიოლინო იყიდოს! —  
მას — ზამთარი მიიწურა, მალე თესვას შევუდგებით...

— ეტყობა, მოვრჩი თესვას. — უთხრა თავჩაქინდრულმა პეტროკმა. ცოლს  
გაეცალა და მერხზე ჩამოჯდა. მთლად გაუქრა წამიერი აღფრთოვანება. მაგი-  
დაზე ფუტლარის გვერდით ხემშეუხებელი ვიოლინო იდო. — თუმანიანი მივე-  
ცი და ორი თუმანი კიდევ უნდა მიეცე. სიტყვაზე მენდო. ებრაელია ერთი  
სადგურში.

— სამი თუმანი, ვაი, ვაი! ნამდვილად ვერა ხარ ჭკუაზე! გაგიყდი ამ სი-  
ბერეში და ეს არის. ჩვენ ზომ დაზღვევის ფულიც არ გადაგვიხდია. რაც შეგვა-  
წერეს, მხოლოდ შარშანდელი გადავიხადეთ და უკვე ახალი მოგვივიდა. დარ-  
ჩენილი გადასახადის საურავიც დაგვიფრთვდა. ფეხზე არ გვაცვია, ნავთი არა  
გვაქვს. შაქარი შემოდგომის აქეთ ერთი კენიტიც არ გვაბადია, ფენიქა კი, თუ  
ტკილი არ არის, არაფერსა ქამს. რაიმე ფუნთუშა მაინც გეყიდა ვიოლინოს  
ყიდვას! თანაც რა ფული მიეცი! სად იშოვი ახლა იმ ორ თუმანს კიდევ? ვის  
მოგცემს?

— კომუნაში გამოვიმუშავებთ.

მტეპანიდა ბრაზობდა, ლამის ატირებულიყო. რას ამბობს ეს გადარეული  
კაცი, რაში სჭირდება ვიოლინო? ასეთ დროში? ოდესღაც უსწავლია ხემის  
გასმა-გამოსმა, ერთხელ დაბაში ბაზრობაზე ვიღაც ბოშას სთხოვა, ცოტა ხანს  
დამაკვრევინეო. სტეპანიდაც გვერდით ედგა მაშინ და შეაქო, პოდა, ამანაც  
აიხირა, უნდა ვიყიდო! აგერ, იბოვა დრო და ფული და იყიდა, მაგრამ სა-  
სიხარულოდ კი არადა, ჭირად. რად უნდა ქალს ვიოლინო? რა ევიოლინება  
ახლა, როცა დღეს თუ არა, ხვალ მაინც ცხენის კოლმეურნეობაში შეყვანა  
მოუწევთ, თესლის ჩაბარება, კაზმულობის, მარხილის, საზიდრის შეტანა,  
მთელი ცხოვრების გარდაქმნა ახალ, უცნობ და გარდუვალ ყაიდაზე. რა ემუ-  
სიყებათ ახლა?

ცხოვრება ისე გადასხვაფერდა, თვალწინ იცვლება ყველაფერი. რაღა  
შემორჩა იმ დროიდან, როცა ორთავენი ახალგაზრდები იყვნენ, მკლავში ლო-  
ნე ერჩოდათ და მომავალს მგზნებარე იმედით შესცქეროდნენ?..

ძალზე მძიმე გადასატანი შეიქნა ის ღირსსახსოვარი გაზაფხული, ამდენი  
საშფოთავი რომ შემატა ხალხის ისედაც მოუსვენარ და მძიმე ცხოვრებას.  
დამთავრდა თუ არა ის გრძელი, მტანჯველი ომი, სოფლებში, დაბებში, ხუტო-  
რებში თანდათანობით დაბრუნდნენ ახალგაზრდები და ქაბუკები. გააძაყებუ-  
ლებს თავიანთი გამარჯვებებით თეთრებზე, გერმანელებსა თუ პოლონელებზე,  
წაწვეტებული ბუდიონური ქუდები ეხურათ, დახეული, ტოლადებშემოხვეუ-  
ლი წაღები ეცვათ, გაფხევილი საბარგო ტომრები მოედოთ მხრებზე, მაგრამ  
გული დიდი იმედებით ჰქონდათ სავსე, ძველ რეჟიმთან ბრძოლით მოგებუ-  
ლი ახალი ცხოვრებით იმედოვნებდნენ. მიწისთვის უნდა მოეკიდათ ხელი,  
ეხნათ და ეთესათ, რომ გაიხად სამყოფი საჭმელი ჰქონოდათ. მიწა მუშაკაცს



ელოდა და თითქოს ემზადებოდა კიდევ თავისი მარადიული მოვალეობისათვის — პური მიეცა ხალხსთვის. ხარებიდან მოყოლებული მზეს სიმშრვალე მოემატა, ერთ კვირაში გააღწო თოვლი, ჩამოთბა და მინდვრები თითქმის განოშრა. ბზობის კვირას სტეპანიდა და პეტროკი ეკლესიაში წასვლის/ეპირუბოდნენ და დილიდანვე წაყინკლავდნენ. ვერ გადაეწყვიტათ, თბილად ჩაეცვათ თუ შილიფად, საზაფხულოდ მორთულიყვნენ. პეტროკი გუნებდა, გაძნელებული და სატინის ბლუზაში სცბელოდა, სტეპანიდამ ძლივს დააჩერა, მხრებზე ხიფთანი მოეგდო. ცოტათი განაწყენდნენ ერთმანეთზე და უბრად გამოვიდნენ საკუჭნაოდან, რომ ბილიკს გაჰყოლოდნენ დაბისკენ. ბებერი იახიმოვსკი ეზოში, თხრილთან იდგა, წელში მოკაკულსა და მოკუზულს თავისი შავი ხიფთანი ეცვა, ფაქიზად შეკრული დილებით ჩამწკრივებული, სადაფით გაწყობილ ჯოხს დაყრდნობოდა და, ცოტა არ იყოს, უცნაურად, თითქოს შურით გააყოლა ცოლქმარს გაწყალებული ბებრული თვალები. სწორედ ერთი კვირის წინ შეუშვა მან ისინი ხუტორში, რადგან ვისელკიში, პეტროკის ოჯახში ცოლ-ქმრის ყოფნა აუტანელი გახდა, სტეპანიდა თავიდანვე ვერ შეეწყო დედამთილს და წინადლით პან იახიმოვსკის საკუჭნაო სთხოვა თავშესაფარად, რაკი მაინც ამ სახლკარში მუშაობდა, ხოლო ახალი მოჯამაგირე პეტროკი ხელსაც შეაშველებდა, თორემ ქოხის, საკუთარი მიწისა და მეურნეობის გარეშე როგორ უნდა ეცხოვრათ. წინათ გაზაფხულიდანვე პეტროკი ფოლვარკებში მიდიოდა მოჯამაგირედ, ახლა კი, ვინ იცის, ვისთან იმუშავენდნენ და რა გასამრჯელოს მიიღებდნენ. სტეპანიდამ ისე თბილად სთხოვა, თან ბერიკაცსაც, ეტყობა, გაახსენდა, ოთხ წელიწადს თავგადაკლული რომ მუშაობდა მის ხუტორში სტეპანიდა, და თანხმობა ეთხრა: იყავით და იცხოვრეთ, საკუჭნაოში ადგილიც სამყოფია თქვენთვის და თბილა კიდევო. მით უმეტეს, გაზაფხული კარს არის მომდგარიო.

გაზაფხული მართლაც სწრაფად იკრებდა ძალას, ფერდობებსა და მიჯნამიჯნა დაყინებით მიიკვლევდა გზას მზისკენ ნორჩი ბალახი, ვისელკელმა ჭაბუკებმა და გოგონებმა ფეხთ ქალამნები გაიხადეს და ფეხშიშველები დადიოდნენ. ხარების მერე რამდენიმე დღე და ღამე ზედიზედ გოლგოთასა და ხუტორის თავზე ისმოდა წეროების მხიარულ-შეშფოთებული ჟიჟიჟი — მათი გრძელი, არცთუ მწყობრი გუნდები უძალოდ გაბაწრულიყვნენ ქარიან ცაზე ჩრდილოეთისაკენ. ვერძის ხევის ტბორებში უკვე გამოჩნდა გრძელფეხება გაქუცული ყარყატი; დინჯად დააბიჯებდა ჭაობში და ჩაფიქრებული უთვალთვალებდა ბაყაყებს. ერთი მზიან დილას საშემოდგომო ნათესებს ზეციდან ტოროლას ნაცნობი რაკრაკი გადმოეფრქვია და სტეპანიდას, ეზოში საქონელს რომ თავს დასტრიალებდა, ამ კრიმანჭულის გამგონეს გული სიხარულით შეუფრთხილდა, უცებ გაზაფხულისა და ბედნიერების მოახლოება იგრძნო.

მისი და პეტროკის ერთად ცხოვრების პირველი გაზაფხული იყო და თუმცა საკუთარ მიწაზე კი არა, სხვის ქოხში ხვდებოდნენ მას, სამაგიეროდ სიყვარული, მშვიდობა და თანხმობა არ აკლდათ. სტეპანიდას უკვე ახალი სიცოცხლე ჩასახვოდა, დროდადრო მის ფანცქალს აყურადებდა და ფიქრები მომავლისათვის მიეპყრო, როდესაც მათ ოჯახს ერთი წევრი კიდევ შეემატებოდა. უჩინარმა ტოროლამ მის სულში ამ გაზაფხულის სიმღერასთან რაღაც ძალზე თანხმიერი შეარბია, ერთხანს მთლიანად მას მიეცა, ყურს უგდებდა სხვა ჩიტუნების ხმამრავალ ჭიკჭიკსაც და ამავე დროს საკუთარი სულის სიმების ელერასაც. თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, იმავე დღეს საღამოთი გამყინავმა ჩრდილოეთის ქარმა დაბერა, ღარტაფიდან წვიმის ყომრალი ღრუბელი



დაიძრა. ძალზე აცვივდა და ღამით თოვლი წამოვიდა. ბუნებაში უცებ ყვე-  
ლაფერმა სახე იცვალა. გაირინდა ოდნავად თოვლმიფიფქული, გარუხდა და  
გაზაფხულის კვალიც აღარ დარჩა. საკუჭნაოში ისევ ციოდა. როგორც ზამ-  
თარში, მისი გათბობაც არ შეიძლებოდა. ქვის ღუმელს ოდესღაც ქვანახშირით  
ანთებდნენ, ხოლო კვამლი ქერის სარკმლიდან გადიოდა, ახლა რომ ფიცრ-  
ებით აეჭვდათ. ღამით სტეპანიდამ ქოხიდან თუჯიანი ნახშირი ეჭიჭუნა და  
ცოტათი გაითბეს სხეული, თან ერთთავად ფიქრობდა. ნეტა უბედურება  
როგორღა ძლებენ ახლა მინდორშიო? მათი სიმღერა მეტად აღარ მოუსმენია  
ვისელკიში. ბებერ ნეკერჩხალზე გამართულ, თოვლით დაფარულ ბუდიდან  
საწყალობლად ამოშვერილიყვნენ დედალ-მამალი ყარყატის გრძელნისკარტა  
თაფები. ღამით მაგარმა ყინვამ დაჰკრა და გუბეებს თხელი ყინული გადაეკრა,  
რამდენიმე ღამე კუთხე-კუთხე დაუცხრომლად ზუზუნებდა ქარი. ხალხი დღე-  
ღღეზე დათბობის მოლოდინში იყო, მაგრამ ამაღ: თუმცა თოვლმა დიდხანს  
ვერ გასძლო და დადნა, მაგრამ მერე ისევ ხან თოვა იყო და ხან წვიმა, ირ-  
გვლივ ყველაფერს ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა; მინდორში ჩრდილოეთის ნო-  
ტიო ქარი დანავარდობდა. გარეთ ცხვირს ვერ გამოყოფდი, მხოლოდ საქონ-  
ლის დასახედად თუ გამოფარდებოდნენ ცოტა ხნით ქოხიდან, მაშინვე ისევ  
ქოხის სითბოს აფარებდნენ თავს და გამოდარებას ელოდებოდნენ.

ერთხელ სტეპანიდა მინდორში გამოვიდა, რომ ღორებისათვის კარტოფი-  
ლი დაეჩეჩქვა, ხოლო პეტროკი საკუჭნაოში საქმიანობდა; ამ დროს ეზოდახ  
უცნობების ლაპარაკი მოისმა. სტეპანიდამ სანაყს თავი მიანება და კარი გა-  
შალა, რომლისკენაც ჭიშკრიდან უკვე მოემართებოდა სამი მამაკაცი. წინა  
ულვაშა კაცში, მხედრული კარტუზი რომ ეხურა, ქალმა ციპრუკოვი იცნო,  
რომელიც სათემო კომიტეტში მუშაობდა, მეორე, ღარიბული არმიაცი რომ  
ეცვა, ვისელკელი კომკავშირელი გრიშკა იყო, ხოლო მესამე, ილიაში ყვი-  
თელი მუყაოს საქალაღდე რომ ამოეჩარა, ალბათ ოლქიდან ან უფ-  
რო მაღალი ადგილიდან ჩამოსული ვინმე იქნებოდა. კაცებმა სალაში თქვეს და  
ციპრუკოვმა იკითხა, ადოლფ იახიმოვსკი თუ არის შინო.

— პანე ადოლია! — მოუხმო სტეპანიდამ და ქოხის კარი შეაღო, რომ  
მასპინძელი გამოსულიყო, მაგრამ სტუმრები მიწვევას აღარ დაელოდნენ და  
კარისკენ გაემართნენ. სტეპანიდა თავისი მოხარშული კარტოფილიანად იქვე  
წინკარში დარჩა, მაგრამ ქოხში რას ლაპარაკობდნენ, ესმოდა. პეტროკმაც გა-  
მოყო თავი საკუჭნაოდან სუნთქვაშეკრულმა და, ორთავემ ყური მიუგდეს.

თუმცა მალე ყოველივე გაირკვა — მისულიყვნენ ხუტორის ასაწერად.  
უწინარეს ყოვლისა მიწიდან დაიწყეს, საბუთებით შეამოწმეს ხუტორის ნა-  
კვეთები, მიჯნები, გამოარკვიეს, თუ რა ნაწილზე რაა დათესილი და რამდენი  
არის იჯარით გაცემული. გამოიკითხეს მოჯამაგირეებისა და მოიჯარადრეების  
ამბავი და ყველაფერი მუყაოს საქალაღდეში ჩაიწერეს.

ადოლფ იახიმოვსკი რომელიღაც ძველთაძველი, ოდესღაც მდიდარი შლია-  
ხუტური გვარიდან იყო, მაგრამ თანდათანობით გაღარიბებულიყო, და, როგორც  
თავად ამბობდა, სულს იქით აღარაფერი ებადა. ერთხელ კარგ გუნებაზე მყოფ-  
მა სტეპანიდას უჩვენა ძველი, გაყვითლებული, გერბიანი და წითელბეჭდებიანი  
ქალაღდები, რომლებშიც აღწერილი იყო იახიმოვსკების წინაპართა სამფლო-  
ბელოები აქაც და სხვა ადგილებშიც. პაპამისს ღრისსა, პოდსეილიესთან და სა-  
ღლაყ კიდევ ფოლვარკები ჰქონდა, მაგრამ ეს ხუტორი გაღატაკებული გვარის  
უკანასკნელი ნავსაყუდელი აღმოჩნდა. და თუმცა ადოლფი მთელი თავის ბებ-



რულ ძალას არ იშურებდა, თუ ყოფილი სიმდიდრე არა, ღირსების ნატამალი მაინც შეენარჩუნებინა, ამას მაინც ვერ ახერხებდა. მისი ორი ვაჟი, რომლებიც ამ ხუტორში დაიბადნენ, მამას ცოტათი თუ ეხმარებოდნენ. წამოიზარდნენ თუ არა, ორთავემ ქალაქს მიაშურა, მგონი, ვილნოში ცხოვრობდნენ და მხოლოდ ზოგჯერ ზაფხულობით თუ მოინახულებდნენ აქაურობას ერთ-ორი კვირით. როგორც კი გერმანელებთან ომი დაიწყო და ვილნო ფრანგების ხელში მხარეს აღმოჩნდა, ვაჟიშვილებისაგან აღარაფერი ისმოდა; პან ადოლფს არ უყვარდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ სტეპანიდამ იცოდა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი იმედი. ადოლფის მოხუცი მეუღლე ისე გარდაიცვალა, ვაჟიშვილების ამბის გაგებას ვერ მოესწრო, საშინაო საქმეები და პირუტყვი სტეპანიდას კისერზე იყო, მიწის ნაწილს იახმოვსკი იჯარით აძლევდა — სანახევროდ ან კიდეც — როგორც მორიგდებოდნენ, — დანარჩენ მიწაზე კი სეზონურად ქირაობდა მოჯამაგირეებს. იახმოვსკი სიტყვაძვირი, მშვიდი, უბოროტო კაცი იყო, ამისთვის სცემდა ყველაზე მეტად პატივს მას სტეპანიდა. თუმცა დროდადრო მისი ხუტორის პური მაინცდამაინც ტკბილი არ იყო, ისიც იცოდა, რომ ამაზე უკეთესს ვერსად იშოვიდა. ახლა ქობში ის ლაპარაკი რომ მოისმა, რაღაცას მიხვდა და იგრძნო, რომ მისი ცხოვრება მკვეთრად უნდა შეტრიალებულიყო. მაგრამ ის ველარ მოესაზრებინა, როგორ შეტრიალდებოდა — კარგად თუ ავად, თუმცა ერთი რამ კი აშკარა იყო — ცვლილებათა დრო დამდგარიყო.

თავისი საქმე რომ მოათავეს ქობში, კაცები სახლ-კარის დასათვალიერებლად ეზოში გამოვიდნენ. პან ადოლფი არ გამოჰყოლია მათ, როგორც იყო, ისევე თავჩაქინდრული დარჩა მერხზე მაგიდასთან და სტეპანიდა გაჰყვა უფროსებს, რომ ეჩვენებინა მათთვის ხორბალი ბელელში, ბოსელი, ორი ცხენი, ბურვაკები. სტუმრები ითვლიდნენ და ყველაფერს ქაღალდზე იწერდნენ — ხაროებში მარცვლეულს, ფარდულში — სელს, პირუტყვსაც, სტეპანიდამ ციპრუკოვს ჰკითხა, ასე რად ამოწმებენო. ციპრუკოვმა აუხსნა, ეს ექსპროპრიაცია არისო — ექსპლოატატორთა ქონება ახლა ხალხის საკუთრებად იქცევაო. სტეპანიდამ ყველაფერი ვერ გაიგო, თუმცა რაღაცას კი მიხვდა და გულში მალული იმედით ჰკითხა: „მიწის საქმე როგორღა იქნება?“ ჰოდა, ციპრუკოვმა უთხრა, მიწას უმიწაყლო გლეხებსა და მოჯამაგირეებს გაუყოფენო და პეტროვი ხვალ დილითვე სათემო აღმასკომში მოვიდეს, იქ გადაწყდება ყველაფერიო.

სტეპანიდას მოაგონდა, როგორ აკანკალა მაშინ შიშმა ამ განსაცვიფრებელი ახალი ამბის გაგონებაზე და კაცები რომ ეზოდან გადავიდნენ, კარგა ხანს ვერ გაბედა პეტროვისათვის ამის თქმა. მზად იყო აცეკვებულიყო სიხარულისაგან: ამას როგორ იფიქრებდა, რომ მიწას ისინი უფასოდ, უჩხუბრად, სასამართლოსა და თხოვნა-არზების შეუტანლად მიიღებდნენ, — მისცემდნენ და მორჩა. ექსპროპრიაციის უფლებით.

როცა ეს ამბავი პეტროვს შეშისაბობზე მიახარა, კაცს შეშის ნაჭერი გაუვარდა ხელიდან და მორთან ჩაჯდა — პირდაპირ ტალახში მოიღო ტყაპანი. იმავე წამს წამოვარდა და შარვლის წმენდას მოჰყვა, ხოლო ბედნიერი სტეპანიდა მზიარულად კისკისებდა. თუმცა ის კი შეამჩნია, რომ მის ქმარს უცებ შეეცვალა სახე, ახლა დაბნეულობის ნაცვლად თითქმის შიში აესახა და უკან მიიხედა. ცოლ-ქმრის უკან პანი ადოლფი იდგა, თავისი განუყრელი ჯოხით ხელში, და დანაოჭებულ, გაუპარსავ ლოყებზე ბებრული ცრემლები ჩამოსდიოდა.



— გიხარიათ განა? ბედნიერებას ეწიეთ?

ცოლ-ქმარმა რაიმეს მოსაზრება ვერ მოასწრო, რომ ბერიკაცი შეტრიალდა და პარმალისავენ გაემართა. რევმატიზმისაგან მოკაცული ფეხები მუხლებში უკანკალებდა.

ამ წუთიდან მოყოლებული სტეპანიდამ აღარ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი და რა ეფიქრა. სიხარული ჩაუმწარდა, რალაც ეჩოთირებოდა. აკრძალულ საქმეზე წაესწროთ, და დანაშაულის გრძნობასაც უნდა ეგრძნო. ეს ოცნებები და იმედები იყო მხოლოდ, მაგრამ მაინც სხვისაზე დარჩა თვალი, რაც თავის დღეში, იახიმოვშინაში მუშაობის მთელი ხნის მანძილზე არ უკადრებია; გაჭირვებასა და სიღარიბეში, როგორც შეეძლო, უფროსილდებოდა თავის ნამუსს, ცდილობდა არავის არასდროს არაფერი დაეხვედრებინა მისთვის. თუმცა უკითხავდაც შეეძლო აედო, მის ხელთ ბევრი რამ იყო, თითქმის მთელი ოჯახი, მაგრამ თუ რამე დასერიდებოდა. პატრონს მიმართავდა ზოლმე და ერთხელაც არ ახსოვდა მას რამეზე უარი ეთქვას. ცუდი კაცი როდის იყო პანი ადოლია, უფასებდა მუყაითობას, უფრო მეტად კი მისი ქონების მიმართ კეთილსინდისიერებისათვის სცემდა პატივს. ახლა კი ამ ცვლილებებმა სტეპანიდას სინდისი აუფორიაქეს. როგორ მოიქცეს? უარი თქვას მიწის აღებაზე, რითი იცხოვროს? ხოლო თუ აიღებს, თვალეში როგორღა შეხედოს თავის პატრონსა და კეთილისმყოფელს?

იმ უკუღმართ დღეს ღამე უძილოდ გაატარა, ფიქრსა, შფოტსა და ყოყმანში. ისა და პეტროკი გაწამდნენ საკუჭნაოში, ჩურჩულითაც იჯერეს გული და დუმილითაც, მაგრამ მაინც ვერ მოიფიქრეს, რითი დაემშვიდებინათ სინდისი. დილით ვისელკიში უნდა წასულიყვნენ სათემო აღმასკომში, ჰოდა, პეტროკი, გათენებისთანავე ლოგინიდან შიშველი ფეხები რომ გადმოედგა, ერთხელ კიდევ დაფიქრდა და მერე გადაწყვიტა:

— არ წავალ. ერთი მაგისიც...

სტეპანიდა საბნიდან გამოძვრა.

— როგორ თუ არ წახვალ? მაშ, რა უნდა ექნათ?

— არ წავალ და მორჩა. არ შემიძლია...

არა, ამაზე ვერ დაეთანხმებოდა სტეპანიდა, დილით მან უფრო მტკიცედ იგრძნო თავი, ახლა ხომ ოჯახში ორნი კი არა, თითქმის სამი სული არიან და ამიტომაც სტეპანიდას ორი ხმა აქვს, საკუთარი და ბაღლისა, პეტროკის ერთი არამტკიცე ხმის საპირისპიროდ. სანამ ქმარი საქონელს მიაშურებდა, ცოლმა კარგად გამოთათხა, ის კი არადა, წაიტირა კიდევც, მაგრამ რას გააწყობდა, თავადვე მოეშადა საჩქაროდ და მინდვრის გადავლით ვისელკის მიაშურა.

ვეება ხუტორული ნაკვეთიდან მათ ორი დესეტინა ჩამოუჭრეს სახლ-კარს უკან, სხვა მიწები სხვა ღარიბებსა და უმიწაწყლოებს გაუნაწილდათ, ასეთები კი ბლომად აღმოჩნდნენ ვისელკიში. განაწილებაზე სტეპანიდა არ წავიდა, მაინც პეტროკი გააგდო ძალით, ხოლო თავად ეზოში მესერთან ელოდებოდა და ჭკუფად მომავალ კაცებს უთვალთვალებდა, მინდორში რომ საზომებით დადიოდნენ, ზომავდნენ და ითვლიდნენ ყველაფერს. ფანჯარაში დროდადრო გაიღვებდა მთლად შავებში ჩაცმული იახიმოვსკის გრძელი ჩრდილი, გამოჩნდებოდა მისი დაოსებული სახე და მაშინ სტეპანიდა კუთხეში იმალებოდა ან კიდევ შეშის საპობზე მიდიოდა; ეჩოთირებოდა, თითქმის ეწამებოდა იმის გამო, რომ ყოველივე ძველი პატრონის თვალწინ ხდებოდა. ბოლო დღეებში იახიმოვსკი თითქმის არ გამოსულა ქოხიდან და არც მათ დალაპარაკებია,



იჭდა იქ განაწყენებული კუთვით და ეტყობოდა, რომ მართო თვაზისა კი არა, საერთოდ სიცოცხლის ინტერესიც დაკარგვოდა: სტეპანიდა და პეტროკიც არაფრით არ აწუხებდა, არაფერს ეკითხებოდნენ და ძველებურად მისას ხელს არაფერს აკარებდნენ, საკუთარს სჯერდებოდნენ. ზუტორის მეურნეობა შემცირდა, თავლაში ახალგაზრდა ფაშატილა დარჩათ მხოლოდ, ცხენი, თემში წაიყვანეს, ბოსელში ერთი ძროხაღა დატოვეს, გოჭები დაბაში დატოვეს, მათთვის წაასხეს. დანარჩენი რაც იყო — აკაზმულობა, რაიმე ნივთი თუ ნაწარმი ჭურჭელ-ავეჯეულობა — თითქოს აღარავის ეკუთვნოდა, იახიმოვსკის აღარავითარი უფლება აღარ ჰქონდა მათზე, თუმცა არც სტეპანიდასა და პეტროკს მიუთვისებიათ. უნდოდათ თავიანთი ქონებით გასულიყვნენ იოლას. მაგრამ ეს ყოველთვის როდღე გამოსდიოდათ, ზოგჯერ იძულებულები იყვნენ იახიმოვსკისა ეხმარათ: სათლი იყო თუ ძროხის საჭმელი თივა, ან კიდევ კარტოფილის ახალი ბურტის გახსნა, თუკი ძველი ამოთავდებოდა. ასეთ დროს სტეპანიდა გამოადებდა ხოლმე ქოხის კარს და პან ადოლიას ეკითხებოდა. ბერიკაცს ძვალტყავა მხრებზე ეილეტი მოეგდო, იჭდა კოხტად მილაგებულ საწოლზე და გამხმარი ფეხები, რომლებზედაც წინდები ეცვა, ახლა გახეხილ, ოდესღაც კი შეღებილ იატაკზე ჩამოეშვა. იგი არც კი ასწევდა თავს, ზედ რომ ერთი ღერი თმა არ შერჩენოდა, და მოკლედ მიუგდებდა ხოლმე ქალს:

— წაიღეთ. ახლა ხომ თქვენია ყველაფერი.

სტეპანიდაც მოტრიალდებოდა და გამოვიდოდა ქოხიდან, თუმცა იმისთვის თვალის მოკვრას კი მოასწრებდა, რომ მაგიდაზე პანი ადოლიას ხელუხლებლად ედო საჭმელი — ჯამზე გაცივებული კარტოფილი, ტოლჩით რძე და ორი ნაჭერი პური, დილით რომ მიუტანა. ბერიკაცი სულ აღარაფერს ჭამდა, ეაცმა არ იცის, როგორ აპირებდა სიცოცხლეს. ასე ხომ სიკვდილის მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

ქალს ეცოდებოდა ადოლია და ეს სიბრაღული ძალზე ჩრდილავდა მათ დიდ სიხარულს, რომ საკუთარი მიწის პატრონები გახდნენ, ბედნიერ რწმენას იმისას, რომ ყორანა ფაშატი ახლა მათი საკუთრებაა ისევე, როგორც ჭრელი, თვინიერი ძროხა, რომელიც მაინცდამაინც ახალგაზრდა არ იყო, მაგრამ ბევრს კი იწველიდა. წინ ელოდათ მრავალი საზრუნავით და მძიმე შრომით სავსე, მაგრამ დამოუკიდებელი ცხოვრება, სადაც ყოველივე, ცუდიცა და კარგიც მხოლოდ მათზე, ცოლ-ქმარზე იყო დამოკიდებული და სხვა არავიზე. ამ ბედნიერებამ ისინი ლამის ცაში აიყვანა, ასეთ ბედ-ილბაღს მხოლოდ სიზმრად თუ ნახავდნენ.

ერთხელაც სტეპანიდამ ველარ მოითმინა და საღამოთი, პირუტყვზე ზრუნვას რომ მოიჩა, პეტროკს უთხრა, უნდა მოეღაპარაკო იახიმოვსკის, თორემ ასე უღამაზოდ გამოდის, ამდენ ხანს კეთილადა და თანხმობით ვცხოვრობდით, ახლა კი... ისიც უნდა უთხრა, რომ ჩვენი ბრალი არაა, რომ ხელისუფლებამ ასე შეატრიალა საქმე და თუმცა ორი დესეტინა ჩვენ მოგვცეს, მაგრამ ჩვენი ოხოვნის გარეშე. ალებით კი ავიღეთ, მაგრამ ჩვენ რომ არ აგველო, სხვას მისცემდნენ, ღარიბ-ღატაკის მეტი რა არის ქვეყნადო. როგორმე გული უნდა მოუღებონ ბერიკაცს, რომ მათზე ნაწყენი არ დარჩეს, ცხოვრებით კი ისევ ქოხში იცხოვროს, ისინი კი, სანამ თავიანთ ქოხს აიშენებენ, საკუჭნაოში დაყოფენ, ვიდრე ფეხზე დადგებიან. სტეპანიდა მიხედავს ხოლმე ბერიკაცს. ისე როგორ იზამს, რომ ამდენი სიკეთისა და ალერსისათვის სამაგიერო არ გადაუხადოს მისსავე მიწაზე!



პეტროვი ოხვრა-ხვნეშით გაეშურა ქოხისაკენ, რადგან ერთიერებოდა ბერიკაცთან ლაპარაკი, სტეპანიდა კი წინკარიდან აყურადებდა. მაგრამ როდის იყო პეტროვს რიგიანად მოეგვარებინა რამ, ჯერ შორიდან დაიწყო და ბერიკაცს რაღაზე არ ელაპარაკა; მოიგონეს მეფისდროინდელი ცხოვრება, რა წესები იყო დაბაში, ტყეში ნადირობისას თავს გადახდენილი ამბებზე სტეპანიდამ ველარ მოითმინა, წინსაფარზე ხელები შეიწმინდა და მაჩუქარ-მეფეობა ზღურობლს. პანი აღოლიას, ეტყობა, გულმა რაღაც უგრძნო, წამოდგა, თავისი შავი ხიფთნის სახელოებში ხელები გაუყარა და ჩაწიწიკებულ ღილებზე შეიკრა იგი. სტეპანიდა ზღურობლთან მერხზე მიჯდა, ხოლო ბერიკაცმა ფანჯრებ-ნუა ჩასმულ დაბინდული სარკის წინ მდგარ ძველებურ სავარძელში მოიკალათა.

— გვაპატიეთ, პანე აღოლია, — უთხრა სტეპანიდამ, როცა ბერიკაცმა ხიფთნის კალთები გაისწორა და ხმელი, გრძელი ხელები მუხლებზე დაიწყო.

— პან ეზუსი გაპატიებთ, — უთხრა იახიმოვსკიმ და გოროზად გახედა ზღურობლს.

— ხომ იცით, თავად არ გვითხოვია. მოგვცეს.

— მაგრამ აქი უარი არ გიქვამთ...

— როგორ უნდა გვეთქვა უარი, პანე აღოლია? ვინ იცის, ვის მისცემდნენ. აი, გონჩარიკებს არაფერიც არ ერგოთ.

ეტყობა, სტეპანიდამ ნიშანში მოახვედრა, იახიმოვსკი წუთით გაყურდა, აღბათ არ იცოდა, რა ეპასუხნა. მერე გამწარებით და მტკიცედ თქვა:

— ცოდვია სხვის ქონებაზე თვალის დაქერა.

სტეპანიდა გაჩუმდა, ბერიკაცი კი ჩაფიქრებით იქნევდა გალოპრილ, ძვალივით გაყვითლებულ თავს და თავის ფიქრებს მისცემოდა, იქნებ გულში ამუნათებდა კიდევ ცოლ-ქმარს. მისმა ამ სიტყვებმა — თავის თავზე კი არა, მათზე თქმულმა — სული აუფორიაქა სტეპანიდას, რაღაცნაირი წინასწარმეტყველური ქეშმარიტება იგრძნო მათში და დანადვლიანდა.

— მაგრამ ველარაფერს გააწყობ კაცი, — თქვა ბერიკაცმა ცოტა ხნის შემდეგ. — მე ცუდს არაფერს გისურვებთ, დაე ეზუსი და მარია იყოს თქვენა შემწე...

— ამაზედაც მადლობელი ვართ, — უთხრა თითქმის გულაჩუყებულმა სტეპანიდამ.

მთავარი ის იყო, რომ წყენა არ ჩაედო მათდამი გულში, ცუდი რამ არ ესურვა მათთვის. სხვა რამეს როგორმე მოეცლებოდა. სტენი ჰყავდათ, მეურნეობა გააჩნდათ, ბელელშიც იმდენი სათესლე დაუტოვეს, რომ საგაზაფხულოდ ორი დესეტინა დაეთესათ, იქნებ საბურღულე ქერიც დაურჩეთ ან კიდევ ბარდა წვნიანისათვის. კარტოფილი სამყოფად ჰქონდათ, ორი კასრი ქონიც გააჩნდათ — შემოდგომიდანვე შემოინახეს მინდვრის სასეზონო სამუშაოზე დაქირავებულთათვის, ახლა კი მოჯამაგირეს ველარ აიყვან. ამ მოხუცს საქმელს არ დაამადლიან და სასმელს, გინდაც ნათესავი ურჩენიათ სამადლოდ, ვითომ მათი ბაბუა იყო. ღმერთი იყოს მისი შემწე! განა ცოლ-ქმარს ცუდი სურდა ბერიკაცისათვის?!

ჭირვეული, ცივი გაზაფხული თითქმის აღდგომამდე გაჭიანურდა და მხოლოდ ნაადრევად იწყო დათბობა, გაუბედავად და დაგვიანებით. წმ. იურობას კარგად დათბა და დილაადრიან ამდგარი სტეპანიდა და პეტროვი ძველი ჩვეულების მიხედვით ბოსელს მიადგნენ. ძველ დროში ამ დღეს საქონელს სამ-



წყემსურში გარეკდნენ ხოლმე, მაგრამ ახლა სად უნდა გაერეკათ. გამხმარი რუხი ბალახისა და ღიმა სოკოს მეტა საძოვარზე ჯერ არაფერი ამოწვერილიყო. პეტროკი კარში იდგა. ხოლო სტეპანიდამ გადანახული შემოსავლედი სანთლის ნამწვით დაუზილა პროხას მკერდი, რომ ავი სულისაგან დაფცვა და მთელი წელიწადი რძე არ გაშრობოდა. პეტროკმა კი გამხმარ ბალახის კონას ცეცხლი მოუკიდა, გულდაგულ დააბრჩოლა ბოსელი, ძროხის ბაგა და მჭანჭან ასე მოსდგამდათ ხუტორში ოდითგანვე. შუადღისას უფრო მეტად დათბა. კოხი რომ მიაღაგა, სტეპანიდამ ბზის ნაკურთხი ტოტები აიღო და თავშალში აღდგომიდან გადანახული კულიჩის ნატები გამოკრა. ცოლ-ქმარმა სუფთად ჩაიცვა და მინდვრის გადასასინჯად გაემართნენ. მინდორს კი დილიდანვე ოხშივარი ასდოდა ალერსიანი მზის სხივებისაგან — გუთანს ელოდებოდა.

გადასინჯვა საშემოდგომო ნათესებიდან დაიწყეს, ფიჭვნართან რომ იყო; აქ მწვანედ ღაღანებდა ამოწვერილი ჭვავის მოგრძო ყანობირა. პეტროკი წიხ ზიდიოდა და თავშეკავებით იღიმებოდა მოკლე ულვაშებში. მაშინ უკვე აღარ იყო ახალგაზრდა, მაგრამ არც მოხუცი ეთქმოდა: ორმოცი წელი ბევრი არაფერია მამაკაცისთვის. ულვაშებში კი მოულოდნელი სიხარულით იღიმებოდა: ამ ხუტორში იგი ხომ მოჯამაგირედ მოვიდა, ახლა კი აქაურობის ბატონ-პატრონი გახდა და აგერ თავის ყანასა და საძოვრებს ათვალერებს. რასაც ირველია, კარგად ესმოდა, რომ ორი დესეტინა მიწა ვერ გაამდიდრებდა, მაგრამ საკუთარი პურით მაინც გაიტანდა თავს. ცოტა კი ეშინოდა, ვაითუ ამ ზამთარმა და განსკუთრებით კი ცივმა გაჭირვებულმა გაზაფხულმა ავნოსო საშემოდგომო ნათესებს, მაგრამ, როგორც ჩანს, გადასატანი უკვე გადაიტანეს — ჯეჯილმა სიცოცხეებისაგან სული მოითქვა და თითქმის მთელ მინდორზე მწვანედ აღაღანდა. მხოლოდ გზისპირა ქვემო ბოლოდა იყო ჯერ კიდევ ჩამავებული, ალბათ წყლის ხანგრძლივი დგომისაგან. პეტროკი მიჯნიდან ჩამოვიდა და დაიხარა, რომ მორჩი ამოეგლიჯა და ფესვი ენახა. მაგრამ ხელი გაიწოდა თუ არა ჩაყვითლებულ, ჩამქვანარ ღივისავენ. შეწეპებულ მიწის კოშტებს შორის ოვალი მოჰკრა კიდევ რაღაც რუხს და დაბნეულმა გაფარჩხული ფრთით აიყვანა მიწიდან პაწაწა ლეგა ჩიტუნა. ეს ტოროლა იყო, ალბათ ერთი იმ უიღბლო-თაგანი, გაზაფხულის პირველ სუნთქვას რომ გამოეტყუებინა და ნაადრევი სიმღერისათვის სიცოცხლით ეზღო.

— უყურე ერთი, სტეპა...

სტეპანიდამ პეტროკთან მიიბრინა და დაბნეულმა გამოართვა ხელიდან მკვდარი ჩიტუნა, რომლის გაშლილი ფრთები უღონოდ ეკიდა ჰაერში ისევ, როგორც მისივე ნისკარტდაღებული პაწაწა თავი.

— ღმერთო ჩემო... პეტროკ! რა არის ეს?.. ეს ხომ ცუდი ნიშანია...

— ცუდი ნიშანი?

— ოპ, ეს უბედურების მაუწყებელია! ჩვენი უბედურებისა, — სტეპანიდა საცა იყო, ატირდებოდა.

პეტროკსაც უსიამოდ მოხვდა გულს ეს ამბავი, მაგრამ ცდილობდა მშვიდად დაეჭირა თავი, არ სურდა დაეჯერებინა, რომ ეს პაწაწინა ფრთოსანი შეძლებს უბედურება მოუტანოს ადამიანს.

— აბა, რა უბედურებაც ეგ არის! გაყინულა ჩიტი. მაშ, რა მოუვიდოდა ასეთ სუსხში!

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ნეტა რად ახლე ხელი? ან რამ გაპოვ-



ნინა? — მოთქვამდა აშკარა უბედურების მომასწავებელი ნიშნით თავთან-  
დაკარგული სტეპანიდა.

ერთხანს არ იცოდნენ, რა ექნათ, განცვიფრებულები დასცქეროდნენ პა-  
ტარა მკვდარ ჩიტუნას, ჭვავის ღივივით ფერჩამკრთალი, დაკრუნხული  
ბრჭყალები რომ ჰქონდა. სტეპანიდამ ცოტა წაიტირა და პეტროკამაც ვედარ  
დაამშვიდა, რადგან თავადაც სჭირდებოდა ნუგეში. ტოროლა მამჩხმამჩხ-  
მოში ჩამარხეს, გვერდით ბზის ტოტი ჩაარტეს. დანარჩენი ბზები — ტოტებსა  
თვის რა უნდა ექნათ, არ იცოდნენ, საშემოდგომო ნათესებზე მისი შემოვლე-  
ბის სურვილი მყის გაუქრათ, გუნებაწამხდრებს რაღაც შიშიც შეეპარათ, ვერ  
გაეგოთ, რისი გულმოკლულების ახლა აღარც მინდორი ანტერესებდათ. ნაკვე-  
თი შემოიარეს და ხუტორში მობრუნდნენ.

რომ სცოდნოდათ, შინ რა ელოდებოდათ, ასევე გაიქცეოდნენ საღმე  
შორს და იქნებ არც არასოდეს მობრუნებულყვნენ უკან. მაგრამ არცოდნა  
დიდი ძალაა, იგი ადამიანისათვის იმაზე ცოტას როდი ნიშნავს, ვიდრე მისივე  
ყველაზე ნაღდი ცოდნა და მომავლის განჭვრეტის უნარი, როგორც ჩანს, არ-  
ცოდნაც იცავს, იფარავს კაცის სულს, ადამიანს სიცოცხლის სახსარს აძლევს.

ხუტორში დაბრუნებულმა სტეპანიდამ საკუჭნაოში გახსნა თავსაფარი, გა-  
მოიღო კულიჩი. ცოტა ჩამოჭრა და ქოხში წაუღო პან ადოლფს. ქოხში ბერი-  
კაცი არ ჩანდა და იფიქრა, ალბათ ღუმლის იქით წევსო, ქალმა კულიჩი თეთ-  
რით მაგიდაზე დადო. ქოხში სიჩუმე სუფევდა, მაგრამ სტეპანიდას ადამიანის  
ყურადღება არ მიუქცევია, საერთოდ ჩვევად არ ჰქონდა დიდხანს გაჩერებუ-  
ლიყო აქ — როგორც კი გააკეთებდა საჭმეს ან რაიმეს აიღებდა, მაშინვე წინ-  
კარს მიაშურებდა — რატომ უნდა შეეწუხებინა მოხუცებული ადამიანი? სა-  
კუჭნაოში ცოლ-ქმარმა მორჩენილი კულიჩი რძეს შეატანა და პეტროკი ეზო-  
ში გავიდა. გაზაფხული მაინც უფორიაქებდა გულს, გუთანი უნდა გაემართა,  
ჩარდახში საბმური ვერ მოძებნა, უამისოდ კი ცხენს ვერ შეაბამდა. სტეპანი-  
დამ დიდ თუჯიაში ძროხის საჭმელი ადღვიბა, რადგან ძროხას ფქვილში ადღვე-  
ბილი საჭმელი უყვარდა და წყალის დაღვევა არ სურდა. ქალი მიმჯდარიყო  
თუჯიასთან და ურევდა, როცა წინკარის ღია კარში უცნაური ბარბაციტ შე-  
მოვიდა პეტროკი და ჩამწყდარი ხმით დაუძახა ცოლს, მის ხმაში შეფოთი კი  
არა, შიში უფრო იგრძნობოდა:

— სტეპანიდა!

ქალი მაშინვე არ წამოვარდნილა ზეზე, იფიქრა, პეტროკი ცუდად თუ  
გახდაო, მართლაც გათეთრებული ჩანდა სახეზე, ცოლისაკენ გამოწვდილი  
ხელები ავისმაუწყებლად უკანკალებდა.

— სტეპანიდა!!!

სტეპანიდა მივარდა ქმარს, მაგრამ მან უკან დაიხია და ისევ ეზოს მია-  
შურა, თან ცოლის ყურადღება სხვა მხარეს — ბოსლისკენ მიაქცია. ქალმა  
იქით გაიხედა და დაინახა, რომ კარი მოფლეთილია, რაც თავის დღეში არ მომ-  
ხდარა, მუდამ ჩაეანგული დიდი შავი ბოჭლოში ედო, რომლის გასაღები ქოხში  
ლურსმანზე ეკიდა ხოლმე. სტეპანიდას გულმა ცუდი უგრძნო, სიარბილით მი-  
ვარდა ამ ღია კარს და ეზოდანვე, ბელის ბინდბუნდში დაინახა ადამიანის  
მჭრალი ჩრდილი, თითქოს გრძელ, მუხლებში მოკაკულ ფეხებზე უძრავად  
ბდგომი ადოლფ იახიმოვსკი გადმოხრილიყო ბელის ხაროებზე. სტეპანიდამ  
უცხო ხმით შეჰკივლა: „პანოჩკუ ადოლფა!“ — მაგრამ ბერიკაცი არ გამოხ-  
მაურებია. მაშინ იგი ბელელში შევარდა და ყველაფერს მიხვდა. ზემო კოჭი-



დან მაგრად გაჭიმული ბაწარი იყო ჩამოშვებული, იახიმოვსკის ძვალეით გაყვითლებული თავ-კისერი არაბუნებრივად მოგრებოდა გვერდზე, ხელები გამზდარი, ჩამოშვებული ტანის გაყოლებით ეკიდა, ცალი მხარი მაღლა აწეოდა და მთელი სხეულით გადაბრეცილიყო. სტეპანიდამ მაუდის ხრტიანში გახვეულ გაძვალტყავებულ მხრებში ჩაავლო ხელი და სხეული მძიმედ, დიდი ვაიგაგლახით მოტრიალდა. ისე დაბლა ეკიდა, რომ საგარეო ქრომის-ქაქებიანმა მოკაცულმა ფეხებმა მიწურ იატაკზე გაიჩაჩუნეს. შიშის მუხუხაფხუფს სტეპანიდამ გაიფიქრა, რომ ამ საქმეშიც, თავის ჩამოსახრჩობადაც არ ეყო ადგილი კაცს, ისე დაბალჭერიანი და მოუხერხებელია ეს ბელელიო.

ორი დღის შემდეგ ცოლ-ქმარმა ძველი გაურანდავი ფიცრებისაგან შეკრული კუბო პოლონელ კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში კათოლიკების სასაფლაოზე წაიღეს და მიცვალებული დამარხეს. ერთი დღის შემდეგ კი დაბოდან მოიჯარადრე ჩამოვიდა, რომელმაც ფურგონში ჩააწყო ვეება მუხის სავარძელი, ვიწრობუდიანი საათი და ლამაზი, წითელი ბის მაღალი საწერი მაგიდა, ასე თქვა, ეს იახიმოვსკის გადაუხდელი ვალის საფასურიაო. სტეპანიდა და პეტროკი არ შედავებიან, წაიღეო, უთხრეს, მათ უფრო მეტი რჩებოდათ — თითქმის მთელი სახლ-კარი, ორი დესეტინა მიწა, ახალგაზრდა ფაშატი, ძროხა. განა იმ დროში ეს ცოტა იყო?

რამდენიმე დღის შემდეგ ცოლ-ქმარმა თავიანთი ღარიბული ქონება საეპუქნაოდან ქობში გადაზიდა და საცხოვრებლად იქ დამკვიდრდნენ.

ბებერი იახიმოვსკი თანდათან მიავიწყდათ, ზოგჯერ თუ მოაგონდებოდათ, მაგრამ ეს მოგონება მხოლოდ ანაღვლიანებდათ და ცდილობდნენ არ ეფიქრათ ამაზე...

ამას ადვილად ახერხებდნენ, მით უმეტეს, რომ უბედურება და წუხილი იმ მძიმე, მშფოთვარე წლებში არ ილერდა.

შემოდგომის ნათესები თავისთავად ხარობდა, დიდი ზრუნვა არ სჭირდებოდა, მაგრამ მხოლოდ ორი ყანობირი ეთესათ, ხოლო ნაკვეთის მთავარი ნაწილი ბორცვზე, საგაზაფხულოდ უნდა დაეხნათ. ეგ არაფერი, როგორმე მოხნავდნენ, აი, ბორცვის წვერო კი შარშანწინიდან ნასვენ მიწად რჩებოდა, იახიმოვსკი არ ხნავდა ამ მიწას: მოიჯარადრემ ოდესღაც მიაგდო იგი, რადგან, ღმერთმა ნუ ქნას, ისეთი მიწა იყო — ცარიელი ქვები და თიხნარი, გვალვაში რომ სალ კლდედ იქცეოდა ხოლმე. იახიმოვსკის, რასაკვირველია, შეეძლო ნება მიეცა თავისი თავისთვის, რომ ერთი-ორი დესეტინა ნასვენად ექცია, კარგი მიწებიც საკმაო ჰქონდა, მაგრამ სტეპანიდა და პეტროკი რაღას იზამდნენ? გაზაფხულზე იგვალვა, წვიმები არ იყო, მაგრამ როცა დათბა, პეტროკმა გუთანში ახალგაზრდა ფაშატი შეაბა და ხასვეხზე გაეშურა.

დილიდან შუადღემდე იწყვეტდა წელს იქ. სტეპანიდას სხვა საქმეები ჰქონდა ოჯახში, სადილად ელოდა ქმარს, მაგრამ ამაოდ. გულმა ცუდი უგრძნო, ეზოში საქმეს ხელი შეუშვა და ღარტაფის კიდე-ყიდე გაეშურა იმ ნავსიანი ნაკვეთისაკენ.

ჯერ კიდეც შორიდან, ღარტაფიდანვე დაინახა ბორცვზე თავისი ქმარი, რომელსაც რატომღაც კვალში ჩაეტოვებინა გუთანი და ფაშატს დასტრიალებდა თავს, რომელიც შარშანდელ, ჩამხმარ შამბნარში იდგა თავჩაქინდრული და ოფლით სველი ჰქონდა გვერდები. სტეპანიდა ვიწრო, დახნულ კვალში შევარდა, ფეხები თიხნარზე დაიჩეჩქვა და ავიშვიშდა. თიხნარი აქ სარეველასა და გამხმარი ნაკელის კოშტებთან იყო ნარევი და აგურის ნატეხივით წითლად



მოჩანდა ხნულში. რაღა საკვირველი იყო, რომ ფაშატს ქანცი გაწყვეტოდა, აქ ნაცადი, კარგი ცხენიც ალბათ ძარღვებს დაიწყებდა გუთნის თრევაში. მათი ყორანა ფაშატი მთლად გაშავებულიყო ოფლისაგან, რომელიც ღვარ-ღვარად ჩამოსწურსტრებდა გამობერილ ფერდებზე, დაღლილობისაგან გვერდები უძაგდაგებდა, ხოლო თავი ძირს, მიწისკენ ედრიკებოდა. ფეხშიშველ პეტროკს წინაქსოვ ხალათზე ქამარი არ ერტყა, მხრები ოფლით გალუმპვოდა, სტეპანიდას მოხედა და ფაშატს აღვირი მოჰქაჩა. ცხენი უცებ წაბარბარდა, სტეპანიდას ფეხები გაჩაჩხა და ჭაპანიანად დაეშვა ქვასავით მაგარ ხნულში.

— ოჰ, რა უბედურებაა, რაღა ექნათ? — ვიწვიშებდა პეტროკი, რომელიც ცდილობდა ხან მუქართა და ხან ფერებით წამოეყენებინა ფაშატი, მაგრამ ამით იყო მისი ყველა ცდა. მალე ფაშატს წინა ფეხებშიც უმტყუნა, საბმელში გაიჭიმა და ცახცახით დაუწყო თიხნარს ჩლიქებით ხვეტა. შეშინებული პეტროკი გამოსახსნელად მივარდა, მაგრამ ფაციფუცში ვერ შეძლო თავზე ჩანოცმული ცალუღლისაგან მისი გამოხსნა. მაშინ სტეპანიდამ გუთნიდან საბმური ისროლა და ამით მოეშვა ჭაპანი. ქალს უკვე ნათლად ესმოდა, რომ მათ ახლახან დაწყებულ დამოუკიდებელ ცხოვრებაში მოულოდნელად უბედურება შემოიჭრა.

ასედაც მოხდა. ფაშატი ველარ წამოაყენეს, თუმცა ცდა არ დაუკლიათ, ხან თივა მიაძლიეს, ხან ბალახი თუ პურის ნატეხი, სტეპანიდამ ხუტორიდან რომ მოიტანა. გრძელ, გამხდარ კისერზე დაკიდებული ცხენის თავი ბოლოს მაინც მიწაზე დაეშვა და მხოლოდღა თვალებს ატრიალებდა დროდადრო თვალის ბუდეებში, თითქოს ადამიანს შველას ეცეცდებოდა. მაგრამ უკვე შეუძლებელი იყო მისი შველა. ნაშუადღევს ფაშატი უკანასკნელად გაიძაგრა და ფეხებიც გაჭიმა.

სტეპანიდა თითქოს გააქვავა მწუხარებამ, უკვე ნათლად წარმოიდგინა, როგორ გაუჭირდებოდათ უცხენოდ. ისიც ასეთ დროს, როცა ცხენი მათი მარჯვენა ხელი იყო, ოფლად გაღვრილი პეტროკი ერთხანს დაბნეული იდგა, მერე ჩუმად დაჯდა, თვალებზე ხელები აიფარა და ატირდა. სტეპანიდას არ დაუშვებია ქმარი, თავადაც ჩუმად მოიწმინდა ცრემლი და თვალწინ დაუდგა, ამას წინათ მინდოდა რომ ათვალეერებდნენ და გაყინულ ტოროლას წააწყდნენ მიწაზე.

— დაწყველილია ეს ბორცვი. უმიწაწყლონი ვაყავით და უმიწაწყლოდვე დავრჩით.

პეტროკი თანდათან დამშვიდდა. ერთხანს იჯდა და მერე წინისკენ აიბარგა. უნდა მოეფიქრებინა, აწ როგორღა ეცხოვრათ.

საღამოთი პეტროკი ხუტორში მოვიდა და ცალუღი მოიტანა, მერე აიღო ძველი ნიჩაბი და ვერძის ხევში წიწვოვანი ბორცვისაკენ გაეშურა, აქ სილაში სოფელში დავარდნილ საქონელს მარხავდნენ ხოლმე. ფიჭვნარის განაპირას ამოთხარა პეტროკმა ორმო, მერე ვასელკიდან ლადიმარის ცხენი მოიყვანა და იმით გადაათრია ფაშატი. სტეპანიდა არ წასულა იქ, არ შეეძლო ამის ყურება, იმაზე ფიქრი არ შორდებოდა, როგორ უშველოს ამ უბედურებას. სად იშოვოს ცხენი იმ წყეული ბორცვის მოსახსნავად? ისევ ნასვენად ხომ არ დატოვებს იმ მიწას, რიღათი უნდა იცხოვრონ მაშინ?

პეტროკი გვიან მოჩანჩალდა უკან, ცოლის შეკითხვებზე მოკლე-მოკლე პასუხები გასცა, წვნიანი შეხვრიპა და წინკარში ზღუბლთაჲ დაჯდა. სტეპანიდა შეეცადა ქმარი საუბარში ჩაება, მაგრამ პეტროკს ამის თავი არ ჰქონდა.



და ცოლმაც აღარ შეუწუხა გული, თავის საქმეს მოჰკიდა ხელი. მერე სტეპანიდამაც მიდო თავი ღუმელს იქით, ხოლო განთიადისას რომ გაიღვიძა, პეტროკი უკვე წასულიყო სადღაც. სტეპანიდამ იფიქრა, ალბათ ცისკლეში თუ წავიდა, ცხენი ხომ უნდა იშოვოს და ბოლოს და ბოლოს მოათავოს საქმე იმ ბორცვზე. სხვები უკვე თესვას მორჩნენ, ამით კი ჯერ არც დაუბნავთ.

მაგრამ პეტროკი სასუსხმოდაც არ მოვიდა, ცოლი შეშფოთდა, მესრიდან გახედა ბორცვს და კინაღამ ატირდა, როცა იქ, შორს, შუა მთაში თავისი ქმარი დაინახა. მარტოდმარტო, ხან ერთ მხარეს და ხან მეორეს ტორტმანით მწყრივ-მწყრივ რომ ჩიჩქნიდა მიწას. სტეპანიდამ იფიქრა, გავიქცევი მასთანო, მაგრამ ღუმელში კარტოფილი იხარშებოდა, დანთებულ ღუმელს კი უმეტესად უფროდ ხომ ვერ დატოვებდა.

თხუთმეტოდე წუთის შემდეგ სტეპანიდამ მაინც მოაქუჩა ცოტაოდენი საუზმე — ერთი ჯამი კარტოფილი, ღორის ქონის ნაჭერი, პური და ერთი ტოლია რძე, თავშალში გამოკრა და ბორცვისაკენ გაეშურა.

პეტროკი ხან ხელით თხრიდა, ხან ნიჩბითაც ჩიჩქნიდა, ამტვრევდა და ტეხდა ამ წყეულ თიხნარს, სადაც შარშანდელ შამბნარში ნორჩ ქანგასაც ამოეწვერა. უკვე კარგა მოზრდილი ნაკვეთი მოეხნა ყანობირის ბოლოდან. სახეზე რომ შეხედა, სტეპანიდამ ძლივს იცნო ქმარი, ისე საშინელი სანახავი იყო, ისე მოტეხილი ჩანდა და ლოყებზედაც შავი ჯაგარივით მოსდებოდა წვერო. მკერდი კიდევ უფრო ჩავარდნოდა, სიგამხდრისაგან მხრები წაწვეტებოდა, გაოფლილი პერანგი თავისუფლად უფარფარებდა, თითქოს პალოზე ჩამოეცვათ, ხოლო მისი დამრგვალებული ტანჯული თვალები უტყვ საყვედურს აევსო იმისადმი, ვინც ასეთი გაუხარელი ცხოვრება არგუნა.

— პეტროკ, რას აკეთებ?

— რასაც ხედავ, — დაღლილობისაგან ჩამწყდარი ხმით უპასუხა ქმარმა ისე, მუშაობა არ შეუწყვეტია.

— განა ასე დაბარავ?

— მაშ რა ვქნა?

— იქნებ ვინმემ გვათხოვოს ცხენი? უნდა გაიკითხო ხალხში.

— გავიკითხე უკვე. ვისა ჰყავს შენი მოსაკლავი ცხენი?

ცოლიც აღარ ჩასციებია, მიხვდა, მართალს ამბობდა პეტროკი, ასეთ დროს აბა ვისთვის უნდა გეთხოვა ცხენი, ყველას თავისთვის სჭირდება; ვინ ჩააგდებდა სხვის ხელში თავის ნაღთლიავენს და ისიც ამასთანა მიწის სახნავად? რაღა დარჩენიათ, თუ ნიჩბით არ გათოხნიან? სხვა რაღა გამოსავალი აქვთ.

სტეპანიდას მოაგონდა, რომ წაიტირა კიდევაც მაშინ, როცა წარმოიდგინა თავისა გლეხური ცხოვრება უცხენოდ. პეტროკმა თავი გაანება თოხნას და ნოღლილი დაეყრდნო ნიჩბს.

— რა უნდა ვქნათ? ცხოვრება ხომ გვინდა... როგორმე...

ოთხი დღე დილიდან დაღამებამდე ორი ნიჩბით ამტვრევდა ცოლ-ქმარი თიხნარს და მაინც თავისი გაიტანეს. ორთავეს მიეხადა ღონე, ქანცი გაუწყდათ, მაგრამ მაინც მოხნეს, თუმცა ზერელედ ნახნავი კი იყო — ადგილ-ადგილ მხოლოდ ზემოდან ამოჩიჩქნეს ნიჩბით მიწა. მთელი დღე ხმის ამოუღებლად, სიტყვის დაუძვრელად მუშაობდნენ, ნიჩბის ტარზე თუ მოითქვამდნენ ზოგჯერ სულს. მერე პეტროკი შუადღემდე უნდებოდა მიწის მსხვილი ბელტების დამტვრევა-დაფხვნას. ჰოდა, ერთ დილას ნახევარი ტომარა ქერი მოიღო ზურგზე



და ჩაღის ხელკალათაც წაიღო. საჩქაროდ დათესა, ხოლო გაფარცხვისათვის, რაც მართალია, მართალია, ნახევარი დღით ცხენი ლევონმა ათხოვა. რომელსაც ნაკვეთი მეზობლად ჰქონდა, ოდნავ ქვემოთ, იქაც არაფრად დასვენებულა მიწა, თუმცა ქვიშანარევი იყო და ცოტათი რბილი. საქმეს სწორედ შაშვანდეს მორჩნენ, წყნარ დარიან სალამოს და სტეპანიდამ გადაწყვიტა ცოტათი შეესვენებინა გახევებული, დაკოჭრებული ხელები. მაგრამ პეტროკმა უფროსად დასწრეს ყრილზე რომ დაისვენა, აიღო ნაჯახი და სადღაც ღარტაფისკენ გასწია. ცოლმა ჰკითხა, საითო, იფიქრა, იქნებ ფიჩხი უნდა მოზიდოსო ღუმლის გასახურებლად, რადგან შეშა შემოაკლდათ, მაგრამ პეტროკს პასუხი არ გაუცია, ისე მიეფარა საკუჭნაოს კუთხეს.

შინ ამ დროს დაბრუნდა როცა სტეპანიდა ძროხას წველიდა და მაშინვე უვახშმოდ დაწვა ღუმელს იქით. სტეპანიდა სალამოს საოჯახო ფაციფუცს რომ მორჩა და ქოხს მიაშურა, პეტროკი უკვე ხვრინავდა და ცოლსაც აღარაფერი უკითხავს, უხმოდ მიუწვა გვერდით.

მეორე დღესაც იგივე განმეორდა — პეტროკი განთიადისთანავე გაქრა, ცოლმა არც იცოდა მისი ასავალ-დასავალი. მაგრამ განა ცოტა საქმე გამოუჩინდება კაცს გაზაფხულზე, თანაც ასეთ გასაჭირში ჩავარდნილს! იქნებ ვისელ-კიში წავიდა, ფიქრობდა ქალი, ისევ ცხენის საშოვნელადო, რადგან კარტოფილის ნათესებისათვის ნაკელი იყო გადმოსატანი, ბოსტანი დასაბარი, ბარდა დასათესი — გაზაფხულობით მუდამ თავსაყრელია მიწის სამუშაო. სტეპანიდამ ღარტაფთან მიიბა ძროხა და შინ დაბრუნებისთანავე შეავლო თვალი ბორცვს. ქალი ისევ შეამჩნევდა იმან, რაც დაინახა.

დილის მზე უკვე იწვევრებოდა და იქვე, ტყის თავზე დაბალ მეწამულ ღრუბელს ეფარებოდა. მისგან მოშორებით, განათებულ ცისკიდურზე, შორს, შავად მოჩანდა ვიღაც კაცი, რომელიც დახრილიყო და თითქოს ბოძს თუ ხეს ეჭიდებოდა. სტეპანიდა მიხვდა: პეტროკი იყო, მაგრამ რას აკეთებდა ნეტა იქ?

სტეპანიდამ ბილიკიდან გადაუხვია და მოკლე გზით მიაშურა ბორცვს. დათესილი ყანის თიხიან ნამტვრევებში ფეხები დაიჩხვლიტა და თავის ნაკვეთზე გამოიჭრა. აქედან უკვე მოჩანდა, რომ მათი ნაკვეთის ბოლოს, ყველაზე ამადლებულ ადგილას წახრილი იდგა ვეება, მორებისაგან შეკრული ჯვარი და მიწაზე ფეხებგაბიჯგული პეტროკი ცდილობდა ზემოთ აღეშართა იგი. როგორც კი სტეპანიდამ ახლოს მიიბრინა, პეტროკმა ჩახლეჩილი ხმით დაუყვირა: მომეხმარეთ! ქალმა ორივე ხელი შემოავლო ნორჩი მუხის ხორკლიან ტანს, ქვედა ბოლოთი დაიჭირა ღრმად გათხრილ ორმოში და პეტროკმა საჩქაროდ იწყო მიწის მიყრა. ჯვარი ნედლი ხისა იყო, სტეპანიდამ შემთხვევით ოდნავ გადახარა თუ არა, მისმა სიმძიმემ ქალი წააბარბაცა და კინაღამ შეაშინა, მაგრამ მაინც შეძლო მისი დავაება და პეტროკმაც მიწით ამოავსო ორმო.

— ღმერთო, გვიშველე, ნუ გადაუდგები მონას შენსას, — ჩაილაპარაკა პეტროკმა, პირჯვარი გადაიწერა და გაოფლილი, ამ ძნელი დღეებით გატანჯული სახე შეიმშრალა. სტეპანიდამაც გადაიწერა პირჯვარი, იფიქრა, იქნებ მართლაც გვიშველოსო ამან, იქნებ ამ ხალხისა და ღვთისაგან დაწყევლილ მიწას უბედურება ააცდინოსო.

ჯვარი გაზაფხულსა და ზაფხულში ბორცვის წვეროზე იდგა, ღარტაფს და ტყეს გადმოსცქეროდა, გზისგან მოშორებით, და შარავნაზე ყველა ამვლელ



ჩამვლელი ხედავდა ადამიანის უბედურების მათწყებელ ამ ნიშანს. მაშინ იყო ვიღაც ვისელკელმა ამ ბორცვს გოლგოთა, გოლგოთას გორა და პეტროკის გოლგოთაც რომ შეარქვა. ასევე ეძახდნენ მას შემდეგაც, რაც დაწვლია კომკავშირელებმა — კობილოვმა, მეერსონმა და ხვასკომ შემოდგომაზე წამოაქციეს ჯვარი. ერთხელ ხუტორში რომ შეიარეს, ხერხი ითხოვნეს სან პეტროკმაც საკუჭნაოდან გამოუტანა ხოლო სტეპანიდა ბურახითაც გაუმასპინძლდა მათ — ის-ის იყო დაეყენებინათ და კარგი გამოსულიყო, ბიჭებმა იოხუნჯეს, ბურახი დალიეს და წავიდნენ. სტეპანიდამ იფიქრა, ღარტაფისაკენ გაემართნენო ან კიდევ ტყის მხარესო, მათ კი მიჯნასთან ბორცვისკენ გადაუხვიეს და სულ რაღაც ათიოდე წუთში მოხერხეს ჯვარი. მერე ხერხი უკან დააბრუნეს და ცოლკმარს გრძელი ჭკუის სასწავლებელი სიტყვა უთხრეს რელიგიური რწმენის მავნებლობის თაობაზე. პეტროკმა წარბები შეიკრა, თუმცა კრინტი არ დაუძრავს და არც შედავებია. სტეპანიდამ კი ბრაზიანად გამოთათხა ისინი. გაიხსენა, რომ გაზაფხულზე, როცა ისა და პეტროკი იმ გოლგოთაზე წელს იწვევებოდნენ, არავის უფიქრია მათი დახმარება. ახლა კი, ქერმა რომ ტანი აიყარა, ამ რეგვენებს თურმე ჯვარი შეეჩხირათ თვალში. მაგრამ ბიჭებთან ლაპარაკით რას გააწყობდი, დასცინეს მის უმეცრებას და, დარწმუნებულები, რომ ვალი მოიხადეს, დაბაში გაეშურნენ.

ბორცვს კი შერჩა ის სახელი და ალბათ ისევ კარგა ხანს შერჩება, როგორც მხენელ-მთესველისათვის უმაქნისი, ცრემლებით „შრომითა და მრავალწლიანი გლეხური ტანჯვა-წამებით ნაკურთხი ამ ერთი ბლუჯა მიწის უსიხარულო არსი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)





გერმანულიდან

თარგმნა გურამ კანკავაძე

### მეეტლე ქრონოსს

გარეკე, ქრონოსს!  
ჩორთს მოეშვი, შოლტი მაგ ჯაგლაგს!  
გზაა დამრეცი, ახლა თავქვე მიეჭანება,  
ზოზლი მერევა,  
როცა ზღაზვნით დაიარები.  
გაკურცხლე ჯიქურ ამ ღრანტეებში,  
გადეველე ლოდებს, კოჭრიან ფესვებს,  
გრგვინვით შევარდი შუა  
ცხოვრებაში..

ახლა კი ისევ,  
კიდევ რომ სუნთქვა შეგიგუბდეს,  
მთის მძიმე ფერდობს უნდა აუყვე.  
აბა, გასწიე მწვერვალისაკენ,  
მსწრაფლ, გაბედულად აინავარდე!  
ჰა, შორ სივრცეში, მაღლა, ჩვენს  
ირგვლივ  
ღვივის სიცოცხლე,  
მთაგრეხილიდან მთაგრეხილამდე  
მარადიული მიმოქრის სული,  
მარად სიცოცხლის წინასწარგრძნობით.

...გზიდან გადგიყვანს, თავისკენ  
გიხმოვს  
საბურავიდან ჩამოსული ფარფატა  
ჩრდილი

და ანთებული მზერა გოგოსი,  
კარის ღირეზე რომ გადმომდგარა.  
შესვი, გაგრილდი! და მეც მაღირსე,  
გოგონავ, ძევსვა  
აქაფებული შენი საამელი  
და შენი მზერა, ჩამდგმელი სულის!

აბა, ვიკმაროთ, კვლავ დაღმა დავყვეთ!  
ხედავ, მზე ჩადის?  
მაგრამ ვიდრე ჩაესვენება, ვიდრემდე  
მოხუცს ჩამნთქავს ჭაობის  
ამონასუნთქი,  
უქბილო ყბებით მოვყვები ჩიფჩიფს  
და ჩემი ძვლებიც ცახცახს დაიწყებს,

მზენასვამი,  
უკანასკნელი სხივებით მთვრალი,  
შენთან მგზავრობით  
მონუსხული, დაბრმავებული,  
ცეცხლოვანი ზღვის ქაფით თვალებში,  
დამაგდე, ქრონოს,  
შავი ქვესკნელის ბნელ კარიბჭესთან,  
ღამის თაღებში.

დაპკარი ბუკსა, ჩემო მეეტლე,  
ზარი სცეს მიწას ფლოქვების ცემამ —  
ორკუსს რომ მისწვდეს: ეს ჩვენ  
მოვდივართ!  
რათა წამოდგეს საგანგებოდ  
და ქუდმოხდილი წინ შეგვეგებოს.

1774

### ხელოვანის მწუხრის სიმღერა

ქმნის ლალი ძალა გარდმეჭყეს შვებად,  
მკერდში დამწიფდეს, აბგერდეს იქვე,  
ჩემი ხილვების, ხატების წყება  
ჩემთა თითთაგან კვლავ გადმოიფრქვეს



მე ჟრეოლა მიპყრობს, ენა მეშლება,  
ვბორძიკობ, მაგრამ მაინც ვერ ვცხრები.  
მე გგრძნობ, მე გცნობ შენ და ასე  
ჩნდება,  
ბუნებავე, შენკენ მავალი გზები.

ის წლები, აბა, რას შევეუდარო,  
სულს როცა ვხსნიდი, შემესმა —  
გალობს...

გვალვიანსა და ზრიოც უდაბნოა,  
შთაგონების რომ გადმოსკდა წყარო!

შენდამი ტრფობა გულში აყვავდა,  
გნატრულობ ცხარედ, მწველი  
ოვალებით,

ათას ღვარებად, ათას ნაკადად  
მელვრები ათას შადრევანებით!

აგრძელებ ჩემი სიცოცხლის მბობას,  
მკერდი ამივსე ღებნიტ მიწიერს,  
და ჩემი ვიწრო აქ არსებობა  
ზარადისობად გარდამიქციე.

1774

### მგზავრის ღამეული სიმღერა

შენ, ვინც ცითგან ხარ გადმომავალი,  
ყველა ტანჯვას და ტკივილს რომ  
აყბრობ,

ვინც კი ორმაგად ბედშავი არი,  
იმას ორმაგი სიამით ათრობ,  
ნუთუ გავუძლებ ამ დაღლას კიდევ,  
ამ ღებნას, წუხილს რისთვისღა შევრჩი?  
ტკბილად სიმშვიდევე,  
მო, ჩაესვენე ჩემს მტკივან მკერდში!

1776

### სიმღერა და ჰანდაკება

დაე, ბერძენი უფერულ თიხით  
შერწავდეს ჰანდაკს, სახეებს უკვდავს,  
ქმნიდეს, ვით შვილებს, მარადნე  
ფიქრით,

ღვთაებრივ კუნთებს, ზეაღმტაცს  
თუნდაც.

ჩვენ კი ვვილევით სიამე, რჩეულს,  
როს ევფრატის წყალს ხედვით  
გმზავნიან მწველით,  
მისი ჩქერების რბილ, დამყოლ სხეულს  
ვახეტილებთ გრძნეულ თითებით.

პირველი ცეცხლი რომ ქრება მკერდში,  
სიმღერა დის და იღვრება შვება,  
და მგოსნის წმინდა, შემოქმედ ხელში  
წყალი მკვრივდება და იკუმშება.

### ნებარი ლბოლვა

ნურავის ეტყვიტ! მხოლოდ ბრძენს  
ესმას,  
თორემ მდამიო დამაყრის სიცილს —  
ვადიდებ სავსე სიცოცხლის ღენას,  
რომ მიესწრაფვის ცეცხლოვან  
სიკვდილს.

ტრფიალის ღამეს, მის ბნელ ლანდებში  
რომ დგება ტრფობის, ჩასახვის ჟამი,  
ჩამომდნარ სანთლის მიმქრალ ალებში  
ჩამესმის უცხო ფიქრების ჩქამი:

შენ გაკრთობს მრუმე ლანდების წყება,  
ის ბნელ დილეგად ქცეულა შენთვის,  
და მიგიზიდავს ახალი ვნება —  
დიდ, უზენაეს ნათელთან შერთვის.

გზა არ გაშინებს, აღვსილი გრძნებით  
და ფრთაშესხმული ეკრძალვი ბოროტს,  
თუმც იმავ ცეცხლით, ასე რომ

ელტვი,

შენ იფერფლები, ფარვანავ, ბოლოს...

და თუ არ მიხვდი მაინც, რომ არი  
სიკვდილი — ხატი მარად სიცოცხლის,  
ზარ შუბლშეკრული უცხო სტუმარი  
ბინდიფერი და სუსხიან სოფლის.



უპარება

გაზაფხულის ნათელ დილით  
მწყემსი გოგო, სავსე ეშხით,  
მოხტუნავდა ასკინკილით,  
რეკდა მისი მღერა მთებში:  
ლალებიი!.. ლალებიი!..

ბიჭმა ერთი კოცნის ფასად  
მსწრაფლ აღუთქვა სამი ცხვარი!  
გადახედა გოგომ ნავსად,  
ეშმაკურად უყო თვალი,  
და გასწია: ლალებიი!..

სხვამ აღუთქვა ბაფთა ჭრელი,  
მესამემ კი — გული სავსე...  
ბაფთას, გულსაც გაჰკრა ხელი  
და მღეროდა ლალად ასე:  
ლალებიი!... ლალებიი!..

1797

ამ სიუხვეში ტრფიალი ღვივის  
სულყოველ ბუჩქთან, სულყოველ  
ხესთან.

ხედვა ნათლდება, მზეცაა ღია.  
შეზე! ფრთიანნი ანცუბერ-ფუნდუდ,  
იძვრიან სწრაფად დამოწყობისა  
ამ დილით გაჩნდნენ და ტრფობა

უნდათ,  
ფრენენ ისინი წყვილ-წყვილად მუდამ.

წნავენ სახურავს; ნეტავი ვისთვის  
იგება კერა, დგება ქმნის ფამი,  
და როგორც ხურო, ყოველი იღვწის,  
გამართეს სწრაფად მაგიდა, სკამი!  
ეს მე მაოცებს და ლხენით მათრობს,  
მზე ჩადის, მაგრამ ვერც შევიცანი:  
მოვარდნენ გუნდად, თან მოჰყავთ  
სატრფო,

შეყვარებულებს გავუღე კარი,  
დღე და საღამო გახდა სიზმარი!..

მაინი

1816

ვერცხლის ღრუბლების მქროლავი  
წყება

გამთბარ ჰაერში ჰკიდია, ცურავს,  
ციმციმი შუქის კვესავს, არ ცხრება,  
მზე მიწის ორთქლში ჰფენს სხივებს  
მცხუნვარს.

წყნარად ზვირთდება, აწევა ტალღა  
ტენით ავსებულ, ნოყიერ ნაპირს,  
და მორეცხილი — მდინარის მალღა —  
ღელავს ბალახი და ქარში გარბის,  
ან ბზინავს მზეზე და შვებით თავს  
ბრის.

უშფოთველია ჰაერი ირგვლივ.  
რამ შეატოვა ტოტები, ნეტავ?

მარად და ყველგან

შეერთე მთების წიაღთა ბნელეთს.  
ოქროს ღრუბლების აჰყევი კიბეს,  
მუზა გვთხოვს გავყვეთ ფშანებს და  
ველებს  
ათიათასჯერ და ასგზის კიდევ.

ყვავილი ჩემს წინ რომ გადიშლება,  
ახალ სიმღერებს სულიდან იწვევს.  
თუმც დრო გნიასით მიდის და ქრება,  
მირკანი ყოველს ახლიდან იწყებს.

1820

ვენეციური ეპიგრამებიდან

სიცოცხლით ამკობ სარკოფაგებს, ურნებს, წარმართო:  
როკავენ ფავნნი მათ გარშემო, გუნდი ბაკქანტთა  
ირევა იმათ ჭრელ ფერხულში, თხისფეხა სატირს  
უსკდება ყბები: ხრინწიან ჰანგს გამოსცემს მისი



გამყივანი და ველურ ხმებით მგრგვინავი ბუკი.

დაფის, წინწილის ელრიალი დგას, მარმარილოს ჩვენ  
ვემზერთ, თან ვუსმენთ... შვეიცრულ ჩიტებო! თქვენ მარმარილოს  
აწობთ

მწიფე ნაყოფში და არ გაფრთხობთ გნიასი მარმარილოს  
არ უფრობის გნიასს არც ამური, ამ ჭრელ ქობულში,  
ორომტრიალში შეჭხარის ის თავის ჩირადდანს!

აი, აე სძლევს სიჭარბე — სიკვდილს, და აკლდამაშიც  
შეჭხარის თითქოს ნეშტის ფერფლი ისევ სიცოცხლეს.  
ო, შემობურთეთ ამ გრაგნილით აკლდამა მგოსნის, —  
სიცოცხლე უხვად მიანიჭა მან ამ ლექსებსაც.

### მიწიონი

იცი ია მხარე, ლიმონის რომ ჰყვავის სურნელი,  
და მუქ ფოთლებში კრთის ფორთოხლის შუქი ულევი?  
ლურჯ კამარაში ქარის ფრთები ცურვით გაართულა,  
დგას მურტი ობლად, ბოლო დაფნა ზეაღმართულა,  
იქ თუ ყოფილხარ?

იქითკენ, იქით

გავწიოთ, ჩემო საყვარელო, ნეტარი ფიქრით!

იცი ის სახლი? მარმარილოს იჭერს სვეტები,  
ბრწყინავს დარბაზი, პალატებში მზე არ ეტევა,  
ქანდაკებები შეგვყურებენ ნაღველით სავსე:  
ბავშვო, საბრალო, რა დაგმართეს, ვინ დაგჭრა ასე?  
იქ თუ ყოფილხარ?

იქითკენ, იქით

გავწიოთ, ჩემო თანამდგომო, ნეტარი ფიქრით!

იცი ის მთები, გაწოლილი ღრუბლის ბილიკი?  
ცხოვრობს ურჩხული მღვიმეებში, ბნელის შიკრიკი,  
იქ თეთრ ნისლეებში ჯორი იკვლევს თავის დამრეც გზას,  
ჩამოიქცევა მაღლით კლდე და კლდეებს დალეწავს,  
იქ თუ ყოფილხარ?

იქითკენ, იქით

მიდის ჩვენი გზა, მამაჩემო, ნეტარი ფიქრით!

1784

### სამყაროს სული

გაიბნით და გაიფანტეთ ყველა არეში,  
დასტოვეთ სამყოფი ლხენის!



გარიეთ სული ვარსკვლავეთის წმინდა მხარეში,  
აავსეთ სამყარო თქვენით!  
ზესკნელის წრეში ჰქანაობთ წმინდა ღვთიური სიზმრით,  
რომელსაც არ უჩანს კიდე,  
განათებულნო ვარსკვლავებით, ერთობლივ იძვრით  
და გზებზე სინათლე გიღევთ.



მძლე კომეტებო, მიჰქრით, თავი არ გემეტებათ,  
უსაზღვრო სივრცეებს ზევით,  
და ლაბირინთებს მზეების და ვრცელ პლანეტების  
გადასჭრის, ჰკვეთს თქვენი გზები.

თქვენ ეჭიდებით უსახურ და უფორმო მიწას,  
ქმნით გზნებით და იღვწით სწრაფად,  
რომ სიჭაბუკე სდევდეს მუდამ, სიცოცხლე მისცეთ  
მის დინჯ და ზომიერ სწრაფვას.

თავს დასტრიალებთ მალ ჰაერში, უსაზღვრო თალში,  
ცვლისკენ მიდრეკილ ფლორას,  
თქვენ განაწეაბთ — ქვას ჩასწვდებით მიწის წიაღში,  
ანიჭებთ მას ურყევ ფორმას.

და ყოველივეს ღვთაებრივი სურს შემართება,  
ისწრაფვის თავს აღმატოს:  
წყალს, უნაყოფოს, სურს ხარება, აყვავილება,  
ნამცეცი მტვრისაც კი ლაღობს.

ასე აძევებთ სიყვარულის მწველი ჭიდილით  
ნესტიან ღამეთა ბურანს!  
სამოთხის სივრცეთ იწყებს უკვე წითლად ღვიფილი  
და ბრწყინვალება ჰბურავთ.

იძვრის ყოველი, რათა ჰპოვოს სხივთა ალერსი,  
სულდგმული ნათლისკენ ილტვის!  
და თქვენ ნეტარებთ, ბედნიერნი ამ ასპარეზით,  
ისე, ვით პირველი წყვილი.

და მწველი ტრფობა თვალთა შეყრით ქრება, ვით ნავლი,  
დაშრტება წადილი მყისვე....  
ასე სიცოცხლე სამყაროსგან იშობა შადლით,  
რომ მასვე ჩაბარდეს ისევ.

1802

### ანდერძი

არც ერთ არსებას არ მოეღოს არარად ქცევა!  
პარადისობა სულყოველში ღელავს, ირწევა,  
ყოფიერებას, ნეტარია, ვინც ეზიარა!



ყოფიერება მარადია, რადგან კანონი  
იცავს მის ცხოველ საუნჯეებს, ვერ გადასწონი  
მის ცვლად მშვენიერებს, სამყაროსაც მისითვე ფარავს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ჭეშმარიტება აღრეც იყო ცნობილი ჩვენთვის,  
იყო სათავე ამალლებულ სულების შერთვის,  
ჭეშმარიტებას არ შეუშვით აროდეს ზელი!  
შესწირე მადლი, მიწის შვილო, შეასხი ქება  
ბრძენს, ვინც განჭვრიტა წრებრუნვა და მნათობთა წყებას,  
მზეს, დედამიწას განუწესა სავალი ვრცელი.

მყის ჩააცქერდი, სულის წიაღს მიაპყრე თვალი!  
ნახავ, რომ სულს აქვს შუაგული, მკვიდრი, ვით რვალი,  
და ის სირთულე, როგორიც თვით ყოფიერებას.  
არ შეგაფერებეს იქ წესებში რამ დანაკლისი  
და შენ მიხვდები: მომკითხველი, მკაცრი სინდისი  
მზეა შენს სულში, სპეტაკ დღეთა ბედნიერება.

გრძნობების აფრა აღმართე და ენდე მათ ქროლვას,  
გრძნობა სიყალბეს აგარიდებს, თუ შესძელ მოვლა:  
თუკი იფხიზლებს გონება და უპყრიხარ ფხიზლად.  
გქონდეს ცინცხალი, ბასრი მზერა, გულს — სიხარული,  
იარე! მთა-ბარს შენ მსუბუქად გარს შემოუვლი,  
უცქირო ქვეყნის უხვ ბარაქას — გქონდეს ეს მიზნად.

ზომით ირგებდე ცხოვრების მადლს, სიჭარბეს მისას,  
დაე, გონება გახლდეს ყველგან, ვით სხივი მზისა,  
სიცოცხლეს ლოცავს იქ სიცოცხლე უსაზღვრო გრძნობით.  
მაშინ წარსული აღარ წავა, გახდება მყარი  
და მომავალი აღრევეა სიცოცხლით მტკბარი,  
წამი პირამდე აღივსება მარადისობით!

და თუ ცხოვრების ვრცელ გზაზე შენ მაღწევ ყოველს,  
გაბრძნილი გრძნობა შეგიპყრობს და აღარ დაგტოვებს:  
„რაც ისხამს ნაყოფს, ჭეშმარიტი იგია სწორედ!“  
გამომცდე თვალით უთვალთვალე დინებას ძალთა,  
უცნაურია მისი ქცევა, ამრევი კვალთა.  
მხარი აუბი რჩეულებს და შენს გულის სწორებს.

როგორც ძველთაგან წესად იყო: განმარტოებით,  
თითქოს უჩუმრად, ღვაწლს თესავდნენ დიდ სასოებით  
ფალოსოფოსი თუ მგოსანი, — რომ ნიშნავს ზენა;  
მსგავსად შენც უნდა მოიპოვო ესე წყალობა,  
რათა შენს მოყვასს მოეგლინო მეტყველ გალობად,  
ხოლო ამაზე სასურველი ვერრა თქვას ენამ.



ინგლისურიდან თარგმნა ვასო გაიბაძე



მურმან ლებანიძის, გიორგი ნიშნიანძის, თამარ ერისთავის... შენდევ ინგლისური პოეზიის თარგმნა რთულზე რთული რამ გახდა. მე მაინც XX საუკუნის რამდენიმე ნიმუშის გადმოქართულებას შევეცადე.

ვინ იცის, ეგებ ჩემს ცდასაც მთლად არ მოაყლდეს ინტერესი და ყურადღება.

მთარგმნელი

### ალფრედ ედვარდ ჰაუსმანი

(1840 — 1928)

#### ნოემბრის ღამეში

შევნიშნე: როცა ბუნება  
ღრუბლებით დაიბურება, —  
ქარი ფრიალებს, ფრთებსა შლის,  
ღამეა ბურან-ღვიძილში.

ფოთლები ოთახს ავსებენ,  
აშრიალებენ სარეცელს,  
ხეები რომ იძარცვება,  
დარდობენ ცოცხალთ დაცემად.

ფურცელი თხელი, მსუბუქი  
ხელებს ეცემა, ვით შუქი,  
ეს შენ ხარ, მოხვედ, ძვირფასო,  
ბოლო სათქმელი რომ მამცნო.

### ალფრედ ედვარდ ჰაუსმანი

(1859 — 1936)

მე ოცადერთის ვიყავი მაშინ,  
როცა მესმოდა ბრძენკაცის თქმული,  
„გაეც სიმდიდრე, ქონება უხვად,  
მაგრამ არ მისცე არავის გული.  
ნუ დაიშურებ ღალს და მარგალიტს.  
გული არ დათმო, ეგ არ იქნება“.  
მაგრამ ვიყავი სულ ოცადერთის,  
ყურად არ ვიღე ეს დარიგება.

ოცდაერთისვე ვიყავი ისევ,  
უკვე მივუხვდი იმ რჩევის სიბრძნეს,  
სასჯელს ეწევი, არ გაიმეტო  
გული, არასდროს არავის მისცე.  
სევდა-წალველი არ დაგელევა,  
გულს თუ დასტანჯავ, შენივ ბრალია,  
აჰა, გადავცდი ოცდაორ წელს და  
ვიწამე: „ვაგლახ, ის მართალია!“

მე მაშინ ვიყავ უმწიკვლო და  
სულით ნეტარი,  
როს შენ მიყვარდი მთელი არსებით,  
ასობით მიღზე აკვირვებდათ: სწორედ  
ეგ არის  
ტრფობის სახშილით გულის ავსება.  
ახლა კი, როცა სიყვარულის ის წმინდა  
კვამლი  
შორს გაიფანტა, აღარსადა ჩანს,  
ასობით მიღზე არა წყდება მათივე  
ყაყანი:  
„რა შვილიც იყო, ისეთად დარჩა“.

თვალსაამოა ლურჯი ცის თაღი,  
ბუჩქნარი, ჭალა, ბაღია და ბაღი,  
მაგრამ უფროა კი სანატრელი  
წყლიდან კამკამით მზირალი ჩქერი.



აი, ჩირგვები, ხენი, ღრუბლები  
და თვით პაერი ნასათუთევი  
მდინარემ ფიცხლად გაასპეტაქა;  
რატომ არ ვიყავ მაშინ ნეტავ აქ.  
როდესაც ვუმზერ წყლის ცისფერ  
სარკეს,  
ყოველთვის ვფიქრობ მე ჩემთვის  
ცალკე:  
შემაკრებინა ეს სილამაზე  
და მეც მანდ გავჩნდე ხალისით სავსე.

მაგრამ სოფლელი ბიჭი კი ურვით  
აქ გამჭვირვალე ფსკერიდან შუროთ  
მთლად ავსებული მიყურებს ამ დროს  
და ჩემთან ყოფნას მოითხოვს,  
ნატრობს.

მიზანი უკვე გაქვს, მეგობარო?  
იჩქარე, ვიდრე მეც შემწევს ძალი,  
საქმე ორისთვის იკმარებს ბარემ,  
მხარს მოგცემ, გული იმედის თვალთ.

მიხმე და უცბად შენთან გავჩნდები,  
ჩმა მომაწვდინე, მომასმენინე,  
ხოლო თუ მოვეკდი — ტყვილად  
დაშვრები;  
მკვდრისგან ხეირი უნახავს ვინმეს?

მიხმე, სანამდე ძალ-ლონე გერჩის,  
სანამ უკუნი გამეფებულა,  
ვიდრე სიცოცხლე კვლავ ფეთქავს  
მკერდში  
და არ ვჩიფჩიფებ: მორჩა! —  
ბებრულად.

მგონია, მიწის ცივი სავანე  
იქნება ჩემთვის ნაზი,  
ისე აწვება გულს ცის თავანი,  
მრუმე ღრუბლები ზღაზვნით.

ბავშვი ვიყავი ბაზრის ტრუფალი  
ირგვლივ რა გინდა, აუღო და გულო,  
რას არ იყიდი ფურცელ-ნაწილით,  
მუდამ კი მაკლდნენ ჩემი ფეხები!

ახლა კი სულ სხვა ჭირი დაგიდგა,  
ბევრზე ბევრი გაქვს ოხერი ფულიც,  
და ბაზარიც ხომ ისევ იქვე დგას,  
ბიჭი სადღაა ტანაწურული?

ქვეყნად არ არის და არც ყოფილა  
სიბრძნენი, რომელთ ვერავინ მოთხრის:  
ო, რა მტანჯველი საპასუხოა,  
რომ ორჯერ ორი არის სულ ოთხი.

## პილერ ბალოკი

(1870 — 1953)

### მთელი დუნია თეატრია

მთელი დუნია თეატრია — ბილეთიც  
მუქთი,  
იქ შესვლა არვის არ ეკრძალება,  
ორკესტრი გრგვინავს მძლე ხათქა-  
ხუთქით,  
ხოლო მუსიკა ქაოსია, ბგერით  
წვალება.  
არ მოგაწვდინა აქ პროგრამას და არც  
სიუჟეტს,  
ძალღოოდენია მსახიობი, ტალანტი —  
ცოტა,  
თვით წარმოდგენა როგორია:  
გეტყვით ჩუმად ერთს —  
პგავს დეკადენტურ უბადრუკ  
ბოდვას.  
თეატრში ვირჩევ მუდამ ერთ მხარეს,  
ფრანგულად იმას ფოიეს ვუბნობთ,  
იქ სიგარეტით თავს დავიწყნარებ,  
ბრბოსაგან შორით, შენს გვერდით  
უბნოდ.  
შემდეგ ავიღებ პალტოს და მყისვე  
სპექტაკლს თვალს მოვწყვეტ, ღამეს  
თავს მივცემ.



## ვახტანგ პოლიტიკოსი

მიასვენებდნენ ერთ პოლიტიკოსს  
ზარით, ზეიმით, ცხედრის ქვეშ  
ვლიდნენ  
ზვიად იერით, მე კი ვნალვლობდი:  
„ო, თოქზე რატომ არ ჩამოჰკიდეს“.

## კიდევ ერთი — მასვე

მთელ სიცოცხლეში სწავლობდა  
დიდად  
მუქარას, შანტაჟს, ქირღვას,  
მოსყიდვას,  
ილსასრულის ქამს ველარ უშველა  
მოსყიდვამ, ქირღვამ და ვერც სხვა  
ვერამ.

საწოლი ჰპოვა ცივ სამარეში;  
რაც გიცრუია, იანგარიშე.

## როლფ პოჟსონი

(1871 — 1962)

### ჩაბუჩები

მე გავიგონე მძლავრი კაკუნი,  
ჩაქუჩთა რტყმევა არა ნელდება  
დღისით და ღამით, თავდავიწყებით,  
ფერფლად და თიხად რომ გადაიქცეს  
სამეუფეო პალატო კედლები.  
მორჩა და დგება დუმილი სრული.

მე გავიგონე წყნარი კაკუნი,  
ჩაქუჩთ ჩუმი რტყმა თავდავიწყებით.  
დღისით და ღამით განუწყვეტელი;  
ფერფლად და თიხად რომ გადაიქცეს  
სამეუფეო პალატო კედლები.  
ნგრევაა წყნარი, ჩუმი, ფარული.

## უოლტერ დე ლა მარი

(1875 — 1956)

### საბრალო ჩიტი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საბრალო ჩიტო,  
ხელები არ გაქვს  
და არც თითები.  
აღმათ, ხშირად გრძნობ დარდს  
უძლურების  
მხოლოდ ორი ფრთა შეგსხმია  
მხრებში.  
მე კი ვინ მომცა შენსავით ფრთები?  
თევზო ცივსისხლავ,  
ხელები არ გაქვს,  
ორცა ფეხები და არც თითები,  
სიტყვას ვერა სძრავ — მარადი მუნჯი,  
სულ წყალში ხარ და ლაყუჩით  
სუნთქავ.  
მაგრამ მე სად მაქვს შენებრ ლაყუჩი?

მინდვრის ყვავილო,  
არც თვალები გაქვს სამყაროს ხილვად  
და არცა ენა —  
რიჟრაჟის ლოცვად,  
გამჩენმა სმენაც,  
გულიც არ მოგცა.  
და მაინც იცი, ვით მენატრება  
გინდ ჩრდილი იყოს, გინდ მზის  
ნათება,  
ვიყო შენსავით კდემამოსილი,  
შენებრ ლამაზი, როგორც ხატება.

## ჰილბერტ კიტ ჩისტარტონი

(1874 — 1936)

### ელეგია სოფლის სასაფლაოზე

ვინცა შრომობდნენ ინგლისისათვის,  
მშობელ მიწაში განისვენებენ,  
ფრინველ-ფუტკრები ინგლისისანი  
მათს ჯვრებს უვლიან შეუსვენებლივ.



ვინც კი იბრძოდა ინგლისისათვის  
 ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავთ  
 არეში,  
 საუბედუროდ, ურვად ინგლისის  
 განისვენებენ უცხო მხარეში.

ხოლო ვინაც კი მართავენ ინგლისს,  
 არიან ქვეყნის განმკარგულებნი,  
 საუბედუროდ, ურვად ინგლისის  
 ჯერ არ არიან დამარხულები.

### ტ. ა. პიუმი

(1883 — 1917)

#### შემოდგომა

შემოდგომის ღამეს სიცოვე მომეძალა,  
 მეც სასერიოდ გამოვედი გარეთ,  
 აღანძული მთვარე დამხვდა მოწნულ  
 ღობესთან  
 როგორც წითური ფერმერი.

ხმა არ გავეცი, მხოლოდ თავი  
 დავუკარი,  
 საღმობის ნიშნად.

ირვლივ შემოჯარულან მკრთალი  
 ვარსკვლავები  
 მსგავსნი ქალაქელი ბავშვებისა.

### უისტან პიუ ოდანი

(1907 — 1973)

#### რომანისტი



პოეტის ნიჭი მუდმივად  
 რადგან წინასწარ გვამცნობს, რა  
 წილხვედრი,

რა ბედი ელის, რა უწერია:  
 სამყაროში სახელის განთქმა, თუ  
 უუჩად ყოფნა,

სიყრმეშივე სიკვდილის ცელი.  
 იქნებ ჰუსარის ბედი გიხმობს,  
 ლაღად მკროლავის,  
 შენ კი ეს ნიჭი ერთიანად გაანადგურე,  
 ახლა ვალად გძევს იყო ტლანქი,  
 ურჯუკი, ავი,

ვინც შემოგყურებს,  
 შენც ისეთი გახდე ავგული.  
 ჰა, გამოსცადე ცდუნებანი,  
 ბედის ტრიალი,  
 ყოველდღიური სურვილები,  
 ენება დათრგუნე,  
 კეთილთან კეთილ და ტიალთან იყავ  
 ტიალი,  
 ამოეხა სიყვარულის მთლად გულს  
 არგუნე.

მხოლოდ ამგვარად  
 ვით სახიჩარს სიმწრის კიდება,  
 მანკიერება კაცთა ბედის  
 წარმოგიდგება.





რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ

5

თქვენ უკვე, რაღა თქმა უნდა, გიაზბეს, თუ რა ვუთხარი მე იმ  
ჯონსს, ეგ შენი ნათხოვარი ჯორი საჯინაბოში მიაყვანე და  
ჩვენს ორთვალაში შეაბი-მეთქი, და ამ დროს ქუდი დავიხურე. შალი მოვიხუ-  
რე და საბლი დავკეტე. მეტი რაღა უნდა ვამეკეთებინა, თქვენ უკვე ისიც  
გიაზბეს, რომ მე არც ზანდუკი მჭირდებოდა და არც ჩანთა. მას მერე, რაც  
ბედმა გამიღმა და მამიდაჩემის ჩასაცმელ-დასახურავი მერგო შემკვიდრეო-  
ბად იმ ქალის კეთილი გულის თუ სიჩქარის, ანდა სულაც გულმავიწყობის  
წყალობით, სუყველა დაძველდა და დაიხა. მთელი ჩემი ახლანდელი ტანისამოსი  
ელენის მოცემულია, ხანდახან იმას თუ გავახანდებოდი, მაგრამ მაშინ უკვე  
ელენი ორი წლის მკვდარი იყო. ხოდა, მე სახლი უნდა დამეკეტა მხოლოდ  
ჩავმჯდარიყავი იმ ორთვალაში და გამომევიღო თორმეტი მილი, პირველად ელენის  
სიკვდილის შემდეგ, და ჩემ გვერდით უნდა ყოფილიყო ის პირუტყვი, გი-  
საც ელენის სიკვდილამდე ახლოსაც არ გაავარებდნენ სახლს, და ეს პირუტყვი  
და პაპის პაპა პირუტყვებისა, ვისიც შეილიწვილი, გოგო ჩემს ადგილს დაი-  
ჭერს, თუ ჩემი დის სახლში არა, ჩემი დის ლოგინში მაინც, თავად მე რომ  
(როგორც გეტყობნენ) ჩემთვის მიმდოდა: ეს პირუტყვი-მეთქი (პირუტყვუ-  
ლი იარაღი იმ სამართლისა, რომლის ხელთაა კაცის ბედი და რომელიც, როცა  
უნდა, ნახად მოგეახლება, ჯერ ხავერდით ექნება ბრწყალი, მაგრამ თუ ვინ-  
მემ, კაცმა ან ქალმა გააღიზიანა, მაშინ კი აგორდება ცეცხლოვანი რკინის ბორ-  
ბალივით და ზედ გადაუვლის ყველას—უილაჯო მართალსა და უსამართლო  
ძლეურს, მორკმულსაც და უბრალო მსხვერპლსაც, უწყალოდ გადაათევს დად-  
გენილ კანონს და ქეშმარტებას). ეს პირუტყვი-მეთქი, ვინც არა მარტო მრავ-  
ალგზის გარდაისახება და შეიქნება ბოროტი სული იმ სატანა სატპენისათვის,  
და ბოლოს იმ დიაცსაც მიასჩეებს, იმ კაცის გვარსა და ჯილაგს რომ ამოაგდებს,  
ის პირუტყვი-მეთქი, ვისაც, როგორც ჩანს, ჰგონებია, გათავდა ჩემი სამსახუ-  
რი და ვალმოხდილი ვარო, რაკი ქუჩაში, ჩემი სახლის წინ დაეყუდა და ღრია-  
ლი მორთო სისხლსა და დამბახებზე, ვისი ფიქრითაც დაწვრილებით ამ ამბოს



მოყოლა უმნიშვნელო ან სულაც აზრმოკლებული და უდროოა და ამის გულისთვის არა ღირს მირთმან საღებო თამბაქოს გამოღებაო; ის თორმეტი მილი ისე გამოიარა ჩემთან ერთად, არც კი აღუხანია, რა მოხდა.

კიდევ ერთხელ გავიარე ის თორმეტი მილი ელენის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ (ან იქნებ ეს იყო ოთხი წლის მერე, რაც ჰენრი გადმოკარგა, ან სულაც ცხრამეტი წლის შემდგომ ჩემი გაჩენის დღიდან?) ვიცი, რომ ერთადერთი ეიცოდი და არც შემეძლო რაღაც გამეგო გარდა ამისა: სადღაც შორს გაიხმა გასროლის ხმა და ორმა ქალმა, ორმა უმაწვილმა ქალმა იმ სახლში, სადაც ეს ორი წელიწადი მამაკაცთაგან არავის არ დაუდგამს ფეხი, გაიგონა ეს ხმა; ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, ორიოდუ სიტყვა რომ უთხრეს ერთმანეთს, ნეტავ რა მოხდაო, და წამით იმ კაბას თავი ანებეს, ფეხის ხმა გაიგონეს, ვიღაცები მოიჩქაროდნენ, ამოდირდნენ კიბეზე, შემოვიდნენ შემოსასვლელში, მამაკაცების ფეხის ხმა იყო და ჯუღითმა ის-ის იყო იმ დაუმთავრებელი კაბით დაიფარა სიშიშვლე, რომ კარი განიხვნა და თავისი ამა, შლეგი კაცისმკვლელი დაინახა პირველად იმ ოთხი წლის შემდეგ, ვინც (თუკი იყო ცოცხალი და პირში სული ედგა), მისი აზრით, ათასი მილის იქით იმყოფებოდა; ხოდა, იმათთაგან ეს ორნი, რომლებმაც პირველი ლაზვარი იგემეს იმ სატანისეული ჩამომავლობისა, ეს ორი დაწყევლილი ბავშვი იმ დაუმთავრებელი კაბის ზემოდან ერთმანეთს შესცქეროდა. თორმეტი მილის გამოვლა მომიხდა ამ პირუტყვის გვერდით, ვინც ამ ცოტა ხნის წინ ჩემს სახლთან, ქუჩაში იდგა და კარს ყურმოვებული ხალხის წინაშე, ამ მოჩვენებით სიყარიელეში შემომდრიალებდა, თავისი დის საქმრო მოკლათ თქვენმა დისწულმა; თანაც იმ სახედრისთვის მათრახი არ გადაუკრავს და არ აუჩქარებია, რაკილა „ხომ გეუბნებით, ეს ჯორი არც ჩემია და არც იმათი და თებერვალს მერე ერთხელაც არ გამიღარა“, და იმ ჭიშკარში რომ შევედით, ჯორი დააყენა, ჯერ გამოაპურტყა და მერე თქვა, აი აქ მოხდაო. შე ხეპრევ-მეთქი? დაუუყვირე მე, იმან კი აღარ გაათავა, აი აქა, აქაო, ვიდრე ხელიდან არ გამოვტაცე ის მათრახი და ჯორს არ გადავუჭირე.

მაგრამ იმას კი აღარ გიამბობენ, თუ როგორ გამოვიარე ბილიკი და ჩავუარე ელენის აწ სარეველა ბალახებით დაფარულ ყვავილების კვლებს, მოვალწიე ამ სახლს, ამ გამოცარიელებულ შენობას, სიყმაწვილისა და სევდის ამ (ასე გავიფიქრე) კუბოს თუ საქორწინო სარეცლის ბალდახინს და მივხვდი, ძალიან გვიან კი არა, ძალიან ადრე მოვსულვარ თურმე. ატყეხილი ტალანი და გამოხუნებული, კედლები დამხვდა, არა, მომხვდურს არ შეემუსრა, არც ჯარისკაცის ტყვია და არც იმისი რკინის ქუსლი მოხვედრია, რადაც სხვა რამის წერა გამხდარიყო: ნგრევაზე უარესი პარტახი დაუფლებოდა, თითქოსდა აქაურობა მოეცვა რკინია დამადნობელ და ყოვლის გამანადგურებელ ცეცხლს, და სულ ბოლოს, როდესაც უნდა გაესრულებინა ეს საზარელი საქმე, დაეშრიტა თავისი მძვინვარება და თავისი სიშლეგე, უკუმიდგა და გაილია, და დარჩა ის განუტკრეტელი და შეურყვნელი ჩონჩხი, რომლის ხელყოფა ცეცხლს ველარ გაებედა; კიბის ერთი საფეხური მთლად დამბალიყო და ფეხქვეშ ჩაიშტერეოდა (ანუ ასეც იქნებოდა, რომ ზედ არ გადამებიჯებინა), ხოდა, ავირბინე, შესასვლელში შევედი, საიდანაც კარგა ხანია გაეტანათ ნოხი ზეწრებთან, სუფრებთან ერთად და ნაძენძებისათვის დაეხარჯათ, სატპენის სახე დავინახე და მივაქახე თუ არა — „ჰენრის ჰენრის ვგ რა გიქნია? რისი თქმა უნდოდა ამ ხეპრეს ჩემთვის?“ — მივხვდი, ძალიან გვიან კი არა, როგორც მეგონა, ძალიან ადრე მოვსულვარ თურმე. რადგან ის არ იყო ჰენრის სახე, სატპენის სახე იყო, მისი არა; სატპენის



სახე გამოტყვრა ამ ბინდბუნდში, როდესაც კიბეზე ამოვირბინე და ნაღელი შეუდლიდან მათი მშობლიური სახის ავბედით სიჩუმეში შევაბიჯე, ვერც ვერაფერი გავარჩიე პირველად, მერე კი თანდათან სახე, სატპენის სახე გამოჩნდა, არც მიახლოვდებოდა სიბნელოდან, იყო იქ და მეტი არაფერი, საფუძვლად ვით შეუვალი, ამ სახლის, ბედისწერის, დროის და ყოვლის წიაღისა და მომლოდინე (ჰოი, დიახ, კარგი არჩევანი გაუკეთებია იმ კაცს, დიდებულად შეურჩევია, თავისი თავისთვისაც კი უჯობნია და თავადვე, საკუთარ-ჯოჯობეთისთვის უწყალო ცერბერი შეუქმნია) სახე, რომლის მიხედვითაც ვერ მიხვდებოდით სქესსა და ასაკს, თუმცა კი ესენი არც არასდროს ჰქონია, სწორედ ის სახე სფინქსისა, რომელთან ერთადაც ის გოგო დაბადებულიყო და რომელიც იმ ღამით სხვენიდან დაბლა იმზირებოდა ჯუღთთან ერთად და ვინც, აწ უკვე სამოცდაათოთხმეტი წლისა, არც კი შეცვლილა, ისე შემომცქეროდა, თითქოსდა იცოდა, რომ სწორედ ამა და ამ წამს, შემოვიდოდი, და ვიდრე მე მთელი თორმეტი მილი იმ დაფეხვილი ჯორით მოვეთრეოდი, მელოდებოდა და მათვალთვალებდა: დაბოლოს კარი გამოვიარე (თუ იქნებ კიდევაც მაიძულა აქ გამოვლა, ისეთი სამართალიც ხომ არის, დევის სტომაქი რომ აქვს და რომლისთვისაც სულერთია, გინდ ვეება ძვალი ჭამოს და გინდ ჩიჩია), თითქოსდა ისიც იცოდა, ახლა ეს ქალი შემოვაო აქ... დავინახე ის სახე და გავხევდი (არა, სხეული არ გამხევებია, ის ისევ მიიწეოდა, მირბოდა, არამედ საკუთარი მე, სიღრმე ჩემი სულისა, ჩვენ რომ თან დაგვყვება და რომლისთვისაც ჩვენი კიდურების მოძრაობა ულახათო და დაგვიანებული აკომპანიმენტია და მოგვაგონებს ცუდი მუსიკოსების მრავალ უვარჯის საკრავზე შეუწყობელ დაკვრას) ამ გამოცარიელებულ შემოსასვლელში, მოშიშვლებული კიბის წინ (ნოხიც აღარსად იყო), მეორე სართულის ბინდბუნდს რომ უერთდებოდა და სადაც ექო მოისმოდა, ოღონდ ეს არ ყოფილა ჩემი ხმის ექო, არამედ აქ გამოძახილი იდგა მარადიულობაში დანთქმული სიტყვებისა, რომლებიც უნდა ამოთქმულიყო და აღარ ამოითქმებოდა; ასეა ყველა სახლში, ადამიანის ხელს ყველა კედელი იმისათვის კი არ გარშემოუზღუდავს, ჭერი და სიბორო რომ ჰქონდეს, არამედ ხალხის თვალს რომ დაუმალოს ოდინდელი, ბნელით მოცული ახალგზარდული და მოჩვენებითი გზაჯვარედინები სიამაყის, იმედის და პატივმოყვარეობისა (ჰოი, სიყვარულისაც ასევე). „ჯუღით, — ვთქვი მე, — ჯუღით-მეთქი!“

პასუხი არ გაუცია. არც ველოდი ამას; იქნებ უკვე მაშინაც არ ველოდი ჯუღითის პასუხს იმ ბალდისამებრ, ვინც სანამ თავისი შიშის ზარის მიზეზს მიხვდებოდეს, მშობლებს მოუხმობს, თუმცა კი ნამდვილად იცის (სანამ ეს შიშის ზარი სრულიად წაართმევდეს განსჯის უნარს), რომ ისინი აქ არ არიან და ვერ გაიგონებენ მის ძახილს. ვილაცას, რაღაცას კი არ ვუყჩიროდი მე, არამედ (ამ ყვირილის მეშვეობით) უნდა მოვრეოდი, უნდა გამერღვია ის რაღაც, ის ძალა, სალი კლდის მსგავსი მოწინააღმდეგის დაუოკებელი მძვინვარების ის ზღუდე, რომელსაც მე შევეჩერებინე, იმ ნაცნობ, ყავისფერსაანთან არსებას, ვინც ტანით (იატაკზე ყავისფერი შიშველი ფეხები ჩანდა, ღმის უკან კი მიიხვეოდა, მაღლა მიიწევდა საფეხურები კიბისა) არც იყო ჩემზე ღიდი, გარინდებული იდგა, ფეხმოუცვლელად, არ იძროდა (თვალი არ მოუცილებია ჩემთვის ამ გოგოს, მაგრამ კი არ მიცქერდა, მბურღავდა მზერით, როგორც ჩანს, იმას ფიქრობდა, თუ როგორ დაირღვევა ჩემი შემოჭრით სიმშვიდე ქარის სწორკუთხედისა). გეგონებოდათ, გაწეულიყო ზევითკენ რაღაცით — სულით კი არა, არცა გულ-ისხმით, არამედ იმით მიიწეოდა, რაც გამოწველილვითა და უდიდესი დაკვირ-



ვებით ითვისებდა რაღაც ჩემთვის მიუწვდომელსა და მიუღწეველ თვალთუჩონარ საიდუმლოს, მემკვიდრეობით რომ გადმოჰყოლია უფრო უძველეს და უწმინდეს რასას, ვიდრე ჩემია, ხოდა, სწორედ ამან შვა ჩვენს შორის დარჩენილ სიცარიელეში ის, რის ნახვასაც მე მოველოდი (რაც უნდა მენახა კიდევაც — თორემ ექვი ამიტანდა, ნამდვილად თუ ვსუნთქავდი და ვარსებობდი მქვეყნად) — კარგა ხნის გამოკეტილი, აბლაბუდებიანი საძილე ოთახი, მშვენიერი ლოგინი (საქორწილო სარეცელი სიყვარულისა და ჭმუნვისა ცვილისფერი და სიწმინდიანი გვამითურთ, მიცვალებულს ეცვა დაკრებული და გახუნებული ნაცრისფერი სამოსი, დაესვენებინათ მუქწითელ ლაქებიან შიშველ ლეიბზე, იქვე იყო მუხლმოყრილი ჯვარდაუწერელი ქვრივი; და მე (ანუ ტანი ჩემი) ჯერ კიდევ არ შევჩერებულვარ (ამისათვის საჭირო იყო ხელის შეშველება, ხლება), მე, სულელს, ჯერ კიდევ მჯეროდა, მოსახდენი უნდა მოხდეს-მეთქი, სხვანაირად შეუძლებელია, რადგან მაშინ უნდა ექვი შემპარვოდა, ჩემს ჭკუაზე თუ ვიყავი, სული თუ მედგა; ხოდა, მივირბინე, მივიტერ, ვეცი იმ შეუვალ, ყავისფერ, სახეს, ცივს დაუნდობელსა და უგუნურს (არა, უგუნურს არა, ყველანაირს, მაგრამ უგუნურს არა-მეთქი, რადგან იმ შავსა და დამყოლ სისხლს, განაყოფიერებულს იმ კაცის მიერ, იმისგანვე გადმოჰყოლია ყოვლისშემძლენება და კიდევაც განუზავებია ძირი მისი ბოროტებისა), იმის ასლსა და კვალს, ვინც შვა იგი და უბრძანა, შენ უხელმძღვანელო აქაურობას ჩემი არყოფნის უამს; გინახავთ თქვენ, დამფრთხალი დამეული ფრინველი რომ მიაწყდება ფრთების ფართხუნით საბედისწერო რკინის ფარანს, სწორედ ასეთი ვიყავი მე მაშინ. „დაიცადეთ“, — მითხრა იმ გოგომ, — „მაღლა ნუ ახვალთ“. მაგრამ რაღას შევჩერდებოდი, თუ ხელით არ გამაჩერებდა ვინმე; ხოდა, მაინც გავრბოდი, კიდევ უნდა გამეგლო ის მცირეოდენი მანძილი, ჩვენ შორის რომ იყო და ჯერ კიდევ გვეოფნიდა ერთმანეთის სამზერად, ორი სახე კი არა, ორი საწინააღმდეგო რაღაც შეყრილიყო პირისპირ, სწორედ ასეთი ვიყავით ჩვენ, ჩვენთაგან არც ერთს არ ამოუღია ხმა, თითქოსდა საუბარი ჩვენი ხდებოდა სადღაც, მიღმა მეტყველებისა და სმენისა. „რაო?“ — მე მივუგე.

„მაღლა ნუ ახვალთ, როუზა“, სწორედ ასე წარმოთქვა მან, წყნარად, ჩუმად, და მე ისევ მეგონა, თითქოსდა ეს გოგო კი არ მეუბნებოდა ამას, არამედ თავად ამ სახლმა ამოთქვა ეს სიტყვები — ამ სახლმა-მეთქი, იმ კაცმა რომ ააგო და თავადვე რომ ამოეზარდა რაღაც ჩირქოვანი მუწუკივით, სწორედ ასევე მისი ფულს შეექმნა რაღაც (თუნდაც უჩინარი) ჭუპრის მსგავსი ან მეორე გარსი, რომელშიაც ელენა მოუბდა ცხოვრება და სიკვდილი, ვითარცა უცხოთ, და რომელიც ჰენრისა და ჯუდითისათვის გახდებოდა სამსხვერპლო და საპატიმრო ან დამღუპველი სულაც, სახელი, სიტყვა, როუზაო, რომ მომმართა, აქ არაფერ შეუაში არ იყო. ბაღლობაში სწორედ ასე მეძახდა; ისიც ვიცოდი, ახლაც ჯუდიტისა (და ჰენრისაც, თუ რამეს თქმა უნდოდა ამ ბიჭისთვის) სახელითა უხმობდა ხოლმე. და, რაღა თქმა უნდა, იმას შეეძლო როუზა დაეძახა ჩემთვის, ყველა ჩემი მოყვრისათვის მე ხომ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. მთავარი ეს არ იყო. იმას არც არაფერი მნიშვნელობა არ მიენიჭებინა ამისათვის; მართლაცდა მაშინ, პირისპირ რომ შევეჩებე მას (ერთი წამით, სანამ ჩემი სხეული ჩაუჭრობებდა და კიბეს მიატანდა), თავაზიანად და პატივისცემით დამხვდა და კიდევაც აჯობა ამ მხრივ ჩემს მოყვრებს; და იმ წუთას, როდესაც მე კარებში შემოვედი, მივხვდი, ჩემს მოყვარეთაგან განსხვავებით მე იმ გოგონის უკვე აღარ ვიყავი ბაღლი. „როუზაო?“ — დავუყვირე მე, — „შენ მე ასე



დამიძახე?!“ მაშინ იყო ხელი მომკიდა და მაშინ იყო შევჩერდი, გავხევედი. იქ-  
ნებ მაშინაც არ შეჩერებულა ჩემი სხეული. — ასე მეგონა, მოეახლა, მოსწ-  
ვდა მას ბრმა და თანაც შეუწონარი ჩლუნგი ძალამოსილობა ნებისა (იმ გოგოსი  
არ იყოს ეს, არა; ის მხოლოდ იარაღი გახლდათ, ახლაც გეუბნებით <sup>ამას</sup>  
რომელიც მე კიბესთან არ მიშვებდა: ან იქნებ მე სულ სხვა ხმა და ძალი  
გავიგონე, ზედა ბაქნიდან ჩვენ ერთადერთი სიტყვა ჩამოგვესმა და <sup>შეჩერდნენ</sup>  
ვად მე (ანუ ჩემი სხეული შეჩერდებოდა), დაგვაშორიშორა, ცალ-<sup>ცალკე</sup>  
ტოვა მან. თუმცა არ ვიცი, მე მხოლოდ ის ვიცი, მთელი ჩემი არსება ბრმად გაიჭ-  
რა წინ და თავდაღუნული დაეტაცა რაღაც უძრავსა და შესაზარს, და მაშინვე,  
იმწუთსავე გაოცებისაგან და შეურაცხყოფისაგან კინალამ ჰკეა არ დავკარგე  
ხოლო მიზეზი ამისა ის კი არ იყო, რომ იმისი შავი ხელი უშიშრად შეეხო ჩე-  
მსას, თეთრი ქალისას, ხორცი ხორცს რომ შეეხება, მაშინ ერთი  
დაკვრით შეიმუხრება აგრე მზაკვრულად შექმნილ-გადაწნული გორგალი ეთი-  
კეტის და ჩვეულებებისა; კარგად იციან ეს ამბავი მტრებმაც და საყვარლებმაც,  
რადგან შეხების შემდგომ გარდაისახებიან ისინი მტრებად და საყვარლებად  
— შეხების შემდგომ-მეთქი იმ ცხრაკლიტულისა, სადაც ჩვენი მე-ს ძირის-  
ძირი არის დაგმანული და არა სული; ჩვენი გონება ხომ ხარბია და უსივრცე-  
ლო, მზადაა ყოველს გაუწვეს ამ ჩვენი მიწიერი სამყოფლის სადმე კუთხე-კუ-  
ნჭულში. მაგრამ ხორცი ხორცს რომ შეეხება, თქვენ დაინახავთ, რა უმაღ წა-  
რიხოცება და უილური შეიქნება რწმენაც კასტისა და კანის ფერის შესახებ.  
დიახ, გავჩერდი-მეთქი — ქალის ხელმა, ზანგის ხელმა კი არ გამაჩერა, არამედ  
იმის უჩინარმა ხელმა, ვისაც ლაგამი ამოედო და მოეთოკა ეს გამძვინვარებ-  
ული და დაუოკებელი ნება — იმ გოგოს კი არ დავუყვირე, არამედ მას ამ  
ზანგის, ამ ქალის მეშვეობით ვეხმიანებოდი. და ჯერ კიდევ შეურაცხყოფის  
გრანობად არ გარდასახულიყო ეს ჩემი გახევება, მაგრამ სულ მალე თავზარდა-  
მცემი გახდებოდა. ზოდა, არც დამიკდია და არც მიმიღია პასუხი, ჩვენ ორი-  
ვემ ვიცოდით, ამ გოგოს კი არ ვეუბნებოდი ამ სიტყვებს, ხელი იქით, ზანგო-მე-  
თქი!

სიტყვა არ დაუძრავს. ჩვენ ვიდექით იქ — მე თითქოსდა სირბილისას გაშე-  
შებული, ის გოგოც მძვინვარედ გახევებული და კიდევაც შევერთებულვართ  
ორნი იმ ხელის მეშვეობით, რომელიც შემოგვხვეოდა ჭიპლარის მსგავსად,  
და ასე იფიქრებდით, ამ გოგოს მშობელ ბნელ-უკუენეთში გადაშვებული ტყუ-  
პი დები არიანო ესენი. ჩემს ბაღლობაში ბევრჯერ მინახავს ამ გოგოსა და ჯუ-  
დითის ღლაბუცი, და ჰენრისიც იმათთან ერთად (იქნებ ყველა ბავშვს  
სჭირს ეს, მე არ ვიცი), თამაში დაერქმიათ ამისთვის, და (ასე მაქვს გაგონილი)  
ეს გოგო და ჯუდითი ერთ ოთახში იძინებდნენ თურმე, ოღონდ ჯუდითი ლოგ-  
ინში წვებოდა, იმას კი თავისი ლეიბი ჰქონდა დაგებული იატაკზე, ალბათ მო-  
საჩვენებლად. ზოდა, ისიც მაქვს გაგონილი, რომ ელენს ერთგზის როდი უნა-  
ხავს ისინი იმ ლეიბზე დაგორებულები, ერთხელ კი სულაც ლოგინში ჩაწო-  
ლილებს დაადგა თავზე. მე ეს არ მომივიდოდა. ბავშვიც კი ვერიდებოდი იმის  
და ჯუდითის სათამაშოებს, თითქოსდა ჩემმა აგრე გაუკუღმართებულმა სპარტა-  
ნულმა მარტოობამ — ასე ვუწოდებ მე იმ ჩემს ბავშვობის ხანას — რომელ-  
მაც ისე დამაჯერებელი გამხადა (და მეტი არც რა), ვიდრე რამეს მეტყოდნენ,  
მანამ ვიცოდი და მესმოდა ყველაფერი, ზოდა, ამიტომ არა მარტო ქვეშეცნეუ-  
ლი შიში მქონდა მე იმ გოგოსი, იმის ხელში ნამყოფ სათამაშოებსაც გავუბო-  
დი. და ახლა ჩვენ აქ ვიყავით. და უცებ მივხვდი, შეურაცხყოფამ, შიშის ზარ-



მა კი არ ამყავირა ჩემდა უნებლიეთ. ჩემს არსებაში ჩაბუდებულმა სასოწარკვეთილების გრანობამ იფეთქა ძალუმად. მახსოვს, როგორ ვიდექით ჩვენ შეერთებულნი იმ უღონო (დიახ, ეს ხელიც ისეთივე მსხვერპლი იყო, როგორც თავად ის ვოგო და მე) ხელით, ხოდა, მე დავიყვირე — იქნებ სულაც უსიტყვოდ. უხმოდ (და ჭუდიტს კი არ მივმართავდი, გესმით, რადგან მე უკვე ვიცოდი, იმ წუთას სახლში რომ შევიჭერი და დავინახე ის სახე-სახელები ერთდროულად სატბენისაზე უფრო მცირეც იყო და დიდიც, უფრო მსხვერპლი, რაც არ შემეძლო, არც მსურდა და არც უნდა დამეჩერებინა): მე დავიყვირე, შენც ასევე, დაო, დაო-მეთქი? რაღას ველოდი? მე, თავდაჯერებული სულელი ადამიანი, რომელმაც თორმეტი მილი გამოიარა, ნეტა რას ველოდი? იმას ხომ არ ვიფიქრებდი, ჰენრი შემოვა აქ რომელიღაც კარით, მის შეხებას რომ იცნობდა ისიც და სახელურიც, ასევე მისი წონის მცნობელ ზღურბლზეც გადმოაბიჯებს და შემოსასვლელში ნახავს პატარა, უბრალო, შიშით მოცულ არსებას, ვისაც კაციცა და ქალიც ორჯერაც არ შეხედავს და კინც თავად ამ ბიჭს ოთხი წელიწადია არ ჰყავს ნანახი, იქამდეც იშვიათად ნახულობდა, მაგრამ ცნობით კი იმ წუთას იცნობს, რაკი იმას ეცვა დედამისის ნაქონი ყავისფერი აბრეშუმის კაბა, და თანაც ეს არსება აქ დგას და სახელით ეძახის მას. ანდა იქნებ ჰენრი შემოიჭრება აქ და იტყვის, ჰოი, ეს ხომ როუზაა, დეიდა როუზა, გაიღვიძე, დეიდა როუზა, გაიღვიძე? — და მე კი, მძინარე, ჯერ კიდევ სიზმარს ჩაჭიდებული, ვითარცა მომაცვდავი ჩაეჭიდება უთანასწოელ გაუაძლის წამერ ტკივილს, რათა მერე, ამ წამის შემდეგ, უფრო სრულად დატყბეს ენით უთქმელი შევების შეიგრძნობ, და გამეღვიძება მოხვედრილს იმ რეალობაში, რომელიც არც შეუცვლელია და არც ძველი დროინდელია, სულ ახალია, ახლანდელი, ჩემი სიზმრის ხანისაა და ისე შერთვია ამ სიზმარსა და იმის მნახველს, რომ სულაც განქარდება ცად ამალლებული — „დედა და ჭუდიტი ბაღებს უვლიან, ბაღში დასეირნობენ მამა და ჩარლზი. გაიღვიძე, დეიდა როუზა, გაიღვიძე? ან იქნებ მე არც არაფერს მოველი, არცა მაქვს რამე იმედი, სიზმარსაც არ ვნახულობ, რადგან სიზმრები წყვილ-წყვილად არ მოდიან, და ეს თორმეტი მილი მე იმ მოკვდავი ჯორით კი არ გამომივლია, — დამისეული ბურანის კიმერულ ჩოკინას მოვუყვანივარ თურმე (ჰოი, გაიღვიძე, როუზა, გაიღვიძე — ნამყოს ხვანჩები კი არა, ის მოიცვილე, რაც არ იყო და არც იქნება არასდროს; გაიღვიძე, როუზა, და იხილე — ის კი არა, რაც უნდა იყოს და რაც შეიძლება ყოფილიყო, არამედ ის, რაც არც შეიძლება იყოს და არც იქნება; გაიღვიძე, როუზა, დააგდე იმედი, შენ ხომ გჯეროდა, რომ არსებობს მწუხარება, მოჩვენებითი მაინც, თუნდაც ნამდვილი არც იყოს; ისიც გჯეროდა, სიყვარულს, ბედნიერებას, მშვიდობას თუ არ სჭირდება შენი შველა. მთლად უსასოო ქვრივს ხომ უნდა რაღაც დახმარება, ხოდა, ბოლოს ნახავ, რომ არც არავის უნდა შენი შველა; იმედი გქონდა გადაარჩენდი ამ ვოგოს, აკი დაპირდი კიდევაც ელენს (არც ჩარლზ ბონს, არც ჰენრის არ სჭირდებოდა იმ კაცისაგან ან თუნდაც ერთმანეთისაგან დაცვა), მაგრამ გვიანდა არის, გვიანდა არის შენთვის, თუნდაც რომ დედის საშოდანვე იქ ყოფილიყავი ან თუნდაც რომ გაფურჩქნილი, სიცოცხლით სავსე ყოფილიყავი იმ ვოგოს დაბადების ხანს; თორმეტი მილი და ცხრაშეტი წელიწადი გამოიარე, უნდა მიშველებოდი იმას, ვისაც არ სჭირდებოდა მიშველება და საბოლოოდ თავიც დაკარგე ამის მაგივრად. მე არა ვიცი რა, ვიცი მხოლოდ, რომ მე ის იქ ვერ ვპოვე, ისღა ვპოვე, რომ, როგორც სიზმარში არ მოძრაობ, ისე გაურბიხარ შიშის ზარს, რომლის არ გჯერა, სამ-



შვიდობოს გინდა გახვიდე, თუმცა იმის ნდობა არა გაქვს; სიზმარეული ხვანჭების ქვიშოვანში დანმთქმის ბრალი არ იყო, ასეთ ყოფაში რომ ვიყავი, არამედ საკუთარი სულის მაწამებელ სახეს ვხედავდი, საკუთარი ჯვარცმის მონაწილის ხელებს ვხედავდი, ვიდრე იმავე ხმამ არ გაგვითმა ჩვენ და არ წარგვტაცა ძალი მოჩადოები. მხოლოდ ერთი სიტყვა ამოთქვა მან: „კლიტი“. სწორედ ამ სიტყვად ჩუმად. თითქოსდა ჯუღითს კი არა, თავად სახლს წარმოუთქვა. ბმა იყო. პოი, კარგად ვიცოდი მე, ვისაც იმ მოჩვენებითი მწუხარებისა მჯეროდა; კარგად ვიცოდი, იმ გოგოსავით, კლიტისავით კარგად ვიცოდი მე. არც კი შეტოკებულა ეს გოგო; მხოლოდ ხელი აღარსად ჩანდა, არ ვიცი, თავად მომაცილა თუ მე დავუსხლტი მას. ერთი სიტყვით, აღარსად იყო ხელი; თქვენ იმასაც ვერ გაამბობენ, თუ როგორ გავიქეცი, კიბე ავირბინე და მგლოვიარე დაქვრივებული პატარძალი კი არა, ჯუღითი ვნახე დაკეტილი კარის წინ მდგომი, ტანთ ეცვა სწორედ ის ბამბის ქსოვილის კაბა, სულმუდამ რომ იცვამდა ელენის სიკვდილის შემდეგ, დაშვებულ ხელში რაღაც დაეკავებინა; და თუკი ჰქონდა გულში რამე ვარამი თუ სატკივარი, სადღაც შორს გადაეგდო — ოღონდ მთლად თუ არა მთლად, ეს მე არ ვიცი — იმ თავის დაუმთავრებელ საქორწინო სამოსელთან ერთად. „შენა, როუზა?“ — თქვა მან იმავე ხმით, და მე ისევ შევჩერდი ამ შუა სირბილში, თუმცა კი ჩემი სხეული, ეს ბრმა, უგრძნობელი და მოტყუებული სამყოფელი სისხლისა და ხორცის, წინ მიიწევდა მაინც; თქვენთვის არ უთქვამთ, თუ როგორ ვნახე ის საგანი, ხელში რომ ეკავა უღონოდ და უილაჯოდ, მედალიონი იყო ეს მისი საკუთარი ფოტოსურათითურთ, ბონისათვის მიეძღვნა, და ახლა მისი კაბის კალთის ნაკეცში ჩაკარგულიყო, არც კი ახსოვდა მისი არსებობა მსგავსად სადღაც მიგდებული გასართობი წიგნისა. ხოდა, აი, რა ვნახე. იქნებ კიდევაც მოველოდი მე ამას და ვიცოდი (ცხრამეტი წლისამაც კი ვიცოდი-მეთქი, ვიტყოდი მე, მაგრამ ეს ცხრამეტი წელიწადი, ჩემი ეს ცხრამეტწლიანი განსაკუთრებული ხანა რა სახსენებელია) კიდევაც, რასაც ვიპოვიდი. ამაზე მეტი ან ნაკლები რაღა უნდა მომსურებოდა, მე ხომ ცხრამეტი წლისამაც უკვე ვიცოდი, სიცოცხლე ერთი წარუვალი და გაუთავებელი წამია, როდესაც მომავლის წინაშე ნაქარგი ფარდა ჩამოშვებულა და მშვიდად, სიზარულითაც კი მოელის ხელის უდიერ წაქარებას, ოღონდ კაცადოთ, გვეყოს გაბედულება (ჭკუა არა, ჭკუა აქ რა შუაშია) მის ჩამოსახევად. ან იქნებ არაფერ შუაშია შიში, რომელიც არ გვანებებს ჩავწვდეთ სულის დამატყვევებელი პირველსაწყისის უილაჯობის ხვანჭებს და ჩვენი სული სიმყრალის წიაღ ლამობს გასწყვიტოს ეს წვრილ-წვრილი არტერიები და ვენები და ზე აიჭრას, მიეახლოს მზეს და დაატყვევოს კიდევაც ის ნაპერწკალი, ის ოცნება, რომელიც, ვითარცა მეყსეულად წარმოქმნილი ბუშტი, ირეკლავს და იმეორებს (იმეორებსო? არა, ჰქმნის, ნაირფეროვან, წარმავალ და სათუთ სფეროდ გარდაისახება) მთელ სივრცესა და დროს, დედამიწასაც, გაურკვეველ და აღუფხულ დამპალ ნარჩენებს მისას, და მთელი ეს წლები არ უგემნია სიკვდილის შვება, მხოლოდ განახლების ფერხულშია ჩაბმული ნიადაგ. ხოდა, ის ოცნება კვდება, მიდის, ქრება და აღარაფერია საბოლოოდ... მაგრამ არის კი ჭეშმარიტი სიბრძნე, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია ჩავხვდეთ მოსაზრების შეუძლებლობას, რაც უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე თავად ჭეშმარიტება, რის შესახებაც სიზმარეთიდან გამოლწეული, გამოღვიძებული იტყვის, ნუთუ ეს მხოლოდ სიზმარი იყო? და ასე გვამცნობს ზეცისა მაწყევარი: „რატომ გამოვიღვიძე, თუ კვლავ დაძინება აღარ მიწერია აღარასდროს?“



ერთხელ იყო და... გლიციანის სურნელებსა თუ გრძნობათ. მის სურნელებს რომ გაუგრავს ამ კედლებზე და მოედინება. გაუმსჭვალავს მის სურნელებს ეს ოთახი. თითქოსდა (სინათლე ვერაფერს გამბდარა) იდუმალი და ნეუმჩნეველი მოძრაობით ნელინელ შემოუფრქვევია მირიადი მოჭმული სწორედ ეს აოის არსი ყოველი მოგონებისა — გრძნობა, თვალი, ყნოსვა, კუნთები, რომელთა მეშვეობით ვხედავთ, გვესმის. შევიგრძნობთ ფიქრი აღარ გვჭირდება; არც არის ის, რასაც ეძახიან მეხაიერებას, მეშვეობით თუ მიაგნებს რამეს თავის ტვინი, არც მეტი და არც ნაკლები; და შედეგი ჩვეულებრივ მცდარი და უსწოროა და ამას შეიძლება სიზმარი დავარქვათ მხოლოდ... გინახავთ, თუ უკან როგორ გაიწვეს მძინარის ხელი ლოგინთან მდგარი სანთლის შებებისას, ტკივილს იგრძნობს და იმიტომ, ხოლო მის გონება და ტვინი ძილს განაგრძობს, მის ალს კი ალიქვამს, როგორც რაღაც უხერხულაპარს, რეალობას მოკლებულს, ანდა როდესაც იგივე მძინარია ხელი რაღაც ნაზ ზედაპირს შეეხება, მძინარისავე თავის ტვინისა და გონების საშუალებით კარდაისახება გამონაგონად, რომელსაც არც შეიძლება ეპარძრკვლებოდეს რაიმე ცხოვრებისეული გამოცდილება. პოი, ტანჯვა წარმავალია, ფერმკრთალდება ხოლმე, ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ ჰკითხე თვალს. ცრემლები თუ დაგვიწყიაო... ერთხელ იყო და (ამის შესახებ თქვენ არავინ არაფერს არ გეტყვოდათ) მთლად აყვავებულიყო გლიცინია. ყოველივე იმის სურნელებას დაენთქა (მე მაშინ თოთხმეტისა ვიყავი). თითქოსდა ყოველი გაზაფხული ქვეყნის დასაბამიდან ერთ გაზაფხულად, ერთ ზაფხულად გარდაქმნილიყო და ამ გაზაფხულისა და ზაფხულის ხანა ყოველი ქალის საკუთრება გამდარაყო. ვისაც კი როდისმე უცხოვრია ამ ხრწნადი მიწის ზემოთ. ხოდა, ისევ ამწვანდა, აყვავილდა ყველაფერი. რათა უკანვე გამოეხმო წარუვალ საუკუნეთა წიაღ დანთქმული იმედის გამაცრუებელი ყოველი გაზაფხული. კარგი წელიწადი დაუდგა გლიცინიას, მართლაცდა კარგი წელიწადი იყო. ფესვებმა იმძლავრეს და მშვენიერი ნაყოფი გამოიღეს, რაკილა ამინდებს აღარ დაუგვიანია: მაგრამ მე (მაშინ თოთხმეტისა ვიყავი) არც არაფერს ვიტყვი გაფურჩქვნაზე. ჩემთვის არც ერთ მამაკაცს მეორედ არ შემოუხედავს; მე ბავშვიც არა ვარ, ბავშვზე უფრო ნაკლები ვარ; არც ქალი ვარ, სულ ცოტა მცხია ქალის ფერისა და ხორცის. ფოთოლზეც არაფერს გეტყვით, მე დამჭკნარი, საწყალობლად ჩამოყვითლებული, სანახევროდლა გაშლილი და შეშინებული ფოთოლი ვარ. რომელსაც არ ძალუძს მაისის ჭრელი პეპელა, ბავშვობის დროინდელი სასიყვარულო თამაშ-გართობის თანამგზავრი მიიტყუოს ან სული მოათქმევინოს და ვნება დაუცხროს კრაზანებსა და ფუტკრებს. მაგრამ ფესვსა და იმის ნაყოფზე უთუოდ უნდა მოგახსენოთ, განა მე მემკვიდრე არა ვარ დების გარეშე შთენილი ევასი მისი მაცდუნებელი გველის ხანიდანვე? დიახ, ვიფურჩქნებოდე მე, საცოდავი კოკორი ბრმად გადაგდებული თესლისა, რადგან ვინ იტყვის, ის მოღრეცილი, გადავიწყებული ფესვი მშვენიერს, უმშვენიერეს, უსრულქმნილეს ნაყოფს არ გამოიღებს მხოლოდ იმიტომ, რომ უპატრონოდ მიტოვებული ის დაკორძებული ფესვი კი არ გამხმარა, ბედის ანაბარად ეგდო და ეძინა მხოლოდ?

იმ ჩემი უშინაარსო სიყმაწვილის ზაფხულს (სულ მცირეოდენ. მოკლე და განუმეორებელ ხანას ქალის გულის გაზაფხულისას) ქალი და გოგო კი არა, მამარი უფრო ვიყავი, სწორედ ასეთი უნდა გავჩენილიყავი ამქვეყნად. მაშინ თოთხმეტისა ვიყავი, თოთხმეტისა ვიყავი-მეთქი წლების მიხედვით, თუკი შეიძლება



წლები დაერქვას იმ დროს, როდესაც ფეხიც კი არ შემოდგამს იმ ტალანში, ბავშვობას რომ ეძახიან, რაც არც იყო სიცოცხლე, არამედ რაღაც ჩანასახობრივი, უსინათლო არსებობა დედის საშოში; ჯერ კიდევ გაჩენამდე, სრულთვდას/და დაგვიანებულ ნაყოფს საკეისრო თუ უწყალო დროის ცივი და ჩლუნგი მარწმუნები მჭირდებოდა, იმას უნდა მოენიჭებინა თავიუფლება ჩემთვის, და მე, სინათლის კი არა, იმ ხვედრის მომლოდინე ვიყავი, რისთვისაც ქალის მკვლელობა შეურქმევიათ, თუმცა კი იგი მოთმინებაა და მოთმინება, შეულამაზებელი, ან მოკლებული, ჯილდოს იმედის უქონელი — კვლავაც და კვლავაც მოთმინება: მიწისქვეშა მდინარის ბრმა თევზს ვიყავი დამსგავსებული. ეუღლ ნაპერწკალს, რომლის გაელვება კარგა ხანია აღარც კი ახსოვს ამ თევზს, მოსვენება არ უწყობია ამ მორიალე ნაპერწკალს, ბუნდი და საღათას ძილით მოცულ სამყოფლის კედლებს ებღემა ღღენიანად, და სიტყვა არა მსმენია, გარდა იმისა — „სინათლე ჰქვია ამას, ამას კი სუნი, ამას შეხება“, ხოლო რომელიღაც სხვა შთამომავალთ სახელსაც კი არა, ბგერასაც არ გადასცემს, რომ სახელი თქვას ფუტკრის ან ჩიტის, ან ყვავილის სურნელების, ან სინათლის, ან მზის, ან სიყვარულის — დიახ, ჩემი ზრდა და განვითარება რა სახსენებელია, ნათელი მე არ მიუვარდა და არც მას ვუყვარდი მე, ამ ცბიერსა და ყოვლის მომნელებელ მარტოობაში მთლად დანთქმული, რომლის დროსაც გაუკუღმართებული სმენა ეველა სხვა გრძნობის შემცველი ხდება, მე, იმის მაგივრად, რომ თანაზოიერად, სულდათქმულად გამესრულებინა ჩემი ბავშვობა, იძულებული ვიყავი, რაკი არავინ მამჩნევდა, შევმალულიყავი სადღაც კუთხე-კუნჭულში, დედის საშოსავით ნესტიანსა და ზაფერდისეულ მდუმარებაში, ჰაერის შეურხევლად, ჩქამის გაუღებლად ერთი დაკეტილი აკრიალული კარიდან მეორესკენ მივპარულიყავი და ასე გამეცნო სინათლე და სივრცე, სადაც მოძრაობენ და სუნთქავენ ადამიანები, როგორც (იმავე ბაღს) შემეძლო წარმოდგენა შემეკმნა მზეზე გამურული შუშის ნატეხიდან გახედვით — მე ხომ თოთხმეტისა, ჯუდიოთზე ოთხი წლით უმცროსი ვიყავი და ჯუდიოთზე ოთხი წლით გვიან განვიცადე ის წამი, მხოლოდ ქალწულთა ხვედრი რომაა, ანუ დაუსრულებული სულიერი ქორწინება ორი უსახელო, უსქესო და უბიწო არსებისა და არა ყოველდამე ხორცის მიმძლავრება ქანცგამოღულ ქალზე — რაღაც ჯილდო ოც, ოცდაათ და ორმოც წელს მიტანებულისათვის, არამედ მაცოცხლებელი შერწყმა, შეერთება იმ სამყაროში, აღესილი რომ არის სინათლითა და პაერით, რომლითაც ის გოგო სუნთქავდა. მაგრამ ეს ზაფხულიც არ ყოფილა ქალწულის მღელვარებისა და გაცულებული იმედის ხანა; ჩემს, ანუ მკვდრადშობილის, ან თუნდაც ჩანასახის ცოცხალთა სიიდან ამოსაგდებად არც მაშინ გაუკეთებიათ საკეისრო; ანდა: არც მამრის შექმნილ ნაყოფს შეხებიან, რათა მე, დიაცად, ქალად კი არა, მამაკაცად აღჭურვილ-შეიარაღებული მოვსულიყავი ამქვეყნად.

იმ პირველი შობის მერე იყო ის ზაფხული, როდესაც პენრიმ ბონი სახლში ჩამოიყვანა, ივნისის არდადეგების დამთავრებიდან ორი დღის შემდეგ დადგა ის ზაფხული და სატპენის ასეულში მან იქამდე დაჰყო, ვიდრე ცხენით მდინარისაკენ არ გასწია, საიდანაც გემით უნდა გამგზავრებულიყო შინ, ამ ზაფხულამდე რამდენიმე ხნით ადრე მამიდა გაქცეულიყო, მამა რაღაც საქმეზე იყო წასული და მე ელენთან გამგზავნეს (ტომას სატპენიც არ ბრძანდებოდა იმ ხანად იქ და მამაჩემს იქნებ ამიტომ არჩია ელენი), იმას უნდა ეზრუნა ჩემზე, იმაზე, ვინც ძალზე გვიან დაბადებულიყო; სწორედ იმ დროს



რალაც უცნაური მომხდარიყო მამის ცხოვრებაში და დაქვრივებულ (უკვე ორგზის) კაცს ხელში მე შევრჩი, ჩემი შესაძლებლობანი იმითღა შემოიფარგლებოდა, შემეძლო შევწვდენოდი სამზარულოს თაროს, დამეთვალა კოვზები, შემომეკეცა ზეწარი, რძე ამერწყო და კარაქის სადღვებელში ჩავესხა. მეტის გაკეთება მე არ ვიცოდი, მაგრამ იმდენად ვიყავი თურმე ძვირფასი, მართო ვერ დამტოვებდნენ. არც არასოდეს მინახავს მე ის ბიჭი (არც მინახავს მინახავს-მეთქი. მკვდარიც არ მინახავს არასოდეს. სახელიღა მქონდა — გოგონილი მისი და ფოტოსურათი მინახავს, იმის საფლავის გათხრაშიც გამოვიღე ხელი. ეს იყო და ეს), თუმცა ერთხელ კი ყოფილა ჩემას, იმ პირველი შობის დღეს, როდესაც პენრის დეიდამისი გახსენებია უნივერსიტეტში დაბრუნების ხანს და ჩემთან გამოველო ორიოდ სიტყვის სათქმელად, მაგრამ მაშინ მე შინ არ დავხვდი. მისი სახელიც კი არ გამეგონა იმ დღემდე, მისი არსებობაც კი არ ვიცოდი. და სწორედ იმ ზაფხულის ერთ დღეს, როცა მე იქ წავედი, თითქოსდა ჩემ კარწინ შემთხვევით შეჩერებულს ჩემს სოროში მარცვალი ჩამოეგდო, და სიყვარულისა არ იყო თესლი იგი (მე არც მიყვარდა ის, როგორღა უნდა შემყვარებოდა? მისი ხმაც კი არ გამიგონია არასოდეს, ელენის სიტყვითღა ვიცოდი მისი არსებობა) და არც გახდებოდა თვალთვალის მიზეზი. თქვენ, რალა თქმა უნდა, ასე დაარქმევთ ამას; ექვსი თვის მანძილზე იმ შობა დღიდან ივნისის თვემდე ქადაგად დაცემული ელენი ხოტბას ასხამდა იმ ყმაწვილკაცის აზრდილს, მის სახელს, თუმცა სახე მისი არ გამოჩენილიყო ჯერ კიდევ, რადგან მაშინ მე იმ კაცის ფოტოსურათიც არ მქონდა ნანახი, გოგოს იდუმალებითა და გაცეებით დაბინდულ მზერას რომ აერეკლა, რადგან სიყვარულისა მე არა ვუწყოდი რა, მშობლების სიყვარულიც არ მქონდა განცდილი — და მაინც ბავშვის იდუმალებით მოცულ სულზე ეს ნაზი, სათუთი და გაუთავებელი მიმძლავრება, ყვავილისამებრ გაფურჩქვნილი ჭიუტი „მე“ თავისისას ცდილობს, ასეთია უფლება და ჯილდო ყველა ძუძუმწოვრისა, ოღონდ ოჯახის დიასახლისი და საყვარელი მე არ შევქმნილვარ, სიყვარულზე თითქოს იმდენად ავმაღლდი, რომ ყოველნაირი სიყვარულის მეზაირახტრე, ყოვლისმცოდნე ქალბიჭა გავხდი.

და მაინც რალაც მარცვალი ჩაუგდია მას, თორემ იმ ბაქში არ იხარებდა ყვავილი ჯადოსნური ზღაპრიდან. უკან რომ დავსდევდი იმ გოგოს, კი არ ვუთვალთვალეზი, არ ვუთვალთვალეზი-მეთქი, თუმცა თქვენ შეგიძლიათ თქვათ. ასე იყო სწორედ და რომც მეთვალთვალა, მიზეზი ამისა ეჭვიანობა არ იქნებოდა, რადგან მე ის ყმაწვილკაცი არ მიყვარდა. (როგორღა შემეძლო, მე ხომ ის ერთხელაც არ მყავდა ნანახი) და რომც მყვარებოდა, ეს არ იქნებოდა ქალის სიყვარული, ჯუდიტს რომ უყვარდა, ისე, ანუ როგორც ჩვენ ვფიქრობდით ამ გოგოზე. თუ ეს სიყვარული (და კვლავაც ვკითხულობ მე, შეიძლებოდა კი ყოფილიყო?), უნდა ყოფილიყო დედისა, რომელიც თავის ბავშვს დასჯის და მიტყუავს მეზობლის ბიჭის გულისთვის, რად ცემე ან რად გცემო; ანდა დასაჩუქრებულ ბავშვს მოეფერება და მიზეზი ამის უფრო ის უცნობი კაცი ან ქალია, ვინც მის შვილს ხელში გაოფლილი პენი ჩაუდო. მაგრამ ქალს რომ უყვარს, ისე არა. მე იმ ყმაწვილკაცისათვის არაფერი არ მითხოვია, გესმით, და უფრო მეტიც, მე იმისთვის არაფერი არ მიმიცია, არსი სიყვარულისა ხომ ეს არის. მე არც კი ვგრძნობდი იმის არყოფნას: ანლაც არ ვიცი, ვხვდებოდი თუ არა იმას, რომ იმ ყმაწვილკაცის სახე არ მქონდა ნანახი, მხოლოდ იმ ფოტოსურათს, იმ ჩრდილს მოვეკარი თვალი გოგოს სა-



წოლ ოთახში, პატარა სარკიან არეულ-დარეულ მაგიდაზე მდგარ ჩვეულებრივ ჩაჩოიან პორტრეტს, მორთულს და გარშემოვლებულს (ანუ მე მეგონა ასე) ქალწულის ოცნების თეთრი ვარდებით, ვიდრე იმ ფოტოსურათს ვნახავდი, მე ხომ შემეძლო მეცნო, უფრო მეტიც, კიდევაც ამეწერა ის ნახე, მაგრამ ის არასდროს არ მინახავს. ნამდვილად ისიც კი არ ვიცი, ელენს თუ ზაქარია ნანახი, ჯუღითს თუ უყვარდა, პენრიმ თუ მოკლა იგი, ხოდა, ვერცხვამ ვერცხვამ, თუ ვიტყვი, იქნებ სულაც ჩემი შეთხზული, ჩემი გამოგონებული მსგავსება; რატომაც არა? — მე მხოლოდ ეს ვიცი, ღმერთი რომ ვიყო, ამ ორმოტრიალისაგან, რისთვისაც ჩვენ პროგრესი შეგვირქმევია, გამოვიგონებდი რაღაცას (იქნებ მანქანას), რომელიც მორთავდა ყველა უღამაზო გოგოს სარკე-საყურთხველს, შევქმნიდი რაღაცას, თუნდაც სულ მცირეს — ჩვენ ხომ სულ მცირედი გვჭირდება ხოლმე — ამ პორტრეტის მსგავსს. თავის ქალა რომ იყოს იმის მიღმა, არცაა საჭირო; თუნდაც მთლად უცნობისა იყოს, მჭრჭელი სიმბოლო იმისა, ვინც სავსეა სისხლითა და ხორციით და კიდევაც არის სურვილის საგანი, ნაყოფი ზმანებისა, არსება ბუნდი სამეფოსი. მალულად, ოთხად მოკეცილმა (სწორედ ეს ვისწავლე ბავშვობაში სიყვარულის ნაცვლად და ამან კარგი სამსახური გამიწია კიდევაც, სიყვარული რომ მესწავლა, ვერც ვერაფერს გავხდებოდი) მაშინ ვნახე ეს სურათი, როდესაც შუადღით იმ ცარიელ ოთახში შევიპარე. სიზმარეთში შევაბიჯე-მეთქი, ვერ ვიტყვი, მე ხომ ისედაც სიზმარეთში მიხდებოდა ყოფნა, უფრო გახსენება, კვლავ გამეორება მინდოდა როლისა იმ სცენის მოყვარულის მსგავსად, ვინც გაიფიქრებს, ვაითუ შემცდესო, და სადღაც კუთხე-კუთხულში შეიმალება, საიდანაც შეუძლია ყოველწუთს გაიგონოს სუფლიორის ხმა. და თუ ეს ეჭვიანობა იყო, კაცისა არ გახლდათ, არცა შეყვარებულისა; არც შეყვარებულისა-მეთქი, ვინც სიყვარულის გულისთვის უთვალთვალებს, უთვალთვალებს-მეთქი, რათა გაითავისოს ოცნებები მართოსული ქალიშვილისა, სწორედ ამ დროს შემოგვეცლება პირველად ის საბურველი, რისთვისაც ჩვენ სიქალწულე შეგვირქმევია; სიყვარულის ახსნას რომ თან ახლავს სულმუდამ, სირცხვილის გრძნობით მოცულები განზე არ გავხტებით, რადგან წამით თვალს მოგვტაცებს უკვე ვარდისკოკრებივით გაფურჩქნილი მთვლემარე მკერდი, რომლისთვისაც ჯერ სირცხვილისა და გამოფხიზლების ქამი არ დამდგარა. არა, ამის გულისთვის, თვალთვალის გულისთვის მე არ დავდიოდი ბალის ქვიშით მოფენილ და მოსწორებულ ბილიებზე ასეთი ფიქრებით მოცული: „მართალია, კი მოუსწორებიათ, მაგრამ იმისი ნაკვალევი მაინც უნდა იყოს აქ, იმ გოგოს ნაკვალევიც აქვია, ნელინელ ჩაუვლიათ ერთად თანაბარზომიერი ნაბიჯებით და ამ დროს არცა გული და არცა გონება არ არის დამჯერებელი (ჰოი, არც მორჩილი) ფეხებისა; მე ვფიქრობდი, იმ შეწყვილებული სულების რა ჩურჩულისთვის მიუგდია თავისი მირიადი ყური ამ ეულ ვაზსა და ბუჩქნარს-მეთქი? რა ფიცი და რა ცეცხლოვანი სიტყვები დანთქმულა გლიციანის ყვავილების შარავანდედსა და შემკნარი ვარდების ფოთლებში-მეთქი? მაგრამ ყოვლისა მჯობი მაინც ქეშმარიტი სიცოცხლეა და სისხლისა და ხორცის სიზმარეული ყოფა. ჰოი არა, მე არ ვუთვალთვალებდი-მეთქი. იმ დროს, როდესაც, ზმანებებით მოცული, ჩამალული ვიყავი ვაზისა თუ ბუჩქის ძირას და მჯეროდა, რომ ის გოგოც ისეთივე ზმანებებით იყო მოცული, მჯდომარე იქ, იმ მოშორებულ სკამზე, რომელსაც ჯერ კიდევ შეენარჩუნებინა უჩინარი ანაბეჭდი იმ ბიჭის თეძოსი, როგორც ამ ფხვიერ ქვიშას, მილიონ ყლორტს, ტოტსა და ფოთოლს.



ვარსკვლავოვან ცას, იმ ბიჭს დაბლა რომ ჩამოჰყურებდა, ყოვლის მომცველ ჰაერს, ყველაფერ ამას კიდევ ეტყობოდა ნაკვალევი მისი ფეხისა. მისი ჩრდილისა, მისი სახისა, მისი ხმისა, მისი სახელისა: ჩარლზ ბონი, ჩარლზ ბონი, ჩარლზ-საქმრო. არა, მე იმათ არ ვუთვალთვალებდი, არც ვემაღლებოდი, ბალღი რად უნდა დაემალოს ვინმეს, ის ბიჭი და ის გოგო ერთადაც რომ მსხდარიყვნენ, ბაღლის იქ ყოფნა იმათ ხელს არ შეუშლიდა, მაგრამ პატარა იმდენად დიდი იყო, შეეძლო იმ გოგოსთან მისულიყო და მისთვის (იქნებ სიამოვნებითაც და მადლობითაც) მისი ქალური აღსარება, ამბავი მისი სიყვარულისა... დიახ, იმდენად პატარა იყო, რომ შეეძლო მისულიყო იმ გოგოსთან და ეთქვა, შენთან დაძინება მინდაო. მაგრამ მაინც საკმაოდ მოზრდილი, რომ ეთქვა, ლოგინში ერთად დავწვეთ და მიაბზე, სიყვარული რა არისო. ოღონდ ამის მთქმელს ისიც უნდა ეთქვა ბოლოს: „ნუ მიაბზობ სიყვარულზე, ნება მომეცი მე გითხრა შენ ამის შესახებ, მე უკვე იმდენი ვიცი სიყვარულისა, რომ არა მგონია შენ როდისმე იმდენი გაიგო, არც დაგჭირდება ამისი ცოდნა“. შემდეგ მამაჩემი უკან დაბრუნდა, მომაკითხა და სახლში წამიყვანა, და მე ისევ გავხდი გაურკვეველი ჯურის არსება, ბავშვი აღარ ვიყავი, მაგრამ ვერც იმას იტყოდით, ქალიაო, შეუფერებელი მეცვა ტანისამოსი, მამიდას რომ დავეტოვებინა, შეუფერებელი სახლისათვის უნდა მომეგლო; მე არ ვუთვალთვალებდი, არც ვიმაღლებოდი-მეთქი, ოღონდ კი ველოდებოდი, თვალი მეჭირა, ჯილდო მე არ მჭირდებოდა, არცა მადლობა, მე ის ყმაწვილკაცი ისე არ მყვარებია, სიყვარული რომ დავარქვათ ამას, რადგან რაღაც იმედი თუ არ არის, აღარც სიყვარულია; ხოდა, ამ სიყვარულის (თუკი ეს სიყვარული იყო) რამე ბაღალი უხამსად დაწერილ წიგნებში არ მოიძებნება; ასეთი სიყვარული გაცემს მხოლოდ მას, რაც არასოდეს არ ჰქონია, იმ ორიოდ გროშს, გამცემისათვის მთელი ქონება რომ არის, ხოლო ამღებს, საგანს მისი სიყვარულისა, არც არაფერს შემატებს — და მაინც მე ეს მივაგე, ოღონდ არა იმ ბიჭს და არა გოგოს, თითქოსდა მე იმ გოგოს ასე ვეუბნებოდი: „შენი იყოს ისიც. შენ მას ვერ შეიყვარებ, როგორც საჭიროა, თუმცა ის არც კი იგრძნობს სიმძიმეს ამ საჩუქრისას, ასევე ამის არქონასაც ვერ გაიგებს, თუმცა იქნებ თქვენი შეუღლების ხანს ისეთი წუთიც კი დადგეს, რომ ის ყმაწვილკაცი აღმოაჩენს ამ პაწაწინა ნაწილაკს, ამ ატომს, სწორედ ასე შეგიძლია, იპოვო ნაცნობი ყვავილის ბუჩქზე დამტკნარი და უფერული ყლორტი. და თქვა კიდევაც ცოტა ხნის მერე, ეს საიდან გაჩნდაო აქ? და ასე უპასუხო თავს, „რა ვიცი“. მერე მე სახლში დავბრუნდი და ხუთი წელიწადი დავყავი აქ, მერე გასროლის ექო მომესმა, იმ სიზმარეული კიბის საფეხურები ავირბინე და ვნახე...

ვნახე ქალი ბამბის კაბაში მიკეტილი კარის წინ მდგომარე, რომელიც არ მიშვებდა შიგ, ქალი-მეთქი, რომელმაც თქვა, რა იყო, როუზაო? წყნარად შემაჩერა შუა სირბილისას, რომელიც (ახლა ვიცი უკვე) ხუთი წლის წინათ მქონდა დაწყებული მას შემდეგ, რაც იმ ბიჭმა ჩემი სახლი ნახა და ისევე, როგორც ელენთან, იქაც არ დატოვა რამე კვალი, ვითარცა ჩრდილს გამოეცვლო აქ, ოღონდ არა კაცისა, არა ცოცხალი არსებისა, არამედ რაღაც უჩვეულო საგნისა — სურისა ან სავარძლის, ან მაგიდისა, რომლის შეძენა მოსურვებოდა ელენს; თითქოსდა მისი ანაბეჭდი ყოფილიყო (ან არ ყოფილიყო) კოულდფილდების ან სატბენტა სახლების კედლებზე, ავ მომავალს რომ უწინასწარმეტყველებდათ... დიახ, იმ პირველი წლიდან გამოქცეული (ომის დაწყებამდე), როდესაც ელენი სულ მზითევზე მელაპარაკებოდა (ჩემს მზითევზე), დანებების ამ



ზღაპრულ საქურველზე. დანებებით კი მე უნდა დავნებებულყოფიყავი. თუმცა დასასვენებელი ცოტაღა მქონდა, არადა, ეს ჩემთვის ყველაფერი იყო, რადგან ხომ არის რაღაც, თუნადაც ერთადერთი სალი კლდე, რომელსაც უნდა ჩაებლაუტო და ასე გადაურჩე რეალობის გაუსაძლისი მორევს... იმ ოთახში წყლმაც გაიარა, და მე ვღიქრობ, ის გოგოც ჩემსავით ელოდებოდა, როცა ეს მყარი სამყარო, რომლისაც ჩვენ გვჭეროდა — ასე გვასწავლიდნენ <sup>მეც მასთან ერთად</sup> — დაინთქა ცეცხლსა და კვამლში, დაბოლოს განქარდა მშვიდობა და მშვიდი სუფევა, სიამაყე და იმედი და დარჩნენ მხოლოდ ღირსებასა და სიყვარულის დასაბიჯრებულები, ვეტერანები. დიახ, კი უნდა იყოს, კი უნდა იყოს-მეთქი სიყვარული და ერთგულება — სწორედ ეს დაგვიტოვეს ჩვენ მამებმა, ქმრებმა, სატრფოებმა, ძმებმა, რომლებმაც მეწინავე დროშისამებრ გამოატარეს სიამაყე, მშვიდობის იმედი და ღირსება; კი უნდა ყოფილიყო ასე, თუ არა და რისთვისღა იბრძვიან მამაკაცები? თუ არა და რისთვისღა იხოცებიან? დიახ, ისინი ცარიელი ღირსებისათვის. კი არა, არც სიამაყისთვის, მშვიდობისთვისაც კი არ უნდა დაიხოცნონ. ზვარაკად უნდა შეეწირონ სიყვარულსა და ერთგულებას, რაც დაგვიტოვეს კიდევაც წასვლის ხანს. ამიტომ უნდა მომკვდარიყო ის ბიჭი, ვით სიამაყე და ვით მშვიდობა, მე ეს ვიცო და მაშინაც ვიცოდი, თუ არა და სიყვარულის უკვდავებას როგორღა დავამტკიცებთ? მაგრამ თავისთავად სიყვარული და ერთგულება მარადიულია. უმეტეს სიყვარულზე ვერ გეტყვით ამას, ვერც ერთგულებაზე, რომელსაც ნატამალი არა აქვს სიამაყისა, და მაინც სიყვარული და ერთგულება, რაც უნდა იყოს, მაღლა უნდა დადგეს მკვლელობასა და სიგიჟეზე. რათა დანაშაულით დამძიმებულ ნეშტს მცირეოდნავაც მაინც მოჰფინოს სულიერი ხიბლის დაკარგული შარავანდი. დიახ, ის გოგო იდგა იქ, დაკეტილი კარის წინ, და მე იქ შესვლა არ შემეძლო (თავადაც ველარ შედიოდა შიგ, რამდენადაც მე ვიცო, ვიდრე ჯონსმა და ვილაც სხვა კაცმა მაღლა არ აიტანეს კუბო), ჩამოშვებულ ხელში დაეკავებინა ის ფოტოსურათი და სრულიად მშვიდი სახით იდგა, წამით შემოძახდა და თქვა ისე, რომ იქ, დაბლა გაეგონათ: „კლიტი, მისს როუზა ჩვენსა ისადილებს; რამე საჭმელი იქნებ კიდევ იყოს“. მერე: „იქნებ დაბლა ჩავიდეთ? კიდევ დაგვჭირდება ფიცრები და ლურსმნები და ბ-ნ ჯონსს უნდა ვუთხრა ამის შესახებ“.

მორჩა და გათავდა. ანუ მთლად არა, არ შეიძლება მთლად რამე გათავდეს, დაარულდეს. თავად ბედის ლახვარი კი არ გვაწამებს, სასოწარკვეთილების ზღურბლზე გდება და მისი უგვანო ზემოქმედების ატანა და სულიერი წაგვის გადაყრა გვიჭირს; მე ერთხელაც არ მინახავს ის ბიჭი, მე იგი მკვდარიც არ მინახავს. ექოლა მომესმა გასროლისა; იქ არ შევსულვარ, დაკეტილი კარი ვნახე მხოლოდ; მახსოვს, სახლიდან შუადღით როგორ გამოვიტანეთ კუბო (ჯონსმა და საიდანლაც რომ მოიყვანა, მისმა მშველელმა თეთრმა კაცმა გააკეთეს იგი ეტლების სადგომის დამტვრეული ფიცრებისაგან; მახსოვს, საჭმელს რომ ვჭამდით, ჯუდიტმა რომ გააკეთა, დიახ, ჯუდიტმა-მეთქი; ისევ ისეთივე მშვიდი, ცივი და აუზღვრეველი სახით დასტრიალებდა იგი ლუმელსა და ქვაბებს. ვჭამდით იმ ოთახში, რომლის ზემოთაც მიცვალებული იყო, უკანა ეზოდან ჩაქუჩისა და ხერხის ხმა მოისმოდა, ჯუდიტს კი თავისი კაბის შესაფერისი გახუნებული ქუდი ეხურა და გასძახოდა იმათ, ასე და ასე გააკეთეთო: მახსოვს, ის მზიანი და გაუთავებელი ღღე, სწორედ იმ მისაღები ოთახის სარკმლებთან უკაცუნებდნენ ისინი ჩაქუჩს და ხერხავ-



დნენ. მაგიუებდა ხერხის დაუსრულებელი ხრიალი, ხრიალი, ხრიალი, დინჯი. ერთფეროვანი კაცური ჩაქუჩისა, რომლის ყოველი დარტყმა თითქოსდა უკანასკნელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ იყო და აღარც თავდებოდა. და თუ გაუჩნდებოდა, წამით მხოლოდ და იმწუთსავე შვების მომცემად კვლავ დასცხებდა მოღლილ, უღონოქმნილ და ძალუმაღ დაბარულ ხერხებს; დაბოლოს, გარეთ გამოვედი (ჯუდიტი დავინახე იქვე, საქათმის მსახურებით გარშემოხვეული, კვერცხებით გაევსო წინსაფარი) და შევეცდით მათ, რატომ? რატომ აქ? რატომ მაინცდამაინც ამ ადგილას-მეთქი? და მაშინ ორივენი შეჩერდნენ, საკმაოდ დიდხანს, რათა ჯონსს მოესწრო მიტრიალება, ერთი, ორი გადაპურტყება და თქმა, ამ ყუთის შორს თრევა აღარ მოგვიხდებაო აქედან; და ჯერ კიდევ მთლად გამობრუნებული არ ვიყავი, რომ იმათთაგან ერთმა დასძინა, მართლაცდა საოცრად და რალაც ინერციით მოუძებნა ამას სწორი ახსნა — „სულაც აჯობებდა ქვემოთ ჩაგვეთრია და ფიცრები მოგვეჭედა გარშემო, მაგრამ ვაითუ მისს ჯუდიტს ეს არ მოეწონოს“)... მახსოვს, თუ როგორ ჩამოვიტანეთ კიბეზე და იქ მომლოდინე ფურგონთან მივასვენეთ, და მე ვცდილობდი თავად მეზიდა მთელი სიმძიმე იმ კუბოსი, რათა დამეჭერებინა, ნამდვილად თუ იყო ის იმაში. და მაინც ვერ გეტყვით, კი იყო-მეთქი, გამსვენებელთაგან ერთ-ერთი მე ვიყავი; და მაინც არ შემეძლო იმის დაჯერება, რაც ვიცოდი, რომ სიმართლე იყო. მე ხომ ის ბიჭი არასდროს არ მინახავს. გესმით? ხანდახან შეგვემთხვევა ისეთი რალაც, რასაც უარყოფს ჩვენი გული და გონება, სწორედ ასევე უარყოფს სტომაქი იმას, რაც გემრიელია, მაგრამ ვეღარ გადაამუშავებს, ხოდა, ის რალაც მოვლენა თუ შემთხვევა ადგილზე გაგაქვავებს, გადაულახავი შეიქნება ეს შეუგრძნობელი დაბრკოლება, და ვითარცა შუშის კედელში, ისე ვხედავთ შემდგომ მოვლენებს, თითქოსდა ქრებიან, ინთქმებიან უხმო სიცარიელეში და სიკვდილამდე გვტოვებენ ასე გახევებულებს, უილაჯოებს, უიმედოებს. სწორედ ასე მომივიდა. მე იქ ვიყავი, სულის რომელიღაც ნაწილით გვერდიდან არ ვცილდებოდი ჯონსსა და იმის ამხანაგს, თეოფილუს მაკ-კასლინს, რომელსაც გაეგო ახალი ამბავი და ქალაქიდან დაბრუნებულიყო, ხოდა, კლიტისთან ერთად ჩვენ ძლივსლა ჩამოვიტანეთ კიბეზე უშნო და ვეება ყუთი, ჯუდიტიც გვეხმარებოდა, მის ზედა მხარეს ჩასჭიდებოდა, ფურგონთან ჩავიტანეთ. სულის რომელიღაც ნაწილით მეც ვეხმარებოდი მათ და იქ მომლოდინე ფურგონზე შემოვადგმევინე ის, რასაც მართო ვერ ავწევდი და რისიც ჯერ კიდევ არ მჯეროდა; სულის რომელიღაც ნაწილით ვიდექი მე იქ, პირდალევულ მიწასთან, კაეშნით მოცული კედლების სიახლოვეს, ჩემს ყურებში საბედისწერო ზარივით რეკდა ფიცრებზე ბელტების ბრახაბრუხი და მეც ეთქვი, არა-მეთქი, როდესაც სამარის ბორცვთან მდგომმა ჯუდიტმა იკითხა: „ის კათოლიკე იყო, თქვენგან რომელიმემ თუ იცის, კათოლიკეებს როგორ...“ და თეოფილუს მაკ-კასლინმა უთხრა, ჯანდაბას კათოლიკობა: ჯარისკაცი იყო იგი. და ჩემს ლოცვა-ვედრებას არ მოვაკლებო კონფედერატების ჯარისკაცს. შემდეგ კი მოხუცი კაცის ხრინწიანი ხმით რალაც აბდაუბდა დაიყვირა: „ჰეი, ჰეი, ფორესტ! ჰეი-ჰეი, ჯონ სარტორის! ჰეი-ჰეი-ჰეი-ჰეი!“ და სულია რომელიღაც ნაწილითვე ჯუდიტსა და კლიტისთან ერთად დავბრუნდი უკან, მზის აღმაცერი სხივებით შეფენილი მინდორი გამოვიარე, გზად როგორღაც მშვიდად ვპასუხობდი მშვიდივე, წყნარივე ხმით წარმოთქმულ სიტყვებზე, სიმინდისთვის უნდა გავბაროთ მიწა, შეშა უნდა დავჭრათო ზამთრისა-



თვის, მერე კი ლამპის შუქზე სამზარეულოში ვახშმის გაკეთებაში ვეხმარებოდი იმათ და ვივახშმეთ კიდევაც იმ ოთახში, რომლის ჭერზემთ უკვე აღარ იყო დასვენებული ის ყმაწვილკაცი; მოვემზადე დასაძინებლად (დიახ, ხელი არ უკანკალებდა, ჩვეულებრივ გადმომცა სანთელი და მე გავიფიქრე, ცრემლიც არ გადმოუგდია ამ გოგოს-მეთქი, და როცა მქრქალად განათებული სარკეში ჩემი სახე დავინახე, ასე გავიფიქრე, შენც ხომ არ გიჭირებდა?) სწორედ იმ სახლში, სადაც იმ ყმაწვილკაცმა კიდევ დაჰყო ცოტა ხანი (ამჯერად უკანასკნელად) და კვალი არ დაუტოვებია, არც ცრემლი დაუღვრია არავის მის მოსაგონებლად. დიახ, ჯერ არ იყო, მერე იყო, და კვლავაც აღარსად იყო. ყველაფერი სწრაფად, მეყსეულად მოხდა, ზაფხულის ერთი დღის ექვს საათში, ლეიბსაც კი არ დარჩენია ამ მცირე ხანს კვალი მისი სხეულისა, სისხლი კი ყველა სულიერს შეუძლია დაღვაროს, თუკი საერთოდ იყო სისხლი, საკუთარი თვალთ მე იქ არაფერი მინახავს. ხოლო იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რისი ცოდნის უფლებაც მე მომცეს, იქ არც გვამი, არც მკვლედი არ უნდა ყოფილიყო (ჭენრის შესახებ იმ დღეს ჩვენთაგან არვის არ დაუძრავს სიტყვა; მეც, დეიდამისს, შინაბერას, არც კი მიკითხავს: „ის ბიჭი კი როგორღა იყო, ცუდად თუ კარგად?“ ჩუმად ვიყავი ჩემთვის, არ წარმომიძვედამს ერთიც კი იმ ჩვეულებრივი ათასი სიტყვიდან, რომლითაც ქალის მგზნებარე სისხლი უგულებელყოფს მამაკაცთა სამყაროს. სადაც სისხლით ნათესავს ძალუძს გამომამელავნოს გამბედაობა და სიმხდალე, უჭკუობა ან ვნებათა ღელვა, ან შიში, რომელთა გულისთვისაც სხვა მამაკაცებს შეუძლიათ იგი დააჯილდოვონ ან ჯვარს აცვან), ვინც შემოიჭრებოდა, კარს შემოგლეჯდა, იყვირებდა, მე მოვეკალიო, და გაქრებოდა ისევ, ვინც, მართალია, ცოცხალი დარჩენილიყო, მაგრამ მაინც იმაზე უფრო სიზმარეული, აბსტრაქტული შექმნილიყო, ჩვენ რომ ყუთში ჩავდეთ; სროლის ხმამ ექოდლა მოაღწია, ნახევრად ველურმა, ძვალტყავა ცხენმა აღვირით, მაგრამ ცარიელი უნაგირითა მოატანა. საუნაგირე ჩანთაში უნახავთ დამბაჩა და ერთი ხელი სუფთა გაცრეცილი პერანგი, ერთი ნაჭერი გამხმარი პური, ის ოთხფეხი კი ერთმა ფერმერმა დაიჭირა ორი დღის შემდეგ, ოთხი მილი გაეგლო და მისი, საჭინიბოს კარებში შესვლას ლამობდა, დიახ, უფრო მეტიც: არ იმყოფებოდა და კი იყო; დაბრუნდა და აღარ იყო; სამმა ქალმა დაჰფლა რაღაც, მიწა დააყარეს და მორჩა, არა იყო რა.

თქვენ ახლა მკითხავთ, იქ კი რაღატომ დარჩიო. შემოძლია გითხრათ, არ ვიცი, შემოძლია ათი ათასი უმნიშვნელო მიზეზი მოვიყვანო, სწორი ერთიც არ იქნება, და თქვენც დამიჯერებთ; გითხრათ, ლუკმა პურის გულისთვის-მეთქი, მაგრამ კვლების თხრა და სარეველა ბალახების გამარგვლა ხომ ქალაქში, სახლშიაც კარგად შემეძლო, მეზობლებზე, მეგობრებზე აღარაფერს ვამბობ, ლუკმაპურს ისინი მე არ დამამადლიდნენ, რადგან გასაჭირის დროს ვიღაც ახლავს ღირსება და სიამაყე; გითხრათ, თავშესაფრის გულისთვის-მეთქი, მაგრამ შინ ხომ, ჩემ მეზობლად, სწორედ ჩემი შესაფერისი საზოგადოება მყავდა, აკნინდანვე მიცნობდნენ ყველანი და ისე კარგადაც, რომ არა მართო ჩემს ფიქრებს, ჩემი წინაპრების ფიქრებსაც იზიარებდნენ; სატპენთა ასეულში მე ცხოვრება მიხდებოდა ერთ ისეთ ქალთან, რომელიც, მართალია, კი იყო ჩემი სისხლი და ხორცი, მაგრამ მე მისი არ მესმოდა და, თუ არა ვცდები, არც მსურდა გამეგო, მეორე კი ის გახლდათ, ვინც უცხო იყო ჩემთვის, მთელი ჩემი არსებისათვის, თითქოსდა ჩვენ შორის არა მარტო რასობ-



რევი (რაც იყო კიდევაც), არა მარტო სქესობრივი ზღუდე აღმართულიყო (რაც არ იყო), არამედ ბიოლოგიურიც, სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობდით თითქოს და ყოველი უბრალო სიტყვა, ჩვენი ურთიერთობისას წარმოთქმული, უფრო ნაკლებ აზრს გამოხატავდა, ვიდრე ხმა ნადირ-ფრინველისა. მაგრამ ამის მსგავსს მე არაფერს გეტყვით. მე დავრჩი იქ და ტომას სატენის ჩამოსვლას დაველოდე. დიახ, თქვენ იტყვიან (ანუ გაიფიქრებთ) ჩემი გარყვნილი მიზანი ჰქონდაო. ამ ლოდინს, და თუ გიპასუხებთ, არა-მეთქი, ~~არა-მეთქი~~ არ დამიჯერებთ, მაგრამ მაინც გეტუბნებით, არა-მეთქი. სწორედ ჯუდიითის, კლიტის-ნაირად ველოდებოდი მე მას, რადგან მხოლოდ ის დაგვრჩენოდა, მხოლოდ ის იყო ახლა ჩვენი არსებობის მიზანი, იმით ვსულდგმულობთ, ვჭამდით, გვეძინა, ვიღვიძებდით და ვდგებოდით, ჩვენ ვიცოდით (რაკილა ვიცნობდით), რომ იმწუთასვე შეუდგებოდა ის კაცი იმის მოვლასა და აღდგენას, რაც კი სატენის ასეულისაგან დარჩენილიყო. თავად ჩვენ იგი არ გვინდოდა, არც გვჭირდებოდა. წამითაც არ გამივლია გულში გათხოვება, წამითაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ის ახლა მე შემომხედავდა და დამინახავდა, რადგან არც არასოდეს ყოფილა ასეთი შემთხვევა. დამიჯერეთ, მოვა დრო და არ მომერიდება გითხრათ, თუ როდის გავიფიქრე ამის შესახებ). არა-მეთქი. ჩვენი ერთად ცხოვრების პირველსავე დღეს მივხვდი, ჩვენ იგი არ გვჭირდებოდა. არც სხვა ვაცთავან ვინმე, სანამ უოშ ჯონსი ჩვენთან იცხოვრებდა, ანუ დარჩებოდა. მამის სიცოცხლეში თითქმის ოთხი წელიწადი მე ხომ თავად ვუვლიდი ჩვენს სახლ-კარს, ასევე ჯუდიითიც, კლიტის კი შეეძლო უოშ ჯონსზე უკეთ (ანუ, უფრო სწრაფად) შეშა დაეჩეხა და დაეხარა... და რა სამწუხაროა, რადიდად სამწუხაროა ის ნადველი, გულსა და სულს რომ შემოაწვება, როდესაც მათთვის აღარ არის საჭირო ის, ვისთვისაც ისინი საჭირონი არიან. ჩვენ რად გვინდოდა ის კაცი ან ვინმე სხვა მისი შემცვლელთაგანი, ჩვენთვის კიდევაც უცხო იყო ის დაუოკებელი სურვილი (თითქმის შლეგური მიზანი, შან დაბრუნებულმა, ვიდრე ცხენიდან ჩამოხდებოდა, თითქოსდ) რომ გამოასხივა და ყველაფერს მოჰფინა) თავისი ადგილ-მამულის აღდგენისა, სწორედ ამას შესწირა მან მსხვერპლად სიბრალოელი, სათნოება, სიყვარული და იმათ მიიტანდა, ვერც იმათ უქონლობას იგრძნობდა და არც სხვებისთვის გაიმეტებდა მათ. არა, თავიდათავი აქ სხვა რამეა. არც ჯუდიითსა და არც მე არ გვინდოდა ეს. ჩვენ სულაც არ გვჯეროდა ამისი შესაძლებლობა, მაგრამ მე ვფიქრობ, მთავარი ის იყო, რომ ჩვენ ახლა აპათია დაგვეუფლა, სრული სიმშვიდის მსგავსი რომ არის და მოგვაგონებს იმ ბრმა უგრძნობლობას მიწისას, რომელმაც არც კი იცის, რა არის ყვავილთა კვირტები და ფოთლები, არც შურს ღვთაებრივი მუსიკა იმ ლორთქო ყლორტებისა, თავადვე რომ ასაზრდოებს.

ხოდა! ჩვენ მოველოდით მის ჩამოსვლას, მონაზვნის შეტრყვნელი ცხოვრებით ვცხოვრობდით სამნი, გამოცარიელებულსა და მწირ მონასტერში, რომლის კედლები კარგად კი გვიცავდა, მაგრამ ამ კედლებისთვის სულერთი იყო, გვშიოდა ჩვენ თუ არა. მეგობრულად ვიყავით ერთმანეთში, არა ისე, როგორც ორი თეთრი ქალი და ერთი ზანგი, არც ისე, როგორც სამი ზანგი ან სამი თეთრი, არც ისე, როგორც სამი ქალი, არამედ ჩვეულებრივ ვცხოვრობდით, როგორც სამი სულიერი, რომლებიც, მართალია, შიმშილს კი გრძნობენ, მაგრამ ჭამა აღარ სიამოვნებთ, ძილი კი სჭირდებათ, მაგრამ დასვენებაში შევებას ვეღარ ნახულობენ, სქესობრივადაც გადაგვარებულან, მსგავსად



იმ რუდიმენტული ლაყუჩებისა, რომლისთვის ნუშისებრი ჭირკვლები შეურქმევიათ ან ფეხის ცერათითის მსგავსად, ხეზე საძრომად რომ ჰქონდათ მომარჯვებული ჩვენს წინაპრებს. ჩვენ ვუვლიდით სახლის იმ ნაწილს, რომელშიც ვცხოვრობდით და გვჭირდებოდა, ჩვენ ვუვლიდით იმ ოთახსაც, სადაც სატპენი უნდა შესულიყო. არა იმას, რომელიც მან დატოვა ვითარცა ქმარმა, არამედ იმას, რომელიც უნდა ეცხოვრა ვაჟიშვილის დამკარგავ ქვრივ კაცს, გვარიანად მკაცრად ლებელი რომ აღარ ჰყავს და რომელსაც, თქმა არ უნდა, ერთი სიტყვა არ უნდა ეკლავ იყოლიოს შვილები სამკაულად თავის უცხოურ ავეჯს შორის და ბროლის ქაღებს ქვეშ... სწორედ ასევე ვუვლიდით ჩვენ ჰენრის ოთახს, ჩვენ-მეთქი, ანუ ჯუდიითი და კლიტი, თითქოსდა იმ ბიჭს მაღლა არ აერბინოს და მერე დაბლა არ ჩამოერბინოს კიბე იმ ზაფხულის დღეს; ჩვენ საკუთარი ხელით მოგვყავდა მოსავალი და ასე გაგვქონდა თავი, ვუვლიდით ბოსტანს და ბოსტნეულის კერძები გვქონდა საჭმელად; მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩვენი სამთაგანის ასაკსა და კანის ფერს, მთავარი ის იყო, ვინ შეძლებდა ცეცხლის დანთებას, კერძის მორევას, სარეველა ბალახების მოთხრას, წინსაფრით სიმინდის წაღებას წისქვილზე, თანაც ისე, რომ დარჩენოდა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმისათვის დრო და ძალა. თითქოსდა ერთი სული და ხორცი გავხდით ყველანი და სულერთი იყო, თუ ვინ მოუვლიდა ბოსტანს, ვინ დართავდა ნართს, ვინ მოქსოვდა ქსოვილს ჩვენი ტანსაცმლისათვის, ვინ მონახავდა სადღაც ლაფსა და ტალახში სამკურნალო ბალახებულახს, თუკი ვინმე ჩვენთან იმ სპარტანულ ყოფაში გაბედავდა და დროს დაკარგავდა ავადმყოფისათვის, ვინ შეუძახებდა და დააჩქარებდა იმ ჯონსს, სიმინდის ყანაში წადიო ან ტყიდან შეშა მოიტანე, ზამთარი მოდის და ქაა ხომ გვინდაო; ხოდა, ასე იყო ჩვენი, სამი ქალის ამბავი — მე იმთავითვე, სულ პატარაობიდანვე ისეთ დღეში ჩავვარდი, კაპიკა მენატრებოდა და დიასახლისობას კლდეზე აღმართულ შუტქურაშიც შევძლებდი, ისიც არ ვიცოდი, თუ როგორ უნდა ჩამეგდო შიწში ყვავილის თესლი, მით უმეტეს ბოსტანს როგორღა მოვუვლიდი, ასე მეგონა, თავისთავად ინთებოდა ცეცხლი და კეთდებოდა საჭმელი, მისდათავად ეყარა შეშა ყუთში და საკუჭნაოს თაროზე მისდათავად იდო ხორცი; ჯუდიითი კი ისეთ გარემოში გაიზარდა (გარემოშიო? საუკუნეებრივი სათუთი გაზრდა — კულდფილდების სისხლიც რომ აქ არაფერ შეაში ყოფილიყო — და ის ტრადიციები, რომელშიაც ტომას სატპენის უწყალო ნებისყოფა რაღაც საძვრენს მაინც ნახავდა), რომ ჭუბრში მოქცეულივით აუმღვრევლად და უშფოთველად უნდა გაეტარებინა წუთისოფელი, ვითარცა ყმაწვილქალს. მსახურმრავალ დედოფალს, მერე კი მორჭმულსა და ხელუხვ, ხანმოთეულ, ბრწყინვალე ქალბატონს, ჯუდიითი იმან ამსხვერპლა, ჩემთვის რომ მხოლოდ რამდენიმე წლის არცოდნის წყარო იყო, მისთვის კი ეს ათი თაობის მიერ გამოკედილი რკინისებური ყადაღა. გაჭირვების პირველი კანონიც კი არ დაუსწავლია და არც იცოდა, თუ რა იყო ანგარიშიანობა და ხელმომჭირნეობა ანგარიშიანობის და ხელმომჭირნეობის გულისათვის. ხოდა (კლიტის ხელშეწყობითაც), იმაზე ორჯერ უფრო მეტს საჭმელს აკეთებდა, ვიდრე ჩვენ ჰქონდა შეგვეძლო, და სამჯერაც უფრო მეტს, ვიდრე ჩვენ ამისი უფლება გვქონდა; ყოველ გამვლელ-გამომვლელსაც ეპატიებოდა, იმხანად ეს ჩვენი არემიდამო სავსე იყო მოხეტიალე ჯარისკაცებით. და ბოლოს (თუმცა ბოლო არ იყო) კლიტი, კლიტი, რომელიც მცონარა არ იყო, რაც უნდა იყოს, მცო-



ლები, როგორაა, ვაითუ სცივა, ვაითუ მშიერ-მწყურვალა, სწორედ ასევე  
ვლამარაკობდით იმის მამაზეც, თითქოსდა ისინი და ჩვენც მაინც ვცოცხლო-  
ბდით იმ დროებაში, რომელსაც ზღვარი დაუდო იმ გასროლამ და კიბეზე ღე-  
ხების გიჟურმა ბრახაბრუხმა, თითქოს ის საღამო არც ყოფილიყო არასდროს.  
მაგრამ ჩარლზ ბონი ერთხელაც არ გვიხსენებია, გვიანი შემოდგომა იყო, ზუ-  
ღითი სადღაც მოდიოდა დღეში ორჯერ და მწყურის ხანს, ვახშობდნენ და ღებ-  
დებოდა, იჯდა წყნარად და შეუშფოთებლად. მე არაფერი არ მიჭმევს, მამა-  
თვის, არც უკან დავსდევდი, მე ვიცოდი, და ისიც ვიცოდი, რომ კლიტიმაც  
იცოდა, საფლავზე იყო, ხმელი ფოთლებისა და კედლის წიწვეები ჩამოეხვეტა  
მისი ბორცვიდან, რომელიც ნელინელ ქრებოდა და მალე გაუსწორდებოდა  
იმ მიწას, სადაც ჩვენ არც არავინ დაგვიკრძალავს, არა-მეთქი, არც არავის  
გაუსროლია. მხოლოდ მკვეთრი ხმაური იყო დაკეტილი კარისა, რომლის იქით  
დარჩა ის. რაც იყო და რაც შეიძლება ყოფილიყო: მსწრაფლ უკუქცეული-  
ყო მოვლენათა მდინარეება და შეუწონელი დროების ოდესღაც დაადგომი  
წამი შეჩერებულიყო, ჩვენი, სამი უღონო, მაგრამ შეუპოვარი ქალის ძალის-  
ხმევით, თითქოსდა ჩვენს ძმას ხელიდან გამოვტაცეთ მისი მსხვერპლი.  
მკვლელის ტყვიას გადავარჩინეთ, ხოდა, კიდევ ასე დავყავით შვიდი თვე, მე-  
რე კი, იანვრის თვეში, ერთ საღამოს ტომას სატპენი დაბრუნდა: მომავალი  
წლისათვის კვლებს ვავლებდით ბოსტანში; ჩვენთაგან რომელიღაცამ აიხედა  
და დაინახა კიდევაც ის კაცი, ცხენით მოდიოდა. ხოდა, მერე ერთ საღამოს მე  
იმასზე დავინიშნე.

სამი თვე დამჭირდა მე ამისთვის (ხომ გაიგონეთ, იმას კი არა, მე-მეთქი?)  
დიახ, მე დამჭირდა სამი თვე; ოცი წელიწადი ვუყურებდი იმ კაცს (როცა კი  
იყო შემთხვევა), ვითარცა კაციჭამია დევს, ნადირს, შიშის ზარს რომ სცემს  
ბაღებს; ვხედავდი იმასაც, ჩემი განსვენებული დის სისხლი და ხორცი, ის  
ორი ბავშვი ერთმანეთის განადგურებას რომ შეუდგნენ, და მაინც, ფინია ძა-  
ლს რომ დაუსტვენენ, ისე გავიქეცი მე იმასთან, როდესაც იმ შუადლით მან  
თავი ასწია და ოცი წლის მანძილზე პირველად მომაჩერდა. ჰოი, თავს მე არ  
ვიმართლებ, თუმცა კი (რატომაც არა, ჰაი, რომ ძნელი არ არის) შეიძლებო-  
და მომეყვანა ათასი სარწმუნო ქალური მიზეზი, შეიძლება ეს ყოფილიყო ჩვე-  
ულებრივი ქალური უმტკიცობა, გაურკველობა სურვილისა (თუნდაც იმედი-  
სა) იქნებ გამდიდრება, მდგომარეობის მოპოვება მინდოდა ან სულაც მეში-  
ნოდა, ვაითუ სულ უმამაკაცოდ მოვკვდე-მეთქი; ყოველ შინაბერას ხომ (რა  
ბჭმა უნდა, თქვენ იმასაც გეტყოდნენ) ესა სჭირს, ან იქნებ შურისძიება მწყუ-  
როდა, არა, მე თავს არ ვიმართლებ-მეთქი, შემეძლო სახლში წავსულიყავი  
და არ წავედი, იქნებ მართლაც უნდა წავსულიყავი, მაგრამ არ წავსულვარ.  
ჯუღითსა და კლიტისთან ერთად ვიდექი მე იმ გამომბაღ ტალანთან და ვუყუ-  
რებდი მას, მის გაძვალტყავებულ, ქანცაწყვეტილ ცხენს, რომელზეც თითქოს  
ის კაცი კი არ იჯდა, არამედ მისი მსგავსი ვიღაც მოჩვენება, მოუთმენელი და  
გააფთრებული, მირაჟივით რომ გარინდებულიყო გაძვალტყავებულ ცხენზე  
მჯდომარე, მხედრის ეს გამომეტყველება თითქოსდა გადასცემოდა ოთხფეხ-  
სა და იმის უნაგირს, ჩექმებს, დამპალ ფოთლისფერ სამხედრო ჩასაცმელს,  
რომელსაც ძლივსღა ეტყობოდა შემოძონძილი ოქროსფერი მინაკერები და  
ზონრები, მთელი ეს ჩაცმულობა დამსგავსებოდა რაღაც გარსს, რომელმაც,  
ვიდრე ბედაურიდან ჩამოხდებოდა, თავად მას გამოუსწრო და ამოთქვა:  
გამარჯობა, შვილოო, ჯუღითის შუბლს შეეხო, გარინდებული იდგა ეს გოგო,



სახე გაქვავებოდა, სულ რამდენიმე და სულ უბრალო სიტყვა უთხრეს ერთ-მანეთს, და ცხადლივ, ყოველმხრივ მოიხმოდა ჩქროლვა მათი სისხლისა, პირველად იმ დღეს რომ აღვიქვი, როდესაც კლიტიმ კიბეზე აღარ მდებარეობდა: „პენ-რი არ...?“ „არა, ის აქ არ არის“; „ჰო, მაგრამ?“ „დიახ, ბენრიმ მოკლა იგი“. მერე ცრემლები წასკდა ჯუდითს. დიახ, ცრემლები-მეთქი, ვინაიდან ერთხელაც არ უტირია: იმ საღამოს, დაბლა რომ ჩამოვიდა, ცივი და მშრალი გაბლდათ, დაკეტილი კარის წინ სირბილი სწორედ ამან შემაწვევებინა; დიახ, თითქოსდა მთელი ეს შვიდი თვე რაც ცრემლი უგროვებია, უცებ ნიაღვარივით წასკდა (მაინც უძრავად იდგა, არც კი შეტოკებულა) და უცბადვე გაქრა. გაი-ლია ცრემლი, თითქოსდა ხორშაკი ქარის გააფთრებულ კვეთებას ამოეშრო სისველე მისი თვალებისა; ჯერ კიდევ მხრებში ჩასჭიდებოდა ის კაცი ამ გოგ-ოს, რომ კლიტის გახედა და უთხრა, რაო, კლიტი? და მერე მე შემომხედა, სახე ისეთივე ჰქონდა, უკანასკნელად რომ ვნახე, მაგრამ ახლა უფრო დაწვრი-ლებოდა, თვალები ისეთივე უწყალო შერჩენოდა, თმა კი გაჭალარავებოდა და თუ მიცნო, ვერ შევატყვე, ვიდრე ჯუდითმა არ თქვა: „ეს როუზაა, როუზა დეიდა. ჩვენთან ცხოვრობს ახლა.“

მორჩა და გათავდა. შემოიყვანა იგი ცხენმა ხეივანში და კვლავ შემოვიდა ის კაცი ჩვენს ცხოვრებაში, წამითლა იწვიმა იმ უცნაურმა ცრემლებმა, სხვა კვალი არც დარჩენილა მეტი, რადგან თავად ის კაცი არ ბრძანდებოდა იმ საი-ლში, სადაც ჩვენ ვალამებდით და ვათენებდით, აქ მხოლოდ მისი გარსი იყო, თუმცა კი ეძინა იმ ოთახში, ჩვენ რომ ვუღაგებდით, და ჰქონდა ჩვენს ნაოფ-ლარ პურს; თითქოსდა მას არ შეეძლო დამტკბარიყო რბილი ლოგინით და გემო ჩაეტანებინა საჭმელისათვის, დიახ, ის კაცი აქ არ ბრძანდებოდა-მეთქი. ვილაც კი იჯდა ჩვენთან ერთად მაგიდასთან, კი ვეუბნებოდით რაღაცას და ისიც გვპასუხობდა; ჩვენთან ერთად იჯდა საღამოობით ბუხართან, და უეცრად ალაპარაკდებოდა რაღაც მძიმე ბურანიდან გამორკვეული, მაგრამ ჩვენ, ექვს-ყურთან სამ ჭკუათმყოფელ არსებას კი არ მოგვმართავდა, პაერში ისროდა სიტყვებს, თავის სახლის სადღაც მიჩუმებულ პირქუშ და გვემულ სულს ესა-უბრებოდა, შეშლილის ნაუბარი გეგონებოდათ, საკუთარი საძვლის კედლებ-ში რომ ქმნის ზღაპრულსა და ცამდე აზიდულ კამელოტებსა და კარკასონებს. და განათუ აქ არ ბრძანდებოდა, ამ ღვთის ნაბოძებ მიწის ოთხკუთხედზე, რომლისთვისაც სატპენის ასეული შეერქმია, მხოლოდ ამ ოთახში არ იმყო-ფებოდა, რადგან სხვაგან, სარეველა ბალახებით გადაბურულ, ყოველ ღობე-დანგრეულ მიწდორს, ყოველ კედელჩამოქცეულ ქოხმას, ბამბის საწყობს ან საჩინიბოებს მოვლებოდა მისი დაცალკავებული ნაწილაკები გონებისა; ხოდა, ელექტროლითის ხსნარში გავლილი ელექტროდენივით ამ ნაწილაკებს დაუ-ფლებოდა ძალუმი და მოუცილებელი ფიქრი, დრო ერთი წამია მხოლოდ და უნდა იჩქაროს, თითქოსდა ამ წუთს დაბადებულივით ერთი მაგრად ამოუსუნ-თქავს, ირგვლივ მიმოუხედავს და მიმხვადარა, დავბერებულვარო (ორმოცდა-ცხრამეტისა იყო), და შფოთმა აიტანა (შიშმა კი არა, შფოთმა), რომ სიბერეს შეუძლია ძალა კი არა, დრო დააკარგვინოს და ისე მოკვდეს, განუხორციელე-ბელი დარჩეს მიზანი. ჩვენ სწორად ჩავხვდით მის მიზანს, სულსაც კი არ მოი-თქვამდა, ისე შეუდგებოდა სახლისა და პლანტაციის აღდგენას, თუკი მოახე-რებდა. თუმცა ჩვენ არ ვიცოდით, თუ რას იღონებდა ამისათვის, მგონია, თავა-დაც არ იცოდა. მართლაცდა რა უნდა სცოდნოდა, როდესაც სახლში ხელცარიე-ლი დაბრუნდა, ხელცარიელი-მეთქი, არარაობად ქცეულ მიწაზე ამ ოთხ წელი-



წადში. მაგრამ ეს ამბავი მას ვერ შეაჩერებდა, ვერც შეაშინებდა. მოთამაშის ენ-  
ნიანობითა და ცივი ანგარიშიანობით გამოირჩეოდა, ვინაც იცნის, რომ შეიძლება  
წაავოს და წააგებს კიდევაც, თუკი ერთი წამითაც კი უმტყუნებს ნებისყოფა. სრ-  
და, გააფორებით ხელს მიჰყოფს კარტისა თუ კამათლის თამაშს, ვიდრე ზედ-  
ავლავ კარზე არ მოადგება. სულაც არ მოუთქვამს, ორმოცდაცხრამეტ წელი  
კაცს ძვალი და რბილი ერთი-ორი დღითაც კი არ დაუსვენებია, ერთმანეთს მტკუნ-  
არ დაუცდია, რომ ჩვენი ამბავი გაეგო და თავისიც მოეთხორო, თუ რა გადახ-  
და თავს ამ ოთხ წელიწადში (იმის მიხედვით, რაც მან გვიამბო. შეიძლებოდა  
გვეფიქრა, არც არავითარი ომი ყოფილა ან სულაც სხვა პლანეტაზე მომხდარა  
სისხლისღვრა და თავისი სიცოცხლე არც კი შეუგდია სასწორზე, თითიც კი  
არ გაუკაწრავს), რომლის განმავლობაში, მართალია, სალ-სალამათი კი გადა-  
რჩენილიყო, მაგრამ ხომ უნდა განქარვებოდა დამარცხების სიმწარე. მშვიდო-  
ბის მსგავს, სიწყნარის მსგავს რამედ უნდა გარდასახულიყო და წარმოჩენი-  
ლიყო დაუჩერებელი მონათხრობის სახით (სიცოცხლის ლელოს ესლა გაატა-  
ნინებს კაცს), თუ რა ბეწვის ოდენა რამეს შეუძლია გადახაროს გამარჯვებისა  
თუ უბედობის სასწორი, თუ რა გაუსაძლისია დამარცხება, უშუალოდ ადამი-  
ანს რომ ხელჰყოფს, მართალია, ბოლოს არ მოუღებს, ცოცხალს დატოვებს,  
მაგრამ რაღაა ეს სიცოცხლე.

იშვიათად თუ ვხედავდით მას. დილაბნელზე მიდიოდა სადღაც და უკვე  
დაღამებულზე ბრუნდებოდა ჯონსსა და ვილაც ორ კაცთან ერთად;  
საიდანღაც მოუყვანია ისინი და რაღაცით უსწორდებოდა, შესაძლოა იმიტვე,  
რითაც იმ უცხოელ არქიტექტორს — პირფერობით, დაპირებით, მუქარით,  
დაბოლოს სულაც ძალით. იმ ზამთარს ჩვენ პირველად გავიგეთ, თუ ვინ არიან  
ის აბგოსანნი, ხალხმა, უფრო სწორად, ქალებმა, კარ-ფანჯრების დაკეტვა  
დაიწყეს ღამდამობით, ერთმანეთის დაშინება მონათხრობით ზანგების აჯან-  
ყების შესახებ. კიდევ უფრო გატილდა სუყველაფერი, ის ოთხი წელიწადი  
მიწისთვის აღარ ეცალათ, მამაკაცებს ჯიბეში დამბაჩები ჩაეწყობთ და ყოველ-  
დღე იკრიბებოდნენ ქალაქების მოედნებზე. ის კაცი არ ყოფილა მათ შორის;  
მახსოვს, ერთ ღამეს დელეგაცია გამოუგზავნეს — ყელამდე ტალახში რომ  
გამოიარეს ცხენდაცხენ, იმ კაცს მიადგნენ და უთხრეს, ნათლად გვითხარი.  
ჰო თუ არა, ჩვენთან იქნები თუ ჩვენ წინააღმდეგ, მოძმე ხარ ჩვენი თუ მტე-  
რიო. იმან იუარა, უარყო, ასე მიუგო (მცირეოდნავაც არ შეცვლია გამხდარი,  
უწყალო სახე, ხმაც), არ შემოძლია, როგორც გინდათ, ისე გაიგეთო ეს ნათ-  
ქვამი, მერე დასძინა, თუ ყოველი კაცი ამ სამხრეთში ჩემსავით მოიქცევა და  
თავისი მამულების აღდგენას შეუდგება, მთელი ეს მხარე და სამხრეთი გადა-  
რჩებაო; ხოდა, ასე გამოსიტუმრა ისანი თავისი ოთახიდან, თავისი სახლიდან,  
ზღურბლზე შედგა, თავზევით აღმართა ლამპა და ასე მოისმინა იმათი წარმო-  
მადგენლის უკანასკნელი სიტყვა: „მაშ, ომი იყოს, სატპენ“, რაზედაც უბა-  
სუბა: „შეჩვეული ვარ მე ამას“. ჰოი, დიახ, მე იმას ვუთვალთვალედი, ვუთ-  
ვალთვალედი ბერიკაცს, რომელმაც მარტოდმარტომ გაუმართა სასტიკი  
ბრძოლა არა ჯიუტ, თუმცა დამყოლ მიწას, არამედ ახლა ახალი დროების  
ქვასავით მძიმე ტვირთს შეეჭიდა, თითქოსდა შიშველი ხელითა და ერთა-  
დერთი ქვით მდინარის დაგუბება მოენდომებინა და მიზნად დაესაბა სინამ-  
დვილედ ქცევა გაუკუღმართებული ოცნებისა, რომელმაც ერთხელ უკვე მოა-  
ლორა (მოალორა? არა, უღალატა! ამჯერად კი ბოლოსაც მოუღებს); ახლა კი  
ვხედავ ამ ანალოგიას — ფუჭი დიდება და შმაგი სიამაყე რა სწრაფად მია-



ქანებდა ამ კაცს დასასრულისაკენ. მე აღრე ეს არ მესმოდა. ოც წელს მო-  
ტანებული მე მაინც ბავშვი ვიყავა, დედის საშოს მსგავს დერფტანში მოკალა-  
თებული. გარესამყაროსეული ხმაური ეჭოდაც კი არ აღწევდა ჩემამდე. მისი  
შეუცნობელი მკვდარი ჩრდილებიც უცხონი რჩებოდნენ ჩემთვის. ბავშვური  
ჩუმი და აუძღვრეველი გაოცებით ვაკვირდებოდი მე სიზმრებში მყოფ  
სახეებს კაცთა და ქაღალთა, ესენი იყვნენ — მამა, ჩემი ძმები — სტეფანე, პეტრე,  
ჯულიანი, პენრი, ჩარლზ ბონი, ვხედავდი იმ მასხრულ თამაშს, რასაც ეძახიან  
პატიოსნებას, ერთგულებას, ქორწინებას, მწუხარებას, სიკვდილს; თუმცა კი  
ის ბავშვი, სატპენს რომ აკვირდებოდა, აღარ იყო ბავშვი, ერთ-ერთი გახლ-  
დათ იმ ტრიუმფირატისა, მე, ჯულიანი და კლიტი რომ შევადგენდით. ხოდა,  
ჩვენ ვაჭმევდით და ვასმევდით, ვაცმევდით და ვახურავდით ამ გაყინულ  
გარსს და ვაძლევდით გასაქანს და სარბიელს იმის უწყალო და უმეცარ  
იმედებს, თუმცა კი ვულში ვფიქრობდით, „ღირს უკვე ამქვეყნად სიცოცხლე,  
თუნდაც იმიტომ, რომ მცველად დავუდგეთ, გიჟური საქციელი არ დავანებოთ  
ამ უგნურ ბავშვს“. ხოდა, ერთ ნაშუადღევს, (ბოსტანში ვიყავი სათოხნელად,  
იქ, სადაც საჯინიბოსაკენ მიმავალი ბილიკი გადიოდა), ავხედე და ის კაცი  
დავინახე, მე მიმზერდა. ოცი წელია მიყურებდა და ახლაც დამინახა, გარინ-  
დებულიყო ბილიკზე და მე მიმზერდა ახლა, ჯერ კიდევ დღისით, მზისით. საქმე  
ის იყო, რომ სწორედ დღისით, მზისით მოხდა ეს ამბავი, როდესაც იმას აქ,  
სახლთან რა უნდოდა, სადღაც უნდა ყოფილიყო გადაკარგული იმ ერთი ასე-  
ული მილის არემიდამოში, რომლის გამოც ჯერ კიდევ თავი არ შეუწყუბებიათ  
და არ წაერთმიათ, ამ არემიდამოს რომელიღაც ერთ წერტილში კი არა, ყვე-  
ლგან და ყოველგან (ის კაცი არ დამცრობილა, არ გამჭრალა და გამდნარა,  
პირიქით, უზომოდ ამადლებულმა და განდიდებულმა, თითქოსდა არადამია-  
ნური ძალისხმევით, ერთი გაუთავებელი, დაუსრულებელი წამის განმავლობა-  
ში შეძლო ჩასჭიდებოდა და გადაერჩინა ათი კვადრატული მილი მიწა და  
ჯიქურ, პირისპირ დადგომოდა შავსეიანობას და ასე დაუმარცხებელი და  
გულუშისმარი თმზერდა თავის საბოლოო ხელმოცარვას, მოულოდნელი რომ  
არც უნდა ყოფილიყო მისთვის); ხოდა, ამის მაგივრად ის იდგა აქ, ბილიკზე,  
და როგორღაც უცნაური და უცხო სახით შემომცქეროდა, თითქოს ეს ეზო და  
ბილიკი იმ წამს, ვინემ დამინახავდა, ჭაობი იყო და ახლა, თავადაც რომ არ  
უწყოდა, ისე, ნათელში შემოდგა ფეხი, და გზა განაგრძო მერე... ის სახე,  
ისევ ის სახე-მეთქი: სიყვარული არ იყო ეს, იმასაც ვერ გეტყვოდით, სინაზე ან  
სიბრალული იყო-მეთქი, სინათლის მეყსეული გაელვება, გაბრწყინება იყო  
ერთი; ამ კაცმა რომ გაიგო, შენმა შვილმა კაცი მოკლა და გადაიკარგაო, ხომ  
ესლა თქვა: „ოჰო ...შენ კი როგორ ხარ, კლიტი?“ და სახლისკენ წავიდა. მაგრამ ეს  
არ იყო სიყვარული, მე ამისი მტკიცება არ შემიძლია; არც თავის გამართლება  
მინდა, არც პატიება. შემეძლო მეთქვა, რომ მე იმას აღრეც ვჭირდებოდი,  
მაშ ახლა რატომ ვარ გაალმასებული, კიდევ უფრო მეტად დავჭირდი-მეთქი?  
მაგრამ მე ეს არ მითქვამს, მე შემიძლია ამჯერად ვთქვა, არ ვიცი-მეთქი, და  
ვიტყვი კიდევაც სიმართლეს იმიტომ, რომ მართლაც არ ვიცი. წავიდა ის კა-  
ცი, და მე ამასაც ვერ მივხვდი, რადგან არსებობს მეტაბოლიზმი სულისა, ისე-  
ვე, როგორც მეტაბოლიზმი სხეულისა, რომელშიაც ის, რაც კარგა ხანია იბუ-  
დებს და გროვდება, დაიწვება, კვლავ შეიქმნება, წარმოჩინდება და აფორია-  
ქებული ბორცის სიქალწულის აბჯს გახევს; დიახ, წამის რაღაც ნაწილში დაი-  
კარგა, დაინთქა ყველა ის იდუმალი ფიცი — არ შემიძლია, არაფრის დიდე-



ბით, არასოდეს; დაიკარგა, დაინთქა იმ ცეცხლოვანი დავიწყების წამს. ჩემი იყო ის წუთი და უნდა გავქცეულიყავი, მაგრამ ფეხი არ მომიცვლია, ის კაცა უკვე წასულიყო და მე არც მახსოვს, როდის წავიდა, თოხნა უკვე დამეშთაწი ბინა და არც ის მახსოვს, როდის დავამთავრე, იმ საღამოს ვახშმად ვიჯექი იმ ნაცნობ, ბუნდსა და სიზმარეულ გარსთან, ვისაც შევეჩვიეთ თანდათანობით (სუფრაზე მჯდომს ერთხელაც არ შემოუხედავს; და მე მაშინ შემეჩვეა ჩემს ქვა, რა სიზმარეული სიბინძურის თბრილში მოგვისვრის, რა ყალბი ოცნებით მოგვატყუებს ეს მოუთოკავი, მოღალატე ხორცი-მეთქი მაგრამ არ მითქვამს). და ერთხელ, ჩვეულებრივსაშებრ, ჯუღითის საწოლ ოთახში ბუნებრივად რომ ვისხედით, კარი შემოაღო, ზღუბლზე შედგა, გამოგვხედა და თქვა, „ჯუღით, და შენც, კლიტი...“ მერე შემოვიდა და ეს გვითხრა: „არა, არა უშავს, როუზა არ გამინაწყენდება, თუ თქვენ ორივენი გარგონებთ, დრო ცოტა გვაქვს, საქმე კი აუარება“, და მოვიდა, ჩემთან, დადგა, თავზე ხელი დამადო და (თუ სად იყურებოდა ამისი მთქმელი, მე არ ვიცი, მაგრამ კი შევატყვე ხმაზე, ჩვენთაგან არც ერთსა და არც არაფერს ხედავდა ამ ოთახში) თქვა: „შენ ალბათ ფიქრობ, ამ კაცს ჩემი დისტოვის მაინცდამაინც კარგი ქმრობა ვერ გაუწყევიაო. მართლაც ასე უნდა ფიქრობდე. მაგრამ თუ შენ არ იტყვი, ახლა ეს კაცი ბეპერიო, მე მგონი, კი შემოიძლია დაგპირდე, უარესი არც შენთვის ვიქნები“.

ასე იყო ეს ამბავი. წამითლა შევხედეთ ერთმანეთს ბოსტანში, მერე თავისი ქალიშვილის საწოლ ოთახში თავზე ერთი გადამისვა ხელი; მიითითება ბრძანება იყო ეს, გულცივად წარმოთქმული განაჩენი, (პოი, სწორედ ასეც იფიქრებდით), რომელსაც ჩვეულებრივ კი არ წარმოთქვამენ ან მოისმენენ, წარწერა გეგონებათ დავიწყებულ, უსახელო საფლავის პრიალა ქვაზე ამოტვიფრული. საბოლოოში აქ არაფერია. მართალი ვარ და შებრალება მინდა-მეთქი, არ ვამბობ, არც მიპასუხნია: „თანახმა ვარ“, იმიტომ კი არა, მას ჩემი პასუხი არ სჭირდებოდა და არც იყო აქ საამისო ადგილი, არცა დრო, არც რაღაც სურვილის ნატამალი. კი შემეძლო ძალით მიმეკვლია ამ ნატამალისათვის, რომ მომსურვებოდა — თუმცა კი ეს ნატამალი არ იქნებოდა ნაზი დიახო, არამედ იქნებოდა იარაღი ბრმა სასოწარკვეთილებით მოცული ქალისა, რომლის პირდია ჭრილობა ასე გაჰყვირის: — არა! არა! მიშველეთ! დამიხსენითო! არა-მეთქი, მე არ მინდა თავის მართლება, არც შებრალება, ხოდა, ვიჯექი, გაშეშებული, იმ ჩემი ბავშვობის დროინდელ კაციჭამია დევს, ამას რა დამავიწყებს, ხელი ისევ ედო ჩემს თავზე და მესმოდა, რაღაც უთხრა ჯუღითს. ჩემთან მოვიდა ჯუღითი, მერე მისი ხელი დავინახე, მისი ხელისგული, რომელზეც დაბეჭდილი ჭრონიკის მსგავსად შემეძლო ამომეკითხა ობლობა, გაცუდებული სიყვარული, ოთხი წლის უმადური შრომისა და იმ იარაღების კვალი, მამაკაცის ღონე რომ სჭირდებოდა, ანუ საქსოვი დაჯგისა, ნაჯახის, თოხის; და ამ ხელისგულზე ბეჭედი დავინახე, ოცდაათი წლის წინ ელენისთვის რომ მიუცია ამ კაცს ეკლესიაში. დიახ, აი ანალოგია, პარადოქსი, და სიგიჟეც ამასთან ერთად ვიჯექი მე იქ და თვალდაბნელებული ვგრძნობდი იმის სლიპინა ბეჭედს თითზე (ის კაცი იჯდა ახლა იმ სკამზე, კლიტისი რომ იყო, ეს გოგო კი დამდგარიყო მოშორებით, სადაც არ სწვდებოდა ბუბრისეული ალის ლაციცი) და მესმოდა იმისი ხმა. სწორედ ასევე ესმოდა ელენს ამ კაცის სიტყვები იმ მშვენიერი აპრილის თვეში ოცდაათი წლის წინათ: სიყვარულსა და ჭოროწინებაზე, ანდა თავის თავზე კი არ მეუბნებოდა ეს კაცი, ერთი ჭკუათამყოფელი მოკვდავი კი არ ელაპარაკებოდა მეორე ჭკუათამყოფელს. არამედ



ბედისწერის იმ შევბნელ ძალებს მიმართავდა თავად რომ გამოიხმო თავისი  
 შლეგური თავმომწონეობის სიზმარეთიდან. სადაც ისევ ისეთივე მრთელი  
 დარჩენილიყო სატპენის ასეული, სინამდვილეში რომ აღარსდეს (და არც  
 არასდროს იქნებოდა), ისეთივე მრთელი-მეთქი, როდესაც ელენმა პირველად  
 გაიგონა ამის შესახებ, და თითქოსდა ახლა, ამ თავისეულ მდგომარეობაში  
 ცოცხალ თითს წამოაყვას ის ბეჭედი, მთელი ოცდაათი წელიწადისა უკან  
 დრო და გააჩერა, გაყინა. დიახ, ვიჯექი მე იქ და მესმოდა მისი ხმა და გულში  
 ვამბობდი: „ხომ არ გაგიყვდა. ამაღამვე მოისურვებს დაქორწინებას, და აღას-  
 რულებს კიდევაც ამას, შეეტლევ თავად იქნება და მღვდელიც, თავადვე  
 დაიკავენს ხელში სანთელს და წარმოთქვამს ლოცვა-კურთხევას; მეც შევი-  
 შალე, არ მინდა და მაინც დავეთანხმები, დავმორჩილდები, გვერდში ამოვუდ-  
 გები და დავილუბები კიდევაც“. არა-მეთქი, ჩემს გამართლებას, შებრალებას  
 მე არა გთხოვთ. იმ ღამეს თუკი გადავრჩი (მართლაცდა გადავრჩი, უფრო მო-  
 გვიანებით გულცივად განწირული მსხვერპლი შევიქნები, როდესაც ჩვენ...  
 უფრო სწორად მე გასამართლებელი არაფერი მექნება, ვერ ვიტყვი, ხორ-  
 ციელმა ვნებამ მომატყუა-მეთქი), ჩემი დამსახურება არ იყო, არც მიცდია  
 რამე, როცა იმან თავისი ბეჭედი წამოაყვას თითზე, მერე ერთხელაც არ გამო-  
 უხედავს აქეთ, უფრო სწორად, ამ საღამოს თუ არ ვიანგარიშებთ, ისევ ისე  
 მიმზერდა, როგორც მთელი ოცი წელიწადი — თითქოსდა რაღაცა დროით,  
 გიყვებს რომ სჩვევიათ ხოლმე, გონს მოვიდა, როგორც საღ-საღამათ ხალხ-  
 საც წამოუვლის ხოლმე საგიჟე, რათა იცოდნენ, რა არის საღი გონი, და უფ-  
 რო მეტაც, მთელი ეს სამი თვე ყოველდღე მხედავდა, თუმცა კი ზედაც არ  
 მიყურებდა; უბრალოდ ერთ-ერთი მეც ვიყავი იმ ტრიუმფირატიდან, რომელ-  
 იც კი იმსახურებდა მადლობას ამ უხეში, ჩუმი კაცისაგან იმ სპარტანული  
 მწირი სარჩოს გამო თუ არა, იმისთვის მაინც, რომ ასე თუ ისე შეეძლო არსე-  
 ბობა თავის შლეგურ სიზმარში დანთქმულს. მაგრამ ორ თვეს ერთხელაც არ  
 დავუნახივარ. შეიძლება იმიტომ, მოცლა არ ჰქონდა; ნიშნობა ხომ მოხდა  
 (თუკი ეს იყო, რაც მას სურდა), თავს რაღატომ შეიწუხებდა ჩემს სანახავად,  
 რაღატომ უნდა ვენახე, ქორწილის დღეც არ დაუნიშნავს. თითქოსდა ის სა-  
 ღამო არც ყოფილიყო არასდროს და არც არაფერი მომხდარიყო. შეიძლებო-  
 და სულაც არ ვყოფილიყავი იმ სახლში. უფრო მეტიც, შემეძლო წავსული-  
 ყავი, შინ დავბრუნებულიყავი და ის კაცი არც კი მომიკითხავდა, მე ვიყავი  
 (და მაინც არ ვიცი ჩემგან რა სურდა, არა მგონია ჩემი იქ ყოფნა, ჩემი იქ  
 დასწრება უნდოდა, ჩემი არსებობადა სჭირდებოდა იმას, გინდ როუზა კოუ-  
 ლდფილდი ყოფილიყო, გინდ ვინმე სხვა ყმაწვილი ქალი, ოღონდ ვინც მისი  
 სისხლით ნათესავი არ იქნებოდა. თუმცა სიმაართლე არ მინდა დავუკარგო —  
 გულშიაც არ გაუვლია ის, რაც მერე, მოგვიანებით შემომთავაზა, არც რა  
 უფაქრია იმ წუთამდე, როდესაც ის ამბავი მამცნო; ვიცი მე, ორ თვეს კი არა, ორ  
 დღესაც არ დაიცდიდა ამის სათქმელად), ჩემი იქ ყოფნა შევბნელი ტყანტობი-  
 სა და დაბურული ეკალბარდის გადასახლად სჭირდებოდა ამ კაცს. ვინც  
 მიიკვლევდა გზას ამ ქაობში უმეგზურიოდ და უმიზნოდ, უიმედოდ, უსინათ-  
 ლოდ, არდამარცხების წარუვალი უინიანობა ჰქონდა მწედ და მშველელად,  
 და ვინც ბოლოს ბრმად და უეცრად გადააწყდებოდა მშრალ, მკვიდრ მიწას, ჰაე-  
 რსა და მზეს, თუკი იყო მისთვის ისეთი ცნება, როგორიცაა მზე და კიდევ  
 სხვა რამე, რასაც შეეძლო დაეფარა ელვარება მისი სიგიჟისა, დიახ, გიჟი იყო-  
 მეთქი, მაგრამ არა მთლად. ბიწიერებასაც ხომ აქვს რაღაც კანონები; ქურდი,



გარეწარი, მკვლელიც კი მისდევს წესსა და რიგს უფრო მკაცრად, ვიდრე ღირსეული, მაშ სიგიჟემ რაღა დააშავა? და თუ ის გიჟი იყო, საფუძველი მისი ავადმყოფობისა აკვიატებული ოცნება გახლდათ და არა საქმენი მისი, როგორღა იქნებოდა. კაცი, ვისაც ტკბილი ენით შეუცდენია ჯონსის მსგავსნი და ისინიც ათასად იჭრებოდნენ მისი გულისათვის; გიჟი როგორღა იქნებოდა ის კაცი-მეთქი, ვინც ახლოსაც არ გაეკარა იმათ, როდესაც ბალანონებსა და კაპიშონებში გახვეულები ღამიამობით ცხენებს დააჭენებდნენ; მეგობრები თუ არა, ერთ დროს მისი ნაცნობები ხომ იყვნენ ისინი, ახლა ასე რომ ცდილობდნენ ემკურნალათ დამარცხების დაჩირქებული წყლულისათვის; გიჟიარ, როგორღა იტყოდით იმ კაცზე, სულ ტყუილაუბრალოდ რომ უნდოდა მოყვანა იმ ერთადერთი ქალისა, ვინც ნამდვილად გაუწევდა მას ცოლობას, ასეთი ხერხითა და საშუალებით სხვა ვინღა გაჰყვებოდა... არა, გიჟი არ იყო, არამეთქი, სიგიჟეში, თუნდაც მთლად გონთ გადასული კაცის სიმლეგეში ხომ არის რაღაც, რასაც თავად სატანაც კი გამოექცეოდა თავისი ნაქნარით თავზარდაცემული და რისი გულისთვისაც ღმერთი შეიწყალებს მას; კი არის მართლაც რაღაც ნაპერწკალი, რაღაც ნამატამალი ნათლისა, რომლის მეშვეობით შეუძლია შვება მოიპოვოს დაჯილდოვებულმა მეტყველების უნარით, სმენით, გემოს შეგრძნებითა და სულით, ვისაც ადამიანიშვილს ვეძახით ჩვენ. მაგრამ ახლა რაღა აზრი აქვს, თუ რა ჰქნა იმ კაცმა, მე თქვენ გიამბობთ და თავად განსაჯეთ (ანუ შევეცდები რომ გიამბოთ, რადგან არის რაღაც, რომლის სათქმელად სამი სიტყვაც სამჯერ უფრო ბევრია და სამი ათასი სიტყვაც ამდენჯერვე ნაკლები, ხოდა, ამდაგვარი იქნება ეს ჩემი მონათხრობიც. კი შემიძლია გიამბოთ; შემიძლია-მეთქი წარმოვთქვა აუარება წინადადება, გავიმეორო ის სიტყვები, იმან რომ მითხრა, სირეგვნით სავსე, უმეცრული, უსირცხვილო და თავხედური, შეურაცხყოთ, რწმენა დაგაკარგვინოთ — იგივე დაგმართოთ, მე რომ დამემართა, როდესაც გავიგე, თუ რას ნიშნავდა ის სიტყვები; ანუ სამი ათასი წინადადება გითხრათ და მხოლოდ ეს იქნება თქვენი პასუხი — რატომ? რატომ? და რატომ? თითქმის ნახევარი საუკუნეა სწორედ ამასვე ვეკითხები ჩემს თავს), მაგრამ მე მინდა თქვენ განსაჯოთ და მითხრათ, ვიყავი თუ არა მართალი.

გესმით, მზე ვიყავი მე, ანუ ასე ვფიქრობდი, და მჯეროდა, სიგიჟეშიაც არის-მეთქი რაღაც ნატამალი, ნაპერწკალი ღვთაებრივი ცეცხლისა, თუმცა კი სიგიჟემ არ იცის არც შემზარავი და არც შეწყალების სიტყვები. ჩემი ბავშვობის დროინდელი ერთი დევი იყო, კაციჭამია, რომელმაც ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე ერთადერთი დღი მომტაცა და წაათრია თავის უემურ დევისეულ საბლში, და იქვე შვა ორი სანახევროდ ურჩბული ბაღლი; მე იქ არ დავყავდი, არც მქონდა სურვილი იმათთან ურთიერთობისა, თითქოსდა ჩემმა ნაგვიანეშმა დაბადებამ, მარტოსულობამ იმავეითვე წინათმგრძნობი გახადა იმ ბედითი ხვანჭებისა და მამცნო კიდევაც ის საბედისწერო ამბავი ჯერ კიდევ მანამ, სანამ გავიგებდი თუ რა არის კაცისმკვლელობა — და ყველაფერი ეს მე ვაპატიე; კი იყო აჩრდილი, ვინც ცხენზე ამხედრებულმა დროშის ფრიალით (ეშმა იყო თუ არ იყო ეშმა) დიდი ბრძოლები გადაიხადა; მე ვაპატიე-მეთქი და, უფრო მეტიც, სულაც გავანადგურე, რადგან იმ ხუთი წლის მერეც სწორედ ისეთივე სისხლითა და ხორციტ დაბრუნებულიყო ის კაციჭამია დევი ჩემი მეხსიერებისა, გამოიშვირა ხელი და მითხრა, მო, მოდიო, ძაღლს რომ დაუძახებენ, ისე, და



მეც მივედი. დიახ, იგივე ტანი-სახე, იგივე სახელი, მეხსიერება, არც არავინ და არაფერი დავიწყებია (ჩემ გარდა — აი, კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი!), თუ რა დატოვა და სად დაბრუნდა; მაგრამ ახლა ის კაცი-ჭამია კი არა, ბოროტი სული იყო ნამდვილად, მაგრამ მოკვდავი სული, რომელიც სცდება და ახლა უფრო შესაბრალოსი ჩანდა ვიდრე საშინელი; კაციჭამია დევი კი არა, გიჟი იყო უთუოდ, ასევე ვეფხისტყაოსნის თავს, მაგრამ გიჟი განა თავისივე სიგიჟის მსხვერპლი არ შეიქნება? ან ეს იქნებ სულაც არ იყო სიგიჟე, სასოწარკვეთილება იყო მარტოსული, უთვისტო მოკაცისა, მისი განწირული და გაათრეხული ბრძოლა რკინისებრ სულთან; კაციჭამია დევი არა-მეთქი, რადგან ის მოკვდა, გაქრა, დაინთქა სიმყრალით. სავსე ცეცხლმოღებულ ზღვაში იმ ჩემი მიუსაფარი ბავშვობის დროინდელი მეხსიერების პიტალო კლდეებს შორის, მეხსიერების-მეთქი... ან დავიწყებისა; მზე ვიყავი მე-მეთქი და მჯეროდა, რომ ის კაცი (იმ სალამოს ჯუდიითის ოთახში მომხდარი ამბის შემდეგ) არ დამივიწყებდა, შეიძლება რაღაც ბურანში იყო და არც კი იცოდა, თუ რა სჭირდა, მსგავსად იმ ყარიბისა, ჭაობიდან მშრალ მიწაზე რომ გამოვა, მზესა და ნათელს იხილავს კვლავ, და კი ვერ დასტკბება სინათლის ცქერით, იმასღა ფიქრობს, რა კარგია წყვდიადსა და ჭაობს რომ დავალწიეო თავი; ასე მჯეროდა, სისხლით ნათესავი თუ არ არის ქალი, კი აქვს მას რაღაც ძალი მომჯადოები, რისთვისაც ჩვენ სიყვარული, ეს უფერი სიტყვა დაგვირქმევია, იქნებ მართლაც შევქმნილიყავი მე იმ კაცისთვის მზე (თუმცა კი უფრო ახალგაზრდა, სუსტი ვიყავი), რომლის სხივებში სულაც უჩრდილონი გამოჩნდებოდნენ ჯუდიითი და კლიტი; დიახ, უფრო ახალგაზრდა ვიყავი მე და უფრო ძალამოსილიც, ასაკით არ განისაზღვრებოდა ეს ძალმოსილება, და მხოლოდ მე შემეძლო მეთქვა: „ჰოი, შე დამთხვეულო, შეშლილო ბებერო, შენი ოცნების საგანი მე ნუ გგონივარ, მაგრამ კი მივცემ ჰაერსა და სივრცეს, ზორცსაც შევასხამ შენს ნაბოდვარს“. ზოდა, ერთ დღეს... ჰოი, ბედი არ გინდა, დღისათ, დღისით, დღისით-მეთქი, გესმით? წარიხოცა იმედი და სიყვარული, წარიხოცა სიამაყე და ღირსება, ყოველივე წარიხოცა, გარდა იმ ოდინდელი აღშფოთების, შეძრწუნებისა და გაოცებისა, რომელიც აგერ უკვე ორმოცდასამი წელია გრძელდება — სახლში დაბრუნდა, დამიძახა, უკანა კიბის ქვემოდან მიყვიროდა, ვიდრე არ ჩამოვედი; ჰოი, მე ხომ გითხარი, იმ კაცს იმ წუთამდე ამაზე არ უფიქრია, იმ გაუთავებელ წუთამდე, როდესაც მან ის მანძილი გამოირა, სახლიდან იმ ადგილამდე რომ იყო, სადაც ამ აზრმა გაუელვა თავში; და კიდევ აი ასეთი თანხვდენილობა — სწორედ იმ დღეს მოხდა ეს ამბავი, როცა მან ცხადლივ და საბოლოოდ გაიგო, იმ ასი კვადრატული მილიდან რამდენის გადარჩენა და შენარჩუნება შეიძლებოდა, ისე რომ სიკვდილის ეამს ეთქვა, ჩემიანო ეს, და ახლა რაც უნდა მოსვლოდა, სატპენის ასეულის გარსი მაინც დარჩებოდა; უფრო სწორად, სატპენის ერთეული... მიხმობდა, მიყვიროდა, ვიდრე დაბლა არ ჩავედი. თავისი ცხენის დაბმაც ვერ მოესწრო, იდგა, ხელში აღვირი დაუკავებინა (ჩემთვის თავზე აღარ გადაუსვამს ამჯერად ხელი), და ისე უხეშად, უსივრცევილოდ შელაპარაკებოდა, ვითარცა ჯონსთან ან ვინმე იმდაგვართან საუბრობდა ჭაკის ან ძუკნა ძაღლის შესახებ.

თქვენ ალბათ ჩემს სახლში დაბრუნების ამბავსაც გაამბობდნენ. ჰოი, დიახ, ვიცი მე: „ხოდა, ასე დაკარგა იგი როუზა კოულდფილდმა, ცხარე ცრემლებით მისტიროდა. კაცი კი ჩაიგდო ხელში, მაგრამ ვერ შეინარჩუნა“ თქ.



დიახ, ვიცი მე (ცუდი არ უნდოდათ, ჩემთვის ცუდი არ უნდოდათ): როუზა კოულდფილდი, ქვეყნის საპატრონო ბედკრული, საბრალო ობოლი, როუზა კოულდფილდი რომ ეძახდნენ, ბოლოს და ბოლოს ბედს ეწია და დაინიშნა, სული მოითქვა ქალაქმა, მხარემ; თქვენ იმასაც გეტყოდნენ, თუ როგორ გად-  
 ავედი მე იქ საცხოვრებლად, სადაც უნდა გამეღია კიდევაც წუთისოფელი, ჩემს დისწულს თითქოსდა განგებამ ჩაადენინა მკველობა, რათა მე მამასწავლობ-  
 დისადმი მიცემული სიტყვა შემესრულებინა და ორიდან ერთი ბაღში მსხვერ-  
 დამეხსნა, ისინი კი თავად ამ ქალმა გასწირა ჩასახვისთანავე; იმასაც გეტყო-  
 დნენ, ნამდვილად კი იმიტომ გადავიდა იქ, სახლში რომ დახვედროდაო იმ  
 კაცს, ვისაც ტყვია და ყუმბარა ვერაფერს დააყლებდა და უსათუოდ დაბრუნ-  
 დებოდა; და რაკილა ახალგაზრდა ვიყავი, მე თურმე იმას ველოდებოდი (ჩემი  
 იმედები ბუკის ხმასა და დროშის ფრიალში როდი გაცუდებულებოდა). გასათ-  
 ხოვრად მომწიფებულვარ თურმე იმ დროს იქ, სადაც ყმაწვილკაცთაგან უმე-  
 ტესობა დაბოცილებოდა, დარჩენილიყვნენ მხოლოდ მოხუცები და ცოლიანები  
 ან ისინი, ვინც ისე მოღლილან, არც კი შეეძლოთ სიყვარული; ხოდა, ის კაცი  
 იყო თურმე საუკეთესო, ერთადერთი სასოება ჩემი—თუნდაც ომი არ ყოფილი-  
 ყო, ამ არემიდამოში ვისი იმედი უნდა მქონოდა, სამხრეთელ წარჩინებულთა-  
 განი მე არ ცუდებოდა, დაბალი წარმოშობისა გახლდით, რაღა თქმა უნდა.  
 მდიდარი პლანტატორის შვილად რომ გავჩენილიყავი, ვინლა არ მიტხოვ-  
 და, მაგრამ ჩემი მამა ღარიბ-ღატაკი მედუქნე იყო და ყვავილების ერთ  
 კონასაც ვერ გამოვართმევდი ვინმეს. ხოდა, ასე ვიყავი განწირული, თუკი  
 ვილაც შემთხვევით მოსული არ დაუდგებოდა მამაჩემს ნოქრად და არ გავხ-  
 დებოდი იმისი ცოლი... დიახ, თქვენ იმასაც გეტყოდნენ: ახალგაზრდა იყო და  
 იმედი იმ ღამეს გადაუწყდა, ოთხი წელიწადი რომ გაგრძელებოდაო, როდე-  
 საც მოჩრდილულ და ჩაუქრობელ სანთელთან მჯდომარემ ძველი საანგარი-  
 შო რვეულის უკანა გვერდებზე შემოგვინახა, არდავიწყებას გადაარჩინა ომი  
 და მისი ნაანდერძევი ტანჯვა-ვაება, უსამართლობა და კაეშანი, არდავიწყების  
 შარავანდით შემოსა უპაერო სამყოფლში გამოკეტილმა, ნდომის, ზიზლისა  
 და მკვლელობის შხამ-ნაღველში დანთქმულმა... თქვენ ამასაც გეტყოდნენ, ქა-  
 ლიშვილი ზურგში მოკალათებული კაცისა, ეშმა, გარეწარი რომ შეიქნა;  
 სწორი იყო, მამა რომ შეიზიზლა, ვინაც სხვენში სული დალია და თავისი  
 ასული სიძის კარზე გააგდო სამათხოვროდ, რათა მისი პური ეჭამა და მისი  
 ტანსაცმელი ჩაეცვა (თუმცა გულხელდაკრეფილი არ დამჯდარა იქ, ბოსტნის  
 მოვლაშიც ეხმარებოდა და ქსოვაშიც), ვიდრე ნათელი არ გახდა, რომ სამა-  
 რთლიანობა არ იქნებოდა არ დაეთმო იმ კაცისათვის, თუკი ამით ქალიშვილს  
 ღირსება არ შეელახებოდა, და ასე დაინიშნა კიდევაც; დაინიშნა და მთელი  
 ორმოცდასამი წელიწადი ღამღამობით მწოლი ასე ეკითხებოდა თავს: რატომ,  
 რატომ, და რატომო, თითქოსდა ეს გოგო, ჯერ კიდევ ბალლი, ქვეშეცნეულად  
 მართალი იყო, ასე რომ შეიზიზლა მამა და მთელი ორმოცდასამი წლის  
 მისი უღონო, გაუსაძლისი და შეურაცხყოფილი ყოფა საფუძველი გახდა მისი-  
 ვე გაცუდებული და უშვილძირო ცხოვრებისა, მშობელი მამა შეიძულაო და  
 ამიტომ... დიახ, როუზა კოულდფილდი, როგორც იქნა, დაინიშნა; დას იმისა-  
 თვის რომ არ ეანდერძებინა რაღაც თავშესაფარი და ვილაც მოყვრები, ქალა-  
 ქას ზელის შემყურე შეიქნებოდა; და ახლა როუზა კოულდფილდმა ის კაციც  
 დაკარგა და ცრემლებად დაიღვარა; საქმრო იშოვა და ვერ კი შეინარჩუნა;  
 შეიძლება მართალი იყო როუზა კოულდფილდი, მაგრამ მართო სიმართლე



რას უშველის ქალს, სჯობს მტყუანი გამოდგეს, ვიდრე დაკმაყოფილდეს მხოლოდ თავისი სიმაართლით; ქალს ისეთი მამაკაცი უნდა, ვინც ალიარებს, მე ვარო მტყუანი. და სწორედ იმიტომ ვერ აპატიო მან იმ კაცს — შეურაცხყოფა, თუნდაც მოტყუება და მიტოვება არაფერი იყო მისთვის, თორემ არ უნდა მომკვდარიყო. დიახ, მე ვიცი, ვიცი-მეთქი, თუ როგორ გააგეს, რომ თავის შემდეგ, გუდა-ნაბადი აიკრა იმ ქალმა (უფრო სწორად, შაქრისმომწამს — ქუდი დაიხურა) და ქალაქს ისევ ჩამობრუნდა, სულ მარტო დაიწყო ცხოვრება იმ სახლში, სადაც მისი მშობლები დაიხოცნენ და სადაც ჯუდიოთი თუ ჩამოვიდოდა ხანდახან და სატპენის ასეულიდან ცოტაოდენ სანოვაგეს ჩამოუტანდა, რაზედაც დიდმა გაჭირვებამ, შეუცნობელმა ცხოველურმა სიჭიუტემ, ხორცის სიცოცხლისავე ღირებულებამ ვეღარ ათქმევინა (მისს კოულდფილდს) უარი. მართლაცდა დიდი გაჭირვება იყო, რადგან ახლა მთელ ქალაქს — ჩამოსულ ფერმერებს, თეთრების სახლებში მიმავალ ზანგ მზარეულებს — შეეძლო დაენახა — ეს ქალი, ჯერ კიდევ დილაბნელის დადგომამდე ლობე-ლობე რომ დადიოდა, სადმე ხერელი რომ ენახა და მეზობლებისას მოეკრაფა თავისთვის მწვანილი, საკუთარი არც ბოსტანი ჰქონდა და არც თესლი; ან კი რად უნდოდა, რიგიანად არც კი იცოდა იმათი მოვლა. წელიწადი თუ იქნებოდა, რაც ბოსტანში მოუხდა მუშაობა და, თქმა არ უნდა, კარგადაც რომ სცოდნოდა, მაინც არ შეიწუხებდა თავს; შეჰყოფდა ბელს ლობეში და დაგლეჯდა ბოსტნეულს, თუმცა კი ეპატიებოდნენ, შემოდი და რაც გინდა წაიღეო, სულაც თავად მოუკრეფდნენ და გამოუგზავნიდნენ, მოსამართლე ბენბოუს გარდა სხვაც ბევრი უტოვებდა დამდამოებით კიბეზე კალათს სანოვაგით. მაგრამ ეს ქალი როგორ დაანებებდა ამას, ლობის ძირას მიჩუმებული ჯობსაც არ მოიშველიებდა ბოსტნეულის მისაწვდენად, იმასლა სჯერდებოდა, რასაც ცარიელი ხელით მოპოტნიდა და არც არასდროს უღალატნია ამ წესისათვის. ქალაქი ჯერ კიდევ შუა ძილში იყო, როდესაც ეს ქალი საქურდლად გამოდიოდა, ზანგი მსახური რომ ჰყოლოდა, დღისით, მზისით გამოუშვებდა ამ საქმისათვის, არაფრის დარდი აღარ ექნებოდა, სწორედ ასე აგზავნიდნენ თავის ხალხს ცხენისათვის საკვების საშოვნელად ის გმირი-კავალერისტები, რომლებსაც ამ ქალმა ხოტბა შეასხა თავის ლექსებში... დიახ, როუზა კოულდფილდმა დაკარგა ის კაცი და ცრემლებად დაიღვარა; ნახა საქმრო და ვერ კი შეინარჩუნა (დიახ, თქვენ ამასაც გეტყვოდნენ; ნახა საქმრო, მაგრამ შეურაცხყოფილი დარჩა, მოსმინა ისეთი რაღაც, რასაც ვერ დაივიწყებდა, არა იმიტომ, ის რაღაც ითქვა, არამედ მასზე ამის გაფიქრებაც რომ გაბედეს, და როცა გაიგონა, მეხი დაეცა ეგონა, რაკილა მიხვდა, ის კაცი ამაზე ფიქრობდა მთელი დღე, მთელი კვირა, სულაც მთელი თვე, ყოველდღე ამ ფიქრით მოცული შემოსცქეროდა და თავად არც კი იცოდა ეს ამბავი. მაგრამ მე ესეც დავივიწყე. შეიძლება თქვენ სხვანაირად გითხრან, მაგრამ ასე იყო სწორედ. რატომაც არა? დასავიწყებელი არც არაფერი მქონდა; მე ის კაცი არ დამიკარგავს, რადგან ის არც არასდროს ყოფილა ჩემი საკუთრება; რაღაცის ტალახის გუნდა შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში, ისეთი რაღაც მითხრა, რაც არასდროს არ გამიგონია და არც გავიგონებ არასდროს, და მერე გავიდა და მორჩა, გათავდა. მე იმას არც არასოდეს ვეკუთვნოდი, თქვენ შეიძლება ამ სიტყვებში რაღაც სიბილწე დაინახოთ, (მაგრამ შემცდარი იქნებით) და გგონიათ, ესეც ამასვე ხედავსო. თუმცა ამას არც ჰქონდა რამე მნიშვნელობა. შეურაცხოფის არსი სულ სხვა რამეში იყო. მგონია, ის კაცი არც ეკუთვნოდა ვინმეს



ამქვეყნად, არც აღრე და არც მერე, ვერც ელენი იტყოდა ამას და ვერც ჯონსის შეილიშვილი. რადგან მან თავი ვერ განიხორციელა ამ ქვეყანაზე-ჩრდილი გახლდათ მოარული. დამურა იყო, მიწისქვეშეთიდან ამოღწეულ ეშმასეულ შუქში დანთქმული, თავისი ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამების მერე, როგორც უკუანარეკლი, რომელიც ეფინებოდა ყველას და ყველაფერს; უკუხეთი ქაოსის უფსკრულოვანიდან ამოსული და უკუხეთი ქაოსის უფსკრულოვანიდან ამოღწეულ ნებულს (არაფერს გეუბნებათ ასეთი თანამიმდევრობა?) ელიფსებში მდებარე მთებში მიახლებული ლამობდა ფუჭი და უნორცო ხელებით ჩაბლაუჭებოდა ყოველივე იმას, რასაც შეეძლო შეემაგრებინა, გადაერჩინა იგი — ჯერ ელენს (არაფერს გეუბნებათ ასეთი ეს დასაწყისი?), მერე მე და ბოლოს უმამო გოგოს, შეილს უოშ ჯონსის ერთადერთი ასულისა, ვისაც, ერთხელ ასე გავიგე, მემფისის სამეფო სახლში ამოხდა სული; დასასრულს კი ჰპოვა იმ კაცმა ხსნა (მშვიდობა და სასუფეველი თუ არა) — ეანგიანი ცელი შემოჰკრეს და გაათავეს. მე ესეც მითხრეს, ესეც მაეცნობეს, თუმცა ამჯერად ჯონსს არ მოუტანია ჩემთვის ამბავი, ვილაცა სხვამ დამდო პატივი, შემოიარა და თქვა, ის კაცი მოკვდაო. მე დავიყვარე — მაშ მოკვდი? მოკვდი-მეთქი? შენ? მატყუებ! შენი სიკვდილი როგორ შეიძლება, ცად შენ ვერ ამალღდები, ჯოჯოხეთი შენ ვერ გზიდავს, ვერა-მეთქი! კვენტინი ყურს აღარ უგდებდა, რადგან ამ ქალის მონათხრობში იყო რაღაცა, რასაც ვერ გაითავისებდა — აი, ეს კარი, ვილაცეები ამორბიან, ფეხის ხმა მოისმის კიბიდან და იმ გასროლის ექო შერწყმია კიდეც, ორი უმაწვილი ქალია აქ, ერთი ზანგი, მეორე თეთრი, პერანგის ამარა (ფქვილის ტომრებისაგან შეეკერათ, როცა კი ფქვილი ჰქონდათ, სარკმლის ფარდებისაგანაც შეეკერეს, როცა აღარაფერი დარჩათ), გარინდებულან ორნივე და კარებს შესცქერიან, ლოგინზე ფაქიზად გადაუფენიათ ძველი მოყვითალო მაქმანიანი ატლასი. თეთრი გოგო იმას ხელს დასტაცებს და მკერდზე მიიფარებს, ზათქით განიხვნება კარი და ძმა გამოჩნდება მისი, უქუდოდ მდგარი, ხიშტით დავარცხნილი ხშირი თმა ჩამოფენია გამხდარლოყებიან წვერგაუპარსავ სახეს, დაკერებული, გახუნებული ნაცრისფერი სამხედრო სამოსელი აცვია და დამბაჩა უკავია ჩამოშვებულ ხელში; პირისპირ შეურილან და-ძმა, საოცრად მსგავსნი ერთმანეთისა და სქესობრივი სხვაობა უფრო ცხადლივ წარმოაჩენს იმას, რომ ერთი სისხლხორცისანი არიან, და თითქმის გაუსაძლისი მსგავსების მქონე ეს ორი არსება მოკლემოკლედ ეპასუხებიან ერთმანეთს, სილის გაწნასავით გაისმის იმათი სიტყვები, მკერდი-მკერდ მიახლებულან და იმათგან არც ერთი არ ცდილობს აიცილოს დარტყმა.

ახლა ველარ მისთხოვდები.  
რატომ ველარ მივთხოვდები?  
იმითომ რომ მკვდარია.  
მკვდარია?  
დიახ, მე მოვკალი.

მას (კვენტინს) არ შეეძლო ამისი გათავისება. ყურსაც აღარ უგდებდა ამ ქალს; მხოლოდ ესა თქვა: „რაო, ქალბატონო, რა, რა ბრძანეთო?“

— ვილაცაა ამ სახლში.

— ამ სახლში? კლიტია. ის ხომ...

— არა, ვილაც ცხოვრობს-მეთქი აქ და იმალება. ოთხი წელიწადი აქაა, დამალული ცხოვრობს ამ სახლში.



თოვლი დაფენოდა შრივს პალტოს სახელოზე, ქერაბაღნიანი კუბელთათ-  
მანო ოთხკუთხა ხელი უინვისაგან გაწითლებოდა. მერე კვენტინის წინ მაგიდაზე  
ლამპის ქვეშ გადაშლილ სახელმძღვანელოზე სწორკუთხა კონვერტი გამოჩნდა,  
ზედ ნაცნობი ფერგადასული ტვიფარი — ჯეფერსონი 10 დანქანის მისისიპი  
და რომ გახსნა, ამოიკითხა — ჩემო ძვირფასო შვილო, მშვენიერი დახრილი  
ხელით იყო ნაწერი; ის მკვდარი ზაფხული გაახსენდა, მაშინ ჰარვარდს გასამგ-  
ზავრებლად ემზადებოდა, და ახლა ლამპით განათებულ უცხო მაგიდაზე მამის  
წერილი დაინახა აქ, კემბრიჯში; იმ მკვდარი ზაფხულის ბინდბუნდს, გლიცინი-  
ას, სიგარის კვამლს, ციციანათელებს ახალი ინგლისის უცხო, უინულოვანი  
არემიდამოები მისისიპიდან გადმოევლოთ და აქ, ამ უცხო ოთახში დაევანე-  
ბინათ:

ჩემო ძვირფასო შვილო,

მისს როუზა კოულდფილდი დავასაფლავეთ გუშინ. თითქმის ორი კვირა  
აღარ მოსულა გონს და ასე აზრდაკარგული ორი დღის წინ გარდაიცვალა.  
ამბობენ, ტკივილს ვერ გრძნობდაო, თუმცა არ ვიცი, რას გულისხმობენ ამისი  
მთქმელნი; სულმუდამ ასე მეგონა, აღსასრულის ხანს ტკივილს ვერ იგრძ-  
ნობს ის, ვისაც სიკვდილი, როგორც იტყვიან, ზურგიდან წამოადგება უეცრად  
და გონს დაუკარგავს; გარდაცვლილის ახლობლებისათვის თუ არის ეს ხანმოკ-  
ლე და განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობა, მაშინ ასეთივე განსაკუთრე-  
ბული მდგომარეობა უნდა ჰქონდეთ მომაცვდავთაც. არ ვიცი, უფრო მეტად  
რამ უნდა გასტანჯოს, ბავშვსა და იდიოტზე ამას ვერ ვიტყვით, ყოველი ჰქუ-  
ათამყოფელი, როდესაც იმას ნელინელ, თანდათანობით უახლოვდება ის, რაც  
ხანგრძლივი დროის მანძილზე მშფოთვარესა და შეძრწუნებულს უსათუო და  
შეუცნობელ დასასრულად წარმოედგინა, არც ის ვიცი, როგორ შეიძლება  
შვება ნახოს, ტკივილი დაუყუჩდეს იმას, ვისაც მთელი ორმოცდასამი წელი-  
წადი წყენა არ უნელდებოდა და ეს გრძნობა იყო მისთვის პური, ცეცხლი და  
სუყველაფერი...

...წერილმა მოიყოლია სექტემბრის ის მწუხრი (სულ მალე ასე ახსნის იგი:  
„არა, დეიდა არ იყო, არც დეიდაშვილი, არცა ბიძია, როუზა, მისს როუზა  
კოულდფილდი იყო, მოხუცებული ქალბატონი, შეურაცხყოფისაგან სულ ახალ-  
გაზრდა მიიცვალა 1866-ის ზაფხულს“; მერე შრივმა თქვა: „მაშ შენი ნათესავი,  
მოყვარეც არ ყოფილა ის ქალი, მაშ იმ შენს სამხრეთში აღმოჩნდა ერთი ბაი-  
არდი და ერთიც ჯინევრა, რომლებიც შენ ნათესავად არ მოგხვდებოდნენ?“  
პირველად არ ეკითხებოდა შრივი ამას, სექტემბრის მერე სხვებსაც უთხოვიათ  
მისთვის არაერთხელ: გვიამბე სამხრეთზე, რა ხდება იქ, რას შვრებიან იქ, რა-  
ტომ ცხოვრობენ იქ. საერთოდ რატომ ცხოვრობენ), ის სექტემბრის მწუხრი,  
როდესაც ბ-ნმა კომპსონმა, როგორც იქნა, დაამთავრა თავისი მონათხრობი და  
მან (კვენტინმა), როგორც იქნა, თავი დააღწია მამის მონათხრობის ხვანჯერს.  
წასვლის დრო იყო, და სულაც არა იმიტომ, რომ კიდევ დარჩენოდა რამე მო-  
ხასმენი, არამედ იმიტომ, რომ უკვე აღარაფრის გათავისება აღარ შეეძლო მას:  
ის კარი, უმაწვილკაცის გამხდარი სახე, ტრაგიკული ნიღაბი სტუდენტური  
წარმოდგენისა, თითქოსდა თავისი თამაშით თავდავიწყებული შამლეტი გონს  
მოსულიყო ფარდის ჩამოშვების შემდეგ და ბორძიკ-ბორძიკით გარბოდა



მტვრიანი სცენიდან, საიდანაც მთელი დასი იყო წასული ჯერ კიდევ შარშან-დელი გამოშვების საღამოს; დაი მისი, ვისაც კაბა აუფარებია საქორწინო, ველარასოდეს რომ ვერ ჩაიცვამს, ვერც იმის შეკერვასაც დაამთავრებს, სილის გაწნასავით გაისმის იმათი თორმეტ-თოთხმეტოდე სიტყვა, რომლის მეტი წილი ორგზის თუ სამგზის იქნება გამეორებული, დედააზრი კი უკვე ხუთჯერ სიტყვაშია ჩაჭდებული.

შინაღმოსა

შალმოხურული იყო იგი (მისს კოულდფილდი), სწორედ ასედაც ელოდა მას, და ქუდიც ეხურა (ერთ ღროს შავი ფერისა, ახლა გახუნებულიყო და ბებერი ფარშავანგის ფრთის ჭუჭყიანი მეტალისფერი სიმწვანე დაკრავდა), ხელთ ეპურა კარგა მოზრდილი ჩემოდნისტოლა ხელჩანთა, შიგნით ჩხრიალი გაჰქონდა სახლის უველა გასაღებს — სამწარეულოს კარადიდან დაწყებული დამთავრებული სადარბაზოს კარით უველა დაეკეტა. ზოგიერთი საკეტი ისე ჩაუანგებულიყო, რომ გასაღები არც კი ტრიალდებოდა, თუმცა ბავშვიც კი გააღებდა ქინძისთავით ან საღეჭი რეზინით, ზოგიერთი კი სულაც აღარ ერგებოდა და დანსგავსებოდა დიდი ხნის ცოლ-ქმარს, რომლებსაც საერთო აღარაფერი დარჩენიათ, არც გასაკეთებელი და არც სალაპარაკო. მხოლოდ ერთი ბაერით სუნთქავს ორივე და დადიან ამ უოვლისდამვიწყებელ და უოვლისმომთმენ მიწაზე... ის საღამო, ის თორმეტი მილი, ნასუქმა ფაშატმა რომ გამოატარათ სექტემბრის უმთვარო გზაზე; ხეებს არ აეტოტათ აქ წვეროკინები, მიწას გაკვროდნენ ვეებერთელა ფრთოსნებით, მძიმედ ჩამოეშვათ დაბურული ფოთლები, თითქოსდა ფრთებიან სულთმობრძავი ფრინველისა, ორი თვის გაბურებული რეზინით მტვერი ედო გზისპირა ბუჩქნარს და ცხენიცა და ორთვალაც ისე იძვროდნენ ამ მტვრიან ღრუბელში მოქცეულნი, ვითარცა შენაერთი რაღაც მკვრივი ნივთიერებებისა, მტკიცედ და ჭიუტად რომ ამოზიდულან ძველისძველი, ვულკანური წარმოშობის, უუანგბადო პირველყოფილი თხევადი ელემენტის სახით; ცხენი და ორთვალა დანთქმულა ამ მტვრიან ღრუბელში, რომელიც ქარს არ წამოუშლია, არც ბაერს გაუჩერებია მალა, თავად შობილა უეცრად, ხორცი შეუსხამს და სამუდამოდ გარშემორტყმია მათ — ერთი კუბური ფუტი მტვერისა ერთ კუბურ ფუტ ცხენსა და ორთვალაზე მოდის და მიცოცავს ტოტებით ნახაზ, მძვინვარე ვარსკვლავებით მოჭედილ უძირო მელნისფერი ზეცის ქვეშ; ნელინელ მიიხვევა მტვრიანი ღრუბელი და ევლება მათ მუქარით კი არა, არამედ ნაზად, მეგობრულად, თითქოსდა რიდით ამბობს: წადით, თუ გნებავთ, მაგრამ პირველი მე მივალ იქ; თქვენ წინარე პუშტივით შეკრული პირველად მე მივალ იქ, ავმალლდები, რბილად ამოვეკვრები ჩლიქებსა და ბორბლებს და მიზანს ველარ მიატანთ, არამედ რბილად გადაეშვებით რომელიღაც ხევში, ნაზი, განუჭვრეტელი ღამე გადაიშლება თქვენ წინ და რაღას იზამთ, უკანვე უნდა დაბრუნდეთ, და ამიტომაც გირჩევთ, ნულარ წახვალთ, გამობრუნდით ამწუთსვე და დაე დარჩეს უველაფერი ისე, როგორც იყო; იგი (ცვენტინი) ორთვალაზე იქდა ამ უწყალო, თოჯინას მხგავსი მოხუცი ქალის გვერდით, ჩითის ქოლგისთვის რომ ჩაეჭიდა ხელი, ხანიერი ქალის სხეულის მძაფრი ხუნი ტრიალდებდა, ძველსავე შალის ნაკეცებში შერჩენილ ნაფტალინსაც უფრო მოემატებინა ეს სიმძაფრე; ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოსდა ელნათურად იქცა, მხოლოდ სისხლად და ტუავად — ორთვალა ისე ეელა მიდიოდა, სრულიად დაშრეტოდა ბაერს სიგრილვე, თავადაც შიგნით უძრავად მყოფს ოფლი არ მოხდიოდა და ახე ფიქრობდა: ღმერთო, ჩემო, ნუ, ნუ გვაპოვნინებ იმ კაცს თუ რაღაცას, ნურც კი ვეცდებით იმ კაცის თუ რაღაცის



მოვნას, ვაითუ შეეწუხნოთ ის კაცი თუ რაღაც; ისევ დაუძახა შრივმა: დაიცა, დაიცა, შენ გინდა თქვა, რომ ამ ბებრუხანას, ამ დეიდა როუზას...

— მისს როუზას, — კვენტინმა თქვა.\*

— კარგი, კარგი... ამ მოხუც ქალბატონს, ამ დეიდა როუზას-სას...

— მისს როუზას-მეთქი, ხომ გეუბნები.

— კარგი, კარგი, კარგი... ამ... ამ... მოხუცს... ამ დეიდა როუზას-სას... კარგი, კარგი... ვინც უნდა იყოს, მთელი ორმოცდასამი წელიწადი უფროსი ბიჭებია იმ სახლის ზღურბლზე და მაინც ამბობს, ვიღაცა არისო იქ დამალული; ხოდა, ის წამოიყვანა, ვინც დაიჭერა მისი ნათქვამი და შუადამით თორმეტი მილი გამოიარა, რათა გაეგო, მართალი იყო თუ არა?

— დიახ, — თქვა კვენტინმა.

— ხოდა, მავზოლეუმივით ხალხით გაჭედო ქალბატონს ისლა აღარდებდა, უხმოდ და შეუჭირვებლად გაეღია წუთისოფელი, გულიდან არ ამოერეცხა მამის, მამიდისა და სიძის ზიზღი და გულმშვიდად და უშფოთველად დალოდებოდა იმ დღეს, როდესაც ისინი არა მარტო საკუთარ თავს, ყველას დაუმტკიცებდნენ, მართალი იყო ეს ქალი. ერთ ღამეს მისი მამიდა საწვიმარ მილს ჩამოშვდა და ცხენის ვაჭართან ერთად გაიპარა, მაშასადამე, მამიდამ გაუმართლა ვარაუდი; მერე იყო და მამამისი სხვენში აძვრა და კარი აჭედა, აჯანყებულთა არმიაში სამსახურს ასე დააღწია თავი, თუმცა შიმშილით კი ამოხდა სული, და აქაც გაუმართლა ვარაუდმა ქალს, ოღონდ მთლად არა, რადგან ის უამრავ ველარ დადგებოდა, როდესაც მამას უნდა ეთქვა მისთვის, შენ მართალი იყავიო, სიტყვასაც ვერ დაძრავდა, მსმენელიც აღარ ეყოლებოდა ვინმე; ასე რომ მამის შემთხვევაშიაც არ სტყუოდა ქალი; მას რომ გენერალი ლი და ჯეფ დევისი არ გაეცეცხლებინა, აღარც იმ სხვენში დამალვა მოუხდებოდა, შინაც აღარ დარჩებოდა ობოლი და ღარიბ-ღატაკი გოგო, ვისაც ველარ მიაყენებდნენ შეურაცხყოფას; სიძემაც გაუმართლა ასევე, ეშმა რომ არ ყოფილიყო ის კაცი, მაშინ მის შვილებს დამცველი აღარ დასჭირდებოდათ, თავის სახლში იცხოვრებდა და, აწ უკვე ბერიკაცი, არც ამ ქალს მოატყუებდა; კასანდრას ნაცვლად დაქვრივებულ აგამემნონთან ვნებით წამონთებულ, თუმცა გამოუცდელ თისებს როლის თამაში არ მოუხდებოდა დაჩაჩანაკებულ და წელკავიან პირამესთან, ვინც იმ ღირსსახსოვარი აპრილის თვეში თავს წამოადგა, ვითარცა ეშმა მრავალსახოვანი, და უთხრა, მოდი ვცადოთ და თუ ბიჭი გვეყოლება, ჯვარი მაშინ დავიწეროთო; ხოდა, თავზარდაცემული, გაალმასებული ქალაქს აღარ მიაშურებდა, სადაც ამდენი შხამნადველი უნდა შეესვა ყოველ დილაუთენია ღობე-ღობე ძროხითა და ქურდობით, ვინც ვერავის მოუთხრობდა ამის შესახებ, რისი მიზეზიც მისი შემცველის ვინაობა იყო და არა ის, რომ იმ კაცმა ის შემცველი ისე ნახა, ფეხი არ გაუდგამს გარეთ, იმ დღესვე იპოვა თურმე; დიახ, მიზეზი ის იყო, ვინ გახდა მისი შემცველი, ის ამბავიც, რომ ისეთი ვითარება ან აუცილებლობა შეიქნა, უარი უნდა ეთქვა იმ მოვალეობის შესრულებაზე, რასაც, თუნდაც იმ ეშმას აზრით, მისი შემცველიც კარგად გაართმევდა თავს; აქ კი ხელი მოეცა რა-მეთქი, რადგან როცა სიძეს თავისი დანაშაული უნდა ეღიარებინა, მოუვიდა ის, რაც მის მამას, ადგა და მოკვდა; თქმა არ უნდა, ამ ქალმა განჭვრიტა ის ცელიც თუნდაც იმიტომ, რომ ამ იარაღით გასრულდა მისი აბუჩად აგდება და

\* დეიდა როუზა ეწოდა შრივმა ქალს და ამით უხეშად დაარღვია იმდროინდელ სამხრეთში გაბატონებული წესი, რადგან ამ სიტყვით — „დეიდა“ — მხოლოდ ზანგი ქალისთვის შეეძლოთ მიემართათ.



— დიახ, — თქვა კვენტინმა.

— ხოდა, მობრუნდა ის კაცი სახლში და ხედავს, ისე უყოჩაღიათ მის შვილებს, რომ შემკვიდრე აღარავინ რჩება, მისი პლანტაცია გავრანებულია, მის მიწებზე სარეველა ბალახები ხარობს, მეტი არაფერი. შეერთებული შტატების სასამართლო აღმასრულებლებს მთელი მისი არემიდა მოუზღადაუ-თესიათ გადასახადებითა და ჯარიმებით, იანკების მეშვეობით ~~მეშვეობით~~ <sup>მეშვეობით</sup> ზან-გი გაქცეულა, შეიძლება გეფიქრა, ახლა კი დაწყნარდებაო ~~მისი~~ <sup>მისი</sup> ~~მეშვეობით~~ <sup>მეშვეობით</sup> მაგრამ ჯერ კიდევ უზანგიდან არ ჩამოედო ფეხი, რომ თავისი პლანტაციის აღდგენას შეეცადა და არა მარტო ამას; იქნებ იმედიც ჰქონდა, ასე გავაცურებო იმ ჩემს მე ვაღეს — რაკილა იმას ეგონება, ამ კაცს ასე ჰგონია, ჯერ კიდევ არ მო-მიქამიაო წუთისოფელი და არც რამე შეცვლილაო; თუმცა კი თითქმის სამოც წელს იყო მიტანებული, მაგრამ კიდევ მოასწრებს დაწვრილშვილებას, თავის მწე და მშველელთა დაზრდას, და ამ მიწისთვის ქალთაგან უკანასკნელს აირჩევს, ვისი შეცდენაც შეიძლებოდა, ეს იყო დეიდა რო... ჰო, კარგი, კარგი, კარგი... ამ ქალს კი ეზიზღებოდა იგი, ხოდა, სწორედ იმას აირჩევს ენით უთქ-მელი თავხედობით, თითქოსდა მთლად სასოწარკვეთილებით მოცულს თავადვე სჯეროდა თავისი უძლეველობისა და შეუვალობის, ამ კაცის ესოდენი თავხე-დობა რაღაც ნაწილი უნდა ყოფილიყო იმის საფასურისა, რაც ოდესღაც მე ვაღისთვის მიეყიდა, მაგრამ რა, ჩვენ არ ვიცით, ვერც იმას ვიტყ-ვით, სული იყო, რადგან თუ იმ მოხუც ქალბატონს დავუჯერებთ, ხულის იგი იმთავითვე გახლდათ მოკლებული; ხელსა სთხოვს და თანხმობას ეუბნებიან, თუმცა ქორწინების დღე ცნობილი არ იყო, ჯვრისწერა არც კი უხსენებიათ. ხო-ლო სამი თვის შემდეგ, როცა ეს კაცი გაიგებს, ზუსტად ამდენი და ამდენი ნა-წილის შენარჩუნება შემოძლიაო ჩემი ადგილ-მამულისა, იმავე დღეს მიადგება იმ ქალს და ეტყვის, წყვილი ლეკვი ვშვათო მე და შენ, ასე მიმართავს ეშმასე-ულ ფანდს, რომელსაც აგერ ათი მილიონი წელი მიმართავენ ქმრები და საქმ-როები; ქალს ამით არაფერი დაუშავდება, ანუ სასამართლო აღარ დასჭირდება საჩივრელად და სადავოდ, თანაც არა მარტო სამტრედედან გააფრენს ამ პატა-რა მეოცნებე ქალს, სამუდამოდ შეაბამს (თავად კი მას, ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულ ქმარს თუ საქმროს კარგადაც დაადგამს ქალი რქებს) უღელს მოუხელთე-ბელი რისხვისას და შურისძიებისას. თქვა იმ კაცმა ეს სიტყვა და განთავისუფლ-და, აწ ვედარავინ დაემუქრებოდა და ვერც ჩაერეოდა მის საქმეში, უკანასკნე-ლად დაჰკრა და ასე მოიცლია უკანასკნელი ნათესავი თავისი გარდაცვლილი ცოლისა, განთავისუფლდა: ვაჟი ტეხასსა თუ კალიფორნიაში გაქცეულიყო, გოგო შინაბერა დარჩენილიყო, და ვიდრე ეს კაცი ცოცხალი იქნებოდა, უნდა მოევლო სახლისთვის, რომელიც დღითი დღე ძველდებოდა, მისთვის ერეცხა და ეტჰია, ქათმები მყოლოდა და კვერცხები გაეცვალა ტანსაცმელში, რადგან უკვე ვედარაფერს შეკერავდნენ ის და კლიტი; ასე რომ ეშმად უოფნა აღარც სჭირდებოდა იმ კაცს, ახლა შეშლილი და უილაჯო მოხუცი იყო, ვინც ბოლოს და ბოლოს მიხვდა, სატპენის ასეულს ვედარ აღადგენდა, ამაოდ ოცნებობდა ამაზე და, უფრო მეტიც, იმით, რაც გადარჩა, ოჯახს ვედარასდროს შეინახავ-და; ამიტომ გზისპირას დუქანი დადგა და ვაჭრობა დაიწყო საგუთნე სახნისე-ბით, ადვირებით, ნავთით, ჩითით, იაფფასიანი ლენტებითა და მძივებით, მუშტრებად განთავისუფლებული ზანგები მოსდიოდნენ და... (როგორ ეძახდნენ, თეთრი რაო? ჰო, ღორის თეთრი ტილები), ნოქრად კი ის ჯონსი და-ისვა, და ვინ იცის, იქნებ ასე იტყუებდა თავს, ფულს გავაკეთებ ამ დუქანში და პლანტაციას განვაახლებო; აკი უკვე ორჯერ გადარჩა ასე, ერთხელ რომ გა-



ება მახეში, მევალემ გამოიხსნა, თუშცა მის შვილებს ერთმანეთი დაახოცინა ჯერ კიდევ მანამ, სანამ შვილიშვილებს შესძენდნენ ამ კაცს. და მან ასე გაიფიქრა, ნეტავი არ გამოვეხსენიო იმას და შემდეგ ისევ უღმელი დაიღწა, მერე კი კვლავ დაიძვრინა იქიდან თავი — და თავისი დახსნის საფასური გადაიხადა საკუთარი ღუქნის დახლიდან და თაროებიდან აღებული მძივებზე დასაყრდენად და ფერად-ფერადი კანფეტებით, არა?

გინგლიფონეკა

— დიახ, — თქვა კვენტინმა. მამაჩემივით ამბობს ამას, ასე გაიფიქრა. შეხედა წამით შრივს (სახე ჰქონდა მშვიდი, აუმღვრეველი და, უცნაური კია და, კუშტი), ლამპისკენ გადახრილიყო, ბალღივით ვარდისფრად უპრიალებდა თითქმის უთმო მოშიშვლებული გულმკერდი ჭერუბიმისა და პაწაწინა მთვარისა. მებრ მოიღო ბრკიალი მისი სათვალის წუვილმა მინამ მთვარის დარადვე გაბადრულ სახეზე, სიგარისა და გლიცინიას სუნი იგრძნო მან (კვენტინმა) და მორიადე ციციანათელების ნათება იხილა სექტემბრისეულ ბინდბუნდში. სწორედ მამაჩემივით, თუკი მამამ იმდენივე იცოდა ჩემი იქ გამგზავრების წინალამეს, რამდენიც მეორე დღეს, დაბრუნების ხანს, ასე ფიქრობდა, ის შეშლილი უილაჯო ბერიკაცი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, ეშმასაც არ ძალუძს ამდენი ავის ქმნა; მეორეხარისხოვანი როლის მქონე მოცეკვავე გოგო ერთხელაც იქნება და გაიგებს, იმისი საცეკვაო მუსიკის პანგებს საყვირი კი არ გამოსცემს, არც ვიოლინო და ბარაბანი, არამედ საათი და კალენდარი; სწორედ ასეთ ყოფაში აღმოჩნდა ეს კაცი, ისიც დაინახა ცხადლივ, დაძველებულ ზარბაზანს დამსგავსებულიყო, იმას, ვინც გრძნობს, კიდევ ერთს დაიჭუხებს მრისხანედ და მორჩა, მთლად დაიფშვნება თავისივე წარმოქმნილი აფეთქების ტალღით; მიმოიხედა ირგვლივ და ნახა, ვაჟი ცხრა მთას იქით გადაკარგულიყო. მკვდარიც არ იქნებოდა ესოდენ მიუწვდომელი, რადგან ახლა (თუკი ცოცხალი იყო) იქ, უცხოთა შორის სხვა სახელსა და გვარს დაირქმევდა, სხვა ხალხში წარმოჩინდებოდა გველამაჰის დათესილი კბილები სატპენის სისხლისა, იმის ვაჟიშვილს შეეძლო უცხო ქალის სხეულში ჩაეთესლა და ასე გადაეცემოდა შთამომავლობას ბოროტებისა და ავისქმნელობის ტრადიცია, და რაკილა სხვა სახელსა და გვარს იქნებოდა შეფარებული, ვერც ვერასდროს გაიგებდნენ იქაურები მის ეინაობას. გოგო შინაბერა უნდა დარჩენილიყო, შინაბერობა იმას ჯერ კიდევ მანამდე აერჩია, ვიდრე იმ ვილაცა ჩარლზ ბონის სახელს გაიგონებდა, რადგან როცა დეიდამისი მოეცლინა დამცველად, ამ ქალს მგლოვიარობის, მწუხარებისა და სევდა-ვაების კვალი არ დაუნახავს, მხოლოდ იმ გოგოს სახე დახვდა, აუმღვრეველი, სრულიად განუჭვრეტელი, შინ შეკერილი კაბა ეცვა და ჩალის ქუდი ეხურა, ჯერ იმ ჩაკეტილი კარის წინ იდგა, მერე კი — ქათმების დაყუხებულ მტვრის ღრუბელში იმ ღროს, როდესაც ჯონსი კუბოს აკეთებდა. არც გაუხდია ეს კაბა მთელი წელიწადი, სანამ დეიდამისი იქ ცხოვრობდა. ეს სამი ქალი ჩასაცმელ-დასახურავისა და საკვებისათვის შრომობდა დაუღალავად, შესასაც თავად ჭრიდნენ და სამზარეულოში მოჰქონდათ (ხანდახან კი ეხმარებოდათ ჯონსი, რომელსაც თავის შვილიშვილ გოგოსთან ერთად მეთევზეთა მიგდებული ქოხმახისთვის შეეფარებინა თავი, სახურავიდან წვიმა ჩამოსდიოდა, კიბეც დაღპობოდა, კედელზე კი ორი წელი იყო მიყუდებული ჟანგიანი ცელი, სატპენმა რომ გამოუგზავნა, სარეველა ბალახი მოიშორეო კარწინ, ხოდა, კიდევაც აიძულა ეს კაცი გამოეყენებინა ეს ცელი, თლონდ ბალახი არ მოუჭრია იმით, მცენარეთაგანი არ იყო ეს სარეველა), მაშინაც არ გაუხდია ის კაბა, როდესაც განრისხებული დეიდამისი უკან დაბრუნდა ქალაქში და საზრდოობდა მოპარული ბოსტნეულითა და იმ ცოტაოდენი სანოვაგით, კალათით



რომ ვილატეები უტოვებდნენ ღამით სახლის წინა კიბესთან. ხოდა, სამივენი, ორი მისი ასული, ერთი ზანგი, მეორე თეთრი, თორმეტი მილის იჭიდან კი დე-იდა, სამივენი უთვალთვალებდნენ იმ ეშმას, ამ ნიკრისისქარებიან, სასოწარ-კვეთილ ფაუსტს. ვინც უკვე მხარზე იმ მევალის ხელის შემფრთხილებელი საბოლოოდ შეებოდა ბედისწერას და სოფლის დუქანი გაეხსნა, რათა ცოტა-ოდენი ფული ეშოვნა პურისა და ხორცისთვის, ორიოდ გრომსამდგამს წაქთა-ვებლად ევაჭრობოდა ქვაწვია და ჯიბეცარიელ თეთრებსა ზმბწამქმს, პირო-დრო, როდესაც შეეძლო ყოველი მიმართულებით გაეჭენებინა ცხენი ათ მილ-ზე და მაინც ვერ მიატანდა თავისი სამფლობელოს კიდეს, ახლა კი ძლივსღა მოეძარაგებინა კაპიკიანი ლენტები და მძივები, ძველისძველი ჭრელატრული კანფეტები, რომლის მეშვეობით ბერიკაციც კი აცდუნებს თხუთმეტი წლის სოფელ გოგოს, ნამუსს ახდის თავისი კომპანიონის, იმ ჯონსის შვილიშვილს; ციებისაგან გაწამებული ეს წოწლოკინა თეთრი კაცი მისი ნებართვით ამ თხუთ-მეტიოდე წლის წინათ თავის ჩვილ შვილიშვილთან ერთად ჩასახლდა მეთევ-ზეთა იმ მიგდებულ ქოხმახში; ეს ჯონსი, მისი ამხანაგი, მტვირთავი და დახ-ლიდარი, ვინც ამ ეშმას განკარგულებით საკუთარი ხელით გადმოუღებდა ხოლმე მყიდველს (იქნებ სახლშიაც კი მიუტანდა) თაროდან კანფეტებს, მძი-ვებსა და ლენტებს, მოუზომავედა იმ ჩითს, რომლითაც ჯუდიტმა (არც არავის დასტიროდა და გლოვობდა ეს გოგო) უოშის შვილიშვილს კაბა შეუკერა. ხო-და, ისიც დადიოდა ასე გამოწყობილი საქმეგამოღებული თვალეზაბრეცილი და ენად გაკრეფილი მამაკაცების წინაშე, ვიდრე მუცელი არ გამოებერა, მაშინ კი შერცხვა, იქნებ შეშინდა კიდევაც; ეს ჯონსი, ვისაც 1861 წლამდე სახლის სადარბაზოსთან არც კი გააქაქებდნენ, შემდეგ ოთხ წელიწადს სამზარეულოს კარის სიახლოვეს მაშინდა მიუშვებდნენ, როდესაც ნანადირევს, თევზს ან ბოსტნეულს მოიტანდა, რითაც მომავალი მაცდუნებლის ცოლი და ქალიშვი-ლი (და კლიტიც, ეს ერთადერთი დარჩენილი ზანგი მსახური, რომელიც არ ანებებდა მას სამზარეულოში შემოსვლას თავისი ძღვენიტურთ) საზრდოობდ-ნენ. მაგრამ ახლა პირდაპირ სახლში შემოდის (თან არცთუ ისე იშვიათად) მაშინ, როდესაც უეცრად ის ეშმა რალაცაზე გაწყრებოდა, მყიდველებს თავისი დუქნიდან დაიფრენდა, კარს ჩარაზავდა, უკანა ოთახში გავიდოდა და იმ ბრძანებელი ხმით, აღრე რომ შეუყვირებდა ხოლმე ხელქვეითებს ჯარში და შინ მსახურებს (თუმცა ჯონსსაც, თქმა არ უნდა, ისევე დაუტატანებდა, ლენ-ტები, მძივები და კანფეტები გადმოიღეო იმ თაროდან), ჯონს გაგზავნიდა ბოთ-ლის მოსატანად და ორივენი (ახლა ჯონსს დაჯდომაც კი შეეძლო, არადა ძვე-ლად, გარდასული ხანის იმ ძველ ერთფეროვან მშვიდობიან კვირადღეებში უკანა ეზოს თალარში ეს ეშმა პამაკში იყო წამოწოლილი, ჯონსი კი მის წინ ჩა-ცუცქეული ბოდს მიყრდნობოდა და ხანდახან წამოდგებოდა, რათა ეშმასთვის დიდი დაწნული ბოთლიდან ვისკი ჩამოესხა, მერე კი წყაროს წყალი ჩაემა-ტებინა, ერთ მილზე უფრო შორიდან რომ მოჰქონდა; შემდეგ ჩაცუცქდებოდა ისევ და ხითხით-ხორხოციტ ჩაურთავდა ხოლმე — „დიახ, ბატონო ტომ“ — როცა კი გაჩერებას ინებებდა ის ეშმა) პირზე რიგრიგობით მიიყუდებდნენ ბოთლს. ახლა ის ეშმა აღარ იწვა, არც იჯდა, რადგან უკვე მესამე თუ მეორე ყლუპის შემდეგ, ბერიკაცის უილაჯო მძვინვარებით, დამარცხებას ვერშეგუე-ბული ზე წამოიჭრებოდა და ბარბაცით, ბორბიკით კართან მიიჭრებოდა და გაჰყვიროდა, ცხენი მომგვარეთ, დამბაჩა მომიტანეთ, ვაშინგტონში მივდივარ, ლინკოლნი უნდა მოვკლაო (თუმცაღა ერთი წელი დაეგვიანებინა, თუ ცოტა უფრო მეტიც) და შერმანიც, ორნივე: „ტყვია ჰკარით მაგათ, ჩავაძაღლოთ ეს



მართლაც ძაღლები!“ და ჯონსი: „ჰეა, პოლკოვნიკო, ჰეა მაგათ“. მერე სადაცაა წაქცეულ სატპენს ზელს სტაცებდა ჯონსი, პირველივე გამვლელ ოთხთვალას გააჩერებდა, სახლში მიიყვანდა, კიბეზე აატარებდა, გაივლიდა შეუღლებავ სა-  
დარბაზო კარს, რომლის ზემოთაც სარკმელში უცხოური, ევროპიდან ჩამოტა-  
ნილი მინა იყო ჩადგმული; კარს ჯუღითი უღებდა, ისევ ისეთივე ოთხი წლის  
წინანდელი, აუმღვრეველი, კუშტი სახით; მეორე სართულზე კი მერე  
თავის უფროსს ჯონსი, საძილე ოთახში შეიყვანდა და ბალახით დააფარა  
ლოგინში, თავადაც იქვე მიწვებოდა იატაკზე, მაგრამ კი არ იძინებდა, რადგან  
მის წინ მწოლარე კაცი ჯერ კიდევ დილაბნელის დადგომამდე იწებდა წრიალ-  
სა და გმინვას, ჯონსი კი ასე ეხმიანებოდა ხოლმე მას — „აჰა ვარ, პოლკოვნი-  
კო, არა, არა-მეთქი, ჯერ იმათ ჩვენ არ დაეუმარცხებივართ, არა?“ სწორედ ეს  
ჯონსი, ვინც იმ ეშმას საომრად გამგზავრების შემდეგ — მხოლოდ რვა წლისა  
იქნებოდა იმხანად მისი შვილიშვილი — ასე ეუბნებოდა ხალხს, სახლისა და  
ზანგების საპატრონოდ დამტოვაო მე აქ მაიორმა; მანამ ეუბნებოდა, სანამ  
ჰკითხავდნენ, შენ კი რატომ არ ხარ ჯარშიო. გამოხდა ხანი და თავადვე დაი-  
ჯერა თავისი ტყუილი, პირველთაგანი ეს კაცი იყო, ვინც მიესალმა უკან დაბ-  
რუნებულ ამ ეშმას, ჭიშკართან დახვდა და ასე უთხრა: „ჰაი, კი დაგვბოცეს,  
მაგრამ ვერ დაგვამარცხეს, პოლკოვნიკო, არა?“ ომის მერე, იმ გააფთრებულ  
პირველ წლებში იმ ეშმას ბრძანებისამებრ ეს კაცი დღე და ღამეს ასწორებ-  
და, იმხანად იმ გაცეცხლებულ ეშმას სჯეროდა, ერთი კი მოვინდომო და იმ-  
წუთას აღვადგენო დაკარგულ, მაგრამ დაუეიწყარ სატპენის ასეულს; ხოდა,  
დაორხელებული შრომობდა ჯონსი, ვინც, ცხადია, ამ გამძვინვარებულ და  
გარყვნილ, გადამღრძვალ ბერიკაცში ხედავდა ისევ იმ წარმოსადგე ძალგუ-  
ლოვან შამრს, შავრა ბედაურს რომ დააქენებდა ოდესღაც თავის თვალუწვ-  
დენელ სამფლობელოში ერთი საზღვრიდან მეორე საზღვრამდე.

— დიახ, — თქვა კვინტინმა.

ხოდა, იმ კვირადღის დილა გათენდა, ადგა ეს ეშმა და სადაც წავიდა,  
ჯუღითს ეგონა, ვიცი, სადაცო, სწორედ ამ განთიადს მისი შავრა ულაყის —  
ამ ცხენით გაემგზავრა ვირჯინიაში და იმითვე დაბრუნდა უკანვე — ცოლმა,  
პენელოპემ ვაჟი შვა, მაგრამ ამ კვიცის დასახედავად არ ამდგარა სისხამ დი-  
ლაზე ეს ეშმა: თითქმის ერთი კვირა ეძებეს და ძლივს იპოვეს ის ზანგი ბებია-  
ქალი, ვინც იმ დილას ჩაცუცქულიყო იატაკზე დაგებულ საბნით დაფენილ  
თივის ლეიბთან, ჯონსი კი გარეთ იჯდა კიბეზე, სადაც უკვე ორი წელიწადია ის  
ქანგიანი ცელი იყო აყუდებული; ხოდა, ასე უამბნია თურმე იმ ბებიაქალს,  
ცხენის ფეხისხმა გავიგონე, მერე ის ეშმა შემოვიდა და იმ ლეიბთან დადგა  
ხელში მათრახმომარჯვებული, დახედა დედასა და ბავშვს და ასე თქვაო: „რას  
იზამ, მილი, აი იმ ფაშატს, პენელოპეს რომ დასგავსებოდი, უფრო კარგ ბა-  
გას მივიჩენდი თავლაში“; შემოტრიალდა, გარეთ გამოვიდა და იმ მოხუცებულ  
ზანგის ქალს იმათი ლაპარაკი მოესმა: „მანდ დადექ, ხელი იქით, უოშ“. —  
„ჩემი ხელი არ აგცდება, პოლკოვნიკო“, არც ცელის შხუილი, არც ზუზუნნი  
გაუგონია, მათრახის გაწივლება მოესმა, მეტი არაფერი, ასეა ყოველთვის, სას-  
ჯელი ყვირილს იწვევს ხოლმე, ხოლო საბოლოო მდუმარებას რაც იწვევს, ის  
მდუმარებაში ხდება მხოლოდ. იმავე ღამეს, როგორც იქნა, იპოვეს იგი, სახლში  
წაასვენეს ოთხთვალათი, ჩაწყნარებული და სისხლდადენილი, და მაინც კბი-  
ლები დაკრეჭოდა წვეროსან სახეზე (წვერ-ულვაში შესჭალარავებოდა, თმა კი  
სრულიად გასთეთრებოდა), ფარნებისა და კვარის შუქზე მალლა აასვენეს, სა-  
დაც ცრემლდაუდენელ და სახეგაქვავებულ ქალიშვილს კარი გაეღო იმის წი-



ნაშე, ვინც ერთ დროს ეკლესიასთან ჭენებით მიავდებდა ცხენს. ახლაც იქით გაეჭენებინა ბედაური, მაგრამ ეკლესიას ვეღარ მიატანდა ვერცხდროს: ასე გადაეწყვიტა ქალიშვილს, ქალაქის მეთოდისტურ ეკლესიაში უნდა წაესვენებინათ. სწორედ აქ დაეწერა ჯვარი დედაბისზე იმ კაცს, მერე კი კედრის ხეივანში დაეკრძალათ. ჯუღითი ახლა ოცდაათი წლის ქალი იყო. მაგრამ უფრო ხანგრძლივი ჩანდა, არა ისე, როგორც უღონონი ხეცდებიან — როგორც უსი-ცოცხლო ხორცი ბუშტივით გაბერილ გარსში მოექცევა ან უფროსად ნელ-ლინელ შეკუმშული ხორცის ცალკეული ნაწილები აეცვრებიან რკინისავით შეურყეველ ჩარჩოს კი არა, არამედ ერთიმეორეს, თითქოსდა ისინი მიუსა-ფარნი და დავიწყებულნი ცხოვრობენ თავ-თავიანთის, ვითარცა მოფუთფუთე ჭურბრები — იმ ეშმასავით კანი და ხორცი მოუხეშავი გახდომოდა ქსოვილების მტკივნეული გაშაგრების გამო, და მისი სხეული ახლა უფრო ძვლოვანი ჩანდა. რასაც სიუმაწვილის ნაზი შარავანდი დროებით თუ მალავდა. შინ შეკერილი, ულაზათო ტანსაცმლიან ამ შინაბერას კარგად შეეძლო კვერცხების მოგროვე-ბა და გუთნით კვალის გავლება, ოთხთვალაში ნახევრად ხამი ველური ჯორე-ბიც შეება. ხოდა, ასე ჯაყჯაყით გააჭენეს ამ ჯორებმა ეკლესიისკენ შინ გაკეთე-ბული კუბო იმ საზეიმოდ გამოწყობილი, ხმლიან-ხელთათმანიანი, მოკაზმული გვამით, რომ კიდევაც გადააყირავეს ოთხთვალა და ცხედარმა თავისი ხმლით, ზღუმაყითა თუ სხვა მორთულობით ტყაპანი მოადინა გზისპირა თხრილში; ქა-ლიშვილს მოუხდა იქიდან მისი ამოყვანა, უკან გამობრუნდა, იმ კედრის ხეი-ვანში წამოასვენა და თავადვე აუგო წესიც. ამჯერადაც არ დაუღვრია ცრემლი და არც მწუხარება დასტყობია დიდი დანაკლისის გამო ან სულაც დრო აღარ ეყო საგლოვად, დუქანში უნდა გაქცეულიყო, როცა მყიდველი გამოუხმობდა სამხარეთულოდან, ბოსტნიდან თუ მინდვრიდან, გასაღები თან დაჰქონ-და ხოლმე წინსაფრის ჯიბეში; მას და კლიტის უხდებოდათ გუთნისდებობა, რადგან ახლა ჯონსიც აღარსად იყო. თორმეტი საათიც არ იყო გასული და ისიც მიჰყვა იმ ეშმას იმავე კვირადღეს (და იქნებ იმავე ადგილსაც; იქნებ იმათთვის იქაცაა ვაზის თალარი, ჰამა არც უნდათ, გულზვაობა, მრუშობის ხვანჯები ან შურისძიების წყურვილიც აღარ შეაწუხებდათ, დალევაც აღარ დასჭირდებოდათ, ოღონდ შეიძლება დაღონდნენ ამის გამო, თუმცა ვერ მიხვ-დებიან, თუ რამ დააღონათ, მაგრამ ესეც იშვიათად; სიმშვიდე, სიმტკბი-ლობა, არც დროის სვლა და არც უამინდობა, მხოლოდ ეამითეამად ნიავექარი და ჩრდილები მოიღებენ ლაციცს და მაშინ ის ეშმა საუბარს შეწყვეტს, ჯონსი კი — ხორხოსს, შეხედავენ ერთმანეთს გოროზად, გაოგნებულნი და თვალბ-გაფაციცებულნი და ასე ეტყვის ის ეშმა: „რა იყო, უოშ? რაღაც კი მოხდა, რა იყო-მეთქი?“ ჯონსი გამოხედავს იმ ეშმას ასევე გაოგნებული და სევდიანად ეტყვის: „არ ვიცი, პოლკოვნიკო, რა იყო განა?“ და თვალს აღარ მოაცილებენ ერთიმეორეს. შემდეგ ის ჩრდილი განქარდება, ჩაკვდება ნიავექარი და ბოლოს ასე წარმოთქვამს ჯონსი მშვიდად, არა ზარზეიმით: „კი დაგვხოცეს, მაგრამ ვერ დაგვაძარცხეს, არა?“). დაუძახებდნენ ჯუღითს ქალები და ბალები ვედ-როებითა და კალათებით, ხოდა, იგი ან კლიტი წავიდოდა დუქანში, გააღებდ-ნენ, მოემსახურობოდნენ მყიდველს, დაკეტავდნენ დუქანს და უკან გამობრუნ-დებოდნენ; ასე იყო მანამ, სანამ ის დუქანი არ გაყიდა და საფლავის ქვა არ დადგა.

(„როგორ მოხდა ეს ამბავი? — ჰკითხა ზრივმა. — კი მიაშვე მაშინ, მაგ-რამ როგორ მოხდა-მეთქი? შენ და შენი მამა მწყერზე ნადირობდით, ღრუბ-ლიანი დღე იყო, მთელი ღამე წვიმდა, ცხენები ხნარცვში ეფლობოდნენ და



ამიტომ შენ და მამა ჩამოხდით, ადვირი მიუგდეთ... იმას რა ერქვა? ჯორჯე მჯდომარე იმ ზანგს? ლასტერი. ხნარცვისთვის უნდა შემოეტარებინა ლასტერს ცხენები). ხოდა, მან და მამამ ხნარცვი რომ გადაიარეს, ისევ გაწვიმდა. მრუმე და მძიმე წვეთები ნელინელ, უხმაუროდ ეცემოდნენ მიწაზე, კვენტინი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, თუ სად მოხვედრილიყვნენ, რადგან მანამდე უცნაო მჯდომარეს თავი დაედუნა ამ მცირელ წვიმაში, ახლა კი გახსნა, ხეობები გამოჩნდა სველი და უვითელი ისლით შეფენილი, თითქოსდა გამდნარი ოქროს წვეთები მიმოეფრქვიათ, ხეივანიც დაინახა — ვითარცა სველ საშრობზე მელნით ნახაზი ერთი კედრებშემორაგული ადგილი წვიმაში დანთქმულ გორაზე; კედრებს მიღმა, მიღმა ბალახმორეული მინდვრისა მუხნარი უნდა ყოფილიყო ვეებერთელა ნაცრისფერი გაპარტახებული სახლითურთ, ნახევარი მილიდა იქნებოდა გასავლელი იქამდე. ბ-ნი კომპსონი შეჩერდა და მხარის ზემოდან ჯორჯე მჯდომ ლასტერს გახედა; ადრე რომ უნაგირად ჰქონდა, იმ სატომ-რე ჯვალთი შემოეხვია იმას თავი, მუხლები წამოეწია, ქვემოთ დაუყვა ხნარცვს ცხენებითურთ გადასასვლელი ადგილის სანახავად. სჯობს წვიმას შე-ვაფაროთ თავი, თქვა ბ-ნმა კომპსონმა, ას იარღზე უფრო ახლოს ის ბიჭი მა-ინც არ მოვაო იმ კედრებთან.

ფერდობს აუყვნენ. ორივე ძალღი არ ჩანდა, მაგრამ ისლების რხევის კვა-ლობაზე მამა და შვილი ხვდებოდნენ იმათ ადგილსამყოფელს; ფერდობის მე-ოთხედი რომ აირბინეს ძალღებმა, ერთმა თავი წამოსწია და უკან მოიხედა. ბ-ნმა კომპსონმა კედრებზე მიუთითა და ის და კვენტინი იქით წავიდნენ. მკრთალ ნათელს დაევიანებინა კედრებს შორის, ბინდისნაირი ციალი მოედო ამ ნათელს, წყნარად წვიმდა, მარგალიტისებრი წინწყლები დაფენოდა ლუ-ლებს თოფისას, ხუთ სამარის ქვას, და დამსგავსებოდა მარმარილოზე შერჩე-ნილ სანთლის ნაღვენთს; იმათთაგან ორი მძიმე და ბრტყელი ფილა სწორად იდგა, მცირეოდნავ დახრილიყო დანარჩენი სამი; აქა-იქ ასო, ზოგჯერ მთელი სიტყვა გამოჩნდებოდა წამით, როდესაც წვიმის წვეთებთან ერთად მჭრქალი ნათელი ჩამოატანდა ამ უსიხარულო ადგილს; იმ ორმა ძალღმა მოიბრინა, გა-მოსრიალდნენ კვამლივით, ფერდობზე მიკვროდათ სველი ბალანი, და რათა გამთბარიყვნენ, ჩახვეოდნენ, გადაჰკვანძოდნენ ერთმანეთს, გადაქცეულიყვნენ აბურღულ გორგლად. საკუთარივე სიმძიმით შუაზე გახეთქილიყო ის ორი ბრტყელი ფილა (აგურით გაწყობილი ერთი კედელი ჩამოქცეულიყო საძვლისა და დაეფარა ორმოსკენ მიმავალი ვიწრო ბილიკი, რომელიდაც პატარა — იქნებ ოპოსუმს, ანუ ამ ცხოველის რამდენიმე თაობას რომ გაეკვალა, ალბათ სამარეში შესაჭმელი აღარაფერი დარჩენოდათ და იმიტომ), ჯერ კიდევ შეიძ-ლებოდა წარწერის გარჩევა: ელენ კოულდფილდი სატპენისა, დაიბადა ოქტომ-ბრის 9, 1817, გარდაიცვალა იანვრის 23, 1863; და სხვებისაც: ტომას სატპენი, პოლკოვნიკი, მისისიპის 23-ე ფეხოსანთა „ა. შ. ც. გარდაიცვალა აგვისტოს 12 1869 — მოგვიანებით მიემატებინათ ეს უკანასკნელი თარიღი, ამოეკვეთათ უხეშად, თეჯით, სიკვდილის მერმეც არ გამოუმჯეურობია, თუ სად და როდის იყო დაბადებული. კვენტინმა წყნარად დახედა ქვებს და გაიფიქრა — კი არ წაუწერია, ჩემს საუვარელ მეუღლესო. არა, ელენ კოულდფილდი სატპენისა, ნამდვილად არ მეგონა, იმ 1869 წელს თუ ექნებოდათო მარმარილოს საყიდე-ლი ფული, თქვა მან.

— იმ კაცს უყუიდა თავად. — უთხრა ბ-ნმა კომპსონმა, — ამათთაგან ეს ორი მაშინ უყუიდა, როდესაც იმისი პოლკო ვირჯინიაში იმყოფებოდა, დედის სიკვდილი ჯუდიტს უცნობებია მისთვის. იტალიიდან გამოუწერია, საუკეთესო,



უძვირფასესი გამოუგზავნიათ — სრული წარწერა გაეკეთებინა მეუღლის საფლავზე. თავისი უთარილოდ დაუტოვებია და ეს მოხდა იმ დროს, როდესაც მოქმედ არმიაში მსახურობდა, მაშინ არა მარტო დიდი სიკვდილმანობა იყო, როგორც არც მანამდე და არც მერე არ უოფილა. უოველწლიურად პოლკის ახალი ოფიცრების არჩევაც ჰქონდა წესად (ამის კვალობაზე მას იმდენად შეეძლო პოლკოვნიკი ეწოდებინა თავისთვის, სწორედ ის აურჩევიათ უფროსკნელ ჯაფხულს, პოლკოვნიკი სარტორისი კი გაუშავებიათ). უფროსკნელს უნდა სცოდნოდა, სანამ შეკვეთას გამოუგზავნიდნენ და სანამ ჩამოუვიდოდა, შეიძლება ბოლო მოღებოდა და აღუნიშნავი დაეტოვებინათ მისი საფლავი (აღუნიშნავდნენ კი?). მიწაში გატეხილ თოფს ჩაარქობდნენ და ისე, ან თუ გადარჩებოდა, იქნებ უმცროსი ლეიტენანტი ან სულაც რიგითი გაეხადათ — რასაკვირველია, თუკი ეუოფოდათ გამბედაობა მის ჩამოსაქვეითებლად — და მაინც მას არა მარტო გამოუწერია ეს ქვები და ფულიც გადაუხდია, კიდევაც მოუხერხებია სანაპიროზე გადმოტანა იმ ხასტიკ გარემოცვაში, როდესაც კონტრაზადისტებსაც აღარაფერი გადმოჰქონდათ, გარდა საბრძოლო საჭურვლისა...

კვენტინს ცხადლივ წარმოუდგა თვალწინ: ტანსაცმელშემოხეული, მშიერი-მწუხრვალი, ფეხშიშველა ქარისკაცების ჯგუფი, იმათი ქანცგამოღეული და დენტისაგან გაშავებული საბეები, მხრებზე მოხვეული ძონძებიდან უკან იმ-ზირებიან, გულში ჩაუხვევიათ არდამარცხების ჯავრი და ვარამი, ბნელით მოცულსა და მიუწვდომელ ოკეანეს გაჰუურებენ; ქუშ-ქუშად მოჰქრის შუქჩამქრალი ეული გემი, იმის ტრიუმში ათასი ფუნტის ორი უძვირფასესი კლდეში გამოქრილი ქვა ძევს, მდდიდურნი და უძრავნი, ტყვიებისა და თუნდაც სურსათის ნაცვლად; მთელი შემდგომი წელი პოლკში ჩარიცხული ეს ლოდები მათ გაჰუვებიან პენსილვანიაში, გეტისბერგშიაც მოხვდებიან, პოლკს უკან ფურგონით მომავალნი, რომელსაც იმ ეშმას მსახური გადაატარებს ჭაობებსა და ველებს, მთებსა და ხევებს, პოლკი ფურგონზე ჩქარა ვერ ივლის, მშიერი ქანცგამოღეული ხალხი და ქანცგამოღეული ცხენები მუხლებამდე ეფლობიან უინვაგადაკრულ ტალახსა და თოვლში, ოფლგადამსკდარი ქარისკაცები იგინებიან, მიათრევენ ჭუანტობსა და ლაფში, ვითარცა ჯარბაზნებს, „პოლკოვნიკსა“ და „პოლკოვნიკის ცოლს“, როგორც შეურქმევიათ ამ ორი ქვისთვის; მერე კემბერლენდის უღელტეხილს გაივლიან, დაბლა დაეშვებიან ტენესის მთებიდან, მხოლოდ ღამლამობით აგრძელებენ გზას, რათა გასცდნენ იანკების საგუშაგოებს და ბოლოს, 1864 წლის შემოდგომის მიწურულს ჩააღწევენ მისისიპს, სადაც ქალიშვილი დაუხვდება ამ კაცს, ვისაც გათხოვებას აუკრძალავს და ვინც შემდეგ ჯაფხულს დაქვრივდება, თუმცაღა არც არავის დაიტირებს; სადაც ცოლი გარდაცვლოდა, ძეს მისას კი თავადვე შეეჩვენებინა თავი და გამქრალიყო; ხოდა, ამ ერთ ქვას მეუღლის საფლავზე დადებს, მეორეს კი სახლის შემოსასვლელში, სადაც მისს კოჟულდფილდი შესაძლოა (იქნებ უთუოდაც) უოველდღე ხედავდა ამ ქვას, ვითარცა ამ კაცის ძეგლს, შესაძლოა (იქნებ ამ-ქერადაც უთუოდ) იმაზე ამოეკითხა უფრო მეტი იმედი და მოლოდინი ქალიშვილისა, ვიდრე ეს კვენტინისათვის უთქვამს ოდესმე; ამ ქალს მართლაც ის ქვა ერთხელაც არ უხსენებია მასთან; ხოდა, იმან (ეშმამ) მოხალული სიმიინდის მარცვლებიდან მოდუღებული ყავა დალია, ჯუდიითისა და კლიტის გამომცხვარი სიმიინდის კვერი დააყოლა, მერე ჯუდიოს შუბლზე აკოცა და თქვა, ნახვამდისო, კლიტი, ომში დაბრუნდა ისევ, ოცდაოთხ საათში მოხდა ეს უველაფერი; კვენტინმა ისე ცხადლივ იხილა ეს სურათი, თითქოს თავადაც იქ უოფილი-



ყო. შემდეგ კი ასე გაიფიქრა: არა თუნდაც იქ ევოფილიყავი, ასე ნათლად ვერ დავინახავდი ამას.

— კი მაგრამ ამ დანარჩენ სამზე რას იტყვი. — თქვა მან, — ესეც კარგა ძვირი ღირს.

— აბა ვინ გადაიხდიდა ფულს ამ ქვებში? — თქვა ბ-ნმა კომპსონმა, — კვენტინმა იგრძნო, რომ მამა უმჯერდა. — იფიქრე.

კვენტინმა სამ ერთნაირ ქვას დახედა. ერთნაირივე ფერგადასული წარწერა ჰქონდათ, მცირეოდნავ დახრილიყო ასოები ძველსა და შერბილებულ თიხაში. კედრიდან ჩამოცვენილი წიწვები დაჟფენოდა ზედ, მიუახლოვდა და, კარგად რომ დააკვირდა, იმათაგან პირველზე ეს ამოიკითხა: ჩარლზ ბონი. დაბადებული ნიუ-ორლეანს, ლუიზიანა. გარდაიცვალა სატპენის ასეულში, მისიპი, მაისის 3. 1865. 33 წლისა და 5 თვის. ასე იგრძნო, მამა თვალს არ აცილებდა მას.

— ის გოგო, — თქვა კვენტინმა, — დუქანი რომ გაუიდა, იმ ფულს დაბარჯავდა.

— დიახ, — მიუგო ბ-ნმა კომპსონმა.

კვენტინი დაიხარა, კედრის წიწვები გადააცალა და ისე წაიკითხა შემდეგი წარწერა. მოუახლოვდა ერთი მეძებარი, წამოსწია კისერი და მანაც დახედა იმას, რასაც მისი პატრონი დასცქეროდა, ადამიანის მსგავსადვე ჰქნა ეს, თითქოსდა გონიერ არსებასთან ურთიერთობისას თვითონაც გამხდარიყო ცნობისმოყვარე, შეუძენია ის თვისება, მხოლოდ ადამიანისა და მაიმუნისათვის რომაა დამახასიათებელი.

— გადი, ძაღლო! — შეუყვარა მან, ერთი ზელით მეძებარი მოიცილა და მეორეთი გადაწმინდა საფლავის ქვა კედრის წიწვებისაგან და ასე გამოაჩინა მკრთალი ასოები: ჩარლზ ეტუენ სენ-ვალერი ბონი. 1859-1884; სულ გრძნობდა, რომ თვალს არ აცილებდა მას მამა, და მესამე ქვაზე იგივე თარიღი დაინახა — 1884. იმ დუქანში აღებული ფულით უკვე ველარ იჯამდა ამას, თქვა მან, რადგან ის დუქანი 1870 წელს გაუიდა, და ამასთან ერთად იმის ქვაზეც იგივე თარიღია. მერე გაიფიქრა, თავჯარი დაეცემოდა იმ გოგოს, რომ მოენდომებინა და ასეთი წარწერა გაეკეთებინა იმ პირველ ქვაზე, საუკარელ მეუღლესო.

— ჰო, — თქვა ბ-ნმა კომპსონმა, — შენ ბაბუას უწრუნია აი ამ ქვაზე. ერთ დღეს ჩუდიითი ქალაქს ჩამოვიდა და ბაბუაშენს ნაწილი ფული მოუტანა; თუ სად იშოვა, ვერასდროს ვერც გაიგო მან, შეიძლება ცოტაოდენი კიდევ დარჩენოდა იმ დუქნისა, ბაბუაშენმა რომ გაუიდა იმ გოგოს თხოვნით; ჩამოიტანა ის ფული და აი ამ წარწერის შინაარსი (სიკვდილის თარიღს ნულარ ვიგულისხმებთ, რაღა თქმა უნდა), შენ რომ ხედავ; და ეს ამბავი იმხანად მომხდარიყო, როდესაც კლიტი უკვე სამი კვირა იყო წასული ნიუ-ორლეანს იმ ბიჭის საპოვნელად და ჩამოსაყვანად. თუმცა შენმა ბაბუამ არაფერი იცოდა ამის შესახებ; მოიტანა ფული და წარწერა თავისთვის კი არა, იმ კაცისთვის.

— ჰოო, — კვენტინმა თქვა.

— დიახ. საოცარი ხალხია ეს ქალები. რეალობასთან მწყრა-ლად არიან, სადღაც შორს, სულმუდამ მის მიღმა ტრიალებს მათი გონება. ხოდა, სწორედ ამიტომ სიკვდილი იმათთვის სულ უმნიშვნელო, რაღაც ერთი წამია სულის გაურისა, ტკივილისა და დაღუპვის წინაშე ამუღავნებენ ისეთ სიმამაცესა და მხნეობას, იმათთან შედარებით მტირალა ბიჭი გამოჩნდება სულით-ხორცამდე სპარტანელი მამრიც კი; მაგრამ უბადრუკი საბუთი მოჩვე-



ნებითი უკვდავებისა — დაკრძალვა და საფლავი, თავიანთი განსასვენებელი ადგილი დიდად მნიშვნელოვანია მათ თვალში. შენ ერთი დეიდა გყავდა (არ გემახსოვრება, თუმცა მეც არასდროს მინახავს ის ქალი, ეს ამბავი გაგონილი მაქვს მხოლოდ), რთული ოპერაცია უნდა გაეკეთებია და უშინრდა, ვაითუ ვერ გადავრჩეო. იმხანად ერთი ახლო ნათესავი ქალი გყავდა და იმათ შორის წლების მანძილზე სასტიკი და აუხსნელი (მამაკაცებისთვის მაინც) მტრობა-მეგობრობა ჩამოვარდნილიყო, ერთი სისხლისა და ერთი ქალღმერთის შიგნით. ხოდა, იმქვეყნად მიშავალს ესღა ადარდებდა, როგორმე თავისი ერთი ყავისფერი კაბა მოეცილებინა, რადგან იცოდა, იმისმა ნათესავმა ქალმა რომ იცოდა, ეს კაბა მას არასდროს არ უყვარდა, ამიტომ იგი უნდა დაეწვათ, კი არ უნდა ეჩუქებინათ ვინმესთვის, უნდა დაეწვათ უკანა ეზოში, სწორედ მისი სარკმლის ქვემოთ, რათა წამომდგარს (თუმცა კი გაუსაძლისი ტკივილი გასტანჯავდა ამ დროს) ის ცეცხლი და კვამლი საკუთარი თვალით დაენახა, რადგან დარწმუნებული იყო, ის მისი ნათესავი ქალი, ვინც მის ოჯახში განმკარგულებელი გახდებოდა მისი სიკვდილის შემდეგ, სწორედ ამ ყავისფერი კაბით დააკრძალვინებდა მას.

— მერე, მოკვდა ის ქალი? — ჰკითხა კვენტინმა.

— არა, დაფერფლა თუ არა ცეცხლმა ის კაბა, უკეთესობა დაიქუო. ოპერაცია გაუკეთეს, მომჭობინდა და რამდენიმე წელი იცოცხლა იმ ნათესავი ქალის სიკვდილის შემდეგ. ხოდა, ერთ დღეს მშვიდად მიიცვალა, ლოგინად არ ჩავარდნილა, თავის საქორწინო სამოსელში დაუკრძალავთ თურმე

— 300. — *தெய்வப் பிள்ளை.*

— დიახ. მაგრამ 1870 წლის ზაფხულის ერთ დღეს ამ სამარეთაგან ერთ-  
ზე (მაშინ მხოლოდ სამი იყო აქ) მაინც დაუდგრიათ ცრემლები. შენს ბა-  
ბუას დაუნახავს; ჯუდიტს რომ ის დუქანი გაუყიდა, იმ წელიწადს მომხდარა  
ეს ამბავი, შენი ბაბუა ეხმარებოდა ამ საქმეში, მასთან გამგზავრებული და  
უხილავს დრამატული სურათი ქვრივი ქალის დატირებისა. ბაბუაშენმა ჯერ  
კიდევ არ იცოდა, თუ როგორ მოხვდა აქ ის ოქტორონი\* ქალი, საიდან გაი-  
გო ჯუდიტმა მის შესახებ, რათა მისთვის ბონის სიკვდილის ამბავი მიეწერა.  
ეს კია, იგი აქ იყო ჩამოსული თავისი თერთმეტი წლის ბიჭითურთ. ვინც  
მხოლოდ რვისა გეგონებოდათ. სწორედ ისეთი იყო აქაურობა, ირლანდიელ  
პოეტს, უაილდს რომ აქვს გადმოცემული. ბადის არემიდამო მიმწუხრის ხანს,  
მზეს სხივები აუკრეფავს და სიბნელე მორევია კედრებს, იმდენი ნათელი-  
დაა აქ, სასაფლაოს რომ სჭირდება, მარმარილოს ის სამი ფილა (შენს ბა-  
ბუას ჯუდიტისთვის იმ მესამე ქვის საყიდელი ფული უსესხებია, დუქნის სა-  
ფასურს აიღებდა და მაშინ დაფარავდა ამ ვალს) თითქოსდა საგულდაგულოდ  
გაცხუფთავებინათ და გაეპრიალებინათ და თავ-თავიანთ ადგილებზე დაედგათ  
სცენის მუშებს, რომლებიც შებინდებისას უკან მობრუნდებიან ამ გამოფუ-  
ტუროებული, წონის უქონელი სასცენო ნივთების ხაწყობში წასაღებად და  
შესანახად, ვინემ ისევ არ დასჭირდებოდათ. ხოდა, ეს სანახაობა, ეს სცენა —  
ქალი გამოდის, მაგნოლიის მსგავსი სახე აქვს, ხორცსავსეობა დატუობია ამ  
ქალს, წვევდიადისათვისავე შექმნილს წვევდიადით, სამოსელი ისეთი აცვია,  
ბერდსლეის ნახატის მიხედვით რომ შეიძლებოდა ყოფილიყო შეკერილი,  
კეც-კეცად ჩამოშლოდა კაბის კალთები და ასე იფიქრებდით, დიდ დანაკ-  
ლისა და ქვრივობას კი არა, უფრო ავბედით ქალურ ვნებას, დაუოკებელ

\*  $1/8$  ზანგის სისხლის მქონე.



ხორციელ წვა-დაგვას წარმოაჩენდა. მოდის, ხელში მაქმანებანი ქოლგა აქვს მომარჯვებული, თან ვეება წვივმაგარი ზანგის დედაკაცი მოჰყვება, მოაქვს აბრეშუმის ბალიში, მოჰყავს პატარა ბიჭი, ბერდსლეთის ნახატივზე გამოსულ-დახურული; გამხდარი ბაღლი, სპილოს ძვლის ფერი გაკრიალებული სახე, ოღონდ რა სქესისა იყო, ვერ მიხვდებოდით, და როდესაც მისმა დედამ ზანგის დედაკაცს ქოლგა გადააწოდა და ბალიში გამოართვა, საუბრის წყარო მუხლი მოიყარა, კაბა გაისწორა და აქვითინდა, ბიჭმა იმ ზანგის დედაკაცს წინასაფარში ხელი ჩაავლო და გაინაბა თვალეზმოჭუტული; ეს ბავშვი დაბადებულიყო და მთელი თავისი ცხოვრება გაეტარებინა რომელიღაც აბრეშუმით გაწყობილ, სულმუდამ დაჩრდილული შუქით მოსილ საკანში და ჭაერის მაგივრად რძისფერი ციალით სუნთქავდა, დედამისს რომ გადახდიოდა დღენიადგ, თითქმის არც არასდროს უნახავს ამ ბიჭს მზის სინათლე, გარეთაც კი არ გამოდიოდა და არ იცოდა ხეები, ბაღები და მიწა; დაბოლოს კიდევ ერთი ქალი, ჭუდიით (ვისაც არც არაფერი დაუკარგავს და არც სჭირდებოდა ძაძები, გაუელვა კვერთხის, და ასე გაიფიქრა, ღიახ, მეტად ხანგრძლივ მომხდლა ამის მოსმენა) მოჰყვებოდათ, კედლების ქვეშ დადგა იგი, ჩითის კაბა ეცვა, ეხურა ფართოფარფლებიანი ქუდი, ორთავე გახუნებულიყო და თავისი პირვანდელი სახე დაეკარგა — გულმშვიდი ჩანდა, მკერდზე დაეწყო ხელები, რომლებსაც -შეეძლო ხვნა, შეშის მოჭრა, საჭმლის კეთება და სამოსლის კერვა, მუზეუმის მეთვალყურესავით აუშლვრევლად ელოდებოდა, არც არაფერს უმზერდა იქნებ. მერე ის ზანგი დედაკაცი მიუახლოვდა ქალს, პატარა ბროლის შუშა მიაართვა და რაღაც წვეთები აუნოსინა, მერე წამოაყენა და ის აბრეშუმის ბალიშიც აიღო, ქოლგა დაუბრუნა მის პატრონს და სახლისკენ გაბრუნდნენ; ის პატარა ბიჭი ისევ იმ წინსაფარს ჩასკიდებოდა, ზანგის დედაკაცს იმ ქალისთვის მკლავში ხელი გამოედო და ისე მოჰყავდა, იმათ უკან კი ჭუდიით მოდიოდა თითქოს მარმარილოს ნიღბით სახეზე, უკან გამობრუნებულებმა გამოიარეს ის დამპალი მაღალი ტალანი და სახლში შევიდნენ, სადაც კლიტი კვერცხებს ხარშავდა და სიმინდის კვერცხს აცხობდა, იმას და ჭუდიოს ამითლა ედგათ სული.

ერთი კვირა დარჩა ის ქალი მათთან. კვირის ბოლო იმ ოთახში დაჰყო, სადაც ლოგინი იდგა ტილოს ზეწრებითურთ, სულ იწვა მაქმანებით გაწყობილი აბრეშუმისა თუ ფარჩის ნაზ იისფერ ახალ საშინაო სამოსელში, სწორედ მგლოვიარეს შეეფერებოდა ასეთი, ჩახუთული ჭაერი იდგა, რადგან ამ ოთახში არ აღებდნენ მორყეულ დარაბებს, ამ ორი დღის მანძილზე აქაურობა ქალის სხეულის, მისი ტანსაცმლის, მის უვრიძალებზე დაფენილი სუნამოიანი ნაჭრის სუნს გაემსჭვალა, იმის ლოგინთან მჭდარი ის ზანგის დედაკაცი ხან იმ წვეთებს აუნოსინებდა ბროლის შუშიდან, ხან მარაოს უნიავებდა, ხან ადგებოდა და კართან მივიდოდა, რათა კლიტისთვის ლანგარი გამოერთმია, ვისაც ჭუდიოთის ბრძანებით საჭმელი ამოჰქონდა იმათთვის სამზარეულოდან; ჭუდიოს რომ არ ეთქვა მისთვის, კლიტი მაინც მიმხვდარი იქნებოდა — ქალბატონად მოვლენილი ის სტუმარი ქალიც ზანგი იყო მასავით და მაინც ისეთივე გულმოდგინებით ემსახურებოდა, როგორც სამზარეულოდან გამოდიოდა დროდადრო და პირველი სართულის ოთახებში დაეძებდა იმ მარტოდმყოფ უცნაურ, უცხო ბიჭს, უხეშ სკამზე წყნარად მჯდომარეს ჩაუამებულ და ბუნდ ბიბლიოთეკასა ან დარბაზში, ოთხი სახელისა და ერთი მეთექვსმეტედი სისხლის მქონე ბაღლს, ისე მორთულ-მოკაზ-



მუღს, ვითარცა პატარა ლორდი ფაუნტლერი, ვინც შიშის ზარით მოცული შესცქეროდა ამ პირქუში ყავისფერი სახის ქალს, ფეხშიშველი რომ მოადგებოდა კარს და მას უმზერდა, მისთვის ნამცხვრები კი არა, ცივი ბადაგწას-მული სიმინდის კვერები მოჰქონდა (ჩუმად, და არა იმიტომ, რომ დედამისი ან დუენია დაუშლიდა, ძლივსღა ყოფნიდათ საჭმელი საუზმეზე, ხადილსა და ვახშმად) და ხელში მიაჩეჩებდა მოთოკილი გააფთრებული ერთ სალამოს ეს ბაღლი თავისტოლა ზანგის ბიჭთან მოთამაშე რომ დაინახა ჭიშკრის გადაღმა გზაზე, ჩუმი ხმით სასტიკად დატუქსა ზანგის ბიჭი, იმას კი, მეორეს ასე უთხრა, სახლში დაბრუნდიო, და თუმცა წყრომა არ გაუმუღავნებია, უფრო ცივად და სასტიკად გაისმა მისი სიტყვები.

დიახ, კლიტი, ვინც გულგრილად იდგა იმ უკანასკნელ დღეს ფურგონთან, როცა ნიუ-ორლეანს მიემგზავრებოდნენ დედა, შვილი და დუენია, ოღონდ ჯერ მეორედ მოინახულეს ზარ-ზეიმით საფლავი იმ აბრეშუმის ბალიშით, ქოლგითა და ბროლის პატარა შუშით. შენმა ბაბუამ ვერც ვერასდროს გაიგო ის ამბავი, კლიტი უთვალთვალებდა და კავშირი ჰქონდა ვილასთან იმ დღის მომლოდინეს, როცა ის პატარა ბიჭი დაობლდებოდა და წავიდოდა იმის ჩამოსაყვანად, თუ თავად ჯუღითი იყო მომლოდინე და მოთვალთვალე და იმ ზამთარს, 1871 წლის დეკემბრის თვეში კლიტი გაგზავნა ამისათვის, კლიტი-მეთქი, ვინც სატპენის ასეულს და ჯეფერსონს თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ გასცილებია, და მაინც მარტოდმარტომ იმოგზაურა ნიუ-ორლეანს და იმ ბაღლითურთ უკან დაბრუნდა; ეს ბიჭი ახლა თორმეტი წლისა იქნებოდა, მაგრამ ათისა ჩანდა, პატარა ლორდ ფაუნტლერის შესაფერისი ის სამოსელი უკვე დაპატარავებოდა, ამიტომ კლიტის მისთვის ეყიდა ვეებერთელა ქურთუკი და იმის ზემოდან გადაეცვა ამ ბიჭისთვის (სციოდა თუ ისე ჩააცვა ძალით, ამას შენი ბაბუა ვერ იტყოდა), მთელი მისი საკუთრება ერთ ჭრელ ცხვირსახოცში იყო გამონასკვული; იმ ბაღლმა ინგლისური არ იცოდა, როგორც ფრანგული არ ესმოდა ამ ქალს, რომელმაც იგი მონახა, დაუდარაჯდა და მოიტაცა იმ ფრანგული ქალაქიდან; ბებრული სახისა იყო ეს ბაღლი, ვერ იტყოდით, მაგრამ ვერც იმის ასაკს მიხვდებოდით, თითქოსდა არცა ჰქონია ბავშვობა, ოღონდ არა ისე, როგორც მისს როუზა კოულფილდი ამბობდა, ბავშვობა მე არ მქონიაო; თითქოსდა ეს ბავშვი უმამაკაცოდ გაჩენილიყო ამქვეყნად და არც მშობიარობის ტკივილებით უშობია იგი დედას, თითქოსდა სულაც არ ჰყოლია მშობლები, ისე დაობლებულა. შენს ბაბუას უთქვამს, არვის უკითხავს, თუ რა მოუვიდაო დედამისს, არავინ შეწუხებულა იმ ქალის ბედით — მოკვდა, საყვარელთან ერთად გაიქცა თუ გათხოვდა; ერთი სიტყვით, არავითარი მეტამორფოზები არ მოსვლია მას, არც გამქრალა და არც მრუშობას მისცემია, არც ის ოდითგანვე დაგროვილი მრავალწლოვანი ნაგავი გაუყოლებია თან, რასაც ჩვენ მეხსიერებას, ჩვენს განუმეორებელ მე-ს ვეძახით; მხოლოდ ეს იყო, თანამიმდევრულად იცვლებოდა, პეპელა რომ იცვლება, ისე, როცა ჭუპრიდან გამოსულს აღარაფერი სცხია იმისა, რაც იყო და არც არაფერი რჩება უკან; მრთელი და ხელუხლებელი, მორჩილად მიიღებს თავის შემდგომ სახეს იმ გაფურჩქნილი ვარდისა და მაგნოლიის მსგავსად, ხვადრიელი ივნისის თვეს რომ ჭკნება, რათა მეორე ივნისს აღორძინდეს, და ამ მზესა და მიწას შორის არც ძვლებს, არც მტვერს, არც იოტისოდენ უსულო რამეს სტოვებს აღრინდელი ზეობისას, ზრდადამთავრებული გაჩენილიყო ეს ბიჭი, მიკრობე-



ბისაგან სრულიად შეუვალი იმ სურნელებით დანთქმულ აბრეშუმის ლაბი-  
რინთში, ვითარცა ნაწი და მიწიერი სული-სიმბოლო, მარადიული პაუზი უძ-  
ველესი ხანის მარადიული დედათა დედის ლილითისა. ერთი წამის ახსენსა  
კი არა, თორმეტი წლისა მოვლენოდა ამ ქვეყანას, ხოლო მშვენიერი სამო-  
სელი ამ პაუზისა სანახევროდ დაეფარათ ტომრისებრი ქურთუკით, მიღრო-  
ნობით რომ კერავენ და უიდიან რკინის უაღიბისაგან დამზადებული ნიჭის  
მიხედვით — ამ მასხარას შესაფერისი ჩასაცმლით, ქამის ვაჟიშვილების ამ  
ტრაგიკული და მასხარას დარი რეგალიებით; ხოლო ეს გამხდარი ბაღლი,  
ვისაც ინგლისური არც კი ესმოდა, უეცრად გამოიტაცეს იმ ცხოვრებიდან,  
რომლის გარდა მან არაფერი იცოდა და რომლის ნამუსრევიდა დარჩენილიყო  
ახლა; მომტაცებელი კი ერთხელ ჰყავდა ნანახი, იმთავითვე შიშის ზარი რომ  
მოჰგვარა მას და რომელმაც შეიპყრო ეს უღონო და უსუსური ბავშვი, ვინც  
შეჰყურებდა რაღაც ენით უთქმელი, შემზარავი შიშისა და ნდობისაგან  
შეზავებული გრძნობით; ეს ბიჭი ხომ ერთ სიტყვასაც ვერ გააგებინებდა ამ  
ქალს (ერთი კვირა, ერთი კვირა მაინც უნდა დაეყოთ გემის სატვირთო ბან-  
ჯე ბამბის ფუთებს შორის, ქამდნენ და ეძინათ ზანგებთან ერთად, თავის  
თანამგზავს ვერ ეტყოდა ეს ბიჭი, მშია ან საჭიროების ადგილას მიმიყვანეო)  
და შეეძლო მხოლოდ ევარაუდა, გუშანით მიხვედრილიყო, სადაც მიდიოდ-  
ნენ; ამ ბიჭისთვის ერთი კი უნდა ყოფილიყო ცხადი — წარბოცილიყო ად-  
რეული ხანა მისი ცხოვრებისა, განქარვებულიყო კვამლივით. წინააღმდეგო-  
ბა არ გაუწევია, წუნარად და მორჩილად დაბრუნდა დაძველებულ სახლში,  
მხოლოდ ერთხელ რომ ნახა, სადაც ცხოვრობდნენ მისი მომყვანი ის გულ-  
მწყრალი, პირქუში ზანგის ქალი და მეორე კიდევ თეთრი, ვინც გულმწყრა-  
ლიც არ ჩანდა, ჩუმიაო, ამას თუ იტყოდით, და მეტი არაფერი, ვინც მისთ-  
ვის ჯერ კიდევ არ იყო სახელშერქმეული, მაგრამ რატომღაც ძალიან ახ-  
ლობელი უნდა ყოფილიყო მისი, რადგან ამ ქალის საქუთრება იყო დედა-  
მიწაზე ის ერთადერთი ადგილი, სადაც მან პირველად და უკანასკნელად იხი-  
ლა დედის ცრემლები. ასე გადმოვლო მან უცხო ზღურბლი, საზღვარი, მის  
უკან სამარადისოდ დახშული, იმ სასტიკსა და მძვინვარე ზანგის ქალს კი  
არ მოუყვანია, არც მოუთრევია, ბატანივით წინ გამოუგდია და შეუდენია  
ამ უბადრუკ და გამოცარიელებულ სახლში, სადაც ის აბრეშუმის სამოსელი,  
წმინდა ქსოვილის პერანგები, წინდები და ფეხსაცმლები, რომლებიც ჯერ  
კიდევ დარჩენოდა და ახსენებდა, თუ ვინ იყო იგი, გაქრნენ, შემოეცალნენ  
მის ხელებს, სხეულსა და ფეხებს, განქარდნენ კვამლისაგან ნაქსოვი ქიშკრე-  
ბით... დიახ, ეძინა გორგოლაჭებიან ლოგინზე ჭუდითის, იმ ქალის გვერ-  
დით, ვინც სულმუდამ ცივი და უგულო აღერხით ექცეოდა, რაც ამ ბიჭს  
უფრო აშფოთებდა, ვიდრე ყოველდღიური სასტიკი და მძვინვარე მეურვე-  
ობა ზანგის ქალისა, იატაკზე დაგებულ თივრს ლეიბზე რომ იძინებდა რაღაც  
ჭიუტი მორჩილებით, ბიჭი მათ შორის იწვა, ძილი არ ეკარებოდა უღონო  
და უილაქო სასოწარკვეთილებით მოცულს, მის გვერდით ის ქალი იწვა,  
ვისი ყოველი გამოხედვა, საქმე და მარჯვე ხელები იმასთან მიახლოების ხანს  
პარგავდნენ სიბოხს და ნიადაგ იძენდნენ უწყალო სიცივეს; ხოლო თივის  
ლეიბზე მწოლარე ქალს ისე უყურებდა, როგორც პატარა ნადირი, უბრწყა-  
ლებო და უეშვებო, უსუსური, გალიაში მიუუუული რომ ამოდ ლამობს სის-  
ხლისმსმელად მოაჩვენოს თავი იმას, ვინც მას აჭმევს (შენს ბაბუას  
უთქვამს: „აცადეთ ყრმებსა მაგას მოხლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ“;



ნეტავ უფალს რისი თქმა უნდოდა ამით? თუ ის უნდოდა ეთქვა, პატარა ბავშვებს მასთან მიახლოებას რომ არ ანებებენ, მაშინ რაღაა მისი შექმნილი მიწა; ან თუ ის ვარაუდობდა, რომ ბავშვები უნდა ეწამონ, რათა მიახლოონ მას, მაშინ რაღაა მისი ზეცა?). ის ქალი, ვისაც მისთვის საჭმელი მოჰქონდა, საუკეთესო ნაჭრებს აჩეჩებდა, თავად ეს ბიჭი ხვდებოდა, შეგნებული მსხვერპლის გაღება იყო მათი მომზადებული კერძები. რაღაც უცნაურად შეზავებული გრძნობით შედიოდა ეს ქალი მასთან, მძვინვარება და სიბრძნე, ასევე და სიძულვილი გამოეხატა მის სახეს, ვინც აცმევდა და აბანავებდა მას, ჩასჩრიდა ხოლმე გეჯაში, რომელშიაც წყალი ხან ძალზე ცხელი იყო და ხან ძალზე ცივი, ამ ბიჭს კი წამოყვარებაც ვერ გაეებდა, გასაძნული ნეტათი, დაოკებული მძვინვარებით უხეხავდა ტან-ფეხს. თითქოსდა უნდოდა მისი თხელი კანისთვის ის სულ მცირეოდენი სიმუქე გაეცლია; ასე ხეხავს ხოლმე ბავშვი კედელზე იმ ადგილს, სადაც აწ უკვე კარგა ხანია გადაცლილი სალანძღავი სიტყვა იყო მიწერილი ცარციით; სიბნელეში რომ იწვა ქალებს შორის, ასე გრძნობდა, არც მათ ეძინათ, გრძნობდა, რომ სულ მასზე ფიქრობდნენ, მის მომავალზე, იმასაც გრძნობდა, სასოწარკვეთილების მქუხარე სიმარტოვეში სიტყვაზე უფრო ხმამაღლივ გაისმოდა: შენ არ წევხარ მაღლა, ჩემს ლოგინზე, სადაც უნდა წოლილიყავი, შენი ბრალი არ არის, არცა შენი ნება-სურვილით მომხდარა ეს; შენ არ წევხარ ჩემთან, დაბლა, ჩემს თივის ლეიბზე, იქ, სადაც უნდა იყო და იქნები კიდევაც, შენი ბრალი არ არის, არც შენი ნება-სურვილით მომხდარა ეს, ჩვენი ბრალიც არ არის, ჩვენი ნება-სურვილით არ მომხდარა, რომ არ გვინდა ის, რაც არ შეგვიძლია.

შენმა ბაბუამ არც ის იცოდა, იმათაგან რომელმა უთხრა ბიჭს, ის რომ ზანგია და კიდევაც უნდა იყოს ზანგი. ამ ბიჭს არ გაეგონა და არც ესმოდა, თუ რას ნიშნავს სიტყვა „შავდრუნჩა“, ეს სიტყვა არც არსებობდა იმ ენაზე, რომელიც მან იცოდა, იგი ხომ დაბადებული და გაზრდილი იყო რბილი აბრეშუმით მოფენილ შეუვალ საკანში, რომელიც შეიძლებოდა ზღვის ფსკერზე, ათასი ფუტის სიღრმეზე ყოფილიყო ტროსით ჩაშვებული, სადაც კანისფერს არც ექნებოდა რამე ზნეობრივი მნიშვნელობა, იმაზე უფრო მეტი, რაც ჰქონდა იმ აბრეშუმით მოფენილ კედლებს და სანთლების სურნელოვან ვარდისფერ საჩრდილობელს, სადაც იმისთვის ყურმოკრული აბსტრაქტული ცნებები — ერთცოლიანობა, ერთგულება, პატიოსნება, სიბოძო და სინაზე ჩვეულებრივ ხორციელ სიამესთან იყვნენ გათანაბრებული, საჭმლის მონელების პროცესისგან არ განსხვავდებოდნენ. შენმა ბაბუამ არც ის იცოდა, თუ როგორ დაატოვებინეს ბოლოს ის გორგოლაჭებიანი ლოგინი, იქნებ თავად, თავისი ნება-სურვილით დათმო; იქნებ მიეჩვია უკვე თავის მარტოობის სიმწარესა და ვაებას, იქნებ ჯუღითმა დაითხოვა იქიდან და ახლა შემოსასვლელში წვებოდა (სადაც კლიტიმაც გადმოიტანა თავისი ლეიბი), თუმცა იმასავით თივის ლეიბზე კი არა, არამედ მომალლო საწოლზე, იქნებ ჯუღითის მითითებისამებრ კი არა, იმ ზანგის ქალის გააფთრებულ და უწყალო ჯიუტი მორჩილების გამო. და შემდეგ კი სხვენზე აუტანიათ ის საწოლი, ის რამდენიმე ჩასაცმელი ფარდის უკან დაუკიდიათ, თავად გაუკეთებია ეს ფარდა ძველი ნოხისაგან და ლურსმებით მიუჭედებია კუთხეში. ძონძებიდა დარჩენილიყო იმ აბრეშუმის სამოსელისაგან, რომლითაც იგი აქ ჩამოსულიყო, იქვე ჰქონდა უხეში ჭინხის შარვალი და შინ ნაქსოვი სხვა სამოსი, რაც იმ ორ ქალს ეყიდა მისთვის და რასაც მადლობის უთქმელად ართმევდა;



სწორედ ასევე მიიღო ის ოთახი სხვენზე, არც არაფერი უთხოვია და არც შეუცვლია ის სპარტანული მოწყობილობა, ასე იცოდნენ იმ ქალებმაც; მაგრამ ორი წლის შემდეგ, როდესაც თოთხმეტისა გახდა, კლიტიმ თუ ჯუდიტმა უპოვეს სარკის ნამტვრევი. ვინ იცის, რამდენი საათი სასოწარკვეთილი ცრემლდაუდენელი და შემკრთალი იმწირებოდა შიგ, იმ თავის ერთ დროს ლამაზ და აწ კი დაპატარავებული, შემოძენილი სამოსელჩაცმული და იქნებ არც ახსოვდა, თუ როგორ გამოიყურებოდა აგრე გამოწყობილი, იმწირებოდა ჩუმად. უნდოდ და გაოცებით. კლიტი კი დაბლა იძინებდა, შემოსასვლელში, სხვენის კიბისძირი შემოეზღუდა, მკაცრად დარაჯობდა ესპანელ დუენიასავით, არ ჩამოსულიყო და არ გაქცეულიყო. ასწავლა შეშის დარჩევა, ბოსტანში მუშაობაც და ხვნაც, როცა ღონე მოემატა, უფრო სწორად, როცა გამძლე შეიქნა, რადგან ძვალწვრილი, თითქმის ნაზი აღნაგობის დარჩენილიყო მაინც ეს ბიჭი, ვინც გაჩნდნის და ქალური პატარა ხელებით ეჭიდავებოდა უსახელო და ჭირვეულ ჯორს, თავისნებას, უნაყოფოსა და ტრაგიკულს, მის მარადიულ და ერთგულ მეგობარს, ოდითგანვე იმასავით დაწევილილს; თანდათანობით ისწავლეს შრომა და ორივენი, გადაჯაჭვულნი ფოლადითა და ხისგან ნაჩორკნი მამრის სიმბოლოთი სერავდნენ და ხნავდნენ იმათ წინაშე განრთხმულ დედამიწას, მათ საკვებ წყაროს. კლიტი კი თვალს არ აცილებდა მას, უფიქროსი და გააფთრებული ეჭვნარევი ჯრუნვით ევლებოდა თავს, თუკი ვინმე, გინდ თეთრი და გინდ შავი შეჩერდებოდა გზაზე ამ ბიჭის სიახლოვეს და დაელოდებოდა, კვალს გაავლებს, შეისვენებს და გამოლაპარაკებას მოვასწრებო, იმწუთასვე გააძევებდა წყნარად წარმოთქმული ერთადერთი სიტყვით ან სულაც ხელის ნიშნებით, ასჯერ უფრო გააფთრებულით, ვიდრე ჩუმი ხმით რომ გალანძღავდა და გაისტუმრებდა გამვლელს. ამიტომ იგი (შენი ბაბუა) ასე ფიქრობდა, არც არავის ბრალი იყო, რომ ის ბიჭი ზანგებს დაუახლოვდა. არც კლიტის, ვინც თითქოს ესპანელი ქალწული ყოფილიყო, ისე დარაჯობდა მას; ვინაც ჯერ კიდევ იმხანად, როცა გულშიაც კი არ გაუვლია, ამ ბიჭს ჩვენსა მოუხდებოდა ცხოვრება, პირველ შეხვედრისთანავე დაუშალა ზანგებთან ურთიერთობა და უკან, სახლში გამოუშვა; არც ჯუდიტის, ვისაც ყოველ წუთს შეეძლო აეკრძალა მისთვის თეთრი ბაღლისამებრ მის ოთახში ლოგინში დაძინება, და თუკი იატაკზე დაწოლის ნებას არ მისცემდა, შეეძლო კლიტისთვის ებრძანებინა, შენთან დაიწვინეო; ვისაც, თუკი მოისურვებდა, შეეძლო ბერად აღეკვეცა, უცოლობის აღთქმას რომ დადებდა, ოღონდ არა საჭურისი გაეხადა; ვითომცდა უცხოელი ხარ, ისე იყავიო, შეიძლება ეს არ ეთქვა მისთვის, მაგრამ ზანგებში ტრიალს ნამდვილად არ დააძალებდა. შენმა ბაბუამ ეს ამბავი არ იცოდა, თუმცა ქალაქში, იმ არემილამოში რომ იცოდნენ, იმაზე მეტი კი იცოდა, ანუ ვილაც უცნაური პატარა ბიჭი რომ ცხოვრობდა იქ და თორმეტიოდე წლისამ გამოადგა პირველად ფეხი სახლიდან; მისი ყოფნა არათუ გაურკვეველი იყო ქალაქისა და ოლქისათვის, ახლა დარწმუნებულიც იყვნენ, ვიცით, თუ რად ესროლა ჰენრიმ ბონსო. მხოლოდ უკვირდათ, სად და როგორ მოახერხეს კლიტიმ და ჯუდიტმა მთელი ეს ხანი მისი დამალვა; ახლა მიმხვდარიყვნენ, სწორედ მისმა ქვრივმა დაასაფლავაო ბონი, თუმცა ამ ქალს ამის არც რამე საბუთი ჰქონდა და ვერც ვეღარაფერს დაამტკიცებდა, გაკვირვებული (და თავზარდაცემულიც) იყო შენი ბაბუა (ვისაც სეიფში ჰქონდა შენახული იმხანად ასი დოლარი და ჯუდიტის წერილობითი მითითება მეოთხე საფლა-



ვის ქვის შესახებ, და მაინც ვერ ამოეცნო ეს ბიჭი იმ ბაღში, ორი წლის წინათ რომ ნახა, როდესაც სასაფლაოზე სატირლად ჩამოვიდა ის (რქტორონი ქალი), ფიქრობდა, იქნებ ის ბაღი კლიტის საკუთარი მამისაგან იყო, ამ ბიჭს ყოველთვის სახლისა და კლიტის სიახლოვეს ხედავდნენ. შემდეგ ეს ყრმა ხვნას სწავლობდა და კლიტიც სადღაც იქვე იყო ხოლმე. მალე ესეც გაუგიათ კარგად, თუ როგორ მკაცრად და გამუდმებით უთვალთვალებდა ეს ქალი. გამოჩნდებოდა თუ არა ვინმე, იმ წუთას დაუშლიდა იმათთან გამოლაპარაკებას, დაბოლოს მხოლოდ შენს ბაბუას შეუმჩნევია იგივეობა ამ ბიჭის და სამი თუ ოთხი წლის წინათ სასაფლაოზე ნამყოფი ბავშვისა.

ხოდა, შენს ბაბუასთან მისულა ჯუდიტი სამსახურში ხუთი წლის მერე, მან კი ვერ გაიხსენა, უკანასკნელად როდის ჰყავდა ჯეფერსონში ნანახი ეს აწ უკვე ორმოც წელიწადს მიტანებული ქალი, ისევ ის გაცვეთილი ჩითის კაბა ეცვა და ეხურა ფართოფარფლებიანი ქუდი, დაჯდომაც კი უთხრა უარი, ჩვეულებრივ ნიღაბაფარებული ახლა საშინელი მღელვარება მორეოდა, დაუშინა, სასამართლოში შემომყვებით და გზაზე ყველაფერს გიამბობო; შევიდნენ ხალხით გაჭედილ სასამართლო დარბაზში და შენს ბაბუას დაუნახავს ის ბიჭი (დაკაცებულიყო უკვე), პოლიციელთან ბორკილით გადაბმული, მკერდზე ჰქონდა ჩამოკიდებული მეორე ხელი, თავშეხვეული იყო, რადგან ჯერ ექიმთან მიუყვანიათ თურმე; შენს ბაბუას თანდათანობით გაურკვევია მომხდარი ამბავი, ანუ ის, რისი გარკვევაც შეიძლებოდა; თავად მოსამართლეს ვერ ჩამხვდარიყო კარგად მოწმეთა მონათხრობს, რომელთაგან ერთნი გაქცეულიყვნენ და შერიფისათვის შეუტყობინებიათ, მეორე ნაწილთან კი (გარდა იმისა, ვინც ისე დაუშავებია, აქ ვეღარც მოსულა) მას უჩხუბია. ზანგების სადამოზე, სატკენის ასეულიდან რამდენიმე მილით დაცილებულ ქოხმახში მომხდარა ეს ამბავი, ხოდა, ის იქ ყოფილა, შენმა ბაბუამ ვერც ვერასდროს გაიგო, ხშირად დადიოდა თუ არა იქ; იქნებ დროს გაყვანა, ცეკვა ან კამათლის თამაში უნდოდა იმათთან სამჯარეულოში, სადაც ამტყდარა თურმე კიდევ აუალმაყალი. მოწმეთა მიხედვით, აუალმაყალი სწორედ მას აუტეხავს უმიზეზოდ და არა ზანგებს, არც არავის უთაღლითნია თამაშისას. მას არც უთქვამს რამე, არც უარყვია და საერთოდ არ დაუძრავს სიტყვა, დაღვრემილი იჭდა სასამართლოზე, გაფითრებული და მღუპარე, და ამიტომაც მთელი სიმართლე, მთელი ჩვენებანი დაინთქა, ჩიკარგა შავი მკლავების, თავების, ხელების ტრიალში — კეტებს, ტაშტ-თუნგებს და სამართებლებს რომ იქნევდნენ, იმათ შუა კი თეთრი კაცი იდგა, სუსტი და უღონო, სადღაც ნაშოვნო დანით, ვისაც ცხადი იყო, გამოცდილება და სიმარჯვე აკლდა, მაგრამ, ეტყობა, სისხლი ყელში მობჯენოდა და მთელი ძალით, სასოწარკვეთილი კაცის მრისხანებით მოცული იქნევდა დანას. არ აღარდებდა შედეგი, თითქოსდა არც კი შეუმჩნევია, სამაგიეროდ რამდენი მოხვდა, რამე მიზეზი და საბაბი არ ჰქონია ამ ჩხუბისთვის; ზუსტად ვერც ვერავინ გაიგებდა ვერაფერს, თუ რა მოხდა, ან რას მიხვდებოდნენ ამ ლანძღვა-გინებაში. მხოლოდ შენს ბაბუას ენიშნა რაღაც, გუმანით ჩახვდა და დალანდა, რომ ეს იყო მძვინვარე უარყოფა, ამბოხება ზანგების ნებისადმი, აშკარა გამოწვევა მძვინვარე და წარუვალი უსასოებით გატანჯული კაცისა, თავად ეშმას რომ შეეძლო გამოეჩინა, ისეთი, თითქოსდა ჯერ კიდევ ბავშვს და მერე უმაწვილს რომ გადმოსცემოდა იმ კედლებიდან, სადაც უცხოვრია იმ ეშმას, იმ ჰაერიდან, რომელსაც იგი სუნთქავდა, ვიდრე არ



დადგა ის წუთი, როდესაც თავისივე ბედისწერას შეეჭიდა და მან საპასუხო ლაზვარი ჩასცა; მხოლოდ შენს ბაბუას უგვრძნია ეს უარყოფა, სხვებს, მოსამართლესა და იქ მყოფ ხალხს ვერც გამოუცვნიათ, ვერც უცვნიათ ის გამბდარი, თავ-და-ხელ შეხვეული კაცი, პირქუში, აუმღვრეველი, მოყვანილობის სახე რომ ჰქონდა (ახლა მკვიდრისფერიც), კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა და არც არაფერს აცხადებდა; ხოდა, იმწუთას, როცა შენი ბაბუა იქ შესულა, მოსამართლეს (ჯიმ ჰემბლეტი ყოფილა მაშინ) უნდა წარმოეთქვა კიდევაც საბრალდებულო სიტყვა, ვისაც კარგი შემთხვევა ჰქონდა თავისი მჭევრმეტყველების წარმოსაჩენად ხალხის წინაშე და თვალისჩინი წართმეოდა უკვე, ველარაფერს ხედავდა, ასე ემართება იმას, ვისაც თავისი საუბრის მოსმენა უყვარს საზოგადოების წინარე: „და იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა იბრძვის, რათა თავი დააღწიოს ტირანისა და მჩაგვრელის რკინის ქუსლს, როდესაც უნდა შეიქნას მომავალი მთელი სამხრეთისა, სადაც შეუჭირვებლად უნდა იცხოვრონ ჩვენმა ქალებმა და ბალებმა, სადაც ჩვენი ხელითა და გარჯით უნდა შევქმნათ ეს მომავალი; როდესაც ჩვენი ძალა და იარაღი შავი ადამიანების სიამაყე, პატიოსნება და მოთმინებაა და ასევე სიამაყე, პატიოსნება და მოთმინება თეთრი ადამიანებისა, თქვენ კი, მე გეუბნებით, თქვენ, თეთრო კაცო, თეთრო-მეთქი...“ შენს ბაბუას კი მისვლა უნდა, რომ შეაჩეროს, უნდა გზა გაიკვლიოს ამ ბრბოში, გასძახის: „ჯიმ, ჯიმ-მეთქი!“ მაგრამ გვიანდაა, ამ დროს თითქოს თავად ჰემბლეტი საკუთარმა ხმამ თუ ცხვირზე წკიპურტმა გამოაღვიძაო, გამოხედა პატიმარს, გაიმეორა, „თეთრიო“, და ხმა ჩაუწყდა, თითქოსდა ამ სიტყვამ მოკლე ჩართვა მოახდინა, პატიმრისკენ მიტრიალდნენ ყველანი ამ დარბაზში, როცა ჰემბლეტის შეძახილი გაიგონეს — „ვინა ხართ თქვენ? ვინა ხართ და საიდან მოსულხართ?“

შენმა ბაბუამ გამოაშვებინა, ბრალდება მოახსენებინა, ჯარიმა გადაიხადა, თავის სამსახურში წამოიყვანა და იფიქრა, ვიდრე ჯუღითი მისაღებში ზის, გამოველაპარაკებოო მას. ჩარლზ ბონის ვაჟი ხართო? კასე უკითხავს, არ ვიცოდ, იმას მიუგია ხრინწიანი ხმით და პირქუშად. არ გახსოვთო? უთქვამს შენს ბაბუას. ამაზე კი აღარ უპასუხნია იმას. მაშინ შენმა ბაბუამ ასე უთხრა, უნდა წახვიდე, გადაიკარგოო, ფულიც მიუცია: „ვინც უნდა იყოთ, სულერთია, უცხო ხალხს შორის, ვინც თქვენ არ გიცნობს, შეგიძლიათ ის გახდეთ, რაც გნებავთ. ყველაფერს მოგიგვარებთ. მე ვეტყვი მას... მას-მეთქი... რას ეძახით თქვენ მას?“ ძალიან შორს შეტოპა უკვე და გვიანდა იყო შეჩერება; იჭდა და შეჰყურებდა იმის წყნარ სახეს, არაფერი არ ეტყობოდა ჯუღითის მსგავსადვე, არც იმედი და არც გულისტკივილი, მხოლოდ პირქუში და განუჭვრეტელი ჩანდა, დასცქეროდა თავის დაკოჟრილ ქალურ, ფრჩხილებწაბეხილ თითებს, რომელშიც ფული ეკავა, შენი ბაბუა კი ამ დროს ფიქრობდა, ვერ ვეტყვიო „მისს ჯუღითსო“, მაშინ ამ კაცის სისხლნარევობა კიდევ უფრო ცხადი გახდება.\* შემდეგ ასე გაუფიქრებია, არ ვიცი, მალავს თუ არა ეს კაცი ამ ამბავსო. ხოდა, ასე უთქვამს, მისს სატპენსო. „მე ვეტყვი მისს სატპენს, იმას კი არა, რა თქმა უნდა, თუ სად წახვალთ, თქვენი სად-მყოფობა მეც არ მეცოდინება. მხოლოდ ამას ვაცნობებ იმ ქალს, ვიცი, რომ წავიდა და თქვენთვის ასე სჯობს-მეთქი“.

\* იმ დროინდელ სამხრეთში ზანგები ჩვეულებრივ ასე მიმართავდნენ თეთრ ქალებს: „მისს...“ და კვენტინის ბაბუა შიშობს, ვაითუ ჩარლზ ბონის ვაჟიშვილს შეურაცხყოფა მივაყენოო.



ხოდა, წავიდა ის კაცი, შენი ბაბუა შეჰდა ცხენზე და ჯუღითთან გაემგზავრა, ვეტყვიო ამ ამბავს, კლიტი გამოეგება კართან, დაკვირვებით გამოხედა, შეაცქერდა სახეზე, უხმოდ შეტრიალდა ჯუღითის დასაძახებლად, შენი ბაბუა კი დალოდებია იმ ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში, უკვე მიმხვდარი, რომ ვერაფერს ეტყოდა, ვერც ამას და ვერც იმას. მართლაც ვერაფერი უთქვამს. მალე ჯუღითი შემოვიდა, დადგა, შეხედა ამ კაცს და ასე უთხრა: „მგონია, თქვენ არაფრის თქმა არ გნებავთ...“ „მნებავს კი არა, არ შემოძლია“, — უპასუხია შენს ბაბუას, — მაგრამ არა იმიტომ, რომ იმ კაცს დავპირდი. ახლა იმას ფული აქვს, კი შეძლებს...“ და შეჩერდა, ის პატარა საბრალო ბიჭი ჩამდგარიყო უჩინრად მათ შორის, რვა წლის წინათ რომ იყო აქ ჩამოსული. შემოძენძილი აბრეშუმისა და სუფთა მაუდის სამოსლის ზემოდან ჭვალთ ქურთუკი მოესხათ მისთვის მხრებზე, მერე კი ყმაწვილი შეიქნა, ერთი დაგლეჯილი ქუდი ეხურა და ძველმანები იყო მისი ტანსაცმელი მუდამ — ნიშანი მისი ოდინდელი შეჩვენებისა, მერე დაკაცდა, კაცის ძალა მიეცა და მაინც ისევ ის მარტოსული ბაღლი დარჩენილიყო იმ თავის ტილოსა და ტყავის ძონძებში, შენი ბაბუა კი იჭდა იქ და აცდუნებდა მას ცუდითა სიტყვითა, რასაც ჩვენ გულის გაკეთებას ვეძახით და ასე ფიქრობდა, ნეტავი მკვდარი იყოს ის კაცი, ნეტავი არ გაჩენილიყო ამქვეყნად; მერე ეს გაიფიქრა, გულში თქმული რომ განეცხადებინა, ცარიელი და აზრმოკლებული გამეორება იქნებოდა იმ ქალისთვის, ვისაც უკვე უსათუოდ უნდა ჰქონოდა ეს ნათქვამი, ნაფიქრი, მხოლოდ სხვა სქესსა და რიცხვში. ქალაქს დაბრუნდა შენი ბაბუა. მერე კი, მეორედ, მასთან უკვე აღარავინ გამოუგზავნიათ, მთელმა ქალაქმა რომ გაიგო, მაშინ გაიგო მანაც, იქაურ ზანგებში გავრცელებულა ეს ამბავი, თურმე იგი, ჩარლზ ეტიენ სენტვალერი ბონი უკანვე მობრუნებულიყო (სახლში კი არა, აქ მობრუნებულიყო), თუ როგორ მობრუნებულიყო, მერე გაუგია ეს შენს ბაბუას, თურმე ნახშირივით შავი მაიმუნი ქალი ჩამოუყვანია, ეჭვმიუტანელი საქორწინო მოწმობა წამოუყოლებია, თუმცა ჩამომყვანი უფრო ის დიაცი უნდა ყოფილიყო, რადგან ცოტა ხნის წინ ის კაცი ისე მაგრად უცემიათ და დაუსახიჩრებიათ, ძლივსღა იჭდა იმ თავის კოჭლ და უუნაგირო ვირზე, ცოლი გვერდით მოჰყვებოდა და ხელს აშველებდა, არ ჩამოვარდესო; ხოდა, ასე მოხუდან სახლთან და, როგორც ჩანს, ის საქორწინო მოწმობა ჯუღითისათვის სახეში მიუხლია იმ ჩუმი სასოწარკვეთილებით მოცულს, როგორითაც დასტაკებია ზანგებს კამათლის თამაშის დროს. ვინ იცის, იმ ერთ წელიწადში რა არ გადახდა, თავად არც არასდროს უთქვამს ამის შესახებ, იმისი ცოლი კი ერთი წლის შემდეგაც კი, ვაჟი რომ გაუჩნდა, ისევ ისეთივე თავზარდაცემული და შიშისაგან გახევებული ჩანდა, როგორიც აქ ჩამოსვლისას, და სიტყვასაც არ ძრავდა ამაზე, იქნებ არც შეეძლო რამის თქმა; მაგრამ შემდეგ, თანდათან, რაღაც ამაზრზენი გარდატეხის კვალად წარსული ამბები გაიხსენა, ასე დაეტყობა ოფლის წვეთები ელდანაკრავსა და სიმძიმისაგან გატანჯულს — თუ როგორ იპოვა იმ კაცმა ეს ქალი სადღაც გადაკარგულში, (იმ ქალაქის თუ სოფლის სახელიც არ იცოდა ან იქნებ იქიდან წამოსვლით შეძრწუნებულს ყოველივე ამოვარდნა თავიდან და მებსიერებიდან) და როგორ წამოიყვანა, თუმცა დიდი ჯკუის პატრონი არ იყო ეს ქალი, მაგრამ იმ ადგილას კი შეეძლო ლუკმა-პური ეშოვნა და ჭერი ჰქონოდა, მერე როგორ დაქორწინდა ის კაცი იმაზე, აღბათ ხე-



ლიც შეაშველა, როდესაც ქალმა წვალეებით ჭვარი დასვა სარეგისტრაციო დავთარში, არც სცოდნია ამ კაცის სახელი და არც ის, რომ თეთრი არ ყოფილა (თუმცა ვერავინ იტყოდა, ახლაც თუ იცისო იმ ქალმა სინამდვილე, იმის მეტეც კი, როცა ვაჟი შეეძინათ იმ სანახევროდ დანგრეულ მონის ქოხმაში — იმ კაცს რომ შეუკეთებია; ჭუდიტს მიუჭირავებია მისთვის ქაქარა-მეწის ნაკვეთი); თუ როგორ გავიდა ასე კიდევ ერთი წელიწადი, რომელიც მიწვევად ბოდა ერთი მეორის მონაცვლე გაწყვეტილი კინოლენტის დარი სრულიად უძრავი თვეებისაგან; მასზე დაქორწინებული ის მეტრი კანისფერის კაცი მთელი დღეები პირალმა იწვა და იშუშებდა იმ თავის ბოლოდროინდელ ნაიარევს, სადღაც, რომელიღაც ქალაქებისა და დაბების ბინძურ და აუროლეზულ ოთახებში უცემიათ თურმე; თუ სად იყვნენ, არც ეს სცოდნია ამ ქალს; სხვა თვეები, სხვა ხანაც ყოფილა გააფთრებული, გაუგებარი, მთლად აწრმოკლებული წოწიალისა, სახეთა და სხეულთა მორევი, რომლის წიად გზას მიიკვლევდა ეს კაცი და მიათრევდა ამ ქალს; სად მიდიოდა, საიდან მოდიოდა, რა მძვინვარებას აეტანა, რას წაერთმია მოსვენება, ამ ქალს არ სცოდნია, ეს კია, ერთნაირი ბოლო და დასასრული მქონდა მათ ყოველ ნაბიჯს და თითქმის რაღაც რიტუალურ ცეკვას დამსგავსებოდა, თავისი მაიმუნისნაირი შავი თანამგზავრით აშკარად თავი მოჰქონდა, ბაქიბუქობდა ეს კაცი იმათ წინაშე, ვისაც ეს მისი საქციელი გულზე გახეთქავდა — ნავსადგურთა ზანგი მტვირთავების, მეზღვაურების ან ქალაქის მეძავთა თვალწინ გამოაცხადებდა, ზანგი ვარო მე, იმათ კი არ სჭეროდათ; თეთრები კი ასე ფიქრობდნენ, ეშინია, თავს უფრთხილდება ან სულაც სქესობრივმა აღვირაზნებლობამ გამოათაყვანაო. შედეგი კი ერთი იყო ბოლოს — გოგოსავით ნაზი და სუსტი აღნაგობის კაცი პირველი გამოიღებდა საჩხუბრად ხელს იარაღის გარეშე და დამხვდურთა რაოდენობას არ დაგიდევდათ, ისეთივე გამძვინვარებული ჩანდა და არც ტკივილი აღარდებდა, არც სასჯელი, აქც სუნთქვა ეკვროდა ამ დროს, არც იგინებოდა, ხარხარებდა და ხარხარებდა მხოლოდ.

ხოდა, აჩვენა მან ჭუდიტს ის თავისი მოწმობა, მოიყვანა ცოლი, ვისაც სადაცაა უნდა ემშობიარა იმ დაქცეულ ქოხმაში, რომელიც შეაკეთა და გაუწყო თავის მეორე ნახევარს, ძალღივით შეაგდო შიგ და სახლში დაბრუნდა. და არავინ იცის, თუ რა მოხდა იმასა და ჭუდიტს შორის იმ საღამოს ოთახში, სადაც ნოხები აღარ იყო, მაგრამ სკამები და რაღაც ავეჯი დარჩენილიყო, რომელიც არ დაუმტვრევიათ ცეცხლის გასაჩაღებლად, საქმლის გასაკეთებლად თუ წყლის ასადუღებლად, ხანდახან რომ ვინმე ავად გახდებოდა; იმ ქალს, ვინც არ გათხოვილა, ისე დაქვრივებულიყო და იმას შორის, ვინც ვაჟი გახლდათ მისი განსვენებული საქმროსი და ზანგური სისხლის მხევლისა, ვინც თავის შავ სისხლზე უფრო მეტად თეთრს აღეშფოთებინა და კიდევაც უარყოფდა ამას გასაოცარი მოჭარბებული მძვინვარებით, რაკილა გრძნობდა, მისი იყო ეს სულმუდამ მასთან მყოფელი სისხლი; სწორედ ისე, როგორც ის ეშმა მოიქცეოდა.

(იმიტომ რომ ეს სიყვარული იყო, თქვა ბ-ნმა კომპსონმა. წერილიც იყო, იმ ქალს რომ მიუცია შენი ბებიათვის შესანახად. მას (ცვენტინს) უნახავს ის ისე ცხადლივ, როგორც ამ გახსნილ წერილს ხედავდა იქვე, მის პირდაპირ, მაგიდაზე, — თეთრი შარვლის ფონზე, მამის ბნელით მოცულ ხელში, სექტემბრის ბინდბუნდს შერთვოდა სიგარის კვამლი, გლიცინიას სურ-



ნედება და რიალი ციციანათელებისა, და ასე ფიქრობდა, დიახ, მეტისმეტად ბევრი მაქვს მოსმენილი, მეტისმეტად ბევრს ვუგდებდი მე ყურს. ასე ფიქრობდა, დიახ, შრივიც სწორედ მამასავით ლაპარაკობს; ან ეს წეროდა; ვინ იცის, რა ზნეობრივი აღორძინების ფიქრს მისცემოდა ეს ქალი: განმარტოებული იმ სახლში, იმ ოთახში, იმ ღამეს; ან როგორ უნდა დასძლიოდა ეს ძველისძველი რკინისებური ტრადიციები, როდესაც ხედავდნენ თითქმის აყველადერი, რაც მას წარუვალა ეგონა, ისე შემუსრულიყო, ვითარცა ქარისაგან ძეწნი; ხოდა, ზის იგი ღამპასთან სწორსა და მაგარ სკამზე წელგამართული, ისევ ის ჩითის კაბა აცვია, ოღონდ ახლა თავშიშველია, შეჭალარაგებია ოდესღაც კუბრივით შავი თმა, იმის პირისპირ კი ის ყმაწვილკაცი დგას. დაჯდომაზე უარი თქვა, იქნებ იმ ქალს არც უთქვამს იმისთვის, დაჯექიო. ქალის დაბალ ცივ ხმას ვერც დაუფარავს შიშინი ღამპის ალისა: „შევცდი, ვალიარებ. მე კი მეგონა, არის რაღაც, რაც დიდმნიშვნელოვანია იმიტომ, რომ აღრევ დიდმნიშვნელოვანი ყოფილა. მაგრამ შევცდი-მეთქი. სუნთქვაზე დიდმნიშვნელოვანი რაღაა, უნდა ისუნთქო, იცოდე რაღაც, იცოცხო. მაგრამ ბავშვს, საქორწინო მოწმობას, საბუთს რაღა უნდა ვუყოთ? საბუთშია ჩაწერილი შენი და მისი სახელები, ის კი, რაც უნდა იყოს, მაინც ზანგია; კი შეიძლება მისი გადამალვა, ველარავინ გაბედავს მის გამოჩხრეკას, ასევე ვერავინ გაუხსენებს ყმაწვილკაცს ყრმობის დროინდელ სიცულქეს. ბავშვზეც ნუ იღარდებ. ჩემს მამასაც ჰყოლია მასეთები და ვის შეეძლო ამის გულისთვის მისი გაკიცხვა? თუკი მოისურვებ, იმ ქალს და იმ ბავშვსაც შევინახავთ, თუკი მოისურვებ-მეთქი; ხოდა, მოვიდნენ ისინი აქ და კლიტი...“ ეუბნება ამას და აკვირდება, ისევ და ისევ ზის უმოძრაო, გარინდებული და წელგამართული, ხელები უმოძრაოდვე დაუწყვია მუხლებზე, ძლივსღა სუნთქავს, თითქოსდა ის კაცი ველური ფრინველი ან ცხოველია, ვისაც აფრთხობს თრთოლვაც კი მისი ნესტოებისა და მკერდის: „არა, მე-მეთქი. მე გავზრდი, მე ვიზრუნებ იმაზე... იმას არც სჭირდება რამე სახელი; შენ ნულარ ნახავ იმას, ნურც შეწუხდები. ჩვენ გენერალ კომბსონს ვნახავთ და მიწის ნაწილს გაგვაყიდინებს; უარს არ გვეტყვის და შენ შეგიძლია გაემგზავრო. ჩრდილოეთში გადახვალ, სადაც დიდი ქალაქებია, იქ სულერთი იქნება, თუნდაც რომ... მაგრამ ამას ისინი არ იზამენ. ვერ გაბედავენ. მე ვეტყვი იმათ, ჰენრის ვაჟია-მეთქი, და ვინ იტყვის რამეს, ანუ ვინ გაბედავს ეჭვის შეტანას...“ ის კაცი კი დგას, უმზერს თუ არა მას, ქალი ვერ იტყვის, რადგან თავდალუნულია — არ ჩანს მისი უგრძნობელი გამხდარი სახე, ეს ქალი კი თვალს არ აცილებს, განძრევაც ვერ გაუბედავს, ჩურჩულებს, ოღონდ ნათლად და გარკვევით. და თუმცა ძლივს, მაინც ესმის მას: „ჩარლზ“; ის კაცი კი: „არა, მისს სატპენ“; და ქალი ისევ გაუნძრევლად ზის, ერთი კუნთიც არ შეუტოკდა, თითქოსდა შამბნართან მდგარმა რაღაც ცხოველი შემოიტყუა; თუმცა თავად ვერ ხედავს, მაგრამ იცის, რომ იგი უჭვრეტს მას ჩამალული, თუმცა არც დამფრთხალია და შეშინებული, მხოლოდ შეჩქვიფებული ჩანს — ეს გრძნობა ხომ თანმხლებია თავისუფალ არსებათა, მცირეოდენ კვალსაც რომ ვერ ტოვებენ ყოვლისა მზიდველ მიწაზე; ხელის შეხებასაც ვერ უბედავს, ისე იშველიებს ქალის იარაღს, მთრთოლვარე, მაცთურ და ღვთაებრივი სიტკბოთი სავსე ხმას: „დეიდა ჯუდიითი დამიძახე მე, ჩარლზ“), დიახ ვინ იცის, თუ თქვა რამე, იქნებ სულაც არაფერი უთქვამს, მიტრიალდა და გავიდა, ის ქალი კი ზის ისევ უძრავად, გაშეშებული, კედელ-



სა და სიბნელეში გაუტანებია მის მზერას და ხედავს იმ კაცს, ბალახმორე-  
ული მოხახვევით უკან, ქვემოთ მიმავალს გამოცარიელებულ და მინგრეულ-  
მონგრეულ ქოხმახებს შორის, იქ, სადაც ცოლი ელოდებოდა, ქვადრეკიანი  
ეკლიანა სავალით გეთსიმანიასაკენ, თავად რომ შეუქმნია თავისთვის, სადაც  
თავადვე უწამებია თავი და, ჯვარიდან მცირე ხნით გარდამოხსნილი, უკანვე  
უბრუნდებოდა მას.

ოღონდ შენს ბაბუას არ სცოდნია ეს ამბავი. ისღა ესმოდა, რასაც ქა-  
ლაქსა და ოლქში ამბობდნენ: კლიტი რომ მეურვეობდა და მეურნეობას  
ახწავლიდა იმ უცხო პატარა ბიჭს, აწ უკვე დაკაცებულს, იმ დღეს სახა-  
მართლოში რომ იქდა თავშეხვეული, ერთი ხელი მკერდზე ჰქონდა ჩამო-  
კიდებული, მეორეზე ბორკილი დაედოთ, მერე რომ გაქრა და ისევ ჩამოვიდა  
კანონიერი ცოლითურთ, ვინც სამხეცვიდან გამოყვანილი გეგონებოდათ.  
იჯარით მიწის ნაკვეთი აუღია სატპენის ასეულში და კარგადაც გაძლოლია  
საქმეს, მართოდ და თავგამოდებით მუშაობდა, თავისი აღნაგობის, გაჩხინ-  
კული ტან-ფეხისა და მკლავების მიუხედავად, რათა განზრახული შეესრუ-  
ლებინა. განდევნილივით ცხოვრობდა იგი იმ თავისივე შეკეთებულ ქოხმახ-  
ში, სადაც ვაჟი დაიბადა მისი, არც არავისთან ჰქონდა ურთიერთობა, არც  
თეთრებთან და არც შავებთან (ალარც კლიტის სჭირდებოდა უკვე მისი  
თვალთვალი), შემდგომ ოთხ წელიწადში სამჯერ თუ იქნებოდა ნამყოფი  
ჯეფერსონში ეს კაცი, და მაშინაც, ასე უთქვამს ზანგებს, რომლებიც შიშით  
ალარ იყვნენ მისი, კლიტის და ჯუღითის დანახვაზე, მთვრალივით იყო, ანდა  
მართლაც ბევრს სვამდაო ზანგის დუქანში სადგურის ქუჩაზე, საიდანაც  
შენს ბაბუას მოჰყავდა ხოლმე (ხოლო თუ უგონოდ მთვრალი აუაღმაყალს  
ატებდა — ქალაქის პოლიციელებს), და იქამდე აჩერებდა თავისთან, ვიდ-  
რე მისი ცოლი, ეს ჯოჯოხეთის მაშხალა, ოთხთვალათი არ მოაკითხავდა. ხო-  
და, დააწვენდა იმაზე და შინისაკენ ასე გამოსწევდნენ: ცარიელა თვალები  
და ხელები იყო, სიცოცხლის სხვა ნიშანწყალი ალარც ეტყობოდა იმ ქალს,  
ქალაქში რომ ალარ გამოჩნდა ეს კაცი, პირველად არც კი შეუმჩნევიათ, ვიდ-  
რე ოლქის მთავარმა ექიმმა შენს ბაბუას არ უთხრა, უვითელი ციება სჭირ-  
სო; ჯუღითმა გადაიყვანა თავისთან და უვლისო, მაგრამ თავადაც ავად გამხ-  
დარა, შენმა ბაბუამ იმ ექიმს სთხოვა, მისს კოულდფილდს შეატყობინეო, და  
მერე თვითონ (შენი ბაბუა) ერთ დღეს იმათთან მისულა, ცხენიდან არც  
ჩამომხტარა, ისე გასძახა, კლიტიმ გადმოხედა ზედა სართულის რომელიღაც  
სარკმლიდან და ასე ამცნო, არაფერი სჭირდებათო მათ. გავიდა ერთი კვირა  
და შენს ბაბუას გაუგია, მართალი ყოფილა კლიტი, ანუ, უფრო სწორად, ენამ  
უყივლა ამ ქალს, რადგან პირველი ჯუღითი მომკვდარიყო თურმე.

— ჰოი, — თქვა კვენტინმა. დიან, ასე გაიფიქრა, მეტად, მეტად დიდ-  
ხანსო გაახსენდა, იმ მეხუთე საფლავის ნახვისას თავში გაუელვა, რომ იმას,  
ვისაც ჯუღითი დაუკრძალავს, თითქოს შეშინებია, სხვა მკვდრებს არ გადას-  
დოსო ის ავადმყოფობა ამ ქალმა და მისი საფლავი საპირისპირო მხარეს  
სულ კიდეში გაუთხრიათ, ალარც შეიძლებოდა მეტი იქით გაწევა, ღობე  
შეუშლიდათ ხელს, და ასე გაიფიქრა მამას იმჯერად ალარ დასჭირდება ჩემ-  
თვის ამისი თქმა: „იფიქრეო“ რადგან მან, ჯერ კიდევ მანამ. სანამ წარწერას  
ამოიკითხავდა. უკვე იცოდა, თუ ვის შეუკვეთია და უყილია ის საფლავის  
ქვა, წარმოიდგინა კიდეცაც, თუ როგორ უგრძვნია ჯუღითს სიკვდილის მო-  
ახლოება, ლოგინიდან წამომდგარა და ბეჭდური ასოებით მითითება დაუ-



წერია (იქნებ ბოდვამორეულისაჲ) კლიტისთვის; თუ როგორ უცხოვრია კლიტის შემდეგი თორმეტი წელიწადი, როგორ ზრდიდა იმ ბავშვს, რომელიც მონის ძველ ქოხმახში დაბადებულიყო, როგორ იკლებდა უცხოვრის და ასე აქუჩებდა ფუფს; ჯუდიტს ჯერ კიდევ თავის სიკვდილამდე ოცდაოთხი წლით ადრე ასი დოლარი მიუცია შენი ბაბუასთვის იმ ქვის მთლიანი ღირებულებიდან და დანარჩენი თანხა კლიტის უნდა გადაეხადა; თუ როგორ უარობდა შენი ბაბუა, როცა (კლიტის) მის მაგიდაზე დაუდგამს ჟანგიანი ქილა ხურდებითა და გაზინჯლულ-გაქექილი ქაღალდის ფუფებით სავსე და ისე წამოსულა იქიდან, სიტყვა არ დაუძრავს. კედრის წიწვები უნდა მოეცილებინა კვენტინს, ისე წარწერას ველარ წაიკითხავდა, გადაუსვა იმ ქვას ხელი და გამოჩნდა კიდევაც ასოები. გაკვირვებული ფიქრობდა თავისთვის, როგორ შერჩა ზედ რამე, როგორ იმ წუთას არ გაქრა, როდესაც წარმოაჩინა ეს საშინელი და უღმრთო ღაღადისი: „ჯუდიტ კოულდფილდი სატბენი, ასული ელენ კოულდფილდისა, დაიბადა ოქტომბრის 3, 1841, გვერდული, მაშვრალი, ჩაგრული ამქვეყნად 42 წელიწადი, 4 თვე, და 9 დღე და განისვენა და აღესრულა თებერვლის 12, 1884. შესდექ, მოკვდავო, გაბსოვდეს ამათება და უგუნურება და გაფრთხილდი.“ გაიფიქრა მან (კვენტინმა) დიან რალატომ უნდა ვკითხო, თუ ვისია ეს სიტყვები და ვინ წააწერინა. ასე ფიქრობდა დიან-მეთქი. მეტად, მეტად დიდხანს. არც უნდა დამეგდო ყური მაშინ, მაგრამ ხომ მესმოდა და ახლაც მესმის ეს ყველაფერი, რადგან იგი მაჩემის მსგავსად ლაპარაკობს; საოცარი ცხოვრება აქვთ ქალებს, ქალებს-მეთქი. მთელ თავის წუთისოფელს გალევენ დიდებულ, ბინდისნაირ არა-რეალობაში დანთქმულნი, სადაც ჩრდილები და მოვლენები — დაბადება და მწუხარება, წვალება და მღელვარება, სასოწარკვეთილება — მსუბუქად და ჰაეროვნად მოძრაობენ სტუმრებივით. შარადებს რომ თამაშობენ მღელვარებას დახვეწილი მიხვრა-მოხვრით, უაზროც და უვნებელიც რომ არის სრულიად. მისს როუზას შეუკვეთავს. მოსამართლე ბენბოუსათვის უთხოვია ეს საფლავის ქვა. მამამისის მეურვე ყოფილა ის კაცი, თუმცა ბ-ნ კოულდფილდს არც დაუნიშნავს იგი მეურვედ, იმ ერთი სახლისა და მთლად გაძარცვული დუქნის გარდა რაღა ჰქონდათ; მეზობლებისა და თანამოქალაქეთა რომელიღაც თათბირზე, როგორც ჩანს, თავად აურჩევია იმ კაცს თავი, რადესაც შეერილან ამ ქალის საქმეების მოსაგვარებლად და მიმხვდარან, რომ ამ მზისქვეშეთში არაფერს, მით უმეტეს, ერთ კაცს და თუნდაც მამაკაცთა მთელ ყრილობას არ შეუძლია იმ ქალის დაბრუნება თავისი დისშვილისა და სიძის ოჯახში, სწორედ ეს თანამოქალაქეები და მეზობლები იყვნენ, ვისაც ღამით მოჰქონდათ და უტოვებდნენ კიბეზე კალათს საჭმლითა და ჭურჭლით (ხელსახოცით გადაფარებული საჭმლიანი თეფშებით), რომელსაც ის არც არასდროს რეცხავდა და დესვრილსავე ჩაჩრიდა უკან, ცარიელ კალათში და სდებდა იქ, იმავე საფეხურზე, სადაც ეპოვა, თითქოსდა ასე უნდოდა საბოლოოდ გადაშვებულისა იმ ილუზიის მორევში, რომ არც კი არსებობდა ის კალათები, ანუ არც არასდროს ვაკარებია იმ კალათებს, არც არასდროს გამოუცარიელებია, გარეთ არ გამოსულა და არც არაფერი აუღია კიბიდან, დიდად არც იწუხებდა თავს ამის უარყოფელი; თქმა არ უნდა, კარგადაც აფასებდა მზარეულის ნახელავს, ღეჭავდა, ყლაპავდა და გრძნობდა, როგორ ინელებდა მისი კუჭი, მშვიდად, გულმოდგინედ იტყუებდა თავს და ჯიუტად უარყოფდა იმას, რაც საცხადო შექმნილიყო.



თითქოსდა ის, რაც იყო, არ არსებობდა, ქალებს შეუძლიათ ასე — სწორედ აგრე იტყუებდა თავს, იმ დუქნის გაყიდვამ რომ რაღაც შესძინა, სინამდვილეში სამათხოვროდ არ გაუხდა საქმე, მაგრამ არაფრის გულისთვის არ უნდოდა იმ დუქანში აღებული ფული გამოერთმია მოსამართლე ბენბოუსთვის, თუმცა კი მრავალი ხერხი ჰქონდა მოგონილი ამ ფულს გაყიდვის (რამდენიმე წლის შემდეგ კიდევაც გადაუჭარბებია ამ ფულს) შემთხვევით მის სახლთან გამოვლილ ზანგის ბიჭებს გააჩერებდა და გზის გამოხვეტას დაავალებდა, იმათ კი, რაღა თქმა უნდა, მთელი ქალაქის მსგავსადვე იცოდნენ, ფულს ვერც უხსენებდნენ ამ ქალს, გარეთ გამოსულსაც ვეღარ ნახავდნენ, თუმცა გრძნობდნენ, სახლში სარკმელთან, ფარდის უკან მდგარი უთვალთვალებდა ეზოში მომუშავეთ, გასამრჯელო კი მოსამართლე ბენბოუსაგან უნდა აეღოთ. დუქნებშიც დადიოდა ის ქალი და სთხოვდა, აი ეს და ეს გადმომიღეთო თაროდან თუ დახლიდან — სწორედ ისევე, როგორც მოუთხოვია მოსამართლე ბენბოუსაგან ორასდოლარიანი საფლავის ქვა — ხოდა, რასაც უნდოდა წამოიღებდა დუქნიდან, რაღაც გულუბრყვილო ეშმაკობით აკეთებდა ამას, ასევე არ რეცხავდა იმ ქალათიდან ამოღებულ თეფშებსა და ხელსახოცებს, თავისი საქმეების გამო მოსამართლე ბენბოუსთან სიტყვაც არ დაუძრავს, თუმცა კი უნდა სცოდნოდა, იმდენი დახარჯა, რომ უკვე რამდენიმე წელიწადი კიდევაც გადააჭარბა (მას, ბენბოუს თავის სამსახურში სქელი საქალაქო ჰქონდა ასეთი წარწერით: **ქონება გუდაიუ აოხლდფილდისა. საიდუმლოა.** მთელ სიგრძეზე იყო გამოყვანილი ასოები წაუშლელი მეღნით. მოსამართლის სიკვდილის შემდეგ მის ვაჟიშვილს, პერსის გაუხსნია ეს საქალაქო. ტოტალიზატორზე გათამაშებული ბილეთებით იყო სავსე; იმ დოღის ცხენების ძვლები აღარც იყო ახლა ალბათ; ბედაურთაგან ზოგი იმარჯვებდა, ზოგი მარცხდებოდა მემფისის იპოდრომზე ამ ორმოცი წლის წინათ; საერთო რვეულებიც ყოფილა თურმე იმ საქალაქოში, ერთი საგულდაგულოდ იყო შევსებული მოსამართლის ხელით შეჯიბრების თარიღებითა და სახელებით იმ ცხენებისა, რომლებზეც ფულს ჩასულა და გაუმარჯვია ან წაუგია; მეორე რვეულში კი აღნუსხული იყო ამ მითიურ ანგარიშზე ამ ორმოცი წლის განმავლობაში შეტანილი თანხა და თუ როგორ იყო დაფარული ერთმანეთით მოგება და წაგება) იმ დუქანში აღებულ თანხას.

მაგრამ შენ არ დაგიგდია ყური, რადგან უკვე კარგა ხანია იცოდო, გაგეთავისებინა, შეგესისხლხორცებინა ეს ამბავი, ნაუბარით კი არა, რაღაც იმისი მეშვეობით, დაბადებიდანვე რომ დაგვეცება და ჩვენთან რომ არის სულმუდამ, ბავშვებს რომ სჩვევიათ ხოლმე. ამიტომ ვერც გამცნობდა შენ რამეს მამის მონათხრობი, მისი სიტყვები ჩამოჰკრავდნენ მხოლოდ სიმებს შენი მეხსიერებისას. შენ აქ ნამყოფი ხარ ადრე და არა ერთხელ გინახავს ეს საძვლე, როდესაც შენს ბიჭობაში ამ არემიდამოში დაეხეტებოდი არა მარტო სანადიროდ, ცნობისმოყვარეობის გულისთვისაც. ეს ძველი სახლიც გქონდა ნანახი, ჯერ კიდევ მანამდე იცნობდი ამ შენობას, სანამ ნახავდი, კარგა მოჩიტული იყავი უკვე, აქ რომ მოხვედი, სამი თუ ოთხი შენი ტოლა ბიჭი წამოგვეცა იმ დღეს, ერთიმეორეს აგულიანებდით, მიდი და შენ გამოიხმეო მოჩვენებანი, რადგან არ შეიძლებოდა იქ მოჩვენებანი არ ჩასახლებულიყვნენ, თუმცა უკვე ოცდაექვსი წელიწადი იყო ცარიელი და უმფრთველი ეს ნაგებობა და არავის უნახავს იქ მოჩვენებანი და არც რამე



უთქვამთ მათ შესახებ, ვიდრე არკანზასიდან ვილაცები არ ჩამოსულან ფურგონით, ღამის გათევა მოუნდომებიათ აქ. ხოდა, ჯერ კიდევ არ გადმობარგებულიყვნენ ფურგონიდან, რომ რაღაც მომზდარა, თუ რა მოხდებოდა უთქვამთ, იქნებ არ უნდოდათ ან არც შეეძლოთ თქმა, მაგრამ კი სცემილან ისევ ფურგონზე და კისრისტებით უკანვე გაუჭენებიათ ჯორები, ათი წუთიც არ შეჩერებულან არსად, ვიდრე ჯეფერსონამდე არ მიაღწიეს. შემპალი გარსილა გინახავს შენ ამ სახლისა წამოფერდებულს წინა კარსთან, ატეხილი კედლებით, მორყეული დარბაზებითა და ფიცრებაჭედილი სარკმლებით — ამ პლანტაციის შუა რომ იდგა. თავის ოდინდელ მდგომარეობას დაბრუნებოდა ეს მიწა, რომელსაც ყიდდნენ და ყიდულობდნენ, ისევ ყიდდნენ და ისევ ყიდულობდნენ და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლივ. არა, შენ ყურს აღარ უგდებდი, არც იყო საჭირო; შემდეგ მეძებრები შეირხნენ, წამოცვივდნენ, გაიზდე და ასე გაიფიქრე, მართალი ყოფილაო მამა — ლასტერს ჯორი და ის ორი ცხენი წვიმაში გაეჩერებინა ორმოცდაათ იარღზე იმ ჭალამდე. იქვე ჩაცუცქულიყო იმ ჯვალში გახვეული, ცხოველთაგან აღენილი ოხშივარი შემობურვოდა იმ ადგილს და თითქოს ის ბიჭი შენ და შენს მამას გამოგცქეროდათ რომელიღაც ქუშ და უმტკივნეულო განსაზმენდელში მჯდომარე. „წავიდეთ და წვიმას თავი შევაფაროთ, ლასტერ, — გასძახა მამამ. — მე ვარ აქ და ეს ბებერი პოლკოვნიკი ველარაფერს დაგიშავებს“; „სჯობს ავდგეთ და სახლში წავიდეთ, — მიუგო მან, — დღეს უკვე მაინც ველარ ვანადირებთ“; „მოდით, იცი რა ვქნათ, სჯობს იმ ძველ სახლში მივიდეთ. აღარ დავსველდებით“. ლასტერი არც კი წამოწეულა, იჯდა ისევ წვიმაში და ფიქრობდა, მიზეზად რა ეთქვა, რომ იმ სახლში წასვლას გადარჩენილიყო — სახურავი არ ვარგა იქ და წყალი ჩამოდისო; თუ ცეცხლს არ დავანთებთ, სამივენი გავცივდებითო; თუ სანამ იქ მივატანთ, მთლად დავსველდებით და სჯობს ისევ პირდაპირ შინისკენ გავწიოთო; შენს მამას ეცინებოდა ლასტერზე, შენთვის კი მაინცდამაინც სასაცილო არ იყო ეს ამბავი, რადგან, მართალია, შენ ლასტერივით შავი ფერის სახე არ გქონდა, მაგრამ თანატოლები კი იყავით და იმ დღეს შენ, იგი და კიდევ სხვანი, სულ ხუთი ბიჭი, ერთმანეთს აგულიანებდით, მიდი და შედიო იმ სახლში, ოღონდ ვიდრე იმ შენობის უკანა მხარეს მოატანდით, ჯერ კიდევ ბევრი გქონდათ გასავლელი — მონათა უბნის ძველი გზა, აწ უკვე გაუვალი არემიდამო, დაფარული თუთებით, იაპონური ხურმით, ასკილითა და ცხრატყავათი, აქვე დამპალ გროვებად ეყარა ხის კედლების, აგურის საკვამურებისა და ყავრის ნამუსრევი. ყველა ქოხი დაქცეულიყო გარდა იმ ერთისა, თქვენ რომ მიხვედით; მოხუცებული ქალი ჯერ არ დაგინახავთ, რადგან პირველად ბიჭს მოკარით თვალი, ჯიმ ბონდს, გონჯს, სქელტუჩას, მოყავისფროსახიანს, შენზე უფრო დიდი ტანისა იყო, წლოვანებითაც უფრო მეტი და იმიტომ დაკერებული, გახუნებული, ოღონდ სუფთა პერანგ-შარვალი დაპატარავებოდა, ქოხმახის უკან ბოსტანში მუშაობდა, და არც იცოდით, ის ქალი რომ იქ იმყოფებოდა; უცებ ხუთივე ერთდროულად შეხტით, შეტრიალდით და დაინახეთ, ქოხმახის კედელს მიყრდნობილი სკამზე მჯდომარე გიმზერდათ, პაწაწინა, ჩამომხმარი, მაიმუნზე ცოტა მოზრდილი ტან-ფეხის ღედაკაცი, ათი ათასი წლისა რომ გეგონებოდათ, ფართო გახუნებული ქვედა კაბები ეცვა, მეტად სუფთა თავსაფარი ეკრა, სკამისთვის შემოეხვია შიშველი ყავისფერი ფეხები მაიმუნის მსგავსადვე, თიხის ჩიბუბს ეწეოდა და გითვალთვალებ-



დათ, თვალები ჰქონდა სახის მირიად ნაოჭში ჩაკარგული, სახამლე ფოლა-  
ქების დარი, შემოგხედათ და პირიდან ჩიბუხის გამოუღებლად თეთრი ქა-  
ლის ხმით გითხრათ: „რა გნებავთ?“ და თქვენთან ერთ-ერთი გვერდის  
მცირე ხნის შემდეგ, არაფერიო, და უცებ მოჰკურცხლივთ, არც კი იცით,  
პირველი ვინ გაიქეცით და რატომ გაიქეცით, არ შეგიძინებიათ და მაინც  
გადაირბინეთ მიტოვებული და ნიაღვრებით გადაღარული, საჩუქრისა-  
ხებით დაბურული მინდორი, ვიდრე ძველ დამპალ, მინგრეულ-მონგრეულ  
ლობეს არ მიაღწიეთ და არ გადაძვრიეთ, არ გადაცვივდით მის მიღმა და  
კვლავ ისეთივე გახდა, როგორიც იყო, მთელი არემიდამო, ხე და მიწა, ცა  
და ტყე.

— დიახ, — თქვა კვენტინმა.

— სწორედ ის ბიჭი იყო, ვისზეც ლასტერმა გითხრა, — მიუგო შრივ-  
მა, — ხოდა, მამამ ისევ შემოგხედა შენ, რადგან ის სახელი ჯერ კიდევ არ  
გქონდა გაგონილი; იმ დღეს ბოსტანში რომ ნახე, არც გიფიქრია, თუ ერქვა  
რამე საერთოდ და ასე გიკითხავს ლასტერისათვის: „ვინა? ჯიმიო, რა გვა-  
რია?“ ლასტერმა გიპასუხა: „სწორედ ის არის, ის მოთეთროკანიანი ბიჭი,  
იმ მოხუც ქალთან რომ ცხოვრობს“. მამას თვალი არ მოუცილებია შენთვის.  
შენ კი თქვი, გვარიც მითხარიო. ლასტერს უთქვამს: „ვექილის ნათქვამს  
გეუბნები. კანონით ასე დაუდგენიათ თურმე, ასე იკითხება ახლა“. ბონდი ყო-  
ფილა მისი გვარი და არა ბონი, თუმცა მისთვის ეს არაფერს ნიშნავს; ცხა-  
დი იყო, დედისა გამოჰყოლოდა ყველაფერი, მამისა აღარაფერი ეცხო მას.  
და შენს მამას რომ ეკითხა იმ ბიჭისათვის, ჩარლზ ბონის ვაჟი არა ხარო  
შენ, იმან არათუ არ იცოდა ეს, არც აღარდებდა დიდად; და თუ შენ ეტ-  
ყოდი, ვისი შვილიც იყო, ვერც იგრძნობდა რამეს, სულერთი იქნებოდა იმ  
რალაცასთვის, რასაც შენ (და არა ის) ამ ბიჭის გონებას დაარქმევდი, მუის  
წარიხოცებოდა იქიდან ყველაფერი, ვიდრე გულში გაივლებდა სიამაყეს  
თუ სიამოვნებას, მრისხანებას თუ სიბრალულს.

— დიახ, — მიუგო კვენტინმა.

— ხოდა, ის ბიჭი ოცდაექვსი წელიწადი ცხოვრობდა ქოხმახში, სად-  
ღაც იქ, იმ მოჩვენებებით სავსე სახლის უკან იმ ბერიქალთან ერთად, ვინც  
უკვე სამოცდაათს გადაცილებულიყო და ერთ ღერ ჭადარახაც ვერ უპოვი-  
დით თავსახვევის ქვეშ, ხორცი არც კი მომჩვაროდა, ჩვეულებრივი ადამი-  
ანისამებრ თითქოსდა ისიც მოხუცებულიყო, მაგრამ გარკვეულ წერტილს  
მიტანებულს დაბერება შეუწყვეტია და იმის მაგივრად, რომ გაჭადარავებუ-  
ლიყო და განში წასულიყო, სულ დანაოჭებულია ერთთავად, წვრილ-წვრილ  
ბეწვისოდენა ნაოჭებს დაესერა მისი სხეული და ისე გამხმარიყო, როგორც  
ლუმელში ახმოვენ ხოლმე მოკვეთილ თავებს ბორნეოში; შეიძლება ეს დე-  
დაკაცი მოჩვენებაც ჰგონებოდათ, თუკი ვისმე დასჭირდებოდა ეს, თუკი  
სახლის გარშემო ხეტიალისას ვილაცას გულში გაევიღო, წავიღებო რამეს, რაც  
არც იყო იქ; თუკი იქნებოდა ვინმე, ვისაც აქ დასამალავად, ჩა-  
საჩუქრავად გაეხადა საქმე, რაც არც იყო აქ, და მაინც იმ შინაბერას, დე-  
იდა როუზას უთქვამს შენთვის, ვილაც უნდა იმალებოდესო იქ, შენ კი  
მიუგე, კლიტი ან ჯიმ ბონდი იქნებო, იმან კი თქვა, არაო; შენ კი ისევ  
უთხარი, მეტი ვინ იქნებო, იმან კი თქვა, არაო; შენ ისევ უთხარი, მეტი ვინ,  
ის ეშმა, ჯუდიტი და ბონი დაიხოცნენ, ბენრი კი ცხრა მთას იქით გადაიკარგა,  
საფლავიც არ ვიცითო მისი, იმ ქალმა კი დაიფინა, არაო; და მაშინ თორმეტი  
მილი გაიარეთ ოთხთვალათი და ორნივე ნახეთ, კლიტი და ჯიმ ბონდიც და



შენ თქვი, აი ხომ ხედავთო? და მან (დღედა როუზამ) მაინც თქვა, არაო, მაშინ შენ გზა განაგრძე და იქ იყო?

— ჰო.

— დაიცა, — შესძახა შრივმა, — ღვთის გულისხამდის, დაიჭა-მეთქი.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ახლა სახელოზე თოვლი აღარ ედო შრივს. სახელოც არ ჰქონდა, კუპიდონივით უპრიალეობდა მკლავი, როდესაც მისწვდა ყავის კოლოფში ჩადებულ ერთ-ერთ ჩიბუხს, დატენა და მოუკიდა. გარეთ ნული ტემპერატურა იქნებოდა, გაიფიქრა კვენტინმა; წელამდე გატიტვლებული შრივი სარკმელს ასწევს და მუშტებშეკრული სუნთქვით ვარჯიშებს დაიწყებსო მალე რკინისმესრიან ოთხკუთხა ეზოში გამავალ თბილ, მოვარდისფრო ღიობთან. მაგრამ ჯერ კიდევ არ დაეწყო; კვენტინმა ეს რომ გაიფიქრა, იმ წუთიდან საათი გასულიყო უკვე და ახლა ჩიბუხში თამბაქო გამომწვარიყო, მაგიდაზე ეგდო გამოცხვებული, მცირეოდენი ფერფლიც გამოცხვნილიყო იქიდან, შრივს მოწითურო ბაღნით შეფენილი ვარდისფერი ხელები იქვე ჯვარედინად დაეწყო და გამოსცქეროდა კვენტინს, მისი ჩამუქებული სათვალის მინებში მთვარისამებრ ციმციმებდა შუქი ლამპისა.

— მაშ, იმ კაცს შვილიშვილი, ბიჭი უნდოდა, — თქვა შრივმა, — და მეტი არაფერი. ღმერთო ჩემო, კარგი რამაა ის თქვენი სამხრეთი, იმასთან თეატრი რა მოსატანია. ბენ ჰურსაც კი აჯობებს, არა? რაღა გასაკვირია, ზოგჯერ იქიდან გაქცევა რომ გინდა, არა?

კვენტინს არაფერი უთქვამს პასუხად. წყნარად იჯდა, გადაშლილი წიგნი ედო წერილთუროთ მაგიდაზე და ხელები იმისთვის ორივე მხრიდან შემოეწყო, ოთხკუთხა, შუაზე გაკეტილი ფურცელი იყო ის წერილი და გახსნილიყო, იმ ძველ ნაკეცს ბერკეტივით ემოქმედა, სანახევროდ აეწია ქალღი და უწონადოდ გაეხადა, თანაც ისე იყო შეტრიალებული, ვერც ვერაფერს ამოიკითხავდი და გაარჩევდი. და მაინც მას თვალი არ მოუცილებია წერილისათვის, ანუ ასე ეგონა შრივს. მცირეოდენავ თავდახრილი კვენტინი ფიქრებს მისცემოდა, თითქოსდა დაღვრემილიც ჩანდა.

— ბაბუასთვის შეუტყობინებია მას, — ასე თქვა, — ეს მაშინ მომხდარა, როდესაც ის არქიტექტორი გაქცეულა თუ გაქცევა სცადა, მდინარესთან ჩასულა და უკან, ნიუ-ორლეანს თუ სადღაც უნდოდა დაბრუნება. ხოდა, იმ კაცმა... („ვინ კაცმა, ეშმაკი?“ ჰკითხა შრივმა. კვენტინის არ უპასუხია მისთვის, არც შეჩერებულა. ხმა დაბალი, უცნაური გახდომოდა, მდინარეს დამსგავსებოდა ან შეიძლება დაღვრემილობა და ჩუმი ურვა დასტუბოდა ასე; და შრივიც იქვე იჯდა ჩუმადვე, სათვალე ჩანდა მისი და მეტი არაფერი. წელს ქვემოთ ამ ბიჭის სხეული მაგიდას დაეფარა და ოთახში ვინმე შემოსულს ეგონებოდა, მთლად შიშველიაო, შეფერადებული ცომისაგან ბაროკოს სტილში გაკეთებულ ქანდაკებას ჰგავდა, მისი შემქმნელი კი უნდა ყოფილიყო გაუკუღმართებული გემოვნების ღამისეული კოშმარებით გატანჯული კაცი, ჩაფიქრებული თვალს არ აცილებდა კვენტინს)... იმ კაცმა შეატყობინა ბაბუას, — თქვა კვენტინმა, — და სხვებსაც, წამოიყვანეს მეძებრები და ის ველური ზანგები და ორ დღეს დასდევდნენ იმ არქიტექტორს ქვემოთ, მდინარის პირას და ერთ გამოქვაბულში მიუმწუვდევიათ კიდევაც.



მეორე ზაფხულს მოხდა ეს ამბავი, როდესაც აგური დაუმზადებიათ და საძირკველი ჩაუყრიათ, მეტი წილი ხე-ტყეც მოუმარაგებიათ, ხოდა, ერთ დღეს ის არქიტექტორი მიხვდა, მეტი აღარ შემიძლია აქ გაჩერება, ან იქნებ შეეშინდა, შიმშილით ამოძვრებო სული. ან ისიც კი გაიფიქრა, საჭი-  
მელი დააკლდებოდათ და ვაითუ ამ ველურმა ზანგებმა (და შესაძლოა კოლ-  
კოვნიკმა სატპენმაც) შემჭამონო სულაც, ან იქნებ სამშობლომ დაგვამოს.  
წყურდა ან აქედან წასვლა უნდოდა... („გოგო ჰყავდა იქნებ, — გააწყვეტინა  
შრივმა, — ან იქნებ სულაც მაშინ უნდოდა გოგო. აკი მითხარი, იმ ეშმასა  
და ზანგებს ორად ორი ქალი ჰყავდათო სულ“. კვენტინს ამჯერადაც არ  
უპასუხნია მისთვის; შეიძლება კვლავაც არაფერი გაუგონია, ლაპარაკობდა  
ისევ იმ უცნაური ჩუმით და წყნარი ხმით, თითქოსდა მაგიდას ან იმაზე გა-  
დაშლილ წიგნს, ან იმ წიგნზე დადებულ წერილს, ან წიგნის გვერდით,  
აქედან და იქიდან შემოწყობილ თავის ხელებს მიმართავდა)... ხოდა, წავიდა  
კიდევაც. გაქრა დღისით-მზისით, იმ ოცდაერთი კაციის თვალსა და ხელს შუა.  
ან იქნებ სატპენი ერთი წამით მისკენ მიბრუნდა ზურგით, იმ ზანგებმა კი დაი-  
ნახეს მიმავალი და აღარაფერი თქვეს; ველურები იყვნენ ისინი და შეიძ-  
ლება სატპენისა ვერაფერი გაეგოთ მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი მთელი  
დღეები იმათთან იყო ტალახსა და ქუჩუში შიშველ-ტიტველი. მგონია, იმ  
ზანგებმა არც კი იცოდნენ, რად უნდოდა ის არქიტექტორი, ასე ფიქრობდ-  
ნენ იქნებ, რაც უნდა გაეკეთებინა, გააკეთათ უკვე ან გააკეთებდნო. ხოდა,  
ასე ეგონათ, სატპენმა გაუშვა იგი, უთხრა, თავიდან მომწყდიო, დაიკარგე  
აქედან, ცოცხალი აღარ გნახოსო ჩემმა თვალებმა, ან იქნებ სულაც დაით-  
ხოვა, სადაც გინდა იქ წადიო. დაქარგული ქურთუკი ეცვა, ქუდი ისეთი  
ჰქონდა, ბაბტისტ კონგრესმენებს რომ ახურავთ, ღორდ ფაუნტლეროის შე-  
საფერისი ჭალსტუხი გაეკეთებინა და დღისით, მზისით გაიქცა კანკრობში,  
იქნებ ის ქუდი ხელში ეკავა და ისევ; ხოდა, გაიქცა, ზანგები უყურებდნენ  
იმას, ვიდრე თვალს არ მიეფარა, მერე კი თავისი საქმე განაგრძეს, მხოლოდ  
ბინდის დადგომისას, ვახშმობის ხანს გაიგო სატპენმა იმ კაცის დაკარგვის  
ამბავი, ზანგებმა უამბეს და პატრონმა იმწყუთას განუცხადა მათ, ხვალ ვის-  
ვენებთო, თავად მეძებრების სათხოვნელად უნდა წასულიყო. თუმცა მეძებ-  
რები არც სჭირდებოდა, შეეძლო თავისი ზანგები ჩაეყენებინა კვალში, მაგ-  
რამ იქნებ გაიფიქრა, რომ სხვანი, მისი სტუმრები არ არიან შეჩვეულები  
ზანგებით ნადირობას და მეძებრებს მოეღიანო. და ბაბუას (ისიც ახალგაზრ-  
და იყო მაშინ) შამპანური წამოელღო, სხვებს ვისკი ჰქონდათ და საღამოს  
პირზე სატპენის სახლთან, უფრო სწორად, იმის საძირკველზე დაშენებულ  
რამდენიმე მწკრივ აგურთან მოიყარეს თავი, თუმცა ამ ამბით დიდად არ შე-  
წუხებულან — ლოგინი მაინც არ დაგვჭირდებოდა იმ ღამეს, უთქვამს ბა-  
ბუას. ცეცხლთან დამსხარან და შამპანურსა და ვისკის სვამდნენ და  
აყოლებდნენ სატპენის ნანადირევი ირმის შებოლილ ხორცს, ხოდა, შუალამით  
კაცი მოვიდა და მეძებრები მოიყვანა. განთიადზე აყარეს მეძებრები, პირვე-  
ლად კი გაუჭირდათ კვალის აღება, რადგან იმ ველურ ზანგებს ერთი მილი  
გაურბენიათ იქით, თავშესაქცევად და მეტი არაფერი. მაგრამ ბოლოს კი  
აუღიათ კვალი, მეძებრები და ზანგები მდინარის პირს გაჰყვნენ, მხედრები  
ნოღა-ნოღა მიდიოდნენ, სადაც უფრო კარგი იყო სავალი. ოღონდ ბაბუა და  
პოლკოვნიკი სატპენი მეძებრებთან და ზანგებთან ერთად იყვნენ, რადგან  
სატპენი შიშობდა, ვაითუ ზანგებმა არქიტექტორი უჩემოდ დაიჭირონო. იმას



და ბაბუას დიდი მანძილი გაუვლიათ ფეხით, ჭაობებისთვის უნდა შემოეტარებინა ერთ ზანგს მათი ცხენები, მერეღა შეეძლოთ. მათზე შესდომა. ბაბუას უთქვამს, მშვენიერი ამინდია და კვალი აღარ დაგვეკარგება, სატპენს კი ასე უპასუხნია, იმ არქიტექტორს ოქტომბრამდე და ნოემბრამდე რომ დაეცადა, კი სჯობდათ ნამდვილად და სწორედ მაშინ მოუთხორო იმ კაცმა თავისი თავგადასავალი.

სატპენის უბედურება ის იყო, რომ გულუბრყვილოდ განსაზღვრავდა, თურმე უცებ მიმხვდარა, იმას კი არა, თუ რისი გაკეთება უნდოდა, არამედ იმას, რაც უთუოდ უნდა გაეკეთებინა, რადგან რომ არ გაეკეთებინა, იცოდა, მთელი თავისი ცხოვრება ექნებოდა სანანებელი, ისე გამოვიდოდა, მის შემქმნელ, მის სიცოცხლისათვის მომკვდარ მამაკაცებსა და ქალებს ტყუილ-უბრალოდ ეცხოვრათ ამ ქვეყანაზე, რაკილა ვერ გახდებოდა იმათი საქმის გამგრძელებელი; ხოდა, ყოველი მისი მკვდარი ახლა ელოდება, ამოჰყურებს იმედის თვალით და იმან არ უნდა გაუცრუოს იმედი, თვალი უნდა გაუსწოროს არა მარტო იმ ძველ მკვდრებს, ცოცხლებსაც და იმათაც, ვინც მოვა ამქვეყნად მისი სიკვდილის შემდეგ. და სწორედ იმწუთას, ამას რომ მიხვდა, ისიც აღმოაჩინა, რომ არაფერი არ აბადია და ვერც ვერაფერს შეძლებს, უფრო მეტიც, არც კი იცის, თუ რა უნდა ქნას, თუ არსებობს სადმე ისეთი საგნები, რომელთა დაუფლება ღირს, ასე იყო მანამ, სანამ მეთოთხმეტე წელიწადში არ გადავიდა. რადგან ის დასავლეთ ვირჯინიის მთებში იყო დაბადებული... („დასავლეთ ვირჯინიაში არა“, უთხრა შრივმა. „რაო?“ მიუგო კვენტინმა. „დასავლეთ ვირჯინიაში არა-მეთქი“, — გაუმეორა შრივმა, — „რადგან თუ 1838 წელს მისისიპიში იგი ოცდახუთი წლისა იყო, მაშინ ის 1808 წელს დაბადებულია. ხოლო 1808 წელს დასავლეთ ვირჯინია არ არსებობდა ჯერ კიდევ...“ — „კარგი“, — უთხრა კვენტინმა, — „...დასავლეთ ვირჯინია დაუარსებიათ...“ „კარგი, კარგი“, — განაგრძო კვენტინმა, — „...შეერთებული შტატების შემადგენლობაში მაშინ შეიყვანეს, როდესაც...“ „კარგი, კარგი, კარგი...“ — თქვა კვენტინმა)... იქ დაბადებულია ის, სადაც ხალხი, რომელსაც იცნობდა, ხის ქოხმახებში ცხოვრობდა თავის წვრილშვილით. სწორედ ასეთი ყოფილა მისი ოჯახი — მამაკაცები და უმწვეილები სანადიროდ დადიოდნენ ან ცეცხლის პირას ეყარნენ იატაკზე, და იმათზე უნდა გადაებიჯებინათ ქალებსა და ქალიშვილებს და ისე უნდა მისულიყვნენ ცეცხლთან საქმლის გასაკეთებლად; ფერადკანიანები აქ მხოლოდ ინდიელები იყვნენ და იმათაც თოფის სამიწაში თუ დაინახავდნენ; არც არასოდეს გაუგონია, არც წარმოუდგენია მას, რომ არის ადგილი, სადაც გულდაგულ დაუნაწილებიათ მიწა და ადამიანებს თავის საკუთრებად გაუხდიათ; ხოდა, არც არაფერს აკეთებენ იქ, დაჯირითობენ მშვენიერი ცხენებით ან მშვენივრად გამოწყობილები თავიანთი დიდი სახლების იავნებზე სხედან და სხვანი მუშაობენ მათთვის; ვერ წარმოედგინა, სადმე თუ იყო ასეთი ცხოვრება ან თუ სურდათ ასეთი ცხოვრება, ან თუ არსებობდა ისეთი საგნები, რაც სურდათ და ბქონდათ კიდევაც, და იმის მფლობელებს შეუძლიათ არა მარტო მედიდურად დაიჭირონ თავი, არამედ ამაში სხვა მფლობელებიც უწყობენ და იმათთან ერთად ისინიც, ვისაც არაფერი აქვს და არც ექნება არასდროს. რადგან იქ, სადაც ის ცხოვრობდა, მიწა ყველას საკუთრება იყო და კაცს, რომელიც თავს შეიწუხებდა და იტყოდა, ეს ჩემიაო, ვიჟად ჩათვლიდნენ ნამდვილად; ხოლო საგნებს თუ გავისხენებთ, შენზე მეტი არც არავის ბქონ-



და, რადგან ყოველს შეეძლო იმდენი წამოედო, რამდენსაც ზიდავდა და შეინარჩუნებდა, მხოლოდ გიჟი თუ წამოიღებდა ან მოიხურებდა იმდენს, რამდენსაც ვერ შექამდა და ვერც გაცვლიდა ვისკისა და ღენტში. ხოდა, იმან არც კი იცოდა, თუ იყო ქვეყანა, სადაც ყველაფერი დაუნაწილებია და საგულდაგულოდ აღუნუსხავთ, სადაც ცხოვრობს ხალხი, ასევე დანაწილებული და საგულდაგულოდ აღუნუსხულნი იმის მიხედვით, თუ რა კენჭსაფრეთაქვთ და რა ქონებას ჰფლობენ; სადაც მცირეოდენთა ხელშია არც [მანქანები] სხვათა ბედ-იღბალი — უნდათ აცოცხლებენ, უნდათ მოკლავენ, უნდათ გაცვლიან, უნდათ გაყიდონ, არამედ იმასაც კარგად ახერხებენ — სხვა ადამიანიშვილები პირად მსახურებად დაიყენონ და ერთი წუთითაც აღარ მოასვენონ, ვთქვათ, დაწნული ბოთლიდან ვისკი ჩამოასხმევიანონ ჭიქაში და ისე მოართმევიანონ ან დაწოლის ხანს ჩექმები გაახდევინონ, ერთი სიტყვით, გააკეთებინონ ის, რასაც უხსოვარი დროიდან ადამიანს თავად უნდა ეკეთებინა და აკეთებდა კიდევაც, ვიდრე არ მოკვდებოდა; თუმცა ეს ამბავი არავის მოსწონდა და არც მოეწონებოდა, და ყველა, ვისაც კი იცნობდა, გულშიაც არ გაივლებდა სხვისთვის გადაეღოცა თავისი გასაკეთებელი, როგორც გულშიაც არ გაივლებდა არავინ, ჩემ მაგივრად საჭმელი სხვამ დაღეჭოს, ჩაყლაპოს ან ისუნთქოსო. ბავშვობაში იმას არც უნდოდა იმ აბდაუბდა და ბუნდი ზღაპრების გაგონება ვირჯინიის სანაპირო მხარის შესახებ, მათ მთებშიაც რომ ამოჰქონდათ და ჰყვებოდნენ, რადგან ვერ გებულობდა ამ ამბების მნიშვნელობას, და ტანი რომ აიყარა, არც მაშინ უგდებდა იმათ ყურს, რადგან გარშემო ისეთს ვერაფერს ხედავდა, რასაც ამ მონათხრობს შეუდარებდა, შეაფასებდა და სიტყვების აზრსა და მნიშვნელობას ასე გაითავისებდა, არც იყო იმედი, რომ გაიგებდა რამეს, რადგან ბიჭი იყო და საამისოდ არა სცალოდა; სიყმაწვილეში კი მისმა ცნობისმოყვარეობამ იმძლავრა და გაახსენდა ის ზღაპრები, რომლის გაგონებაც კი არ უნდოდა და არც შეუწუხებია თავი იმათ განსასჯელად, ახლა კი ცნობისწადილი აღედგრა და კიდევაც მოინდომა იმ ადგილების ნახვა, თუმცა ამ დროს არც შური უგრძნია და არც გული დასწყვეტია, რადგან ასე სჭეროდა, ზოგან ასეთი ხალხი იბადება, ზოგან კი სხვანაირი, ზოგი მდიდარია (ბედი ჰქონიაო, შეეძლო ეთქვა მას) და ზოგი ღარიბი და ეს ამბავი (ასეც უთქვამს ბაბუასთვის) არც უნდა სწყინდეთ ხალხს; არჩევანი მათ ხელთ არ არის და ამიტომ არც უნდა ინალვლონო, და გულშიაც არ გაუვლია, რომ შეიძლება ვიღაცამ ბრმა შემთხვევის წყალობით მოიხვეჭოს ძალა და უფლება და მედიდურად დაუწყოს ყურება სხვას. ხოდა, ასეთი ქვეყნისა არც არაფერი იცოდა, ვიდრე თავად არ მოხვდა იქ.

ასე მომხდარა ეს ამბავი. მთელი მისი ოჯახი სანაპიროზე დაბრუნებულია თურმე, სწორედ აქედან გახლდათ პირველი სატპენი (იქნებ ეს მაშინდელი ამბავია, როდესაც გემი ჩამოვიდა ოულდ ბეილიზე\* ნამყოფი ხალხითურთ და შესაძლოა ჯეიმსტაუნში ჩასულან), თავპირისმტვრევით ჩამოცვენილან მთებიდან ვირჯინიის სანაპიროზე, როგორც ჩანს, ბარს მიუზიდავს ის ხალხი, თითქოსდა გაწყდაო ის ძაფი, რაც მთებში აჩერებდათ აქამდე. მგონია, იმ კაცს ბაბუასთვის უთქვამს თავისი დედის ამბავი, სწორედ იმხანად მომკვდარა ის ქალი, მამამისს ასე ეთქვა იმის შესახებ, თვითრჩული დედაც კი იყო და რა დამავიწყებსო; დასავლეთში რომ ასე შორს წამოსულა,

\* ქუჩა ლონდონში, სადაც მართლმსაჯულები სასამლეა.



ამ ქალის ბრალი ყოფილა თურმე. მამა, უფროსი ქალიშვილები და ისიც, ვინც ყველაზე უფრო პატარა იყო და ვერც დადიოდა; ყველანი, მთელი ოჯახი აიყარა და მთებიდან ჩამოსვლა დაიწყეს, ჭერ ნელინელ, მერე და მერე სულ უფრო ჩქარა, თითქოსდა უვარგისი უსულო რამ საგნები გამოიტაცა მდინარემ, ზოგჯერ რომ ჭიუტად ლამობენ დინების აღმა აუოლას, გადმოვლეს ვირჯინიის პლატო და ჯეიმზ-რივერის შესართავთან შეჯახდა და ჭანჭრობიან ადგილას მიატანეს. თუ რად ჩამოვიდნენ, აქ არც იცოდნენ, თუ იცოდნენ, იქნებ აღარც ახსოვდათ მიწეზე — შეიძლება ეს იყო მამის მკერდში ჩაბუდებული რაღაც ოპტიმიზმი, იმედი ან მშობლიური მხარის მონატრება, თუმცა თავად ისიც არ იცოდა, თუ საიდან იყო ჩამოსული მამა, თუ იყო იქაური, სადაც ჩავიდნენ, თუ ახსოვდა თავისი მშობლიური კუთხე. თუ უნდოდა მისი გახსენება და იქ დაბრუნება. არც ის იცოდა, თუ ყოფილა მამასთან ვინმე მგზავრი და უთქვამს, აქ რა გინდა, მე ვიცი ერთი კარგი ადგილი, გაჭირვებას დააღწევო იქ თავს, სახლი გექნება, საკმელ-სასმელი და სიტბოც, ამ მთაში რას გახდებიო, ან იქნებ ის უნახავს, ვისაც მამა იცნობდა, ან ის, ვინც მამამისს იცნობდა და გახსენებია, უფიქრია ამ კაცზე, ან შეიძლება ვიღაც ნათესავი ჰყოლია, ვისაც უნდოდა მისი დავიწყება და რომ ვერ შეძლო, ვიღაც გამოუგზავნა, ხოდა, იმანაც დაუჯერა, წამოვიდა, სამუშაოს გულისთვის კი არა, იოლი ცხოვრება უნდოდა ენახა, იქნებ ბედს ვეწიოთო და იმ ჩემი ნათესავის მეშვეობით არც მომიხდესო შრომა, თუკი ყოფილა რამე ნათესაობა იმათ შორის, ან სულაც არაფრის თავი არ ჰქონდა და იყო იმედით იმ ღმერთებისა, რომელთა შეწევნით აქამდე გადიოდა ფონს. მაგრამ ყველაფერი, რაც დაუმახსოვრებია მას... („იმ ეშმას“, შეაწყვეტინა შრივმა)... ეს იყო, დილაადრიანად ამდგარა მამამისი და უთქვამს თავისი უფროსი ქალიშვილებისათვის, ნახეთ და მოაქუჩეთ, რაც საკმელი გვაქვსო; რომელიღაცამ ჩვილი შეახვია, რომელიღაცამ ცეცხლს წყალი დაასხა და მთებიდან ჩამოსვლა იწყეს, გზებამდე უნდა მისულიყვნენ ჭერ. იმათ ახლა გვერდებმოქცეული ურემი ჰქონდათ. ორი დაფეხვილი კამეჩითურთ. ასე უთქვამს იმას ბაბუასთვის, არ მახსოვს, თუ სად, როდის უშოვნია ესენი მამას. მაშინ ათი წლისა ყოფილა, დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მისი ორი უფროსი ძმა სახლიდან წავიდა და მას აქეთ არც გაუგიათ მათი ასავალ-დასავალი. მეურმეობა მას უნდა გაეწია, რადგან იშოვნეს თუ არა ის ურემი, მამამისს წესად შემოუღია, მგზავრობის ხანს ვისკით აუროლებული პირადმა გაშხვართულიყო ურემში საბნებს, ფანრებს, კალათებს, ტანსაცმლის ფუთებსა და ბაღლებს შორის. ასე უამბუნია ეს ამბავი. არც ის ახსოვდა, ერთი კვირა, ერთი თვე თუ ერთი წელიწადი უმგზავრიათ, ეს კი არ დავიწყებია, უფროსი დაი იქ, მთებში რომ გაუთხოვარი იყო და არც ჩამოსვლის ხანს გათხოვილა; ჭერ კიდევ მანამ, ვიდრე მათ თვალს ცისფერ ბურუსში გახვეული მთები მოეფარებოდა, დედა გამხდარა; ვერც ის გაუხსენებია, გზაზე ზამთარმა მოუსწროთ, გაზაფხულმა თუ ზაფხულმა, ან ნელინელ რომ ეშვებოდნენ დაბლა, ერთი მეორის მიყოლებით იცვლებოდა წელიწადის დროები, ან ცვალებადობა დროისა თავად ამ მგზავრობით იყო გამოწვეული, რადგან დროის პარალელურად კი არ ეშვებოდნენ ისინი ქვემოთ, არამედ სხვადასხვა ტემპერატურისა და კლიმატურ არემიდამოთა პარალელურად ხდებოდა მათი ჩამოსვლა (პერიოდებს ამას ვერასგზით ვერ შევარქმევთ, რაკილა რაც გახსენებია, ანუ ბაბუასთვის რომ უთქვამს, გამახ-



სენდაო, იმას არც ჰქონდა გარკვეული დასაწყისი ან გარკვეული დასასრული. სჯობს ამას გადასვლა დავარქვათ)... ჩამოსვლა გააფთრებული უმოქმედობითა და მოთმინებით აღსავსე უძრაობით — როდესაც ისინი ურემზე ეყარნენ დუქნებისა და ფუნდუკების კარებწინ — სიზმარულ ხეტიალში მას შემდეგ, იმ ბერიკაცს რომ ნახავდნენ სადღაც ფარდულეებში, ბელღებში, თავლასა თუ ხნარცვში და ისევ ურემზე აათრევდნენ; თითქოს წინ კი არ მიეწევდნენ, არამედ გამოკიდულები იყვნენ ჰაერში და თავად დედამიწა ფეხებზე დაეკეცა ადგილად იქცეოდა პირაშემული მთები, სადაც დაბადებულიყვნენ ისინი სუფელანი, ხან მალღებოდა მსგავსად აწეფებული ტალღებისა, რომელნიც წარმოაჩენდნენ უცხო, ბრიყვ და პირქუშ სახეებს ფუნდუკების კარებწინ, სადაც შედიოდა ხოლმე ის ბერიკაცი და საიდანაც მერე გამოათრევდნენ თუ გამოაგდებდნენ (ერთხელ სწორედ ასე ჰქნა ვეებერთელა მხარბეჭიანმა ზანგმა, ის იყო პირველი შავი კაცი, ვინც იმათ ნახეს, ფქვილის ტომრისაშებრ წამოიკიდა ბერიკაცი და გაუთავებლივ ხარხარებდა, საფლავის ქვებივით უჩანდა კბილები) გაღეშილს, აზრდაკარგულს; დედამიწა, მთელი სამყარო იტალღებოდა მათ წინ და მიცურავდა, ურემი კი არ იძროდა, ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიდა. წავიდა გაზაფხული და დადგა ზაფხული, ისინი კი მიეშურებოდნენ იმ არემილამოსაკენ, რომელიც არც კი ენახათ არასდროს, ვერც წარმოედგინათ, მხოლოდ სურვილი ჰეტიალისა იყო მათი მეკვლე; დაეგდოთ ის ადგილი, ის გადაკარგული პაწაწინა კუთხე მთის ფერდობზე, საითკენაც გზას, მგონია, ვერც ერთი მათგანი ვერ გაიგნებდა, გარდა მამისა, ვინც უგრძნობი ეგდო დღენიადაგ და მთელი ეს გზა ეჩვენებოდა, თითქოს უოლოსფერ სპილოებსა და გველებს მისდევდა — და ამ გულდამჭდარმა მთიელებმა იხილეს უცხო სახეებიცა და ადგილებიც; დუქნები და ფუნდუკები მერე პატარა სოფლებად იქცნენ, პატარა სოფლები — დაბებად, დაბები — ქალაქებად; სამყარო ახლა ვაკე გამხდარიყო კარგი გზებითა და მინდვრებით, მინდვრად ზანგები მუშაობდნენ, თეთრები ამ დროს მშვენიერ ბელაურებზე შემსხდარიყვნენ და იმათ უთვალთვალებდნენ; მშვენიერი ცხენები სხვა მშვენიერად გამოწყობილებსაც ჰყავდათ, სახით მთიელებს არც ჩამოჰგავდნენ ისინი, სასტუმროთა გვერდით იდგნენ, სადაც ბერიკაცს სადარბაზო კარიდან არ უშვებდნენ და მალევე უკან აგდებდნენ, რადგან მთვრალი, გლაბაკი მთიელი ჩვეულებრიისამებრ ჩხუბს ატეხდა, ხოლო გამოსაბრუჟავად ყოველთვის ნახულობდა დროს (ასე რომ, უფრო ჩქარა უხდებოდათ იმათ მგზავრობა), ხითხით-ხორხოცით აღარ იცილებდნენ ახლა თავიდან, თუმცა აღრე კი ბრიყვული ხითხით-ხორხოცით ისტუმრებდნენ, ტკბილად როდი ეგებებოდნენ.

აი, თუ რა გადახდენია მას, როცა ჩახვდა განსხვავებას თეთრებსა და ზანგებს შორის, ისიც გაიგო, თუ რა განსხვავებაა თეთრებს შორისაც, ზოგს შეუძლია გრდემლი ასწიოს და გადადგას, ზოგს თვალების დათხრა ხელეწიფება, ზოგს ბევრის დაღევა და ოთახიდან თავისი ფეხით გასვლა, მაგრამ მთავარი ეს არ ყოფილა თურმე — რაც ქვეშეცნეულად გაითავისა. ჭერ კიდევ ასე სჭეროდა, რომ განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ სად შობილხარ და როდის; ბედი გქონდა თუ არა; შედარებით უბედოსთან ბედში ჩავარდნილი უფრო ნაკლებად ესწრაფის რამე სარგებელს, რომლის მოხვეჭას თავილობს კიდევაც, არც იმისი ფიქრით იწუხებს თავს, ბედი ბედია და მე უფრო მეტი შემოძლიაო; მისი აზრით, ბედში ჩავარდნილები უფრო მეტად



არიან გულისხმიერნი უბედოთა მიმართ, ვინემ — უბედონი როდესმე იქნე-  
ბიან ბედში ჩავარდნილთა მიმართ. ყველაფერ ამას მოგვიანებით მიხვდება:  
კიდევაც ახსოვდა, თუ როდის გაიგო ეს ამბავი, ეს ის წუთი ყოფილა, თავ-  
ში რომ გაუელვია, რა გულუბრყვილო ვყოფილვარო. სწორედ ამ წუთსა და  
ამ წამზე არ ულაპარაკნია ბევრი, მთავარი ის იყო, რომ ამას ჩახვდა. მაშინ  
უკვე დასრულებული ჰქონდათ მოგზაურობა, ხეტიალი, უკვე მისულან სად-  
ღაც — იმიტომ კი არა, რომ ასე თუ ისე მოწყობილან, მაგრამ ბანს  
აგრე რიგად ხშირად ბინავდებოდნენ ხოლმე; ისიც გაუნსენებია, თუ რო-  
გორ გაიგო, სჯობს ფეხზე გეცვას და თბილი ტანისამოსი გქონდეს, ვიდრე  
გციოდეს ფეხშიშველას; ახორში მომხდარა ეს ამბავი, მისი დისშვილი დაბა-  
დებულია იქ და, როგორც ბაბუას უთქვამს, რამდენადაც მახსოვს, სწორედ  
ამდგვარ ადგილას ჩასახულაო ის ბავშვი. საბოლოო გამოდგა ეს გაჩერება.  
თუ სად მოხვედრილან, იმას არ სცოდნია. რაღაცა ხნით, იმ პირველ დღეებ-  
ში, კვირებსა და თვეებში ტყისკაცის გუმანით, იმ ადგილებიდან რომ გად-  
მოჰყოლია, სადაც გაზრდილა ან თავისი დაკარგული ძმებისაგან მემკვიდრე-  
ბით რომ მიუღია, რომელთაგან ერთი ისე შორს წასულა დასავლეთში, რომ  
მისისიპამდე მიუღწევია — ეს გუმანი ირმის ტყავის სამოსელთან და სხვა რა-  
ღა-რაღაცებთან ერთად მიუღია მემკვიდრეობად ძმებისაგან, როცა იმათ  
ქოხმახი მიუტოვებიათ საბოლოოდ და ბედის საძიებლად წასულიყვნენ;  
ხსენებული თვისება უფრო განვითარებია ბავშვობაში, როცა პატარ-პატა-  
რა მხეცებზე ნადირობდა — ხოდა, ეს გუმანი კი მიიყვანდა მას (ასე უთქვამს  
თურმე) უკან, თავის მშობლიურ მთებსა და ქოხმახში. მაგრამ ის დროც გა-  
სულა, როდესაც შეეძლო ზუსტად ეთქვა, ამა და ამ ადგილას დავიბადეო. კვი-  
რები, თვეები და იქნებ წელიწადიც გასულიყო მას მერე, რაც დავიწყებოდა  
თავისი ასაკი და სწორედ ვეღარც გაიხსენებდა, და კიდევ უთქვამს ბაბუას-  
თვის, რა ხნის ვარ, კი გეტყვით, მაგრამ ერთი წელი მაინც შემეშლებოაო. ხო-  
და, ახლა აღარ იცოდა, საიდან იყო ჩამოსული და რატომ. იქ იყო და მორ-  
ჩა, თავის გარშემო ხედავდა იმ სახეებს, რომელთაგან თითქმის ყველა ნაც-  
ნობი იყო (თუმცა იმათი ჩაოდენობა კი მცირდებოდა, ილეოდა, მიუხედავად  
იმ გაუთხოვარი დის მცდელობისა, ვისაც ძალიან მალე უქმროდ, ასე უთქვამს  
ბაბუასთვის, მეორე ბაღლი გასჩენია, შავა, სიცხე და სინესტე იყო მიზეზი  
ამ შემცირებისა); მთებში რომ ჰქონდათ, თითქმის ზუსტად ისეთი იყო აქაც  
მათი სამყოფი ქოხმახები, მაგრამ იქაურ ქართა საუფლოში მდგარა, აქაუ-  
რი კი — ვეებერთელა, აუზღვრეველი მდინარის პირას, რომელიც ზოგჯერ  
თითქოს შეწყვეტდა დინებას, ზოგჯერ აღმასვლას იწყებდა; რაღაც ემართე-  
ბოდათ აქ იმის დებსა და ძმებს ნავახშმევს და იხოცებოდნენ დილის დად-  
გომამდე; თეთრ კაცთა მეთვალყურეობით აქ აუარება ზანგს მოჰყავდა მო-  
სავალი იმ მცენარეთა, რომლებზეც აქამდე არც გაუგონია. დაღვეის გარდა  
სხვა საზრუნავიც გასჩენოდა მის მოხუც მამას. ნასაუზმევს ქოხმახიდან სა-  
ღღაც წავიდოდა და ფხიზელი ბრუნდებოდა ვახშმად, ოჯახი ხომ უნდა შე-  
ენახა. კაცი ცხოვრობდა იქ ერთი, მთელი მიწა და ზანგები მისი საკუთრება  
იყო და, როგორც ჩანს, ის თეთრებიც, ზედამხედველებად რომ ჰყავდა. სა-  
სახლე ისეთი ჰქონდა, არასდროს რომ არ ენახა, მთელი დღეები ის კაცი  
ფეხშიშველი (ესეც უამბნია ბაბუასთვის, მდელიო ადგილას გარშემოებურ-  
ვით ბუჩქნარში გავძვრებოდითო ხოხვით და ასე გავცქეროდით იმას) ჰამაკში  
იწვა, ორ ხეს შორის რომ გაეჭიმათ საკასრე თოკებით, ზანგი ემსახურებოდა,



უნიავებდა და სასმელს მოართმევდა. ყოველდღე საუკეთესო ჩასაცმლით გამოდიოდა ის მონა, ასეთს ვერც ინატრებდნენ მისი მამა და დები. ხოდა, ის (მაშინ თერთმეტის ან თორმეტის, შეიძლება ცამეტისაც იყო, სწორედ იმხანად მიმხვდარა კიდეც, რომ საბოლოოდ არეოდა თავისი წლოვანება) მთელი დღეები იწვა იმ ბუჩქებში — ამ დროს კი მისი დები ორი მილიონ იქით ქოხმახიდან გამოდიოდნენ წამდაუწუმ და გასძახოდნენ მას, შეშინებულნი რომ მოეტანა — იწვა და უთვალთვალებდა იმ კაცს, ვინც იმდენი ფეხსამოსი ზაფხულობით და არც სჭირდებოდა მისი ჩაცმა.

მაგრამ ჯერ კიდევ მაინც არ შურდა იმ კაცის, ვისაც უთვალთვალებდა. ფეხსაცმელი კი უნდოდა და იქნებ მოეწონებოდა კიდეცაც, მამას რომ ჰყოლოდა ისეთი მორთულ-მოკაზმული მაიმუნი, რომელიც მას დოქს მოაწვდიდა და მის დებს შეშასა და წყალს მოუტანდა სარეცხისათვის, საჭმლის გასაყეთებლად და სახლის გასათბობადაც, თავად კი იქნებოდა მოსვენებული. შეიძლება იმასაც მიხვდა, გაიგო, რომ დებს გაუხარდებოდათ და ამაღლდებოდნენ კიდეცაც მეზობლების თვალში (იქ ცხოვრობდნენ სხვა თეთრებიც, რომელთა ქოხმახები ისეთი მკვიდრი არ იყო, როგორც ზანგი მონებისა, მაგრამ სამაგიეროდ ისინი თავისუფლების შარავანდით იყვნენ მოხილნი, რასაც ზანგები ვერ დაიკვებნიდნენ თავიანთ მაგარ ჭერქვეშ და თეთრად შედებილ კედლებში) ასეთი მომსახურებით. რადგან მას ჯერ კიდევ არ დაეკარგა თავისი გულუბრყვილობა და, უფრო მეტიც, არც კი იცოდა, თუ ჰქონდა ასეთი თვისება. იმ კაცის ისევე შურდა, როგორც მთიელის, რომელსაც ბედმა გაუღიმა და მშვენიერი თოფი ჩაიგდო ხელში. ასეთ თოფს ისიც მოისურვებდა, მაგრამ გულითა და სულით გაიზიარებდა ამ თოფის მფლობელის სიამაყესა და სიხარულს და ვერც კი წარმოიდგენდა, თოფის პატრონს თუ შეუძლია ურცხვად ისარგებლოს იმ უპირატესობით, სხვისთვის კი არა, სწორედ მისთვის რომ მოუნიჭებია ამ თოფს, და ასე უთხრას იმ სხვებს: რადგან ჩემი საკუთარია ეს თოფი, ხელები, ფეხები, სისხლი და ძვალი ჩემი თქვენსას სჯობს — მაშინ კიდეცაც უნდა მოეპოვებინა გამარჯვება თოფებით ბრძოლაში, მაგრამ როგორღა შესძლებდა ერთი კაცი ბრძოლის გამართვას მეორესთან, რომელსაც ჰქავდა ჩაცმულ-დახურული ზანგები და მთელი დღეები მამაკში იწვა ფეხშიშველი? და თუ ასე იყო, ამქვეყნად რა უნდა მომხდარიყო ისეთი, ბრძოლად რომ ღირდა? თავისი გულუბრყვილობის ამბავი მან არც კი იცოდა იმ დღეს, როდესაც მამამ გაგზავნა იმ დიდ სახლში. არც კი ახსოვდა (ან აღარც უთქვამს), რისთვის გაგზავნა, როგორც ჩანს, ზუსტად არც კი იცოდა, რას აკეთებდა მამამისი (ან რა უნდა ეკეთებინა იქ ამ კაცს), რა ევალეებოდა ბერიკაცს იმის პლანტაციის. ცამეტი თუ თოთხმეტი წლის ბიჭი ყოფილა, ზუსტად არც ეს სცოდნია; პლანტაციის დუქნიდან გამოტანილი მამის ტანსაცმელი ეცვა, მამას რომ უკვე გაეცვითა და მის დას გადაეკეთებინა მისთვის, არც ის ამბავი აღარდებდა, თუ როგორ გამოიყურებოდა ასე გამოწყობილი, და არც თავის კანის ფერზე უფიქრია; გავლო ის გზა, შევიდა ქიშკარში და გვერდით ჩაუარა იმ ზანგებს, რომლებიც მთელი დღეები ყვავილებს რგავდნენ და კრეჭდნენ ბალახს, მივიდა სახლთან, სვეტებთან და სადარბაზოს კარებთანაც, ასე ფიქრობდა, ახლა ოთახებსაც ვნახავ, კიდეც რა შეიძლება ჰქონდესო იმ კაცს, ვისაც ზანგი ემსახურებოდა დღენიადაგ, სასმელს უსხამდა და ფეხზე ხდიდა, თუმცა კი ფეხსამოსი გინდ ჰქონოდა და გინდ არა, სულერთი იყო მისთვის, გულშიაც არ გაუვლია, იქ-



ნებ იმ კაცს არ ესიაშოვნოსო ჩემი დანახვა და თავისი სიმდიდრე არ დამათ-  
ვალერებინოსო. იქ, მთაში უველა ხომ იმწუთას აჩვენებდა თოფთან ერ-  
თად ნაყიდ საპირისწამლე რქასა და ტყვიის უაღიბს. რადგან ვერ კიდევ  
გულუბრყვილო გახლდათ, რაც ქვეშეცნეულად იცოდა კიდევ ბაბუასთვის  
მოეთხოვო ამ კაცს, რომ ვიდრე ის მაიმუნის დარი ზანგი კარებთან მოვი-  
დოდა და ეტყოდა იმას, რაც უთხრა, თითქოსდა რაღაც ნაწილი მისი სარსე-  
ბისა დაინთქა და აღმოჩნდა იქ, სადაც იყვნენ ამ ორი წლის წინათ, ისე,  
როგორც ოთახს გაივლის კაცი წამის უმაღლესად და თვალს მოკრავს იქაურ  
საგნებს, შემდეგ შემოტრიალდება, უკანვე გამოივლის და უკვე სხვა მხრიდან  
იხილავს იმ საგნებს, და მიხვდება, რომ რაღაც გამოჩენია მის მზერას,  
ასევე გაქროლდა, ჩაინთქა იმ ორი წლის წინად და გაითავისა ის, რასაც ვერ ჩა-  
ვედრილიყო ადრე — სხვა თეთრი ქალების მსგავსად მისი დებიც ცივად, სი-  
ტყვის უთქმელად შესცქეროდნენ ზანგებს. შიში ან სიძულვილი კი არ ჰქონ-  
დათ მათი, უფრო გონისმიერი მტრული დამოკიდებულება ამ ხალხის მი-  
მართ, მიზეზი ამისა გარკვეული საბაბი და გარემოება კი არა, რაღაც თან-  
დაყოლილი თვისება იყო, დამახასიათებელი ორთავეთათვის — თეთრებისა  
და შავებისთვისაც, ეს შეგრძნება, ეს ფლუიდები თავიანთი მიდრინკული  
ქოხმახების კარებწინ მდგარ თეთრ ქალებისგან გადაედებოდათ ხოლმე  
გზად მიმავალ ზანგებს, და ეს მართო იმით კი არ აიხსნებოდა, რომ ზანგებს  
უკეთ ეცვათ; ზანგები ამ მტრობას მტრობით არ პასუხობდ-  
ნენ, არცა უკმეხნი და დამცინავნი იყვნენ ამ დროს, არც არაფერს იმჩნე-  
ვდნენ, მეტიმეტად აშკარად არ იმჩნევდნენ არაფერს: თქვენც იცით, ასე  
ეუბნებოდა ის კაცი ბაბუას, შეგიძლიათ იმათ გაართყათ და ისინი ხელს არ  
გამოიღებენ, არც გაგიწევინო წინააღმდეგობას. მაგრამ არც არავის სურდა  
იმათი ცემა, რადგან საცემი ისინი (ზანგები) კი არა, სხვები იყვნენ. და  
თქვენ ისიც იცით, გინდ იმათთვის დაგირტყამთ და გინდ სათამაშო ბუშ-  
ტისთვის, რომელზეც მრგვალი, სასაცილო სახეა გამოყვანილი და სადაცაა  
იმან ხარხარი უნდა ატეხოს, ხოდა, თითსაც ველარ დააკარებთ, ვაითუ ახარ-  
ხარდესო, და ამიტომ გირჩევნიათ სულაც თავიდან მოგწყდეთ, ვიდრე თქვენ-  
თან იდგეს ხითხით-ხორხოცით. ისიც გაუხსენებია, ცეცხლთან მჭდომარენი რომ  
საუბრობდნენ ღამლამობით სტუმრად მოსულებთან ან თავად რომ მიდი-  
ოდნენ ვახშამზე მეზობლის ქოხში, ქალების ნაუბარიც გახსენებია, დინ-  
ჯად, მშვიდად ლაპარაკობდნენ, ოღონდ იმათ სიტყვებში უფშური ბოღმა გა-  
მოსჭვიოდა და მხოლოდ რომელიმე მამაკაცი, ჩვეულებრივ ეს იყო შექეი-  
ფიანებული მამა, მოჰყვებოდა ხრინწიანი ხმით ტრაბახს, ჩემისთანა ჯანიანი  
არავინ ხართო, და ცამეტი თუ თოთხმეტი ან იქნებ სულაც თორმეტი წლის  
ბიჭმა იცოდა, რომ ეს კაცები და ქალები ერთსა და იმავე საგნებზე საუბ-  
რობენ, თუმცა კი ამ საგნებს სახელით არ მოიხსენიებენ, ასე გვაძნობენ  
ხოლმე ზოგნი თავიანთ გაჭირვებას, ოღონდ ისე, რომ არ ახსენებენ ამის  
მიზეზს — ალყას ან ავადმყოფობას, სიტყვას არ ძრავენ ეპიდემიაზე. ისიც  
გახსენებია, ერთ დღეს ის და მისი დაი გზაზე მიდიოდნენ, ეტლის ხმაური  
გაუგონია უკან და თავად კი გადავიდა გზიდან, მაგრამ ხედავს, დაი არ  
უთმობს გზას და ისევ შუაგულში მიაბიჯებს თავაწეული, კუშტად და ჭი-  
უტად, და დაუყვირა; მტვერი ავარდა, ცხენები უაღუზე შედგნენ, ბრჭყვია-  
ლი მოიღეს მოსართავის ბალთებმა და ეტლში ორ ქოლგას მოჰკრა თვალი,  
და ქვაბუნა ქუდში გამოწყობილმა ზანგმა მეეტლემ დაუდრიალა: „იქით,



იქით გადი, გოგო, გზა, გზა-მეთქი“ და გაქროლდნენ, დაინთქა ეტლი და მტვერი, იმის დისკენ მომწირალი ის ორი სახეც ქოლგის ქვეშ, ეს ბრჭი კი იდგა და გორახებს ისროდა ახლა უკვე იმათ უკან აშლილ მტვერში. ნოდა, ეს მაიმუნივით გამოწყობილი ზანგი რომ გამოეჭიმა კარწინ და აღარ უშვებდა, მიხვდა, ის გორახები ზანგის მეეტლისთვის კი არა, იმ მტვერსავე უნებ-რია, გზაზე რომ აეშალა მედიდურად მოელვარე ბორბლებს, ~~ბილი~~ ~~გინდ~~ ~~ასე~~ ყოფილიყო და გინდ ისე, სულერთი იყო მაინც. გაახსენდა, ერთხელ გვიან ღამით მამა შემოვიდა და ბორიანს მოჰყვა ქოხში, ისეთი ვისკის სუნი ას-დიოდა, ძილ-ღვიძილშიაც იგრძნო ბიჭმა მისი სიმთვრალე, ღვარძლიანი შუ-რისმადიებელი სიჭარულით სავსე ხმაც მოესმა, ერთ პეტიბონელ ზანგს ვუ-რტყითო ამალამ; ახლა კი გამოერკვა ძილიდან, ადგა და ჰკითხა, რომელი იყო ის პეტიბონელი ზანგი; მამამ მიუგო, არ ვიცი, აქამდე არც კი მინა-ხავსო; მერე კი ასე შეეკითხა, რა დააშავაო იმან. მამამ უპასუხა: „აბა რა ვიცი მე იმ პეტიბონელი ზანგი ნაბიჭვრის ამბავი“. შეკითხვა, როგორც ჩანს, იმასვე გულისხმობდა, რასაც მამის პასუხი, მაგრამ იმხანად ის ჯერ კიდევ არ იყო ჩახვედრილი თავის გულუბრყვილობას — მათთვის სულერთი იყო, ოღონდ კი ზანგი ყოფილიყო, ცოცხალი არსება, ეტირა და ეყვირა, ჰქონოდა სისხლი და ხორცი, უნარი ტკივილის შეგრძნებისა. ცხადლივ წარ-მოუდგა კიდევ ის სურათი — ჩირაღდნების შუქს გადაუსერავს ხეებს შუა დავანებული ღამე და გააფთრებული სახეები ჭკუადაკარგული თეთრი მა-მაკაცებისა; ბუშტივით, სახემრგვალი ზანგია იმათ შორის. იმ ზანგისთვის ხელები გაეკოჭათ ან იქნებ უამისოდაც აკავებდნენ, მაგრამ სულერთი იყო მაინც, რადგან ხელები იმ ბუშტივით სახემრგვალი ზანგისა არც შეეცდე-ბოდნენ განთავისუფლებას; ეს ბუშტივით მრგვალი სახე ჭაერში ეკიდა გა-თეთრებულ-გადაჭიმული ქალღლივით. ნოდა, რომელიღაც ერთხელ შემოჰკ-რავს ხელს ამ ბუშტს გააფთრებული, და მერე თითქოსდა ისიც დაინახა, როგორ გაიფანტებოდა, თავპირისმტვრევით გაიქცევიან და მათ კვალდაკ-ვალ, გარშემო, ყოველმხრივ ეწევა, უკანვე ბრუნდება და ისევ ეწევა ტალღისებური გრგვინვა-გრიალით აზრმოკლებული და შემზარავი ხარხარი. და ახლა დგას თავად გაკრიალებული კარის წინ, ის ვეება მაიმუნი ზანგი კი არ უშვებს, ჩამოსცქერის ამ დაკერებულ ჭინსიან და ფეხშიშველა ბიჭს; მგონი, იმან სავარცხელიც არ იცოდა, რადგან ასეთი რამ რომც ჰქონოდათ იმის დებს, სადღაც გადამალავდნენ. არც თმა, არც ტანსაცმელი თავისი თუ სხვისი მას არასოდეს არ ადარდებდა, ვიდრე არ დაინახა, რომ ის მაიმუნი ზანგი, ვინც, მისდა ბედად, რიჩმონდს დაბადებულიყო, ჩამოსცქერის მას... (იქნებ ჩარსლსტონშიაცო, ამოიოხრა შრივმა)... და არც კი ახსოვს, თუ რა უთხრა ზანგმა, თუ როგორ ელაპარაკა, ვიდრე თავად იმის თქმას მოასწრებდა, თუ რისთვის იყო აქ მოსული, ამ სადარბაზო კართან ნულარ მოხვალთ აწი, სახლს უკნიდან შემოუარე და იქიდან მობრძანდით.

წამოსვლა აღარ ახსოვს, კარგა შორს კი გამოქცეულიყო იმ სახლიდან, გონს რომ მოვიდა, შინისაკენ არ მოდიოდა თურმე. არ მიტირიაო, ასე უთქვამს მას. არც გაბრაზებულა, აზრის მოკრება უნდოდა, წყნარი და მყუდ-რო ადგილი იცოდა ერთი და იქ უნდა მისულიყო საფიქრალად. ტყეში წა-ვიდა. ასე უთქვამს, ჩემდა უნებურად მივედიო იქ, ჩემს სხეულს, ჩემს ფე-ხებს მივეყავდიო იმ ადგილას, სადაც სანადირო ბილიკით შეიძლებოდა მის-ვლა, შამბნარი უნდა გაეგლო, მუხა წაქცეულიყო იქ ერთი და სოროს მსგავ-



სი ჩაღრმავებული ადგილი გაეკეთებინა, ტაფა ჰქონდა შენახული იქ, ნანადირევ ფრინველს წვავდა ხანდახან. შეფოფხდა იმ სოროში, დაქდა და ზურგით დაფუტუროებული ხის ძირს მიეყრდნო, ფიქრებს მიეცა, რა უნდა ექნა, არ იცოდა. ვერც იმას მიმხვდარიყო, თუ რა სჭირდა, რას შეეწირებინა, მისი გულუბრყვილობა იყო თავიდათავი და ამიტომ ვერაფერს მიმხვდარიყო, ამას დრო უნდოდა. თავისი მცირეოდენი ცხოვრების მშვენიერება მოიხმო მშველელად, რათა მიეკვლია რაღაც საზომისათვის. მანამ გაისტუმრეს უკანა კარისკენ, სანამ დანაბარებს ამცნობდა მათ, ის კი იქ იზრდებოდა, სადაც სახლებს არც ჰქონდათ უკანა კარები, სარკმლებიანი იყო იქაური ქოხმახები, ხოდა, სარკმლიდან შეძვრებოდა ან გამოძვრებოდა, ვისაც დამალვა ან გაქცევა სურდა, ამას კი ახლა არც ერთი უნდოდა და არც მეორე, საქმე ჰქონდა და იმითომ მივიდა. ასე სწამდა კიდეცაც, ყოველს ესიამოვნებოდა საქმეზე მისულის ნახვა. თქმა არ უნდა, იმას არ მოელოდა, სუფრაზე მიმიწვევენო, რადგან დრო, მანძილი ერთი სამზარეულოს ქვაბიდან მეორემდე არ იზომება საათებითა და დღეებით; იქნებ არც იმას ელოდა, სახლში შემოიპატიუებენო. მაგრამ იმას კი ელოდა ნამდვილად, მომისმენენო, რაკი იქ იყო მოსული, გამოგზავნილი, საქმე ჰქონდა, თუმცა კი არც ახსოვდა, სახელდობრ რა, და იმხანად შეიძლება (ასე უთქვამს) არც ესმოდა დანაბარების არსი, როგორც ჰანს, პლანტაციის თაობაზე მიჰქონდა დანაბარები, სწორედ ამ პლანტაციის მეშვეობით არსებობდა ამქვეყნად ეს გაკრიკლებული თეთრი სახლი სპილენძით მოჭედილი გაკრიკლებული კარითურთ, აგრეთვე ეს კარგი სამოსელი, საცვალი და აბრეშუმის წინდები, რომელშიაც გამოწყობილიყო ის მაიმუნი ჯანგი, ვინც შენობის უკან აგზავნიდა, ვიდრე ის მამის დანაბარებს გააგებინებდა ვინმეს, როგორც, ვთქვათ, მისთვის ტყვიის ნაჭერი ან სულაც მზა ტყვიები გამოეტანებინათ, რათა იმ მშვენიერი თოფის მფლობელ კაცს სროლა შესძლებოდა, ის კაცი კი კართან მოსულიყო და ასე ეთქვა, აი იმ ტყიან გორაზე ერთი კუნძია, ეგ ტყვიები იქ დატოვეო, და ახლოსაც აღარ გააკარებდა იმ თოფს.

რადგან სულაც არ გაბრაზებულა. სულ ამას უმტკიცებდა ბაბუას. ფიქრებს მისცემოდა მხოლოდ, რადგან უკვე მიმხვდარიყო, რაღაც უნდა ექნა, რაღაც უნდა ელონა და სიცოცხლის დღენი ისე გაეღია, რომ თავადვე არ გამოეჭამა თავისი გული, მაგრამ რა უნდა ექნა, მან ეს ჭერ კიდეც არ იცოდა იმ თავისი ახლახან აღმოჩენილი გულუბრყვილობის გამო, სწორედ ამას (ამ გულუბრყვილობას, იმ კაცსა და ადამ-წესებს კი არა) უნდა გასჯიბრებოდა. შესადარებელი, საზომი არაფერი ჰქონდა იმხანად, ისევ ის თოფი თუ გამოადგებოდა ანალოგიის მისაკვლევად, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. სრულიად მშვიდი ვიყავიო. ასე ამბობდა, მუხლებზე ხელებშემოხვეული იჭდა იმ თავის პატარა სოროში სანადირო ბილიკის სიახლოვეს, და როდესაც ქარმა მისი მიმართულებით წამოუბერა, ათი ფუტის იქით ირმებს ჩამოუვლიათ რამდენიმეჯერ, წყნარად და მშვიდობიანად ეკამათებოდა საკუთარ თავს, ორივე მოღავეს ასე დაუდგენია ბოლოს, კიდეც მესამე იყო ვიღაც საჭირო, უფრო ასაკოვანი და გამოცდილი, იმას უნდა შეკითხებოდა. მაგრამ მის გარდა იქ არავინ იყო, ერთ სხეულში ჩაბუდებულნი ის ორნი წყნარად და მშვიდობიანად ასე ედავებოდნენ ერთმანეთს: თუ მინდა ვესერი კიდეცაც (იმ მაიმუნ ჯანგს კი არა. გინდ ეს ჯანგი ყოფილიყო და გინდ სხვა, თუნდაც ის, ვინც მამამისს უცემია იმ ღამეს. ეს ჯანგიც ისეთივე ბუშტისნაირი, მამა-



ხიანად და საზარლად ახარხარებულ მრგვალი სახე იყო, რომ ვერც გაბე-  
და მისთვის ხელის წაქარება; და სანახევროდ გაღებულ კარიდან ის ზანგი  
ზემოდან რომ ჩამოჰყურებდა, იმ წუთას, ვერც კი მიხვდა ისე, რაღაც მო-  
სწყდა მას და — თვალების დახუჭვაც ვერ მოუსწრია მისთვის — იმ ბუშ-  
ტისნაირი სახიდან გამოსცქეროდა სწორედ იმ კაცივით, ვინც მან —  
სჭირდებოდა ფეხსაცმლის ჩაცმა, ვისაც ეს ახარხარებული ბუშტუ-  
ნოდა დარაჯად და მცველად და არც გააკარებდა მას და მისთანებს სიბ-  
ლოვებს; ხოდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი (ის კაცი), მისი მზერა მისწვ-  
დებოდა ამ ბიჭს, ვინც დაკერებული ტანსაცმლით, ფეხმრუდი და ფეხშიშ-  
ველი იდგა დაკეტილი კარის წინ და მამა, დები და ძმები დახდგმოდნენ თვალ-  
წინ, რომელთაც ალბათ ისე ხედავდა, როგორც პატრონი მათი, ის მდიდარი  
კაცი (და არა ის ზანგი) — ანუ პირუტყვებად და მაჭლაჭუნებად, ვილაცის  
ტლანქ ხელს რომ გადმოუსვრია ამქვეყნად და სულ უიმედოდ და უმიზნოდ  
დაუგდია, და ისინი თავის მხრივ გამრავლდებიან, შექმნიან პირუტყვისნაირ  
და გაბოროტებულ მოდგმას, ორგზის, სამგზის და მრავალგზის გაიზრდება მათი  
რიცხვი, მოედებიან მთელ ქვეყნიერებას, მთელ სამყაროს და მთელი მათი ჯილა-  
გი მომავალში მემკვიდრეობად მიიღებს დაპატარავებულ, დაკერებულ და გადა-  
კეთებულ ტანსაცმელს, ნისიად რომ მისცემენ დუქანში და მერე ტყავსაც გა-  
აძრობენ კიდევაც, რადგან თეთრები არიან ისინი, იმ დუქნებიდან კი ზანგები  
ტანსაცმელს სულაც უფასოდ ღებულობენ და იმათი ერთადერთი სამემკ-  
ვიდრო იყო იყო ის ახარხარებული ბუშტისნაირი სახე, მის დავიწყებულ და  
უსახელო წინაპარს რომ შესცქეროდა, რომელსაც თავის ბიჭობაში კარზე  
დაუჟაკუნებია და ვილაც ზანგს სახლის უკან გაუგდია): თუ მინდა, ვესვრი  
კიდევაც — ედავებოდა იგი თავის თავს, ის მეორე კი ასე პასუხობდა: არა.  
მერედა რა გამოვა ამით; პირველი კი: აბა რა ვქნა? ის მეორე: არ ვიცი: პირ-  
ველი: თუ მინდა, ვესვრი კიდევაც. ჩუმად გავძვრები იმ ბუჩქებში და ვიჭ-  
ნები იქ ჩაწოლილი, ხოდა, რომ გამოვა და იმ თავის ჰამაკში ჩაწევა, ვესვ-  
რი; მეორე: არა-მეთქი: მერედა რა გამოვა ამით; პირველი: აბა რა ვქნა?  
მეორე: არ ვიცი.

მერე მოშივდა, სადილობამდე მოხდა ეს ამბავი; ახლა მზის სინათლე  
აღარც აღწევდა აქ, სადაც ჩამჯდარიყო, თუმცა კი ხედავდა ჩამავალი მზის  
სხივებს ხეების წვეროებზე, სტომაქმა უკვე ამცნო მას, გვიან არის და სახლ-  
ში რომ მიხვალ, კიდევ უფრო გვიანი იქნებაო. და მაშინ, როგორც უთქვამს,  
დაუწყია ფიქრი სახლში, სახლში, და პირველად ასე ზგონებია, გაცივება მინ-  
დაო, და თავსაც ასე არწმუნებდა, ვიცინიო, მაშინაც კი, როცა უკვე მიხვ-  
და, სულაც სიცილი არ იყო ეს; ტყიდან გამოსულმაც გაიფიქრა, სახლშიო, როცა  
მიუახლოვდა იმ ქოხმასს და დაინახა — გაუთლელი მორებისაგან ამოყვანილი  
დამპალი კედლები, ჩამოქცეული სახურავი, რომელსაც აკლდა ყავრები და  
ვერც ვერაფრით შეეცვალათ, მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც წყალი ჩამო-  
დიოდა, დაედგათ ქვაბები და ტაშტები, მიშენებული ოთახი, სამზარეულოდ  
რომ გამოეყენებინათ, კარგ ამინდშიც ვერ ამჩნევდნენ, რომ საკვამური არ  
ჰქონდა ბუხარს, ხოლო წვიმაში არც არავინ შედიოდა იქ; დაი დაინახა თავის  
ეზოში, რიტმულად იხრებოდა და იმართებოდა სარეცხის გეგაზე, მხოლოდ  
ზურგი ჩანდა მისი, დაჭმუჭნული ჩითის კაბა ეცვა, მამამისის  
ფეხსაცმლები ისე დიდი ჰქონდა, ფეხები უცურავდა შიგ, ძროხასავით გა-  
ვავანიერი ეს ქალი უგულოდ და უგულისყუროდ შედგომოდა ყველა სამუ-



შაოთაგან ამ ყველაზე უმაღლეს სამუშაოს, ოდითგანვე რომ გამოირჩეოდა სიმძიმით და პირუტყვი თუ გაუძლებდა მხოლოდ; პირველად ახლა (ასე უთქვამს მას) გაუელვა თავში, რა უთხრას მამას, როდესაც ჰკითხავს, თუ მიუტანეო ჩემი დანაბარები, რომ მოატყუოს, მამამისი იმწუთას გაიგებს ამ ამბავს — იქნებ იმ კაცმა უკვე გამოგზავნა ზანგი, რატომ არ გააკეთა მამამისი, რაც უნდა გაეკეთებინა, და ბოდიშიც არ მოუხდიაო თუ ვიფიქრებთ მის, რომ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მამის დანაბარების მიზნად (რაკი იცნობდა თავის ბერიკაცს) ეს უნდა ყოფილიყო სწორედ. მაგრამ მამაშინ არ დახვედრია და რაღა უნდა მომხდარიყო. სამაგიეროდ მისი დაი იყო იქ, თუმცა შეშა კი არ უნდოდა, უფრო თავისი ფოკალური მონაცემების გამომწვეურება სწადდა, ხოდა, შესქუივლა, წყალი და შეშა მოიტანეო. არც უარი უთქვამს, არც თავის გამართლებას მოჰყოლია, არც ყური დაუგდია მისთვის, სულ იმ თავის ფიქრს მისცემოდა. შემდეგ მამა მოვიდა და დამ შესჩივლა, ასე და ასეო, და მან შეშის მოსატანად გაუშვა; მამამისს იმ საღამოს არც ვახშამზე უკითხავს იმ თავისი დანაბარების ამბავი და არც დაწოლის ხანს; დაწოლა ამ ბიჭისთვის ცარიელ ქვეშაგებზე გაგორებას ნიშნავდა, მაგრამ ახლა ძილი აღარ ეკარებოდა, იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო; ახლაც არაფერი უკითხავთ იმ დანაბარების გამო, ხოდა, ვეღარ მოეფიქრებინა, ტყუილი ეთქვა თუ არა. რადგან, ასე უთხრა ბაბუას, ჯერ კიდევ ვერ გაეთავისებინა, თუ რა იყო შესაზარი ამ ამბავში, იწვა და ის ორნი, მის გულში ჩაბუდებულნი, წყნარად და მშვიდად, შეუშფოთებლივ, სიტყვასაც არ აწყვეტინებდნენ, ისე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს: თუ შინდა, მოვკლავ კიდეცაც. — არა. მერედა რა გამოვა ამით. — აბა რა ვქნა, როგორ მოვიქცე? — არ ვიცი; ხოდა, ის ყურს უგდებდა, თუმცა კი უგულისყუროდ, ასე უთქვამს თურმე, მერე სულაც აზრის გაუთავისებლად ესმოდა ის ხმები, რადგან ახლა უნებური რამ ფიქრები აკვიატებოდა. ბიჭისთვის, ბავშვისთვის ჩვეულებრივი იყო ეს ამბავი და ის არც აქცევდა ყურადღებას ამ გარემოებას, რადგან ბიჭს სწორედ ასე უნდა ეფიქრა, უნდა რამე მოეფიქროს, როგორც მამაკაცს შეშვენის, ისე უნდა მოეფიქროს. იმ ზანგმა არ შემიშვა მასთან და რაღას ვეტყვოდი და ახლა ის (ზანგი კი არა, სხვა) ვერც გაიგებს ვერაფერს და იმ გასაკეთებელსაც ვერაფერს გააკეთებს, ხოდა, ის ვერც გაიგებს რამეს ამის შესახებ მანამ, სანამ გვიანდა არ იქნება და ახივ იქნება იმაზე, რას დაუყენებია ის ზანგი კარწინ, იქნებ მე იმიტომ ვიყავი მისული, რათა მეთქვა, შენს საჭინბოს, სახლს ცეცხლი ეკიდება, ის ზანგი კი დგას იქ და არ მიშვებს, რომ გითხრა და გაგაფრთხილო, და მერე უცებ, ასე უთქვამს, ფიქრი შეწყვიტა, თითქოსდა ყვირილი აღმოხდა, თანაც ისე ხმამაღლა, მის გვერდით მეორე ლეიბზე და ორ პატარასთან ერთად ლოგინზე მწოლ მხვრინავ მთვრალ მამას შეეძლო გაეგონა: სიტყვაც არ მათქმევინა მე იმან; და ესე მალიმალ, ასე არეულად მოსჯარდნენ ფიქრები, რომ თითქოს სხვანი უყვიროდნენ, უღრიალებდნენ და ისე მოეცვა ამ ღრიანცელს, ვითარცა იმ ზანგის ხარხარს: სიტყვაც არ მათქმევინა მე იმან და მამას არც უკითხავს, ვუთხარი მე იმას თუ არა, და იმ კაცმა არც კი იცის, მამამ თუ გამოგზავნა მე იმასთან საქმეზე, ხოდა, გინდ მეთქვა ის დანაბრები და გინდ არა, სულ ერთი იქნებოდა მისთვის და მამაჩემისთვისაც; მაშ იმიტომ მივსულვარ იმ კართან, იმ ზანგს რომ ეთქვა ჩემთვის, ამ სადარბაზო კარს აწ ნუ გაეკარებო; და თუნდაც ეთქვა, ამით იმ კაცს არ ავაშენებდი და არც დავაქცევდი, და სულაც სულერთია იმ კაცისათვის. გინდ ვყოფილვარ, გინდ არა ამქვეყნად. და მაშინ,



ასე უთქვამს, თითქოს დაიჭეჯაო რაღაცამ — გაიბრღვიალა სინათლემ და ჩაქრა, არც ფერფლი დარჩენილა და არც არაფერი; ველი გადაიშალა მის წინაშე, უსაზღვრო და სწორი და იმის შუა ქუში ძეგლივით აღმართულიყო მისივე ხელუხლები გულუბრყვილობა; ეს გულუბრყვილობა ისევ ასწავლიდა ჭკუას, როგორც ის ორნი ესაუბრებოდნენ; ისევ მოეშველეთ ანალოგია თოფის ამბისა და როდესაც მან ამოთქვა ისინი და ფრთხილად ეს უფრო ბევრს ნიშნავდა, ვიდრე ის არაობა კაცუნები, რომლებსაც შეუძლიათ მზის ქვეშ ჰამაკში ფეხშიშველი მთელი დღეები გორაობა; ხოდა, ასე ფიქრობდა, თუ იმასთან შებრძოლება გადაგიწყვეტია, ვისაც მშვენიერი თოფი აქვს, პირველ რიგში შენც უნდა იშოვნო რაღაც თოფის მაგვარი, უნდა ინათხოვრო ან მოიპარო, ან გააკეთო, ხომ ასეაო? და თავადვე უპასუხა, კი, ასეაო. მაგრამ თოფი არაა მთავარი, იმათ რომ შეებრძოლო, უნდა ის შეიძინო, რაც იმათ აქვთ, მიწა, ზანგები და ლამაზი სახლი. ხომ სწორიაო? ასე უპასუხა კვლავ, კიო. იმ ღამესვე წამოვიდა იქიდან. გათენებამდე ისევე ჩუმად ადგა, როგორც დაწვა, წამოდგა იმ თავისი ლეიბიდან და ფეხისწვერებზე გამოვიდა ქოხმახიდან; მერე თავის ახლობელთაგან არავინ უნახავს არასდროს.

ვესტ-ინდოეთში ჩასულა. — კვენტინი არც კი შერხეულა, ღია წიგნზე დადებულ იმ გახსნილი წერილიდან არც აუწევია თავი, ფიქრებს მისცემოდა, იმ წიგნისა და წერილის აქეთ-იქით დაეწყო ხელები მაგიდაზე, წერილის ფურცლის ნახევარი წამოწეულიყო გადანაკეცის ადგილას ისე, რომ არც არაფერს ეყრდნობოდა, თითქოსდა სანახევროდ გაეგო საიდუმლო მიწიდულობის კანონისა, — თავად სატპენს უთქვამს ასე, ის და ბაბუა მორზე ისხდნენ ახლა, რადგან მეძებრებს კვალი დაკარგოდათ. თუმცა იმათ მიუკვლევიათ იმ ხისთვის, საიდანაც ის (არქიტექტორი) ვერსად გაიქცეოდა, იმ ხეზე კი უსათუოდ უნდა ყოფილიყო ამძვრალი, რადგან ჭოკი უნახავთ და მის ერთ ბოლოზე მიბმული აჭიმები, ხეზე ასასვლელად გამოუყენებია ისინი, პირველად ვერც მიხვდნენ, თუ რად უნდოდა ის აჭიმები და მხოლოდ სამი საათის შემდეგ იაზრეს, იმ არქიტექტორს მოუშველებია არქიტექტურა და ფიზიკა, გასაჭირის ხანს ხომ კაცი ყოველთვის იმას მიმართავს, რაც უფრო უკეთ იცის — მკვლელი მკვლელობას, ჭურდი — ჭურდობას, მატყუარა — ტყუილს. ხოდა, იმას (არქიტექტორს) რომ არ ეფიქრა, სატპენი მეძებრებს მოიყვანსო, იმ ველური ზანგების ამბავი ხომ იცოდა; აურჩევია ერთი ხე, აუტანია ის ჭოკი, გამოუთვლია სიმძიმე, მანძილი და ტრაექტორია და უახლოეს ხეზე გადამხტარა, ციყვიც კი ვერ შესძლებდა ამას, თითქმის მთელი ნახევარი მილი უვლია ასე, ვიდრე კვლავ მიწაზე ფეხს დადგამდა. მხოლოდ სამი საათის შემდეგ იმ ველურ ზანგთაგან ერთმა (ძაღლები იმ ხეს არ მოცილებიან, ისევ იმაზე მჯდარი ეგონათ) ნახა ადგილი, სადაც ის დაბლა ჩამოსულიყო. ის კაცი და ბაბუა ამ დროს მორზე ისხდნენ და საუბრობდნენ, იმ ველურ ზანგთაგან კიდევ ერთი ბანაკში გაქცეულიყო საჭმლისა და დარჩენილი ვისკის წამოსაღებად, მერე ბუკი დააყვირეს და სხვებსაც მოუხმეს დასანაყრებლად, მათი მოლოდინის ხანს კიდევ მოუყოლია იმ კაცს ბაბუასთვის, რა იყო შემდეგ.

ვესტ-ინდოეთში ჩასულა. თავად სატპენს უთქვამს ასე; ის კი არა, თუ როგორ გაიგნო გზა ვესტ-ინდოეთისაკენ, არც ის, თუ როგორ ნახა იქ ნავსაყუდელი, გემები, თუ როგორ მოხვედრილა ერთ-ერთზე; არც ის უამბნია, მოეწონა თუ არა ზღვა, არც მეზღვაურთა ფათერაკებით სავსე ცხოვრებაზე



დაუძრავს სიტყვა, თოთხმეტი, თხუთმეტი წლის ბიჭი, ვისაც არასდროს ენახა  
 ოკეანე. კი უნდა გადაუროდა ფათერაკებს, 1823 წელს ასულა გემზე. ესლა  
 თქვა, ხოდა, ასე გავემგზავრეო ვესტ-ინდოეთს; იქდა იმ მორზე ბაბუასთან  
 ერთად, მეძებრები კი იმ ხეს უყუდნენ, რადგან სჯეროდათ, სწორედ იქ  
 უნდა ყოფილიყო არქიტექტორი; ოცდაათი წლის შემდეგაც, ბაბუას სამსა-  
 ხურში მჯდომარემ (მშვენივრად ეცვა ახლა, თუმცა სამი წლის შემდეგ მოფს  
 მცირეოდნავ გაზინჯლოდა და გახეხოდა ეს სამოსელი, ჯიბეში სწორედ უჩი-  
 რიალებდა, მეტად მოხდენოდა წვერიც; წვერს, სხეულსა და ჭკუა-გონებას  
 იმ მწვერვალს მიეტანებინა, როდესაც ერთად შერწყმული მამრის სხვადასხვა  
 თვისება მის ზეობას წარმოაჩენს ცხადლივ, და კიდევაც შეეძლო ეთქვა  
 ყველაფერი გავაკეთე, რაც მინდოდა და თუ მინდა, შევჩერდები აწი, სიზან-  
 ტეს ვერავინ დამწამებს. მეც ვერ ვუსაყვედურებ თავს — და იქნებ ეს ის  
 წუთია, კეთმოღერებული ბედისწერა რომ წამოგეწევა და ამ დროს ზეობის  
 მწვერვალი ისეთი თვალწარმტაცი და მყარი ჩანს, უცებ ვერც შეამჩნევ  
 იქიდან გადმომზღვრევას; ხოდა, ასე თავაწეული, ზუსტად არავინ იცოდა,  
 ვის ბაძავდა ან იქნებ ეს იმავე წიგნიდან დაესწავლა, საიდანაც იზეპირებდა  
 სიტყვებსა და ბრტყელ-ბრტყელ თქმებს, რომლითაც ის კაცი თავის თხოვ-  
 ნას შეამკობდა ხოლმე, როდესაც სიგარის მოსაკიდებლად ახალი დასჭირ-  
 დებოდა ან თავად მოგართმევდა სიგარას — ასე უთქვამს ბაბუას; სიდინ-  
 ქე არ ლაღატობდა, არც სასაცილო ჩანდა ამ დროს, თურმე დასძინა ბაბუამ,  
 რადგან არც არასდროს დაუკარგავს ის თავისი გულუბრყვილობა, თუმცა იმ  
 ღამის მერე, საბოლოოდ რომ დაუსახავს თავისი მიზანი, არც ახსოვდა და  
 არც ეგონა, თუ ის თავისი გულუბრყვილობა შერჩენოდა ჯერ კიდევ). ასე  
 უთხრა ბაბუას, ასე უთხრა-მეთქი, თავს კი არ იმართლებდა,  
 არც სინანულს გამოთქვამდა, არც ახსნა-განმარტება უნდოდა; უბრალოდ  
 ასე უთხრა ბაბუას, XI—XII სს. მეფეთა მსგავსად: გავუშვი მე ის ჩემი პირ-  
 ველი ცოლი — „დანაშაული იმას არაფერი მიუძღვოდა. მაგრამ მივხვდი.  
 ვერ მომეხმარებოდა ანუ ვერ შემმატებდა რამეს, გვერდში ვერ ამომიხდგე-  
 ბოდა ჩემი სურვილის შესასრულებლად, ცხოვრების სახსარი მივეცი და გა-  
 ვუშვი“, — ასე უთხრა მან ბაბუას მშვიდად იქ, იმ მორზე მჯდომარემ და  
 იმის მომლოდინემ, როცა სტუმრებთან ერთად ზანგები დაბრუნდებოდნენ  
 და ვისკის მოიტანდნენ: „ხოდა, ვესტ-ინდოეთში წავედი; ჯერ კიდევ ერთი  
 ზამთარიც არ გასულიყო, რომ გარკვეული განათლება მივიღე, რაღაც-რაღა-  
 ცები გავიგე აჭაურობის შესახებ და მივხვდი კიდევაც, სწორედ ეს მხარე  
 იყო შესაფერისი და საჭირო იმ ჩემი მიზნის განსახორციელებლად“. ის  
 კი არ ახსოვდა, თუ როგორ მოხვდა სკოლაში, ანუ, ვერ გეტყვოდათ, თუ რად  
 გადაწყვიტა ასე უცებ მამამ მისი სკოლაში გაგზავნა, რა მოეჩვენა ბურანში  
 მყოფს, როგორ მოაფიქრდა არუით გაბრუნებულს, ზანგების დარბევაში მო-  
 ნაწილეობისა და სამუშაოდან გაპარვის მიზეზების ძებნით გართულ ბერი-  
 კაცს ეს ამბავი — თავმოყვარეობამ შეაწუხა, დიდება მოსწყურდა ან იქნებ  
 ასე გაიფიქრა, ვაჟიშვილმა მაინც მაჯობოსო, ან შეიძლება სულის სიღრმე-  
 ში აუჯანყდა იმ თავის გაჭირვებას, სახლს, სადაც ჭერიდან წყალი ჩამოსდიოდა  
 დღენიადაგ იმ ასეული ოჯახის მსგავსად, აქ რომ უცხოვრიათ და ისე გამქ-  
 რალან, კვალიც არ დაუტოვებიათ, ქინკები და ჯამ-ჭურჭელის ნამუსრევაც  
 კი არ დარჩენილა იმათი, მაგრამ სავარაუდებელი უფრო შური იყო, ჯიბრი  
 იმ ერთი თუ ორი პლანტატორისა, რომლებსაც ის ზოგჯერ ხვდებოდა. ასე



იყო თუ ისე, იმ ერთ ზამთარს, თითქმის სამი თვის მანძილზე სკოლაში დადიოდა ეს ცამეტი თუ თოთხმეტი წლის ყმაწვილი, საკლასო ოთახში აუარება ბავშვი იქდა სამი ოთხი წლით იმაზე უმცროსი და ამდენივე წლით მეტი ცოდნა ჰქონდათ იმათ; მასწავლებელზე (ვირჯინიის სანაპიროზე, პლან-ტაციების შუაგულში იყო ეს ერთოთახიანი სოფლის სკოლა ~~და~~ <sup>და</sup> მასწავლებლადაც ვინ იქნებოდა) უფრო მოსული ტანისა გახლდათ, სულაც იმაზე უფრო დაკაცებული ჩანდა, საღი გონებისა და დაკვირვებული თვალის გარდა ამ თავდაჭერილ მთიელს თანდაყოლილი ზიზღი გამოჰყოლოდა წესრიგისადმი, თუმცა თავად ვერც ხვდებოდა ამას, ისევე, როგორც პირველად ვერც მიხვდა იმას, რომ მასწავლებელს ეშინოდა მისი. თავისნება, მედიდური იყოო და იმიტომ, ამას ვერ იტყოდით, მთაში ყოფნამ და მარტოსულობამ გახადა თავდაჭერებული, სისხლიც ხელს უწყობდა (დედამისი შოტლანდიის მთებიდან ყოფილა, ასე უთქვამს მას ბაბუასთვის, ინგლისურად ძლივს ლაპარაკობდა), მთიელთა სისხლი იყო მიზეზი თუ არა, თავს დიდად არ იწუხებდა მშრალი რიცხვების დაზეპირებით, მაგრამ ყურადღებით კი ისმენდა მასწავლებლის ნაუბარს. „სკოლაშიო, — უთქვამს ბაბუასთვის, — ბევრი ვერაფერი ვისწავლე, ის კი გავიგე, ადამიანს რაც შეუძლია გააკეთოს, კარგიცა და ცუდიც, რაც იმსახურებს დიდებას, განჭიქებას თუ ჯილდოს, ამის შესახებ შეგვიძლია მხოლოდ წიგნებში ამოვიკითხოთ. და ამიტომ, როდესაც ის კითხულობდა, მე ყურს ვუგდებდი. ისიც გავიგე, თუ რად გვიკითხავდა მეტწილად, იცოდა, გასაქცევად ეჭირათ თვალი მოსწავლეებს სულმუდამ. თუმცა რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი, სულერთია, ის გვიკითხავდა და მეც ყურს ვუგდებდი, იმხანად არ ვიცოდი, რომ გაგონილი უკეთ დამეხმარებოდა იმ ჩემი შემდეგდროინდელი სურვილის განხორციელებაში, ვიდრე წიგნით დასწავლილი მთელი გამრავლების ტაბულა. ვესტ-ინდოეთის შესახებაც ასე გავიგე. მისი მდებარეობა არ უთქვამთ ჩემთვის, მაგრამ რომ მცოდნოდა, დრო დადგება და ამის გაგებაც დამჭირდება-მეთქი, ამასაც გამოვიკითხავდი. უკვე ვიცოდი, არის ასეთი მხარე, რომელსაც ეძახიან ვესტ-ინდოეთს, სადაც ღარიბები ჩასულან გემებით და გამდიდრებულან, თუ როგორ მოუხერხებიათ, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჭკვიანი და გამბედავი კაცი რას არ შეიძლებს. ჩემი აზრით, გამბედაობა მე არ მაკლდა, ხოლო ჭკუას ჩემით ვისწავლიდი, თუკი ცხოვრებისეულ სკოლაში გამოვიჩენდი სიბეჯითესა და მონდომებას. მახსოვს, ერთხელ გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დავრჩი და მასწავლებელს დაველოდე, უფრო სწორად, დავუდარაჯდი; ერთი ბეჩუკი კაცი იყო, ტანისამოსი სულ ისეთი ეცვა, გეგონებოდათ, მტვერში უგორავიაო, თითქოს მთელი თავისი ცხოვრება სხვენსა და სარდაფებში გაუტარებიაო, იქ, სადაც იყო კიდევაც დაბადებული. დამინახა თუ არა, შეშინებულმა უკან დაიხია, ისიც მაგონდება, ასე გავიფიქრე, რომ ვცემო, ყვირილსაც ვერ გაბედავს, მუშტის ხმაღა გაისმება და მტვერი დადგება, თოკზე გადაკიდებული ნოხი თუ დაგიბერტყავთ, ისე. შევეკითხე, თქვენ რომ წავგიკითხეთ, ის კაცი მართლა თუ გამდიდრა-მეთქი ვესტ-ინდოეთში? რატომაც არაო, ასე მიპასუხა და შიშით უკან დაიხია, — წიგნი ხომ წავგიკითხეთ, არ გესმოდაო? აბა რა ვიცი, იქნებ წიგნში სხვა ეწერა და თქვენ სხვა წავგიკითხეთ-მეთქი, ვუთხარი მე. მთლად გამოუსვლელი, სოფლელი ტეტია ვიყავი, გესმით. საკუთარი სახელის წაკითხვაც არ შემიძლო, თუმცა უკვე სამი თვე იქნებოდა, რაც სკოლაში დავდიოდი, თუ დამიჯერებთ, სკოლაში პირველად



რომ შევდგი ფეხი, იმაზე მეტი არც მაშინ ვიცოდი. მაგრამ მე უნდა გამეგო, გესმით. შესაძლოა კაცი თავის მომავალს რამდენიმე ხერხით ქმნის და არა ერთით, ხვალინდელი დღისთვის, სამომავლოდ ემზადება და ამისათვის არა მარტო თავისი სხეული უნდა გამოაწროს, თავისი საქნელი და მისი შედეგიც უნდა განსჭვრიტოს შეუმცდარად, თუმცა იმისი უფრო გრძნობები და გონება ამას ვერ შეძლებს და მაინც ათი, ოცი და სხვა უფროსი წლის შემდეგაც იქმს თავის საქნელს, უნდა ჰქნას, რათა განიცადოს ის, რის განცდაც მას სურდა. ხოდა, იქნებ სწორედ ეს იყო ქვეშევსეული მიზეზი, რომ ხელი ვტაცე მკლავზე და უკან დახევა აღარ დავანებე (იმის ნათქვამს მე ეჭვით არ მოვკიდებივარ. ჩემი ასაკის მიუხედავად მაინც მივხვდი, იმ კაცს არაფერი შეუთხზავს. ბავშვის მოხატულებლადაც არ ეყოფოდა იმას ჰკუა), შემომატქერდა და გაიბრძოლა, გავუსხლტებო, ხელი აღარ გავუშვი და ვუთხარი: „ვთქვით და მართლაც წავედი იქ და მასე არ იყოს მერე?“ უვირილი მორთო, მიშველეთ, მიშველეთო! რაღა უნდა მექნა, გავუშვი. ხოდა, დრო რომ დადგა და გავიგე, ფულია თავიდათავი, ჩემს სურვილს ისე ვერ ავისრულებდი, ოღონდ ცოტა კი არა, ბევრი უნდა მქონოდა და რაც შეიძლება მალე, ისიც გამახსენდა, თუ რას გვიკითხავდა ის კაცი და ვესტ-ინდოეთს გავემგზავრე“.

ამ დროს სხვები გამოჩნდნენ ცხენებით, მერე ზანგებიც მობრუნდნენ და მოიტანეს საყავი, შებოლილი ირმის ხორცი და ვისკი (ერთი ბოთლი შამპანურიც, პირველად რომ დავიწყებიათ, ასე უთქვამს ბაბუას) და სატპენს რამდენიმე ხნით თხრობა შეუწყვეტია. აღარაფერი მოუყოლია, ვიდრე არ ჰამეს და წრიულად არ დასხდნენ მოსაწევად, ხოლო ზანგები და მეძებრები კვალის მისაკვლევად ყოველი მიმართულებით დახეტილობდნენ. ძაღლები ძლივსღა მოაცილეს იმ ხეს და განსაკუთრებით იმ ჭოკსა და აჭიმებს, თითქოსდა ეს ჭოკი იყო სულ უკანასკნელი ნივთი, რასაც ის არქიტექტორი შეხებია და ამასთან ერთად იმ კაცის აღფრთოვანებაც დასტუბოდა, რაკი კიდევ ერთი ხერხი უნახავს თავის დასაღწევად და სწორედ ამ აღფრთოვანების ნაკვალევს გაუცოფებიათ მეძებრები. სულ უფრო და უფრო შორს წახულიყვნენ ზანგები, სადაცაა უნდა ჩასულიყო მზე, რომ უცებ ერთი იმათგანის ძახილი გაისმა და სატპენმა (რამდენიმე ხანი უხმოდ, უთქვამს ბაბუას, ერთ ხელზე თავით დაურდნობილი იწვა, მშვენიერი ჩექმები და ის თავისი ერთადერთი შარვალი და პერანგი ეცვა. ჭანჭრობიდან რომ გამოვიდა და დაიბანა, ასე გაიფიქრა, უნდა გამოვეწყო, იმ არქიტექტორს ჩემ გარდა ცოცხალს ვერავინ დაიჭერსო; ჩუმად იყო და იქნებ არც უგდებდა ყურს სხვების საუბარს ბამბასა და პოლიტიკაზე; ბაბუამ რომ მისცა, იმ სიგარას ეწეოდა და ნაკვერჩხლებს დასცქეროდა და იქნებ ვესტ-ინდოეთში თავისი მგზავრობის ამბები წამოაგონდა; თოთხმეტი წლისა იყო მაშინ და არ იცოდა, თუ სად მიდიოდა და მივიდოდა თუ არა იქ, როგორღა უნდა გაეგო, ატუუებდნენ თუ არა იქ, გემზე, როდესაც ეუბნებოდნენ, კი, სწორედ მივდივართო, მაშინაც ხომ ვერ გაიგო, მართალს ეუბნებოდა თუ არა ის სკოლის მასწავლებელი, წიგნში ამოკითხულ ამბავს რომ უამბობდა. არც არასდროს უთქვამს ვინმესთვის, გაუჭირდა თუ არა მგზავრობა და რა გადახდენია თავს და რამდენ ხანს იყო გემზე. მაგრამ ასე სჯეროდა, მხოლოდ გამბედაობა და მოხერხება სჭირდებოდა მას, გამბედაობა არ აკლდა, ხოლო მოხერხებას ისწავლიდა და იქნებ სიამოვნებდა კიდევაც, რომ ძნელი გამოდგა მგზავრობა და რაკიღა



ასე იყო, მართალი უოფილან გემზე მყოფნი, რომ იძახდნენ, ვესტ-ინდოეთში მივდივართო; ბაბუას ასე უთქვამს, შეიძლება იმხანად იმას არც კი ეცნობოდა, თუ იყო რამე ადგილი გასაკეთებელი) თქვა, აქ არისო, წამოიღა და წაუყვანა ლანი მიჰყვნენ, ნახეს კიდევაც ის ადგილი, სადაც იმას კვლავ მიწაზე დაედგა ფეხი და იმათთვის თითქმის მთელი საათით გაესწრო. ახლავე დაიწყო ჩქარათ და ვისღა ეცალა სალაპარაკოდ, ანუ, ასე უთქვამს ბაბუას, რებდაო თხოვრის გაგრძელებას. მზე ჩავიდა და ქალაქს უნდა დაბრუნებულიყვნენ სხვანი, წავიდნენ კიდევაც ყველანი ბაბუას გარდა, ასე ეგონა, კიდევ მომითხოვსო ის კაცი რამეს. ქალაქს მიმავალთაგან ერთს სთხოვა: ჩემსას გაიარე და შეატყობინე ჩვენებს, მე აქ უნდა დავრჩეო (უცხოლო უოფილა მაშინ). ხოდა, იმას და სატპენს კიდევ გაუვლიათ ცოტა, ვიდრე სულ არ ჩამოხდებოდა, ორი ზანგი (სატპენის ბანაკიდან უკვე ცამეტი მილით დაცილებულან) ჯერ კიდევ მანამდე გაბრუნებულია უკან, საზნები და სანოვარები რომ მოეტანათ. დაღამებულიყო და ზანგებმა კვარის ჩირაღდნები აანთეს, ცოტა კიდევ წინ წაიწიეს, მიმხვდარი იყვნენ, სიბნელე ჩამოწვებოდა თუ არა, ის არქიტექტორი სადღაც ჩაიმალებოდა, რათა ირგვლივ წრე არ ერტყა. ბაბუას ახსოვდა — იმას და სატპენს თავიანთი ცხენები მიჰყავდათ (დროდადრო უკან რომ მიიხედავდა, ცხენების თვალეში არცაა ლილ ჩირაღდანთა შუქს ხედავდა; ოთხფეხნი თავს აიქნევდნენ და ჩრდილები იწყებდა ლაციცს მათ მხრებსა და გვერდებზე), მეძებრები და ზანგები (თითქმის სულ ტიტლიკანა იყვნენ ზანგები, ორიოდეს თუ ეცვა შარვალი) ზე აღმართული კვამლადენილი ჩირაღდნებით მიძუნძულებდნენ, ცეცხლის ალი დასთამაშებდათ მათ მრგვალ თავებს, მკლავებსა და ტალახს, ტან-ფეხზე რომ წაესვათ ქინქლებიდან დასაცავად და ახლა ისე შეხმობოდათ, რომ მინისა თუ ფაიფურის დარი პრიალი გადახდიოდათ; ჩრდილები იმათი ხან გრძელდებოდა და ხან სულაც ინთქმებოდა სადღაც, მსგავსად ხეების, ბუჩქებისა და შამბებისა, ხან რომ ჩანან და ხან უცნებ გაქრებიან, თუმცა კი იცი, აქ არიან სულ, რაკილა გრძნობ იმათ ფშვინვას, თითქოსდა გარშემოებურვილან უჩინარი ჭაერით. ისიც ახსოვდა, სატპენმა ისევ დაიწყო მოყოლა, და ვიდრე ბაბუა მიხვდებოდა, ეს იმ ამბის გაგრძელება უნდა იყოსო, ასე გაუფიქრებია, ბედი კაცისა (ანუ თავად კაცი) ისეთია, რომ ტანისამოსივით უნდა მოირგოო; თუ ახალია ეს სამოსელი, შეიძლება ათასიოდეს გამოადგეს, მაგრამ ნაცვამს უკვე ველარავინ მოირგებს და არც სხვა სამოსში აგერევა, იმწუთას იცნობ, თუნდაც მისი სახელო ან საყელო დაინახო მხოლოდ. ხოდა, იმისი... (იმ ეშმაკიო, ჩაურთო შრივმა)... ბედი იმისივე გულუბრყვილობას, იმისივე მდარე გრძნობებს და იმისივე ბავშვურ უბრალოებას, თანდაყოლილ უოფლოჩინობას მორგებოდა — წმინდა მაუდის იმ ჩასაცმელის მსგავსად, ათი ათასობით მამაკაცი რომ ატარებდა იმ ოთხი წლის მანძილზე — და რომელიც მას მაშინ ეცვა, როცა ოცდაათი წლის შემდეგ იმ შუადლით ბაბუას სამსახურში მისულა — მორგებოდა-მეთქი მის ცუდმედიდობას და მოსამართლის დარ მრავალსიტყვაობას, როცა მშვიდად და გულბრყვილო სიწრფელით — რასაც ჩვენ ვეძახით „ბავშვურს“, თუმცა კი ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ ბავშვი ადამიანისა არც არასდროს შეიძლება იყოს გულუბრყვილო და წრფელი — მეტად უბრალოდ ჰყვებოდა რაღაც მეტად შესაზარს, ანუ თუ რა მოსვლოდა შემდეგ; თითქოსდა იმ ადგილს მიბრუნებოდა, სადაც შეჩერებულიყო, მაგრამ სიტყვაც არ დაუძრავს იმის შესახებ, თუ როგორ



მოხვედრილიყო იქ, არც ის უთქვამს, თუ როგორ მოხდა ის, რაც მას გადახდა (როგორც ჩანს, ეს ამბავი რომ მომხდარა, იმხანად ოცი წლისა იყო, სარკმელთან მიმალული თოფს ისროდა სიბნელეში, ვილაც რომ უტყენიდა და აწვდიდა); ხოდა, ბაბუასთან ერთად, ორივენი ჭაიტიზე აღუყარდნენ უბრალოდ სახლს გადასწვდნენ გონებით, ისევე უბრალოდ და ადვილად, როგორც ვესტ-ინდოეთს გადასწვდა ფიქრით, როცა ბაბუასთვის უთქვამს, რომ ვესტ-ინდოეთში წასვლა განვიზრახეო, და წავიდა კიდევაც. ის შემთხვევაშიც კი, რომელიც უამბო, ზემორე მონათხრობიდან არ გამომდინარეობდა, მის წინ მიმავალი ჩირაღდნებმოშარჩვებული ჯანგების დანახვისას წამოგონებოდა ეს შემთხვევა, ეს კი არ უამბნია, თუ რა გადახდა იმ ექვსი წლის მანძილზე, როდესაც მან ვესტ-ინდოეთში წასვლა და გამდიდრება მოისურვა, იმ ღამემდე, როცა ის — ზედამხედველი თუ ათისთავი იმ ფრანგი შაქრის პლანტატორისა — სახლში ჩაკეტილა იმ ოჯახთან ერთად. და იქ, ასე უთქვამს ბაბუას, ვილაც უხსენებია პირველად — ჩრდილი რამ, წარმოქმნისთანავე რომ დაინთქა ისევ, ოღონდ მთლად ჩრდილი არ უნდა ყოფილიყო ეს... (გოგო იყო, თქვა შრივმა, აღარ გინდა თქმა, განაგრძე...) ქალი იყო, რომლის შესახებაც ასე ეტყვის ბაბუას, ჩემი სურვილის შესარულებლად არ გამომადგებოდა და გავუშვი, უზრუნველყავი და ისეო. იმ სახლში კიდევ რამდენიმე შიშით გულგახეთქილი ჯანგის სისხლის მოახლე ყოფილა და სარკმელს ხანდახან მოსწყდებოდა, რათა წიხლისკვრითა და გინებით აეძულებინა ისინი იმ გოგოს თოფების დატენაში მიშველდებოდნენ, სარკმელთან მიმდგარი ის და პლანტატორი კი ისროდნენ. და მგონია, ბაბუა ასე ეუბნებოდა იმას, დაიცადეთ, ღვთის გულისათვის, დაიცადეთო; შენ რომ მეუბნები, ისე, და ბოლოს ის კაციც შეჩერებულა და იმ თავისი ამბის დასაწყისს მიბრუნებია, რათა ამ მის თავგადასავალს ჰქონოდა რაღაც მიზეზები და შედეგები, რაკილა მისი მაშინდელი ცხოვრება მოკლებული იყო ლოგიკურ თანამიმდევრულობასა და კავშირს. ან იქნებ იმიტომ, რომ უკვე ისხდნენ, რაკი გადაწყვიტეს, მეტი დევნა აღარ გვინდაო ამალამ. ჯანგებმა ბანაკი დასცეს და ვახშამი მოამზადეს, იმათ კი (იმას და ბაბუას) ვისკი დაუღლევიათ, უვახშამიათ, ცეცხლთან დამხდარან, ცოტა კიდევ დაუღლევიათ და იმან ყველაფერი თავიდან უამბო, მაგრამ ნათლად მაინც არ ჩანდა, თუ როგორ და რატომ ჩასულიყო იქ ან თავად ვინ იყო — თავის თავზე არ უამბნია იმას. რაღაც ამბავს მუცებოდა უბრალოდ. ბაქიბუქი არ დაუწყია, ესა და ეს ვქენიო. მხოლოდ იმ კაცის ამბავი უამბნია, ტომას სატპენი რომ ერქვა სახელად, და ეს ამბავი არც შეიცვლებოდა, სულაც არაფერი რომ არ არ რქმეოდა იმ კაცს და ვილაცის ან სულაც არავის შესახებ მოეთხრო ვისკის დაღვების ხანს ღამით.

შესაძლოა სწორედ ეს იყო მიზეზი, თხრობა რომ შეუნელებია. მაგრამ ამით მეტი სინათლე არ მოჰყენია მის ნაამბობს. ტომას სატპენის თავგადასავალზე არ უამბნია მას ბაბუასთვის. ბაბუას უთქვამს, სადღაც რომ ყოფილა, იმ ექვსი თუ შვიდი წლის ამბავი ამითღა უხსენებია, იქაური კილოკავის შესწავლა მომიხდა, რაკი პლანტაციაში ზედამხედველად უნდა მემუშავაო, ფრანგულიც შეუსწავლია, შეიძლება იმისთვის არა, რომ ცოლობა ეთხოვა იმ ქალიშვილისათვის, მაგრამ მეუღლის გასაშვებად კი უნდა სცოდნოდა. ასე უამბნია იმას ბაბუასთვის, თუმცა კი სჯეროდა, ვაჟკაცობითა და მოხერხებით იოლად გავიდოდა ფონს, მაგრამ შეცდა და ძალიან ნანობდა, რომ მისი სკოლანდელი განათლება ვესტ-ინდოეთის ცოდნით ამოი-



წურებოდა, როცა უნახავს. ყველა ხალხი სხვადასხვა ენაზე ელაპარაკებოდა, მიხვდა, მას სჭირდება არა მარტო ვაჟი-ცოცა და მოხერხება, ახლა ენაც უნდა ესწავლა, თუ არა და ის სურვილი, რისთვისაც თავი გადაუდო, მკვლად-შობილი შეიქნებოდა. ხოდა, ადგა და ენა ისწავლა, სწორედ ასევე უსწავ-ლია მას მეზღვაურობაც, მგონი ბაბუამ ჰკითხა, გოგო რატომ არ ნახე ვინ-მე, მასთან ცხოვრების ხანს ხომ უფრო ადვილად ისწავლიდიო ენას; მან კი — ცეცხლთან იჯდა და ალის ლაციცი გადასდიოდა მის წვერიან სახეს — ბა-ბუას შეხედა ნათელი თვალებით და ასე მიუგო მშვიდად და უბრალოდ: „მე რომ გითხრათ, იმ ღამეს (ჩემს პირველ ქორწილამდე, შემოძლია დავსძინო) ჯერ კიდევ უბიწო ვიყავი-მეთქი, იქნებ არც კი დამიჯეროთ, და თუ ახსნა-განმარტებას მოვუყვები, სულაც ეჭვით მოეკიდებით ჩემს ნათქვამს. ამასდა გეტყვით, ესეც იყო ნაწილი ჩემი ჩანაფიქრისა“; ბაბუამ უთხრა, რატომ გგონიათ, რომ არ დავიჯერებო? მშვიდად გამოხედა მან თავისი ნათელი თვალებით და მიუგო: „ნუთუ დაიჯერებთ? არა მგონია, თქვენს თვალში ისე დამდაბლებული ვერ, რომ დაიჯეროთ, ოცი წლის უმწველკაცს ნდომა არ მქონდა და არც არავინ შემოცდენიაო“. ბაბუამ უთხრა: „მართალს ბრძანებთ. არ უნდა მჯეროდეს, მაგრამ მჯერა“. ხოდა, ის მისი ამბავი არ იყო არც ქალ-სა და, რაღა თქმა უნდა, არც სიუვარულზე — ქალი, გოგო ჩრდილიდა იყო, ვისაც შეეძლო თოფის დატენა, მაგრამ სარკმლიდან გასროლის ნებას კი არ მისცემდა იმ ღამეს (ანუ იმ შვიდ თუ რვა ღამეს, როდესაც ისინი ჩამალუ-ლიყვნენ სიბნელეში და სარკმლიდან უთვალთვალედნენ ცეცხლმოდებულ ბელელს, საწყობსა და სხვა ნაგებობებს, სადაც შეიძლებოდა შაქრის ლერწ-მის შენახვა. კვამლი განრთხმულიყო აბრდღვიალებულ მინდვრებზე; ასე უთქვამს, ვერც ველარაფერს იგრძნობდით, ყოველივე დაენთქა მძიმე და მოტკბო სუნს, თითქოსდა ზიზღსა და დაუნდობლობას, იდუმალებითა და ბნელით მოცული წლების მანძილზე ნაშობ ამ ზიზღსა და დაუნდობლობას ათასჯერ უფრო გაძლიერებინა დამწვარი შაქრის სუნი; ბაბუას უთქვამს, მეც ის გამახსენდა, სატპენი ყოველთვის უარს რომ ამბობდაო შაქრიან ყა-ვაზე და ახლავს მივხვდი, თუ რატომო, მაგრამ რომ დარწმუნებულიყო, ჰკითხა და სატპენმა უთხრა, მო, მართალიაო; ისიც ამცნო, არ შევშინებულ-ვარო, ვიდრე მინდვრები და ბელლები სულ არ გადაიბუგა და აღარც ახ-სოვდათ დამწვარი შაქრის სუნი, შაქარი კი დასანახავად შესწავრ-და მას შემდეგ)... აქ კი მეორედ გაიელვა იმ გოგომ მის მონათბრობში ერ-თადერთი სიტუვის შეშვეობით; ასეც უთქვამს ბაბუას, თითქოსდა კიდევ ერთ გასროლას გადაენათებინა წამით დახრილი თავი, ლოყები, ნიკაპი ჩამოშ-ლილი თმის ტევრში და ზუმბმომარჯვებული თეთრი, წვრილი მკლავი და ნაწი ხელი, ეს იყო და ეს. მეტი აღარაფერი უთქვამს ამის შესახებ. მოკლედ მოუთხრო, თუ როგორ წამოსულა იმ მინდვრიდან, სადაც ზედამხედველობა ევალებოდა მას, როდესაც ზანგები მისცვივდნენ და კინაღამ არ აჩეხეს მა-ჩეტებით, როგორ შესულა ალყაშემორტყმულ სახლში, ისიც, თუ როგორ მოხვდა ვირჩინიდან, იმ გამომპალი ქოხმახიდან ამ მიდვრების ზედამხედ-ველად; და ეს ამბავი, უთქვამს ბაბუას, უფრო წარმოუდგენელი იყო მისთ-ვის, ვიდრე ვირჩინიდან გამომგზავრება, რადგან ამას გარკვეული დრო სჭირდებოდა. სივრცის გასასვლელად კი რაღაც დროა აუცილებელი და საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ უფრო დიდი ყოფილა დრო, ვიდრე ყველა-ნაირი მანძილი; მაშინ როცა წამის უმაღლესად გამოქცეულა მინდვრიდან და



აღუაშემორტყმულ სახლში შევარდნილა, არად ჩაუგდია დრო და სივრცე — მისი მონათხრობისდარადვე მოკლე ყოფილა ეს მანძილი, თითქმისდა შეკუმ-  
შულიყო დრო და გამხდარიყო საზომი ამ სიჩქარისა, თითქმის სასამართლო  
ქრონიკის კვალობაზე შექმნილ ანეგდოტს მოუთხრობდა მშვიდად და აუ-  
ღელვებლად; ცხადი იყო, უამბობდა იმას, რაც დამახსოვრებული ჯარდასუ-  
ლი ამბები სულაც არ აშფოთებდა და არც გაოცებდა, რა გა-  
დამიტანიო, და შიშიც (მხოლოდ ერთხელ უხსენებია შიში და მაშინაც ის  
დრო ამცნო თავის საუბარში, როდესაც შიში რა იყო, არ იცოდა, ანუ ჭერ  
კიდევ არ განეცადა იგი) კი ვერ დაურღვევდა ამ სიმშვიდეს; მაშინდა ნახა  
შიში, როცა ის ამბავი დამთავრდაო, ბაბუას ასე უთქვამს, რადგან ეს ყვე-  
ლაფერი მისთვის მხოლოდ წარმოდგენა, მხოლოდ სასიერო რამ სანახავი  
იყო, რომელიც უთუოდ უნდა ნახოს, თორემ მეორედ იქნება არც კი ჰქონ-  
დეს ასეთი შემთხვევა, საქმე ის იყო, რომ ჭერ კიდევ ვერ დაეგდო თავისი  
გულუბრყვილობა, და არა მართო არ იცოდა, თუ რა იყო შიში, ვიდრე სუყ-  
ველაფერი არ გათავდა, არამედ არც ის სცოდნია, რომ თავიდან არც შეში-  
ნებულა; იმასაც ვერ მიმხვდარა, რომ იმ ადგილას მოხვდა, სადაც თუკი იქ-  
ნებოდა გაბედული და ფხიანი, ფულს მალე იშოვიდა (ფხიანის მნიშვნელო-  
ბა არ უნდა სცოდნოდა, უთქვამს ბაბუას, რადგან ეს სიტყვა არ უნდა ყო-  
ფილიყო სრულად ახსნილი იმ წიგნში, მასწავლებელი რომ უკითხავდა. ანუ,  
იქნებ ეს სიტყვა და ვაუკაცობა მისთვის ერთი და იგივე იყო, ესეც დასძინა  
ბაბუამ), მაგრამ სადაც ფულს თან სდევს დიდი სიკვდილიანობა, სადაც დო-  
ლარები ოქროს კი არა, სისხლისფერია, იმ მიწის ნაგლეჯზე-მეთქი, რომე-  
ლიც შესაძლოა იმითომ შეუქმნია და დაუარსებია ზეცას, ასე უთქვამს ბა-  
ბუას, რათა მის სცენაზე წარმოეჩინა მძვინვარება, უკანონობა, სისხლისღვრა,  
სატანისეული ვნებათა ღელვა, სიხარბე და სისასტიკე, სადაც სასოწარკვე-  
თილებით მოცული გლაზაკნი და განკიცხულნი საბოლოოდ შეჭიდებიან  
თავიანთ ბედისწერას — იმ პატარა კუნძულზე ტალღებმოლივლივ, ვერაფ,  
გასაოცარი სიღურჯის ზღვაში, რომელიც შუა გზაზეა იმას შორის, რასაც  
ჩვენ ვეძახით ჯუნგლებს, და იმას შორის, რასაც ჩვენ ვეძახით ცივილიზა-  
ციას, შუა გზაზე ბნელსა და შეუცნობელ კონტინენტისაკენ, რომელსაც ძა-  
ლით წაგვარეს მისი შავი სისხლი და ხორცი, ფიქრი, მეხსიერება, იმედები და  
სურვილები, და იმ ცივი, ცნობილი ქვეყნის შორის, საბედისწერო რომ შე-  
იქნა წაგვრილთათვის; ცივილიზებულმა ქვეყანამ და ხალხმა მოიკვეთა ნა-  
წილი თავისი სისხლისა და ხორცის, ფიქრებისა, სურვილებისა, ველარ აიტა-  
ნა, უხეშად მოიცოდა ისინი და გადაადგო უთავშესაფრონი და უსასოონი  
უკაცრიელ ოკეანეში — პატარა გადაკარგულ კუნძულზე, რომელიც იმ  
სიგრძელზე მდებარეობდა, სადაც ცხოვრება შეეძლოთ მხოლოდ იმათ ნაში-  
ერთ, ვინც ათი ათასი წელიწადი ეკვატორზე სახლობდა; ეს იყო ის მიწა,  
რომელსაც ორი საუკუნე აპოხიერებდა შავი სისხლი მონობისა და მიმძ-  
ლავრების შედეგად იჩეჭილა მშვიდობიანმა, ხასხასა მინდვრებმა,  
იხარა აღისფერმა ყვავილმა, სადაც შაქრის ღერწამი სულ მალე ისეთი სი-  
მალლისა გახდა, რომ სამჯერ სჭარბობდა კაცის სიმალლეს, და მისი ერთი  
ფუნტი, თუმცა უფრო დიდი მოცულობის, ფასით თითქმის უტოლდებოდა  
ერთ ფუნტ ვერცხლის მადანს, თითქმის თავად ბუნებას, ადამიანიშვილი რომ ვერ  
შესძლებდა, ისე აღენუსხა დავთარში დასახიჩრებული სხეულებისა და  
დაწულულებული გულების რიცხვი და საზღაური შეეთავაზებინა ამ დანაკ-



ლისისათვის; ბუნებისა და კაცის ნათესი არა მარტო მორწყული იყო ამოდ  
დაღვრილი ზღვა სისხლით, იგი მოეცვა იმ ქარებსაც, რომლებსაც განწერული  
გემები გამოქცეოდნენ და რომლებმაც ლურჯ ოკეანეს შთანთქმევინეს  
იალქნის უკანასკნელი ნაგლეჯი და წამის უმაღლესად ჩაჩუმეს ქაღის / თუ  
ბავშვის გულშემზარავი უვირილი; კაცთა ნათესიც ასევე — ~~მეორე მხრიდან~~ მე-  
ორე მხრიდან სხეული და გონება მათი, რომელთა ოდიტგანწყობა და მისწრაფება  
სისხლს მოერწყათ ის მიწა, რაზედაც ფეხი დაუდგამთ, დღემდე ღმერთს შუ-  
რისძიებას შეღადადებს. ხოდა, იგი ზედამხედველობდა კარგად და მშვიდო-  
ბიანად ცხენზე ამხედრებული და ამ დროს ენასაც სწავლობდა (ამ წვრილი  
და ნაზი ძაფის დაუფლებას ცდილობდა, ასე უთქვამს ბაბუას, რომლის მეშ-  
ვეობით წამით შეერთდებიან კუთხე-კიდები ადამიანთა მარტოსულობისა  
და მერე ისევ დაიძირებიან იმ სიბნელეში, სადაც პირველად აღმოხდა სულს  
უხმო უვირილი და სადაც ასევე უკანასკნელად გაისმება უხმო უვირილი,  
რომელსაც ვერავინ გაიგებს) და არც კი იცოდა, ვულკანზე რომ იმყოფებო-  
და; დოლისცემასა და სიმღერას აეთრთოლებინა და გაემსჭვალა ღამლამობით  
ჭაერი და მან არც კი იცოდა, რომ გულისცემა ესმოდა მიწისა, რადგან  
სჭეროდა (უთქვამს ბაბუას), მიწა კეთილია და მოკრძალებული და სიბნე-  
ლეში მხოლოდ ისაა დამალული, რაც შეიძლება დაინახო ან არ დაინახო;  
ხოდა, უმჯერდა იმას, რაც ჩანდა მის თვალსაწიერში და არც კი იცოდა, რომ  
ვერაფერს ვერ ხედავდა თურმე; უოველდღე გამოდიოდა იმ ციხესიმაგრეიდან,  
ვიდრე ის დღე არ დადგა. და არც მოუყოლია, თუ რა მოხდა, რამ მიიყვა-  
ნათ იმ დღემდე, ასე უთქვამს ბაბუასაც, როგორც ჩანს, მან არ იცოდა, არ  
ესმოდა, თუ რას ხედავდა უოველდღე — ეს იყო შემპალხორციანი ღორის  
ძვალი, ორიოდე ბუმბული ქათმის, ლაქებიანი, ჭუჭყიანი ნაჭრის  
ფუთა, კენჭებით სავსე, მოხუც კაცს რომ უპოვია თავის ბალიშზე ერთ დილას  
და არვინ იცოდა (ამ ბალიშზე რომ ეძინა, ის პლანტატორიც ვერაფერს მიმხ-  
ვდარა), თუ საიდან გაჩნდა ის, რადგან მაშინვე გაუგიათ, ყველა მულატი  
მსახური გამქრალიყო, მას კი ვერაფერი გაეგო მაინც, ვიდრე პლანტატორმა  
არ უთხრა, ჭუჭყი და ქონი კი არა, სისხლი არისო ამ ნაჭრის ნაგლეჯზე, ვერც  
ის გაიგო, რომ პლანტატორს გული კი არ მოსვლია, შიშისზარს აუტანია:  
ცნობისწადილმა მოიცვა ამ ამბის შემხედვარე, რადგან პლანტატორი და მი-  
სი ქალიშვილი აქამდეც უცხოელები იყვნენ მის თვალში. ასე უთქვამს ბა-  
ბუასთვის, ვიდრე ალყაში მოქცევის ის პირველი ღამე არ დადგა. ერთხელაც  
არ მოსვლია აზრად, რომ იმ გოგოს სახელი არ იცოდა და არც გაუგონია,  
რას ეძახდნენ მას. ისიც უთქვამს ბაბუასთვის, გადაუკრავს თავის მონათხ-  
რობში, ასე შეგიძლიათ სულ ახალი კარტიდან ჭოკერი ამოიღოთ და მერე  
არც კი გახსოვდეთ, გქონდათ თუ არა ამოდებული ჭოკერი; იმ ბერიკაცის  
ცოლი ესპანელი იყო, და მაშინ სატპენი კი არა, ბაბუა მიხვდა, თავდასხმის  
იმ პირველ ღამემდე მხოლოდ ათიოდეჯერ თუ ეყოლებოდა ნანახი ის გოგო.  
ერთ-ერთი მულატის გვამი ბოლოს და ბოლოს კი უპოვნიათ, სატპენს უპოვ-  
ნია, ორი დღე ეძებდა და არც კი იცოდა, რომ შავი და იდუმალი სახეების  
შეუვალ კედელს აწყდებოდა, კედელს-მეთქი, რომლის მიღმა, ვინ იცის, რა  
ხდებოდა, და მოგვიანებით დარწმუნდა კიდევაც, ასე იყო სწორედ; მესამე  
დღეს იპოვა გვამი იმ ადგილას, სადაც პირველივე დღის პირველსავე წუთს  
შეუძლებელი იყო არ შეენიშნა, იქ რომ უოფილიყო, თავის ამბავს რომ ყვე-  
ბოდა, მთელი ეს ხანი მორზე იჯდაო, ასე უთქვამს ბაბუას, ლაპარაკობდა და



მონათბრობს უესტიკულაციას ატანდა, ბაბუას კი თავისი თვალთ ჰქონდა ნანახი, თუ როგორ შესჭიდებოდა ეს კაცი, წელამდე შიშველი, ამ თავის ველურ ზანგებს კოცონის შუქზე, ეს მაშინ იყო, როდესაც მისი სახლი შენდებოდა და მერვეც, ცოლი რომ მოიყვანა, ვინც მისი ჩანაფიქრის განხორციელების ხანს გვერდში ამოუდგებოდა, ოღონდ ამჯერად სხვაგვარადაა — მართადა ორთაბრძოლას ფარნის სინათლეზე, ხელის ჩამოურთმევებზე — ეს მისი ცუდების გარეშე, ჩამოირეცხდა სისხლს, ტანთ გადაიცვამდა, როცა ზანგი გულალმა წაიქცეოდა ხვნეშა-ხვნეშით, ხოლო მეორე კი წყალს გადასხამდა მას, ხოდა, იქდა ახლა ეს კაცი მორზე და მოუთხოვდა ბაბუას, თუ როგორ იპოვა ბოლოს და ბოლოს მულატი, ანუ ის, რაც დარჩენილიყო მისგან, და უკვე ხვდებოდა. კარგად არ ჩაივლია ეს ამბავი; მერე კი აღუაშემორტყმული სახლი, და ხუთნი — პლანტატორი, მისი ასული, ორი მოსამსახურე ქალი და თავად, შიგ გამოკეტილები, გარშემო კვამლის ბოლქვები დგას და დამწვარი შაქრის ლერწმის სუნი ტრიალებს. ცეცხლის ენები ცას სწვდება, დოლის-ცემა და სიმღერები მოისმის — პატარა გადაპარგული კუნძული და მის ზემოთ გადმოპირქვავებული ცარიელი თასი ერთი მეორის მიყოლებული დღეებისა და ღამეების, სადაც არც არსაიდან მოვა ხსნა, სადაც ქარიც ვერ შემოაღწევს გარესამყაროდან და მხოლოდ კაეშნის მომგვრელი პასაჟები დაშტიალობენ ირგვლივ. მოკლულ ქალთა და ბავშვთა საწყალობელი ხმების ექოთი მოცულნი, მათი უთავშესაფრო და უსულო სულები დაფრინავენ უკიდევანო და უკაცრიელი ოკეანის თავზე; ხოდა, ახლა ორი მსახური და ერთი ქალიშვილი, რომლის ქრისტიანული სახელი მან ჯერ კიდევ არ იცის, სტენიან თოფებს, და ის და იმ გოგოს მამა ესვრიან მტერს კი არა, თავად შაიტისეულ ღამეს ცხრილავენ ამ პაწაწინა, ამო და უღონო ნაპერწკლებით, სულის შემხუთველ, სისხლდანთხეულ და თრთოლამოკიდებულ სიბნელეს, და ყველაფერი ეს ხდება სწორედ იმ დროს, როდესაც ქარიშხლები მოთავებულა და წვიმები ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ისიც მოეთხოვ იმას, მერვე ღამეს წყალი გათავებიათ და რაღაც უნდა ეღონათ, ხოდა, თოფი დაბლა დაუდვია, გახულა გარეთ და დაუწუნარებია ისინი. სწორედ ასე უთქვამს, გავედი და დავაწუნარეო ისინი, დაბრუნებულა უკან და ის გოგო დაუნიშნავს. ბაბუას უთქვამს, დაიცათ, დაიცათო, ასე უნდოდა ეთქვა აღბათ: „მაგრამ თქვენ ხომ ჯერ კიდევ არ იცნობდით იმ გოგოს; აქი მითხარით, აღუა რომ დაიწყო, არც კი ვიცოდით მისი სახელი“, გამოხედა იმან ბაბუას და უთხრა, დიახ, მაგრამ როგორ გგონიათ, იმწუთას ხომ არ მოვჭობინდებოდით მე. მეტი აღარაფერი უთქვამს ამ ამბავზე, ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო მისთვის ეს თავგადასავალი; თოფი დაბლა დაუდვია, ვილაცას კარი გააღებინა, მერე, გავიდა თუ არა, დააკეტინა, შეაბიჯა სიბნელეში და დააწუნარა ისინი, შესაძლოა იმით, რომ უფრო ხმამაღლა იყვირა, შესაძლოა უფრო მედგარად დამდგარა, ვინემ ადამიანის სისხლსა და ხორცს შეუძლია გაუძლოს ან უნდა გაუძლოს (დიახ, უნდა გაუძლოს-მეთქი და კიდევ კარგი, ისეთი ვინმე აღმოჩნდა, რომ გაუძლო იმდენს, რამდენსაც ვერავის სისხლსა და ხორცს ვერ მოთხოვდი); დაბოლოს იქნებ თავად თავზარდაცემულნი მიტრიალდნენ და გაექცნენ იმ თეთრ ფეხებსა და ხელებს, რომელთაც მათ მსგავსადვე შეიძლებოდა დაედვარა სისხლი, მაგრამ განგებას მისთვის მოუდრეკელი სული მიემადლებინა, და შეიძლება ისიც მათსავით იმ პირველყოფილი ცეცხლიდან იყო გამოსული, თუმცა არა, არასგზით არ შეიძლებოდა ყოფილიყო იქიდან



გამოსული, ბევრი ნაპრილობევი უჩვენებია ბაბუასთვის, იმათაგან ერთს, ასე უთქვამს ბაბუას, შეიძლებაოდა ის კაცი მთელი სიცოცხლე ქალის უცოდნელი დაეტოვებინა სულაც. მერე კი ირიფრაუა და პირველად შეჩერდა დოლისცემა ამ რვა დღის მანძილზე, და ისინი გამოვიდნენ (ალბათ ის მოხუცი და მისი ქალიშვილიც), გადაიარეს გადამწვარი მიწა, თითქოსდა არც არაფერი მომხდარიყო, ისე დანათოდა მზე ამ არემიდამოს, გადავლეს უთქმელი და შემწარავი სიცარიელე, მშვიდობიანი მდუმარებით მოცული, იპოვნეს დაქრილი, სახლში წამოიყვანეს და როცა მომჯობინდა, ის და გოგო დაიწინდნენ. აქ კი გაწყვიტა თურმე.

— კარგი, — უთხრა შრივმა, — განაგრძე.

— ხომ გეუბნები, აქ გაწყვიტა-მეთქი, — მიუგო კვინტინმა.

— მესმის მე, რა გაწყვიტა? დაიწინდა და მერე გაწყვიტა. თუმცაღა ჰყავდა ცოლი, მერე რომ გაუშვა? შენ ამბობდი, მას არც ახსოვდაო ჰაიტიზე ჩასვლა, არც ის ახსოვდა, თუ როგორ მივიდა ზანგებით აღუაშემორტყმულ ამ სახლში. ხოდა, ახლა კი გინდა მითხრა, არც ის ახსოვდა, როგორ იქორწინაო? დაიწინდა ჯერ და მერე გაწყვიტა. ერთ დღეს კი დაინახა, რომ კი არ გაწყვიტა, პირიქით, ჯვარი დაიწერა კიდევაც? ამას ეძახი ქალის უცოდნელობას იმ კაცისას?

— გაწყვიტა-მეთქი, თხრობა გაწყვიტა-მეთქი, — თქვა კვინტინმა. გაუნძრევლად იჯდა. თითქოსდა მიმართავდა (თუკი საერთოდ მიმართავდა რასმე) მის ხელებს შუა გახსნილ წიგნზე მოთავსებულ წერილს, მის პირდაპირ მჯდომარე შრივმა ჩიბუხი დატენა და კვლავ გააბოლა. გადმოპირქვავებული დაეკავებინა. ისევ და მოთეთრო ფერფლი ცვიოდა ჩიბუხის თავიდან მაგიდაზე, სადაც იგი იჯდა შიშველხელებგადაჯვარედინებული, თითქოსდა უნდოდა მაგიდას დაურდნობოდა და გამთბარიყო კიდევაც, თუმცა ჯერ კიდევ თერთმეტი საათი იყო მხოლოდ, ოთახი უკვე ცივდებოდა და შუალამისთვის რადიატორებში ემდენი სითბო დარჩებოდა, რომ მიღები არ გაუინულიყო. ის კი (ღია სარკმლის წინ მდგომი აღარ გააკეთებს ამალამ სუნთქვით ვარჯიშებს) საწოლ ოთახში უნდა შესულიყო. საიდანაც დაბრუნდებოდა ჯერ საბანაო ხალათგადაცმული, მერე კი მის ზემოდან პალტოს მოისხამდა და კვინტინის პალტოს წამოღებაც არ დაავიწყდებოდა. — ესღა უთქვამს იმ კაცს, დავიწინდეო, — განაგრძო კვინტინმა, — და მეტი არც რა, თხრობა გაუწყვეტია. თხრობა გაუწყვეტია, უთქვამს ბაბუას, თითქოსდა აღარაფერი ჰქონდა სათქმელი, ერთი კაცი მეორეს სხვა უფრო ღირსშესანიშნავს ვედარაფერს ეტყოდა. ღამით, ერთი ბოთლი ვისკის დაღვეის ხანს, იქნებ სწორედ ასე იყო ეს ამბავი. — თავდახრილი იჯდა იგი (კვინტინი). საოცარი ხმით ლაპარაკობდა, თითქოსდა ცოტაოდენი ბრაზიც გამოსჭვიოდა მის საუბარში და ამიტომ იყო, რომ შრივი იმთავითვე დიდი გულისყურითა და ცნობისმოყვარეობით უგდებდა ყურს. განათლებული ქერუბიმის ამ გამომეტყველებას აძლიერებდა ან იქნებ ქმნიდა მისი სათვალე. — სატპენი წამოდგა, დახედა ვისკის ბოთლს და თქვა: „ამალამ კმარა. უნდა დაეიძინოთ; ხვალ დილით ადრე უნდა ავდგეთ. იქნებ მანამ დავიჭიროთ ის კაცი, ვიდრე გამოფხიზლდებოდეს“.

მაგრამ ვერ შეძლეს. მხოლოდ საღამოს პირზე დაიჭირეს იგი — ის არქიტექტორი-მეთქი — ფეხი დაშავებოდა, როდესაც თავისი არქიტექტურა მოიშველია და მდინარეზე გადასვლას შეეცადა. მაგრამ ამჯერად შეცდომა



მოსვლია გამოთვლაში და ძაღლებსა და ზანგებს ვერ გაქცევია, ღრიალითა და ყიჟინით გამოუთრევიათ იგი ზანგებს, ბაბუამ თქვა, ზანგებს უფიქრიათ, რაკილა გაქცევა ისურვა, ნებაყოფლობით უარყო სიცოცხლე და აღარ გვე-  
კრძალებათ მისი ხორცი;“ ნებაყოფლობით შემოთავაზა ზანგებს ამ თავისი  
გაქცევით ჰამბიტო, ხოდა, რაკი ამათ თამაში მოიგეს, უნდა, მიეცათ კიდევაც  
ამ კაცის შეწვისა და შეჭმის ნებართვა, და სუუველანთი გამარჯვებულნიც და  
დამარცხებულნიც, ერთნაირად, წყენის გარეშე შეხვედროდნენ ამ ამბავს. გუ-  
შინ შინ დაბრუნებული დევნის მონაწილენი სუუველანი მოსულიყვნენ აქ  
გარდა სამისა, მალე გამოჩნდნენ ისინიც, სხვებიც წამოეყვანათ სეირის სა-  
უურებლად. ასე რომ ახლა უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე მაშინ, როცა დაე-  
დევნენო, უთქვამს ბაბუას, ხოდა, გამოათრიეს ის კაცი მდინარის პირას მდე-  
ბარე მღვიმიდან — ჩია ტანის დევნილს ერთი სახელო მოგლეჯოდა ფრაკზე,  
მდინარეში ჩავარდნისას მისი უვავილებით დაქარგული ეილეთი მთლად გა-  
ეფუჭებინა ტალახსა და წყალს, შარვლის ერთი ტოტი გახეოდა და დაუნახიათ,  
პერანგის ნაგლეჯით ჰქონდა შეხვეული ქრილობა, სისხლით იყო მოსვრი-  
ლი ეს ნაჭერი და ფეხი შეშუპებოდა, შლაპა კი დაკარგოდა საბოლოოდ. ვე-  
ლარც უპოვიათ და ბაბუას მისთვის ახალი შლაპა უჩუქებია გამგზავრების  
დღეს, როდესაც სახლის მშენებლობა დაუმთავრებიათ. ბაბუას სამსახურში  
მომხდარა ეს ამბავი, არქიტექტორს გამოურთმევია ის ახალი შლაპა, დაუ-  
ხედავს ერთი და ცრემლები წასკდომია... ხოდა, ქანცი გაწუვეტოდა მაშინ  
ამ ჩია ტანის სახეშეშლილ, ორი დღის წვერგაუპარსავ კაცუნას; ფეხში იყო  
დაჭრილი და მაინც, მღვიმიდან გამოუვანის ხანს, გარეული კატასავით იბრ-  
ძოდა. მეძებრები უეფდნენ, ზანგებმა კიჟინა დასცეს და ღრიალებდნენ სი-  
ხარულით მოცულნი; რაკილა თორმეტ საათზე უფრო მეტხანს სდევდნენ ამ  
კაცს. ცხადია, თამაშის წესები ავტომატურად ჩენებოდა უარყოფილი და  
შეწვას აღარც დაელოდებოდნენ, მაშინვე გახდლვნიდნენ, მაგრამ სატპენმა  
ფონი ნახა, მდინარეზე გადავიდა, ჯოხით დაიფრინა ძაღლები და ზანგები, ის  
არქიტექტორი კი იდგა იქვე, შეშინებული არ იყო, ქოშინებდა მხოლოდ და,  
ასე უთქვამს ბაბუას, მცირეოდნავ შეცვლოდა სახე ტკივილისაგან, რადგან  
ზანგებს ამ ორომტრიალში ნატკენ ფეხზე გაეკრათ მისთვის. ხოდა, მერე  
სიტყვა წარმოთქვა ფრანგულად, ქადაგად დაეცა, თანაც ისე აურიდა სიტყ-  
ვებს, უთქვამს ბაბუას, ფრანგიც ვერ გაუგებდომ ვერაფერს, თუმცა ღირს-  
შესანიშნავი სიტყვა კი იყო; ბაბუას უთქვამს, რომ მას და უველა იქ მყოფს  
შეეძლოთ ეთქვათ — პატიებას არ ითხოვდომ ის არქიტექტორი; მერე დას-  
ძინა, ხანამ სატპენი არქიტექტორს მიაშურებდა, ის (ბაბუა) უკვე მისულიყო  
მასთან საცობამოდებული ვისკიანი ბოთლით ხელში. და ბაბუას მის ქანც-  
გაწუვეტილ სახეზე თვალები დაუნახავს, სასოწარკვეთილნი და უიმედონი.  
მაგრამ დაუმორჩილებელნი და უდრეკნი, რადგან მაინც ვერ აჯობეს, ვერ  
მოთოკესო, უთქვამს ბაბუას, მიუხედავად იმისა, რომ ორ დღე-ღამეზე მეტი  
უხეტიალია სიბნელესა და ქანჭრობებში უძილოს, ღონემიხდილსა და მშიერს,  
იმის მცოდნეს, რომ წასახვლელი არსად ჰქონდა და ვერც დააღწევდა იქაუ-  
რობას თავს, მაგრამ გამარჯვების სურვილი იყო მისი მწე და მშველელი,  
არდამარცხების ნათელი უკვალავდა გზას; თავისი ჭუჭყიანი, ენოტის თათი-  
ვით პატარა ხელით ბოთლი გამოართვა, მეორე კი ზეაღმართა, უნდოდა შლა-

\* სატპენის ზანგები პატიდან იყვნენ. აქ კი XIX ს. პირველ ნახევარში კაციჰამობა ჩვეუ-  
ლებრივი ამბავი იყო.



პასთან მიეტანა და ერთხანს ეძებდა კიდევაც იმას თავზე, მაგრამ გაახსენდა, დავკარგეო, და ხელი ჩაიქნია, ბაბუამ თქვა, ამ უესტის აღწერა შეუძლებელიაო, თითქოსდა კაცთა მოდგმის მთელი უბედობანი და დამარცხებანი მოუწოდებინა და, ვითარცა მწიკვი მტვერისა, ზურგს უკან უსროლია. ბოთლი ასწია, პირველად ბაბუას დაუკრა თავი და მერე სხვებს, ცხენებზე მჯდომანს, წარმოადგინა რომ დაერთყათ მის გარშემო და დასცქეროდნენ, და არათუ პირველად მოსვა მან თავის ცხოვრებაში სუფთა ვისკის ყლუპი, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ იზამდა ამას იმ ინდოელი ბრამინის დარად, ვინც ვერასგზით ვერ იფიქრებდა, თუ ისე დამდაბლდებოდა, ძაღლის ხორცს შეჭამდა.

კვენტინი შეჩერდა. შრივმა უთხრა იმწუთას:

— კარგი, თავს ნულარ შეიწუხებ და ნულარ იტყვი, აქ გაწყვიტაო თხრობა. უბრალოდ განაგრძე. — მაგრამ კვენტინს იმწუთას არ გაუგრძელებია თხრობა — ურუ, გასაოცრად ჩუმი ხმა ჰქონდა თავდახრილს, სხეულ-მოშვებულს, გახევებული იქდა, სუნთქავდა მხოლოდ, ორივე გაუნძრევლად იყო, სუნთქავდნენ მხოლოდ, ორივე ერთსა და იმავე წელს დაბადებული, ერთი ალბერტაში, მეორე — მისიხიპს, ნახევარი კონტინენტი ჰყოფდა მათ აღგილსამყოფელს, მაგრამ რაღაც გეოგრაფიული გარდასახვების მეშვეობით დაკავშირებულნი აღმოჩნდნენ ერთმანეთთან საკონტინენტო მილით, ამ მდინარით, რომელიც მიედინება ფიზიკურ მიწაზე და რომელიც თავადაა გეოლოგიური ქიპი და არა მარტო ჰყვებას სანაპიროზე მცხოვრებთა სულიერ ცხოვრებას, არამედ თავად არის ირგვლივ მყოფი გარემო, რომლისთვისაც უცხოა სიგრძელისა და ტემპერატურის ყოველგვარი გრადუსები, თუმცა ამ არსებათაგან ზოგიერთს, შრივის მსგავსად, არც არასდროს უნახავს იგი — ხოდა, ეს ორნი, რომლებსაც ოთხი თვის წინათ არც კი მოუკრავთ ერთმანეთისთვის თვალი, ახლა ერთ ოთახში იძინებენ, ერთად სხდებიან საჭმელად, კითხულობენ ერთსა და იმავე წიგნებს და ემზადებიან პირველი კურსის სემინარებისათვის, ერთმანეთს უმზერენ ლამპით განათებულ მაგიდასთან მჯდომარენი, მაგიდაზე კი მოწყვლადი პანდორას უთი დევს — ერთი ნაქდაბნი ქალაქლის ფურცელი, გააფთრებული ავი სულებითა და ეშმებით რომ გაეცხო სტუდენტთა მყუდრო მონასტრული სამყოფელი, სიზმარეული და გამოცხვებული სენაკი, რისთვისაც ჩვენ ტკბილი ფიქრების საუფლო დაგვირქმევია. „თავს ნულარ შეიწუხებ-მეთქი, — უთხრა შრივმა, — მიდი, განაგრძე“.

— ოცდაათი წელიწადი დასჭირდა იმას, — თქვა კვენტინმა, — მხოლოდ ოცდაათი წლის მერე მოუთხრო სატპენმა ბაბუას დასასრული ამ ამბისა. იქნებ მოცლა აღარ ჰქონდა და იმიტომ, მთელი ეს ხანი სალაპარაკოდ არ ეცალა, რაკილა თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას ესწრაფოდა, მისი ერთადერთი გასართობი იმ ველურ ზანგებთან ჭიდაობა იყო საჭინიბოში, სადაც ხალხი ცხენებს აბამდა, უკანა მხრიდან მოსულნი, სახლიდან არ დაგვინახონო, ის კაცი უკვე ცოლიანი იყო, სახლის მშენებლობა დაემთავრებინა და კიდევაც მოესწროთ ქურდობისათვის მისი დაპატიმრებაც და გამოშვებაც, ასე რომ ყველაფერი მოგვარებულიყო იმხანად, ჰყავდა ცოლი და ორი ბავშვი, არა, სამი, მისი მიწა უკვე გასუფთავებული იყო და დათესილი, თესლი ბაბუას მიეცა მისთვის სესხად; ხოდა, კიდევაც მდიდრდებოდა ახლა...

— დიახ, — თქვა შრივმა, — მაგრამ ბ-ნ კოულდფილდთან იმას რა საქმე ჰქონდა?

— არ ვიცი, — მიუგო კვენტინმა, — ზუსტად არც არავინ იცის რამე.



ტვირთის მიღების დამადასტურებელ ქალაქში ამბობდნენ რაღაცას, იმ კაცს იმდენი მოუხერხებია, რომ ბ-ნ კოულდფილდს მისგან კრედიტი აუღია; ეს იმ საქმეთაგანი ყოფილა, თუ გამოვა, ხომ კარგი, არადა, გვერდით უნდა გამოიცვალო და ტეხასში გადაბარგდეს. მამამ თქვა, ალბათ იქნება იმ თავის პატარა დუქანში ბ-ნ კოულდფილდი და ზედავდა, მისი საქმეები მოდესდაც ერთ ფურგონზე რომ ეტეოდა, ყოველ ათ წელიწადში მოეცდებოდა, ყოველ შემთხვევაში არ მცირდებოდა; ყოველთვის ჰქონდა ასეთი შესაძლებლობა, მაგრამ სინდისი მისი (ვაუკაცობა აქ არაფერ შუაში იყო; მამამ თქვა, ვაუკაცობა არც არასდროს აკლდაო იმ კაცს) წინ აღდგომოდა მას. შოდა, მოვიდა სატპენი და ერთი საქმე შესთავაზა, ნადავლს ის და ბ-ნ კოულდფილდი გაიყოფდნენ, თუკი მოგვარდებოდა ეს საქმე, თუ არადა მთელ დანაშაულს თავის კისრად აიღებდა იგი (სატპენი). და ბ-ნ კოულდფილდიც დათანხმდა. მამამ თქვა, იმიტომ, რომ ბ-ნ კოულდფილდს არ სჭეროდა ამ საქმის წარმატებისა და არც შეურცხვენლად გადარჩენის იმედი ჰქონდაო. მაგრამ ველარ უარყვია, ვცადოთ, და მარცხი რომ მოგვივა, ის (ბ-ნ კოულდფილდი) მერე სულაც დაანებებს თავს ამაზე ფიქრს. ხოლო თუ ჩავარდებიან, მაშინ ბ-ნ კოულდფილდიც გაიზიარებს მის დანაშაულს იმ ცოდვილი ფიქრების მოსანანიებლად. მთელი ეს წლები რომ ვერ მოეცილებინა, ბ-ნ კოულდფილდს ვერ დაეჭერებინა შესაძლებლობა ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებისა, ხოდა, რომ დაინახა, კი შეიძლება ასე მოხდესო და მოხდა კიდევაც, ესლა ილონა, უარი თქვა თავის წილზე და შეზიზღდა კიდევაც თავისი სინდისი, სატპენი კი არა, თავისი სინდისი და მისი სინდისის შემქმნელი ის მიწა და ის ქვეყანა, რომლებმაც შვეს ყველა პირობა ფულის მოხვეჭისა, მის სინდისს კი სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, უარი ეთქვა ამ ფულზე: ისე ძლიერ შეზიზღოდა ეს ქვეყანა, რომ გაიხარა კიდევაც, როცა იხილა, სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა იგი დამანგრეველ საბედისწერო ომს; იანკების ჯარსაც კი შეუერთდებოდაო, თქვა მამამ, მაგრამ ჯარისკაცობას ვერ შეძლებდა და იცოდა, მოკლავდნენ ან სულაც გაჭირვება მოუღებდა ბოლოს და ველარ მოესწრებოდა იმ დღეს, როდესაც სამხრეთი მიხედებოდა, ახლა კი უნდა ზღოს იმისათვის, რომ თავისი ეკონომიკური შენობა ააგო მკაცრი მორალის საღ კლდეზე კი არა, ყაჩაღური, მტრული მორალის ფხვიერ ქვიშაზე. ხოდა, ესლა მოიფიქრა თავისი შეუგუებლობის გამოსამქლავნებლად იმ ხალხის მიმართ, ვინც ომს გადაურჩება და შეაწუხებს სინდისის ქენჯნა...

— რა თქმა უნდა, — თქვა ზრივმა, — ძალიანაც კარგი. მაგრამ სატპენი. მისი სურვილი. აბა განაგრძე.

— დიახ, — თქვა კვენტინმა, — მისი სურვილი სულ უფრო და უფრო მეტი გამდიდრებისა. მშვენიერი და ნათელი მომავლის იმედი ჰქონდა; სახლის მშენებლობა დაამთავრა, რომელიც უფრო დიდი და ქათქათა იყო, ვიდრე ის, რომლის სადარბაზოს კარწინ მაიმუნივით გამოწყობილმა ჯანგმა უკან გაისტუმრა იმ დღეს. ახლა საკუთარი ჯანგები ყავდა, ასეთები არც მყოლია იმ უფესაცმლო, მამაკში ჩაგორებულ კაცს, თავადაც შეეძლო ერთი ჯანგთაგანი კართან გაეგზავნა, როდესაც ვილაც ფეხშიშველ, მამის გადაკეთებულ შარვლიან ბიჭუნას მოუხდებოდა მის კარზე დაკაკუნება. მაგრამ მამამ ესლა თქვა, სხვა რამის გულისთვის იყო მოსული ის კაცი ბაბუასთან სამსახურში; როგორც იმ დამეს, არქიტექტორს რომ დასდევდნენ მდინარის-



პირა ქალებში ამ ოცდაათი წლის წინათ, არც ახლა აპირებდა თავის მართ-  
ლებას. ამგერად უნდოდა აეხსნა, სულითა და გულით უნდოდა აეხსნა, რად-  
გან უკვე მოხუცდა და იცოდა, რომ სიბერე უნდა დაემარცხებინა ამ თავი-  
სი მონათხრობით, სიცოცხლის დღენი უკვე დამოკლებოდა და ამისდა კმა-  
ლად გაცუდებულყო, ნამდვილად გაცუდებულყო მისი იმედები მიუხედა-  
ვად იმისა, რომ ისევე ენდობოდა თავის ჯანსა და ღონეს, როგორც თავის ნე-  
ბისყოფასა და სიმამაცეს; ასე უთქვამს ბაბუასთვის, მთავარი არც არის წარმ-  
დგომი ბიჭი-სიმბოლო იყო, გაცუდებული და სასოწარკვეთილი ბავშვის წარ-  
მოსახვით შეთხზული ეს ბიჭი-სიმბოლო. ხოდა, ახლა თავისთან წაიყვანს იმ  
ბიჭს და არც არასდროს მოუხდება იმას თეთრი კარისწინ დგომა და დაკა-  
კუნება; წაიყვანს არა იმიტომ, რომ თავშესაფარი მისცეს, არამედ ყოველმა  
ბიჭმა, ყოველმა უსახელო უცნობმა უნდა შეძლოს კარი გაიხუროს და ასე  
შემოიზღუდოს თავი და აღარ იხილოს ის, რაც ოდესმე სცოდნია ამ კაცს  
და მხოლოდ მომავლის ნათელი უნდა კიაფობდეს მის წინაშე, სადაც მისი  
ყოველი შთამომავალი, ვისაც არც კი ექნება გაგონილი მისი (ამ ბიჭის) სახე-  
ლი, მოუთმენლად მოელის თავისი გაჩენის დღეს და არც კი უნდა იცოდეს,  
რომ ერთხელ და სამუდამოდ დააღწია თავი უვიცობის ხვანჯერს (სატპენის)  
ბავშვების დარად...

— და შენ კიდევ მეტყვი, რა ჩემი ბერიკაცით ლაპარაკობო, — უთხ-  
რა შრივმა, — მაგრამ განაგრძე. სატპენის ბავშვებით. განაგრძე-მეთქი.

— დიახ, — თქვა კვენტინმა, — ის ორი ბავშვი, — და ასე გაიფიქრა  
დიახ. იქნებ ჩვენ ორივე მამაჩემივით ვართ. იქნებ ერთგზის არც არასდროს  
მოხდება რამე და ამით არ გათავდება ყველაფერი. იქნებ ერთგზის არც შე-  
იძლება მოხდეს რამე, არამედ მრავალგზის. იმ წრეების დარად. წყალში გა-  
დაგდებული კენჭი რომ წარმოშობს, გაიშლება ეს წრეები, გაფართოვდება;  
ერთი ტბორი ხომ სხვა ტბორთან არის შეერთებული წყლის წვრილი ქიბ-  
ლარით; ხოდა, ასე ჰკვებავენ და ჰკვებავენ სულმუდამ ერთი მეორეს, თუნ-  
დაც იმ ტბორს წყლის განსხვავებული ტემპერატურა ჰქონდეს, იყოს სხვა-  
ნაირი მოლეკულური შემადგენლობისა, სხვანაირი გრძნობა, ნებსიერება  
ჰქონდეს და კიდევაც სხვანაირად ირეკლავდეს მარადიულ ზეცას, და მაინც  
წყალში გადაგდებული კენჭის ექო, იმ კენჭისა, რომელიც იმ მეორე ტბო-  
რის ზედაპირს არც კი შეხებია; ოდითგანვე წარმოშობს ზედ ამ წრეებს  
წარუვალა რიტმებით ასე გაიფიქრა დიახ, მამაჩემივით ვართ ჩვენ ორივე  
ან იქნებ მამა და მე ორივე შრივი ვართ და იქნებ მამა და ორივე შეგქმნით  
შრივს, ან შრივს და მე შეგვიძლია მამის შექმნა, ან ტომას სატპენისა, რათა  
ვიყოთ ჩვენ ყველანი.

დიახ, ის ორი ბავშვი, ვაჟი და ქალი, სქესითაც და ასაკითაც ისე იდეა-  
ლურად იყო შესაფერისი მისი ჩანაფიქრისა, თითქოსდა იმთავითვე ესეც  
განჭვრიტა, ხოლო მისი შვილების სულიერი და ფიზიკური თვისებები ისევე  
იდეალურად იყო მისი შესაფერისი, თითქოსდა ნახა ისინი სერაფიმებისა და  
ქერუბიმების ციურ კრებულში, და აარჩია, როგორც ის თავისი ოცი ჯან-  
გი აარჩია, როდესაც პირველი ცოლი და ბავშვი უარყო, რაკილა დარწმუნდა,  
სურვილის შესასრულებლად ისინი მე გვერდში ვერ ამომიდგებიანო. ბაბუას  
უთქვამს, სინდისი აქ არაფერ შუაში იყო, იმ შუადღით, ოცდაათი წლის  
მერე მის სამსახურში მჭდომარე სატპენი ეუბნებოდა მას, რომ პირველად კი  
შეაწუხა თურმე სინდისმა, მაგრამ მშვიდად და ლოგიკურად დაუჭერებია თა-



ვი, ვიდრე არ ჩაუჩუმებია ის თავისი სინდისის ხმა, სწორედ ასევე დაუწყნარებია სინდისი (დიდი ხანი არ მოუწოდებია მის დაწყნარებას, რადგან დრო აღარ რჩებოდა) მაშინაც, როდესაც მან და ბ-ნმა კოულდფილდმა ჩვერთის მიღების ეს დამადასტურებელი ქაღალდი შეადგინეს; ხოდა, კიდევაც დამში მოუყვანია საქმე; კი, გარკვეულწილად უსამართლობა არიყვეს დასტოვებდა გულში და რაც ძალი და ღონე მქონდა ცდილობდა პირდაპირად მისი მტრისა უოფილიყო ამ საქმეში; შეეძლო სულაც მიეტოვებინა ის ქალი, ქუდი დაეხურა და წამოსულიყო, მაგრამ არა, ასე არ გაუკეთებია; მას შეეძლო, ამას ბაბუაც აღიარებდა უთუოდ, მოეთხოვა მთელი ის მამული, რომელიც მან გადაარჩინა იმ თეტრებთან ერთად, იქ რომ იმყოფებოდნენ, და თუ მთელი მამული არა, მისი ნაწილი მაინც უნდა დარჩენოდა, საქორწინო მოწმობაში კიდევაც იყო გათვალისწინებული ეს გარემოება, ამ მოწმობის შევსების ხანს თავისი წარმოშობა, თავისი სიღარიბე არ დაუმალავს, მეორე მხარეს კი პირიქით, არა მარტო დაუმალავს, უფრო მეტიც, სულაც მისი მოტყუება მოუწოდებია, ისე უხეშად უნდა მოეტყუებინათ, რომ ეს კაცი ვერც კი მიმხვდარიყო რამეს და არა მარტო გაეცამტვერებინათ მისი დიდი სურვილი და მიზანი, ყოველი მისი გარდასული ხანის ტანჯვა-ვაება, გაჭირვება დაცინვის საგანი გაეხადათ და, ასევე ისიც, რაც კი მომავალში გადახდებოდა მას ამ თავისი სურვილის გამო; მაგრამ თავისი ნებით უთქვამს უარი, არ მოუთხოვია არავითარი წილი, მხოლოდ ის ოცი ზანგი წამოუყვანია იმ თავისი წილიდან, სხვა მის ადგილას უთუოდ მოითხოვდა (ერთ ამბავსაც ატეხდა) თავის წილს და მართალი იქნებოდა კანონიერად და მორალურადაც, მაგრამ არა სინდისიერად, ხოდა, ბაბუას არც უთქვამს, დაიცადეთ, დაიცადეთო, რადგან მას ისევ ის სატკენისეული გულუბრყვილობა გახსენებია, ის გულუბრყვილობა, რომელსაც ამ კაცისათვის ჩაუგონებია ზნეობის შემადგენელი ნაწილები, ისევე როგორც ღვეჯელისა და ტორტის, შეიძლება აწონო, არიო, ფურნაკში შედგა და საბოლოოდ ისევ ღვეჯელი და ტორტი მიიღო და მეტი არც არაფერი... დიახ, იქდა ის კაცი ბაბუას სამსახურში და მოთმინებითა და გაოცებით ცდილობდა აეხსნა, არა, ბაბუასთვის კი არა, არც საკუთარი თავისთვის, რადგან, ბაბუას თქმით, ამ კაცის სიმშვიდით მიხვდებოდით, უკვე აღარც აქვს იმედი და აღარც სჯერა, გავიგებო რამეს, მხოლოდ ეს უნდოდა თითქოს თავად გარემოებისათვის, თავად ბედისათვის აეხსნა ის ლოგიკური ნაბიჯები, რომელთა წყალობითაც მიაღწია იმ შედეგს, სრულიად და საბოლოოდ გაუთავისებელი რომ დარჩა მისთვის; ხოდა, ისე იმეორებდა თავის ნათელ და უბრალო თავგადასავალს (აწ უკვე ცნობილს მისთვისაც და ბაბუასთვისაც), თითქოსდა ლამობდა ეს თავისი ამბავი აეხსნა თავნება და უინიანი ბავშვისთვის:

„გესმით, მე ერთმა სურვილმა შემიბჟრო. კარგი იყო თუ ცუდი ეს სურვილი, მნიშვნელობა არა აქვს ამას; საკითხავი ის არის, სად შემეშალა, რა ჩავიდინე ან რა არ ჩავიდინე, ვის რა ვაწყენინე ჩემი საქმეებით. მე ერთი სურვილი მქონდა. ამას კი სჭირდებოდა ფული, სახლი, პლანტაცია, მონები, ოჯახი და, რაღა თქმა უნდა, ცოლიც. დავიწყე ამისათვის ზრუნვა, არც არავისთვის მითხოვია დახმარება. ერთხელ, როგორც გითხარით, ჩემი სიცოცხლე სასწორზე შევაგდე. იმიტომ კი არა, რომ ცოლი ჩამეგდო ხელში, თუმცა კი სწორედ ასე მოხდა, მაგრამ არც ამას აქვს მნიშვნელობა; ხოდა, მეუღლე მყავდა, გულითა და სულით მწადდა მისი ცოლობა, ჩემ შესახებ არც არაფერი დამიმალავს და იმათგანაც ამასვე მოველოდი. არც არაფერს მოვითხოვდი, ბნე-



ლით მოცული მოდგმის კაციდან ასეც იყო მოსალოდნელი (ანუ, რაც უნდა იყოს, ეპატიებოდა მაინც). მე ხომ არ ვიცოდი კეთილშობილთა ქცევები, რაკილა არც მიცხოვრია კეთილშობილთა შორის. მე არც არაფერს მოვითხოვდი-მეთქი. მე მათ ისე ვხედავდი, როგორც მათ უნდოდათ, ჩემი ამბავი, ჩემი წინაპრების ამბავი წერილად ვუთხარე, და მაინც შეგნებულად არ მაცნობეს ერთი გარემოება, რომლის ცოდნაც, მე ვფიქრობ, მათი უფროსი ველივეზე ამაღლებინებდა ხელს, სხვანაირად რომ ყოფილიყო, მაშინვე დაამიმაღლავდნენ. ხსენებული გარემოება მხოლოდ ვაჟის დაბადების შემდეგ გავიგე, და მაინც არ ავჩქარებულვარ. მე შემეძლო იმათთვის შემეხსენებინა, რომ ამდენი წელიწადი დამაკარგვინეს, რამაც უკან დამახევინა და დამაცილა იმ ჩემს მიზანს, ის დროც აღარ მაქვს, ამ ხურვილის ასახრულებლად რომ დამჭირდებოდა მომავალში, რათა მიმედწია იმისთვის, რასაც უკვე მივალწიე და ისევ დავკარგე-მეთქი. მაგრამ მე ეს არ მითქვამს, უბრალოდ ვუთხარი იმათ, ახლა კი ვიცი ეს გარემოება და ეს ქალი და ბავშვი აწ ვეღარ იქნებიან ჩემი მიზნის შესაფერისი-მეთქი, და ამის მერე, როგორც გითხარი, არც კი მიცდია იმის შენარჩუნება, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა და რაც ჩემი იყო კიდევაც კანონის ძალით, პირიქით, მე არ მომიტხოვია, უარი ვთქვი ჩემს უფლებაზე, უსამართლობას ვეღარავინ დამწამებდა, უზრუნველყავი ის ორი ადამიანი, რათა ჩემთვის აღარ ესაუვედურათ, რომ ის დავაკარგვინე, რასაც შემდგომ მოვიპოვებდი; ყველაფერზე თავად დამეთანხმნენ, ასე შევთანხმდით ორივე მხარე და მიუხედავად იმისა, რომ ოცდაათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, როდესაც სინდისის ხმა დამიდუმდა და დავიჯერე, თუკი უსამართლო ვიყავი, დანაშაულის გამოსახულებად ყველაფერი ვიღონე-მეთქი...“ და ბაბუას ესლა უთქვამს, იქნებ დაუუვირია კიდევაც: „სინდისი? სინდისი? ღმერთო ჩემო, ნეტა რას მოელოდით! თქვენ, ვინც ქვეშეცნეულად უბედობას ესწრაფოდით და ამდენი ხანი მონასტერში დაჰყავით, იმ ცხოვრებაზე ნუღარაფერს ვიტყვით, რითაც ამდენი ხანი გიცხოვრიათ, ნუთუ ეს ამბავი არაფერს გეუბნებათ? ნუთუ ქალის წინაშე კრძალვამ და შიშმა, რაც დედის რძესთან ერთად გქონდათ შესისხლხორციებული, ჭკუა ვერ გასწავლათ? ვის მოუვიდოდა აზრად და უმწიკვლობას ვინ შეარქმევდა ამ უკიდევანო და ბრმა გულუბრყვილობას? სინდისთან რა მორიგების შემდეგ დაიჯერეთ და დარწმუნდით, სამართლიანობის გარდა ამ ქალს სხვა ვერაფრით ვერ დააკმაყოფილებდით?...“

ამ დროს შრივი ადგა; საძინებელ ოთახში გავიდა და საბანაო ხალათი მოისხა. არც კი უთქვამს, დაიცადეო, ადგა და უხმოდ გავიდა, კვენტინი მაგიდასთან მჯდომარე დატოვა, გადაშლილ წიგნთან და წერილთან ერთად. გავიდა და უკან დაბრუნდა ხალათმოსხმული. დაჯდა, ჩამქრალი ჩიბუხი აიღო, არც დაუტენია და არც გაუჩაღებია ისევ. კარგო, — თქვა მან, ხოდა, საშობაო არდადეგებზე ჰენრიმ შინ, იმ თავის სახლში ჩამოიყვანა ის, შეხედა ეშმაკ იმ უმაწვილს და დაინახა ის სახე, რომელთანაც, როგორც დარწმუნებული იყო, სრულიად გაესწორებინა ანგარიში ამ ოცდარვა წლის წინათ. ახლა კი განაგრძე.

— დიახ, — თქვა კვენტინმა, — მაშამ მითხრა, იმ კაცს თავად შეურჩევიაო მისთვის სახელი, ჩარლზ ბონი, კეთილი ჩარლზი. თუმცა ეს კი აღარ უთქვამს ბაბუასთვის, მაგრამ ბაბუა დარწმუნებული იყო, რომ ასე იზამდა, ასე უნდა ექნა სწორედ. მოსავლის აღებაში უნდა მოხმარებოდა ეს, როგორც ის მოეხმარებოდა ალუის მერე ნასროლი კაფსულების აღებაში, რომ არ დაეჭრათ (ანუ, რომ არ დაეწინდათ); იქნებ თავად დაიფინა კიდევაც, ეს ამ-



ბავი, რაკი სინდისმა, რომლის გამო იმ ქალსა და ბავშვს ადგილი აღარ დარჩათ მისი ჩანაფიქრის შესრულებაში, თუმცა კი შეეძლო თვალი დაეხუჭა ამ გარემოებაზე და, მართალია, მთელ ქვეყანას ვეღარ მიატოვებდა, როგორც თავად მოატყუეს, მაგრამ ბრძოლას გაუმართავდა უოტსონს, ვინც გაბედავდა და გასთქვამდა მის საიდუმლოს, იმ სინდისმა, რომლის მიზეზით ის ბავშვი, ის ბიჭი არ ატარებდა მის სახელს და არც ბაბუას სახელს მხრიდან, უარი ათქმევინა იმაზეც, რომ მიტოვებული ქალისთვის საჩქაროდ ქმარი გამოეძებნა, როგორც ხდებოდა ხოლმე, და გამოგონილი კი არა, ნამდვილი სახელი ჰქონოდა მის ვაჟიშვილს. თავად ამ კაცმა შეურჩიოთ ის სახელი, ასე იყო დარწმუნებული ბაბუა, ზუსტად ასევე ნათლავდა ყველა ამ კეთილ ჩარღებს, კლიტემნესტრებს, ჰენრისა და ჯუდიტს, ყველას-მეთქი, გველეშაპის კბილების ნაშიერთ, როგორც მამაჩემი ეძახოდა მათ. ხოდა, ასე მითხრა მამამ...

— იმ შენს მამას, — თქვა შრივმა, — ძალიან ბევრი ცნობა მიუღია და ძალიან მალეც ორმოცდახუთი წლის მოლოდინის შემდეგ. და თუ ეს ყველაფერი სცოდნია, რატომ გითხრა შენ, ჰენრი და ბონი იმ ზანგური სისხლის ქალის გულისთვის წაკიდებიანო ერთმანეთს?

— იმას არც სცოდნია იმხანად ეს ამბავი. ბაბუამ არ მოუთხრო მას ყველაფერი, სწორედ ასევე სატპენსაც არ მოუყოლია ბაბუასთვის ყველაფერი.

— კი მაგრამ, მაშინ ვინღა მოუთხრო?

— მე, — მიუგო კვენტინმა, არც შერხეულა, ისე, არც შრივისთვის შეუხედავს, თუმცა კი ის გამოსცქეროდა მას. — იმ დღის მერე, როცა ჩვენ...

— ჰოი, — თქვა შრივმა, — იმის მერე, რაც შენ და იმ მოხუცმა დეი-დამ. მესმის. განაგრძე. ხოდა, ასე გითხრა მამამ...

— ...ასე მითხრა, რომ წინა აივანზე იდგა ის კაცი იმ შუადღით და ჰენრისა და მის მეგობარს ელოდებოდა, მთელი შემოდგომა ჰენრი იმ თავისი მეგობრის შესახებ წერდა და სადაცაა უნდა გამოჩენილიყვნენ. იქნებ მას შემდეგ, ჰენრიმ რომ პირველ წერილში იმ ყმაწვილკაცის სახელი შეატყო ბინა, სატპენს თავში გაუელვა, ბედის დაცინვასაც აქვს რაღაც საზღვარი, რომლის შემდეგ ბოროტ, მაგრამ არა საბედისწერო ოინად იქცევა ან უმნიშვნელო დამთხვევად. მართლაცდა, ასე მითხრა მამამ, სატპენსაც იცოდა ალბათ, ჯერ არვის არ გამოუგონია ისეთი სახელი, რომელიც არ შეურქმევიათ ვინმესთვის ახლა თუ ადრე; დაბოლოს ისინი ჩამოვიდნენ და ჰენრიმ უთხრა: „მამა, ეს ჩარღზია“ და იმან... (იმ ეშმაკო, თქვა შრივმა)... დაინახა მისი სახე და მიხვდა, ხდებოდა ხოლმე, როდესაც დამთხვევა პატარა ბიჭსა ჰგავს, ფეხბურთის მოედანზე რომ მოირბენს სათამაშოდ და მოთამაშეები დაქრიან ამ დაუცველი ბავშვის გარშემო, ეჭახებიან ერთმანეთს, ბრძოლის ჟინით წამონთებულებს გამარჯვება ან დამარცხება უდგათ თვალწინ და იმათგან არავის არ გაანსენდება ეს ბიჭი და ვერც შენიშნავს, ვინ მოვიდა და დალუპვას გადაარჩინა იგი; ხოდა, იდგა ის საკუთარი სახლის წინ, სწორედ ისე მოეხერხებინა ყველაფერი, როგორც უნდოდა, დაეგეგმა და კიდევაც შეუსხამს ფრთა თავისი ოცნებისათვის, და ახლა, ორმოცდაათი წლის შემდეგ საბრალო, უსახელო, უსახლკარო და გადაკარგულმა ბავშვმა დააკაკუნა კარზე და სადღაა ამ მზისქვეშეთში ის გამოწყობილი მაიმუნის დარი ზანგი, კარებთან რომ მოვიდეს და იქიდან გააძევოს ბავშვი; და მამამ თქვა, მაშინაც კი, როცა მან იცოდა, ბონსა და ჯუდიტს ჯერ კიდევ ერთხელაც არ ჰყავდათ ერთმანეთი



ნანახი, უკვე გრძნობდა და ზედავდა კიდევაც, რომ მისი ოცნების საგანი — საბლი, მდგომარეობა, მემკვიდრეები და სუუველაფერი — უნდა განქარებულიყო, თითქოსდა ის, რაც მას აეგო, აეგო კვამლისაგან, ასე რომ, არც ნგრევის ხმაური მოისმოდა და არც არაფერი, რამე ნამუსრევიც კი არ რჩებოდა. და მას მისაგებელი არ შეურქმევია ამისთვის, არც კი გაუვლია გულში, რაც მოგივა დავითაო, უველა შენი თავითაო; არც უბედობა შეურქმევია ამისთვის. შეცდომა არისო ეს და მეტი არაფერი; ამ შეცდომის რაობა კვამლისაგან და ბაბუასთან მისულა, თავის გამართლება იმას არ უნდოდა, სურდა, რომ უცხოთა და ცივ გონებას (თან იურიდიული განათლების მქონესაცო, დასძინა ბაბუამ) მიეცვლია, ეპოვა ის შეცდომა და კიდევაც დაენახვებინა მისთვის. მორალური მისაგებელი აქ არაფერ შუაში არ იყო, გესმის, თავი და თავი გახლდათ ის ძველი შეცდომა, რომელსაც ვაჟკაცობითა და მოხერხებულობით დაჭილდოებული კაცი (პირველი თვისება, როგორც ახლა იცოდა, იმთავითვე დაჰყოლოდა, მეორე კი, უკვე დარწმუნებულიყო, დასწავლილი და შეძენილი ჰქონდა) შეიძლება წინაღუდგეს, ოღონდ კი მიაკვლიოს და ჩახვდეს ამ შეცდომას, ვინაიდან ფარ-ხმალი არ დაუყრია, ბოლომდე არ დაუყრია ამ კაცს. და ბაბუას უთქვამს, იმის შემდეგდროინდელ ქცევას (ისიცაა მართალი, რამდენსამე ხანს არაფერი იღონა, და იქნებ ამიტომაც მოხდა ის, რისიც ასე ეშინოდა) ესაძირკვლებოდა არა ის, რომ ვაჟკაცობა, მოხერხებულობა აღარ იყო ან გული აჩვილებოდა, არამედ უველაფერს იმ თავის შეცდომას უკავშირებდა და ვიდრე ამ შეცდომას არ გაიგებდა, არ უნდოდა სასწორზე შეეგდო თავი.

ხოდა, შეიპატიჟა სახლში ბონი და ორი კვირა, იმ არდადეგების ხანს (თუმცა ამდენიც აღარ უოფილა საჭირო; მაშამ თქვა, იქნებ ქ-ნმა სატპენმა ჯუდიით და ბონი იმწუთას დაწინდა, როდესაც ბონის სახელი ამოიკითხა ჭენრის პირველსავე წერილში) უთვალთვალებდა ბონს, ჭენრისა და ჯუდიოს, ანუ, უფრო სწორად, ბონსა და ჯუდიოს, რადგან უკვე იცოდა ჭენრისა და ბონის დამოკიდებულების შესახებ ჭენრისავე წერილიდან; და არაფერი იღონა. შემდეგ ჭენრი და ბონი უნივერსიტეტში დაბრუნდნენ და ახლა ზანგ მეჩინიბეს ყოველ კვირას ოქსფორდიდან სატპენის ასეულში მოჰქონდა წერილები ჯუდიოთისათვის, და ის წერილები ჭენრის ხელით არ იყო ნაწერი (თუმცა აღარც ეს უოფილა საჭირო, უთქვამს ბაბუას, რაკილა ქ-ნმა სატპენმა უკვე მთელ ქალაქსა და ოლქს მოჰფინა დაწინდვის ამბავი, თუმცა კი, ასე დასძინა მაშამ, სრულიადაც არ ჰქონდა ამის საფუძველი) და იმ კაცმა მაინც არაფერი იღონა. არაფერი იღონა-მეთქი, ვიდრე გაზაფხულის მიწურული არ დადგა და ჭენრიმ წერილი არ გამოაგზავნა, ბონი უნდა ჩამოვიყვანო და სანამ სახლში წავიდოდეს, ჩვენსას დარჩებაო ერთი ან ორი დღე. მაშინ სატპენი ნიუ-ორლეანს წავიდა. იმიტომ არჩია ეს დრო, რომ ბონი და დედამისი ერთად ენახა და საბოლოოდ მოეგვარებინა უველაფერი, ამ ამბისა არავინ იცის, არც არავინ იცის, ნახა თუ არა იმ უმაწვილკაცის დედა, მოისურვა იმ ქალმა მისი ნახვა თუ არა, იქნებ მოისურვა და ის კაცი ცდილა კიდევ ერთხელ მოლაპარაკებოდა მას, ფულიც კი მიეცა, როგორც მაშამ თქვა, ის კაცი, ვისაც ეგონა, რომ აბუჩად აგდებული, შეურაცხყოფილი და განრისხებული დედაკაცი დასჯერდება ფორმალურ ლოგიკას, და იმასაც გაიფიქრებს, ფულითაც შევძლებო მის მოთაფვლას, მაგრამ ვერაფერს გახდა; იქნებ ბონიც იყო იქ და თავად მან უარყო ეს წინადადება, თუმცა არავინ იცის, გაიგო თუ არა ბონმა, ეს კაცი მაშა არისო ჩემი, ან ჯერ სცადა შური ეძია დედისათვის და მერეღა შეიყვარა



ეს გოგო, მერეღა ჩაითრია შურისძიების საბედისწერო მორევმა, რამაც, როგორც უთქვამს მისს როუზას, ბორცნეული გახადა სატპენი და დაღუპა კიდეც უველა მისი სისხლი და ხორცი, შავებიცა და თეთრებიც. მკვრამ ნამდვილად ვერაფერს გახდა-მეთქი, და ერთი წლის მერე, შობა დღეებში ჰენრი და ბონი ისევ ჩამოვიდნენ სატპენისას და სატპენმა ნახა, ხსნა აღარ იყო და ჭუდიტს ბონი შეჰყვარებია, ხოლო მკვრამ ნამდვილად შურისძიება სურდა, ან სულაც საბედისწერო მორევმა ისიც ჩაითრია, ასე იყო თუ ისე, რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამას. ხოდა, როგორც ჩანს, იმ შუადღეს, ვახშობამდე ცოტა ხნით ადრე ჰენრი მოიხმო (მამამ თქვა, იქნებ ახლა, ნიუ-ორლეანს ნამგზავრმა, ბოლოს და ბოლოს, კარგადაც გაიგო ქალების ამბავი და არც უცდია ჭუდიტს დალაპარაკებოდა პირველად) და უველაფერი ამცნო. მან იცოდა, თუ რას ეტყოდა ჰენრი და ჰენრიმაც სწორედ ეს უთხრა, მიაძახა, ტუუილიაო, და მაშინ, როდესაც მამამისი ასე დაუდანაშაულებია, ჰენრი მიმხვდარა, მართლს ეუბნებოდა მამა; და მამაჩემმა ასე თქვა, რომ მან (სატპენმა), როგორც ჩანს, იცოდა, თუ რას იზამდა ჰენრი, რადგან ისევ სჯეროდა, მცირეოდენი ტაქტიკური შეცდომა მომივიდაო და მეტი არაფერი. ბრძოლის იმ მონაწილეს დამსგავსებოდა, ვინც მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს გადაურია და იმათ მოგერიებას იმედოვნებს, თუკი იქნება საკმარისად მოთმინე, საკმარისად მოხერხებული, საკმარისად ღინჯი და საკმარისად ფრთხილი; ხოდა, ასე სძლევს კიდეცა მტერს და სათითაოდ ამოხოცავს სუუველას. და სწორედ ასე ჰქნა ჰენრიმ. და მას (სატპენს), როგორც ჩანს, ისიც გაუთვალისწინებია, პირველადვე თუ რას იზამდა ჰენრი, ჰენრი მართლაც ნიუ-ორლეანს ჩასულა და თავად გამოუკითხავს უველაფერი. შემდეგ 1861 წელი დადგა და სატპენს ისიც სცოდნია, თუ რას იზამდნენ ისინი ახლა, მართო ჰენრი კი არა, ბონიც, თუ რას აიძულებდა ჰენრი ბონს და იქნებ (რაკიღა ეშმა იყო, თუმცა ომი მოახლოებულიყო და იმის განქვრეტას ეშმოდა არც სჭირდებოდა) ისიც განუქვრეტია მას, რომ ჰენრი და ბონი საუნივერსიტეტო რაზმის მებრძოლები შეიქნებოდნენ; შეიძლება ამ კაცს როგორღაც მოუხერხებია იმათი თვალთვალი და გაუგია, თუ როდის მოხვედრიდა მათი სახელები რაზმის სიაში, ისიც გაუგია, თუ სად უხდებოდათ იმათ ბრძოლა, გაიგო ჯერ კიდევ მანამ, სანამ ბაბუა ჩაუდგებოდა სათავეში იმ პოლკს, რომელშიაც იმათი რაზმი შედიოდა და პისტბერგ-ლენდინგის ბრძოლაში დაიჭრებოდა (ბონიც მაშინ დაუჭრიათ) და სახლში დაბრუნებულა, რათა აწ უკვე მარჯვენადაკარგულს დაეწყო ცხოვრება; სატპენი კი 1864 წელს ჩამოსულა და ჩამოუტანია ორი საფლავის ქვა, და ბაბუასთან მისულა სამსახურში ორი დღით ადრე, ვიდრე ისევ დაბრუნდებოდა ომში. იქნებ მთელი ეს ხანი სცოდნია ჰენრისა და ბონის სადმყოფობის ამბავი, რადგან ახლა ისინი მთელი ეს ხანი ბაბუას პოლკში იმყოფებოდნენ და სადაც ბაბუას შეეძლო ასე თუ ისე მათი თვალყურის დევნება, თუნდაც თავისდა უნებურად; თუმცა იმათ არც სჭირდებოდათ თვალყურის დევნება, რაკიღა, სატპენს ისიც უნდა სცოდნოდა, გამოცდა უნდა დაეჭირა ჰენრის და კიდეცა დასდგომოდათ სამივეს განსაცდელის ფაში — თავად მას, ჭუდიტსა და ბონს — და ჰენრისაც კიდილი გაემართა თავის სინდისთან და უნდოდა შეგუებოდა იმას, რის გაკეთებასაც აპირებდა, სწორედ ამდაგვარი ამბავი გადახდენოდა მამამისს ოცდაათი წლის წინათ; იქნებ იგი ახლა ბონივით ფატალისტი შექმნილიყო და ასე ფიქრობდა, დაეოშმა განსაჯოს უველაფერი, ხომ შეიძლება ან თავად დაიღუპოს ან ბონი, ან



სულაც ორივენი (ოღონდ ეს თავისთავად უნდა მომხდარიყო, ჩაუწყობლად, და სწორედ ამიტომ გამოუყვანია დაქრილი ბონი ზურგით პიტსბერგ-ლენ-დინგის ბრძოლის შემდეგ) ან იქნებ მან იცოდა, რომ სამხრეთი უთუოდ და-მარცხდებოდა და აღარც დარჩებოდა რამე სათაყვანებელი, რომლისთვის ~~და~~ ბრძოლა, ტანჯვა, სიკვდილი ან სიცოცხლე. ხოდა, იმ დღეს ბაბუას სამსახურში მისულა ის კაცი... (ეშმაო, თქვა ზრივმა)... შვებულებით ~~ყოფილი~~ ~~ყოფილი~~ სული ერთი დღით, ის საფლავის ქვები ჩამოუტანია მაშინ. ~~შენი დახვედრის~~ ~~ქუდითი~~ და, მგონია, შეხედა მან იმ გოგოს და იმ გოგომ კი მას, და ასე უთხრა იმ კაცმა, შენ იცი, სად არისო ის ბიჭი და ჯუდითი ვერ მოატყუებდა, და იმ კაცმა (ის ხომ კარგად იცნობდა ჰენრის), ასე თქვა, ხოდა, რაო, რა ის-მის იმისგანო, და ჯუდითმა აქაც ვერ უთხრა ტყუილი, არც ატირებულა, რად-გან ორივემ იცოდა, თუ რა იქნებოდა იმ წერილში, როდესაც მოვიდოდა და იმ კაცს აღარ დასჭირდებოდა შეკითხვა: „როცა მოიწერს ის ბიჭი, ჩამოვ-დივარო, შენ და კლიტი საქორწინო კაბის შეკერვას დაიწყებთ, არა?“ თუნ-დაც მოეტყუებინა იმ გოგოს, მაგრამ ტყუილი არ უთქვამს ჯუდითს; ხოდა, ელენის საფლავზე ის ერთი ქვა მოატანინა, მეორე შემოსასვლელში დაადგმე-ინა ოა ბაბუას სანახავად წავიდა, ცდილობდა მიმხვდარიყო, უნდოდა ბაბუას მეშვეობით აღმოეჩინა ის თავისი შეცდომა, რომელიც, ასე სჯეროდა, ერთად- ერთი იყო, რამაც ამდენი უბედურება დაატეხა; ხოდა, იქდა იმ თავის დაძ-ველებულ და გაცვეთილ ფორმის ტანსაცმელში, გაცვეთილივე ხელთათმა-ნებითა და გახუნებული სარტყელით და პლუმაჟით (რალა თქმა უნდა, პლუმა-ჟით. მას შეეძლო დაეკარგა ხმალი, მაგრამ პლუმაჟი კი, რალა თქმა უნდა, არა), რომელიც გახეული, დაკმუჭნილი და გაწინწილული იყო, ქვემოთ, ქუჩაში შეკაზმული ცხენი ელოდებოდა და თავისი პოლკის მოსაძებნად ათასი მილი უნდა გაეფლო, ახლა კი, ამ სადამოს თითქოსდა არც ჰქონდა ათასი მოსაგვარებელი საქმე, თითქოსდა ამ მზისქვეშეთში არც არაფერი ჰქონდა საჩქარო, თითქოსდა რალაც თორმეტიოდე მილი უნდა გაეფლო სატპენის ასე-ულამდე და სამაგიეროდ ათასი დღე ან იქნებ წელი აწ უკვე მორჩმული ეზია-რებოდა წარუვალ მყუდროებას, სიკვდილის მერვც დარჩებოდა უველგან, სადაც კი გაიხედავდა, დაინახავდა მშვენიერ შვილიშვილებს და შვილთაშვი-ლებს; თავად კი, მშვენიერი ანაგობის კაცი, წევს საფლავში მკვდარი, წარ-მოსადეგი მამრი, როგორც ეძახდა უოში მას, მაგრამ ეს მერე იქნება და არა ახლა. ახლა კი მისივე ზნეობის ციხესიმაგრის ნისლოვანედში დანთქმულიყო, ძუნწი კაცის ხელით წონიდა ხურდამურდა აბსტრაქციებს მაშინ, როცა (ასე უთქვამს ბაბუას) მიწასთან უნდა გასწორებულიყო რომი და დაღუპულიყო იერიქონი — კი, კარგი იქნებოდა, ასე რომ მომხდარიყო ან კი, ვერ იქნებოდა კარგი, მაგრამ მიზეზი ამისა სისხლის მიმოქცევის დარღვევა იყო და გახევება ძვლებისა და სისხლძარღვებისაო, თქვა მამამ, ასეთია მოხუცთა ხვედრი, იმა-თი, ვინც სიუმაწვილის ხანს მოქნილნი და ჯანმრთელნი არიან და სრულიად უბრალოდ გეტყვიან ჰო-ს ან არა-ს, გეტყვიან იმწუთას, საბოლოოდ და განუს-ჯელად, თითქოსდა დენს ჩართავენ ან გამორთავენ, ისე; ხოდა, იქდა ის კა-ცი იქ და ლაპარაკობდა, ბაბუა კი ვერც ხვდებოდა, თუ რა უნდოდა მას. ასე უთქვამს ბაბუას — რისი თქმა უნდოდა, თავადაც არ, იცოდაო, სატპენს მართლაც არ უამბნია ყველაფერი მისთვის. ისევ იმ თავისი ზნეობისდა კვალად მოქცეულა; ბაბუამ თქვა, სწორედ ამ ზნეობამ არ დაანება მას აუგად მოეხსენებინა თავისი პირველი ცოლი ან ის



ქორწინება. თუმცა კი გრძნობდა, კარგადაც გამაცურესო მაშინ; ბაბუას ხომ  
 ენდობოდა და კიდევაც იმართლებდა თავს მასთან, მაგრამ არც აქ წამოსცდე-  
 ნია იმ პირველი ცოლის სალანძღავი სიტყვა; მეორე ცოლისაგან რაღაც ჰყავ-  
 და, იმ ვაჟიშვილსაც არ გაუგონია ცუდი იმ თავის პირველ ქაზზე, თუმცა კი  
 სატპენი ხედავდა, საფრთხე დამუქრებოდა მის მდგომარეობასა და შიშებს,  
 მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ ეტყოდა რამეს. მერყეობდა და  
 იწყებდა მაშინ, უთქვამს ბაბუას, მაგრამ უფრო ადრე კი ~~მისი~~ <sup>მისი</sup> ~~წილი~~ <sup>წილი</sup> ~~ამას~~.  
 მართალია, გააცურეს, მაგრამ თავად უშველა თავს, არავისთვის არ უთხოვია  
 დახმარება, დაე ყოველი ასე მოიქცეს, ვისაც მასავით მოატყუებენ... ზოდა,  
 იჭდა ის იქ და მსჯელობდა, რის არჩევანი, რა არჩევანი, მაინც ასეთივე იქ-  
 ნებოდაო შედეგი, თავისი სიცოცხლის ორმოცდაათი წელიწადი რომ მიუძღვ-  
 ნა, ეს სურვილი და გეგმა შეიძლება სულაც ასევე არ არსებულყოფს ეს  
 ორმოცდაათი წელიწადი, და ბაბუაც ვერ მიმხვდარიყო, თუ რა არჩე-  
 ვანზე ლაპარაკობდა ეს კაცი, არც ის იცოდა, რა იყო ის მეორე არჩევანი, რო-  
 მელიც უნდა გაეკეთებინა მას, არ იცოდა-მეთქი, ვიდრე იმ კაცმა უკანასკნე-  
 ლი სიტყვა არ წარმოთქვა, სანამ ადგებოდა, ქუდს დაიხურავდა, ბაბუას მარ-  
 ცხენა ხელს ჩამოართმევდა და გასწევდა. მეორე არჩევანი კი, რომელიც რა-  
 ლა გზა ჰქონდა, უნდა, გაეკეთებინა, ბაბუასთვის ისევე ბნელით იყო მოცუ-  
 ლი, როგორც იმ პირველი ცოლის ამბავი; თუ რა მიზეზით მიატოვა ის ქალი.  
 ბაბუამ არ იცოდა; ასე რომ, იმას არც კი უთქვამს, რა გირჩიოთ, არ ვიცით,  
 იმიტომ კი არა, რომ სათქმელი არ ჰქონდა, სიტყვას არც ექნებოდა რაიმე  
 მნიშვნელობა, რადგან სატპენი ყურსაც არ დაუგდებდა, არც მოელოდა პასუხს,  
 თანაგრძნობა და რჩევა არც სჭირდებოდა მას, ხოლო გამართლება თავისი  
 სინდისისთვის გამოეთხოვა ოცდაათი წლის წინათ. ისევე სჯეროდა თავისი გა-  
 ბედულების ამბავი და თუმცა ბოლო ხანს კი უნდა შეპარებოდა ეჭვი თავის  
 მოხერხებულობაში, რასაც გულშიაც არ გაივლებდა იმ ცოტა ხნის წინათ,  
 მაინც სჯეროდა რომ ამქვეყნად შეიძლება ყველაფერი გაიგოს, დაისწავლოს  
 და ღაიხწავლის კიდევაც; ბაბუას უთქვამს, მოხერხებულობამ მეორედ ვერ  
 გაუწია სამსახური, ისე, როგორც პირველად, და ახლა უკვე თავისი ვაჟკაცი-  
 ბის იმედი ჰქონდა, უნდა მოეკრიბა ძაღლონე და მესამედ შედგომოდა იმ თა-  
 ვისი სურვილის შესრულებას, ისე, როგორც მეორედ; ბაბუასთან სამსახურში  
 იმიტომ კი არ მისულა, რომ თანაგრძნობა მოესმინა და დახმარება ეთხოვა.  
 ბაბუას უთქვამს, არც არასდროს იცოდა მან, როგორ უნდა სთხოვოს დახმა-  
 რება თუ კიდევ სხვა რაღაც ვინმეს, და ბაბუას რომც შესძლებოდა დახმარება,  
 ეს კაცი ამას მაინც ვერ გამოიყენებდა; მაგრამ მოვიდა, რათა ფხიზელი გო-  
 ნებით წყნარად მისცემოდა ფიქრებს და იმედოვნებდა (თუკი ჰქონდა რაიმე  
 იმედი, თუ უნდოდა რაიმე ელონა; იქნებ ხმამალთა გამოთქვამდა თავის ფიქ-  
 რებს და მეტი არაფერი), იურიდიული განათლების მქონე კაცი კი უნდა ჩახვ-  
 დეს და ნათელი მოჭფინოს იმ ჩემს ოდინდელ შეცდომასო, კვლავაც სჯეროდა  
 მისი არსებობისა, მაგრამ თავის შეცდომას ვერ მიმხვდარიყო: „მე უნდა შევ-  
 გუებოდი იმ ამბავს, რომელიც ჯერ არ ვიცოდი და მერე გავიგე, როცა იმ  
 ჩემი სურვილის განხორციელება მინდოდა, უნდა შევგუებოდი-მეთქი და ის  
 ჩემი სურვილი კიდევაც გაცამტვერდებოდა სრულიად; და თუ აღ-  
 არ უარყოფდი თავდაპირველ გეგმასა და სურვილს, მაშინ უნდა მო-  
 მესპო ის მიზეზი, რომელსაც უნდა გაცამტვერებინა ჩემი სურვილი.  
 არჩევანი მოვახდინე და მთელი ძალით შევეცადე ამენაზღაურებინა ის ზარა-“



ლი, ამ არჩევანს რომ მოჰყვა, და იმდენი გადავიხადე ამ არჩევანის გულისთვის, რამდენსაც, არც მოელოდნენ და ვერც მოითხოვდნენ (კანონითაც კი) ჩემგან. ხოდა, ახლა მეორედაც მჭირდება არჩევანის გაკეთება, და საგულისხმო ის კი არ არის, რასაც თქვენ მეუბნებით და რაც პირველად მეც ასე მეგონა, სახელდობრ ის, რომ მეორედ დამჭირდა არჩევანის გაკეთება. მთავარი ისაა, რომ გინდ ასე ვქნა და გინდ ისე, მაინც ერთი იქნება შედეგი: ან, საკუთარი ხელით უნდა შევმუსრო ჩემი მიზანი, თუკი იძულებული გავხდები უკანასკნელ ღონეს მივმართო, ან აღარაფერი ვიღონო, თვითდინებას მივანდო ყველაფერი, და ვიცი, ხალხის თვალში კარგად და ბუნებრივადაც გასრულდება ჩემი ამბავი, მაგრამ ჩემს თვალში ეს ამბავი დაცინვა და ღალატი იქნება იმ ბიჭისა, ვინც ორმოცდაათი წლის წინათ იმ კარიდან უკანვე გამოაბრუნეს, იმ ბიჭისა-მეთქი, რომლის გულისთვისაც მოფიქრებული იყო და სრულდებოდა მთელი ეს გეგმა იმ წუთამდე, ვიდრე იმ პირველი არჩევანიდან გამომდინარე მეორის გაკეთების დრო არ დადგა, და ეს მეორე არჩევანი გახლავთ შედეგი იმ ხელშეკრულებისა, მოლაპარაკებისა, რომელშიაც პატიოსნად ვმონაწილეობდი და არც არაფერი არ დამიმაღლავს, ხოლო მეორე მხარემ თუ მხარეებმა დამიმაღლეს ერთი ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება, რასაც უნდა შევმუსრა მთელი გეგმა და სურვილი, სიცოცხლის საგანი რომ გამხდარიყო ჩემთვის, და ისე კარგადაც დამიმაღლეს, რომ ვეღარც გავიგე ვერაფერი ვაჟიშვილის გაჩენამდე..“

— იმ შენმა ბერიკაცმა, მამაშენმა, — უთხრა შრივმა, — შენი ბაბუას მონათხრობისა იმდენივე გაიგო, რამდენიც თავად ბაბუას გაუგია მაშინ იმ ეშმას ნაამბობისაგან, ხომ ასეა? და იმ შენი ბერიკაცის მონაყოლიდან შენც ვეღარაფერს გაიგებდი, იქ რომ არ წასულიყავი და კლიტი არ გენახა. ხომ მართალია?

— დიახ, — მიუგო კვენტინმა, — ბაბუა იმ კაცის ერთადერთი მეგობარი იყო.

— იმ ეშმასი?

კვენტინმა პასუხი არ გასცა, არც შერხეულა. ოთახში უკვე ციოდა. თითქმის სულ გამოღეოდა სითბო რადიატორებს — მკაცრი გაფრთხილება გამოეცა რკინას, ძილის, ანუ მცირედი მიცვალების, განახლების ჟამიანო. კარგა ხანია უკვე საათს თერთმეტი ჩამოერეკა. კარგო, თქვა შრივმა, სწორედ ისევე გახვეულიყო ახლა საბანაო ხალათში, როგორც ამ ცოტა ხნის წინ თავის ვარდისფერ, შიშველსა და თითქმის სრულიად უთმო კანში.

— არჩევანი გაუკეთებია. სიძვა აურჩევია. მეც მასე ვშვრები. მაგრამ განაგრძე.

არც სიბრიყვეს და არც უპატივცემულობას არ გამოხატავდა ეს მისი შენიშვნა. თავი და თავი ამისა (თუკი არსებობდა რამე სათავე) იყო უმაწვილკაცის ის გამოუსწორებელი უსენტიმენტალო სენტიმენტალობა, რომლის გამოხატულებათა უხეში და აბდაუბდა საუბარი და კვენტინს არც მიუცია ამისთვის რამე მნიშვნელობა, თითქოს არც არაფერი უთქვამს შრივს, კვენტინი ისევ მიეცა ფიქრებს, იმის ხელებშუა მოქცეულ გადაშლილ წიგნსა და იმაში ჩადებულ წერილზე თავდახრილი.

— ვირჯინიაში იმავე ღამეს წასულა. ბაბუას უთქვამს, სარკმელთან მივედი და გავუურებდიო მოედანზე მიმავალს, გაძვალტყავებულ შავრა ცხენზე იჭდა წელგამართული ის კაცი, ნაცრისფერი და გახუნებული ფორმის ტან-



საცმელი ეცვა, ფრთაწატეხილი ქუდი გვერდულად დაეხურა თავზე, თუმცა ის ძველებული იერი აღარ ჰქონდა, თითქოსდა (ასე უთქვამს ბაბუას) თავისი ჩინისა და უპირატესობის მიუხედავად ადრინდულად აღარ იბლინდებოდა; უბედობას წელში გაეტენა და დაეჩაგრა, არც ქანცი გაწყვეტოდა მის გამოვლილს, ცხენზე მჯდარი თითქოსდა ისევ თავზარდაცემული იბრძოდა, რათა არ დანთქმულიყო ადამიანთა უმეცრების განუჭვრეტელ ორმეტრხაღში და არა იმიტომ, სული მოეთქვა, დღე და ღამე გაესწორებინა და ორმეტრხაღი წლის მანძილზე თავისი მოდგმა დაემკვიდრებინა, უფრო იმიტომ — დაემტკიცებინა თავისი ზნეობა, ლოგია და მეობის ფორმულა, რომლის განხორციელების საშუალება და მისი შედეგი ვეღარ ჩერდებოდა დინების ზედაპირზე და განწირული იყო ჩასაძირად, ბაბუას დაუნახავს, თუ როგორ მიუახლოვდა პოლსტონ ჰაუზს ეს კაცი, კოჭლაკოჭლაობით გამოვიდა იქიდან მოხუცი ბ-ნი მაკ-კასლინი და კიდევ ორნი, ისეთივე ბერიკაცები, შეჩერდა ის თავის შავრა ცხენზე მჯდომარე და გამოელაპარაკა მათ, ხმა არ აუწევია, ბაბუას უთქვამს, ვეჭილის გამოზომილი უესტებიოთა და მიწვრა-მოწვრით საუბრობდით. შემდეგ წავიდა. დაღამებად ჩავიდა სატპენის ასეულში და უკვე ნავახშმევს თავისი შავრა ცხენით დაადგა ატლანტიკის ოკეანისაკენ მიმავალ გზას, ერთი წუთითღა თუ შეეყრია ის და ჯუღითი ერთმანეთს პირისპირ. და იმ კაცს არ დასჭირვებია ამისი თქმა: „თუკი შევძლებ, არ დაგანებებ“, იმ გოგოს კი არ დასჭირვებია ამისი თქმა: „ნუ დამანებებ, თუკი შევძლებ“. მხოლოდ შუბლზე კოცნა და უცრემლო დამშვიდობება; მერე რამდენიმე სიტყვა უთხრა კლიტისა და უოშს, ბატონმა — მონას, თავადმა — გლეხკაცს: „აბა შენ იცი, კლიტი, შენს ზრუნვას ნუ მოაქლებ მისს ჯუღითს... უოშ, ეიბ ლინკოლნის ფრაკის კალთის ნაქერს გამოგიგზავნი ვაშინგტონიდან“, უოშმა კი აღბათ ისე უპასუხა, როგორც ვაზის თაღარში ყოფნის ხანს, ვისკისა და წყაროს წყალს რომ სვამდნენ: „დიახ, პოლკოვნიკო, იმ არამზადათაგან ყოველი დაგებოცოთ!“ შეჭამა იმ კაცმა სიმინდის კვერი, დააყოლა მოხალული რკოს ყავა და გზას გაუდგა, მერე დადგა 1866 წელი და ჯარმა (ბაბუაც დაბრუნებულია იქ, ბრიგადის გენერლობა მიუღია და, მგონია, არა იმიტომ, ხელი რომ დაკარგა!) უკან დახევა დაიწყო, დატოვეს ჯორჯია და კაროლინა, და სველა მიხვდა, დიდხანს აღარ გასტანდა ომი. ზოდა, ერთ დღეს ლიმ თავისი შენაერთიდან რამდენიმე პოლკი გაუგზავნა ჯონსტონს და ბაბუას გაუგია, მათ შორის 23-ე მისისიპის პოლკიც არისო. ოღონდ მას (ბაბუას) არ სცოდნია, თუ რა მომხდარა, შეიძლება სატპენმა უკვე შეიტყო, რომ ბოლოს და ბოლოს ჰენრი შებრძოლებოდა საკუთარ სინდისს და გაუმარჯვია კიდევაც, როგორც მის (ჰენრის) მამას მოუვიდა ამ ოცდაათი წლის წინათ ან იქნებ ჯუღითმა მისწერა მამას, ბონმა ბოლოს და ბოლოს მაცნობაო თავისი განზრახვა და მეც თანახმა ვარო, ან იქნებ ოთხივემ, როგორც ერთმა, იმ წერტილს მიატანა, როდესაც რაღაც უნდა ეღონათ, რაღაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეს არ სცოდნია მას (ბაბუას). გაუგია, რომ ერთ დილას სატპენი მისულა ბაბუას ყოფილი პოლკის შტაბში და ჰენრისთან შეხვედრის ნებართვა აუღია, ულაპარაკნია მასთან და ჯერ კიდევ შუალამემდე უკანვე გაბრუნებულია.

— მაშინ გაუკეთებია იმ კაცს არჩევანი, — თქვა შრივმა, — სწორედ ამ კოჭირს ჩამოსულა მაშინ, ზოდა, სახლში რომ დაბრუნებულია, უნახავს...

დაიცადეო, გააწყვეტიან კვენტინმა.

— უნახავს ის, რისი ნახვაც უნდოდა, ანუ, ყოველ შემთხვევაში, ის, რისი ნახვის იმედიც ჰქონდა...



— დაცადე-მეთქი — უთხრა კვინტიმ. ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა. არც ხმისთვის აუწევია, ხმა დაძაბული და ხრინწმორეული:— ხომ გეუბნები ყველაფერი ისევ თავიდან უნდა მოვისმინო, ფიქრობდა იგი, ყველაფერი ისევ თავიდან უნდა მოვისმინო-მეთქი ყველაფერი რაც გაგონილი მაქვს და ყველაფერი გავიგონებ და მეტს აღარც არაფერს გავიგებ მხოლოდ ამას გავიგებ და მეტს არც არაფერს გავიგებ მხოლოდ იმას გავიგებ მარადდღე და ღამე-ღამე არავინ იცოცხლებს მამაზე მეტს არც მეგობარი და არც პატივმოყვარე მოვიდა ის კაცი და ნახა, საჭირო აღარც იყო სიტყვა და გაფრთხილება, მაშინაც კი, ბ-ნ კომპსონის აზრით, ჯუდიტს რომ მიეწერა მისთვის, შეეტყობინებინა მისთვის, დამარცხებული ვარო; ხოდა, ასე დახვედრია ეს გოგო (ვისაც, მისს კოულდფილდის სიტყვით, არც შეეძლო გლოვა) მამას, არც განრისხებული, არც სასოწარკვეთილი, რასაც იქნებ მოელოდა ეს კაცი, თუმცა კი, როგორც უთქვამს ბ-ნ კომპსონს, სულ ცოტათი იცნობდა, სულ ცოტათი შეესწავლა ქალის ბუნება. ასე იყო თუ ისე, ნამდვილად არ ეგონა, თუ ასეთი ცივი სიმშვიდით დახვდებოდა ეს გოგო, როგორც მისს კოულდფილდმა თქვა, ხოდა, შეხვდა მამას, აკოცა მამამ, ორი წლის წინათ რომ აკოცა, ისე, შუბლზე; ხმა მისი, საუბარი მისი წყნარი იყო, დინჯი, თითქმის აუღელვებელი: „რაო?...“ „დიახ, ბენრიმ მოკლა“, შემდეგ ცრემლები წასკდა წამით და მყის გაუშრა, თითქოსდა მცირეოდენი ნესტი ჰქონოდა პატარა ფურცელს ან სიგარეტის ქალაქს, რომელსაც ადამიანის სახე მიეღო. „ოჰ, კლიტი, ოჰ, როუზა... გამარჯობა, უოშ. ვერ გადავდდი შორს იანკების ხაზს იქით, კი, დაგპირდი, მაგრამ ვერ ჩამოგიტანე იმ ფრაკის კალთის ნაჭერი“; ხოდა, ხორხოცი, ფრუტუნი მოიხმა (ჯონსისა), ბუბუყი იმ ოდინდელი წარუვალი ჭუჭყისა, მეტყველების უნარით რომ არის დაჯილდოებული და რომელიც, ასე უთქვამს ბ-ნ კომპსონს. კიდევ მრავალ დამარცხებასა და გამარჯვებას მოესწრება: „კი, პოლკოვნიკო, იმათ კი დაგვხოცეს, მაგრამ ვერ დაგვმარცხეს, არა?“ ეს იყო და ეს, დაბრუნდა ის კაცი, სახლში იმყოფებოდა ისევ და უნდა აჩქარებულიყო, რათა თავად დროისათვის გაესწრო. აღარც კი აღარდებდა ახლა, თქვა ბ-ნმა კომპსონმა, ეყოფოდა თუ არა ვაჟკაცობა, ნებისყოფა და მოხერხებულობა. აღარც კი აეჭვებდა, შესწევდა თუ არა ძალა, რომ მესამედაც დაეწყო ყველაფერი თავიდან. მხოლოდ დრო ახსოვდა, ისღა აღარდებდა, რომ მოესწრო იმისი დაბრუნება, რაც დაეკარგა ძვირფასი იყო მისთვის ყოველი წამი. ნებისყოფაცა და მოხერხებულობაც გამხდარა მისთვის ძვირფასი, მაგრამ ნამდვილად არ უნდოდა დაეჭვებინა, რომ ნებისყოფის და მოხერხებულობის წყალობით არ დაკარგავდა იმ ბედს, თავისით რომ მოსდგომოდა კარზე; შეიძლება მოხერხებულობა ნაკლებად დასჭირებოდა ამ დროს, მთავარი მისი ვაჟკაცობა იყო, და კიდევაც შეძლო მისს როუზაზე დაწინდვა სამი თვის შემდეგ ჩამოსვლის დღიდან, და ეს ქალი ჯერ კიდევ კარგად ვერ მიმხვდარიყო, თუ რა იყო მის თავს... მისს როუზა-მეთქი, პირველი მოწაფე და სულისჩამდგმელი ეშმათა განდევნის კულტისა და ამ პირველი მოწაფის მთავარი საგანი (რომ არა ვთქვათ, მსხვერპლიო) ის კაცი იყო, ვინც მასზე ჯერ კიდევ მანამ დაიწინდა, სანამ მის სახლში ყოფნას შეეჩვეოდა — დიახ, უფრო თავისი ვაჟკაცობის წყალობით შეძლო ეს, მოხერხებულობაც გამოადგა, ის მოხერხებულობა, რომლის შესაძენად მთელი ორმოცდაათი წელიწადი წვალობდა, ის მოხერხებულობა-მეთქი, რომელიც უცებ ჩაინავლება და განქარდება, ხან კი ამოიზრდება და იჯეჯილებს მსგავსად იმ მარცვლისა, ყამირ მიწასა ან რკინასავით მაგარ გორახში რომ ჩაუგდიათ. თავისი სახლი რომ დაი-



რა, თითქოსდა ის გაუთავებელი გზა გააგრძელა ვირჯინიიდან წამოსულმა, წამით შეეცვნა. და არა იმიტომ, იჯახს მისაღმებოდა, ჯონსისას წავიდა და ბალახმოდებული მინდვრებისა და მინგრეული ღობეების დასათვალისწინებლად წამოათრია ის კაცი, ხელში შეაჩერა ნაჯახი თუ წერაქვი, ამ დროს შენიშნა სწორედ ის სუსტი, ის მოწყვლადი ადგილი მისს როუზას უბოროტების მიუვალ ციხესიმაგრეში და კიდევაც მიიტანა იერიში, მაშინვე აიღო ეს ციხესიმაგრე, თავისი ძველი უფროსის დარად (მისისიპის უფროსის კოსონის კორპუსში შედიოდა ერთ დროს) რაღაც უწყალო ფონდი მოიშველია, მაგრამ იმისმა მოხერხებულობამ ისევ უძებნო. კისერი მოიტეხა, დაინთქა ლოგიკისა და ზნეობის იმ ოდინდელ ქანცის გამომღევ ჭიდილში, რომელმაც ერთხელ უკვე განაცდევინა მარცხი, და ვინ იცის, რა დღე იყო, რომელ გავლებულ კვალში შედგა და შემდეგი ნაბიჯის გადასადგმელად ფეხაწეული გაქვავდა, წამით უგრძნობელი ხელი გაუშვა გუთნის უგრძნობელსავე სახელურს ან ღობიდან აგლეჯილი სარი გაუშეშდა ჰაერში, უცებ წონადაკარგული მოეჩვენა მის კუნთებს ეს ტვირთი, და მაშინ მიხვდა, საქმე ის კი არ იყო, რომ ჩვეულებრივი ცოტაოდენი დრო დარჩენოდა, არამედ ეს ცოტაოდენი დრო როგორღაც ზებუნებრივად შეკუმშულიყო — სამოციანთის გადაებიჯებიან უკვე და ერთი ვაჟი თუ ეყოლებოდა აწი, ისიც, თუკი გაუმართლებდა, მისი სხეულის წიაღ აღარც იქნებოდა ერთი ვაჟის მეტი; იქნებ სწორედ ასე გრძნობს ძველი ზარბაზანი, ერთი გასროლა რომ დარჩენია. ხოდა, კიდევაც შესთავაზა იმ ქალს ის, რაც უნდა შეეთავაზებინა. იმ ქალმა კი ჰქნა ის, რაც უნდა ექნა და რაც ამ კაცსაც უნდა სცოდნოდა და ალბათ იცოდა კიდევაც, მაგრამ მთლიანად ჩაფლულიყო ჭაობში თავისი ზნეობისა, რომელსაც, მართალია, წესრიგში ჰქონდა ყველა ნაწილი და მაინც შეეწყვიტა სვლა, მოძრაობა. ხოდა, ცოლობა სთხოვა იმ ქალს, მერე შეურაცხყო სამკვდრო-სასიცოცხლოდ და აღშფოთებისა და მრისხანების მორევში გააქანა, გარიყა მისს როუზა სატპენის ასეულიდან, საჰაერო ბურთივით გაბეროდა კაბა, თანაც ბუმბულივით მჩატე იყო და ასე მიქროდა დინებით გატაცებული, ქუდი კი (იქნებ ელენის ნაქონი იყო და მას მოეპარა სხევიდან) უცნაურად დაეკოსებინა თავზე გაფთრებულს. ის კაცი კი იდგა აღვირით ხელში და იქნებ ღიმილის მაგვარი დასტყობოდა წვეროსან სახეზე, თუმცა გაღიმებული არ უნდა ყოფილიყო, მძვინვარე ფიქრებისაგან სახე დაღმეჭოდა — ჩქარობდა, სხევიდან არ შეედლო, ერთი წუთიც არ უნდა დაეკარგა, თუმცა შიშს არ მოუცავს, არც მღელვარება დაუფლებია; ისღა იცოდა, დრო აღარ რჩებოდა, საბედნიეროდ, ჯერ მხოლოდ მსუბუქი ჭურვები ჰქონდა გამოყენებული სამიზნედ, და ის ძველი ზარბაზანი, ძველივე ლულითა და ლაფეტით ამ სროლას არ წაეხდინა; მაგრამ ვაითუ ამის შემდეგ აღარ ეყოს დენთი და ვერ მოახერხოს სამიზნეზე ვარჯიში და ვერც ნამდვილი ყუმბარის გასროლა; ცხადი იყო, რომ მოხერხებულობის, ვაჟკაცობისა და ნებისყოფის ძაფი ეხვეოდა იმავე კოჭზე, რაზედაც ეხვეოდა ძაფი მისი დარჩენილი დღეებისა, და ეს კოჭი სულ ახლოსაა მასთან და საკმარისია ერთი კი გაიწვდინოს ხელი, რომ მისწვდეს კიდევაც. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ეგრძნო ნამდვილი მღელვარება, რადგან ყოველივე ეს (მისი ლოგია, ოდინდელი ზნეობა, აქამდე სულმუდამ რომ იყო მისი მწე და მშველელი) უკვე გადაქცეულიყო იმ ნათელ მაგალითად, რომელიც ცხადლივ უმტკიცებდა მას, მართალი ხარო შენ; სწორედ ასე იცოდა მან, და ამიტომ რაც მოხდა, სიზმარი იყო მხოლოდ, არც არაფერი მომხდარიყო სინამდვილეში.

— არა, — მიუგო შრივმა, — დაიცადე, მეც მათქმევინე ორიოდ სიტყვა.



ის უოში ხომ გახსოვს. ის (ეშმა) ცხენზე, იმ თავის საბრძოლო რაშზე იჯდა, ხმალი ქარქაშში ჰქონდა ჩაგებული. ნაცრისფერი ფორმის სამოსელი მშვიდად მოედოდა, როდის შეინახავდა ჩრჩილის დასაჭმელად, ყველაფერი დაჯარგა და პათვის აყრის, შერცხვენის მეტი არაფერი დარჩენოდა და უცბად შრის. მა ხმა მისი ერთგული მესაფლავისა, ვისაც უნდა გაეხსნა ტრაგედია და დაეხურა კიდევაც. კულისებიდან უნდა გამოსულიყო, შექნებოდა რაშ-აქვს, სწორედ ისე — „ღიახ, პოლკოვნიკო, დაგვხოცეს კია, მაგრამ ვერ დაგვამარცხეს, არა?...“ კაღნიერება არ ყოფილა არც ეს. ეს იყო მოჩვენებითი სითამამე, რომლის მიღმა სიუმაწვილე მორცხვად მაღავს თავის გრძნობებს, სწორედ ამან ამოადგმევინა ენა კვენტინს და ეს იყო მიზეზი მისი სევდიანი ფიქრებისა; და იმათ (ორივეს) ამიტომ გაებრტყელებინათ სიტყვა, ხუმრობდნენ ნაძალადევად, და ორივენი ნებისთ თუ უნებლიეთ, ამ ცივ ოთახში (სულ გამოცივებულიყო ახლა) ღრმა და ლოგიკურ მსჯელობას მისცემოდნენ, მათი საუბარი მეტწილად სატპენის ზნეობრივ არსსა და მისს კოულდფილდის ეშმალოგიას მოგვაგონებდა; სწორედ ზედგამოჭრილი იყო ამისათვის ეს ოთახი და უფრო მოხერხებულიც, სხვა რომელიმე ადგილი ვერც შეედრებოდა იმას. რადგან ყოველივე ეს (ლოგიკაცა და მსჯელობაც) სწორედ აქ იქნებოდა ნაკლებ საზიანო, ხოდა, ორივენი, როგორც მხარდამხარ უკანასკნელ ტრანშეაში მსხდომნი, ასე, ამბობდნენ, არა, არ გვინდაო კვენტინისეული მოჩვენება მისისიპიდან, ვისი საქმენიც ცხოვრებაში მცირეოდნავ თუ შეეფერებოდა ლოგიკასა და ზნეობას, ვინც ცალი ფეხით სამარეში მდგარმა სულაც უარყო ისინი და როცა მოკვდა, გულგრილი დარჩა იმათ მიმართ, გულგრილი კი არადა, შეუვალი, და ათასჯერ უფრო ძლიერი, სიცოცხლისუნარიანი შეიქნა კიდევ. გულშიაც არ გაუვლია კვენტინს, ჩემი წყენინება უნდოდაო შრივს, ხოდა, არც გაჩერებულა. ენაც არ დაბმია და ყოველგვარი მძიმის, ორწერტილისა და აბზაცის გარეშე განაგრძო შრივის მიერ გაწყვეტილი თავისი სიტყვა... — დასამიზნებლად აღარ გაუსვრია, ვაითუ ტყვია-წამალი აღარ მეუოსო, და პირდაპირ შედგომია საქნელს, სწორედ იმის მსგავსად, ბუჩქებში შემალული კურდღლის გამოგდება რომ უნდათ გორახებით. შეიძლება ეს იყო პირველი ასხმა იმ მძივებისა, რომლებიც მას და უოშს ჰქონდათ თავიანთ პატარა დუქანში, საიდანაც როცა ოფოფები წამოუვლიდა, გამოყრიდა ხოლმე მყიდველებს, ზანგებსა და შარახვეტია თეთრებს, დაკეტავდა კარებს და კარგა მაგრადაც გამოთვრებოდა. უოშს თავადაც შეეძლო იმ მძივების წაღებაო, თქვა მამამ; უოში ჭიშკართან მდგარა იმ დღეს, როდესაც სატპენი ომიდან დაბრუნებულა და პოლკთან ერთად ისევ წასულა. ასე ეუბნებოდა ის (უოში) ხალხს, პოლკოვნიკმა პლანტაციისა და ზანგების სამეთვალყურეოდ დამტოვაო აქ, და თავადაც დაუჭერებია ეს ამბავი მერე. მამაჩემის დედას ასე უთქვამს, სატპენის ზანგებმა პირველად რომ გაიგონეს იმ კაცის ნათქვამი, მდინარის ქვემოთ, მეთევზეთა ძველ სადგომისაკენ მიმავალ გზაზე გაუჩერებიათ მის შვილიშვილთან ერთად (ის გოგო მაშინ რვა წლისა იყო), სადაც დასახლების ნება მიუცია მისთვის სატპენს. ბევრი ყოფილან ის ზანგები და ყველას ვერ მოერეოდა და ვერც გაბედავდა მათ ცემას, ხოდა, იმათ ასე უკითხავთ მისთვის, ომში რატომ არა ხარო, იმან კი მოაძახა, გზიდან გამეცალეთ, თქვენ შავდრუნჩიანებო! სიცილი დაუწყიათ იმათ მის თვალწინ და ერთმანეთს ასე ეკითხებოდნენ (ერთმანეთს კი არა, თავად მას), ვინ ხარ შენ, შავდრუნჩიანებს რომ გვეძახიო? ის კი ჭოხით მივარდნილა მათ, მცირეოდნავ უკან დაიხიეს ზანგებმა, გაუცინიათ, კი არ გაბრაზებულან. მას ისევ მოჰქონდა თევზი, ნანადირევი



(იქნებ მოპარულიც) და ბოსტნეული სატპენისა, სხვა რამე საჭმელი აღარც ჰქონდათ ქ-ნ სატპენსა და ჭუდიტს (ასევე კლიტისაც), მშვიდრები იქნებოდნენ უიმიხოდ; კლიტი კი სამზარეულოში არ უშვებდა იმ კაცს, მიუხედავად იმისა, რომ ის კალათით იყო მოსული, ასე ეუბნებოდა: „მანდ დადექ, თეთრთ კაცო. მანდ დადექ-მეთქი. პოლკოვნიკის დროს არ გადმოგიბიჭებია ამ სახლის ზღუდრებზე და ვერც ახლა გადმოაბიჭებ“. სწორედ ასე იყო ~~მშვიდრები~~ და მამამ თქვა, ცოტათი თავი მოჰქონდა კიდევაც იმ კაცს იმით, რომ ~~მშვიდრები~~ სდროს უცდია იმ სახლში შესვლა, თუმცა კი სჯეროდა, მომენდომებინა და სატპენი უარს არ მეტყოდაო; თითქოსდა (თქვა მამამ) ასე ამბობდა გულში იმ სახლში რომ არ შევდივარ, მიზეზი ის კი არ არის, რომ ვიღაც ყორანივით შავი ზანგი მეტყვის, ნუ შემოხვალთ აქ, არ მინდა ჩემი გულისათვის ბატონმა ტომმა ზანგები გალანძლოს ან თავისი ცოლის ლანძღვა მოისმინოსო ჩემი გულისათვის. მაგრამ კვირაობით, საღამო ხანს, ისინი სვამდნენ ვაზის თალარში, სხვა დღეებში კი ის უყურებდა სატპენს (წარმოსადგე მამაკაცს, როგორც თავად ეძახდა მას), ვინც შავრა ცხენს პლანტაციებში დააქროლებდა, და ამ დროსო, თქვა მამამ, უოშის გულს ეუფლებოდა სიმშვიდე და სიამაყე და ვინ იცის, ასე ფიქრობდა კიდევ, რომ ეს ქვეყანა, სადაც ზანგები, რომლებიც, ბიბლიის მიხედვით, ღმერთს დაუწყევლია და თეთრი ხალხის პირუტყვებად და მონებად შეუქმნია, უკეთ ცხოვრობენ, სახლიც კარგი აქვთ და უკეთაც იცვამენ, ვიდრე თავად ის და მისი შვილიშვილი, სადაც უველგან სდევთ მათ დამცინავი და დამამცირებელი ექო ზანგების ხარხარისა, ეს ქვეყანა ბინდისნაირი ზმანებაა და მეტი არაფერი, ხოლო ნამდვილი ქვეყანა ის არის, სადაც ამ მართლმართლ კაცის ოცნება (ასე თქვა მამამ) მშვენიერ ბედაურზე ამხედრებული დაჰქრის და იქნებ, თქვა მამამ, რაკილა საღვთო წიგნებშია ნათქვამი, ყოველსა კაცს მოსცის მას გვამი, ვითარცა უნებნ, და თვითოეულსა თესლსა თვისი გვამი, და რაკი ღმერთის თვალში უველა თანასწორია, ანუ, ყოველ შემთხვევაში, ასეთი უნდა იყოს, ამიტომ შესცქეროდა სატპენს და ფიქრობდა, მშვენიერი ამაყი კაცი. თავად მამაშეცხიერიც რომ ჩამოსულიყო მიწაზე, ალბათ მოისურვებდა, ნეტავი მეც ასეთი ვიყოო. შეიძლება სწორედ მან წაუღო პირველი ასხმა მძივებისა, თქვა მამამ, და უველა ლენტი ამ სამი წლის მანძილზე — როდესაც გოგო სწრაფად ქალდებოდა, ხანდახან რომ იცოიან გოგოებმა, ისე — ასე იყო თუ ისე, ნაცნობი იყო მისთვის ის უველა ლენტი, ამ გოგოს რომ დაებნია, მაშინაც კი, ტყუილს რომ ეუბნებოდა გოგო, იქიდან კი არა, აი, აქედან და აქედან მაქვსო, თუმცა ცდილობდა ტყუილი არ ეთქვა. კი უნდა სცოდნოდა ამ გოგოს, რომ ბაბუამისი დღენიადაგ უმზერდა ამ ლენტებს დახლზე გამოფენილს სამი წლის მანძილზე და ისევე კარგად სცნობდა, როგორც საკუთარი ფეხსაცმლის ზონრებს. და არა მარტო იგი სცნობდა, სხვანაც, მუშტრებიცა და უსაქმურებიც, თეთრებიცა და შავებიც, რომლებიც ისხდნენ თუ ჩაცუცქულიყვნენ დუქნის დაბალი აივნის სიახლოვეს და უთვალთვალდნენ აქეთ გამოვლილ გოგოს; და მთლად უტიფარი, შეჩქვიფებული არის და ცხვირიც აუბზეკიაო ამ თავისი ლენტებით, ამას ვერ იტყოდით, მაგრამ კი ეტყობოდა რაღაც ამდაგვარი და წარმოეჩინა კიდევაც თამამად, ქუმ-ქუშად და შიშითაც. მამამ თქვა, იმხანად უოში ჭერ კიდევ გულდაწყნარებული იყო, თუმცა ცოტათი კი შეშფოთდა, როდესაც კაბა დაუნახა და ჰკითხა, საიდან გაქვსო, და უხმენდა ამ გოგოს მისი იდუმალი, უტიფარი, შეშინებული სახის მაცქერალი (ჭერ კიდევ, ვიდრე ჰკითხავდა, დაუინებოდა და ჩქარ-ჩქარა მიაყარა მან სიტყვები), მისს ჭუდიტის ნაჩუქარია, იმანვე მო-



მარგოც ეს კაბა ტანზე; და ასე თქვა მამამ, იქნებ ის კაცი მიხვდა ყველაფერს, თავში გაუფელვა. იმ აივანთან მჭდომარეთ რომ ჩაუვლიდა, ისინი მასაც გამოაყოლებდნენ თვალს და უკვე იცოდა ის, რაც სწორედ ამ წუთას გაიფრქვა მან და რასაც ისინი, იქ მჭდომარენი, ფიქრობდნენ ალბათ. მაგრამ მამამ ასე თქვა, ჭერ კიდევ გაულდამშვიდებული იყო, ახლაც კი, და თუკი უპასუხა, ასე უნდა ეპასუხა უსათუოდ, ახსნა-განმარტებანი და თავის მართლებას რომ შეაწყვეტინა ამ გოგოს: „კარგი-მეთქი, თუ პოლკოვნიკმა და მისს ჭუდიტმა შენი დასაჩუქრება მოისურვეს, მგონია, კი გადაუხდომი მადლობას“. არ შემოთქვამო, თქვა მამამ, მხოლოდ ჩაფიქრდა და მოიღუშა; და მამამ თქვა, როცა იმ საღამოს შენი ბაბუა სატპენის სანახავად წავიდა, დუქნის უკანა მხრიდან ხმები მოესმა, ცოტა კიდევ წაიწია და ვიდრე გაიგონებდნენ, იგი რომ სატპენს უხმობდა, თავად მოუსმენია რაღაც-რაღაცები. ბაბუას არ შეეძლო დაენახა ისინი, ჭერ კიდევ არ მიახლოებოდა იქაურობას, საიდანაც იმათ შეეძლოთ მისი ძახილის გაგონება; ბაბუას უთქვამს, უკვე ზუსტად ვიცოდი, თუ რა ხდებოდაო იქ: სატპენმა უთხრა უოშს, ბოცა მოიტანეო, იმას კი რაღაც უთქვამს, და როცა სატპენი მიტრიალებულა მისკენ, სანამ უოშის სიტყვების მნიშვნელობას გაითავისებდა, მიმხვდარა, უოშს არ უნდაო ბოცას მოტანა. ხოდა, როცა გაიგო იმ სიტყვების მნიშვნელობა, მისკენ ნახევრად შებრუნებული უცებ უკან მიაწყდა, თავი წამოსწია და უოშს დააწყერდა, უოში კი იდგა მის წინაშე, მორჩილების რამე ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა; სატპენს უკითხავს, რაო, რა თქვიო კაბაზე, ბაბუას უთქვამს, მკვეთრად და მკვახედ უოშის კი არა, სატპენის ხმა ეღერდაო; უოშს აუზღვრევლად და წყნარად წარმოუთქვამს, საწყალობლად კი არა, მოთმინებითა და ნელა: „ოცი წელი იქნება უკვე, რაც მე გიცნობთ. თქვენს ნათქვამს მე ყოველთვის ვასრულებდი. ახლა უკვე სამოცზე მეტისა ვარ. ის გოგო თხუთმეტი წლისა თუ იქნება“. და სატპენმა მიუგო: „რაო, გგონია, მე იმ გოგოს ვაწყენინებ? მეც ხომ შენი ხნისა ვარ“, უოშმა კი: „თქვენ რომ სხვა ყოფილიყავით, მაშინ გეტყოდით, ჩვენ ერთი ასაკისანი ვართ-მეთქი. და გინდ მოხუცი იყოს, გინდ არა, იმ გოგოს არ დავანებებდი მისთვის კაბის ან სხვა რამის გამორთმევას. მაგრამ თქვენ სხვა ხართ“ და სატპენმა: „რას ნიშნავს — სხვა?“ ბაბუას უთქვამს, უოშს ამაზე არ უპასუხნია, და მან ისევ გასძახა იმათ, ისევ ვერ გაუგონიათ მისი ძახილი; სატპენმა კი ასე უთხრა, ჩემი შიში ამიტომ ხომ არა გაქვსო? უოშმა კი უთხრა: „მე არ მეშინია... რადგან თქვენ მამაცი ადამიანი ხართ. თქვენს სიცოცხლეში რაღაც ერთი წამით ან წუთით, ან საათით კი არ ყოფილხართ მამაცი და ამიტომაც არ მიიღეთ ქალაღდი სიმამაცისათვის გენერალისაგან. მამაცი, ხართ და მორჩა, ეს ისეთივე ბუნებრივად მოგდგამთ, როგორც ის, რომ ცოცხლობთ და სუნთქავთ. სწორედ ამიტომ ხართ სხვანაირი. და ამის დასტურად მე არც მჭირდება რამე საბუთი და ისიც ვიცი, თქვენ რომ რამე მოინდომოთ, გინდ ერთი პოლკი ჯარისკაცები იყოს, გინდ ბრიყვი გოგო და მეძებარი ძაღლი, მაინც აისრულებთ თქვენს სურვილს“. შემდეგ ბაბუას გაუგონია, სატპენი ზეზე წამოვარდნილა ხმაურით, და ასე უთქვამს ბაბუას, ალბათ ჩახვედრა უნდოდა უოშის აზრებისაო. მაგრამ ესლა წარმოთქვა სატპენმა: „წადი, ბოცა მოიტანე“. — „დიახ, პოლკოვნიკო“, უპასუხა უოშმა.

ხოდა, ის კვირადღეც დადგა, — ერთი წელიწადი იყო გასული ამ დღის მერე, ხოლო სამი წელიწადი მას შემდეგ, რაც მან მისს როუზას შესთავაზა, მოდი ვცადოთ და თუ კი ბიჭი გვეყოლება და ცოცხალი დარჩება, ჯვარი



მერე დავიწეროთ. დილაბნელი იყო ჯერ კიდევ და მის ფაშატს შავრა ულა-  
 ყისაგან კვიცი უნდა მოეგო, გათენებამდე გამოსულა ამიტომ იმ დღეს სახ-  
 ლიდან, ჯუდიტს ეგონა, საჯინიბოში წავიდაო. თუ რა სცოდნია ჯუდიტს თავი-  
 სი მამისა და უოშის შვილიშვილის შესახებ, არავინ იცოდა, არც კი სცოდ-  
 ნენ თუ რა შეეძლო გაეგო იმას ნებისთ თუ უნებლიეთ კლიტისაგან, ვისაც უფ-  
 რო მეტი უნდა სცოდნოდა იმ ამბებისა, (ან რაც შეეძლო მოეთხრო ან არ  
 მოეთხრო ჯუდიტისათვის), რადგან ყველა, თეთრებიცა და შავებიც იმათ მე-  
 ზობლად ბევრს ხედავდნენ, და როგორ გამოეპარებოდათ, თუ საიდან მომ-  
 ქონდა ის ლენტები და მძივები იმ გოგოს; არავინ იცოდა, რისი დანახვა არ  
 უნდოდა ჯუდიტს, როცა იმ კაბას უკერავდა და აწოებდა (მამამ თქვა, მართ-  
 ლაც დაეწყო ჯუდიტს ჭრა-კერვა, იმ გოგოს უოში არ მოუტუხებია, მთელი  
 კვირა მე და ჯუდიტი ერთად ვიყავითო სახლში, რა უნდა ელაპარაკათ იმათ,  
 რა უნდა ეთქვა ჯუდიტს ამ გოგოსთვის, როდესაც იგი მის წინ იდგა იმ ჩაც-  
 მულობით, რისთვისაც შეიძლებოდა პერანგი დაგვერქმია, იდგა დაღვრემილი,  
 უტიფარი, იდუმალი სახით, რა უნდა ეპასუხნა, რა უნდა მოეთხრო მას, რისი  
 გაგონებაც უნდოდა თუ არ უნდოდა ჯუდიტს, ეს არავინ იცოდა). ხოდა, ის  
 კაცი სადილზეც რომ აღარ მობრუნებულა, თავად წავიდა ან კლიტი გაგზავნა  
 საჯინიბოში და გაიგო, ფაშატმა კვიცი მოიგო ღამით, მამამისი კი არ უოფი-  
 ლა. მხოლოდ საღამო ხანს ნახა ვიღაც ბიჭი, ხურდა ფული მისცა და უთხრა,  
 მეთევზეთა ძველ სადგომში მიდი და ჰკითხე უოშს, სატპენი ხომ არ გინახავსო.  
 ხოდა, იმ ბიჭმა სტვენა-სტვენიტ შემოუარა დამპალი ქოხის კუთხეს და იქნებ  
 პირველად ის ცელი დაინახა ან გვამი კაცისა იმ ბაღახებში, უოშს რომ არ  
 მოუცვლია, შეჰყვია, აიხედა და უოშს მოჰკრა თვალი სარკმელში, იმას  
 უთვალთვალებდა ის კაცი, მერე კი, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ დაი-  
 ჭირეს ის ზანგი ბებიაქალი, ხოდა, იმან თქვა, არც კი ვიცოდი, უოში თუ  
 იყო იქ; დილაბნელი იყო მაშინ, ცხენის ფეხის ხმა რომ გაიგო, მერე სატპენის  
 ნაბიჯებიც შემოესმა, შემოვიდა ის კაცი და გაჩერდა იმ ლეიბთან, სადაც  
 გოგო და ჩვილი იწვნენ და ასე თქვა: „პენელოპემ (იმ ფაშატს ასე ერქვა)  
 კვიცი შვა ამ დღით. უკეთესს რას ნახავ. ძალიანაც დამსგავსებია თავის მა-  
 მას. იმ ცხენით მე ჩრდილოეთს გავემგზავრე 61-ში. ხომ გახსოვს?“ და იმ ზან-  
 გის დედაკაცმა ასე უპასუხა, დიახ ბატონო. მერე მათრახი გაიშვია ლეიბის-  
 კენ და თქვა: „რამ? ჯოჯოხეთის მუგუზალო, რას იტყვი: ულაყია თუ ფაშატი?“  
 და როცა იმ ზანგის დედაკაცმა უპასუხა, წუთით გარინდებული იდგა, ფეხ-  
 თან მათრახი დაუშვა, მზის სხივებს შემოეტანებინა შეუღლებავ კედლებში და  
 დასცემოდა მის ქალარა თმას, წვერსაც, რომელშიაც თეთრი არ გამოჩნდოდა;  
 ხოდა, ასე უთქვამს იმ ზანგის დედაკაცს, დავინახე მისი თვალები და წვერში  
 მოელვარე კბილები და მიხლოდა გავქცეულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი, ფე-  
 ხები წამერთვა და რაღას ვიზამდიო; დახედა იმან ლეიბზე მწოლარე გოგოს  
 და უთხრა: „რას იზამ, მილი, ფაშატი შენ არა ხარ, თორემ კარგ ბაგას მი-  
 გიჩენდი საჯინიბოში“, მიტრიალდა და წავიდაო. საძრაობა ისევ წართმეული  
 ჰქონდა და ვერც გაუგია, უოში რომ გარეთ იყო გასული; სატპენის ნათქვა-  
 მილა გაუგონია მხოლოდ: „იქით გადი, უოშ, არ გაბედო“. მერე უოშს უთქვამს  
 ჩუმად, ხმადაბლა, ძლივსლა გაუგონია იმ დედაკაცს მისი ხმა: „კი გავბედავ,  
 პოლკოვნიკო“; სატპენმა კვლავ მიამახა: „მანდ დადექ-მეთქი, უოში!“ — ბრა-  
 ზით წარმოუთქვამს უკვე, მათრახის ხმა კი გაუგონია იმ ბერიქალს, სახეზე  
 გადაუკრავს მისთვის სატპენს, მაგრამ ცელის გაწივლება გაუგონია თუ არა.



ეს უკვე აღარ ახსოვდა, რადგან იმწუთას ღონეზე მოსულა, გამოვარდნილა ქოხმახიდან და შამბნარში გადაშვებულა კისრისტეხით...

— დაიცადე, — უთხრა შრივმა, — დაიცა-მეთქი. იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ იმას აგრე სასურველი ვაჟი გასჩენოდა და მაინც...

— ...ჩერ კიდევ შუალამემდე გაუფლია სამი მილი იქნებ და იქნებ იმ ზანგის დედაკაცის მოსაყვანად, მერე კი იქდა მიდრინკულ აივანზე, ვიდრე არ გათენებულა და იმის შვილიშვილს კივილი არ შეუწყვეტია ქოხში, სატპენის მომლოდინეს ერთხელ ბაღლის ტირილიც გაუგონია. და მამამ თქვა, მაშინაც გულდაწყნარებული იყო, თუმცა კი იცოდა, დაღამდებოდა თუ არა, იმ მხარის უველა ქოხმახში დაიწყებდნენ ლაპარაკს, ხწორედ ასევე იცოდა მან, თუ რას ლაპარაკობდნენ იმ უკაცნასკნელი ოთხი თუ ხუთი თვის მანძილზე, როდესაც მისი შვილიშვილის ამბავი (რომლის დამალვაც არც არასდროს უცდია მას) საეჭვო აღარ იყო: ბოლოს და ბოლოს უოშ ჯონსმა ხელთ იგდო ის ბებერი სატპენი, მართალია, ოცი წელიწადი დასჭირდა ამისათვის, მაგრამ ბოლოს გამოიჭირა ბებერი სატპენი, ველარც გამოიხსნიდა თავს ისე, თუ ხორცის ნაჭრებს არ შეატოვებდა. ან თუ საშველად არ მოუხმობდა ვინმეს ხოდა, ასე ფიქრობდა იგი, თქვა მამამ, კიბის სიახლოვეს მდგომი, როცა იმ ზანგის დედაკაცმა დაითხოვა, გამოავლო, იქნებ იმ ბოძსაც კი მიურდნობოდა, სადაც უკვე ორი წელიწადი ის ცელი ჟანგდებოდა, მისი შვილიშვილი კი დროის თანაბარ მონაცვეთში წამოიკივლებდა ხოლმე, მაგრამ ის კაცი მაინც გულდაწყნარებული გახლდათ, არც შეშფოთებული და არც თავზარდაცემული; და მამამ თქვა, ასე მდგომარე ბინდისნაირი ფიქრებით მოცულიყო (ზნეობის მხრივ თითქმის სატპენის დარი კაცი იყო და გული ასე კარნახობდა, მართალი ხარ, მიუხედავად ადათ-წესებისა და უველაფრისაო), და ეს ფიქრები როგორღაც შერთვოდა, დაკავშირებოდა გაჭენებული ცხენის ფლოქვების თქარათქურს იმ მშვიდობიან დროსაც, რომელიც უკვე არც აღარავის ახსოვდა, ხოლო ომის მეუფების იმ ოთხი წლის მანძილზე, შინ რომ გაეტარებინა, ხსენებული ჭენება უფრო ხელაღებული და ომახიანი შექმნილიყო — და მამამ თქვა, იქნებ ამან მიაკვლევინაო პასუხს, იქნებ ამ თქარათქურმა ჩამოარღვია დილაბნელის ხანს შეყვითლებული ზეცა და წარმოაჩინა მშვენიერი, მედიდური სახე კაცისა, მშვენიერ მედიდურ ულაყზე რომ ამხედრებულიყო, და უცებ ნათელი მოიღეს ბინდისნაირმა ფიქრებმა და აღარც სჭირდებოდა თავის მართლება, ახსნა-განმარტება, ხვეწნა-მუდარა და, ასე თქვა მამამ, უნდა მიეღწია ზეობის ყოველივე ადამიანური ჭუჭყისაგან განწმენდილ მის ეულ, ნათელი ოცნების საგანს: იმასთან იანკები რას მოვა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენებსა და ჩვენაირებს ხოცავდნენ, ცოლი მოუკლეს, ქალიშვილი დაუჭვრივეს, საბლიდან ვაჟი გააძევეს მისი, წაპგვარეს ზანგები და გაუპარტახეს მამული; იმასთან რას მოვა მთელი ოლქიც, რომლის გულისთვის ის იბრძოდა, მაღლობის მაგიერ კი სოფლის პაწაწინა დუქანია გაახსნევინეს, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო; იმასთან დამცირება და გაჭირვება რას მოვა, რამაც ბოლომდე შეასმევინა სასუმელი ესე, როგორც ბიბლიაშია ნათქვამი. და განა შეიძლება, რომ მე, ვინც უკვე ოცი წელიწადია მის გვერდით ვცხოვრობ, ისევ ისეთივე ვიყო და არ გამოვიცვალო სრულიად? დაე ვერ ვიყავი მისნაირი და იმასავით ვერ დავაჭენებდი ცხენს, მაგრამ მაინც უველგან დავყავდი, სადაც ის დადიოდა. მე და იმას კიდევ ბევრის ქმნა შეგვიძლია და ვიზამთ კიდევაც, ოღონდ კი მითხრას, როგორ და რანაირად; და



იქნებ ის იქვე იდგა და ხელში აღვირი ეკავა, როდესაც სატპენი ბედაურიდან ჩამოხდა და ქოხში შევიდა, ყურებში ისევ თქარათქური ესმოდა. ხედავდა მედიდურად მიმქროლავი მხედრის სახეს, რომელიც ზოგჯერ ბინდით შეიმოსებოდა და ისევ გამოჩნდებოდა იმ ჯაღოსნურ ორომტრიალში, რაც წლებს, დროების მდინარებას შეუქმნია; დაბოლოს მიატანს ზეონის მწვერვალს და უკვე იქ მიაჭენებს დაუღლეელად და წინწაუწევლად; მაშად, მაშად უკვდავ მხედარს ხმალი აუქნევია ტუვიით დაცხრილული დროშების ქვეშ, თითქოს და ჭექა-ქუხილით რომ ჩამოშლილან აელვარებული ზეციდან, იდგა იქ და ესმოდა, როგორ მიესალმა, მოიკითხა და გამოემშვიდობა მის შვილიშვილს სატპენი, და მამამ თქვა, იმ წუთას უოშმა რომ დაინახა მათრახით ხელში სახლიდან გამომავალი სატპენი, თითქოს მიწა გამოეცალა ფეხქვეშ და სიზმარეულივით ასე გაიფიქრა, ვერ გავიგონებდი იმას, რაც გავიგონე, ვერამეთქი, ასე ფიქრობდა, აი რას გამოუგდია შინიდან. კვიცი აღარდებდა თურმე. მე კი არა, არც ჩემი სისხლი და ხორცი, თავის საკუთარ ბაღსაც არ წამოუგდია იგი ლოგინიდან მიწას ველარ გრძნობდა ფეხქვეშ და იქნებ საკუთარი ხმაც არ გაუგონია, როდესაც სატპენმა სახეში შეხედა (იმ კაცს, ვინც ოცი წალიწადია ისდა იცოდა, იმის ბრძანებას ვერ გადავიდოდა მისივე ულაყის მსგავსად) და შეჩერდა: „რაო, ფაშატი რომ იყო, საჭინიბოში ბაგას მიგიჩენდიო“. იქნებ არც კი გაუგონია, თუ როგორ მოუჭრა სატპენმა მკვეთრად და მწარედ, იქით გადი, არ გაბედოო, მაგრამ კი უნდა გაეგონა ეს, რაკი ასე უპასუხა: „კი გავბედავ, პოლკოვნიკო“, და სატპენმა ისევ მიაძახა: „იქით-მეთქი, უოში!“ იმ ბერიქალს ამის მერე გაუგონია მათრახის ხმა. ორჯერ გადაუჭერია იმისთვის მათრახი, ორი ზოლი უნახავთ იმ ღამით უოშის სახეზე. იქნებ ამ ორმა დარტყმამ სულაც ძირს დასცა ის კაცი და იქნებ წამოდგომის ხანს ხელში ის ცელი მოხვდა...

— დაიცადე, — უთხრა შრივმა, — ღვთის გულისათვის, დაიცადე-მეთქი. იმის თქმა ხომ არ გინდა...

— ...მთელი დღე სარკმელთან იჯდა და გზას გასცქეროდა; შეიძლება ის ცელი იქვე დააგდო და სახლში შესულს იქნებ ლეიბზე მწოლარე შვილიშვილმა საწყალობლად ჰკითხა: რა ხმაურიო, იმან კი უპასუხა: „რაო? რა ხმაური უნდა იყოს, ბაბუ?“ და იქნებ შეეხვეწა, შეჭამეო რამე, ალბათ ქონი უნდა შეეთავაზებინა, შაბათ საღამოს რომ წამოუღია დუქნიდან ან იქნებ კაპიკიანი ძველი და დაცომებული, წებოსავით გადაქცეული კანფეტებით უნდოდა მისი მოხიბვლა, ზოლებიანი პარკიდან რომ ამოუღია ან იქნებ თავად შეჭამა და დაჯდა ისევ სარკმელთან, საიდანაც იმ ბაღასში გაშოტილი გვამისა და დაგდებული ცელის ზემოდან გზას გასცქეროდა. მაშინაც იჯდა იქ, როდესაც სტვენა-სტვენით იმ ბიჭმა სახლის კუთხე შემოიარა და დაინახა იგი სარკმლიდან გამომზირალი. და მამამ თქვა, იმწუთას მიხვდა ის კაცი, დაღამებისთანავე მოხდებოო მოსახდენი; იჯდა იქ და გრძნობდა, ცხადლივ ხედავდა, თავს იურის უკვე ხალხი ცხენებით, მეძებრებითა და თოფებით, ცნობის-მოყვარენი და შურისმაძიებელნი, სატპენის დარი ადამიანები, რომლებსაც ის სუფრაზე იწვევდა ხოლმე, მაშინ როდესაც მას (უოშს) თავის სახლში არ უშვებდა, ვაშის თაღარს არ გადმოაბიჯინებდა; ეს იყო ის ხალხი, ვინც წერილ-ფეხობას ხელმძღვანელობდა და ბრძოლაში მიუძღოდა მათ, ვისაც ასევე მიეღოთ გენერლებისაგან სიგელები, სადაც ნათქვამი იყო, ეძლევაო უმამაცესს მამაცთა შორის, რომლებიც იმ გარდასულ ხანს მედიდურად დააჯირითებდნენ



მშვენიერ ბედაურებს პლანტაციებში — აღფრთოვანებისა და იმედის სიმბოლოებს, იარაღს სასოწარკვეთილებისა და სევდა-ვარამის; ის ხალხი-მეთქი, რომლებსაც ის უნდა გაქცეოდა, თუმცა ალბათ ფიქრობდა, რომ სულ ერთი იყო მათ გაქცეოდა, თუ პირიქით, მათკენ გაიქცეოდა. მართლაც, გაბოროტებული, ბრაზმორეული აჩრდილების ერთ ჯგუფს რომ გაქცეოდა და მეორესკენ წასულიყო, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ისინი (ეს კაცები) ერთნაირები იყვნენ სუუველანი ამ მის ნაცნობ მიწაზე, და თანაც ის ხომ მოხუცი, დაჩაჩანაკებული იყო, სადღა უნდა გაქცეულიყო, მაინც ვერ გაქცეოდა იმათ, რაც უნდა დიდხანს ერბინა და რაც უნდა შორს გაქცეულიყო; სამოც წელს გადაცილებული კაცი შორს ვეღარ გაიქცეოდა, ისე შორს ვეღარ გაიქცეოდა, რომ დაეგდო საზღვრები დედამიწისა, სადაც ასეთი ხალხი ცხოვრობს და ამკვიდრებს ასეთ ადამ-წესებს; და მამამ თქვა, იქნებ სწორედ მაშინ მიხვდა პირველად თავის ცხოვრებაში, თუ რად შეძლო გამარჯვება იანკების თუ სხვა ჯარმა იმათთან — უსრულქმნილეს, გულამაყ და მამაც ხალხთან, რჩეულები რომ იყვნენ რჩეულთა შორის და გამოირჩეოდნენ ვაუჟაცობით, ღირსებითა და მედიდურობით. საღამოვდებოდა ალბათ, მზეს სხივები აეკრიფა და ალბათ გრძნობდა, კი უნდა იყვნენო ახლა ახლოს ისინი; მამამ თქვა, ალბათ ასე ეგონა კიდევაც, მესმისო იმათი ხმები, ჩურჩული, თუ რას იტყვიან ხვალ, ხვალ,ხვალ, იმ პირვანდელი მძვინვარების ჩათავეების შემდგომ: იმ მოხუცმა უოშ ჯონსმა თავისი წუთისოფელი მოჭამაო. ჩავიჭირო სატპენი, მაგრამ თავად სატპენს გაუცურებია იგი. კი იფიქრა, მე ჩავიჭერო იმას, მაგრამ თავად მოხუცი უოშ ჯონსი გაცურებულაო და მერე შეიძლება, თქვა მამამ, ეს სიტყვები ხმამაღლა წარმოუთქვამს კიდევაც, დაუყვირიაო: „მე ხომ არ მოველოდი ამას, პოლკოვნიკო! არც არასდროს-მეთქი, თქვენც ხომ იცით?“ მერე იქნებ მისი შვილიშვილი აწრიალდა და რაღაც ჩაილაპარაკა ისევ საწყალობლად, მივიდა იგი მასთან, დაამშვიდა, მოტრიალდა, საკუთარ თავთან ისევ საუბრობდა, ოღონდ ახლა ჩუმად, ფრთხილობდა, რადგან სატპენი სულ ახლოს იყო და შეეძლო უყვირილოდაც გაეგონა: არც არასდროს-მეთქი, თქვენც ხომ იცით. თქვენც ხომ იცით-მეთქი, რომ არც არასდროს მოველოდი, არც არასდროს მითხოვია და არც არასდროს მომნდომებია ასეთი არაფერი ვინმე სულიერისაგან, და არც თქვენგან მოველოდი ამას. და არც არასდროს მითხოვია-მეთქი. გულშიაც ვერ გავივლებდი, თუ ეს დამჭირდებოდა, თავს ესღა ვუთხარი რაღა საჭიროა. რაღა საჭიროა-მეთქი უოშ ჯონსისთანა კაცმა შეკითხვები მისცეს ან დაეჭვდეს იმ კაცში, რომლის სიმამაცე საკუთარი ხელით აღუნიშნავს გენერალ ლის? სიმამაცეო (იქნებ ახლაც არევია ჭკუა და ხმამაღლა წარმოუთქვამს) სიმამაცეო! ნეტა იმათაგანი ნურავინ დაბრუნებულიყო უკან წა წელს, და ფიქრობდა, კი აჯობებდა ნამდვილად იმნაირები და ჩემნაირებიც არ დაბადებულიყვნენ ამქვეყნად. კი აჯობებდა-მეთქი სხვა ყველა ჩვენნაირი, ვინც კი დარჩება, ალიგავოს პირისაგან მიწისა, როცა ვიღაც სხვა უოშ ჯონსმა თავისი სიცოცხლე აღარ იხილოს ცეცხლში დამწვარ-დადაგული ხმელი ფოთოლივით შემდეგ ისინი მოვიდნენ ცხენებით. მას შეეძლო კიდევაც გაეგონა გზიდან ჩამომაველთა ხმაური, ძაღლების ყეფა და ცხენების ფეხის ხმა, ფარნების შუქისთვისაც მოეკრა თვალი იმ სიბნელეში. ხოდა, იმხანად შერიფად მყოფი მაიორი დე სპეინი ჩამოხდა ცხენიდან და გვამი დაინახა, თუმცა კი მერე უთქვამს, უოში არ დამინახავს და არც ვიცოდით, თუ იქ იყო, ვიდრე მან პირდაპირ სარკმლიდან წუნარად არ დაუძახა: „თქვენა ხართ, მაიორო?“ დე სპეინმა უთხრა, აბა გარეთ გამო-



დღი, და ასე უამბუნია მერე, სულ ჩუმად, ჩუმად მიპასუხაო უოშმა, ამ-  
წუთას გამოვალ; სულ ჩუმად, მეტად წყნარად წარმოუთქვამს. ისე ჩუმად  
და ისე წყნარად, რომ, ასე უთქვამს დე სპეინს, ვერც კი მივხვდით, იმ წამს,  
თუ რა ჩუმად და წყნარად იყო ეს ნათქვამი: „ერთი წუთით. ერთი იმ წამს  
შვილიშვილს უნდა დავხედო“; „ჩვენ თავად დავხედავთ ემპერატორს“  
დე სპეინმა, — აბა გარეთ გამოდი-მეთქი“; „დიახ, მზამაღამ“  
რა უოშმა, — ამწუთას გამოვალ-მეთქი“. ხოდა, ისინი იდგნენ იმ ჩაბნელებუ-  
ლი სახლის წინ და მეორე დღეს, ასე თქვა მამამ, ასოდე კაც-  
მა გაიხსენა მისი სამართებელივით გაღესილი და გადამალული საყასბო  
დანა, მის მოუწესრიგებელ ცხოვრებაში ერთადერთი ნივთი, რომლითაც ის  
კაცი ამაუობდა და დღენიდან სწმენდდა, მაგრამ გვიანდა იყო. რა იცოდნენ,  
ამას თუ იზამდა. მისი ფეხის ხმა მოესმათ ჩაბნელებული სახლიდან და მისი  
შვილიშვილის შესაბრალების და შეშფოთებული ხმაც გაუგონიათ: „ვინ არის?  
ლამპა აანთე, ბაბუა“; მერე კი გაუგონიათ თურმე: „ამას სინათლე არ დას-  
ჭირდება, შვილო, წამილა სჭირდება ამას“; მერე დე სპეინმა დამბაჩა დაადრო  
და გასძახა: „შენ გეუბნები უოშ, გარეთ გამოდი-მეთქი“. უოშს არ უპასუხ-  
ნია მისთვის, ჩურჩულთ ეკითხებოდა თავის შვილიშვილს, სადა ხარო? და  
ის შეშფოთებული ხმა ასე პასუხობდა, აქ ვარ, სად უნდა ვიყო, რას... მერე  
დე სპეინმა ისევ გასძახა: „ჯონს-მეთქი?“ ის უკვე იმ დამტვრეული კიბით მალ-  
ლა აღიოდა, როდესაც კივილი აღმოხდენია შვილიშვილს; და უფელა იქ მუო-  
ფი ასე ამბობდა მერე, გავიგონეთო, თუ როგორ გაიღრჭიალა დანამ კისრის  
ძვლებზე, მაგრამ დე სპეინს არაფერი გაუგონია, ესლა უთქვამს, გავიგონე,  
ჯონსი აივანზე რომ გამოვიდა და უკან გადავხტიო, მაგრამ უოში იმისკენ კი  
არ მოდიოდა, აივნის მეორე ბოლოსკენ გარბოდა, სადაც გვამი იყო, მაგრამ  
ცელი კი აღარ გახსენებიათ; თავადაც გაქცეულა მაიორი იმ მხარეს და უოში  
დაუნახავს, დახრილა და ისევ გამართულა ის კაცი და აქეთ გამოტრიალებულა,  
მათკენ გამორბოდა და კიდევაც შემოჭრილა ფარნების შუქში ხელში ცელ-  
მომარჯვებული; ხედავდნენ იმის სახეს, იმის თვალებსაც, ხელში ცელმომარჯ-  
ვებული პირდაპირ ფარნებისა და თოფის ლუღებისაკენ მორბოდა, ხმას არ  
იღებდა, ჩუმად მორბოდა, დე სპეინმა უკან დაიხია და მიაძახა: „ჯონსი და-  
დექ, დადექ-მეთქი! თორემ გაგათავებ და ის იქნება, ჯონს, ჯონს-მეთქი!“.

— დაიცადე. — უთხრა შრივმა, — შენ იმისი თქმა გინდა, რომ აგრე სა-  
სურველი ვაჟი შეეძინა, ხოდა, ამდენი დავიდარაბის შემდეგ მიტრიალდა და...

— დიახ, იმ საღამოს ბაბუასთან სამსახურში მჯდომარეს თავი გადაეწია  
და ასე უხსნიდა მას, შეიძლება სწორედ ასე უხსნიდა იგი არითმეტიკას მე-  
ოთხეკლასელ ჰენრის: „გესმით, მე მხოლოდ ვაჟი მინდოდა, და მგონია, რომ  
თანამედროვე ცხოვრების მნახველი კაცისთვის ეს არ უნდა იყოს მეტიმეტი  
მოთხოვნა ბუნებისა და გარემოებათა მიმართ“...

— დაიცადე-მეთქი, ხომ გეუბნები! — უთხრა შრივმა, — ხოდა, ამდენი და-  
ვიდარაბის შემდეგ ვაჟი შეეძინა იმ ქოხში და ისე აბუჩად აუგდია ბაბუამისი,  
რომ იმან ქერ ის მოკლა და მერე ბავშვიც?

— რაო? — მიუგო კვენტინმა, — ის ვაჟი არ ყოფილა, ის გოგო იყო.

— ჰაი, — წარმოთქვა შრივმა, — წამოდი. გავიდეთ ამ ჯოჯოხეთური სა-  
ყინულედან და დასაძინებლად დავწვეთ.

(გაგრძელება იქნება)



თარგმნა ზურაბ კუსიანიძე



ა. ვორონსკის

1

„სოფელი ჩვენი, ასე ამგვარად, —  
რადოვო, ორას კომლამდე ითვლის.  
ვისაც უნახავს, ყველა დამტკბარა  
მისი მომზიბლავ, მიდამოს ხილვით.  
გვაქვს საძოვრები, ყანა ღალანა.  
ჩვენ მდიდრები ვართ წყლით და  
ტყეებით;

და სავარგულებს, თვალგასახარად,  
შემორგული აქვთ ალვის ხეები.

არ ვეტანებით დიდგაცურ საქმეს,  
მაგრამ ცხოვრება ისედაც გვწყალობს.  
გამძლე თუნუქი ხურავს ჩვენს ბაქებს,  
ყველას გვაქვს ჩვენი ბაღი და კალო.  
შეღებილი გვაქვს დარაბა ყველას.  
უქმე დღეს სუფრაც არ გვაქვს მღუმარი.  
და ბოჭაულიც ამიტომ ძველად  
ხშირ-ხშირად იყო ჩვენი სტუმარი.

ღალას ყოველთვის დროზე ვიხდიდით,  
თავს აგვდიოდა ფქვილი სახლისთვის.  
მიტომაც ზრდიდა, ღალის სიდიდეს  
სოფლის მრისხანე მამასახლისი.  
ვერიდებოდით დავას სისხლიანს,  
ნამატი მაინც გვრჩებოდა ბოლოს.  
თუ მთავრობაა — ძალაც მისია,  
ჩვენ კი უბრალო ხალხი ვართ მხოლოდ.

ხალხში ცოდვიანს ვერ დათვლი, ვერა,  
გზვრეტენ ალესილ თვალთა ელვებით.  
ქოდა, მეზობელ სოფლიდან ცერად  
ბოლმით გვიცქერდნენ კრიუშელები.

თავი გაჰქონდათ ვაი-ვაგლანით,  
იყვნენ საკუთარ ხვედრის მგმობელნი —  
ერთი კავის და წყვილი ჯაგლაგის  
ჯირითით ხნავდა მთელი სოფელი.

შემორჩენოდათ ოლონდაც სული,  
ღოვლათზე, აბა, ვინლა ფიქრობდა.  
ჩვენს ტყეში ხშირად მალვით შესულნი  
შეშას ქურდულად ჩეხდნენ, მიჰქონდათ.  
ერთხელ წავისწრეთ ტყეში ისინი...  
და ნაჯახების ატყდა ტრიალი.  
ბასრი ფოლადის ღრჭიალ-სისინით  
ტანში გვივლიდა ყრუოლა ტიალი.

სიკვდილის სუნი ტრიალებს ჩხუბში.  
ბრალი გვიძღვოდა ჩვენ თავ-თავისი,  
ერთმა მათგანმა ნაჯახი შუბლში  
ხეთქა და მოჰკლა მამასახლისი.  
შეკრბა სოფელი. გვქონდა ყაყანი.  
ამ საქმის გამო ბევრი ვირბინეთ.  
გაასამართლეს ათი მათგანი  
და ბორკილებით გააციმბირეს.  
მას შემდეგ ზურგი გვიჩვენა ბედმა.  
უთანხმოებამ ხელი დაგვრია.  
სამი წელია ზედიზედ ჩვენთან  
პირუტყვი წყდება, ან ხანძარია.

\*

ამნაირ ამბებს მეეტლე გზაში  
ფქვაავდა, მიმღვრევდა სევდით ბუნებას.  
მაშინ რადოვოს გარეუბანში  
მივქროდი სულის მოსაბრუნებლად.



ომმა დამიღრღნა სული მთლიანად,  
ვილაცისათვის, არც ღირს გამხელა,  
ტუვისა ვესროდი თავისიანს და  
ბრმად მივდიოდი ძმის გასაქელად  
ზურგში ჩარჩნი და დიდკაცნი ბჭობდნენ,  
მივხვდი, რომ რიკი ვიყავ მე სხვების;  
ზარბაზნებს მტკიცედ დავემშვიდობე  
და გადავწყვიტე ბრძოლა ლექსებით.  
შორს მოვისროლე ჩემი შაშხანა,  
ვიყიდე „ლიპა“<sup>1</sup> რაღაც გროშებით...  
ამგვარად შევხვდი, როცა გაშალა  
ჩვიდმეტმა წელმა თავის დროშები.

თავისუფლებამ ზეცა გაფლითა.  
მყრალ-მოვარდისფრო ცეცხლით  
ვწვებულ, კერენსკი მაშინ, როგორც ზალიფა,  
თეთრონზე იყო ამხედრებული.  
ომი „ბოლომდე“, „გამარჯვებამდე“,  
და გლეხთა ლაშქარს, სულ ზედახორად,  
ფრონტზე სატლელად ერეკებოდა  
ყველა თაღლითი და მუქთახორა.  
მაგრამ არ დავწვდი დაშნას ვადაში.  
გამოვიჩინე სულ სხვა გმრობა —  
და მორტირების ღრიალ-გრაგანში  
ყველას დავასწარ დეზერტირობა.

საამოდ ისმის ეტლის ბორბლების  
ცივი ხმა, ჩანს, რომ შარა კარგია.  
ლამეა. მთვარეს შორი სოფლები  
ოქროს ფიფქებით მოუქარგია.  
„და, აი, ესეც ჩვენი რადოვო,  
მოვედით! —  
ამბობს მეეტლე ზენეშით, —  
მარქათა ცხენი, ჩემო ბატონო,  
ტყუილად როდი შევაბი ეტლში.  
გთხოვთ, მოქალაქევ, გავსწორდეთ აწი.  
ა, მეწისქვილეც,  
როგორც გენებათ!  
ზედმეტს არა და მოვითხოვ, რაც ღირს  
ასეთ შორ გზაზე ეტლის ჭენება.

<sup>1</sup> „ლიპა“ — ყალბი დოკუმენტი (ს. ესენინის შენიშვნა).

მას ორმოციანს ვაძლევ პრიადს.  
„ცოტაა!“  
ოცსაც ვაძებ  
„არ კმარა!“  
მეწისქვილე  
რა ტლუ ბიჭია, ბიჭობს მკლავში  
გამორეცია თმაში ჭაღარა.  
„რას ამბობ?“  
რად მყვლევ? გეყოფა, კმარა!  
არც ღმერთი გწამს და არც  
წმინდანები?“

ის ზორზოხი კი მპასუხობს წყნარად:  
„რა ვქნა, გათხრდა ჭვავის ყანები.  
კიდევ ათიც და...  
პა, ექვსი, მოვრჩით!  
ალარ დაგრჩები უკმაყოფილო —  
ჭიქა არაყით სამიკიტნოში  
შენს სადღეგრძელოს შევსვამ,  
ქმობილო...“

\*

აი წისქვილიც...  
დაბურულ ნაძვნარს  
ციცინათლების სანთლები რკალავს,  
ბერ მეწისქვილეს, სიტყვა რომ დაძრას,  
სიხარულისგან არ ყოფნის ძალა.  
„სერგუხა!  
შენ ხარ? შენ გენაცვალე!  
გზაზე გაცივდი, ბიჭო, ეგების?  
ჰე, დედაბურო, ჩქარა, ახლავე  
გააწყვე ჩაი და ღვეზელები!“

აპრილის ბოლოს გათოშვა კაცის  
სად გაგონილა, ცა კრთის ლივლივით.  
სალამო იყო ისე წარმტაცი,  
როგორც მეგობრის ტუჩზე ღიმილი.  
ამ მეწისქვილის მკლავთა ხვევნაში  
სიმწრისგან დათვიც ღრიალს მოჰყვება,  
მაგრამ კარგია, გაჭირვებაში  
კაცს მეგობარი რომ გეყოლება.  
„საიდან გაჩნდი? დიდხანს დარჩები?“  
„ერთი წლით“.  
„ოჰო, რას ინავარდებ!  
ამა ზაფხულში სოკო-მარწყვებით  
თუნდაც მოსკოვსაც მოვამარაგებთ.  
ისე მომრავლდა ტყეში ფრინველიც,



რომ ფრთებით საფანტს თვით ედებიან.  
სად გადიკარგე ეს ოთხი წელი,  
ჩვენი თავი რად მოგძულეზია...“

მოვრჩით საუბარს...

მერე მეფურად

ჩვენ სამოვარი შევსვით სრულებით.  
ჩემს სათივეში კვლავ ძველებურად  
ცხვრის ქურქმოსხმული მივეშურები.  
დაბურულ ბაღში მივარდევ ტოტებს,  
იასამანი ღაწვზე მედება.

დახავსებული დაწნული ღობე  
აღვზნებულ თვალებს ეხავერდება.  
თექვსმეტი წლის რომ ვიყავ, ოდესღაც  
თეთრკაბიანმა გოგონამ წყნარად,  
სწორედ, აი, ამ ნაცნობ ღობესთან  
აღერსიანად შესროლა „არა!“

ეჰ, ის დღეები თვალებს მიჰფარდა...

მისი ხატება ჩემში არ ქრება...

ჩვენ ამ ასაკში ყველას გვიყვარდა,  
მაგრამ ვუყვარდით იმათ ნაკლებად.

2

„აბა, სერგუშავ! აღეჭი ჩქარა!

არც კი ენათა ცისკარს სრულებით,

როცა დააცხო, შენს გასახარად,

ჩემმა ბებერმა ქადა-პურები.

მე ქალბატონთან — ჩვენს სნეგინასთან

უნდა წავიდე, ვერ დავხანდები...

სადილისათვის უნდა მივართვა,

რაც კი დავხოცე გუშინ ღალღები.

სიცოცხლის დილავ, ჩემი სალამის

ვდგები, ტანთ ვიცვამ, ბაღის გზას

მივდევ.

ვაშლის ხეებზე დილის ცვარ-ნამი

კრთის, ილანდება ნისლისგვარ რიდედ.

და ვფიქრობ:

რა რიგ ლამაზი არის

დედამიწა და ადამიანი,

და დღეს ომისგან რამდენი დაღის

ხეიბარი და ყავარჯნიანი!

ან შავ მიწაში რამდენი ჩაწვა,

ან კიდევ რამდენს ელის სამარხი...

ამ გახსენებით ჭიუტმა ღაწვმა,  
ვგრძნობ, რომ დამიწყო შკაცრად  
ცხვრის.

არა!

არ წავალ არასდროს, გესმით!

მიტომ, რომ ვილატებოდი მთელი

ომის ხეიბარს ტალახში ესვრის

ორშაურიანს ან შაურიანს.

„დილა მშვიდობის, ჩემო დედილო!  
მოხუცო, ხომ არ გძლია ჭალარამ...“

ყრუდ ჩაახველა:

„რა ვქნა, კეთილო,

მორალებულმა საქმემ დამღალა.

ჩვენში გახშირდა არეულობა,

საჯუთარ პატრონს ველარ ცნობს ძალლი.

სოფელი სოფელს ებრძვის უღმობლად,

ერთმანეთს ელეტენ, გაგიჟდა ხალხი.

ხშირად ჰყვებიან აქ მომსვლელები,

თუ როგორ სცემენ შეუსვენებლივ,

ხან კრიუშელებს რადოველები,

ხან რადოველებს კრიუშელები.

უხელმწიფობას თან მოსდევს ასე,

გააგდეს მეფე უმადურებმა...

და აი...

ერთად დაატყდა თავზე

ჩვენს უჭკუო ხალხს უბედურება.

დილეგთა კარი გახსნეს რატომღაც,

გაუშვეს ყველა ქვეყნის ამკლები.

ვერ გაგვივლია გზაზე მარტოკა

შიშით უკეთურ ავაზაკების.

აი, თუ გნებავთ... კრიუშელები...

დასალპობია ყველა ციხეში,

მაგრამ ქურდები, კაცისმკვლელები

გამოუშვეს და გაჩნდნენ ისევ შინ.

პრონ ოგლობლინი ჰყავთ მათ წყეული,

ქვეყნად უჩხუბრად რომ ვერ ეტევა.

მუდამ სხვებზეა გულამღვრეული,

ნიადაგ მთვრალი დაეხეტება.

იმ სამ წელს, როცა დაიწყო ომი,

დღისით და მზისით, ურცხვად, ხალხის

წინ,

იმ ჩხუბისთავმა, ხეპრემ, უღმერთომ,

ნაჯახით მოჰკლა მამასახლისი.

მსგავსნი გამრავლდნენ, დაჰკარგეს

რიდი



გალაღდნენ და ხელთ უჭირავთ კეტი,  
რუსეთის საქმე უკულმა მიდის...  
დაღუბულია დედარუსეთი..."

აღსდგა მეეტლის თქმული ამბები,  
ჭუდს და საბიჯგ ჯოხს დავავლე ხელი,  
წაველ გლეხებთან, მისასალმებლად,  
ვით სტუმარი და ნაცნობი ძველი.

\*

მივყვები ცისფერ ბილიკს და ვხედავ—  
შორით ოთხთვალა მოჭქრის ქარისებრ.  
მეწისქვილეა! — ვიცან აქედან,  
ცხენს მოაგელვებს ფხვიერ ყამირზე.  
„სერგუზა, საით? დაიცა, აბა!  
ჯერ ეს აღვირი მოვჭიმო ერთი  
და მერე გეტყვი ერთ ისეთ ამბავს,  
რომ, ჩემო კარგო, დაგესხას რეტი.  
სიტყვა არც გითქვამს მათზე ამ

დილით?!

მე კი სნეგინებს ვუთხარ გაბუქვით:  
რომ მესტუმრა-თქო დარდიმანდივით,  
ახირებული ერთი ქაბუკი.  
(იქ მიყურებენ წყალობის თვალით,  
გვაქვს ნაცნობობა ჩვენ ათი წლისა.)  
ანა კი — მათი ქმრიანი ქალი  
ამბობს:

— პოეტი რომ არის, ისა?  
— ჰო, დიახ, სწორედ ის არის-მეთქი.  
— ქერა?  
— ცხადია, ქერა იერის!  
— ხუჭუჭთმიანი?  
— გახლავთ ასეთი  
თავშესაქცევი და მშვენიერი!  
— როდის ეწვია სოფელს, მითხარი?  
— გუშინ გვესტუმრა ხალხში ქებული.  
— ოი, დედიკო, სწორედ ის არის,  
ჩემზე რომ იყო შეყვარებული!  
ბიჭუნა იყო მორცხვი და სადა,  
დღეს...  
დამიხედეთ...  
დადის თავნებად...  
მწერალი...  
დიდი ვინმეა მართლაც...  
თხოვნის გარეშე არც გვეახლება...  
და მეწისქვილემ გამარჯვებული

სახით, მზაკვრულად თვალი მინაბა:  
„კარგი! ნახვამდის, სხვა სათქმელს

გულთ  
სადილობამდე შემოვიწინებ...“

კრიუშისაქენ გავუწმენდი  
გზისპირ ბალახებს ვთელავდი ჯოხით.  
სულს არ მიმღვრევდა, რაც ადრე  
მწვავდა.

არც დამცდენია სიტყვები ოხვრის:  
ირგვლივ საამო სურნელი ჰქროდა,  
თავს მიბრუებდა ფიქრთა გროვანი...  
ახლა სალდათის ეშხიან ცოლთან  
კარგი იქნება გაბმა რომანის.

\*

აჰა კრიუშაც...

წელია სამი,  
რაც არ მინახავს მე ეს სახლები.  
ლაქვარდში ფერი კრთის იასამნის,  
სურნელს აფრქვევენ იასამნები.  
ჩანს, არაფერი მოეპოვებათ  
აქ შინ და აღარ ყეფენ ძაღლებიც —  
დამპალ ქოხების მთელი ჯონება  
ლუმელებია და სატაცები.  
ვხედავ, გლეხები პრონის პარმალზე  
შეგროვებულან და ყაყანობენ.  
ბჭობენ საქონლის და ჭვავის ფასზე,  
კბილს უსინჯავენ ახალ კანონებს.  
„სალამი, ძმებო!“  
„მშვიდობით გველოს!  
ჩამოჯექ ჩვენთან, ხომ არ გვემდურა?  
ჰე, მონადირევ, შე უდარდელი,  
გაიზიარე დარდი გლეხური.  
გვითხარ, ახალი რაა პიტერში,  
ახლო გიცნობენ იქ მინისტრები.  
ხარ გამოვლილი კულაკის ხელში  
და მის რჯულზე ხარ ნაგვირისტები.  
მაგრამ არ გვინდა შენი ძაგება,  
ჩვენი ხარ, წევრი — ჩვენი მაგიდის.  
თავბრუს არ გახვევს ტაში და ქება  
და არასოდეს გულს არ გაყიდრი.  
ჩვენს მიმართ იყავ წრფელი ბუნების,  
გჩვეოდა ჩვენი გამოსარჩლება...  
გვითხარ:  
ბატონთა ხოდაბუნები



დახსნის გარეშე გლეხებს დარჩება?  
ყვირიან:  
მიწას ხელი არ ახლოთ,  
არ დამდგარათ, თითქოს, ჯერ წამი;  
მაშინ სხვებს ფრონტზე ტყვიას რად  
ვახლით,

რად ვიცელებით ჩვენც, ვით ლერწამი?“  
მომჩერებოდნენ კუშტი ღიმილით  
და წამიკიდეს მზერით ხანძარი.  
მე კი — მტანჯავდა ფიქრით  
სიმძიმით,

ვიდექ და ენა ველარ დავძარი.  
ჩემს ფეხქვეშ თრთოდა კიბის ფიცარი,  
და თავში რაღაც რეკდა და მტეხდა...  
მკითხეს:

„ლენინი, გვითხარ, ვინ არის?“

მე ვუბასუხე:

„ლენინი — თქვენ ხართ“.

3

კარდავარ ჩუმად ცოცავდა ხმები,  
მსჯელობდნენ, სწყვეტდნენ, ბჭობდნენ  
ჩურჩულით.

და ჩემს დედაბერს ქვეყნის ამბები  
ჩემთან მოჰქონდა შემოქუჩული.

ერთხელ, როს მოვრჩი ტყე-ტყე  
ხეტილს —  
სკამლოგინამდე ძლივს შევბეღ  
მისვლა.

ციების ერეოლვით შემომიტია  
ჩაგუბებულმა ჭაობის ნისლმა.  
ციებ-ცხელება გამიჭდა ჯანში,  
ხან მახურებდა, ხან მაციებდა.  
ასეთ დაწყევლილ, ავბედ ყოფაში  
ოთხი დღე-ღამე ერთურთს მიება.

ეს მეწისქვილე შექანდა, ალბათ,  
წავიდა,  
ვიღაც მომახალისა...  
ბინდში გარჩევდი მხოლოდ თეთრ  
კაბას

და პაჭუა ცხვირს ვიღაც ქალისას.  
გამოკეთება როცა შეღირსა,

როცა შეწყვიტა თრთოლვა ხელებმა,  
მეზუთე დღეზე, შებინდებისას,  
დაცხრა უემური ციებ-ცხელება.  
წამოვდექ.

სურდა გულს სიარულად წავსული  
იატაკს ფეხით შევეჭმე სხეოლვას  
უცებ მომესმა ხმა მხიარული:

„აჰ, გამარჯობათ,

„ჩემო ძვირფასო!“

არ მინახავხართ დიდი ხანია,  
გაქრა ბავშვობა, ფრთების ფათქუნით.  
დღეს თავმომწონე ბანოვანი გარ,  
თქვენ კი — პოეტი სახელგანთქმული.

დავსხდეთ.

ციება გამოვინელდათ?

როგორ შეცვლილხართ, ვერ ვცნობ  
თქვენს სახეს!

ამოვიოხრე წყნარად კიდევაც,  
როდესაც ფრთხილად ხელი შევახეთ.  
ჰო...

არ ბრუნდება, რაც იყო წინათ,  
წლები მიჰქრიათ, გვიცვლიან იერს.  
მე შენთან ერთად, ოდესღაც, წყვილად  
ჭიმქართან ჯდომა მიყვარდა ძლიერ.  
მივესწრაფვოდით დიდებას, სახელს...  
თქვენ გერვოთ მიზნის გასხივოსნება,  
მე კი ერთ ჭაბუჯ ოფიცერს ავეყვ  
და დამავიწყა ყველა ოცნება...”

\*

ვუსმენდი და თან მზერას ნისლიანს  
მტაცებდა მისი სახე ლამაზი.  
მინდოდა მეთქვა:

„საკმარისია!

ვილაპარაკოთ სულ სხვა რამეზე!“  
მაგრამ რატომღაც, არ ვიცი, რაღა,  
ვთქვი უადგილოდ, სახის აღმურით:  
„ჰო... ჰო...”

ვიხსენებ ახლა თქვენს ნათქვამს...  
დაბრძანდით.

ძლიერ ვარ მოხარული.

მე წავიკითხავთ უხამს რუსეთზე  
ლექსს ორიოდეს,  
თუ გნებავთ, ანა...



მკაცრად გავჭედე ჩემს გულის  
გრდემლზე  
და სევდით ბოშურ სიმღერებს ჰგვანან“  
„სერგეი!  
ვერ გცნობთ, ნეტავ რა მოგლით?  
მწყინს,  
მეცოდებით, ვწუხვარ ამაზე,  
რომ სმის დროს თქვენი ალიაქოთი  
ცნობილი არის მთელს ქვეყანაზე.  
მითხარით:  
თქვენს თავს რა ამბავია?“  
„არ ვიცი“.  
„ვილაცამ იცოდეს, აბა?“  
მე დედაჩემმა ქუშ და ჯავრიან  
შემოდგომაზე დამბადა ალბათ“.  
„კარგი, ნუ ხუმრობთ...“  
„თქვენც ხუმრობთ, ანა“.  
„თუ გიყვართ ვინმე?“  
„არა, არავინ“.  
„მით უცნაური არ არის განა,  
თავს რომ იღუპავთ იმ საწამლავით:  
წინ რანაირი გზა გიდევს თანაც...“

იბინდებოდა შორეთი ვრცელი...  
არ ვიცი, მის შალს და ხელთათმანებს  
რად ვეხებოდი მთრთოლვარე ხელით.

მთვარე მოჰგავდა ხარხარა ჯამბაზს.  
თუმცა გულს არ ახლდა ის ძველი  
სიტბო,  
მაგრამ საოცრად მომზღავდა რალაც—  
თექვსმეტი წლისა ვეყავი დეიქოს,  
ერთურთს დავშორდით—გაშთენესას,  
მზერით ვისროდით იღუმალ ისრებს...  
ზაფხულში არის რალაც თილისმა,  
რითაც ზაფხული სულს ათილისმებს.

ეს მეწისქვილე...  
ოჰ, ამ ფაფხურით  
ლამის ჰკუიდან შემშალოს მგონი;  
დიდ ამბავშია ეს უსაქმური  
და დარბის, როგორც ფოსტალიონი.  
დღესაც გადმომცა ერთი ბარათი,  
თითქოს და მწერდა კარგი ძმობილი:  
„მოდით,  
ჩვენი ხარო აწ და მარადის,  
გწერთ სიყვარულით

პრონ ოგლოლინი“.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



# სამედიკალური მარშალი

## მისტიკური ტვისტიკური

თარგმანი პაპა ყუბუსიძე



ყმაწვილის შესაძლებლობების ზედმიწევნითი ცოდნა, ნორჩის პიროვნების ჯეროვანი დაფასება და მისი ცნობიერების მართებული ფორმირებისადმი ერთგულება გამოარჩევდა თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს საბავშვო პოეტს სამედიკალურ მარშალს, რომლის დაბადების ასე წლისთავი ზეიმით აღინიშნება მიმდინარე წლის ოქტომბერში.

ენის უბრალოება, სიტყვითა დინამიურობა, რიტმითა მკაფიოება საყვარელსა და საცნაურს ხდის „მარშალს“, „ბრძენ სულელს“, „შოლიან სულელს“, „მისტერ ტვისტერს“ და მრავალ სხვა ზღაპარსა თუ მოთხრობას ლექსად, რომელთა უბრალო შეხსენებაც კი ზრდასრულს აბავშვებს, ბავშვს განადიდებს და ორთავეს ერთად ანეტარებს.

1.

შორზე შორეთში,  
იქ — უცხოეთში,  
იყო და არის  
კანტორა კუკის.  
მოიწყენთ თუკი,  
ისურვებთ თუკი  
გაეცნოთ ტარტს,  
პარიზს და პამირს,  
დატრიალდება კუკი ვით ჯარა,  
ძეკაციისაგან შეუძლებს შეძლებს:  
გსურთ, ზღვის ტალღაზე  
გაგიშლით კარავს,  
გსურთ, კაიუტას გიშოვით გემზე;  
„ლუქსში“ საწოლში  
მოგართმევთ საჭმელს,  
გამოგიგზავნით სახლში თვითმფრინავს,  
თუ არ ინებებთ, მიუჯდეთ საჭეს,  
შემოგაგებებთ აქლემს გზის პირას.

ისურვებთ თუკი,  
გიჩვენებთ კუკი  
ველებს და ქედებს,  
თელებს და კედლებს.

2.

მისტერმა ტვისტერმა მინისტრმა  
ყოფილმა,  
ბანკირმა ტვისტერმა ყოფით  
კმაყოფილმა,  
მფლობელმა ქარხნების, გემების,  
ბინების,  
მსოფლიოს გარშემო შემოვლა ინება.

ტვისტერის გოგომ შემოჰკრა ტაში:  
— მსურს ეეწვიოთო საბჭოთა კავშირს:  
გაჯირითებულს ენაზე სამცხენას,  
მოვირბენ ველს და იალალსაო,  
ჯერ ზიზილალის ჭამით გავძლები,  
შემდეგ მოვტაცებ ნეეას ღლავსაო, —

მამამ სადილზე უთხრა ქალიშვილს:  
— გემოვნებაზეც დაობენ, შვილო,  
რა დაგვრჩენია, ნეტავ, კავშირში?  
გავისეირნოთ ნეაპოლშიო.

ლენინგრადშიო, — ბრძანა ასულმა, —  
ლენინგრადისკენ მიმიწევს სული. —  
შვილის სურვილი უნდა ასრულდეს,  
კანონის ძალა აქვს შვილის სურვილს.



3.

და უმაღლესი აპარატში:

— ნიუ-იორკიდან ლენინგრადში  
მიმავალ გემზეო,  
დღეს, დიახ, დღესვეო,  
ბალით, შადრევანით, აბაზანით,  
ოთხი კაიუტა გაამზადეთ.  
მხოლოდ იცოდეთ, მხოლოდ ეცადეთ.  
ნავსაყუდელში გემის შესვლამდე  
თვალი არ მოეკრათ ზანგსა და მულატს,  
ტვისტერი მტერთან იქცევა მტრულად!

თქვენო ღირსებავ, გვიბრძანებთ თუკი,  
თეთრსაც ვერ ნახავთ, — პასუხობს  
კუკი.

4.

გასამგზავრებლად გემი მზად არი,  
გემზე ტვისტერი აღის დანდალით,  
გვერდით მიჰყვება ქალი სათვალის  
და ქალიშვილი შავი ანთარით.  
შემდეგ კი... ოთხჯერ ოთხი ჩემოდნით,  
ოთხნი მსახურიც ტრაპზე შემოდის.

5.

ამერიკიდან მოცურავს გემი,  
კიჩოზე ლომის ბოკვერი უზის,  
მოღის ცისფერი ტალღების ნგრევით.  
ჩვენი ქვეყნისკენ უჭირავს კურსი.

მისტერი ტვისტერი, მინისტრი  
ყოფილი,  
ბანკირი ტვისტერი, ყოფით  
კმაყოფილი,  
მფლობელი გაზის და ელექტროდენის,  
ოკეანეშიც თამაშობს ტენისს.

გემბანი ბადურით აქვს გადაღობილი  
და ბურთით ერთობა მინისტრი  
ყოფილი.

ბურთი რომ მოღლის და მოთენთავს  
სიცხე,  
ბარში ბილიარდის გორებას იწყებს.

გემი კი მიღის მრავალსართულა,  
ცისფერ ტალღებთან ომში გართული.

ტვისტერის წყენას ვინ გაბედავდა?  
გემში არ ჩასხეს ხალხი მტრულად?  
გმირი მტრულად!

ოკეანეში სხვა გემიც ცურავს,  
რომელშიც ყველა ზანგსა და მულატს,  
საზღვაო გზებით მგზავრობის  
მსურველს,  
ხრაწავს და ხუთრავს სამეცეცხლურე.

6.

მისტერი ტვისტერი, ტურისტის საშვით,  
წამიც და ეწვევა საბჭოთა/კავშირს.  
ქიმიდან გამოჩნდა ლენინის ქალაქი,  
ოდითგან ქებული ზვავით და ბარაქით.  
ნაცრისფერ ტალღათა ზათქში და  
ხმაურში  
გემი შეაჩერეს და ღუზა დაუშვეს.

გემბანთან მანქანა ელოდათ ცისფერი,  
ჯერ ჩასხდნენ ქალები,  
შემდეგ კი — ტვისტერი.  
ჭრილით, ვახვანით,  
ქოთქოთით, ქაქანით,  
გრილით, რახრახით  
დაიძრა მანქანა.

7.

მისტერი ტვისტერი, მინისტრი ყოფილი,  
ფაბრიკამრავალი და დოლარმრავალი,  
მისტერი ტვისტერი,  
ყოფით კმაყოფილი,  
„ანგლუტერს“ მიაღმა თავისი ამალით.  
სიგარის ბოლი რგოლად შეჰყარა  
და ინგლისურად უთხრა მეკარეს:

— გუშინწინ ჩვენთვის,  
იცით, ალბათო,  
ნომერი უნდა  
დაგეგავშნათო.

— დიახ, დავგეგვანეთ, —  
უთხრა მეკარემ ,—



ნომერი ცხრა და  
 ნომერი ათი,  
 თუ გნებავთ, ვიდრე  
 თქვენს ბარგს შეჰკრავენ,  
 ლიფტით მესამე  
 სართულზე ადით.  
 ცოლით, შვილით და ანთარით  
 ლიფტში შებრძანდა ტვისტერი,  
 ჭყიტა გალიამ ცხრა თვალი:  
 ლურჯი, თეთრი და წითელი;  
 ჰოდა, დაიძრა ოთახი —  
 ნამინისტრალის ოჯახით.

8.

ადრე იჭერენ ჩვენში თადარიგს,  
 ორი ნომერი უკვე მზად არის,  
 კარისკაცს უკან მისდევს დანდალით,  
 ნამინისტრალი... ქალი სათვალით...  
 და ქალიშვილი შავი ანთარით...

სარკეა მარჯვნივ,  
 სარკეა მარცხნივ,  
 სარკეა წინ და  
 სარკეა უკან,  
 ჭაღების სხივი  
 სარკეებს აწვიმს  
 და წვიმა ცისკრის  
 სიმღერას უკრავს.

უცბად შედგნენ და  
 ისე აყვირდნენ,  
 ხმა ჩაიწყვიტეს ყვირილით ლამის,  
 ჩამოდიოდა ზანგი მალლიდან,  
 შავი, ვით ზეცა უმთვარო ლამის.  
 ზანგი, მცხოვრები ზემო სართულზე,  
 მოაბიჯებდა ფიქრში გართული.  
 მოდიოდა და მოაბოლებდა,  
 ზღაპრულ გოლიათს მოგვაგონებდა.  
 და სარკეებში, ყოველი მხრიდან,  
 მოაბიჯებდნენ ლალად და მშვიდად,  
 ლაზათიანი, ზორბად ნაგები,  
 უზარმაზარი ზომის ზანგები.

მოდიოდნენ და  
 მოაბოლებდნენ,  
 ტყუპ გოლიათებს მოგვაგონებდნენ.

მისტერს თვალებში მოაწვა სისხლი,  
 უსაზომოა ტვისტერის რისხვა.

— ავიბარგოთ, — შესძახეს  
 ამ სასტუმროში არ გვეფიქრებია  
 თუ გიჭირდათო, თავიდან გეთქვათ,  
 სხვას შივმართავდით საპატრონებლად.  
 უსახლკარობას ეარჩევთ, ღმერთმანი,  
 შავკანიანთა გვერდით ცხოვრებას.  
 ტვისტერს, კიბეზე თავქვე დაშვებულს,  
 ბრაზით, ბუზღუნით, დანდალ-  
 დანდალით,

მისდევს მოხუცი ქალი სათვალით,  
 და ქალიშვილი შავი ანთარით...

ჩაირბინეს, გაჩნდნენ წუთში  
 „ანგლეტერის“ კართან  
 და მანქანის კარში კუდი  
 დაუძეძკეს ანთარს.

„გზა მშვიდობის!“ —  
 კარისკაცი  
 გზას ულოცავს სტუმრებს,  
 გულში კიდევ უხარია  
 მათი წასვლა თურმე,  
 რადგან უფრო შინაურის  
 უყვარს მასპინძლობა,  
 ნომერს კრეფს და მზიარული  
 „ტურისტს“ აწვდის ცნობას:

— ცნობა მაქვსო მთლად ახალი,  
 გასახარი უდაოდ,  
 ლუქსი ჩვენთან, ორი ერთად,  
 გამოთავისუფლდაო,  
 მოასწავლეთ,  
 ველით, ვისაც  
 ჩვენთან ყოფნა უნდაო.

9.

ჭრილით, ვახვახით, ქოთქოთით,  
 ქაქანიო,  
 გრილით, რახრახით მიბოლავს  
 მანქანა.



მძლოლთან ზის ტვისტერი  
ტყავის რბილ ბალიშზე,  
თითქოს გზას მისტირის,  
კვნესის საბურავი,  
მიმქრალი ცისფერი  
მგზავრებს მიანიშნებს,  
რომ შემოლამება  
არის გარდუვალი.

ქარი ათამაშებს  
დაბურდულ ჩაქილებს,  
უზომო მგზავრობით  
დაღლილი ქალების,  
მაშუქი კაშკაშებს,  
მოტორი ქირქილებს  
და ბოლო არა ჩანს  
ტანჯვის და წვალების.  
ყველა სასტუმროში პასუხი ერთია:  
— ღმერთმანი, არც ერთი ადგილი  
არ გვაქვსო,  
ყრილობას იმდენი სტუმარი ეწვია,  
სასტუმრო კი არა,  
ქალაქიც აავსო;  
იჩქარეთ,  
იქნება  
არ დარჩეთ გარეთო,  
ძალიან ვწუხვართ, რომ  
ვერ დაგეხმარეთო.—

ბენზინი თავდება,  
სკდება საბურავი  
და დიდს ემატება  
მცირე საზრუნავი.

10.

მისტერმა ტვისტერმა, მინისტრმა  
ყოფილმა,  
მისტერმა ტვისტერმა, ყოფით  
კმაყოფილმა,  
მფლობელმა ქარხნების, გემების,  
ბინების,  
ისევ „ანგლეთერში“ მოწყობა იწება.

თან გაჰყვა მეუღლე ვეება სათვალთ,  
გაჰყვა ქალიშვილიც პატარა ანთარით.

თორმეტმა დაჰკრა, რომ მიადგნენ  
„ანგლეთერს“  
და მკაცრმა მეკარემ, როგორც კი  
დარქვეს,  
მაშინვე აანთო ჩამქრალი ქენაფლე,  
გაალო კარი და მუხუღებდა მუხუღითა:

— დაგაგვიანდათ, ძვირფასო  
სტუმრებო,  
არც ერთი ნომერი აღარ გვეგულება,  
ისიც დაიკავეს, თქვენ რომ არ გენებათ,  
საერთაშორისო ყრილობის წევრებმა.

— ფეხზე ჩამოვწყდი და წავიქცე  
ლამისო, —  
ტვისტერს უჩურჩულა გოგონამ  
დაღლილმა, —  
დღეს არ გვიწერია გათევა ლამისო,  
თუ არ გავიმეტებთ სასახლის საღირაღს;  
მოდო და ვიყიდოთ სახლი საკუთარი  
და აქაც შევიქმნათ ჩვენი საყუდარი.

— ეჰ, ჩემო ძვირფასო, იცოდი მეგონა,  
მაგრამ ლენინგრადზე ცოტა რამ  
გცოდნია,  
აქ ვერც სახლს იყიდი, ვერც დახლს და  
ვერც ბორანს,  
ლენინის ქალაქი ჩიკაგო როდია;  
არც ძველთაძველები, არც  
ახალთახლები,  
არ იყიდებიან ნევაზე სახლები.

ცისქვეშ გავათევთ, სხვა რა ჩარაა,  
თავადაც ხედავთ, არ ჩანს საშველი,  
გამომყევითო, აბა, ჩქარაო, —  
თქვა ტვისტერმა და კარს მიაშურა.

გაუსკდებოდა დედა-შვილს გული,  
რომ კარისკაცი არა,  
ქალებს მეკარის ოთახი მისცა,  
ვერ მოუძია სხვა რამ;  
ტვისტერს დაუთმო დივანი ციციქნა,  
სასტუმროს კართან მდგარი,  
ნამინისტრალი სასწრაფოდ მიწვა  
და მიელულა თვალი.



სასტუმროს კარებთან მშვიდად ჩაიძინა,  
მოძულემ ღარიბთა, ღატაკთა მტერმა,  
მისტერმა ტვისტერმა, ამაყმა ბიძიამ,  
მისტერმა ტვისტერმა მილიონერმა...

11.

სძინავს და ბორგავს ტვისტერი ძილში,  
სძინავს და ძილში რაღაცას როშავს,  
ცახცახებს შიშით,  
კანკალებს შიშით,  
ბოლო არც ძილში  
არ უჩანს კოშმარს.  
საზმარში ხედავს: გზაზე, საწყალმა,  
მიუსაფარმა და მაწანწალამ,  
ხელგაშვერილმა, სათხოვრად ლუკმის,  
შენიშნა რკინის ფრინველი კუკის.

მიიჭრა კუკთან,  
მიუჯდა გვერდით,  
სალამი უთხრა,  
ახსენა ღმერთი  
და რკინის ჩიტი  
რომ მოსწყდა მიწას —  
ტვისტერი ისევ  
ტვისტერად იქცა.

მაგრამ მშობლიურ სახლს რომ მიაღვა  
და კარებთან რომ დახვდა მსახური,  
მოესმა: — მოსვლა დაგიგვიანდა,  
არ გვაქვს ადგილი გადანახული! —

— ვის უბედავო, გონს მოდი, ვილი! —  
მსახურს შეჰყვირა ხმამალლა ისე,  
რომ თავისმა ხმამ დაუფრთხო ძილი,  
სასტუმროს კართან მითვლემილ  
მისტერს.

მხარი იცვალა და ისევ მიიძინა,  
ფერადკანიანთა მოსისხლე მტერმა,  
მისტერმა ტვისტერმა — ამაყმა ბიძიამ,  
მისტერმა ტვისტერმა — მილიონერმა.

12.

ყმაწვილი მოვიდა დილაადრიანად  
და საქმეს შეუდგა ისე მადლიანად,

რომ ღროს ვინც კარგავდა უქმად  
თვისტოლებთან,  
მისი დანახვისას გარჯას ინდომებდა.  
ყველა ფეხსაცმელი შეკრიბა ერთად,  
რაც კი დერეფანში დააწყვეს სუბიქოდ,  
თეთრები, ცხადია, შედგება თეთრად,  
შავები — შავად და წითლები —  
ალისფრად...

მეზობელ ნომრიდან  
გარეთ გამოვიდა  
ზანგი გოგო-ბიჭი —  
ჩენი და ტომი:  
— საბრალო მოხუცო,  
ალბათ როგორ გიჭირს,  
რომ ქანცგაწყვეტილი  
მთელი დღის შრომით,  
ჩაცმულ-დახურული  
მიწეჭი დივანზე,  
ძილს რომ გააყოლო  
დალლა,  
ღმერთსა ვთხოვთ, ძვირფასო,  
შენს ბედის ბორბალსაც  
სულ მალე ებრუნოს  
წალმა.

— რას ამბობთ, ბავშვებო, —  
ფეხსაცმლის მშმენდელი  
ბავშვი მიუბრუნდა ბავშვებს, —  
ეგ კაცი ნამდვილი მილიონერია  
და ფული არ აძლევს საშველს.  
თეთრკანიანობით ამაყობს იმდენად,  
რომ შავკანიანთან ყოფნას ერიდება...  
და რაკი თქვენს გვერდით ყოფნა არ  
ინება,  
მოუხდა სასტუმროს კართან დაძინება.

ახია,  
იწვალოს,  
ტკუა რომ  
ისწავლოს! —  
თქვა და მოემზადა საღებად წალების:  
წითლების, ყვითლების,  
შავების, თეთრების,  
თურქების, ქურთების,  
ფრანგების, შვედების...  
და ბოლო წყვილს რომ ღებავდა, მაშინ



ადგა ტვისტერი, გასწორდა მხარში,  
სიგარის ბოლი რგოლად შეჰყარა  
და გაუღიმა ნაცნობ მეკარეს.

მეკარემ უთხრა:

— გქონიათ ბედი,  
განთავისუფლდა  
ნომერი ერთი,  
ბალიც გექნებათ  
და შადრევანიც,  
თუკი არა გაქვთ  
სხვა არჩევანი —  
შეგასახლებთო,  
მაგრამ, იცოდეთ,  
გვერდით ჩინელი  
კაცი იცხოვრებს,

ზემოთ — მონღოლი,

ქვემოთ — მულატი...

აი, ასეთი გახლავთ სურათი.



თითქოს ბნელეთში გაიხსნა ზეცა,  
თავსხმისას თითქოს შეცვალა  
მილიონერი გასაღებიცა,

შორს მოისროლა ძვირი სიგარა.

და „ანგლეტერის“ კიბეს ძუნძულით  
აღმა აუყვა თმააბურღნილი

მისტერი ტვისტერი, მინისტრი ყოფილი,

ფერადკანიანთა მოსისხლე მტერი,

მისტერი ტვისტერი, ყოფით

კმაყოფილი,

მისტერი ტვისტერი — მილიონერი.







რომანი

თარგმნა დოდო ძავთარაძემ

21 აგვისტო

დღეს ენახე ფრუ გრეგორიუსი და ვესაუბრე. სადილის შემდეგ ხომალდის კუნძულისაკენ გავისეირნე. ის იყო გავცდი ხიდს, რომ მოპირდაპირე მხრიდან მომავალი რეკე დავინახე. იმ ბორცვიდან ეშვებოდა, ეკლესია რომ დგას. მოდიოდა ნელა, ქვედა ტუჩი წინ გამოეშვირა, მიწას ჩაჰყურებდა და ტროსტის წვერით გზად შემხვედრ პატარ-პატარა ქვებს ათამაშებდა; მისი შემყურე ვერაფრით იფიქრებდით, თავისი ცხოვრებით კმაყოფილიაო. არ მეგონა, თუ შემამჩნევდა, მაგრამ როგორც კი ერთმანეთს გავუსწორდით, მან თავი ასწია და ხაზგასმულად, გულლიად და მხნელ მომესალმა. იმწამსვე სახის გამომეტყველება სავსებით შეეცვალა. გზის გაგრძელება მიწოდოდა, მაგრამ უეცრად თავში გამიელვა, ისიც უსათუოდ სადმე ახლოს იქნება. ალბათ იქ, საიდანაც რეკე მოდის-მეთქი. იქნებ მოსალაპარაკებელი ჰქონდათ და შეთანხმდნენ შეხვედროდნენ ერთმანეთს მაღლა, ბორცვზე, სადაც იშვიათად თუ ავა ვინმე; და რომ ისინი ერთად არავის ენახა, რეკემ უფრო ადრე დატოვა იგი. ჩამოვჯექი უზარმაზარი ბალზამიური ალვის ხის ძირში და დაველოდე. ვფიქრობ, ეს ყველაზე დიდი ხეა მთელ სტოკჰოლმში. ოდესღაც გაზაფხულის ბევრი საღამო გამიტარებია დედასთან ერთად ამ ალვის ხის ძირში. მამა არასოდეს არ იყო ჩვენთან. მას არ უყვარდა სეირნობა, მით უმეტეს, ჩვენთან ერთად.

...იგი არა და არ მოდიოდა. როგორი იმედი მქონდა, რომ დავინახავდი დაღმა ჩამომავალს, მაგრამ ალბათ სხვა გზით წავიდა, ან იქნებ სულაც ტყუილად გავისარჯე.

მაინც ავდექი და დახვეული გზით აღმართს შევუდექი: ეკლესიასთან ახლო დავინახე იგი. წინ გადმოხრილი იჯდა ეკლესიის კარიბჭის საფეხურზე, ნიკაპით ხელის გულზე დაყრდნობილი. იჯდა და პირდაპირ ჩამავალ მზეს გასცქეროდა. ამიტომ მაშინვე ვერ შემამჩნია.

ჯერ კიდევ მასთან სულ პირველი შეხვედრისას შემძრა იმ აზრმა, რაოდენ არ ჩამოგავს იგი სხვებს. იგი არ ჰგავს არც მაღალი საზოგადოების, არც საშუალო კლასის და არც ხალხის წიაღიდან გამოსულ ქალს, თუმცა, შეიძლება სწორედ ამ უკანასკნელს უფრო მივაკუთვნოთ. განსაკუთრებით კი ასეთი, ეკლესიის კარიბჭეზე ჩამომჯდარი, თავშიშველა, მზის სხივებში გახვეული, ქუდი მოეხადა და იქვე დაედო. გვერდზე. მაგრამ თუ ხალხის წიაღიდან გამოსულთ



მივაკუთვნებთ, მაშინ უნდა ვივლინებოდით პირველყოფილ ადამიანთა მოდგმა, ან უფრო სწორად ისეთი მოდგმა, რომელიც არ არსებულა ჯერაც/ქვეყანაზე, რომელსაც არ განუცდია ფენებად დაყოფა და სადაც სიტყვა „ხალხი“ არ ნიშნავს დაბალ ფენას. თავისუფალი ტომის ასული, აი ვინაა იგი.

უეცრად შევნიშნე, რომ იგი ტირის არ ქვითინებს, მხოლოდ ცრემლი ჩამოსდის ღვარად. მისი ტირილი ჰგავდა იმ ადამიანის ტირილს, მსუქარ სიცოხლე რომ ტირის და ვერც კი ამჩნევს ამას.

ის იყო შემობრუნება დავაპირე, რომ მანაც დამინახა. ძალაუვნებურად მივესალმე და მინდოდა გზა გამეგრძელებინა, მაგრამ იგი სწრაფად წამოხტა დაბალი საფეხურიდან, მოქნილად და მსუბუქად. თითქოს სკამზე მჯდარიყოს, აჩქარებით მოიწმინდა ცრემლები, ქუდი დაიხურა, სახეზე რუხი ვუალი ჩამოუშვა, მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა.

ცოტა ხანს ვიდექით და ვდუმდით.

— რა კარგია დღეს აქ, — ვთქვი ბოლოს, როგორც იქნა.

— დიახ, — მითხრა მან, — შესანიშნავი საღამოა. ზაფხულიც შესანიშნავი იყო, მალე შემოდგომა მოვა. ხეებს სიყვითლე შეეპარა. შეხედეთ, მერცხალი!

მერცხალმა ისე ახლო ჩაგვიქროლა, ქუთუთოებზე გრილი ნიავის ქროლვა ვიგრძენი. მან ელვისებურად მოხაზა მახვილი კუთხე და ცის სილურჯეში დაიკარგა.

— საკვირველია, რა ადრე გვეწვია წელს გაზაფხული, — თქვა ქალმა. — ჩანს, შემოდგომაც ჩვეულებრივზე ადრე დადგება.

— როგორ არის თქვენი მეუღლე? — ვკითხე.

— მადლობას მოგახსენებთ, რამდენიმე დღეა, პორლადან დაბრუნდა.

— მერე როგორაა საქმე, არის უკეთესობა? — მან ოდნავ მიაბრუნა თავი და მზეზე თვალები მოჭუტა.

— მე რომ მკითხოთ, არავითარი, — მიპასუხა ძლივს გასაგონად.

გავიგე, ან იქნებ უფრო მივხვდი. სხვათა შორის, არც ისე ძნელი მისახვედრი გახლდათ.

ვილაც მოხუცი ქალი ჩამოცვენილ ფოთლებს ხვეტდა. იგი სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა და ჩვენც ნელ-ნელა ვიწვევდით გვერდზე. მივდიოდით და პასტორზე ვფიქრობდით. მე იგი მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობით შევაშინე პირველად, ამან მხოლოდ ორი კვირა იმოქმედა, მერე საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობით და სიკვდილის ნიშნებით, ამჯერად ექვსი კვირით შევაჩერე და მხოლოდ იმიტომ, რომ შორს იყო მისგან. უკვე მჯერა, რომ მარქელი და მისი კირენაიკები მართალი არიან: ადამიანები ბედნიერებისათვის კი არ ზრუნავენ, ისინი ტკობას ესწრაფვიან მხოლოდ. ტკობას ესწრაფვიან საკუთარი ინტერესების, რწმენის, შეხედულებებისა და ბედნიერების წინააღმდეგაც კი... და ასევე იქცეოდა ის ახალგაზრდა ქალი, ახლა ამაყად წელგამართული რომ მომყვებოდა გვერდით, აბრეშუმის სადარი თმის კულულებით დაფარული ნაზი კისერი კი უმწეოდ მოეხარა მწუხარების ტვირთის ქვეშ: ეძებდა ტკობას და სრულიად არ ზრუნავდა ბედნიერებაზე. და ამ დროს პირველად შემიძრა იმ აზრმა, რომ ერთი და იგივე გარემოება იწვევს ჩემს არსებაში უსაზღვრო ზიზღს მოხუცი პასტორისადმი და უსასრულო სინაზეს და გაუბედავ მოწიწებას ახალგაზრდა ქალისადმი, როგორც ღვთაებისადმი.

აელვარებული ჩამავალი მზე ქალაქის თავზე მონანავე ორთქლის სქელ ფარდას მოეფარა და ჩამუქდა.



— მაპატიეთ, ფრუ გრეგორიუს, ნებას მომცემთ ერთი ფრიად, დელიკატური ხასიათის შეკითხვა მოგცეთ?

— ღვთის გულისათვის.

— იგი, ვინც თქვენ გიყვართ, — მე ხომ არც კი ვიცი, ვინ არის იგი — რას ამბობს ამის შესახებ და საერთოდ, რას ფიქრობს ამ საკითხზე? წარმოუდგენია მომავალი? ვეჭვობ, რომ მას ახლანდელი მდგომარეობა შეესაბამება...

იგი კარგა ხანს დუმდა. უკვე გადაწყვიტე, რომ უტაქტოდ მოვიქცეო და არ სურს მიპასუხოს-მეთქი.

— მას უნდა, რომ აქედან წავიდეთ, — თქვა ბოლოს, როგორც იქნა.

მე უკან დავიხიე.

— და მას შეუძლია წასვლა? მე მინდა ვთქვა, იგი თავისუფალია, უზრუნველყოფილია, არ არის შებოროტილი არც სამსახურით, არც პროფესიით, შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც მოესურვება?

— არა, ასე რომ იყოს, აქამდეც წავიდოდით. აქ არის მთელი მისი მომავალი, მაგრამ მას უნდა თავისი ძალა გამოსცადოს ახალ ასპარეზზე, სხვა ქვეყანაში, რაც შეიძლება შორს აქედან. მაგალითად, ამერიკაში.

ჩემდა უნებურად გამეღიმა. კლას რეკე და — ამერიკა! მაგრამ მაშინვე გული შემეკუმშა, როგორც კი ჩემი თანამგზავრი გამახსენდა. ვიფიქრე: იქ კლას რეკე ფსკერზე მოექცევა სწორედ იმ თვისებების წყალობით, რომლებიც აქ აგრეირგად აღგება. რა დაემართება მაშინ ამ ქალს-მეთქი? ვკითხე:

— თქვენ კი, თქვენ გსურთ ეს?

მან თავი გააქნია. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

— მე ყველაფერზე მეტად სიკვდილი მსურს, — თქვა მან.

მზე რუხ ბურუსში გაეხვია. ხეებიდან გრილმა ნიავმა დაუბერა.

— არ მინდა დავლუპო მისი ცხოვრება; არ მინდა დავამძიმო. რისთვის უნდა წასვლა. მხოლოდ ჩემი გულისთვის. მთელი მისი ცხოვრება აქაა, მდგომარეობა, მომავალი, მეგობრები, ყველაფერი.

რა პასუხი უნდა გამეცა, ათასჯერ მართალი იყო. კვლავ რეკეს დავუბრუნდი. რაღაც არ შეეფერებოდა ეს ყველაფერი მის ხასიათს. არც მოველოდი, თუ ამგვარი საქციელის ჩადენა შეეძლო.

— მითხარით, ფრუ გრეგორიუს, შემოძლია თქვენი მეგობრობის იმედი ეიჭონიო, ხომ მთვლით მეგობრად, ასე არ არის? ხომ არ მიჯავრდებით, გულახდილად რომ ვლაპარაკობ თქვენთან ასეთ საკითხზე?

დავინახე, ვუალის მიღმა როგორ გამიღიმა თვალცრემლიანმა, დიახ, გამიღიმა!

— მე ძალიან კარგი თვალთ გიყურებთ, — მითხრა მან. — თქვენ ისეთი რამ გააკეთეთ ჩემთვის, რასაც ვერ გააკეთებდა ვერავინ, ან უბრალოდ არ მოინდომებდა გაკეთებას. თქვენ შეგიძლიათ მელაპარაკოთ რაზეც გინდათ, ძალიან მომწონს, როცა თქვენ ლაპარაკობთ.

— მითხარით, აი მან, თქვენმა მეგობარმა, დიდი ხანია რაც თქვენთან ერთად აქედან წასვლა გადაწყვიტა? დიდი ხანია ამას გეუბნებათ?

— მხოლოდ ახლა მითხრა. თქვენთან შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე ვნახეთ ერთმანეთი. ადრე არასოდეს არ ულაპარაკია ამ საკითხზე, ვფიქრობ, აზრადაც არ ჰქონია მსგავსი რამ.

უკვე რაღაცას მივხვდი... ვკითხე:



— ესე იგი, რაღაც მოხდა, სწორედ ახლახან მოხდა რაღაც ისეთი, რამაც აიძულა ასეთი გადაწყვეტილება მიეღო. რაიმემ შეაშფოთა?..

ქალმა თავი დახარა.

— შესაძლოა.

მოხუცი ქალი თავისი ცოცხით ახლა წინა მხრიდან გვიჩვენებდა. ჩვენ მდუმარედ, აუჩქარებლად გავბრუნდით ისევ ეკლესიისკენ. მუხრანის იმავე კარიბჭესთან, სადაც შევხვდით. იგი დაიღალა. ძველგნებულ სისხტურზე ჩამოჯდა, ნიკაბის ქვეშ ხელის გული ამოიღო და სქელ ბურუსს თვალი გაუშტერა.

დიდხანს ვდუმდით. სიწყნარე იყო ირგვლივ, მაგრამ ქარი სულ უფრო და უფრო ხმაურით აშრივდებოდა ჩვენს თავზე ფოთლებს; ჰაერიც გაგრილდა.

მას შეცვიებულივით გააკანკალა.

— სიკვდილი მინდა, — თქვა მან. — ო, როგორ მინდა მოვკვდე. ვგრძნობ, უკვე მივიღე ჩემი კუთვნილი, ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მიმეღო. ველარასოდეს ვიქნები ისეთი ბედნიერი, როგორიც ამ რამდენიმე კვირას ვიყავი. იშვიათად თუ იყო ისეთი დღე, რომ არ მეტირა, მაგრამ ბედნიერი ვიყავი. არაფერს არ ვნანობ, მაგრამ მოვკვდე მინდა. როგორ მოვიქცე, თვითმკვლელობა საძაგლობაა, მით უმეტეს ქალისთვის. მეზიზღება ყოველგვარი ძალდატანება ბუნებაზე. გარდა ამისა, გამოგიტყდებით, ისიც მებრალება.

ვდუმდი და არ ვაწყვეტივინებდი. თვალები დაუვიწროვდა.

— დიახ, თვითმკვლელობა საძაგლობაა. მაგრამ ცხოვრება ხანდახან უფრო საძაგელია. საშინელებაა, უბრალოდ, რა ხშირად გვიწევს ავირჩიოთ საშუალო მეტ და ნაკლებ საძაგლობას შორის. ოჰ, რომ შეიძლებოდეს სიკვდილი!

სიკვდილის არ მეშინია. კიდევაც რომ მწამდეს იმქვეყნიური ცხოვრებისა, მაინც არ შემეშინებოდა, რადგან ცხოვრებაში კარგად ვიქცეოდი თუ ცუდად, ის გზა იყო ერთადერთი, სხვანაირი მოქცევა მე არ შემეძლო: დიდშიც, მცირეშიც ვიქცეოდი ისე, როგორც უნდა მოვქცეულიყავი. გახსოვთ, ერთხელ თქვენთან ჩემი პირველი სიყვარულის შესახებ ვლაპარაკობდი და ვნანობდი, რომ არ დავნებდი მას. ახლა აღარ ვნანობ. აღარაფერზე აღარ ვნანობ, ჩემს უიღბლო ქორწინებაზეც კი. ყოველივე მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო.

მაგრამ მე არ მჯერა არავითარი იმქვეყნიური ცხოვრებისა. ბავშვობაში სული მგალობელი ფრინველის სახით მყავდა წარმოდგენილი. მამაჩემის ისტორიის წიგნში წავიკითხე, რომ ეგვიპტელებიც ასევე წარმოსაზრდნენ სულს. მაგრამ ჩიტი ხომ ჰაერის იქით ვერ გაფრინდება, ჰაერი კი შემოსაზღვრულია. ისიც მიწის ნაწილია. სკოლაში ბუნებისმეტყველების მასწავლებელი გვიხსნიდა, არცერთ სულიერს დედამიწაზე, მისგან გასვლა არ შეუძლიათ.

— ოო, იცით, ვშიშობ, რომ მას სწორად არ ესმოდა ეს საკითხი, — ჩავუბრუნე მე.

— შესაძლებელია. მაგრამ მას შემდეგ აღარ მწამს სული-ჩიტი; სული კი ჩემთვის უფრო განუსაზღვრელი გახდა. მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ, რასაც წავაწყდი, ყველაფერი გადავიკითხე რელიგიაზე, და ასეთ საკითხებზე, გავეცანი ყველა „ჰოს“ და „არას“, ეს, რასაკვირველია, დამეხმარა, ბევრ რამეში გავრკვეულიყავი, მაგრამ მთავარი მაინც ვერ გავიგე. ზოგიერთებს შესანიშნავად შეუძლიათ წერა, ისინი თავისუფლად დაგარწმუნებენ რაშიც ვნე-



ბავთ, ჩემთვის ყოველთვის ის იყო მართალი, ვინც სხვებზე უფრო ლამაზად და უკეთესად წერდა. ექტორ რიუდბერგს, უბრალოდ, ვალმერთებდი. მაგრამ ვგრძნობდი და მესმოდა, რომ მთავარი, სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ არავინ არაფერი იცის.

— თუმცა, — და სიწითლემ დაფარა ბინდში მისი თეთრად მოქაშავი სახე, — თუმცა ამ უკანასკნელ ხანს საკუთარ თავზე გავიგე იმაზე მეტი, ვიდრე დენიც მთელი ცხოვრების მანძილზე ვიცოდი. ჩემი სხეული შეჭიმულია გე და მივხვდი, რომ ჩემი სხეული ეს მე ვარ. არ არსებობს ბედნიერება, მწუხარება ან სხვა რაიმე ცხოვრებისეული, რომ სხეულისაგან დამოუკიდებლად, განცალკევებით არსებობდეს. ჰოდა, ჩემი სხეულისთვის ცნობილია, რომ იგი უნდა მოკვდეს. ამას იგი გრძნობს ისევე, როგორც მხეცები და მისგანვე ვიცი ახლა, რომ არ არსებობს არავითარი იმქვეყნიური ცხოვრება.

დაბნელდა. ახლა უფრო გარკვევით აღწევდა ჩვენამდე ქალაქის ყრუ ხმაური, ერთიმეორის მიყოლებით აინთო ფარნების კლაკნილი ჯაჭვი ჩვენს ქვემოთ, სანაპიროს გასწვრივ და ხიდებზე.

— ეს მართალია, — ვუთხარი — თქვენმა სხეულმა იცის, რომ მოკვდება. როცა იქნება. მაგრამ მას არ უნდა სიკვდილი. მას სურს იცოცხლოს და არც მოისურვებს სიკვდილს მანამდე, ვიდრე არ გაცვდება და დამძიმდება წელთა სიმრავლით; ვიდრე განცდები არ დააუძლურებს მას და არ ჩაფერფლავს ტკბობა. მაშინ თუ მოისურვებს იგი სიკვდილს, თქვენ გეჩვენებათ, რომ სიკვდილი გინდათ, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა, ამ წუთებში გიჭირთ. სინამდვილეში ეს თქვენ არ გინდათ, არც შეიძლება გინდოდეთ. გავიდეს ხანი, მოითმინეთ. ყოველივე შეიცვლება და შეიცვლება უფრო ადრეც, ვიდრე თქვენ გგონიათ. თქვენც შეიცვლებით. თქვენ ძლიერი და ჯანმრთელი ხართ. უფრო ძლიერიც შეგიძლიათ გახდეთ. თქვენ მათ რიცხვს ეკუთვნით, ვისაც შეუძლია ზრდა და განახლება.

მას შეცვიებულივით გააჟრჟოლა. წამოდგა.

— გვიანაა უკვე, ჩემო წასვლის დროა. ჩვენთვის უკეთესია, სხვადასხვა მხარეს წავიდეთ; არ იქნება სასიამოვნო, ერთად დაგვინახონ. თქვენ ამ გზით წადით, მე კი იქით წავალ. ღამე მშვიდობისა!

მან ხელი გამომიწოდა.

— ძალიან მინდოდა მეკოცნა თქვენთვის; ნებას მომცემთ? — ვუთხარი.

მან ვუალი ასწია და ლოყა მომიშვირა. ვაკოცე.

მან მითხრა:

— მინდა ვეამბოროთ თქვენს შუბლს. იგი ლამაზია.

თავი რომ დავხარე, ქარმა შეთხელებული თმა ამიჩეჩა. მან თავისი ნაზი და თბილი ხელებით თავი დამიჭირა და საზეიმოდ, თითქოს საეკლესიო ცერემონიალს ასრულებსო, შუბლზე მაკოცა.

22 აგვისტო.

რა დილაა! შემოდგომის მსუბუქი შეგრძნება კრისტალურად ნათელ ატმოსფეროში და სიჩუმე.

ცხენით სეირნობისას ფრეკენ მერტენსს შევხვდი. გულლიად მივესალმეთ ერთმანეთს. მომწონს მისი თვალები. ჩემის აზრით, რაც უფრო ღიბხანს ვუყურებ, მით უფრო ღრმაა მათი გამოხედვა და კიდევ თმა... მაგრამ მგონი მეტი



ალარც არაფერი აქვს სატრაბახო, თუმცა არა, ალბათ იგი საკმაოდ მშვიდი და თვინიერი ზნისაა.

აუჩქარებლად მივჩაქჩაქებდი ზოოლოგიურის ბილიკზე და ჩაქრობდი იმ ქალზე. ეკლესიის კარიბჭის კიბეზე ჩამომჯდარი ჩუმი ტირილით რომ შეპყურებდა მზეს და სიკვდილს ნატრობდა. უნდა ითქვას: თუ შეველხე მოესწრება, თუ არაფერი მოხდება — არ განხორციელდება ჩემი სიყვარული — მაშინ სიტყვებით მისი დამშვიდების ყოველგვარი ცდა ფუჭი იქნება. ეს მშვენიერად ვიგრძენი მაშინვე, იმ უბადრუკი დამამშვიდებელი სიტყვებით რომ მივმართავდი ქალს. პოდა, მაშინ ათასჯერ მართალი იქნება იგი, თუ სიკვდილს ინატრებს. მას არც წასვლა შეუძლია, არც დარჩენა. წავიდეს კლას რეკესთან ერთად? იქცეს მის ბორკილად, შემბოჭველად, დამილოცნია იგი, რამეთუ თვითონაც არ სურს ასე მოიქცეს. ისინი ორივენი დაიღუპებიან უეჭველად. ამბობენ, კლას რეკე აქ არც თუ ისე ცუდად მოეწყო: ერთი ფეხით თავის დეპარტამენტში, მეორეთი — ფინანსურ სამყაროში, გამიგია. მას მომავლის მქონე კაცს ეძახიან, რაც შეეხება მის ვალებს, ეს ხელს არ შეუშლის იმაზე მეტად, ვიდრე სხვა „მომავლის მქონე ხალხისთვის“ შეუშლია ხელი. სანამ ისინი მდგომარეობის შექმნას მოასწრებდნენ. მას მიმადლებული აქვს ზუსტად იმდენი ნიჭი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ წარმატებით მიიწევდეს წინ — განსაზღვრულ სფეროში რასაკვირველია. მაგრამ, მის არსებაში არ არის ბირველყოფილი სტიქიური შემართება. „მოსინჯოს თავის ძალა ახალ ასპარეზზე...“ არა, ასეთი რამ ამ კაცზე არ ითქმის. მაგრამ აქ დარჩეს და ძველებურად განაგრძოს ცხოვრება, ფრუ გრეგორიუსს არ შეუძლია. ტყვე ქალი მტრების გროვაში. გააჩინოს ბავშვი საძულველი მამაკაცის ჭერქვეშ და იძულებული გახდეს ითვალთმაქცოს მის წინაშე, იცრუოს, უცქიროს მის გულისამრევ მამობრივ განცვიფრებას. შეზავებულს ეჭვებით, რომელთა გამგდავნებისაც შეეშინდება, მაგრამ საბაბი კი მიეცემა. მეუღლეს ცხოვრება მოუწამლოს. არა, ასე ცხოვრებას ქალი ვერ შეძლებს და თუ შეეცდება, შეიძლება ვეთილად არ დამთავრდეს ყოველივე... იგი უნდა განთავისუფლდეს, უნდა გახდეს საკუთარი თავის და არა სხვა ვინმეს კუთვნილება, რომ თვითონ იყოს თავის თავისა და ბავშვის ბატონ-პატრონი. მხოლოდ მაშინ შეძლებს ცხოვრებითა და სიცოცხლით დატკბობას. გულში ფიცა დავდე: ქალი იქნება თავისუფალი.

\* \* \*

მიღების განმავლობაში არ მომშორებია საშინელი შინაგანი დაძაბულობა. ვფიქრობდი, რომ დღეს მოვიდოდა, მეჩვენებოდა, მთელი სხეულით ეგრძნობდი... იგი არ მოვიდა, მაგრამ სულ ერთია: როცა არ უნდა მოვიდეს, ეს არ იქნება ჩემთვის მოულოდნელი. ის რაც ხუთშაბათს მოხდა, არ განმეორდება.

წავალ სადმე ვისადილებ. კარგი იქნებოდა მარქელი მენახა. ერთად შევიდოდით „ხასელბაქენში“ საუბარი მინდა; მსურს დავლიო ღვინო და შევხედო ხალხს.

ქრისტიანამ უკვე დამიძახა სადილზე და გაბრაზდება; კისერიც უტეხია.

(მოგვიანებით)

ესეც ასე: საქმე მოგვარებულია. მე ეს გავაკეთე.

გასაკვირლად მოეწყო ყველაფერი. შემთხვევამ დაუჯერებლად შემიწყო ხელი. გამოგიტყდებით, ლამის ვირწმუნე განგების ძალა.



ჩემი თავი ცარიელი და მსუბუქი მეჩვენება, როგორც დაცლილი კვერ-  
ცხი. წელან დარბაზში რომ შევედი და სარკეში ჩაფიხედე, დამზაფრა ჩემმა  
გამომეტყველებამ: ის უისრო საათი მომაგონა, ეილუტის ჯიბით რომ დამაქვს.  
უნებურად თავს შევეკითხე: გამოდის, რაც დღეს ჩაიღინე, მხოლოდ ესა-  
სებდა შენს პიროვნებას, ნუთუ მეტი აღარაფერი დაგრჩა-მეთქი?

სიცრუეა. ეს შეგრძნება გაივლის. ცოტა თავბრუს მეხვევს, მაგრამ უკვე  
ფერია.

ახლა რვის ნახევარია. მზე ეს-ესაა ჩავიდა. ხუთის თხუთმეტი წუთი იყო,  
სახლიდან რომ გავედი. მაშასადამე... სამი საათი, სამი საათი და რაღაც წუ-  
თები.

...სახლიდან იმ განზრახვით გამოვედი, რომ მესადილა. გადავჭერი სასაფლაო,  
გავედი ჭიშკარში, ერთი წამით შევჩერდი მესაათის ვიტრინასთან. სიღრმეში  
მჭდარი კაცი ღიმილით, დიდის ამბით მომესალმა. მეც ვუპასუხე. მახსოვს,  
დასკვნაც გავაკეთე: ყოველთვის, კუზიანს რომ ვხედავ, მასთან სოლიდარობის  
მიზნით მეც ცოტაოდენ კუზიანი მგონია-მეთქი თავი. ალბათ, ჯერ კიდევ ბავ-  
შეობაში გამომუშავებული რეფლექსის გამო უბედურის შებრალებისა. შემ-  
დეგ გავსწიე მალა, დედოფლის ქუჩისაკენ, შევედი „ნავსადგურში“ და ვი-  
ყიდე რამდენიმე ნამდვილი „Upmann“-ი. შევუხვით ფრედსგატანზე. იმ იმედით,  
რომ მარქელი მენახა, გუსტავ ადოლფის მოედანზე გამოსულმა „რიუდბერ-  
გის“ ფანჯრებში შევიხედე. იგი ხანდახან შედის ხოლმე იქ, აბსენტის დასალე-  
ვად, მაგრამ მარქელის ნაცვლად ბირკი შემრჩა ხელში, ღიმონათს მიირთმევ-  
და. აი, ნამდვილი ფილისტერი. არავითარი სურვილი არ მქონდა მასთან მესა-  
დილა... რედაქციის შენობის წინ გაზეთების ჯიბურში „აფტონბლადეტის“  
ახალი ნომერი ვიყიდე და ჯიბეში ჩავიდე. გავიფიქრე, იქნებ რაიმე ახალი იყოს  
დრეიფტის საქმესთან დაკავშირებით-მეთქი. ჩემი გონება მთელი ამ ხნის გან-  
მავლობაში დაკავებული იყო მარქელის მონახვის სურვილით. რედაქციაში  
დარეკვა არ ღირდა, ამ დროს მისი იქ დაჭერა შეუძლებელია, მაგრამ მაინც  
შევედი თამბაქოს ფარდულში და დავრეკე. ეს-ესაა წავიდაო... წმინდა იაკობის  
მოედანზე შორიდანვე შევნიშნე ჩემკენ მომავალი გრეგორიუსი. ის იყო უნდა  
მივსალმებოდი, რომ მივხვდი, შემეშალა. რაიმე განსაკუთრებული მსგავსებაც  
კი არ იყო მათ შორის „აჰა, — გავიფიქრე, — ესე იგი მალე შემხვდება“.   
რადგან ბუნდოვნად გამახსენდა ხალხში გავრცელებული რწმენა, შეცდომით  
მიმსგავსებული ადამიანის დანახვა უნდა ჩათვალო გაფრთხილებად, რომ მას  
უსათუოდ ნახავო. ისიც კი მომაგონდა, რომ ერთ-ერთ მეცნიერულ ჟურ-  
ნალში „ფსიქოლოგიური ცდების“ სათაურით წავიკითხე ერთ კაცზე, რომელ-  
მაც ასეთი „გაფრთხილების“ შემდეგ დაუყოვნებლივ შეუხვია გვერდით ქუ-  
ჩაზე, რათა მოსალოდნელი არასასიამოვნო შეხვედრისათვის თავი აერიდებინა  
და პირისპირ კი შეეფეთა მას, ვისგანაც გაქცევა სცადა... ასეთი სისულელეებისა  
არა მჯერა, ამიტომ ჩემი ფიქრი კვლავ მარქელს დაუბრუნდა, იქნებ წავწყ-  
დომოდი მის კვალს. გამახსენდა, რომ სწორედ ამ დროს ერთი-ორჯერ შევხვდი  
მას მინერალური წყლების პავილიონთან. მეც ავდექი და იქით გავეშურე. რა-  
საკვირველია, მარქელი იქ ვერ ვნახე, მაგრამ მაინც ჩამოვჩექი ეკლესიის გალა-  
ვანთან, სკამზე, ხის ძირში, იმ განზრახვით, რომ ჭიქა ვიში დამელია და „აფ-  
ტონბლადეტში“ — ჩამეხედა. მაგრამ ის იყო გავშალე და მსუქან სათაურს —  
„დრეიფტის საქმე“ — მოვკარი თვალი, რომ გავიგონე მძიმე, ჭვიშაზე მოხრა-  
შუნე ნაბიჯების ხმა და თავს გრეგორიუსი წამომადგა.



— ო, ამას ვის ვხედავ. გამარჯობათ, ექიმო, გამარჯობათ. ნებას მომცემთ დავჯდე? იცით, მინდოდა ვაში დამეღია სადილის წინ, ვფიქრობ არას მავნებს?

— საერთოდ, ნახშირორქანგი არც ისე სახარბიელოა გულისათვის. მაგრამ ხანდახან ერთი ჭიქის დალევა განსაკუთრებულ ზიანს არ მოგაყენებთ. როგორ გრძნობთ თავს პორლას შემდეგ?

— ძალიან კარგად, მგონია, შესანიშნავად იმოქმედა. ~~გამეფრინებოდა~~ ამ რამდენიმე დღის წინ, თუ არ ვცდები ხუთშაბათს, მაგრამ დავაგვიანე, სადღაც წახვედით.

მე ვუბასუხე, რომ ჩვეულებრივ, მიღების შემდეგ, საათი ან ნახევარი საათი ყოველთვის ვიცდი, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ დღეს შედარებით ადრე მომიწია გასვლამ. შევთავაზე, ხვალ გამომიარეთ-მეთქი, მან განსახლვრული პასუხი ვერ მომცა, არ ვიცი, დრო მექნება თუ არა, მაგრამ შევეცდებიო.

— პორლა კი ძალიან ლამაზია, — მითხრა მან (პორლა საზიზღრობაა, მაგრამ გრეგორიუსი, როგორც ნამდვილი ქალაქელი, თვლის, რომ „ბუნება“ — ეს უსათუოდ „ლამაზია“, სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს იგი. გარდა ამისა, იქ ხომ თავისი ოფლით ნაშოვნ ფულს იხდიდა და არ სურდა ეზარალა, ამიტომ ეჩვენებოდა პორლა ლამაზი).

— დიახ, — დავუდასტურე, — პორლა საკმაოდ ლამაზია. თუმცა არც ისე ლამაზი, როგორც ზოგიერთი სხვა ადგილი.

— რონებიუ შესაძლოა უფრო ლამაზი იყოს, — აღიარა მან, — მაგრამ ძალიან შორი და ძალიან ძვირია.

გამხდარმა მოზარდმა გოგონამ ორი ბოთლით წყალი მოგვიტანა.

უეცრად გონება გამინათდა. თუ უნდა მოხდეს, რაც მოსახდენია, რატომ არ შეიძლება აქ მოხდეს? მიმოვიხედე. ახლომახლო არავინ იყო. მოშორებით ერთ მაგიდასთან სამი მოხუცებული კაცი იჯდა, ერთ-ერთს მას შორის, თაღარიგში გასულ როტმისტრს, ვიცნობდი. ისინი ხმამაღლა საუბრობდნენ, ყვებოდნენ ანეკდოტებს, იცინოდნენ და არ შეეძლოთ არც ჩვენი ლაპარაკის მოსმენა, არც იმის დანახვა, რას ვაკეთებდით. ფეხშიშველა, ჭუჭყიანი გოგონა წყნარად მოგვიახლოვდა და ყვავილები გამოგვიწოდა, ჩვენ უარის ნიშნად თავი გავუქნაეთ და ისიც ასევე უჩუმრად მოგვცილდა. ჩვენ წინ გაშლილი მოედანი ამ სადამო ხანს თითქმის უკაცური იყო. დროდადრო ეკლესიის კუთხიდან თუ გამოჩნდებოდა ვინმე გამვლელი, რომელიც აღმოსავლეთის ხეივნისკენ გაუხვევდა ხოლმე. გვიანი ზაფხულის მცხუნვარე მზე ოქროსფრად აელვარებდა დრამატული თეატრის ძველებურ ყვითელ ფასადს, ტროტუარზე თეატრის დირექტორი იდგა და რეჟისორს ესაუბრებოდა. შორი მანძილი მინიატურებად აქცევდა მათ და საცნაურნი იყვნენ მხოლოდ მათთვის, ვისაც წინათაც უნახავს ისინი. რეჟისორს საცნაურს ხდიდა მისი წითელი ფესი, ნაპერწკალივით რომ ელავდა მზეზე. დირექტორს — დელიკატური ქცევა, მიხვრა-მოხვრა, ყესტები, რომლითაც თითქოს ამბობდა: ღმერთო ჩემო, ყოველგვარ საქმეს ხომ ყოველთვის ორი მხარე აქვს! დარწმუნებული ვარ, სწორედ ამდაგვარი რაღაც თქვა. დავინახე, როგორ აიჩეჩა მხრები, მომეჩვენა, თითქოს ინტონაციაც დავიჭირე. და ეს სიტყვები ჩემებურად შემოვატრიალე, საჩემოდ. დიახ, ყოველგვარ საქმეს ორი მხარე აქვს. მაგრამ უკეთესია, თუ ორივეს ერთად არ დაინახავ, სულ ერთია, ბოლოს მაინც მოგიწევს ერთ-ერთის არჩევა. ჩემი არჩევანი გაკეთებულობა!



ჟილეტის ჯიბიდან აბეზიანი „საათი“ ამოვიღე, ერთი აბი თითებით დავიჭირე, ცოტა გვერდზე შევბრუნდი და ისეთი სახე მივიღე, თითქოს პირში ვიდებ. შემდეგ წყალი მოვსვი ჭიქიდან. პასტორი მაშინვე დაინტერესდა.

— თქვენ ვგონებ, წამალი დალიეთ? — მიხვდა იგი.

— დიახ, — ვუპასუხე. — მეც მაწუხებს გული, იმიტომ, რომ თქვენს ბევრს ვეწევი. არ მყოფნის ძალა თავი დაეანებო, ჰოდა, ავადმჯობესის-სადაგლის ყლაპვა მიწევს. სხვათა შორის სულ ახალი წამალია, მას გვარს რეკლამას უკეთებენ გერმანულ სამედიცინო ჟურნალებში, მაგრამ ვიდრე პრაქტიკაში შემოვიღებდეთ, მინდა ჩემს თავზე გამოვცადო. ერთი თვის წინ დავაწყე მიღება და შედეგი, ჩემი აზრით, შესანიშნავია. უნდა მიიღო ერთი აბი ჭამის წინ. ტკივილი მკერდში და გულის აჩქარება, რაც ჩვეულებრივ თან სდევს ზოლმე დანაყრებას, შეიძლება თავიდან აიცილოთ. არ გინდათ სცადოთ?

აბეზიანი კოლოფი მივაწოდე, თან წინასწარ გავხსენი და ისეთნაირად შევაბრუნე, რომ საათის კორპუსი არ დაენახა, თორემ დაიწყებოდა გაუთავებელი გამოკითხვა.

— გმადლობთ, — მითხრა მან.

— ხვალ რეცეპტსაც გამოგიწერთ.

მან უსიტყვოდ აიღო აბი, ენაზე დაიდო და წყალი დააყოლა. მომეჩვენა, რომ გული გამიჩერდა. მოედანი უკაცური იყო, ვითარცა გადახრუკული უდაბნო. წარმოსადგემა პოლიციელმა აუჩქარებლად ჩაგვიარა გვერდზე, შეჩერდა, ორი თითით მტვერი მოაცილა თავის შეუღარებელ მუნდირს და გზა განაგრძო. მზე ისევ მცხუნვარე სხივებს ჰფენდა დრამატული თეატრის კედელს. დირექტორმა მისთვის ნაკლებად დამახასიათებელი ეესტი გააკეთა — ხელის-გულები ამოაბრუნა და წინ გამოიშვირა — ეს ებრაული. საქმოსნური ეესტია, რომელიც შემდეგს ნიშნავს: აი, თქვენ წინაშე ვარ, არაფერს არ ვმალავ და მთელი კარტი გაგიხსენითო. წითელმა ფესმა თავი დაუქნია, ერთხელ, მეორედ.

— ეს პავილიონი ძალიან ძველია, — თქვა პასტორმა, — ვფიქრობ, იგი პირველთაგანია მთელ სტოკჰოლმში.

— დიახ, — ვუპასუხე ისე, რომ თავი არ შემომიბრუნებია, — ძალიან ძველია.

წმინდა იაკობის სამრეკლოზე საათმა ხუთი საათი და ორმოცდახუთი წუთი ჩამოკრა.

ანგარიშმიუცემლად ამოვიღე ჩემი საათი, რათა შემემოწმებინა, მაგრამ თითები ისე მიკანკალებდა, საათი დამივარდა და შუშა გატყდა. ასაღებად რომ დავიხარე, მიწაზე აბი დავინახე. ეს სწორედ ის აბი გახლდათ, რომლითაც სცენა გავითამაშე. ფეხსაცმლის ქუსლით გავსრისე იგი და იმავე წამში გავიგონე ტაბაკზე გადაბრუნებული ჭიქის ხმა. არ მინდოდა დამენახა, მაგრამ მაინც დავინახე: უღონოდ ჩამოკიდებული ხელი, მკერდზე ჩამოყრდნობილი თავი და გადმოკარკლული თვალები.


\* \* \*

სასაცილოა, შინ დაბრუნების შემდეგ აი, უკვე მესამედ ვდგები და ვამოწმებ, კარგად არის თუ არა დაკეტილი კარი. რისა მეშინია? არაფრისა. გადაჭრით რომ ვთქვა, არაფრისა. ჩემი საქმე, რაც არ უნდა დაარქვათ მას, სუფთად გავაკეთე. რასაკვირველია, აბი რომ დავინახე ძირს დაგდებული, შემთხ-



ვევაც დამეხმარა. საათი რომ არ დამეარდნოდა, ხომ ვერ შევამჩნევდი, ალბათ, ბედი მწყალობს...

\* \* \*



პასტორს გული გაუსკდა. ჩემი ხელით შევადგინე მოწმობა სიკვდილის შესახებ. სიცხისაგან აქოშინებულმა სულმოუთქმელად გამხსნა კისრი და თქვა: — ასეთი ახსნა-განმარტება მივეცი ჩვენს მაგიდასთან მოხუცებულ წარმოსადგე პოლიციელს, შეშინებულ გოგონა-ოფიციატს და იქვე თავშეყრილ ცნობისმოყვარეთ. ამაოდ გავაფრთხილე პასტორი, რომ პატარა ხანს დაედგა ჭიქა, რათა წყლიდან გაზი ამოსულიყო. მაგრამ ძალიან სწყუროდა და ჩემს რჩევას ყური არ ათხოვა-მეთქი. „სწორია, სწორია, — თქვა პოლიციელმა, — მეც დავინახე აქ გავლისას, როგორ ხარბად სვამდა და გავიფიქრე კიდევაც, მოხუცებული კაცისათვის საზიანოა-მეთქი...“ თავშეყრილთა შორის აღმოჩნდა ვიღაც ახალგაზრდა მღვდელი, რომელიც იცნობდა გარდაცვალებულს. მან თავს იღო შეეტყობინებინა ფრუ გრეგორიუსისათვის მომხდარი უბედური შემთხვევა: დელიკატურ ფორმებში, რასაცვირგელია.

საშიში არაფერია, მაგრამ რად ვამოწმებ ასე ხშირად, დაკეტილია თუ არა კარი? იმიტომ, რომ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყველა, ცოცხლები, მკვდრები და ჯერაც რომ არ არიან დაბადებული, ისინიც, კარს უკან შეკრებილან და ჯადოსნური ძალით აწეებიან მას, რათა შემოგლიჯონ და გამსრისონ, მიწასთან გამასწორონ... აი, რატომ ვამოწმებ, დაკეტილია თუ არა კარი.

...ბოლოს, როგორც იქნა, პირველსავე შემხვედრ ტრამვაიში ჩავჯექი და მოვშორდი იქაურობას. ტრამვაი ხომალდის კუნძულის მიმართულებით მიდიოდა და ლამის კუნძულის კიდეში გამიყვანა. სასოფლო გზით ტრანზებერგის ხიდამდე მივალწიე. ოდესღაც იქ აგარაკი გვქონდა, ალბათ ხუთი წლისა ვიქნებოდით მაშინ. აქ დავიჭირე ქინძისთავის კაუჭით პირველი ციცქნა ქორჭილა. შესანიშნავად მახსოვს ეს ადგილი. დიდხანს ვიდექი და ნეტარებით ვისუნთქავდი გაუმდინარი წყლისა და მზით გამდნარი ფისის ნაცნობ სურნელს. ახლაც, როგორც მაშინ, წყალში წინ და უკან დასრიალობდნენ ცქვიტი ქორჭილები. გამახსენდა, როგორ ხარბად ვუყურებდი ოდესღაც მათ და სურვილი მქლავდა, ერთი მათგანი მაინც მეგდო ხელთ. ბოლოს, სურვილი რომ ამიზნა და კაუჭს ერთი ციცქნა, სამიოდე დიუმის სიგრძის ქორჭილა მოედო, ალტაცებისაგან გიჟივით წამოვხტი, მუჭში მოვაქციე ჯერ ისევ მთრთოლავი ლიფსიტა და შინისაკენ მოვუსვი, დედასთან... ვთხოვე, სადილად მოემზადებინა, მაგრამ დედამ კატას გადაუგდო ჩემი ნადავლი. ესეც საინტერესო გახლდათ: კატამ ჯერ კარგა ხანს ათამაშა, მერე გავიგონე, როგორ აკრაწუნდა კბილებში ლიფსიტას ძვლები...

უკან რომ ვბრუნდებოდი, იქაურ სასადილოში შევიარე, რომ მესადილა. არაფრით არ მოველოდი, თუ ვინმე ნაცნობთაგანს შევხვდებოდი, მაგრამ ორი ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, ორი ჩემი კოლეგა დავინახე. ისინი მაშინვე შემეხმიაწენ და მაგიდასთან მიმიწვიეს. დავლიე მხოლოდ ერთი ჭიქა ლუდი და წამოვედი.

რა ვუყო ამ ჩანაწერებს? აქამდე მათ ბიუროს საიდუმლო ყუთში ვინახავდი, მაგრამ ეს არც ისე სახარბიელო ვარიანტია. ოდნავ გამოცდილი თვალიც



კი ადვილად შეამჩნევს, ასეთ ძველებულ ბიუროს საიდუმლო ყუთი რომ ექნება და მალეც მოაგნებს. და თუ მართლაც მოხდება ჩემგან გაუთვალისწინებელი და გამჩხრეკენ, ამ ჩანაწერების მიგნება არ გაუჭირდებათ. მაშ, რა მოვეუხერხო მათ? მგონი მოვიფიქრე: წიგნების თაროზე წესრიგის შენახვა და ცვით განლაგებული მაქვს წიგნისებურად გაფორმებული, გარეკანებზე მდიდრული გაწყობილი, სამედიცინო შენიშვნებითა და ძველი სხვადასხვა სახის ლაღებით სავსე უამრავი მუყაოს საქაღალდე. შეიძლება გინეკოლოგიის საქაღალდეში ჩავდო ისინი, ან ძველ დღიურთან მოვათავსო, მე ხომ ადრეც ვადგენდი დღიურს, მართალია, არასისტემატურად. მაგრამ შემთხვევიდან შემთხვევამდე... საერთოდ კი რა საჩქაროა, ყოველთვის მოვასწრებ მათ დაწვას, თუ რაიმე მოხდა.

\*\*\*

საქმე გაკეთებულია, თავისუფალი ვარ. კმარა, დროა გავხალისდე, სხვარამეზუც ვიფიქრო.

ასე — მაგრამ რაზე?

დაღლილი ვარ და ცარიელი. ვგრძნობ, დაცლილი ვარ ერთიანად, როგორც გახვრეტილი ბუშტი.

მშია და მეტი არაფერი. უნდა ვუთხრა ქრისტიანს, სადილი გამიცხელოს.

23 აგვისტო

მთელი ღამე წვიმდა და შემოდგომის პირველი ქარიშხალი მძვინვარებდა. ვიწექი ძილგატეხილი და ვუსმენდი, ჩემს ფანჯარასთან როგორ ეხლებოდა ერთმანეთს და ჭრატუნებდა დიდი წაბლის ხის ტოტები. მახსოვს, დროის რომელიღაც მონაკვეთში ავდექი, ფანჯარასთან მივიყუეე და შევცქეროდი ერთმანეთს დადევნებულ ღრუბლის ნაგლეჯებს. ჭუჩის ფანრები ჭუჭყიან-აგურისფერ ელფერს აძლევდნენ მათ. ეკლესიის გუმბათის წვეტი ქარის მიწოლისაგან თითქოს გაღუნულიყო. ღრუბლები გასაოცარ ფიგურებს ქმნიდნენ. თითქოს გაშმაგებული როკავდნენ წითელი, ჭუჭყიანი ეშმაკები. სტვენით, წრიპინით, ღმუილით, ეინიანად ეკვროდნენ ერთმანეთს და ძონძებს აგლეჯდნენ და უეცრად, ყოველივე ამის შემყურემ, გადავიხარხარე. მოსცლია რაღა, ასეთ უბრალო რამეზე რა ამბავს ტეხს-მეთქი, სასაცილოდ ავიგდე ქარიშხალი. იმ ებრაელივით დამემართა, რომლის თავზე მეხი გავარდა სწორედ იმ დროს, ღორის ხორცის დაბეგვილ კატლეტს რომ შეექცეოდა და დაასკვნა, რომ მეხის გავარდნა იმ ავბედითი ღორის ხორცის ნაჭრის ბრალი იყო. რადგან თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა, მეც გავიფიქრე, ქარიშხალი ჩემი საქციელის საპასუხოდ მძვინვარებს-მეთქი. ბოლოს სკამზევე ჩამეძინა. სიცივემ გამაღვიძა. ავდექი და ლოგინში შევწექი, მაგრამ დაძინება ვეღარ შევძელი. ბოლოს, როგორც იქნა, გათენდა ახალი დღე.

\*\*\*

ახლა რუხი, წყნარი დილაა, მაგრამ კვლავ წვიმს და წვიმს. საშინელი სურდო მაქვს, სამი ცხვირსახოცი გამოვიცვალე.

დილით ყავას რომ ვსვამდი, გაზეთი გავშალე და წავიკითხე პასტორ გრეგორიუსის გარდაცვალების ცნობა. გაზეთი იუწყებოდა, რომ იგი გარდა-



იცვალა უეცრად, გული გაუსკდა... წმინდა იაკობის მოედანზე მინერალური წყლების პავილიონთან. ჩვენმა ერთ-ერთმა ცნობილმა ექიმმა, რომელიც შემთხვევით მის გვერდით აღმოჩნდა, მხოლოდ სიკვდილის დადასტურება შესძლო... გარდაცვლილი გახლდათ დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მოხუცებული და საყვარელი მქადაგებელი... მომხიბლავი, გულისხმიერი, ადამიანი, რომოცდათვრამეთი წლისა... სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულს. მე-უღლეს, ვალლერის ქალს, და მოხუცებულ დედას.

ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რას იზამ, ყველას იქითა გვაქვს გზა. მით უმეტეს, მას ხომ გული აწუხებდა.

გამოდის, რომ მოხუცი დედა ცოცხალია. ეს კი არ ვიცოდი, ალბათ ძალზე მოხუცია.

...სინათლე და სიმყუდროვე აქვია ჩემს ოთახს, განსაკუთრებით ასეთ წვიმიან ამინდში. აქ ყველაფერი ძველია, ჩაშავებული, ჩრჩილისგან შექმული. მაგრამ ვერც ახალი ავეჯი მაგრძნობინებს მაინცდამაინც სიმყუდროვეს. ხომ არ გამომეცვალა ფარდები, ძალიან მძიმე და მუქია, სინათლეს სრულიად არ ატარებს. ერთ მათგანს კიდევ დამწვარი აქვს, ეს იმ ღამეს მოხდა, ჯერ კიდევ ზაფხულში, ღია ფანჯრიდან მონაბერმა წიავემა სანთლის ალი რომ წაუქიდა ფარდას.

„იმ ღამეს, ჯერ კიდევ ზაფხულში“... საინტერესოა, რამდენმა დრომ განვლო? ორმა კვირამ. მე კი მეგონა, მთელი საუკუნე გავიდა.

ვინ იფიქრებდა, რომ დედამისი ცოცხალი იქნებოდა...

\*\*\*

ნეტა რამდენი წლისა იქნებოდა ახლა დედაჩემი? არც ისე ბევრის, სულ რაღაც სამოცისა.

თმა ალბათ ქალარა ექნებოდა, გაუჭირდებოდა გორაზე და კიბეებზე ასვლა. მისი ნათელი ცისფერი თვალები, რომელთა დარი ქვეყანაზე არსად მეგულება, სიბერეში უფრო მეტად გასხივოსნებული, აღერსიანად დამიწყებდნენ ცქერას ქალარა კულულებს ქვემოდას. ჩემი მდგომარეობა გაახარებდა, მაგრამ უზომო მწუხარება ეწვეოდა ჩემი ძმის, ერნსტის გამო, რომელიც ამჟამად ავსტრალიაშია და წერილს არასოდეს იწერება. ერნსტს განუწყვეტლივ მწუხარება და საზრუნავი მოჰქონდა მისთვის. ამიტომაც უყვარდა იგი ყველაზე მეტად, მაგრამ რა ვიცი, იქნებ შეიცვლებოდა კიდევაც, ცოცხალი რომ დარჩენილიყო.

ძალიან ადრე გარდაიცვალა ჩემი დედიკო. მაგრამ კარგია, რომ გარდაიცვალა.

(მოგვიანებით)

სალამოყამს, შინ დაბრუნებისას დარბაზის კარში გავხვედი. სარკის წინ, ლარნაკში, მუქი ყვავილების კონა იდო. ბინდდებოდა. ყვავილები სულის შემავრთბელები სურნელებით ავსებდნენ ოთახს.

ეს იყო ვარდები, მუქი, წითელი ვარდები. ორი სამი კოკორი თითქმის შავიც იყო.

გაუნძრევლად ვიდექი ბინდში გახვეული ოთახის ზღურბლზე და სუნთქვისა მეშინოდა. მომეჩვენა, თითქოს სიზმარში ვარ. ყვავილები ლარნაკში — ეს ხომ ამასწინანდელ სიზმარში ნანახი მუქი ყვავილები გახლავთ.



დროის რაღაც უმცირეს მონაკვეთში შემეშინდა. გავიფიქრე. ნამდვილად პალუცინაცია, და დადგა ჩემი აღსასრულის უამრავი-მეტყი. იმის შიშით, რომ სიცარიელე არ შემრჩენოდა ხელში, ყვავილებთან მიკარება ვერ ვაპირებდი. ბინეტში შევედი. მაგიდაზე წერილი იყო. ავანკალებული ხელით გავხსენი, ყვავილებთან დაკავშირებული ხომ არაფერია-მეტყი. მაგრამ ეს იყო სადღესასწაულო პატიება. წავიკითხე და სავიზიტო ბარათზე ერთადერთი სიტყვა მომეჩვენა: „ვიქნები“. შემდეგ დავბრუნდი დარბაზში: ყვავილები აღვიღე იყო. დავუბრუნე ქრისტინას, მინდოდა მეკითხა, ვინ მოიტანა ყვავილები, მაგრამ ზარს არავინ გამოეხმაურა. ქრისტინა არ დამხვდა შინ. მარტო ვიყავი მთელ ბინაში.

ცხადი და სიზმარი უკვე ერთმანეთში მერევა. ველარ ვარჩევ. როდის ცხადია, როდის სიზმარი. ჩემთვის ნაცნობია ეს სიმბოლო. წიგნებში წამიკითხავს, რომ ეს დასასრულის დასაწყისია. მაშ რისი მეშინია, დასასრულს მაინც ვერსად გავეჭვები. ჩემი ცხოვრება სულ უფრო და უფრო ემსგავსება სიზმარს. ან იქნებ ყოველთვის მხოლოდ სიზმარი იყო? იქნებ დამესიზმრა, რომ ექიმი ვარ, რომ ჩემი გვარია გლასი, რომ არის ამქვეყნად მოძღვარი, გვარად გრეგორიუსი? იქნებ გაღვიძებისას აღმოჩნდეს, რომ მეზოვე ვარ, ან ეპისკოპოსი, მოსწავლე ან თუნდაც ძაღლი — აბა რა ვიცი...

სიცრუეა, სიზმრები და წინასწართქმული რომ ახდომას დაიწყებს, — (აქ ლაპარაკია არა შინამოსამსახურებზე ან მოხუც ჭორიკანა ქალებზე, არამედ უფრო მაღალორგანიზებულ ინდივიდზე) — მაშინ, თანახმად ფსიქიატრიისა, ეს უნდა ჩავთვალოთ სულიერი აშლილობის დასაწყისად. მაშინ როგორ ავხსნათ ეს ყოველივე? სრულიად უბრალოდ. უმეტეს შემთხვევაში ჩვენ სულაც არ ვხედავთ სიზმარში იმას, რაც შემდეგ „ახდება“. ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, თითქოს ეს სიზმარში ვნახეთ, ისევე, როგორც ხანდახან გვეჩვენება, თითქოს ესა თუ ის შემთხვევა ოდესღაც მოხდა, და ახლა განმეორდა ზუსტად ისე, როგორც მაშინ. მაგრამ ჩემი სიზმარი მუქ ყვავილებზე ხომ შავით თეთრზე მიწერია დღიურში! და თვითონ ყვავილებიც სულაც არაა პალუცინაცია, ისინი ცოცხალი ყვავილებია, საოცარ სურნელს აფრქვევენ და უთუოდ ვილამ მოიტანა აქ.

მაგრამ ვინ? არის მხოლოდ ერთი ადამიანი... მაშ, იქნებ იგი მიხვდა? მიხვდა და დიდი მადლობისა და თანაგრძნობის ნიშნად ეს ყვავილები გამომიგზავნა? მაგრამ ეს ხომ უაზრობაა, შეუძლებელია. ასეთი რამ არ ხდება, არც უნდა მოხდეს. ეს საშინელება, უხამსობა, უღამაზობა იქნება. ხომ აქვს საზღვარი იმას, რაც დასაშვებია ქალმა იცოდეს! და თუ მართლა ასეა, უარს ვამბობ რაიმეს გაგებაზე, მაშინ გამათავისუფლეთ, გამოვდივარ თამაშიდან.

ყვავილები ძალიან ლამაზია. ხომ არ დამედგა ისინი ჩემთან, საწერ მაგიდაზე? არა, იყოს, სადაც არის. არ მინდა შევეხო, მეშინია მათი, მეშინია!

24 აგვისტო

სურდო ნამდვილ გრიპში გადაივიდა. მიღება შევეწყვიტე. რათა პაციენტებსაც არ გადავდო. ვზივარ შინ, ჩაკეტილი. რუბინებს შევატყობინე, რომ არ შემიძლია სადილზე მისვლა. ვერაფერს ვაკეთებ, კითხვაც არ შემიძლია. მამაჩემის დანატოვარი სათამაშო ქალაქის დასტა ავიღე და პასიანსი გავშალე. კარგად რომ მომეძებნა, ასეთი ქალაქების თორმეტ დასტას მაინც ვიპოვიდი წითელი ხის ლომბერის შესანიშნავი მაგიდის უჯრაში. მარტო ამ ერთ



მაგიდას შეეძლო ჩემი დაღუპვა, ოდნავი მიდრეკილებაც რომ მქონოდა ბან-  
ქოს თამაშისადმი. მაგიდა იშლება და მწვანე მაუდი აქვს გადაკრული. ნაპირებ-  
ზე სათვალავი კოჭებისათვის მოგრძო ჩაღრმავებებით, და ნატიფად ინკუსტი-  
რებულია.

შეიძლება ითქვას, სულ ეს არის, რაც მამის შემგვიდრეობიდან გვრჩება.  
გარეთ წვიმს და წვიმს... წყლის ნაცვლად ტალახი იღვრება ჩვენი უკვე  
რუხი კი არა, მურა-ყავისფერია და წვიმა რომ ოდნავ შეწყდეს, მშვენიერ  
მე, ჭუჭყიან ყვითელ ფერს ღებულობს.

მაგიდაზე გაშლილ პასიანსზე ვარდის ფურცლები ურია. არ ვიცი, რის-  
თვის მოვწყვეტიე. ალბათ, გამახსენდა, ბავშვობაში რომ ვიცოდით: ვარდის  
ფურცლებს ქვასანაყში ვნაყავდით, მაგარ ბურთულებად ვკრავდით, შემდეგ  
ძაფზე ავასხამდით, როგორც მძივებს, და დღეობაზე ვჩუქნიდით დედას. რა  
სურნელოვანი იყო ეს ბურთულები. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისინი  
ჩამიჩივით ქცნებოდა და გადაყრდილთ ხოლმე.

ვარდები — ამ ვარდებს უკვე აქვს თავისი ისტორია... პირველი, რაც  
დღეს დილით სადარბაზო ოთახში შესვლისას თვალში მომხვდა, ეს იყო სარ-  
კის რაფაზე, თაიგულის გვერდით დადებული სავიზიტო ბარათი: ევა მერტენ-  
სი. აქამდე ვერ გამიგია, გუშინვე რატომ ვერ შევნიშნე. ვინ, რომელმა ავმა  
სულმა შთააგონა ამ კარგ, წესიერ ქალიშვილს ასეთი უცნაური აზრი, გამოეგ-  
ზავნა ყვავილები ჩემთვის, უღირსი ცოდვილისათვის? ყალბ თავმდაბლობას  
თუ გვერდს ავუვლი და ცოტაოდენ ჭკუას გავანძრევ, მივხვდები ამ საქციე-  
ლის ფარულ აზრს. მაგრამ მიზეზი? საბაბი? თავს ვიმტვრევ. მაგრამ ვერავი-  
თარი ახსნა ვერ მიპოვია, ერთის გარდა: მან სადღაც წაიკითხა, ან მოისმინა,  
როგორ გავხდი გრეგორიუსის გარდაცვალების მოწმე. მას სჯერა, რომ ღრმად  
ვარ შეწუხებული და ჩემდამი თანაგრძნობის სიმბოლოდ გადაწყვიტა ყვავი-  
ლები გამოეგზავნა. იგი მოქმედებდა სწრაფად, იმპულსურად, როგორც მის  
ბუნებას სჩვევია. ამ ქალიშვილს საოცრად კეთილი გული აქვს...

იქნებ არ არის საჭირო მისი სიყვარულის უარყოფა? მთლად მარტო ვარ.  
გასულ ზამთარში რუხი, ზოლვანი კატა მყავდა, მაგრამ როგორც კი გაზაფ-  
ხულდა, გამეჭტა. ახლა, გახურებული ლუმელის, შემოდგომის ამ პირველი მა-  
ხარობლის წინ გაშლილ წითელ ნოხზე მოციმციმე ცეცხლის ათინათს რომ  
შევხედე, ის კატა გამახსენდა. ეს მისი ნოხია, ჩვეულებრივ აქ წვებოდა ხოლმე  
და კრუტუნებდა. ჩემს რძეს სვამდა და ჩემს ცეცხლთან თბებოდა. ძლიერ  
ვცდილობდი მისი გულის მოგებას, მაგრამ ბოლომდე ცივი დარჩა. რა შეგემ-  
თხვა, მერე? შენ ცუდი ზნე გჭირდა და მეშინია, კარგს არაფერს გადაეყრები,  
თუ ჯერ კიდევ არ მიგიტოვებია ეს ცოდვილი მიწა. ღამლამობით კატის კნა-  
ვილი მესმოდა ხოლმე სასაფლაოდან და დარწმუნებული ვარ, ეს შენი ხმა  
იყო.

\* \* \*

ვინ თქვა ეს: „ცხოვრება მოკლეა, მაგრამ მისი საათები გრძელია“. მგო-  
ნი, ვილაც მათემატიკოსმა პასკალმა, მაგრამ, არა, უფრო ფენელონმა<sup>1</sup>. სამწუ-  
ხაროა, რომ მე არ მითქვამს ეს.

<sup>1</sup> ფენელონი ფრანსუა დე სალინიაკ დე ლა მოტი (1651—1715) — ფრანგი მწერალი, არ-  
ქიეპისკოპოსი.



\* \* \*

ასე რად მწყურვალა საქმე? უპირველეს ყოვლისა, შესაძლოა იმით, რომ ჩემი სევდა გამეჭარვებინა. როგორც დედოფალ მარგოს მოთქვამს: „Lennui commun à toute créature bien née“<sup>1</sup>, მაგრამ ისტორიას ჩაბარდა ის დრო, სევდა რომ „კეთილშობილური წარმოშობის“ ადამიანში მწყურვალე-სობა გახლდათ. თუ ჩემი და ზოგიერთი ჩემი ნაცნობის მაგალითზე განვიხილო, განათლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად იგი სულ უფრო და უფრო ვრცელდება მდაბიოთა შორის.

საქმე უზარმაზარი, საოცარი ღრუბელივით დამატყდა თავს, მეხივით გავარდა და გაიარა. სევდა კი დარჩა.

თანაც ეს დაწყევლილი გრიპიანობის გამომწვევი ამინდი. ასეთ დღეებში მეჩვენება, რომ ეგრძნობ გახრწნილი გვამების სუნს, სასაფლაოდან რომ ამოდის და ჩემი სახლის კედლებსა და ფანჯრებში ატანს. წვიმის წვეთები ხმაურით ეცემიან თუნუქის ფურცელზე ფანჯრის იქით. მე კი მეჩვენება, რომ პირდაპირ ტვინში მირტყამს და მალე გამიხვრეტს კიდევ. რაღაც წესრიგში არა მაქვს ტვინი. ხან ძალიან კარგია, ხან სულ არაფრად ვარგა, ერთი სიტყვით, ისეთი არ არის. როგორიც უნდა იყოს. სამაგიეროდ გული სრულ წესრიგშია. წკაპ-წკაპ-წკაპ. ბელმანის საფლავთან ამოსული ხეები რატომაც ასეთი წვრილი და სუსტი. ვფიქრობ, ავად არიან. შესაძლებელია გაზით მოიწამლნენ. არ აგობებდა დიდი, მოშრიალე ხეების ქვეშ მისცემოდა საუკუნო ძილს ძველი მეგობარი კარლ მიქაელი. ძილი... ძილი კი იქნება? მოვისვენებთ კი? არავინ იცის... მახსენდება ცნობილი ლექსის სტრიქონები: „საწვიმარ მილში ბორგავს აჩრდილი მიხრწნილ პოეტის, მოსთქვამს მწუხარედ, ვით მოჩვენება შეცდებული“. ბოდლერს ბედმა გაუღიმა, რომ არ ესმის, როგორ ჟღერს ეს ლექსი ჩვენებურად. მაინც რა დაწყევლილია ენაა. სიტყვებმა ლამის გასრისონ და სწორედ საწვიმარ მილში გადაყარონ ერთმანეთი. აზრი კი ასე ცხადად და უხეშად გამოიხატება არავითარი ნახევარტონები, არავითარი მსუბუქი მინიშნება. მსუბუქი გადასვლა. ენა, რომელიც თითქოს შექმნილია მხოლოდ იმისთვის, რათა ასაზრდოოს მდაბიური ჩვეულება — სიმართლე პირში ახალო ყველას, სადაც და როგორც მოგიხდება.

სულ უფრო და უფრო ბინდდება. ზამთრის შემოღამება აგვისტოში. ვარდის შავი ფურცლები უკვე დაქცნა. მაგიდაზე დაყრილი ბანქოს ქაღალდები თავისი მყვირალა, მზიარული ფერებით მკვეთრად გამოირჩევიან რუხ ფონზე და თითქოს თავს მაწონებენ, ჩვენ გახლავართ „ოდესღაც ერთი ვინმე შემოღილი, ავადმყოფი მბრძანებლის, — დარდის — განსაქარვებლად რომ გამოგვიგონესო. მაგრამ ფიქრიც არ შემოძლია ახლა მათ მოგროვებაზე, გადაბრუნებაზე, არევაზე და პასიანის ხელახლა გაშლაზე. არა, მაგის ძალა ნამდვილად არ შემწევს. შემოძლია მხოლოდ, გაუძირველად ვიჯდე, ვუცქირო მათ და კუს-მინო, როგორ „სევდიანად ჩურჩულებენ გულის ვალეტი და პიკის ქალი თავიანთ გარდასულ სიყვარულზე“ — როგორც იმავე სონეტშია ნათქვამი: *Le beau valet de coeur et la dame de pique, Causent sinistrement de leurs amonrs defunts.*

ხომ არ გადავსულიყავი მოპირდაპირე მხარეს, საექვო დაწესებულებაში? გოგონებთან ლუდს დავლევდი, ყალიონს მოვწევდი. დიასახლისთან კარტს ვი-

<sup>1</sup> სევდა კეთილშობილი წარმოშობის არსებათა დამახასიათებელიაო (ფრანგ.).



თამაშები და რჩევასაც მივცემდი რეკმატიზმის საწინააღმდეგოდ. გასულ კვირაში იყო ჩემთან, ფაშფაშა და მშვენიერი. ლაბაბის ქვეშ ოქროს გულ-საბნევი ეკეთა და თან ნაღდი ფული ჰქონდა. წყალობად მიიღებს საპასუხო ვიზიტს.

ზარი. ქრისტიანა აღებს კარს... ვინ შეიძლება იყოს? ხომ გავაფრთხილე, დღეს არავის ვღებულობ-მეთქი... სამძებრო პოლიციიდან? ჰმ, შეძლებდა ჩემთან ავადმყოფის სახით, ვითომ პაციენტი. შემოდი, შეგუფრთხილავ, უთუოდ მოგარჩენ...

ქრისტიანამ კარი შემოაღო და მაგიდაზე დამიდო შავარშიანი წერილი, მიწვევა მიცვალებულის სულისმოსახსენებელ წირვაზე.

\* \* \*

ჩემი საქმე... ჰოო... „და თუ თქვენ ინებებთ, მოწყალო ხელმწიფე, გარდააქციოთ ეს ისტორია ლამაზრიტმიან საგმირო ლექსად, იგი რვა სკილინგი თუ ეღირება“.

25 აგვისტო

წუხელ ჩემი ახალგაზრდობა დამესიზმრა. ვნახე ის გოგონა, ივანობის დამეს რომ ვკოცნიდი დიდი ხნის წინათ, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა გაზღდი და მკვლელობაც არ მქონდა ჩადენილი. ვნახე მაშინდელი ჩვენი საზოგადოების სხვა ქალიშვილებიც: ერთი გამუდმებით რელიგიაზე რომ მესაუბრებოდა და იმ წელიწადს, მე რომ სტუდენტი გავხდი, მირონცხებისთვის ემზადებოდა, ისიც, ჩემზე უფროსი რომ იყო და ძალიან უყვარდა ჩემთან ჩურჩული ჩვენს ბაღში, ეასმინის ბუჩქის უკან. ისიც, მუდამ რომ დამცინოდა და სასტიკად განრისხდა, ტირილით ლამის მოიკლა თავი, როცა მეც გავბედე მისი საცინლად ავდებო. მათ მკრთალ რიგად გაიარეს თეთრ ბინდში, ფართოდ დაქვეტილი, შეშინებული თვალებით მიცქეროდნენ და ერთმანეთს ანიშნებდნენ, აბა ერთი გაბედოს და მოგვიახლოვდესო. ვცდილობდი მათთან გამოლაპარაკებას, მაგრამ ზურგს მაქცევდნენ და პასუხს არ მაძლევდნენ. სიზმარში გავიფიქრე, ბუნებრივია, რომ არ მელაპარაკებიან, ისინი ველარ მცნობენ, მე ხომ საკმაოდ შევიცვალე-მეთქი. მაგრამ ამასთან ერთად მშვენივრად ვიცოდი, რომ თავს ვიტყუებდი, ძალიანაც კარგად მცნობდნენ.

გაღვიძებულს ქვითინი ამივარდა.

28 აგვისტო

დღეს სულის მოსახსენებელი წირვა იყო წმინდა იაკობის ეკლესიაში.

წავედი, მინდოდა შენახა იგი. იქნებ დამენახა ვუალში გამომკრთალი მისი თვალების ელვარება, მაგრამ შავ შალში გაბვეული თავდახრილი იჭდა და ერთხელაც არ აუწევია ქუთუთოები.

მღვდელმა სირახიდან დაიწყო: „გათენებიდან დაღამებამდე უფლოს თვალ-წინ შეუჩერებლად ფერიცვალობს დრო“. იგი საზოგადოებაში გამოსულ კაცად არის მიჩნეული. თეატრში ყოფნისას ხშირად ვხედავ მის პრიალა მელოტ თავს და ნაპატივს ხვლებს, თავშეკავებით რომ უკრავს ტაშს. მაგრამ იგი საუკეთესო ორატორია. ქვეშარტი მღელვარებით წარმოთქვამდა უძველეს სიტყვებს, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა და მუდამყამს თან სდევს მოულოდნელ სიკვდილს, ნაჩქარევად გაჭრილ საფლავეებს და ასეთი შემაძრწუნებელი ძალით გამოხატავენ ადამიანთა მოდგმის თრთოლვას მათთვის უცნობი მეუფის ძლევამოსილი, მფარველი ხელის წინაშე, ერთნაირი იდეალებით რომ უგ-



ზავნის მათ დღესა და ღამეს, სიცოცხლესა და სიკვდილს. „უძრავობა და უცვლელობა არ არის ხვედრი ჩვენი, — განაგრძობდა იგი. — ჩვენ ეს არ გვჭირდება, შეუძლებელია და აუტანელიც კი. ცვალებადობის კანონი არა მარტო სიკვდილის კანონია: უპირველეს ყოვლისა იგი სიცოცხლის კანონია და მაინც, მუდამყამს განვიცდით ძრწოლას ცვალებადობის წინაშე. ჩვენ უცვლელთვის მოულოდნელია იგი და არ ჰგავს იმას, რასაც ველოდებით... ეს არასგვარგებს, ძმებო. უნდა გავიგოთ: ღმერთი ჩვენდა გაუგებრად ამწიფებს ნაყოფს და ასევე იდუმლად კრეფს მას...“ ვიგრძენი, როგორ დამენამა თავლები. მღელვარება რომ დამეფარა, შლაპა ავიფარე. იმ წუთებში თითქოს დამავიწყდა კიდევ, თუ რამ ვიცოდი ნაყოფის ესოდენ სწრაფი მწიფობისა და ვარდნის შესახებ. უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვი: არსებითად ვიცოდი ის, რაც ყველამ იცოდა. ჩემთვის ცნობილი იყო მხოლოდ ზოგიერთი რამ უშუალო მიზეზებსა და გარემოებებზე, მიზეზობრიობის გრძელი ჯაჭვი კი წყვედიადში იკარგებოდა. ჩემს საქმეს კი აღვიქვამდი, როგორც ერთ-ერთ რგოლს ამ გრძელ ჯაჭვში, როგორც ტალღას იმ მოძრაობისას, ჩემს არსებაში ცნობიერების ჩასახვამდე და იმ დღეზე ადრეც რომ დაიწყო, როცა მამაჩემმა პირველად შეხედა დედაჩემს სურვილმორეულმა. იმ წუთში მთელი სხეულით, თითოეული უჯრედით ვგრძნობდი გარდუვალობის კანონის მოქმედებას. თავს არაფერში ვადანაშაულებდი, არ არსებობს არავითარი დანაშაული. ისეთივე სიძლიერის თრთოლვამ ამიტანა, ზოგჯერ დიდებული და სერიოზული მუსიკის მოსმენისას, ან ნათელ და წმინდა ფიქრებში ჩაფლულს რომ ამიტანდა ხოლმე.

დიდი ხანია ეკლესიაში აღარ ვყოფილვარ. გამახსენდა, ერთ-ერთ ამ მერხზე ჩამომჯდარი თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭუნა სიბრაზისაგან ტუჩებს როგორ ვიკვნეტდი, საკურთხეველთან მდგარ, ქონაძეცეულ, გაფოფინებულ გაიძვერას რომ შევცქეროდი და გულში თავს ვიმშვიდებდი, ეს თვალთმაქცობა დიდხანს ველარ გასტანს, დიდი-დიდი 20-30 წელი გაგრძელდეს-მეთქი. ერთხელ გრძელი, მოსაწყენი ქადაგების მოსმენისას მღვდლად გახდომაც კი გადავწყვიტე. ყველა მღვდელი, ვინც კი მანამდე მენახა და ვისთვისაც მომესმინა, საოცრად უნიჭოებად მიმაჩნდა და ვფიქრობდი, ათასჯერ უკეთესად შევძლებდი ამ საქმის გაკეთებას. უფრო მეტსაც მივალწევდი. შეიძლება ეპისკოპოსიც გავმხდარიყავი, არქიეპისკოპოსიც და მაშინ ნახავდით, რა მზიარულ ქადაგებებს ჩავატარებდი! ხალხი ნიაღვარივით მოაწყდებოდა უფსალის ტაძარს... მაგრამ იმ მღვდელმა „ამინამდევ“ ვერ მიაღწია, რომ ჩემს ფანტაზიებს ბოლო მოეღო: ჯერ ერთი, სკოლაში მეგობარი მყავდა, რომელსაც ყველაფერს ვანდობდი, მეორეც შეყვარებული გახლდით ერთ გოგონაზე და ნესამეც — მყავდა დედა. ეპისკოპოსი რომ გავმხდარიყავი, მათ წინაშეც უნდა მეთვალთმაქცა და მომეტყუებინა მუდამ, ეს კი შეუძლებლად და უაზრობად მეჩვენებოდა, არ გყავდეს არავინ, ვისაც შეიძლება გაენდო!? ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, სად გაქრა ის შორეული, უცოდველი ხანა... რა საოცრებაა აი ასე, ფიქრებით დაუბრუნდე შორეულ წარსულში გადატანილ განცდებს. რაოდენ საცნაური ხდება ამ დროს წლების სრბოლა. ეს გახლავთ ცვალებადობის კანონი, როგორც მღვდელმა უწოდა (სხვათა შორის, მან ეს იბსენის რომელიღაც პიესიდან აწაპნა). ეს იგივე განცდაა, რაც გვეუფლება ძველ ფოტოსურათზე დახედვისას. შემდეგ გავიფიქრე, რამდენ ხანს უნდა ვიარო ასე ბრმად ამ გამოცანების, სიზმრებისა და ათასგვარ გაუგებარ საგანთა ქვეყა-



ნაში-მეთქი? შესაძლოა ოცი წელი, ან იქნებ მეტიც... რა ვიქნები ოცი წლის შემდეგ?... მე რომ თექვსმეტი წლისას რაიმე სასწაულოთ შემძლებოდა ჩემი ახლანდელი ცხოვრებისათვის შემეხედა, რას ვიგრძნობდი? ვინ ვიქნები ოცი წლის შემდეგ, ათი წლის შემდეგ? როგორ წარმომიდგება მაშინ ჩემი ახლანდელი ცხოვრება? მთელი ამ დღეების მანძილზე ერიწების გამოჩენას ველოდი. არ გამოჩნდნენ. მაინცდამაინც არც მჯერა მათი არსებობის შესაძლებლობა ვინ იცის... შეიძლება არ ჩქარობენ. ალბათ ფიქრობენ, რომ დღესასწაულები მოგვით. ვინ იცის, რად გადამაქცევენ წლების მანძილზე. ვინ ვიქნები ათი წლის შემდეგ?

ასე ჭრელი პეპლებივით დაფარფატებდნენ ჩემი ფიქრები, ვიდრე ცერემონიამ დასასრულს არ მიატანა. ეკლესიის კარიბჭე გაიღო, ხალხი გასასვლელისაკენ გაეშურა. ჩამოკრეს ზარები. კუბო შეინძრა, ტალღებზე მონანავე გემივით რწევით გასრიალდა თაღის ქვეშ და სახეზე შემოდგომის გრილი ნიავის ქროლვა ვიგრძენი. თვალში მომხვდა ნაცრისფერი ზეცა და მიმქრალი, ძალადაკარგული მზე. ასევე განაცრისფერებულად, მიმქრალად და ძალადაკარგულად ვგრძნობდი საკუთარ თავსაც, როგორც ეს სივიწროვესა და უპაერობაში დიდხანს ჯდომისას გვემართება ხოლმე, განსაკუთრებით წესის აგებისას, ან წმინდა საიდუმლო აღსარების დროს. მალმტორგსგატანზე, ფინური აბანოებისაკენ გავემართე.

ტანთ გავიხადე და შიგნით შევედი თუ არა, ნაცნობი ხმაც გავიგონე:

— ოჰ, რა ცხელა, ოჰ, რა საუცხოოა, მგონია ჯოჯოხეთში მოვხვდი! სტინა! მოამზადე ცოცხები!

ეს გახლდათ მარქელი. იგი მოკაკული იჯდა ლამის ჭერში და შიშველ ძვალსა და ტყავს „აფტონბლადეტის“ ახალი ნომრით იფარავდა.

— ნუ მიცქერი, — მითხრა, როგორც კი დამინახა. — რამეთუ არ შეიძლება მღვდლებისა და მწერლების შიშველად ხილვა.

თავი სველი პირსახოცით შევიხვიე და ხის სკამზე გავიშოტე.

— მართლა, მღვდელზე გამახსენდა, — გააგრძელა მან. — აქ წერია, რომ პასტორი გრეგორიუსი დღეს დაასაფლავეს. შემთხვევით, ეკლესიაში ხომ არ ყოფილხარ?

— ვიყავი, სწორედ იქიდან მოვდივარ.

— რედაქციაში ვიყავი მორიგე, სიკვდილის ცნობა რომ მოვიდა. რეპორტიორმა, რაღაც სენსაციური გრძელი ამბავი შეთითხნა, სადაც შენი სახელიც იყო ხსენებული. მე ეს ზედმეტად მომეჩვენა. ვიცი, რეკლამის მოყვარული არა ხარ და ნახევარზე მეტი გადავხაზე. მოგეხსენება, ჩვენი გაზეთი მოწინავე საზოგადოებრივი აზრის გამტარებელია და ხმაურს არ ატებს მარტო იმის გამო, რომ ვიღაც მღვდელმა სული განუტევა. მაგრამ ორი-სამი ლამაზი სიტყვის გარეშეც არ შეიძლებოდა იოლად გასვლა. ჩემთვის კი არ არსებობს ამაზე დიდი სასჯელი. „მომხიბლავი“ ენის წვერზე მეკიდა, მაგრამ ეს არ კმაროდა, მერე უეცრად გამახსენდა, რაკი გულის გასკდომით მოკვდა, ჩანს, გულით ავადმყოფი ყოფილა-მეთქი და დახასიათებაც გამომივიდა: მომხიბლავი, გულისხმიერი აღამიანი.

— ჭვარფასო მეგობარო, — ვუთხარი მე, — შენ ჭეშმარიტად კეთილშობილურ ასპარეზზე მოღვაწეობ.

— ნუ იცინი, — მიპასუხა მან, — აი რას გეტყვი: ამქვეყნად მხოლოდ



სამი ჯურის ხალხი არსებობს — მოაზროვნენი, მჭლახნელები და უნო პირუტყვები. მართალი ვითხრა, უმეტესობას მათგან, ვინც მოაზროვნეობს და პოეტებად იწოდებიან, ჩვენში დარჩეს და, მჭლახნელებად ვრცელდება. მჭლახნელების უმეტესობა კი, ჩემი აზრით, პირუტყვებს მიეკუთვნება, თუმცა ეს სულ სხვა საუბრის თემაა. მოაზროვნენი მოწოდებულნი არიან ეწინააღმდეგებოდნენ რიტებას, მაგრამ აქ ერთი საიდუმლოება იმალება, რომელიც ბევრმა არც კი იცის, თუმცა ჩემთვის დღესათვის ნათელია. — საქმე იმაშია, რომ ჭეშმარიტება მზესავითაა: იგი სასარგებლოა მხოლოდ გარკვეულ დისტანციაზე. მოაზროვნეებს რომ საშუალება ჰქონდეთ, დედამიწას პირდაპირ მზესთან მიიყვანდნენ და ერთიანად ამოგვბუგავდნენ ყველას. მაშ რაღად გვიკვირს, მათი მოღვაწეობა დროდადრო შიშის ზარს რომ სცემს პირუტყვებს და ისინიც ბლავიან: ჩააქრეთ მზე, ჩააქრეთ, ეშმაკმა წაიღოს! ჩვენ, მწერლები კი მოწოდებული ვართ დავიცვათ სწორი და აუცილებელი დისტანცია მზის მიმართ. ნამდვილად კარგი მჭლახნელი — ისინი კი არც თუ ისე ბევრია! — მოაზროვნის მხარეზეა ფიქრით და პირუტყვის მხარეზეა გრძნობით. ჩვენი საქმეა დავიცვათ მოაზროვნენი პირუტყვთა რისხვისაგან, პირუტყვები კი ჭეშმარიტების დიდი დოზისაგან. გულახდილად ვაღიარებ. ეს მეორე ამოცანა უფრო ადვილია და შედარებით იოლად ვახერხებთ. არც იმას უარვყოფთ, რომ ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს ყალბი მოაზროვნენი და პირუტყვთა ის ნაწილი, ვინც შედარებით ჭკვიანია.

— ჩემო კარგო მარქელ, — ვუთხარი მე — ბრძნულია შენი სიტყვები და მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი მაქვს, ჩემს პიროვნებას არც მოაზროვნეთ მიაკუთვნებ და არც მჭლახნელებს. არამედ მესამე კატეგორიას, მაინც ჭეშმარიტ სიამოვნებას მივიღებდი შენთან ერთად სადილობით. იმ ავბედით დღეს, მინერალური წყლების პავილიონთან გრეგორიუსს რომ შევხვდი, მთელი ქალაქი შემოვიარე შენს ძებნაში სწორედ ამავე მიზეზით. ერთი საათით ვერ შეძლებ გამოსვლას? „ხასელბაკენში“ წავიდოდით.

— შესანიშნავი აზრია, — მიპასუხა მარქელმა. — უკვე ეს ერთი შემთხვევა მოაზროვნეთა რიგებში გაყენებს. იცოდე, ისეთი მზაკვარი მოაზროვნენიც არსებობენ, განზრახ რომ გაერევიან ხოლმე პირუტყვებში. ეს სწორედ ყველაზე დახვეწილი კატეგორიაა და შენ ყოველთვის ამ კატეგორიას გაკუთვნებდი. რა დროა ახლა? ზუსტად ექვსია. შესანიშნავია.

აბანოდან სახლში წავედი, რათა შავი შარვალი და თეთრი პალსტუხი გამომეცვალა. სახლში სასიამოვნო სიურპრიზი მელოდა: გასულ კვირას შეკვეთილი მუქი რუხი სერთუჟ-შარვალი, ლურჯი, თეთრწინწკლებიანი ფილუტით. ნაადრევი შემოდგომის ამ დარია დღეს „ხასელბაკენში“ შესასვლელად უფრო შესაფერ კოსტუმს ვერც იხატრებს კაცი, სამაგიეროდ მარქელი მაფიქრებდა. მისგან ვერ გაიგებ, როდის რას აპირებს. დღეს თუ დიპლომატიული გამოიწვიება, ხვალ ზედაც არ შეხედავ. გარშემო იმდენი ნაცნობი ახვევია, ალბათ მიეჩვია, ხალხში ისე იგრძნოს თავი, როგორც საკუთარ სახლში, მაგრამ ჩემი აფორიაქება სულაც არ აიხსნებოდა პატივმოყვარეობით, ან ხალხის აზრისადმი ანგარიშგაწევით. საკმაოდ ცნობილი გახლავართ, საკმაოდ მეარი მდგომარეობა მაქვს და შემოდის თავს ნება მივცე „ხასელბაკენში“ მეეტლეთა საზოგადოებაშიც კი ვისადილო. რაც შეეხება მარქელს, მის გვერდით ყოფნა ყოველთვის დიდ პატივად მიმაჩნია და არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ



მის ჩაცმულობას. მაგრამ ელეგანტურ რესტორანში, გამორჩეულად გაწყობილ მაგიდასთან დაუდევრად ჩაცმული მამაკაცის გვერდით ესთეტიკურ უკმაყოფილებას განვიცდი. ამან შეიძლება ნაწილობრივ გამოეწიოს განწყობილება. ზოგიერთ ცნობილ პიროვნებას უყვარს თავის დიდებას ხაზი გაუსვას იმით, რომ ძველმანების გადაწყიდველივით გამოეწყოს: ეს არ არის ღირსეული.

ჩვენ შევთანხმდით, ტორნბერგთან. საათის ქვეშ შევხვედით ერთმანეთს. თავს მზნედ ვგრძნობდი, მსუბუქად, გაახალგაზრდავებულად, განახლებულად, თითქოს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გამოვჯანმრთელდი. შემოდგომის სუფთა ჰაერი ჩემი ახალგაზრდობის დღეების არომატიტ იყო შეზავებული. შეიძლება ამაში სიგარაც იყო დამნაშავე. ისეთი სიგარა ვიშოვე, ოდესღაც რომ ვაღმერთებდი და ღმერთმა იცის რამდენი წელია აღარ მომიწევია... მარქელი მოვიდა შესანიშნავი განწყობილებით, პალსტუხში, გველის მომწვანო-ქერცლიან ტყავს რომ მოგაგონებდათ და ისე ბრწყინვალედ გამოწყობილი. თვით უმშვენიერეს მეფე სოლომონსაც კი შეშურდებოდა. ჩვენ ღია ეტლში ჩავსხედით, მეეტლემ ოსტატურად მოიქნია შოლტი, დაატკაცუნა, თითქოს საკუთარი თავი და ცხენი გაამხნევაო და დავიძარიტ.

წამოსვლამდე მარქელს ვთხოვე, ტელეფონით მაგიდა შეეკვეთა ვერანდაზე, მოაჯირთან. იქ მის სიტყვას მეტი ფასი აქვს. პირველად აკვავეტიტ, სარდინებით დ ზეთისხილით შევიქციეთ თავი, თან პროგრამა შევადგინეთ: *potage à la chasseur*, ზღვის ენის ფილე, მწყერები, ხილი, შაბლი, მშრალი შამპანური, მანზანილა.

— მაშ, ხუთშაბათს არ წახვედი რუბინებთან? — მითხრა მარქელმა. — დიასახლისი ძალიან სწუხდა. შენზე თქვა, დუმილი არაჩვეულებრივად კარგად შეუძლიაო.

— გაციებული ვიყავი. საშინელი სურდო მქონდა. მთელი დილა სახლში კიჩქეი და პასიანსით ვიქცევდი თავს. სადილის შემდეგ კი ლოგინში ჩავწექი. ვინ იყო მათთან?

— ნამდვილი პანოპტიკუმი. მათ შორის ბირკიც. ბედმა გაუღიმა, რომ შეძლო, თავიდან მოეცილებინა თავისი გველი. რუბინმა მიაშბო. როგორ მოხდა: ამ ცოტა ხნის წინ ბირკმა საზეიმოდ გადაწყვიტა, სამსახური მიეტოვებინა და მთლიანად ლიტერატურისათვის გადაედო თავი. გველმა, როგორც კი ეს ამბავი, იყნოსა, მაშინვე მიიღო კონტრგადაწყვეტილება და სხვა ადგალი მონახა.

— ეს როგორ, სერიოზულად? ბირკზე გეკითხები...

— არამც და არამც. იგი სავსებით კმაყოფილია მიღწეული შედეგით და ამჟამადაც საბაჟოშია. ახლა ცდილობს, ისეთი სახე მისცეს ამას, თითქოს ეს გახლდათ მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ეშმაკობა...

ერთ-ერთ შორეულ მაგიდასთან კლას რეკეს სახე მომეჩვენა.

არც შევმცდარვარ. ისინი ოთხნი იყვნენ: თვითონ, ვიღაც ბატონი და ორიც ქალბატონი. არცერთ მათგანს არ ვიცნობდი.

— ვისთან ერთად სადილობს რეკე? — ვკითხე მარქელს.

იგი შემობრუნდა, მაგრამ ვერც რეკეს და ვერც მის თანამგზავრებს ვერ მოპკრა თვალი. ხმების ზუზუნნი თანდათან ძლიერდებოდა, თითქოს ეჭიბრე-



ბათ ორკესტრს, „ბულანგეს მარშს“<sup>1</sup> რომ აგუგუნებდა. მარქელი მოიღუშა. იგი თავგამოდებული დრეიფუსარია და მახვდა, ამ ანტიდრეიფუსულ დემონსტრაციაში ლაწირაკი ლეიტენანტების ხელი რომ ერია.

— კლას რეკე? — შეშეკითხა იგი. — რაღაც ვერ ვხედავ. ალბათ, თავს იქცევს მომავალ ნათესავეებში. უთუოდ მალე მიაღწევს საწადელს, ვერაფერს ვერ ვხედავ. მზითვიანმა ასულმა კარგი თვალთ შეხედა მას. სხვათა შორის, საყვარელი მამი თვალებით მართლა, ლამაზ თვალებზე გამახსენდა. რუბინებთან, სადილობისას, ვიღაც ახალგაზრდა ქალის, ფრეკენ მერტენსის გვერდით ვიჯექი. ძალიან საყვარელი გოგონაა, იშვიათი რამაა. აღრე მას 'იქ არასდროს შევხვედრე. არ მახსოვს, როგორ მოხდა, რატომღაც შენი სახელი ვახსენე. როგორც კი გაიგო, რომ მე და შენ კეთილი მეგობრები ვართ, სულ შენზე ლაპარაკობდა. გაუთავებლად მეკითხებოდა, აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა... მერე უეცრად ყაყაჩოსავით გაწითლდა. მე მგონი მოსწონხარ.

— ძალიან ჩქარობ დასკვნების გამოტანას, — შევეკამათე მე. გონებიდან არ მშორდებოდა რეკეს შესახებ მისი ნათქვამი. არ ვიცოდი, რა მეფიქრა, — მარქელმა ხშირად იცის ზერელე ლაპარაკი, ახასიათებს ასეთი სისუსტე. მაგრამ გამოკითხვაც არ მინდოდა. ის კი გაუთავებლად ლაპარაკობდა ფრეკენ მერტენსზე და თანაც ისეთი გულმხურვალეებით, რომ თავი ვერ შევიკავე და გავცხუმრე:

— ვგონებ, შენ თვითონ არ უნდა იყო გულგრილი მის მიმართ. ქურდს ქუდი ეწვისო! შენი იყოს, ჩემო კარგო, საშიში მეტოქე არ გახლავარ. თვალის დახამხამებაში აღმოჩნდები ჩემ ადგილზე.

მან თავი გადააქნია და გაფითრებულმა, სერიოზულად მითხრა:

— მე თამაშვარე მდგომარეობაში ვარ.

არაფერი ეუბასუხე. დუმილი ჩამოწვა. ოფიციალტმა ღვთისმსახურის საზეიმო იერით შამპანური მოგვართვა. ორკესტრმა „ლოენგრინის“ შესავალი დაუკრა. ღრუბლები გაიფანტნენ და ახლა ვარდისფერ ნაჭრებად ეკიდნენ ჰორიზონტზე, ცის კამარა კი ამ გასაოცარი, ლურჯი მუსიკის დარად უძირო და უნაპირო სილურჯედ იქცა. ვუსმენდი და ნელ-ნელა ვიფიქრებდი ყველაფერს. უწინდელი ფიქრები, დანაშაული რომ ჩამადენინეს, მათგან გამოწვეული ტანჯვა-წამება, სადღაც გაქრნენ, თითქოს ამ სილურჯეში შთაინთქნენ, ჩამოაცილდნენ, არარეალობად იქცნენ. ჩემი შეწუხება მათ უკვე აღარ შეეძლოთ. ვგრძნობდი, არასოდეს აღარ მეწვეოდა მსგავსი საქციელის ჩადენის არც სურვილი, არც ძალა. იქნებ ცდუნება იყო? მაგრამ, მე ხომ სადი გონებით და ფიზიკური მახსოვრობით ვმოქმედებდი. ძირფესვიანად ვამოწმებდი, ყველა „კი“ და „არა“-ს. ცდუნება იყო? განა სულ ერთი არ არის? სწორედ ამ მომენტში ორკესტრში იღუმალა ლაიტმოტივი გაისმა: „ნუ მეკითხები!“. მომეჩვენა, რომ მუსიკის მისტერ ბგერებსა და ამ ორ სიტყვაში უძველესი სიბრძნის საიდუმლოება შევიცანი. „ნუ მეკითხები!“ ნუ შეეცდები არსს ჩასწვდე ძირამდე, თორემ შენ თავად ჩაიძირები. ნუ შეეცდები ქეშმარიტების ძიებას: შენ მას ვერ იპოვი და საკუთარ თავსაც დაკარგავ. „ნუ მეკითხები!“ გაუგებრობასა და სიცრუესთან შეზავებული ქეშმარიტების საკმაო რაოდენობას ისედაც მიიღებ, ისევ შენი ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ, თორემ გაუზავე-

<sup>1</sup> ბულანგე ჟორჟ-ერნესტი (1837—1891) — ფრანგი გენერალი, მესამე რესპუბლიკის პერიოდში შოვინისტური მოძრაობის ლიდერი.



ბელი ჭეშმარიტება ხომ გამოგწავდა გულმუცელს. ნუ შეეცდები, განიწმინდო სული სიცრუისაგან, თორემ მას თან მიჰყვება ბევრი ისეთი რამ, რაზეც წარმოდგენა არ გქონდა და საკუთარ თავთან ერთად დაკარგავ მასაც, რაც შენთვის ძვირფასია. „ნუ შეკითხები!“

— თუ გინდა ჩვენი რიკსდაგმა ოპერის ფული გაიღოს, — მითხრა მარქელმა, — სულ უნდა ეჩიჩინო, რომ მუსიკა „გამაქეთილშობილებს“ მოჰყვება“ ახდენს. მახსოვს, მეც ეწერდი ამგვარ სისულელეს ზამთრის მოწინავეში. ეს, სხვათა შორის, სწორია, მხოლოდ გამოთქმულია პოპულარულად, საგანგებოდ ჩვენი კანონმდებლობისათვის. საჭირო კია ასე გამოითქვას: მუსიკა ძალას მატებს, აფხიზლებს და ამხნევებს ადამიანს, იგი სიმტკიცეს მატებს ღვთისმოსავს ღვთისმოსავობაში, მეომარს — ლაშქრობაში, გარყვნილს — გარყვნილობაში. ეპისკოპოსმა ამბროსმა საეკლესიო მუსიკაში აკრძალა ქრომატული გამები, რადგან საკუთარი გამოცდილებიდან იცოდა. ასეთი ბგერები ცოდვილ აზრებს რომ იწვევენ ხშირად. მეთვრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში ჰალეში ცხოვრობდა ვინმე პასტორი, რომელიც ჰენდელის მუსიკაში აუგსბურგის აღსარების<sup>1</sup> პირდაპირ ასახვას ხედავდა მაქვს ეს წიგნი. ვაგნერის ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი კი მსოფლმხედველობის მთელ სისტემას შექმნის „პარციფალის“ მხოლოდ ერთ მელოდიაზე დაყრდნობით.

ყავის სმას შევეუდექით. მარქელს სიგარები მივაწოდე. მან აიღო ერთი ცალი და ყურადღებით დააკვირდა.

— სოლიდური სიგარია, — მითხრა მან. — აშკარად ეტყობა, რომ ნამდვილია. მე კი, გამოგიტყდები, ცოტა შევშინდი. როგორც ეჭიმს, შენ კარვად გეცოდინება, კარგი სიგარა რომ ყველაზე მავნებელია. ამიტომ ეჭვი შემეპარა, ვაითუ რაიმე საძაგლობას მთავაზობს-მეთქი.

— ძვირფასო მეგობარო, — შევედავე მე. — მედიცინის თვალსაზრისით დღევანდელი ჩვენი სადილი ჯანსაღი გონების სრული მასხარად აგდება. რაც შეეხება სიგარას, თუთუნის მრეწველობაში იგი ეზოტერულ მიმართულებას წარმოადგენს. რჩეულთ უხმობს.

ჩვენს გარშემო ხალხი შეთხელდა, ვერანდაზე ბინდი ჩამოწვა, ჩართეს ელექტროგანათება.

— აჰა, — მითხრა უეცრად მარქელმა, — ახლა უკვე ვხედავ რეკეს. სარკეში ვხედავ, რასაკვირველია, ვიცანი მისი მხლებელი ქალი. დანარჩენებს არ ვიცნობ.

— ვინ არის ის ქალი?

— ფრეკენ ლევიנסონი, ბირჟის მაკლერის ქალიშვილი, მამამისი წელს გარდაიცვალა... ნახევარი მილიონის მფლობელია.

— და შენ ფიქრობ, რეკე მის ფულებზე აპირებს დაქორწინებას?...

— ღმერთმა დაიფაროს, რასაკვირველია, არა. კლას რეკე კარგი გაზრდილი ყმაწვილია. არხეინად ბრძანდებოდეთ, იგი მოახერხებს, ჯერ თავდავიწყებით შეიყვაროს ეს ქალი და შემდეგ იქორწინოს. ამ თავის ფოკუს-მოკუსებს ისე არტისტულად გააკეთებს, ისე შევა როლში, თვითონვე გაცეებული დარჩება, ამდენი ფული საიდან გამიჩნდაო.

<sup>1</sup> აუგსბურგის აღსარება — ნაშრომი ლიუთერანობის საფუძვლების შესახებ, რომელიც შეადგინა ფ. მელანქტონმა და წარუდგინა საიმპერიო სეიმს აუგსბურგში (1530 წ.).



— იცნობ ამ ქალს?

— ორჯერ-სამჯერ შევხვედრივარ. საკმაოდ ლამაზია. ცხვირი კი აქვს ზედმეტად წვეტიანი, სხვათა შორის, ჰკუთვნის საკმაოდ უჭრის. ემანსიპირებული ქალიშვილია, მოუსყიდავი სამართლიანობით თავისას რომ მიუზღავს. საინტერესოა თუ ნიციშეს. ხშირად გამიგონია მისგან: „ამასა და ამაში ეს მართალია, ამასა და ამაში კი უსათუოდ ისო“. იგი რაღაცით მაღელვებს კიდეც, მაგრამ მისი მაღელვარება არ არის... რა თქვი?

არაფერიც არ მითქვამს. უბრალოდ, ფიქრები მომეძალა: ალბათ ჩემი ტუჩები ფიქრების კვალდაკვალ მოძრაობდნენ და ჩემდა უნებურად ცხვირში რაღაცას ვდუღლუნებდი... გონებით ვხედავდი მას. ვინც ფიქრებით მუდამ-ქამს თან დამყვება. ვხედავდი, როგორ დადის ბინდში წინ და უკან უკაცრიელ ქუჩაზე და ამაოდ ელოდება მას, ვინც აღარ მოვა. „ჩემო კარგო, — ვბუტბუტებდი ჩემთვის. — ასეთი ყოფილა შენი ხვედრი. ძალა უნდა მოიკრიბო. უნდა გაუმკლავდე. მე ველარაფერში დაგეხმარები, რომც შემეძლოს, არ ვიკისრებდი. ამას გარდა ვფიქრობდი: „კარგია, რომ ახლა თავისუფალი ხარ. უფრო ადვილად გადაიტან ამ უბედურებას“.

— ეს მეტისმეტია, გლას. — შეწუხებულმა მითხრა მარქელმა. — შენი ზრით რამდენხანს უნდა ვიჯდეთ აქ უვისკოდ?

ოფიციალტს ვუხმე და ვთხოვე, მოეტანა ვისკი და ორი პლედი, რადგან საკმაოდ აგრილდა. რეკემ დატოვა თანამესუფრენი და ჩვენი მაგიდის ახლო ისე ჩაიარა, ვერ შეგვამჩნია. იგი საერთოდ ვერავის ხედავდა გარშემო. მიდიოდა, როგორც ვიწრო ბილიკზე სრულიად გარკვეული მიზნისაკენ მიმავალი კაცი. გზაზე სკამს დაეჯახა და გადააბრუნა. ვერანდა დაცარიელდა. ხეები ისეთნაირად შრიალებდნენ, შემოდგომაზე რომ იცის ხოლმე. თანდათან ბინდდებოდა. წითელ მანტიებმოსხმულებივით, პლედებში გახვეულნი, დიდხანს ვისხედით და ვსაუბრობდით ყოველგვარ ამბებზე. მარქელმა მრავალი ჭეშმარიტება გამოთქვა, მაგრამ მათი ჩაწერა ქალაღზე არ ხერხდება, შინა-არსი კი დამავიწყდა.

29 აგვისტო

კიდევ ერთი დღე მოვიტოვე უკან. ღამეა. ფანჯარასთან ვზივარ.

ჩემო ძვირფასო, ჩემო ერთადერთო!

შეიტყვე უკვე? განიცდი? უშილობით დაღლილი თვალებით შეჰყურებ ღამეს?

ტირი? თუ უკვე გაგიშრა ცრემლი?

მაგრამ, იქნებ რეკე კვლავ ატყუებს, ეს ყმაწვილი საკმაოდ თავაზიანია. ვითომ ანგარიშს უწევს, რომ ქმრის გარდაცვალების გამო მგლოვიარეა. ეჭვის საბაბს არ აძლევს და ქალსაც ტკბილად სძინავს, ბაიბურში არ არის.

საყვარელო, შენი საათი რომ ჩამოკრავს, ძალა უნდა მოიკრიბო. უნდა გაუმკლავდე ამ უბედურებას. ჯერ სადა ხარ. კიდევ მრავალ განსაცდელს გიმზადებს ცხოვრება.

გამხნევდი.

4 სექტემბერი

დღეები მიდიან და მოდიან, ტყუპებივით გვანან ერთმანეთს.

და როგორც ვამჩნევ, ძველებურად იფურჩქნება უზნეობა. დღეს ჩემთან მამრობითი სქესის ერთი მთხოვნელი მოვიდა, შემეხვეწა, გაჭირვებიდან



მეხსნა მისი საცოლე. იგი მელაპარაკებოდა წარსულ დღეებზე, გამახსენდა ლადუგორდსლანდელი მასწავლებელი სნუფე.

ვერ დამითანხმა... გამოვიყენე ექიმის კრედი. ამან ისეთი მთაბეჭდი-  
ლება მოახდინა მასზე, მაშინვე ორი ათასი ნალდი ფული ამდენივე თანხის  
ჩეკი და სამარის კარამდე მეგობრობა შემომთავაზა, ლამის გამტეხა. ძალზე  
უბედურად გამოიყურებოდა.

მაინც დავითხოვე.

ერქენე-ნი  
ბიზნიუსი

7 სექტემბერი

სიბნელე, უსაშველო სიბნელე.

ცხოვრება, არ მესმის შენი. ხანდახან გულზე ისეთი სევდა შემომაწვე-  
ბა, თავგზას მაკარგვინებს და მაშინ უცნობი ხმა ჩურჩულთ მაშინებს: გზა  
დაგეკარგაო. ამ წუთშიც იგივე განმეორდა. მოვძებნე ჩემი სასამართლოს  
ოქმი — დღიურის ის გვერდები, დაკითხვა რომ მოვუწყვე ჩემს სულში მოკა-  
მათე ხმებს: იმას, რომელსაც უნდოდა და იმასაც, რომელსაც არ უნდოდა.  
უამრავჯერ გადავიკითხე და კვლავ დავრწმუნდი, რომ ხმა, რომელსაც ბო-  
ლოს და ბოლოს მივენდე, უფრო დამაჯერებლად და ძლიერად ეღერდა, ვიდ-  
რე მეორე. შესაძლოა, მეორე ხმა უფრო ჰკვიანი იყო, მაგრამ პატივისცემას  
დავკარგავდი საკუთარი თავისადმი, მისთვის რომ დამეჯერებინა.

და მაინც... და მაინც...

პასტორს უკვე სიზმრად ვხედავ ხოლმე, ამას ველოდი და სწორედ ამი-  
ტომაც გაოცებული ვარ. მეგონა, რაკი თავს წინასწარ შევამზადებდი, გა-  
დავრჩებოდი.

\* \* \*

ჩემთვის გასაგებია, მეფე იროდი რად არ წყალობდა წინასწარმეტყ-  
ველთ, მკვდრებს რომ აცოცხლებდნენ. მეფე მათ პატივს სცემდა, აფასებდა  
ყოველნაირად, მაგრამ ამ საქმეში მოსაწონს ვერაფერს ხედავდა.

\* \* \*

ცხოვრება, არ მესმის შენი. არ ვამბობ, რომ შენ ხარ ამაში დამნაშავე.  
უფრო მე ვარ ცუდი შვილი, ვიდრე შენ — უღირსი დედა. და სულ უფრო  
და უფრო ხშირად მეუფლება ეჭვი: არის კი საჭირო საერთოდ, გვესმოდეს  
ამ ცხოვრებისა, იქნებ ეს საყოველთაო დაუოკებელი წყურვილი ყველაფ-  
რის ახსნისა და გაგებისა, ეს ძიება ჭეშმარიტებისა მცდარი გზაა. ჩვენ ვლო-  
ცავთ მზეს, რადგან მისგან გარკვეული მანძილით ვართ დაშორებული. რამ-  
დენიმე მილიონი მილით ახლოს ან შორს რომ ვიყოთ, ან დავიწვებოდით,  
ან არადა, გავიყინებოდით. ვაითუ ჭეშმარიტების საქმეც ასეა?

ერთი უძველესი ფინური მითი გვეუბნება: ვინც ღმერთის სახე იხილა,  
უნდა მოკვდესო.

ოიდიპოსი? მან სფინქსის გამოცანა ამოხსნა და ყველაზე უბედური გახ-  
და ადამიანთა შორის.

ნუ ამოხსნი გამოცანებს! ნუ ეკითხები! ნუ იაზროვნებ! ფიქრი ხომ მჭა-  
მელა სიმყავესა ჰგავს. შენ გგონია, რომ იგი შეჭამს მხოლოდ სიღამპლეს და  
სნეულებას, სიცოცხლისათვის უვარგისს? არა, ჩემო კარგო. ფიქრი თავისე-  
ბურად ფიქრობს. იგი თანამიმდევრობით შეჭამს ყველაფერს. იმ ნადავლი-  
დან დაიწყებს, შენ რომ დიდის მონდომებით ჩასჩრი ხახაში, მაგრამ ნუ გე-



გონება, რომ ამით დაკმაყოფილდება. იგი არ დამშვიდდება, ვიდრე არ გამოს-  
ქამს უკანასკნელ ნაწილაკამდე ყველაფერს, რაც კი გაბადია.

ჩანს, ჯობდა ნაკლები მეფიქრა. ამის ნაცვლად უმჯობესი იქნებოდა მეც-  
ნიერებას დავუფლებოდი. „მეცნიერებათა დაუფლების სიკეთე არის, რომ ფიქრის საშუალებას არ აძლევს ადამიანს“. ეს სიტყვები ერთ სწავლულს  
ეკუთვნის. დიახ, როგორც ჩანს, უნდა მეცხოვრა, მეცხოვრა ნამდვირად ცხოვ-  
რებით, ან, როგორც ამბობენ, „მეცხოვრა პირადი სიამოვნებით“. უნდა  
მესრიალა თხილამურებით, მეთამაშა ფეხბურთი, დრო მეტარებინა ქალებსა  
და მეგობრებში. ცოლი უნდა მეთხოვა და ბავშვები გამეჩინა: ამით მოვალე-  
ობის შეგნება გამიჩნდებოდა. ეს კი ცხოვრებაში ლაგამიცაა და ნუგეშიც.  
ტყუილად არ გავერიე პოლიტიკაში და არ გამოვდიოდი ამომრჩეველთა წი-  
ნაშე. მამულს ჩვენზე თავისებური უფლება აქვს. ერთი სიტყვით, იქნებ ჯერ  
კიდევ შეიძლება ამ საქმეს ვშველოს...

შეგონება პირველი: ნუ შეეცდები ძალიან ბევრის გაგებას. მაგრამ ვინც  
ეს შეგონება გაიგო, თავისთავად უკვე ძალიან ბევრი გაიგო.

ო, რა გამოფიტული ვარ, ყველაფერი ერთმანეთში მერევა.  
სიბნელეა, უსაშველო სიბნელე.

## 9 სექტემბერი

ხშირად მივდივარ სახეტილოდ ხომალდის კუნძულზე — უკანასკნელად  
ხომ იქ შევხვდით ერთმანეთს. დღეს ეკლესიამდე ავედი. დიდხანს ვიდექი  
და შევყურებდი, როგორ ჩადის მზე. რაოდენ ლამაზი ყოფილა სტოკჰოლმი.  
აღრე ამაზე რატომღაც არ მიფიქრია. გაზრეებში განუწყვეტლივ წერენ,  
სტოკჰოლმი ლამაზიაო. ალბათ ამიტომ არ ვაქცევთ ყურადღებას.

## 20 სექტემბერი

დღეს ფრუ პ-სთან სადილობისას რეკეს. მომავალ ჯვარისწერაზე ყველა  
ისე ლაპარაკობდა, როგორც უკვე გადაწყვეტილ საქმეზე.

...სულ უფრო და უფრო აუტანელი ვხდები საზოგადოებაში, როცა მე-  
კითხებიან, პასუხის გაცემა მაგიწყდება. ხშირად არც მესმის შეკითხვა. იქნებ  
ყურთასმენა დამაკლდა?

ეს ნიღბები რაღაა! ისინი ნიღბებში დადიან ყველანი უკლებლივ. მად-  
ლობა ღმერთს. არც ვისურვებდი მათ ხილვას უნიღბოდ. არც მე ვეჩვენებოდი  
უნიღბოდ არცერთ მათგანს. არაფრის გულისთვის!

მაშ, ვის შეიძლება ვაჩვენო ჩემი ნამდვილი სახე?

წვეულებიდან აღრე წამოვედი. მოვდიოდი და სიცვიისაგან ვკანკალებდი.  
როგორ შეუმჩნევლად აცივდა ღამე. უთუოდ ზამთარი ცივი იქნება.

მოვდიოდი და მასზე ვფიქრობდი. გავიხსენე, პირველად რომ მოვიდა  
ჩემთან და დახმარება მთხოვა. როგორ უეცრად გამანდო საიდუმლო, ყო-  
ველგვარი აუცილებლობის გარეშე.

როგორ ეწვოდა ლოყები! მახსოვს, ვუთხარი: ამგვარი ამბები საიდუმლოდ  
უნდა შეინახოთ-მეთქი. მან კი მიპასუხა: „მინდოდა მეთქვა, მინდოდა გაგე-  
გოთ, ვინ და როგორი ვარ მე“. რა იქნება, ახლა მეც მივიდე მასთან ჩემი  
უბედურების გასაზიარებლად, ისევე როგორც ის მოვიდა მაშინ ჩემთან? მი-  
ვიდე და ვუთხრა: „ძალიან მიჭირს ჩემი ვინაობის დამალვა, მიჭირს ყველ-  
გან და ყველასთან გამუდმებით ნიღბით სიარული! ვილაცას ხომ უნდა



გამოვუტყდე, ვილაცამ ხომ უნდა იცოდეს, ვინ ვარ მე...”

არა, ეს შეუძლებელია. ორივენი ჭკუიდან შევიშლებოდით ალბათ.

დავხეტილობდი ქუჩებში, თავად არ ვიცოც სად, ბოლოს მის სახლთან აღ-  
მოვჩნდი. ერთ-ერთი ფანჯრიდან შუქი გამოკრთოდა. სქელი ფარდები არ  
ეკიდა. ანდა რაში სჭირდება სქელი ფარდა, სახლის მოპირდაპირე მხარეს  
უშენი ადგილია, ათასგვარი ფარდულები და ღობეებია მხედრულ მანქანებში  
შეიხედოს, მაგრამ მეც ვერაფერი დავინახე. სილუეტისთვის, ან ჩველასთვის.  
შაინც მომეკრა თვალი. ვხედავდი მხოლოდ მუსლინის ფარდაში გამომკრთალ  
ნათურის ყვითელ შუქს. ნეტავ რას აკეთებს ახლა? წაგნს კითხულობს, თუ  
ზის თავზე ხელებშემოწყობილი და ფიქრობს, ან იქნებ თმას ისწორებს, დასა-  
წოლად ემზადება... ოჰ, ნეტავ მის გვერდით ვიყო... დამაწვინა, მაყურებინა და  
დამალოდინა, სანამ სარკის წინ თმას აიკრეფს და აუჩქარებლად შეიხსნის  
კაბას. მაგრამ ეს ერთად ყოფნა დასაწყისი კი არ იყო, პირველი შემთხვევა,  
არამედ, როგორც კიდევ ერთხელ განმეორება დიდი ხნის წინათ დაწყებული  
სიტყვობებისა. ყველაფერს, რასაც დასაწყისი გააჩნია, დასასრულიც უნდა ჰქონ-  
დეს. უმჯობესი იქნებოდა, არ ყოფილიყო არც დასაწყისი, არც დასასრული.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი ასე უძრავად, ქანდაკებასავით. მთვარის მკრთალი სხივებით განათებული ღრუბლიანი ზეცა მდორედ მიირწეოდა ჩენს თავზე. გავიყინე. უკაცრიელი იყო ქუჩა. დავინახე, როგორ გამოეყო სიბნელეს ღამის თავგადასავლის მაძიებელი ქალის ფიგურა და ჩემკენ გამოემართა. ის იყო, გვერდით უნდა ჩაევლო, შეჩერდა, შემობრუნდა და მშვიერი თვალებით დამაცქერდა. მე თავი გავუქნიე და მანაც გზა განაგრძო, სიბნელეში გაუჩინარდა.

შეცრად გავიგონე, ვიღაც გასაღებით აღებდა წინკარს. კარი გაიღო და მუქი ფიგურა გამოსრიალდა ქუჩაში... ნუთუ ისაა?... როგორ გამოვიდა ასე გვიან, ნათურაც კი არ ჩააქრო... რისი გულისთვის? გული გამეყინა მკერდში. მიწოდდა დამენახა, საით წავიდოდა და ფრთხილად გავყევი უკან.

იგი ქუჩის კუთხეში, საფოსტო ყუთამდე მივიდა, წერილი ჩაუშვა და უკან გამობრუნდა. ნათურის შუქზე დავინახე მიტკალზე უფრო მეტად გათეთრებული მისი სახე.

არ ვიცი, მანაც დამინახა თუ არა.

學 風 集

არასოდეს არ გახდება იგი ჩემი, არასოდეს. ვერასოდეს შევძელი მისი  
ლოყების ავარდისფერება და არც ახლა გამიხდია ისინი მკვდრისფერი. არც  
არასოდეს გადაირბენს ქუჩას ცოცხალ-მკვდარი, ჩემთვის გამოსაგზავნი წერი-  
ლით ხელში.

ცხოვრებამ გვერდი იმიარა.

7. ოქტომბერი

შემოდგომა ჩემს ხეებს ძარცვავს. ფანჯარასთან წაბლის ხე უკვე შიშ-  
ველია და შავი. მძიმედ დაგრაგნილი ღრუბლები მიიზლაზნებიან სახურავე-  
ბის თავზე და სრულიად ველარ ვხედავ მზეს.

კაბინეტისთვის ახალი, თეთრი, ქათქათა ფარდები ვიყიდე: დღეს დილით რომ გავიღვიე, მომეჩვენა, თითქოს თოვლი მოსულიყო. ოთახში ზუსტად ისეთი შუქი იღვრებოდა, პირველმა თოვლმა რომ იცის ხოლმე. მისი სუფთა, ტენიანი სურნელიც კი ვიგრძენი.

ალბათ მაღე მართლა მოთოვს. ჰაერში უკვე იგრძნობა მისი სუნის.

და ძალიანაც კარგი იქნება, თუ მოთოვს, დაე მოთოვოს, დაე ბარდნოს.





ინგლისურიდან

თარგმნა მარინა ხმალაძემ

### შეცავალი

ზანგი ვარ,  
უკუნ ღამესავით შავი მაქვს კანი,  
შავი მაქვს კანი,  
როგორც ჩემი ქვეყნის წიაღი.

დასაბამიდან ვიყავ მონა,  
ცეზარის კარზე  
სასახლის კიბეს, იატაკს და კარ-ფანჯრებს ვწმენდდი.  
აქ ფეხსაცმელებს ვაპრიალებ  
და ჭერჭერობით  
ჩემს ამგვარ ყოფას არსაიდან არ უჩანს ბოლო.

დიდი მაქვს ღვაწლი,  
მე აღემართე პირამიდები  
და გავანათე პალატები ათას ფერებით.  
მე ვარ მუსიკა,  
აფრიკიდან აქ, ჯორჯიამდე  
მე გამოვჭიმე სიზმარეულ სიმღერის სიმი.  
ჩემს რიტმზე როკავს დედამიწა,  
და იმეორებს  
ჩემს სევდანარევ მისამღერებს, —  
ჩემს ღვთიურ ბგერებს, —  
მთელი მსოფლიო.

ვინ დაგიფასა,  
პლანტაციებს მე ვრწყავდი სისხლით  
და აქ, ტეხასშიც,  
ჩემს გატანჯულ შიშსა და ჯილავს  
განუკითხავად, ლინჩის წესით ასამართლებენ.



ეს მე ვარ, ზანგი,  
ლამესავით შავი მაქვს კანი  
და ჩემი ქვეყნის წილივით  
შავი ვარ თავად.



## განთიადი ალაბამაში

ო, მომისმინეთ,  
მე რომ ვიყო კომპოზიტორი,  
მე ვუმღერებდი ალაბამის  
ალალ  
განთიადს.  
ავაღღერებდი სიმღერებში საოცარ ბგერებს  
მათთვის,  
ვინც ერთხელ  
დედამიწიდან ნისლებივით ასწიეს ფრთები,  
ანდა დაცვივდნენ ლურჯი ციდან,  
ვით დილის ნამი,  
იშრიალებდნენ ჩემს ბგერებში ლურჯი ხეები,  
დაიფრქვეოდა სურნელება მაღალ ფაჭვების  
და ნაწვიმარი,  
ნაადრალი კრელი მდელისი.  
მე ვუმღერებდი მზისაგან დამწვარ,  
ალანძულ სხეულს  
და ხელებს, —  
დიდ-დიდ,  
ჩაშავებულ ნაჯაფარ ხელებს,  
თვალებს,  
საოცარს,  
მოციმციმეს და მოზეიმეს,  
როგორც ნიაზე მონანავე მინდვრის ყვავილებს.  
ვუმღერდი თვალებს,  
ლურჯი,  
შავი  
და თაფლისფერი  
თვალების ციმციმს,  
განურჩევლად რასის და სქესის  
და ეს მუსიკა,  
გამთბარი და კეთილშობილი,  
შეაერთებდა სამუდამო კავშირით ხელებს  
სასიყვარულოდ,  
სამეგობროდ,  
საძმოდ გაწვდილებს.  
და ამ მუსიკას



და ამ ბგერებს,  
ამ ცინცხალ ბგერებს  
ვუძღვნიდი ფერებს  
განთიადზე გაშლილ ყვავილის.

ო, მე რომ ვიყო,  
მე რომ ვიყო კომპოზიტორი,  
მე ვუმღერებდი ალაბამის  
დიად განთიადს.



## ელეგია ზავაკანიაშვილისათვის

წითელი ვიყავ თუ ვიყავ შავი,  
მეც მერქვა ერთ დროს თქვენსავით  
კაცი  
მერე მოვიდა მეკობრე თეთრი  
და ღმერთმა იცის, ვინ გავხდი მერე.  
დავკარგე ბინა,  
სხივები მთვარის  
და გადაშენდა ჩემი ტყე...

ჭიში...  
და ჭუნგლებიდან, როგორც ნადირი,  
ნაკრძალებისკენ გამრეკეს ბუკით...  
ალარ ვარ კაცი.  
რეზერვაციებს  
სუნი აქვთ ჩემი სისხლის და ოფლის  
და დღეს თუ ხვალე მეც გამოიღებენ  
ცივილიზებულ სამხეცის კარებს.

## ლიზტიორი

მეც ვიშოვე რალაც საქმე,  
სამუშაო მეც მაქვს ახლა  
და მთელი დღე სასტუმროს ლიფტს  
დავაქანებ აღმა-დაღმა.  
გამიმართლა, ამბობს ჯველა,  
ასეც ზღება ამ ჩვენს ღროში,  
თუმცა ჯაბეში ისევ ხშირად  
არ მაჭყავის ერთი გროში.  
როგორც სხვაგან, ალბათ აქაც,  
გაგიღიმოს უნდა ბედმა,  
თუ შიმშილით არ ჩაძაღლდი,  
ახალ კოსტუმს შეუკვეთავ.  
თუ ფული გაქვს, ტრფობისთვისაც  
მოგეცემა ერთხელ ნება,  
ერთხელ შენი შავი ყოფაც

ნაღდ ცხოვრებას ემგვანება.  
ერთხელ მაინც...  
მერე ისევ,  
ისევ ჯაფა,  
ისევ დაღლა,  
ისევ ლიფტი,  
უსასრულოდ  
მოგრიალე აღმა-დაღმა.  
აქეთ ჭურჭელს გაქონილებს  
გარეცხავ და გროშებს ელი,  
ვის ფეხსაცმელს გაუწმინდავ,  
თვითონ მარად ფეხშიშველი.  
აღმა-დაღმა და გვლავ ასე,  
ადი, ჩადი, ბეხე, წმინდე...  
ღმერთო, როდის მეშველება,  
ან რამდენ ხანს გავძლებ კიდევ?..







ავღანურიდან თარგმნა მუჰეა შონიაშ

ავღანური ლიტერატურის განვითარებას ფეშთუსა და ფარსი-ქაბულის ენაზე საფუძვლად უდევს ხალხური ზეპირსიტყვიერება. ხალხურ მინიატურულ ლექსებში ცოცხლად და უშუალოდ აისახა ხალხის განცდების რთული სამყარო, ავღანთა ხანგრძლივი თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ავღანეთში დღემდე ცოცხლობს აშუღური პოეზია. ავღანურ ზეპირსიტყვიერებას აქვს თავისი სალექსო ზომები, რომლებიც არ არის მკაცრად კანონიზებული და დამოკიდებულია მთქმელის სტილზე. ავღანურ ფოლკლორულ ქანრებზე გავლენა მოახდინა სუფიზმი და ძველმა ფილოსოფიამ.

მთარგმნელი

### მამლაყინვა

ნათლის სხივი არსით მოსჩანს.  
ბნელს მოუცავს დედამიწა.  
ჯერ ხომ ღამე არ გასულა,  
ნუ ყვიხარ, მამლაყინწავ!

დაიძინე. განთიადი  
ჯერ შორსაა, ტყვილად ელი,  
ჩუმად, თორემ გაიღვიძებს  
ჭორიკანა მეზობელი.

შორი გზიდან მოდიოდა,  
უნათებდნენ ვარსკვლავები  
ჯერ არავის დაუშლია  
ჩემი გრძელი ნაწნავები.

თვალი სულ არ მომიხუჭავს  
მის მოსვლამდე, შენს თავს ვფიცავ,  
ჯერ ხომ ღამე არ გასულა,  
ნუ ყვიხარ მამლაყინწავ!

შეგვიბრაღე, ზედავ ახლოს  
მინარეთი როგორ ბოლავს —

ნუ გაგეწირავ, თვითონ იცი  
მეჩეთში რომ ფხიზლობს მოლა.

მე ფეხზე ვარ, დაღლილი და  
დაქანცული სატრფო მიწვა.  
ჯერ ხომ ღამე არ გასულა,  
მოითმინე, მამლაყინწავ!

ამ განიერ, კრელ ქეჩაზე  
რა ტკბილია ერთად ყოფნა!  
როგორ გავძლო? უიმისოდ  
ბნელი ღამის შიში მომკლავს.

არც ხმალი ვარ, არც კლდე-სალი,  
არც ჭკვიანი ბრძენი ვილაც.  
ჯერ ხომ ღამე არ გასულა,  
მოიცადე, მამლაყინწავ!

ქვაბში მოხვდა ვინც აჩქარდა, —  
უდროო დროს ვინც იყივლა,  
ჯერ ანთია ვარსკვლავები, —  
ნუ იჩქარი, მამლაყინწავ!



გულისა და თვალების გაბაასება

გულმა შესჩივლა თვალებსა:

— განა ეს ბედიც ბედია?

სიყვარლის ჭკრეტა თქვენ გერგოთ,

ტანჯვა კი ჩემი ხვედრია.

თვალთა შესტირეს პასუხად:

— ნუ სჩივი, შემოგვევლები —

ტრფობა შენ გავსებს ხილისით,  
ჩვენ გვავსებს მხოლოდ ცრემლებით.

რა გულუბრყვილად დგუხუნ  
ჩანს რომ არიან მტყუნებელნი  
თვალიც და გულიც იტანჯვის,  
თუ სიყვარული მოვიდა.

სამშობლოს დასაცავად

ავეფარები ფარივით.

ავლანთ ლაჩრობა სად თქმულა —

მკერდი მტკიცე გვაქვს რვალივით.

როს ჩემი ჯერი დადგება —

საომრად წავალ ხალისით.

სიკვდილს არ შევეშინდები —  
შიში რა არის, არ ვიცი.

და აჰა, ბრძოლა იწყება,  
ახალგაზრდების ჯერია.  
სისხლით მოიღწეოს მთა-ბარი,  
ოღონდ დავჯაბნოთ მტერია.

□



ბულგარულიდან თარგმნა მიხეილ ავლივიძემ



ხელდასხმა

მე მივდიოდი  
ოდნავ წელში მოხრილი:  
ვიღაცამ ქვა მესროლა  
და ქვა იგი  
ჩემს მკერდში ჩაეფლო რბილად.

ესოდენ ნაზმა,  
თბილმა,  
ნდობით აღსავსემ  
ჩემმა სხეულმა  
სინესტით და ცეცხლით შემოსა ის ქვა  
და სისხლმა,  
ჩემში რომ მოძრაობს  
და მოთმინებით ფლობს ჩემს არსებას,  
თავის მჩქეფარე  
ვარსკვლავიან ჭავლებში  
აათამაშა  
და მხოლოდ გული,  
ბავშვის მუშტისოდენა ჩემი გული  
იმ ქვის დაფშვნას ცდილობდა,  
მაგრამ ამაოდ...

მე მივდიოდი  
კიდევ უფრო წელში მოხრილი.  
ქვა შემენივთა,  
შემესისხლხორცა,  
გადიდდა ჩემში, გაიზარდა  
და სულ ადვილად  
დამიმორჩილა და გამითავისა.

მერმე ის ვიღაც  
ისევ გამოჩნდა,  
შემათვალისერა

და თავისი ჩაქუჩითა და საჭრეტლით  
გამოცდილი ქირურგივით  
ჩამოათალა ჩემს სხეულს  
ყოველივე,  
რაც ზედმეტი იყო.  
მერმე  
ლიმილით აღჭურვა ჩემი სახე,  
ფეხებს — ნაბიჯი,  
მკერდს — სიმკვრივე,  
მკლავებს — კეთილმოსურნე  
მოწოდებითი მოძრაობა მიანიჭა  
და მერმე  
საზეიმოდ გამხსნა  
ძეგლივით —  
მომავალ თაობათა  
სასეიროდ და თვალგასახარად.

ოცდათოთხმეტი წლისამ,  
ნასადილეც,  
ინფარქტის წარუმატებელი  
მცდელობის შემდეგ —  
ყველაზე მნიშვნელოვანი  
რაც  
დრამას მოკლებულ ჩემს ცხოვრებაში  
აღმოვაჩინე,  
ეს იყო:  
— ლექსი და ტკივილი  
დაუჭორწინებლად  
ერთ სარეცელზე წვანან  
სხეულგადახლართული...

პოეტი — მათი უკანონო შვილია.



თარგმნა სულხან ჯორჯანელმა



ბიოგრაფია, პოეზია და პედი

პოეტი იმით იწყებს,  
რომ უყვება ხალხს  
თავისი ცხოვრების შესახებ.  
და შემდეგ,  
როცა ისინი იძინებენ,  
ის ფრინველებს ესაუბრება.  
და შემდეგ,  
როცა ისინი მიფრინავენ,  
ის ხეებს ელაპარაკება...  
შემდეგ ამოვარდება ქარი და  
ამრიალდება ხეთა ფოთლები.  
ეს ყველაფერი სხვა სიტყვებით  
ასე ითქმება:  
აღსავსე არის სიამაყით ის,  
რასაც აღამიანებს ვეუბნები,  
აღსავსე არის მუსიკით ის,  
რასაც ფრინველებს ვეუბნები,  
ცრემლით არის აღვსილი ის,

რასაც ხეებს ვეუბნები,  
და ყველაფერი ეს ქარისათვის  
შეთხზული სიმღერაა,  
ის კი ყველაზე გულმავიწყი  
გენიოსია ამ ქვეყანაზე,  
ძლივს გაიხსენებს  
რამდენიმე სიტყვას ოდესმე —  
განთიადის ჟამს.  
და სიტყვები,  
უცაბედად რომ გაიხსენებს ქარი, —  
ქვებს აროდეს დაავიწყდებათ,  
და რასაც პოეტი გაანდობს ქვებს,  
სავსეა მარადისობის მიმზიდველობით,  
და ეს იქნება ბედის სიმღერა,  
ვარსკვლავებს რომ სამარადქამოდ  
ემახსოვრებათ, —  
იქ,  
თავიანთ  
უსასრულობაში...



გერმანულიდან თარგმნა ლევან პარიძემ

## ფრაგმენტები ციკლიდან „უკავილთა მტვერი“

მეგობრებო, მიწა ღარიბია, ჩვენ თესლი უხვად უნდა მიმოვაბნოთ, ზოგიერი მოსავალი მაინც რომ მოვიწიოთ.

ჩვენ უველაფერში უპირობოს ვეძიებთ და უოველთვის მხოლოდ პირობით საგნებს ვპოულობთ.

ხაზებითა და ფერებით რაიმეს გადმოცემა გასაოცარი აბსტრაქციაა. ოთხი ასო ჩემთვის ღმერთს აღნიშნავს,\* რამდენიმე ხაზი კი მილიონ საგანს. რა ადვილია ამგვარად სამყაროს დაუფლება და რა ცხადი სულთა სამყაროს კონცენტრულობა.

ენა სულთა საუფლოს დინამიკაა. სიტყვა, სარდლის მიერ ნაბრძანები, ლაშქარს ამოძრავებს, სიტყვა „თავისუფლება“ — მთელ ერებს.

მსოფლიო სახელმწიფო არის სხეული, რომელსაც მშვენიერი, თანაზიარი სამყარო ასუფლებს. ის ამ სამყაროს აუცილებელი ორგანოა.

ჩვენს თავს მთლიანად ვერასოდეს შევიცნობთ. მაგრამ ჩვენ შეგვწყნეს უნარი და უფრო მეტს შევიძლებთ, ვიდრე შეგვეცნება.

ზოგიერთი დაბრკოლება ფლეიტისთვის თითების მოძრაობასა შგავს. ფლეიტამ სხვადასხვა ბგერა რომ გამოცეს, მუსიკოსი ხან ერთ ნასვრეტს აკერს თითს, ხან მეორეს, და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ურუ და მუდერი ბგერები მისი ნება-სურვილით ერწყმოდნენ ერთმანეთს.

განსხვავება ილუზიასა და ჭეშმარიტებას შორის მათი სიცოცხლისეული ფუნქციის განსხვავებულობაში მდგომარეობს. ილუზიას ჭეშმარიტება აცოცხლებს, ჭეშმარიტება კი თავისთავად არსებობს. ჩვენ ესპობთ ილუზიას, როგორც ავადმყოფობას. და იგი სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკური აგწნება ან დაშრეტა, მეოცნებეობა ან ფილისტერობა. ილუზია ჩვეულებრივ აწროვნებას შესამჩნევ ნაკლს უტოვებს, რაც ინიციატივის, თვითიძულების საშუალებათა შესუსტებით გამოიხატება. მაგრამ ხშირად გადამეტებული ინიციატივა და თვითიძულება მაცდურ გამოცოცხლებაში გადაიზრდება ხოლმე, რომლის საბიფათო, რევოლუციური სიმპტომები მხოლოდ ისევ გაძლიერებული ძალდატანებით თუ აღიკვეთება. ორივე დისპოზიცია შეიძლება მხოლოდ კრიონიკული, მკაცრად თანმიმდევრული სისტემით შეიცვალოს.

ჩვენი აღქმის უნარი თვალს შგავს. ობიექტმა საპირისპირო მედიუმზე უნდა გაიაროს, რათა თვალის ბაიაზე სწორად გამოჩნდეს.

უმაღლესი — უველაზე უფრო გასაგებია, უახლოესია, აუცილებელია.

\* გერმანულად სიტყვა ღმერთი ოთხი ასოსაგან შედგება — [der] Gott.



სასწაული და ბუნების კანონების მოქმედება ერთმანეთს ცვლიან; ისინი ურთიერთს შემოსაზღვრავენ და ერთ მთლიანობას ქმნიან. ისინი განუყოფელი არიან იმით, რომ ურთიერთს აბათილებენ. არავითარი სასწაული არ არსებობს ბუნების მოვლენების გარეშე და პირიქით.

ბუნება მარადიული ფლობის მტერია. ის თავისი მტკიცე კანონებით სპობს საკუთრების უოველ ნიშანს, ანადგურებს ფორმირების უოველ კვალს. დედაშიწა ეკუთვნის უფელა თაობას, უფელა თაობას უფელაფერზე აქვს უფლება. დაე, წინაპრები ნუ დაიფინებენ, <sup>გარეშე და პირიქით</sup> უპირატესობას.

საკუთრების უფლება განსაზღვრული დროით ქრება. გაუმჭობებსება და გაუარესება აუცილებელ პირობებს ექვემდებარებიან.

თუ სხეული საკუთრებაა, რითაც მე მიწიერი სამყაროს აქტიური მოქალაქის უფლება ვიძენ. მე ამ საკუთრების დაკარგვით შემძლია საკუთარი თავი არ დავეარგო. სხეულის დაკარგვით მე სხვას არაფერს ვკარგავ, თუ არა ადგილს ამ წარჩინებულთა სასწავლებელში, და შევდივარ უმაღლეს კორპორაციაში. სადაც ჩემი საუვარელი თანაკლასელები მომუშებიან.

სიცოცხლე სიკვდილის დასაწყისია. სიცოცხლე სიკვდილის გამო არსებობს. სიკვდილი არის დასასრულიც და დასაწყისიც. განშორებაც და უახლოესი თვითშეერთებაც ერთდროულად. სიკვდილით სრულიქმნება რედუქცია.

ფილოსოფიასაც აქვს თავისი უვადილები, ესენი არიან იდეები: ჩვენ უოველთვის როდი ვიცით რა ვუწოდოთ მათ, სასაცილო თუ მშვენიერი.

ფანტაზია მომავალ სამყაროსთან გვადრთებს ან სიღრმეში, ან სიმაღლეში, ან მეტემფსიქოზში. ჩვენ ვოცნებობთ სამყაროში მოგზაურობაზე. მაგრამ განა სამყარო ჩვენში არ არის? ჩვენ არ ვიცნობთ საკუთარი სულის სიღრმეებს. შიგნით მიემართება იდუმალი გზა. თუ არის, ჩვენშია, თუ არა და არსად. მარადიულობა თავისი სამყაროებით, წარსულითა და მომავლით.

გარე სამყარო ჩრდილთა სამყაროა; ის ისვრის ჩრდილებს ნათლის საუფლოში. ახლა, რა საკვირველია, ეს საუფლო შინაგანად ბნელი, ეული და უფორმო გვეჩვენება; მაგრამ რა სხვა-ნაირი იქნება ის ჩვენთვის, როცა ეს სიბნელე გაიფანტება და ჩრდილის სხეულსაც თან გაი-უოლებს. მაშინ ჩვენ შეტად დავტკბებით. ვიდრე ოდესმე, რადგან სული ჩვენი აღარაფერს მოისაკლისებს.

დარვინი აღნიშნავს, რომ გამოღვიძებისას სინათლე უფრო ნაკლებად დაგვაბრძავებს. თუკი ძილში საგნები გვესიზმრებოდა. მაშ ნეტარ არიან ისინი, ვისაც უკვე აქ უბილავი სამყაროს ხილვა ესიზმრებოდა! ისინი უფრო ადრე შესძლებენ იმ სამყაროს შარავანდედის შეგრძნებას.

როგორ შეიძლება ადამიანს რაიმე ესმოდეს, თუ მას ამ რაიმეს ჩანახაზი თავის თავში არ აქვს? ის, რაც მე უნდა გავიგო, ჭერ ჩემში უნდა განვითარდეს ორგანულად, ის კი, რასაც თითქოს ვხედავლობ, მხოლოდ საზრდოა. ორგანიზმის იმპულსია.

სულის ადგილსამყოფელი არის იქ. სადაც შინაგანი და გარეგანი სამყარო ერთმანეთს ეხება; სადაც ისინი ურთიერთს მსჭვალავენ; ურთიერთგამსჭვალვის უოველ წერტილში სულია.

თუ ჩვენ აზრის გაზიარებისას აბსოლუტურ გავებასა და აბსოლუტურ ვერგავებას ვაწყდებით, მაშინ ამას უკვე შეიძლება ფილოსოფიასთან მეგობრობა ეწოდოს. ჩვენ საკუთარ თავთანაც ხომ ასე ვართ. მოაზროვნე ადამიანის სიცოცხლეც ხომ სხვა არა არის რა, თუ არა მუდმივი შინაგანი სიმფილოსოფოსობა.

გენია არის უნარი, გაიზრო წარმოსახვაში შექმნილი საგანი ისე, როგორც არსებული, და მოეპურო მას როგორც არსებულს. ასახვის, ზუსტად დაკვირვების და ამ დაკვირვების გე-როვნად აღწერის ტალანტი გენიისაგან განსხვავდება. ამ ტალანტის გარეშე მხოლოდ ნახევარი გენიოსები ვართ და მხოლოდ ნახევარს ვხედავთ. შეიძლება გენიალური თანდაუოლილი ნიჭი გვექონდეს, რომელიც ამ ტალანტის უეპარობის გამო ვერასოდეს განვითარდეს.

\* პირველშობილთა უფლება მემკვიდრეობის მიღებაზე.



აკვიატებული ცრურწმენა, თითქოს ადამიანს საკუთარი თავიდან გამოსვლის, აზროვნების საზღვრებს გაცილებით უნარი არ ჰქონდეს. ადამიანს შეუძლია უოველ წამს ტრანსცენდენტული არსება იყოს. ამის გარეშე ის სამყაროს მოქალაქე კი არა, ცხოველი იქნებოდა. რასაკვირველია, იმ მდგომარეობაში, როგორშიც ის არის, ძნელია თვითდადგენა და თვითგამორკვევა. რადგან ის ჩვენი რომელიღაც ზედმეტი მდგომარეობების ასე გამოდგმებული ასე უცნობილებელი ურთიერთშენაცვლებით არის შეზოქილი. რაც უფრო მეტად შევძლებთ ჩვენთვის ამ მდგომარეობას, მით უფრო ცხოველი, უოველისმომცველი და დამაკმაყოფილებელი იქნება რწმენა, რომელიც აქედან წარმოიშობა. რწმენა ხულის ჭეშმარიტი გამოცხადებაა. რწმენა ნავს დანახვას, სმენას, შეგრძნებას, ეს არის რაღაც ხამივეს შეერთებით შექმნილი და უფრო მეტიც, ვიდრე ხამივე ერთად: ეს არის მყარი ცოდნის უშუალო შეგრძნება. ეს არის ჩემი ჭეშმარიტი, უსაკუთრესი ცხოვრების წვდომა აზრები გადაიქცევიან კანონებად, სურვილები კი აღსრულებიან.

უხუხურთათვის ხულის გამოცხადების ფაქტი რწმენის დოგმატურობაა. განსაკუთრებით განსაცვიფრებელი იქნება იგი ზოგიერთი ადამიანის ხახისა და იერის დანახვისას, უფრო მათი თვალების, რომელიღაც გამომეტყველების, რომელიღაც მოძრაობის ხილვისას, რომელიღაც სიტყვების მოსმენისას, წიგნის რომელიღაც ადგილების კითხვისას. სიცოცხლესთან, სამყაროსთან და ბედთან გარკვეული მიმართებისას. ძალიან ბევრი შემთხვევა, ბუნების ზოგიერთი მოვლენა, განსაკუთრებით წლის ან დღის რომელიღაც პერიოდი, გვაძლევს ასეთ გამოცდილებას. რომელიღაც სულიერი განწყობილებანი ძალიან სასიკეთონი არიან ასეთი გამოცხადებისათვის. ამ განწყობილებათა უმეტესობა წამიერია. ზოგს მცირე ხნით ვინარჩუნებთ და ძალიან ცოტა კი საბოლოოდ ჩვენთან რჩება. ამ მხრივ ადამიანები დიდად განსხვავდებიან. ერთს უფრო მეტი უნარი აქვს საკუთარი თავიდან გასვლის, ვიდრე მეორეს. ერთს მეტი შეგრძნების უნარი აქვს, მეორეს გონება უფრო უჭრის. ეს მეორე უოველთვის თავის სათნო ნათელში რჩება, იმ დროს, როცა პირველს მხოლოდ მერყევი, მაგრამ უფრო ნათელი და მრავალფეროვანი ხინათლე ახლავს.

საკუთარი თავიდან გასვლის უნარი პათოლოგიური ხასიათისაც არის. ეს ან გრძნობის სიჭარბესა და აზრის სიმწირეში, ან პირიქით — გრძნობის სიმწირესა და აზრის სიჭარბეში გამოიხატება.

სიერცხვილი, ალბათ, პროფანაციის შეგრძნებაა. ჩვენ მეგობრობის, სიყვარულის და ღვთისმოსაობის გრძნობა იდუმალ უნდა დავხვეწოთ საკუთარ თავში. ჩვენ მხოლოდ იშვიათად, ინტიმურ მომენტებში უნდა ვილაპარაკოთ მათ შესახებ და მდუნარედ შევთანხმდეთ. ბევრი რამ იმდენად სათუთია, რომ მათზე მსჯელობა კი არა, ფიქრიც საბიფათოა.

თვითუარყოფა არის წყარო უოველი დამდაბლებისა და ამავე დროს — საფუძველი უოველი ჭეშმარიტი ამაღლებისა. ამ გზაზე პირველი სვლა უნდა იყოს მზერა შინაგანი სამყაროსაკენ, საკუთარი მეს განცალკევებული განკვრეტა. მაგრამ ვინც ამ საფეხურზე დარჩება, იგი მხოლოდ სანახევროდ მიაღწევს მიზანს. მიზნის მთლიანად მისაღწევად საჭიროა კიდევ ერთი ნაბიჯი, ენერგიული მზერა გარეთ. შენეული, დინჯი დაკვირვება გარესამყაროზე.

ვისაც არ შეუძლია გამოსახოს რაიმე თავისი გამოცდილების, თავისი საყვარელი საგნების გარდა, ვისაც არ შეუძლია თავისთავს დააძალოს სრულიად უცხო, მისთვის სრულიად უინტერესო საგნის გულმოდგინედ შესწავლა და მისი მშვიდად გამოსახვა, იგი ვერასოდეს შექმნის ღირსშესანიშნავს. შემოკმედმა უველაფრის გამოსახვა უნდა მოინდომოს და შესძლოს კიდევ, ასე წარმოიშობა გამომსახველობის დიადი სტილი, რაც სამართლიანად გვაოცებს გოეთესთან.

გოეთეს საოცარი თავისებურება იმაშიც იგრძნობა, როგორ უკავშირებს იგი ერთმანეთს ატარა, უმნიშვნელო ამბავსა და მნიშვნელოვან შემთხვევას. ამასთან, ჩანს, ის მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს — წარმოსახვის ძალით შექმნას პოეტური, მისტიკური თამაშის მხგავსი რამ. შეუმცდარ გზას ადგას დიდი გენია — ბუნებას ჭკრეტს, დიდებული ოსტატობით აქაც აგნებს ბუნების კვალს და იყენებს მას.

უოველდღიური ცხოვრება სავსეა ანალოგიური შემთხვევებით. ისინი ქმნიან თამაშს, რომელიც, როგორც ყველა თამაში, სასიამოვნო მოულოდნელობამდე და სიცრუემდე დადის.

უბრალო ცხოვრების უმეტესი მაგალითი ამ აბსურდული ურთიერთდაშოკიდებულების დაკვირვებას ეფუძნება; ასე მაგალითად: საშინელი სიზმრები ბედნიერებას ნიშნავს, სიკვდი-



ლი — დიდხანს სიცოცხლეს, ცურდელი, რომელიც გზაზე გარბის — უბედურებას. მდაბიო ხალხის თითქმის მთელი ცრურწმენა ამ თამაშის ახსნა-განმარტებას ეფუძნება.

ქმნადობის უმაღლესი მიზანი არის ის, რომ ადამიანი თავის ტრანსცენდენტურ მეს დაე-  
უფლოს, თავისი მეც მე გახდეს. უფრო ნაკლებად გამოუცხოვებულია მისი ნებათა ნამდვილი  
გაგების უუნარობა. ვიდრე ჩვენს თავს ბოლომდე არ შევიცნობთ, მანამ სხვათა ნამდვილად  
გაგებას ვერასოდეს შევძლებთ.

ერყენული

ბიგ-სიქსი

იუმორი არის ნება-სურვილით მიღებული მანერა: სწორედ ესაა მასში ანკანტური, იუმო-  
რი არის შედეგი პირობითისა და უპირობოს თავისუფალი ნარევისა. იუმორის წყალობით  
საკუთარი პირობითი საზოგადოდ საინტერესო ხდება და ობიექტურ ღირებულებას იძენს.  
იქ, სადაც ფანტაზია და განსჯის უნარი ურთიერთს ერწყმის, წარმოიშობა ხუმრობა. იქ კი,  
სადაც გონი და ნება-სურვილი წყვილდებიან, ჩნდება იუმორი. ხუმრობაც იუმორის ტიპისაა,  
მაგრამ ერთი საფეხურით დაბლა დგას. ის ბევრად შეზღუდულია და იუმორით წმინდად  
არტისტული არ არის. ის, რასაც ფრ. შლეგელი ირონიას უწოდებს. ჩემის აზრით, სხვა არა-  
ფერია, თუ არა გონიერი სიფხიზლის ხასიათი და შედეგი, სულის ქეშმარიტი აწმყო. მეჩვენება,  
რომ შლეგელის ირონია ქეშმარიტი იუმორია. ბევრი სახელი ახალი იდეის წარმოქმნას უწ-  
ეობს ხელს.

ჩვენ გვაკისრია მისია: ჩვენ დედაშიწის ფორმირებისთვის ვართ მოწოდებულნი.

სული რომ გამოგვეცხადოს, მუისვე საკუთარ უსხეულობას შევიგრძნობთ. ჩვენ საკუთა-  
რი თავით და სულის გამოცხადებით ვიქნებით შთაგონებულნი. შთაგონების გარეშე სული არ  
გამოცხადდება. შთაგონება არის გამოცხადება და საწინააღმდეგოდ გამოცხადება. მიძღვნა და  
უწყება ერთდროულად.

ადამიანი მხოლოდ იმის წყალობით ცხოვრობს და იღვწის, რომ მუდამ ახსოვს თავისი  
მუნჯოფიერება. სულთა მოქმედების არანაირი სხვა საშუალება არ არსებობს ამ ქვეყანაზე.  
ამიტომ არის სავალდებულო მიცვალებულებზე ფიქრი. ეს არის ერთადერთი გზა იმისათვის,  
რომ მათთან თანამეგობრობაში დარჩე. თვით ღმერთიც სხვა საშუალებით კი არა, მხოლოდ  
რწმენით მოქმედებს ჩვენზე.

გულისხმაში მაგდებს რომელიღაც არსების განცდებსა და საქმიანობაში მონაწილეობის  
მიღების სურვილი. რაიმე იმ შემთხვევაში დამაინტერესებს, თუ ის ჩემში თანამონაწილეობის  
სურვილს წარმოშობს. არცერთი ინტერესი არ არის საკუთარი თავისკენ მიმართულ ინტერესზე  
საინტერესო. ამ ინტერესის, ისევე, როგორც ღირსეული მეგობრობის და სიყვარულის, მიზე-  
ზი არის მონაწილეობის მიღების სურვილი. ამ სურვილისკენ მე მიბიძგებს ადამიანი, რომელიც  
თავისი თავით არის დაკავებული და თითქოს თვითონვე მიწვევს მის საქმიანობაში მონაწილე-  
ობის მისაღებად.

ვის შეეძლო ხუმრობა გამოეგონებინა? ჩვენი სულის ყოველი თავისებურების, მისი ყო-  
ველი მოქმედების გააზრება, ამ აზრის აბსოლუტური გაგებით, ახლად აღმოჩენილი სამყაროა.

ადამიანის არსი ქეშმარიტებაა. თუ ის ქეშმარიტებას გმობს, ამით ის თავის თავს გმობს.  
ვინც ქეშმარიტებას ღალატობს, ის თავის თავს ღალატობს. აქ ღაპარაკია არა მოტუებაზე,  
არამედ დარწმუნებულობის საწინააღმდეგო ქმედებაზე.

საყვარელი საგნის სმენით, მისი ღაპარაკით ვერასოდეს დავემაუფილდებით. ჩვენ ყო-  
ველთვის გვიჩარია ახალი, ზუსტი, ღირსეული სიტყვის დაბადება, მაგრამ იმაში, რომ ეს სიტყ-  
ვა შეიძლება საგანთა საგანი ვერ გახდეს, ჩვენ ბრალი არ გვიდევს.

ჩვენ მტკიცედ ვინარჩუნებთ უსიცოცხლო მატერიას მისი მიმართებების, ფორმების გამო.  
ჩვენ გვიყვარს მატერია იმდენად, რამდენადაც ის რომელიმე ჩვენს საყვარელ არსებას ეკუთ-  
ვნის, მისი კვალი ამჩნევია, მისი მსგავსია.

საზოგადოებრივი საუბრის საგნები სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა გამოცოცხლების  
საშუალებები. ეს განსაზღვრავს საგანთა შერჩევას, მათ ცვალებადობას, მათდამი მოპურობას;



საზოგადოება კოლექტიური ცხოვრებაა. მთლიანი, მოაზროვნე და მგრძნობიარე პიროვნება. ყოველი ადამიანი პატარა საზოგადოებაა.

საკუთარ თავში დაბრუნება, ჩვენში, გარესამყაროს აბსტრაქტიზაციას ნიშნავს. ანალოგიურად პქვია მიწიერი ცხოვრებას სულთა სამყაროში შინაგანი დაკვირვება, საკუთარ თავში შესვლა, იმანენტური მოქმედება. ასე წარმოიშობა მიწიერი სიცოცხლე — პირველსაწყისი რეფლექსიიდან, პრიმიტიული — საკუთარ თავში შესვლიდან, თავის თავში დაკვირვებიდან, რომელიც ჩვენს რეფლექსებზე უფრო თავისუფალია. საწინააღმდეგოდ გარეგანი სამყაროში სულიერი სიცოცხლე, იმ პრიმიტიული რეფლექსების დარღვევის შედეგად, როცა სული ნახევრად მაინც განთავისუფლდება ამ რეფლექსებიდან, კვლავ გაშლის ფრთებს, კვლავ გამოდის საკუთარი თავიდან გარეთ და ამ დროს პირველად ამბობს მე-ს.

ჩვენ ვხედავთ, რა რელატიურია თავის თავში დაბრუნება და თავისთავიდან გარეთ გამოსვლა, კაცმა რომ თქვას, ის, რასაც ჩვენ თავის თავში დაბრუნებას ვუწოდებთ, თავისთავიდან გარეთ გამოსვლაა, საწყისი მდგომარეობის კვლავდაბრუნება.

ხალხი იღვწავს. ჩვენ უნდა გავხდეთ ხალხი. სრულყოფილი ადამიანი ერთი პატარა ხალხია. ადამიანის უმაღლესი მიზანი ქრეშმარიტი პოპულარობაა.

ჩამოყალიბების ყოველი საფეხური ბავშვობით იწყება. ამიტომაც არის, რომ უადრესად განსწავლული მიწიერი ადამიანი ესოდენ მგავს ბავშვს.

ყოველი საუფარელი საგანი სამოთხის ცენტრია.

გონებამახვილობა, როგორც ნათესაობრივი პრინციპი, ამავე დროს არის *menstruum universale*\*. გონებამახვილური ნაერთებია მაგალითად: იუდა და კოსმოპოლიტი, ბავშვობა და სიბრძნე, უაზრობა და დიდსულოვნება, სათნოება და მტერთა,\*\* ნაიფურობაში განსჯის უნარის სიუხვე და ნაკლოვანება, და ასე შემდეგ უსასრულობამდე.

კაცობრიობა იუმორისტული როლია.

ჩვენი ცხოვრების ყოველი ეპიზოდი ის მასალაა, რისგანაც ყველაფრის გაკეთება შეიძლება, რაც კი მოგვესურება. ვინც სულიერად მდიდარია, ის თავისი ცხოვრებისაგან ბევრის გაკეთებას ახერხებს. მთლად წმინდანისათვის ყოველი ნაცნობობა, ყოველი ინციდენტი, უსასრულო რიგის პირველი წევრი, უსასრულო რომანის დასაწყისი იქნება.

უმაღლესი ტკივილი ზოგჯერ მგრძნობიარობის პარალიზია. ამ დროს სული გადაადგილდება და სასოწარკვეთილებიდან მომაკვდინებელ სიცოცხლავით დაპბრავს თავისუფალი აზროვნების ძალა, ამავე სახის რაღაც განუწყვეტლივ მოგუგუნე გონებაგამპრიალობა. საშველი არსაიდან არის. ადამიანი ღვას მარტო, როგორც დაკნინებული ძალაუფლება. ზედმეტი სამყაროსაგან თავისუფალი თანდათან უძლურდება და თავისი პრინციპით მიზანთროპი და მიწოთეოსი ხდება.

ჩვენი ენა ან მექანიკურია, ან ატომისტური, ან დინამიკური. ქრეშმარიტად პოეტური ენა ორგანული, ცოცხალი უნდა იყოს, რა ხშირად ვგრძნობთ სიტყვის სიდატაკეს, როცა უფრო მეტი იდეისა და ტკბილხმოვანების ერთმანეთთან შერწყმა გვინდა.

თავდაპირველად პოეტი და ქურუმი ერთი ცნება იყო, მხოლოდ ბოლო დროს დაშორდნენ ისინი ერთმანეთს. ქრეშმარიტი პოეტი ყოველთვის ქურუმიცაა, ისევე, როგორც ქრეშმარიტი ქურუმი — პოეტი. და განა მომავალმა ყოველივე თავის საწყის მდგომარეობას არ უნდა დაუბრუნოს?

რაც უფრო იხვეწება ჩვენი გრძნობები, მით უფრო შესწევთ მათ უნარი ინდივიდუუმების გარჩევისა. განსაკუთრებული ბუნებისათვის უმაღლესი გრძნობა უმაღლესი მგრძნობელობა

\* ქიმიური ნაერთი; გახსნისა და ექსტრაქტირების უნივერსალური საშუალება.

\*\* 1) ძველ საბერძნეთში — დამოუკიდებლად (უოჯახოდ) მცხოვრები ქალი.

2) თავისუფალი ყოფაქცევის გალი.



იქნებოდა. ამ გრძნობის შესაბამისი იქნებოდა ინდივიდუუმის დადგენის ნიჭი, რომლის სრულყოფილება და ენერგია რელატიურია. თუ ნება თავს ამ გრძნობასთან მიმართებაში გამოიჩენს, მაშინ წარმოიშობა სწრაფვა ინდივიდუალობისაკენ ან მის საწინააღმდეგოდ, უკეთ: სიყვარული ან სიძულვილი. საკუთარი როლის თამაშის ოსტატობას ამ გრძნობის კონტროლის მომცველ გონებასთან მიმართებას უნდა ვუმაღლოდეთ.

ყოველი სპეციფიკური აგზნება თავისებურ მისწრაფებას ამჟღავნებს. რაც უფრო ახალია ეს მისწრაფება, მით უფრო დუნე, მაგრამ ამავე დროს მით უფრო ძლიერია აგზნება. რაც უფრო განსაზღვრული და დახვეწილია იგი, მით უფრო მრავალფეროვანია მისწრაფება. მაგრამ ამავე დროს მით უფრო სუსტი იქნება აგზნება. ასე აღიძრა პირველი აზრი ღმერთების შესახებ, ძალმომრეობითი სულიერი განცდა მთელს ინდივიდუუმში. ასე გაჩნდა პირველი იდეა ფილოსოფიისა, კაცობრიობისა, სამყაროსი და სხვა.

ჩვენ, ჩვეულებრივ, ხელოვნურს უძიეთ ვიგებთ, ვიდრე ბუნებრივს. უბრალოს გავებას მეტი სულიერი სიფაქიზე სჭირდება. ვიდრე რთულისას, მაგრამ ნაკლები ტალანტი.

აბსტრაქციის წინაშე ერთია ყოველი, მაგრამ ერთია როგორც ქაოსი. აბსტრაქციით ავლავ ერთიანდება ყოველი, მაგრამ ეს გაერთიანება არის დამოუკიდებელი, თვითგანსაზღვრული არსებების თავისუფალი შეკავშირება. ბრბოსაგან საზოგადოება შეიქმნა, ქაოსი მრავალფეროვან სამყაროდ გადაიქცა.

თუ სამყარო ადამიანის ბუნების დანაღვლია, მაშინ ღმერთების საუფლო მისი სუბლიმაციაა. ორივე ერთ პროცესში ხდება. პრეციპიტაცია არ არსებობს სუბლიმაციის გარეშე. ის, რაც ერთის ცხოველყოფილობას აკლდება, მეორეს ემატება.

სადაც ბავშვებია, იქ ოქროს ხანაა.

იგავ-არავი პირველყოფილი სამყაროს ისტორიას მოიცავს. ის წარსულს, აწმყოსა და მომავალს წვდება.

თუ სული განიწმინდება, მაშინ ყოველი წიგნი ბიბლიაა. ძალიან იშვიათია, რომ წიგნი მხოლოდ წიგნისთვის იქონ დაწერილი, და თუ ასეთ წიგნში სული კეთილშობილი ლითონივითაა დაფარული, მაშინ ამ წიგნთა უმრავლესობა ეფრაიმიტებად\* იქცევა. ყოველი სასარგებლო წიგნი მართლაც რომ ძალიან შეფარულად უნდა ამჟღავნებდეს თავს.

ფაქტია, რომ კეთილშობილი ლითონი ყოველდღიურობაში მაინცა და მაინც აქტიურად სახმარი არ არის. ბევრი პეშმარიტი წიგნი ასეთი ლითონივითაა, ისეა, როგორც ოქროს ზოდები ირლანდიაში — უსარგებლო და უხმარი.

ადამიანთა სამყარო ღმერთების ერთიანი ორგანოა. მას, ისევე, როგორც ჩვენ, პოეზია აერთიანებს.

წიგნის წერის ხელოვნება ჯერ გამოგონებული არ არის. ის ჯერ კიდევ გამოგონების სტადიაშია. ამ სახის ფრაგმენტები კი ლიტერატურული თესლებია და აღბათ მათ შორის ზოგიერთი მგზნებარე მარცვალე გამოერევა, რომელთაგან ნეტავ რამდენიმე მაინც იზარებდეს!



\* მთლიანი, ნაბეჭარი და მეოთხედი გულდენის (ფულის ერთეული ირლანდიაში) დასახელება, რომელიც შვიდწლიანი ომის დროს (1756-1763) ლაიფციგში და პრუსიაში მოიჭრა და ძალიან მალე დაკარგა ღირებულება.



## რჩეული ავტორიზმები

ხუნ ძიგენის ავტორიზმები კრებულიდან „ფესვების გემო“

ავტორიზმებისა და ფიქრების კრებული „ფესვების გემო“ სამართლიანად შეიძლება ჩავთვალოთ შუა საუკუნეების ჩინური სიტყვიერების ერთ-ერთ ყველაზე უფრო პარმონიულ ნიმუშად. მოკლე ავტორიზმებია, მაგრამ ამ მოკლედ ნათქვამ სათქმელს ხანგრძლივი სიცოცხლე უწერია. ჩაკვირვებით ვკითხულობთ ამ წიგნაკს, ვუფიქრდებით იმას, რაც ჩვენში რჩება და აღმოვაჩენთ იდეალებსა და ფასეულობებს, რომლებშიც ჩაქსოვილია ჩინეთის კლასიკური კულტურის სიცოცხლის საიდუმლოებები.

ამ კრებულის ავტორზე ძალზე ძუნწი ცნობებიღა შემოგვრჩა. ცნობილია, რომ ის ცხოვრობდა XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, რომ მას ერქვა ხუნ ძიგენი ან ხუნ იმინი და რომ მეტსახელიც ჰქონდა — „დასაბამიერთან მიბრუნებულ დაოს კაცს“ ეძახდნენ, ასეთი მეტსახელი იმას მოწმობს, რომ ხუნ ძიგენი დაოსიზმის მოძღვრების მიმდევარი კაცი იყო ან, ყოველ შემთხვევაში, თანაუგრძნობდა მას. ხუნ ძინის თანამედროვეთა ზოგიერთ ცნობას თუ დავყვდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ფესვების გემოს“ ავტორი ახალგაზრდობაში ოცნებობდა კონფუციანელი მეცნიერისა და მოხელის კარიერაზე, მაგრამ შემდგომი უარი თქვა ამ პატივმოყვარულ ჩანაფიქრზე და დაოსიზმისა და ბუდიზმის მიმდევარი გახდა. შორიდან რეპექტაბელური, მაგრამ სინამდვილეში აუტანლად ყალბი და უხამსი ოფიციალური სწავლების სამყაროთი ხუნ ძიგენის განხიბვლა „ფესვების გემოს“ ბევრ პუნქტში იგრძნობა. ამდენად, ხუნ ძიგენიც, ძველი ჩინეთის ბევრი ლიტერატორის მსგავსად, განათლებით კონფუციანელი, მაგრამ მსოფლმხედველობით უფრო დაოელი და ბუდისტი იყო.

კრებული „ფესვების გემო“, როგორც ჩანს, XVII საუკუნის მთლად დასაწყისში შეიქმნა. ის პირველად 1624 წელს დაიბეჭდა და შემდგომაც არაერთგზის გამოიცა. ხუნ ძიგენს მრავალი მიმბაძველი გაუჩნდა. ეს წიგნი პოპულარული გახდა მეზობელ იაპონიაშიც, სადაც ის ჩვენს საუკუნეშიც უკვე ათჯერ გამოიცა. წიგნის სახელწოდება (სიტყვასიტყვით ის ასე ეწერს: „საუბარი ბოსტნეულთა ფესვებზე“) მომდინარეობს სუნის ეპოქის (960-1279) მეცნიერის ვან სინმინის სენტენციიდან: „ის, ვინც ბოსტნეულთა ფესვებს ლეკავს, ნებისმიერ საქმეს გააყეთებს“. ხუნ ძიგენის ავტორიზმების კრებულში თვალნათლივ ვხედავთ, ძველი ჩინეთის ლიტერატორის შემოქმედებაში როგორ ორგანულად ესადაგება ეროვნულ ტრადიციულ და ინდივიდუალურ, პირადული და საყოველთაო. სისადავისა და ბუნებრივობის მიუხედავად, ეს ავტორიზმები წიგნურია და ამოღებული ინტონაციით აღბეჭდილი. მათი ავტორი სიამოვნებით იხსენებს სხვათა გამოხატვამებს და იმოწმებს იმ სხვათა გამოცდილებას, ის თანაბარი სიმათიით და თანაც თავისი თავისადმი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ეკიდება ძველი ჩინეთის ტრადიციული „სამი მოძღვრების“ — კონფუციანობის, დაოსიზმისა და ბუდიზმის მემკვიდრეობას. მაგრამ მას აქვს შესაძლებლობა ამ ტრადიციულ წყაროებს თავისუფლად დაეწაფოს, რადგან ძალუძს თავისი მეობის შენარჩუნება. ხუნ ძიგენისთვის — და ამითაა ის თავისი დროის ღირსეული წარმომადგენელი — უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს თვით ადამიანი, რომელსაც დაუცხრომლად სწყურია ქეშმარიტების წვდომა. და ძალუძს საკუთარი თავისათვის



მსჯავრის გამოტანა. ხუნ ძიჩენის ყოველი აზრი უდაოდ პიროვნების, ანუ იმ ადამიანის მიერაა გამოთქმული, ვისაც თავისი ცხოვრებისეული გამოცდილების კრიტიკულად შეფასება და ამ გამოცდილების პირად რწმენად გადაქცევა ძალუძს.

ადამიანის მიერ თავისი თავის შეფასება და სწორედ ამით თავისი თავის აღმოცენება, თავისი თავის ჯობნის, თავისი თავის, ვ. შკლოვსკის ტერმინით რომ ვთქვათ, „სამყაროდ სიყვარული“ უნარია ხუნ ძიჩენის წიგნის ის ღერძი, რომელიც ერთ მთლიანობად პერავეს ზეგნულად „სიყვარულის“ უღრმეს გონებრივ კონცეფციებსა და ყოველდღიური ცხოვრების სიბრძნის ადრეულ რიზმებში დადასტურებულია ადამიანის არსებობის დიალოგური ბუნება, რომლის შექმნა, როგორც ეს ყოველთვის ხდება დიალოგში, ნებისმიერი თვალსაზრისი წარმოჩინდება პირობით, შემოფარგლულ მოვლენად, მაგრამ თვით თავისი შემოფარგულობით გვიჩვენებს ყოფიერების სისაფის იდუმალ სახეს. ამ ბუნებრივი დიალოგის ნაკადში ჩართული სიტყვები იძენენ ზემოქმედების თვით ცხოვრებასავე უძლეველ ძალას. სათქმელის ბოლომდე ღრმავროვნად უთქმელობით ისინი გვაიძულებენ შევიგრძნოთ ჩვენი თვალსაწიერის ფარგლები და ახლებურად შევხედოთ სამყაროს. აი, რატომაა, რომ, როგორც ხუნ ძიჩენის პირველ აფორიზმშია ნათქვამი, ბრძენი კაცისთვის ცხოვრების უსასრულობა იკუმშება ერთ გაელვებად და ის გამუდმებით „ფიქრობს იმაზე, როგორი იქნება მაშინ, როცა შეწყვეტს იმად ყოფნას, ვინც ახლა არის“, აი, რატომაა, რომ, როგორც ეს ნათქვამია ამ პუბლიკაციის უკანასკნელ გამონათქვამში, ადამიანი ერთდროულად თოჯინაცაა ცხოვრების სცენაზე და თოჯინის მამოძრავებელიც, რომელსაც თავისი ხედრის ძაფები თვითვე უჭირავს ხელთ.

საბოლოო ანგარიშით ჩინელი ლიტერატორის აფორიზმები გვასწავლიან ახლად აღმოვაჩინოთ ის, რაც აგრერივ ნაცნობი, სადაგი, ჩვეულებრივი ჩანს. ისინი გვასწავლიან, როგორც ჩინეთში იტყოდნენ, „ერთად ყოფნას, როცა ერთად არა ვართ“, გვასწავლიან ადამიანთა ერთიანობის ღრმად ზნეობრივ ბელოვნებას, გვინერგავენ სამყაროსთან ჩვენი უქვევლი სისხლ-ზორცეული კავშირის გრძნობას. მაგრამ საუბარი, თუნდაც საკუთარ თავთან, ნდობის მოითხოვს... ხუნ ძიჩენი ეძებს ცხოვრების „ნამდვილობის“ (ჩვენ) გამოცდილებას. ცხოვრებისეული დიალოგის თვალუწვდენელი პერსპექტივა, რომელიც გამუდმებით იშლება ყოველი ჩვენგანის ცნობიერებაში, განსაზღვრავს ხუნ ძიჩენის წიგნის სიღრმისეულ სტილისტურ მთლიანობას. ამ დიალოგით ჩაგონებული ფაქიზი გრძნობა საკუთარი და სხვათა ყოფიერებისა ჩინური აფორიზმებისთვის სავსებით უცხოა ხდის პრეტენციონიზმს. ხუნ ძიჩენის შეხედულებებს შორის ვხვდებით აქურთულ მაქსიმებსაც და ლირიკულად ამორფულ აფორიზმებს — ფრაგმენტებსაც, მაგრამ მათთვის სიტყვების ფუჭი თამაშიც უცხოა და თვითგამოხატვის ეგოცენტრიზმიც. მათი მომხიბლაობის საიდუმლოება უბრალოა: ესაა საკუთარი თავისა და მკითხველის წინაშე სრული გულწრფელობისკენ სწრაფვა. ჩინელი მორალისტი სიცოცხლის აზრს ხედავს თავის თავზე დაუცხრომელ შინაგან მუშაობაში, რომელსაც სხვისი თვალი ვერ ამჩნევს. მაგრამ უცილობლად ზემოქმედებს სამყაროზე, ხუნ ძიჩენი მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვს აუცილებლად: ადამიანში ადამიანური არ უნდა გაქრეს. ის არ უნდა ცდილობდეს თავის თავში სამყაროსთან მიმდებლური, ალაღმართალი დამოკიდებულება ფუჭი, ამაო აზრებით, სიტყვებითა და საქმეებით დაწრდილოს.

ხუნ ძიჩენი თავისი თანადროული საზოგადოების ზნე-ჩვეულებებს მუჭი ფერებით კი ხატავს, მაგრამ მისი შემოქმედება მაინც გამსჭვალულია ოპტიმიზმით, რომელიც ემყარება ადამიანის სრულქმნის, თვითსრულყოფის უნარს, მისთვის „ცხოვრების ნამდვილობა“ ამ სრულქმნის, სრულყოფის პროცესს წარმოადგენს. აქედან იღებს სათავეს ხუნ ძიჩენის ზნეობრივი მაქსიმალიზმიც. იმის რწმენაც, რომ ბეწვისოდენა „გულის სიწმინდე“ სიცრუის მთებს გადასწონის და, პირიქით, ჩვენგან ამოღებული იდელების ოდნავი ლაღატიც კი ყველა ჩვენს მიღწევას ხაზს გადაუსვამს. ხუნ ძიჩენი მათემატიკის ეს თვისება შესამჩნევად განასხვავებს მას ევროპული, აფორიზმის მრავალი კორიფესგან, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ მათდროინდელ „დაცემულ“ ადამიანებს არ ძალუძდათ ეგოცენტრული „მეს“ უღლის გადაგდება. და ამიტომ მიდრეკილნი იყვნენ იქითკენ, ადამიანის ალტრუისტული საქციელი და მისგან უბრალოდ თავაზიანობის წესების დაცვა კი მხოლოდ თავისი ნამდვილი სახის დამფარავ ნილად ჩაეთვალათ. წარმოუდგენელია ჩინელი ავტორისაგან მოსმენა ისეთი რამისა, რომელიც ევროპულ-მორალისტს, ლაროშფუკოს სავსებით ჩვეულებრივ აზრად მიაჩნია: „ჩვენ იოლად ვივიწყებთ ჩვენს დანაშაულს, თუ ის მხოლოდ ჩვენ ვიცით“. ხუნ ძიჩენი სხვაგვარად იტყვის: „ნუ მოიტყუებ სიბნელეში, ეს შენ სინათლეზე გამოგადგება“.

ის პატიოსნება, რომელსაც ხუნ ძიჩენი ქადაგებდა, რასაკვირველია, ძალზე შორსაა დღე-მატური პრინციპების მორჩილებისგან. ადამიანის შინაგანი დიალოგის განვითარებისას პატიოს-



ნება ქვეშაობების მხოლოდ უჩინარი — ყველგან მსუფთავი ქვეშაობები. ფრაგმენტის სახით მელანდებოდა და ის ითვალისწინებდა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადამიანებთან სხვადასხვა პიროვნებად ყოფნას. რაც მთავარია, თავის თავად დარჩენას ხუნ ძიგენის შეზღუდულობით ერთიერთობის ხელოვნება გამოიხატება ყველაფრის, რაც კი არსებობს ადამიანის ცხოვრებაში, მათ შორის სათნოებისა და გონების, შეზღუდულობის ჩვენებაში. ხუნძი მორალისტს აქაც შეეძლო ლაროშფუქოსთან საერთო ენის გამოთხატვა — ის ჩააგონებს ადამიანებს, რომ ანგელოზებით წმიდა და ყოვლისმცოდნეთა შორის ყოფნა აუტანელია, მაგრამ ყველა ქვეშაობისა და აიბრძნიან მათგან გზაზე გვაყენებს, მაგრამ ბრძენაკაცს მხოლოდ იმითვე თუ განსხვავდება, ესაა მისი უნარი — არ დაუპირისპიროს თავისი თავი არავის. ხუნ ძიგენის გამოთქვამთა გმირი განააზიერებს ბრძენაკაცს, როგორც სარკის, ტრადიციულ ჩინურ იდეალს, რომლის წყალობითაც ყველა შეიცნობს თავის თავს და ბდება ისეთი, როგორიც არის. მაინც რას გვაწავლის მორალისტი ხუნ ძიგენი? იმას, რისი აწვლელებაც და შესწავლაც შეუძლებელია, ამასთან, ორი აზრით: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის ლაპარაკობს რაღაც „მარად ახლაზე“, ყოველთვის მოუღწეველზე, შეუძლებელზე; მეორეც, იმიტომ, რომ ის ლაპარაკობს რაღაც ისეთზე, რასაც წმიდა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და უკლებლივ ყველას აქვს ბოძებული — ცხოვრების ჭანსალი და სიხარულით აღაგეს, ცვალებად და მარადიულ, მუდმივად კონკრეტულ და ყველგან მსუფთავი სიცოცხლის ოცენებზე.

ხუნ ძიგენის ხან გამომწვევად პარადოქსული, ხან, პირიქით, სრულიად უბრალო, მარტივი გამონათქვამები გვაწავლიან, როგორ უნდა ვამუშაოთ გონება ყველაზე კეთილშობილურად, როგორ აღმოვაჩინოთ სიზღვრულში საზღვარდაუდებელი და ღრმა აზრი იქ, სადაც იგი, თითქოს არცაა. ეს გამონათქვამები შეგვახსენებენ, რომ ქვეშაობის გულზიარობის, თანაცოდნის საკითხი, მარტივად რომ ვთქვათ, ესაა — რა და რამდენი შეიძლება „დაიტიოს“ ადამიანმა, მან კი, აღრე თუ გვიან, თავის თავში ყველაფერი შეიძლება დაიტიოს.

### 3. მალაქიანი

მათ, ვის არსებაშიც სიშორთლე უფულობს, ცხოვრება მოუხეტლებელ წამად ეჩვენებათ, უფლებამოსილების წყურვილით შეპყრობილთ — გაშეშებულ მარადიულობად. ქვეშაობების ჩაწვდომილი კაცი ისმენს იმას, რასაც ვერსად ნახავ, და ფიქრობს იმაზე, როგორი იქნება ის მაშინ, როცა შეწყვეტს იმად ყოფნას, რაც ამჟამადაა. ის აღიარებს წამის სრბოლას და უარყოფს მარადიულობის გაშეშებას.

კეთილშობილი კაცის ზრახვა-წადიდები ცის ფერივით და მზის ბრწყინვალეობასავითაა: მათი შეუმჩნეველობა შეუძლებელია. კეთილშობილი კაცის ტალანტი კლდეზე იასპივითა და ზღვის მორევში მარგალიტივითაა: მისი კარგად დანახვა ადვილი საქმე არ გახლავთ.

ძალაუფლება და გამორჩენა, ბრწყინვალეობა და დიდება, — ვინც ამეებს არ ეკარება, ისაა ქვეშაობითად სუფთა. მაგრამ ის, ვინც ეკარება და ლაქი არ სცხია, ორგზის სუფთაა. ბევრისმცოდნეობა და ხერხიანობა, სიშარჯვე და ანგარიშიანობა: ვისაც ესენი არ ძალუძს, ქვეშაობითად ამაღლებულია. ის კი, ვისაც ესენი ძალუძს, მაგრამ მათზე უარს ამბობს, ორგზისაა ამაღლებული.

ცხოვრებაში ხშირად გვიხდება ჩვენთვის უსიამო, არასასურველი სიტუაციების მოსმენა და სიამოვნებას რომ არ გვანიჭებენ, ისეთი საქმეების კეთება. მაგრამ მხოლოდ ასე შეიძლება იქ საღესი ქვის პოვნა, რომელზეც იდებსება ჩვენი სათნოება. და თუ მხოლოდ ის ვისმინეთ, რისი მოსმენაც სასურველია, და მხოლოდ იმაზე ვიფიქრეთ, რაზეც ფიქრი სასიამოვნოა, მაშინ მთელ ცხოვრებას ბანგმორეულსავით გავლევთ.

როცა ქარი მძვინვარებს და კოკისპირულად წვიმს, ცხოველები და ფრინველები მყუდროდ ვერ არიან. როცა მზე კაშკაშებს და თბილი ნიავე უბერავს, ბევრი და ბაღაბები გულმზნედ სუნთქავენ. მაგრამ უნდა გავიგოთ: არსებობს დღე, რომ ბუნების ცხოვრებაში თანხმობა არ სუფევდეს; არ არსებობს დღე, რომ ადამიანის გული სიხარულით არ ივსებოდეს.

არც მუავს, არც მლაშეს, არც მწარეს არა აქვს ნამდვილი გემო. ნამდვილი გემო შეუმჩნეველია. არც თვალისთვის საჩინო გონება, არც ხაჭირველი ტალანტი არ გახლავთ კეთილშობილი ადამიანის ღირსებები. ქვეშაობითი ღირსებები უჩინარია.



ცა და მიწა უოველთვის ისვენებენ, მათ შორის განფენილი ეთერი კი წამითაც არ მშვიდდება, მზე და მთვარე დღედაღამ ერთმანეთს მისდევენ, მაგრამ დროთა უფსკრულში არაფერი იცვლება. ამიტომ კეთილშობილ კაცს მართებს მოცალების უამს იფიქროს იმაზე, რაც დაუოვნებას ვერ ითმენს, ხოლო აჩქარების საჭიროებისას მართებს არ იჩქაროს.

გულკეთილობამ ხშირად შეიძლება ზიანი მოიტანოს, ამიტომ, როცა სიკეთის გაკეთება გასურს, გულმოდგინედ ასწონ-დასწონე ყველაფერი. მარცხიდან ხშირად შეიძლება სხვაგვარად დასკვნა გააკეთო, ამიტომ შეცდომა ძალიან გშველის კაცს საქმეში.

მათ შორის, ვინც გობიდან ჭამს, ბევრია უნულსავით სუფთა და იასპივით კეთილშობილადამიანი. მათ შორის, ვისაც დრაკონებით მოხატული სამოსელი აცვია და იასპის ჭურჭლიდან ჭამს, ბევრია ისეთი, ვინც მზადაა მონასავით მოიდრიკოს ქედი და ილიქნოს. მან, ვინც ზრახვაწადილთა სიწმინდეს ესწრაფვის, უარი უნდა თქვას ტყბილ ლუკმაზე.

თუ ჩვენს თვალწინ მინდვრები ფართოდაა გადაშლილი, ისინი არ დაგავიწყდება. თუ სიკეთე, რომელსაც ჩვენს შემდეგ ვტოვებთ, შორს იფინება, ის დავიწყებით არ იბინდება.

ვიწრო ბილიკზე ნაბიჯი შეანელო და შენსკენ მომავალ მგზავრს გზა დაუთმო. ჭამის დროს კერძის მესამედშია აიღე შენთვის, დანარჩენი შენს მოყვასს მიეცი. აი, საიდუმლო იმისა, თუ როგორ შეგიძლია სულ ბედნიერი იყო ამქვეყნად.

რაც უნდა დიდ საქმეებს აკეთებდე, თუ ფუჭი, ამას აზრები განიშორე, — გამოდის, რომ სრულყოფილებისათვის მიგიღწევია. რაგინდ დიდ წარმატებასაც მიაღწიო სწავლაში, თუ ნივთთა მორჩილებისგან გათავისუფლდი, — შეგიცვნია სიბრძნის არსი და ეგაა.

მეგობრებს, შენთვის რომ იღებ, იმაზე სამჯერ მეტი მიეცი. შენთვის გულის პირველქმნილი სიწმინდის ერთი ბეწო მაინც შეინარჩუნე.

ჩიღდოების მიღებაში სხვებს ნუ გადაუხწვრებ. კეთილ საქმეთა ჩადენაში სხვებს ნუ ჩამოჩები, კუთვნილზე მეტს ნუ მიიღებ. რაც ძალგიძს, იმაზე ნაკლებ კეთილ საქმეს ნუ გააკეთებ.

საამქვეყნო ცხოვრების ორომტრიალისგან თუნდაც ერთი ნაბიჯით გვერდზე გადაგომა დასაძრახია. უკან დახევა წინწაწევის საწინდარია. სხვას მისცე შენი წილის მიღების უფლება, — აი, ესაა ბედნიერება. შენს თავს, სინამდვილეში, სხვებს რომ ეხმარები, იმით ეხმარები.

თუ შემეძლება, რომ უოველ საქმეში წინასწარ განვევრიტო რაღაც სამუდამოდ განუხორციელებელი, მაშინ თვით უოველი არსის შემოქმედიც კი ვერ შესძლებს ჩემს დასჯას და თვით ღმერთები და სულებიც ვერ შესძლებენ რაიმე წამართვან. თუ საქმეს გასრულებულად და თავს დამაკმაყოფილებლად ჩათვლი, მაშინ სული დაბავსდება, ირგვლივ კი ყველაფერი დაგანადგლიანებს.

უოველ ოქახშია კეშმარიტი ბუდა. უოველი დღის ორომტრიალში არსობს კეშმარიტი ბზა. როცა აღამიანებს ძალუძთ პირნათლად, წრფელად, თანახმიერად იცხოვრონ და სიხარულით უთხრან ერთმანეთს აღერსიანი სიტყვები, როცა მშობლებსა და შვილებს ერთმანეთი უყვართ და შეხმატკბილებულად ცხოვრობენ, ეს ათასგზის აღმატება „სუნთქვის რეგულირებასა“ და „გულის მზერას“.<sup>2</sup>

არ გვმართებს მეტისმეტად განჭიკება სხვებისა მათი მანკიერების გამო. იმ კარგზე იფიქრე, რისი შესწავლაც შეუძლიათ იმ აღამიანებს, როცა სხვებს შენი კეთილი საქმეებით ზრდი, აუცილებლად სათნოების საოცრებათა გამოვლენა არაა საჭირო. გააკეთე მხოლოდ ის, რაც სხვებმაც უნდა გააკეთონ.

ნების მატლები სიბინძურეში დაფავენ სულს, მაგრამ კიჭინობელებად ქცეულნი, შემოდგომის ქარში ცვარს სვამენ. ფულდურო ხომ არ ანათებს, მაგრამ, ციციანათელად გარდასახული, შემოდგომის მთვარეზე აწვის, არ შეიძლება არ ვიცოდეთ: სუფთა უოველთვის ჭუჭყიდან გამოდის, ნათელი უოველთვის წყვიდან იშვის.



გაძლიერების შემდეგ უნატიფესი ხორავის გახსენებაც კი ვერ მოგიყვანს მაღალზე. ავტორიტუ-  
ტები თუ დაკმაყოფილებული გაქვს, სამიჯნურო თავშესაქცევების გუნებაზე ვერ დადგები.  
ამიტომაც, რომ ადამიანები ხშირად ნაწილად იმის შემდეგ, როცა ასეთ რამეებს ნახდებიან. მაგ-  
რამ საკმარისია განთავისუფლდეთ იმ ცდუნებისაგან, რასაც ჩვენი წარმოსახვით ვჭვრეტთ, რომ  
ჩვენი ზრახვა-წადილები ურყევი, ხოლო ჩვენი საქციელი უზადო გახდეს.

დადებულია ეტლში თუ ზიხარ, შეუძლებელია მთის მწვერვალზე. შეუძლებელია შენ  
საცხოვრისი ტყის, ნაკადულის პირასა, შეუძლებელია სახალისი სავანეზე არ ფიქრობდე.

ნუ გწყურია ამქვეყნიური წარმატება. შეუცდომლობა უკვე წარმატებაა. ნუ ეძებ  
წყალობას ადამიანთაგან, თუ მათგან სიძულვილს არ დაიმსახურებ, ეს უკვე წყალობაა.

მხოლოდ ქვევით ცხოვრების შემდეგ გაიგებ, რა საშიშია ზევით ბობღვა. მხოლოდ სიბნე-  
ლეში ნამყოფი გაიგებ, რარიგ დამაბრმავებელია სინათლე. მხოლოდ მოხვედრულთ უწყიან, რა-  
რიგ ძნელია მოუსვენრობა. თუ სიტყვაძუნწი ხარ, მაშინდა იცო რარიგ ფუჭი საქმეა მრავალ-  
სიტყვაობა.

მდაბალ ადამიანთან შეხვედრისას არ გიძნელდება უბეში იყო, მაგრამ ზიზღის დამალვა გი-  
ჭირს. კეთილშობილ კაცთან შეხვედრისას მოწინებულობა არ გიძნელდება, მაგრამ უზადო თა-  
ვაზიანობის გამოჩენა გიჭირს.

ის, ვინც დემონებს ემორჩილება, ამის უწინარეს თავისი თავის წინაშე ურის ფარ-ხმალს.  
თუ შენს თავს ალაგმავ, უველა დემონი მიმოიფანტება, ის, ვინც ამა ქვეყნის ცდუნებებითაა  
გატაცებული, იმთავითვე ხდის თავის თავს გატაცებათა თვისთა ზვარაკად. როცა ადამიანს მო-  
რჩილებენ მისი გატაცებები, ამქვეყნიური ცდუნებები მის გულს ვერ ხელუფენ.

მოწაფეთა სწავლება ქალწულთა აღზრდას ჰგავს. მოწაფეთა ჩგუფი ისევე გულმოდგინედ  
უნდა შეარჩიო, როგორც ზნეკეთილ ასულთა ჩგუფს არჩევენ. ამ ჩგუფის ერთი თავაშვებული  
წიგრი მოვლილ, ნალოლიავებ უანაში თვალშისაცემ ხარვევლა ბალახსა ჰგავს.

გამრჩე, დაუდევრად მშრომელი კაცი თავის თავზეც წუხს და სხვებზეც, გულშეუტკივარი  
არასოდესაა. გულშეუტკივარი კაცი არც თავის თავზე ზრუნავს, არც სხვებზე. უველაფრისადმი  
უგულისუროა. კეთილშობილ ადამიანს ზომიერების დაცვა ძალუძს. ის არც მეტისმეტად მო-  
ფუსფუსეა და არც მეტისმეტად უგულისხმეირო.

იგი მდიდარია, მე კი სულითა ვარ ამაღლებული. ის მაღალი რანგის მოხელეა, მე კი მისი  
ქვეშევრდომი, მოადგილე ვარ. კეთილშობილი კაცი არასოდეს დაუჩიოებს ამა ქვეყნის ძლიერთ,  
ადამიანის ძლიერება თვით ზეცასაც კი ჯაბნის. ზრახვა-წადილთა ერთგულება მთელ სამყა-  
როს გადააყირავებს. კეთილშობილი კაცი უოველი არსის შემოქმედის წინაშეც კი არ შედ-  
რება.

თუ არ ეცდები, რომ შენს თავზე ოდნავ მაინც ამაღლდე. მოგიბდება მთელი ცხოვრება  
მტკრის ბუღში ასუფთავო შენი ტანსაცმელი და ტალახიანი ფეხები იწმინდო. როგორ გინდა  
ასეთ ვითარებაში გასუფთავდე? თუ ოდნავ მაინც არ განერიდები ამ ყოფას, ალიბკენ მისს.  
წრაფ ფარვანას და კარებთან რქებით მორკინალ ყოჩს დაემსგავსები. ამ დროს როგორ გინდა  
მშვიდი და ბედნიერი იყო?

სწავლებაში მთავარია ზრახვა-წადილთა მუდმივობა და გზიდან გადაუხვევლად წინ. პირ-  
დაპირ სვლა, თანაც, თუ შენს არსებაში სათნოებას ისე ელოლიავები, რომ დამსახურებებსა და  
დიდებაზე უარს არ ამბობ, მიზანს ვერასოდეს მიაღწევ. თუ წიგნების კითხვისას მხოლოდ იმაზე  
ფიქრობ, თუ უკეთ როგორ წარმოაჩინო შენი ნახვადობა, სული შენი ვერ ჰპოვებს შვებას.

თუ დვიძლი გადაგვარდება, მხედველობა წაგიხდება, თუ თირკმელი აგტკივდება, ყურს  
დაგაკლდება, სწეულება იქ იბუღებს. სადაც ის არ ჩანს, თავს კი იქ იჩენს, სადაც უოველთვის  
შესამჩნევია. კეთილშობილი კაციც ასეა: ცდილობს დამალოს ხილვადი, თვალისთვის ხაჩინო  
შეცოდებები, ვიდრე ისეთ შეცოდებებს არ ჩაიდენს, ვერავინ რომ ხედავს.



სხვათა წინაშე თქვენი დამსახურებები არ უნდა გახსოვდეთ, სხვათა წინაშე თქვენი შეცოდებები არ შეიძლება არ გახსოვდეთ. თქვენდამი სხვათა წყალობის დავიწყება არ გმართებთ არ შეიძლება, რომ თქვენდამი მოყვნიებული წყენა არ დაივიწყოთ.



როცა, სიკეთის კეთებისას, არც შენი თავი გახსოვს და არც სხვა, ერთი მუქა მარცვლის წილ ათასობით ფუთი პური დაგიბრუნდება, როცა, სხვების დახმარებისას, შენარჩუნებულ ტრაბახობ და ხალხისგან მადლობას მოითხოვ, ასობით ოქრო შევ ფულსაც მოგვრევენ ბინებს.

წიგნების კითხვასა და სიძველეთა შესწავლას მხოლოდ მაშინ უნდა შეუდგე, როცა გული ხაძაგლობათაგან განწმენდილია. ასე თუ არ იქნა, როცა წიგნიდან ერთ კეთილ საქციელს შეიტყობ, მისგან შენთვის სახარბიელო დასკვნას გამოიტან, ერთ ჭკვიანურ სიტყვას რომ გაიგონებ, მისით შენს მწიკვლების გამართლება მოგიხდება, თუ სწავლისას თავში ასეთი აზრები გიჭრია: ლეხ, ეს იგივეა, რომ მტერს იარაღი მისცე ხელში და უანადებს ხორაგი უგზავნო.

სწავლისას დიდ ბრძენკაცებს თუ არ ვეძრებით, გრიფელისა და დაფის მონები გამოვდივართ, სახელმწიფო სამსახურში ყოფნისას ხალხი თუ არ გიყვარს, მოხელის სამოსლისა და ქუდის ქურდი ხარ და მეტი არაფერი. მეცნიერულად თუ იმოძღვრები და ამ დროს ზრდილობის ივიწყებ, ყბედობ და სათნოებაზე არ ფიქრობ, ხალხს ფეხებზე იკიდებ — ასეა.

ტანჯვისას გულში ხშირად ნუგეში იხუდება, და როცა უცებ გერკნება, რომ უკვე ხელმოვიდეთ კეთილშობილთა, მაშინვე მწარდები იმის გამო, რომ მისი შენარჩუნება ვერ შეხდელი.

ყოველი ადამიანის გულში ინახება თითო კეთილშობილი უსტარი, მაგრამ იგი გაცვეთილი წიგნების ნახევრებს ქვეშაა დამარბული, ყოველი ადამიანის გულში ედერს თითო კეთილშობილი პანგი, მაგრამ მას გახრწნილი სიმღერები და ღრიალცელი აზრობს. მან, ვინც კეთილშობილების ერთ-ერთი გულია, უნდა უარყოს ყველაფერი გარეგნული და თვალნათლივ უნდა ჩაწვდეს საგანთა არსს მხოლოდ მაშინ გაიგებს ის, რომ ამქვეყნად არსებობს რაღაც ნამდვილი.

როცა სიმდიდრე, დიდგვაროვნობა და დიდება წარმოშობენ სათნოებას, ისინი თვალწარმატად მოყვავილედ ველურ ყვავილებს ემსგავსებიან, როცა სიმდიდრე, დიდგვაროვნობა და დიდება დამსახურებათა წილ მოდის, ისინი კოლბში გაზრდილ ყვავილებს ჰგვანან, როცა ძალაუფლებით მოიპოვებენ, ისინი ჰგვანან ლარნაკში ჩადებულ, ფესვებდაჭრილ და დასაქრობად განწირულ ყვავილებს.

ნამდვილი უანგარობა თვალში არ გერჩივრება, ის, ვინც უანგარო კაცის სახელის დაგდებას ესწრაფვის, უანგაროა მისი სიხარბის გამო, ოსტატობა უბრალო საქმე ჩანს, ის, ვინც თავისი ოსტატობით კოხტობს, თავის უუნარობას ავლენს.

როცა გული განათებული გაქვს, ბნელი მიწისქვეშეთიც მოწმენდილ ცასავით კაშკაშებს, როცა გონება წყვდიადსავითა გაქვს დაბინდული, მზის სინათლეზე დემონები მრავლდებიან.

მავანთ და მავანთ ჰგონიათ, რომ დიდება და მაღალი მდგომარეობა სიხარულის მომნიჭებელი რამაა, მაგრამ არ იციან, რომ დიდება და მაღალი მდგომარეობა შორსაა კეთილშობილი სიხარულისგან. მავანთ და მავანთ ჰგონიათ, რომ სიცივისა და შიმშილის გაძლება სამწუხარო რამაა, არ იციან, როცა არა გშია და არა გწყურია და მაინც მწუხარებ, ესაა ყველაზე მძიმე მწუხარება.

როცა ადამიანი ბოროტებას ჩაიდენს და ეშინია, ამას ხალხი გაიგებსო, მას ჯერ კიდევ შეუძლია სიკეთის გზის პოვნა, როცა ადამიანი სიკეთის გააქეთებს, და ცდილობს, რომ ეს ხალხმა გაიგოს, ის ბოროტებას ბადებს.

ბედნიერებას ვერავითარი მანქანებით ვერ მიაღწევ, ისწავლე ცხოვრებაში ბედნიერების პოვნა — აი, ბედნიერებასთან წილნაუარობის საუკეთესო საშუალება, უბედურებას ვერავითარ-



როცა ცდით ვერ გაეჭევი, განიდევნე შენი არსებიდან ღვარძლი, სიბოროტე — აი, უბედურების განრიდების საუკეთესო საშუალება.

თუ ათი სიტყვიდან ცხრა მართალია, ეს ჩერ კიდევ ვერაა მიღწევა. საქმარისა თუნდ ერთი სიტყვა არ იყოს მართალი, რომ იგი თავის ირგვლივ სიცრუის გუბებს დაუკრებს. თუ ათი ჩანაფიქრიდან ცხრას ხორცი შეესხა, ეს კიდევ ვერაა წარმატება. საქმარისა თუნდაც ერთი ჩანაფიქრი დარჩეს განუხორციელებელი, რომ ირგვლივ საუკედურების ტყეაღმჭრუჭრება, ამიტომ კეთილშობილი კაცი დუმილს ირჩევს და ამაო ფაციფუსს უარყოფს. ~~ეს უბედურებას~~ ~~და უარს ამბობს~~ ~~ეშმაკურობაზე.~~

იქ, სადაც ჭუჭყია, — ცხოვრება ფუთფუთებს, სუფთა წყალში თევზი არაა. კეთილშობილი კაცი არ უნდა გაურბოდეს ამქვეყნიურ ჭუჭყს და ბრმად არ უნდა ბაძავდეს უმწიკვლო უოფაქცევის ნიშუშებს.

გაუბედნავი ცხენი შეიძლება აკაშმულობას შევაჩვიოთ. ტიგელით გამდნარ ლითონს შეგვიძლია საჭირო ფორმა მივცეთ. მხოლოდ დაღვრემილი უსაქმური კაცისგან არახოდეს გამოვა რამე. ბაიშან ამბობდა: „ბევრი ავადმყოფობა რომ გპირდეს, ეს არაა სამარცხვინო, დასაძრანი რამ. უბედურება ისაა, თუ მთელი ცხოვრების მანძილზე არავითარი ავადმყოფობა არ გადაგიტანია“. აი, ქეშმარიტად ბრძნული განსჯა.

თუ ადამიანს გაუჩნდება თუნდაც ერთი ანგარებიანი აზრი, მისი სიმყარე სულმოკლეობით შეიცვლება, მისი ცოდნა — უვიცობით, მისი ლმობერება — სიხასტიკით, მისი სიწმინდე კი ბიწიერებით. მთელი მისი ცხოვრება წაიწყშიდება, გამწარდება, აი, რატომ თვლიდნენ ძველად უანგარობას უდიდეს სიმდიდრედ. ის, ვინც ამ სიმდიდრეს ფლობს, ცამდე ამალდდება.

უმჯობესია მოპოვებულს მოვუფრთხილდეთ, ვიდრე ჩერ კიდევ აღუსრულებელ რამეებზე ვიოცნებოთ. უმჯობესია მომავალი შეცდომა ავიცდინოთ, ვიდრე უკვე მომბდარი შეცოდებები ვინანიოთ.

უოფაქცევა ამალღებული უნდა იყოს, მაგრამ იგი უცნაური არ უნდა ჩანდეს; აზრები უნდა იყოს დახვეწილი, მაგრამ არა დაწვრილმანებული; ხასიათი უნდა იყოს გაწონასწორებული, მაგრამ არა უნებისყოფი; მანერები — დახვეწილი, მაგრამ არა გაბრანჭული.

უმწიკვლო კაცი უველაფროთ სასიამოვნოა. მუშანური კაცი დავას იოლად წყვეტს. გონიერი კაცი ცნობისმოყვარეობით თავს არ მოგაბეზრებს, პატიოსანი კაცი არ გაამაყდება. ასეთი ადამიანები ჰგვანან თაფლს, რომელიც მეტისმეტად ტკბილი არაა, და ზომიერად მლაშე მარილს. აი, უმაღლესი ზნეობრიობა სწორედ ესაა.

ღარიბ ოჯახში სუფთად გვიან, ქალი, რომელსაც გაჭირვება უნახავს, თმას ხაგულდაგულად ივარცხნის. იქ, სადაც სიღამაზე ფუფუნების ნაყოფი არაა, მშვენიერი თავად სულის უმანკოებაა. პატიოსანი კაცი, დატაკიც რომ იყოს და დავიწყებული, ხასოს არ წარიკვეთს და თავის იდეალებს არ უღალატებს.

იყავ გონმოკრებილი მოცლილობის ეამს, — ეს სიჩქარის საჭიროებისას წაგადგება, მოსვენების ეამს ნუ მოდუნდები, ეს მოქმედებისას წაგადგება. სიბნელეში ნუ მოიტყუები, ეს სინათლეზე წაგადგება.

უძრავობის დროს მოსვენება ნამდვილი მოსვენება არაა, მხოლოდ მაშინ, როცა მოძრაობისას მოისვენებ, შეიგრძნობ ბუნებას შენსას. მხიარულების წიაღ მხიარულება არაა ნამდვილი სიხარული. მწუხარების წიაღ რომ იგემებ სიხარულს, აი, მაშინ გაიგებ, რითიც ცოცხლობს გული.

თუ ზეცა სიხარულს დამატებს, ამ დანაკლისს ზნეობის სიდიდით შევაყვებ. თუ ზეცა მაიძულებს ქანცის გაცდამდე ვიმუშაო, ამის ჩემი გულის ამალღებულობას დავუპი



რისპირებს. თუ ზეცა ჩემთვის ბედ-აღბალს არ გამოიშეტებს, ჩემი გზით მივადწევ ბედ-იღბ-  
ლამდე, ზეცამ მე რა უნდა დამაკლოს?

წინეუთელი ადამიანი უკეთეს ბედურზე არ ფიქრობს. და უანგარობისთვის მაღლიერი ზეცა  
მას ბედნიერს ხდის. მდაბალი ადამიანი ცდილობს გაჭირვება აიცდინოს და ზეცა ამ ფუჭი ტაცი/  
ფუცობის გამო აუგუნურებს მას. არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ზეცის მტრები არაა  
ბრძენია. რა შეუძლია მისი ნების გარეშე ადამიანის მიხედვით-გაგებას? ბიზუნიფიქსა

მეძავთა სახლის მომღერალმა ქალმა ხანდაზმულობაში სათნოების გზაზე შედგომა განიჭ-  
რაზა. და ამაში მას ხელს არ უშლის ის ამბავი, რომ აქამდე მთელი მისი დღე და მოსწრება  
გარყვნილი ცხოვრებით ცხოვრობდა. კარგი ოქაზის ქალი, უკვე გაჭაღარავებული, ზრდილო-  
ბის წესებს ივიწყებს. თურმე, აქამდე ამაოდ უცხოვრია მკაცრი წესითა და რიგით. ხალხში  
ამბობენ: „კაცზე მისი სიცოცხლის მიწურულით იმსჯელე“. აი, კერძოადად შესანიშნავი სი-  
ტყუები.

როცა მდაბიორი სათნოებას, წნეობრიობას ემსახურება და სიკეთეს სჩადის, ის უტიტულო  
მინისტრია. როცა დიდებული ძალაუფლებას ანგარებითი მიზნებისათვის იყენებს და მოწყალე-  
ბის გაღებით თვალთმაქცობს, ის საბოლოოდ მაღალსაჩინოსანი მათხოვარი ხდება.

კეთილშობილი კაცი, რომელიც არაგულწრფელად აკეთებს სიკეთეს, არ განსხვავდება ბო-  
როტების ჩამდენი მდაბალი კაცისაგან. კეთილშობილი კაცი, რომელმაც თავის პრინციპებს  
უღალატა, უარესია მდაბალ კაცზე, რომელსაც გადაუწყვეტია, რომ უკეთესი პიროვნება  
გახდეს.

როცა სახლეულთაგან ვინმე აშავებს, საჭიროა არა მისი დატუქსვა, მაგრამ არც ისე თავის  
მოკატუნებას საჭირო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. თუ ამ დანაშაულზე პირდაპირ თქმა  
საჭირო, ნართაულად უთხარით სათქმელი, რისთვისაც შემთხვევის შესატყვისი მაგალითი მო-  
უყვანეთ. თუ მაშინვე ვერ გაგიგებენ, თქვენი დარიგებები ყოველდღე გაუმეორეთ და ისინი  
იმოქმედებენ იმის მსგავსად, როგორც გაზაფხულის ქარი აქარვებს სიცივებს და თბილი მაერა  
ადნობს უინულს. აი, ასე უნდა იქცეოდნენ ოქაზში.

უმწიკვლო კაცი ზედმეტობებზე უარს ამბობს. ზრდილი კაცი ვნებებს თოკავს. ამ წესისა  
და რიგის მიმდევარმა კაცმა შეუძლებელია ოდნავადაც კი უგულუბელუოს მოვალეობა და თა-  
ვისი უფრევობა მეტისმეტად გამოაჩინოს.

როცა ცხოვრება ჩვენი სურვილების საწინააღმდეგოდ მიიმართება, ჩვენს ირგვლივ განფე-  
ნილი სამყარო სამკურნალო ნემსებსა და შინაურ წამლებს ემსგავსება — ის შეუმჩნევლად  
გვკურნავს. როცა წინააღმდეგობას არ ვაწყდებით, ჩვენი გარემომცველი სამყარო მგავს მოპი-  
რულ ცუდსა და ბასრ ლახვარს, — ის თანდათან გვჭრის და გვკლავს.

როცა ლიტერატურული ნაწარმოები სრულყოფილია, ის შეუღამაზებლადაც მშვენიერია.

გემრიელი ხორავი საწამლაგია, რომლითაც კუჭი ზიანდება და ძვლები იშლება. უარი  
თქვი მასზე და უბედურებას აიცილენ თავიდან. ფუჭი გართობები ვნებენ ჭანჭრთელობას და ღუ-  
პავენ წნეობრიობას, სათნოებას, შეწყვეტე ის გართობები და არაფერი გაგიხდება სანანებელი.

ზეცა და მიწა მარად იარსებებენ, ჩემი სხეული კი მეორედ არ დაიბადება, ადამია-  
ნის წუთისოფელი ახ წელიწადს არ აღემატება. ჩემი სიცოცხლე კი თვალის დახამხამებაში გაი-  
ქვდება, მათ, ვისაც ამქვეყნად ცხოვრების ბედნიერება ერგოთ წილად, შეუძლებელია არ უწყ-  
ოდნენ სიცოცხლით მოგვრილი სიბარული და მისი სწრაფწარმავლობით შობილი მწუხარება.

უმჯობესია ხერხო კეთილდღეობაზე წრუნავდე, ვიდრე მხოლოდ საკუთარ სიკეთეს ეს-  
წრფეოდე. უმჯობესია ძველი მეგობრების ერთგული დარჩე, ვიდრე ახალი ნაცნობების გაჩენა



გაიხადო საქმედ. უმჯობესია მალევე აკეთო სიკეთე, ვიდრე შენი სახელის განთქმას ესწრაფო. მაღალი წნეობის კაცის სახელის დაგდებას ის სჯობია, არაფრით გამოირჩე.

სიბერის ავადმყოფობები ანადგავრდობის წლებში ისაბება. ცხოვრების დროის მანძილზე ძალიან გაფურჩქვნის უამრავი იღებს სათავეს. ამიტომ კეთილშობილი კაცი განაგრძობს მანძილზე წინდახედული, როცა უველაფერი საშუალოდ აქვს.

ეროვნული

არ შეიძლება სამართლიან შეხედულებას დაუპირისპიროდ. მას ერშიველ თუ დაუპირისპიროდ, სამუდამოდ მოიპოვო თავს. ამა ქვეყნის ძლიერა ანგარებიანი ინტერესების მსახურება არ გმართებს, თუ მათ ერთხელ მაინც გაუწევს სამსახურს, სიცოცხლის ბოლომდე ჩირქმოდ ხეხული იქნები.

ქობია ცდებოდე და კერპობდე, და ამით ადამიანთა არაკეთილგანწყობას იმსახურებდე. ვიდრე შენს იდეალებს უღალატო და ადამიანთა აღტაცება გამოიწვიო. ქობია სიკეთის ჩაუდენლად გიცხადენ, ვიდრე სიკეთის ჩაუდენლად გაქვდენ.

თუ ნათესავები რაღაც უხიამოვნებას მოგაყენებენ, ამის შერიგება გმართებო. თქვენს უმჯობესობას ნუ გამოხატავთ, თუ მეგობრები მოგეჭყვიან ცუდად, ისინი მკაცრად უნდა დამარაბოთ, ამის გამო უდარდულობა არ გმართებო.

ის, ვინც წვრილმანებშიც არ დაუშვებს დაუდევრობას, ვინც სიბნელებშიც კი არ დაიწყებს ტყუილის თქმას, ვინც უიმედო ვითარებაშიც კი არ წარიკვეთს სახოს, აი, ნამდვილი გმირი სწორედ ის არის.

ათასი ოქროთი თუნდაც წუთიერი სიბარულის უღვაც ძნელია, ერთი გამასპინძლებით შეიძლება მთელი სიცოცხლე მადლობელი დაგრჩეს კაცი. საქვეყნოდ გაშიშვლებული, ხალხის თვალის ამხვევი სიყვარული მხოლოდ სიძულვილს იწვევს. როცა სიყვარულს თვალში არ გჩრია, სული შვებას გრძნობს.

იშვიათით განცვიფრება, უჩვეულოთი აღტაცება დიდი გონიერების შედეგი არ გახლავთ. ღვთისმოსაობით დაუძლურება, სათნოებით უველაზე მაღლა მდგომად თავის მოჩვენების ცდა კარგი აღზრდის შედეგი არაა.

თუ შენ გენდობიან, გარეწარსაც კი ნუ მოატყუებ. თუ შენ ღირსებები გაქვს მომადლებული, სხვათა ნაკლოვანებებს ნუ გააშიშვლებ. თუ შენ ნიჭიერი არა ხარ, სხვათა ნიჭიერება არ შეგშურდეს.

გულჩახვეულ და სიტყვაძვირ კაცთან გულახდილი ვერ იქნები. ბოროტ და თავის თავზე შეყვარებულ კაცთან ენას კბილი დააჭირე.

გაფურჩქვნა და ხვავრიელობა ჭკნობისა და სიმწირის მაუწყებელია. კვდომასა ჩატანებული სიცოცხლის თესლები. ამიტომ კეთილშობილ კაცს, როცა ბედნიერებით ნეტარებს, მართებს თავი თვისი შეამზადოს ხაზრუნავთა და ჭირთათვის, ხოლო ვაებათა წიად დაუშრეტელი მოთმინებით უნდა აღიჭურვოს და გამარჯვებათათვის ემზადოს.

ვაებანი და სიძნელებები გახლავთ ის ქურა, რომელშიც დიდი ადამიანი იწრთობა, ამ ქურაში გამოზრდილი ადამიანის სული და ხორცი თანახმიერობენ. ამ ქურაში გამოზრდილი ადამიანის სული და ხორცი ერთმანეთს აბრკოლებენ.

არ შეიძლება საკუთარ სიბართლესე უარი თქვა საყოველთაო ცდომილებისთვის მხარის ასახმელად. არ შეიძლება პირად შეხედულებაზე დანდობით სხვათა აზრი არად ჩააგდო. არ შეიძლება პირადი ხარგებლობისთვის საერთო კეთილდღეობას ავნო. არ შეიძლება საერთო შეხედულებაზე დამყარებით პირადად შენთვის ეძიებდე ხეირს.

მავან ადამიანს კარგი რეპუტაცია რომ ჰქონდეს, მანამ არ უნდა აქო, ვიდრე ბედი პირადად არ შეგყრის. მას, ის ხომ თავისი ნამდვილი სახის მშალავი გარეწარი შეიძლება აღმოჩნ.



დეს. და ნურც ცუდი რეპუტაციის კაცის ძაგებას დაიწყებ, ვიდრე ბედი საბოლოოდ არ დაგა-  
ცოლებს მისგან. ხომ შეიძლება, რომ მას ცილს სწამებდო.

კეთილშობილება, მსგავსი ელვარე ცის კამარისა და კაშკაშა მზისა, სახლის ბნელ კუთხეში  
იდგამს ფეხს, ძლიერებას, რომელსაც ცისა და მიწის ამოძრავება ძალუძს, მტრულად მისწრა-  
წევს, ვინც ისე ცხოვრობს, თითქოს გამუდმებით უფსკრულის თავზე იდგეს და მტრულად  
მიაბრუნებდეს.

როცა მაშის სიუყვარული, შვილების მოკრძალება და ძმების ურთიერთბატონისცემა სრულ-  
ყოფილებას აღწევს, ისინი რაღაც ბუნებრივ აზრად აღიქმება და მათ არც არავინ უფიქრდება.  
თუ სიკეთის ჩამდენი ადამიანი უანგაროა, ხოლო ის, ვინც მისი სიკეთით ისარგებლა, გულწრ-  
ფელად ემადლიერება მას, ისინი გვანან იმ ორ ადამიანს, ერთმანეთს რომ არ იცნობენ, ერთ-  
მანეთს კი მიეშველნენ, მაგრამ ეს დაივიწყეს.

სხვათა მიერ დაშვებული შეცდომების გამო შენი თავიც იმ სხვებსავე უნდა დაადანა-  
შაულო, მაგრამ მათთვის მიგებული დამსახურების ბადალი დამსახურების მიგების პრეტენზია  
არ უნდა იქონიო. როცა ადამიანებს თანაბარი დამსახურება აქვთ, მათ შორის მტრობა იჩენა  
თავს. ვაიზიარე სხვათა ვაებანი, მაგრამ მათ სიხარულში თანამონაწილე ნუ გაუხდები. ის, ვინც  
ისწრაფვის, რომ სხვისი სიხარული იგემოს, სიძულვილს იშვის.

მას, ვინც მომთხოვნია საკუთარი თავის მიმართ, ყოველგვარი საქმე მალამოსავით კურ-  
ნავს. მას, ვინც სხვებში მანკიერებებს ეძებს, ყველაფერი შუბის წვერსავით ლახვრავს. პირველი  
ყველას სიკეთისკენ უბნის გზას, მეორე ყველას ბოროტების მორევისაკენ უბიძგებს. ისინი  
ისევე შორიშორს არიან ერთმანეთისგან, როგორც ცაზე ღრუბლები და ტალახი მიწაზე.

თუ ადამიანს ერთი გულწრფელი აზრიც კი არ უელავს, ის იმ მათხარს ემსგავსება, რო-  
მელსაც ყველა სულ მუდამ ხელცარიელს ისტუმრებს. თუ ადამიანი მთელი არსებით არაფრი-  
თაა გატაცებული, ის ჰგავს ხის კერპს, რომელიც იქა დგას, სადაც დააყენეს.

თუ წყალს არ აამდვრევდნ, ის თავად დაწდება. თუ სარკეს არ გათხუპნიან, ის თავისთავად  
არეკლავს გამოსახულებას. ადამიანის გულის სიწმინდეს მხოლოდ ამის სურვილით ვერ მიაღ-  
წევთ. თუ აღმოფხვრით ის, რაც მას აქუყუიანებს, ის თავისთავად გასუფთავდება. სიხარული  
თქვენს გარეთ არ უნდა ეძებოთ. აღმოფხვრით ის, რაც გაშფოთებთ და სიხარული კვლავ დაი-  
სადგურებს თქვენს სულში.

სამსახურს ძალების გაფურჩქვნის უამს დაეტხოვე. მუუდროდ, მშვიდად როცა ცხოვრობ,  
თავს სხვებზე მაღლა ნუ დააყენებ. სათნოებისკენ სწრაფვისას სათნო იყავი წერილმანებშიც  
კი. მოწყალე თუ ხარ, მოწყალე იყავ იმის მიმართ, ვინც ამ სიკეთეს ვერ გადავიხდის.

ბაზრის ვაჭრის მშაკაცობას მთაში მცხოვრები ბერიკაცის მეგობრობა სჯობია. სჯობია დღე-  
ებს ღერწმის ქოხში ატარებდე, ვიდრე წითელქიშკრიან სახლში შინაურ კაცად ითვისებოდე.  
ტყისმჭრელებისა და მწყემსების ყურის გდება სჯობია უსაქმო ლაპარაკის ყურის გდებას. წი-  
ნაპართა დიადი ნათქვამებისა და სახელოვან საქმეთა გახსენება სჯობია თანამედროვე წინე-ჩვეუ-  
ლებათა წამბდრობის გამო მკუმუნჯარებას.

ოდესღაც ერთმა კაცმა თქვა: „არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ სახლში ვერ ამჩ-  
ნევენ აურაცხელ სიმიდრეს და კარდიკარ თხოულობენ მოწყალეებასო“<sup>7</sup>. პირველი გამონათქ-  
ვაში იმას მოწმობს, რომ არ შეგიძლია დაინახო ის, რასაც ფიქრობ, მეორე კი სხვა რამეს ადას-  
ტურებს — გაბრმავებს ის, რასაც ფიქრობ. ერთსაც უნდა უფრთხოდე და მეორესაც.

დიდსულოვანი აზრები კეთილშეუყვრელ გაზაფხულის ქარსა ჰგავს: როცა იგი უბერავს,  
ბუნებაში ყველაფერი ცოცხლდება, ბოროტი აზრები თრთვინისა ჰგავს: როცა იგი იყრება, ყო-  
ველი ცოცხალი იღუპება.



სიკეთეში, რომელსაც შენ სწადიხარ, სარგებლობას ნუ ეძებ. დაე, იგი გარეშე თვალთახან ფოთლეულით დაფარულ გოგრაასავით იყოს. შენთვის სხვებისგან გაკეთებულ სიკეთეში ზიანს ნუ ეძებ. დაე, იგი იმ თოვლსავით იყოს, გაწაფხულზე, შეუმჩნევლად რომ დნება ეზოში.

როცა ძველ მეგობარს ხვდებიან, გრძნობები განსაკუთრებული სიკბადით ვლინდება. როცა რამეს გულდახურულად აკეთებენ, ზრახვები განსაკუთრებით აქტიურდება. როცა კეთილშობილ ადამიანთან საუბრობენ, თავაზიანობის წესებს განსაკუთრებული ყურადღებას აქცევენ.

სხვებისთვის შეცდომების მიტევება შეიძლება, საკუთარი თავისთვის — არა. საკუთარი გაქირვების მოთქმენა შესაძლებელია, მაგრამ სხვისი გაქირვების უფლება აუტანელია.

უოველივე ჩვეულებრივი დაბრკოლების გადალახვის უნარი, — აი, ესაა დიდებულება. მაგრამ დიდებულებისკენ უახლოვდები, განზრახი სწრაფვა ადამიანს კი არ ადიდებულებს, არამედ უაზროდ ხდის, მაგრამ მისი სიცოცხლე, ვინც სიწმინდეს ეძიებს და ცხოვრებას ზურგს აქცევს, წმინდა კი არა, უუკი, ამო ხდება.

„როცა ვკამ, უოველთვის ვუტოვებ თავებს საქმელს, ფარვანების სიბრალულით ღამღამობით შეუქს არ ვანთებ“. წინაპრების ასეთი შეხედულებები გვშველიან ჩვენ ამ ცხოვრებაში. უიმათოდ ჩვენ მხოლოდ ის ვიქნებით, „რასაც ხისა და მიწის“ სხეული ჰქვია, შეტი არაფერი.

როცა სხვათა საქმეებს განსჯი, უოვლის უწინარეს, იმაზე იფიქრე, სასარგებლოა თუ საზიანო ეს საქმეები. როცა საკუთარ საქმეებს წუვებ, უოვლის უწინარეს უკუაგდე ფიქრი სარგებლობასა და ზიანზე.

ცრუპენტელას თუ შეხვდი, სცადე სიწრფელით აუჩვილო მას გული. ბოროტ ადამიანს თუ შეხვდი, სიკეთით სცადე მისი გულისმოღობა. წუწურაქს თუ შეხვდი, უანგარობით სცადე მისი გამოსწორება.

ერთი კეთილი აზრი დაამკვიდრებს თანზობას მთელ ქვეყნიერებაზე. გულის სიწმინდის ერთი ბეწო ასობით საუკუნეს იკეთილსუბურნელებს.

სამსახურში უოვნისას ორი კერძმარიტება გახსოვდეს: „მხოლოდ მიუკერძოებლობა ასხივებს სიბრძნის შუქს. მხოლოდ უანგარობა ბადებს ავტორიტეტს“. შინ მობრუნებულსაც ორი კერძმარიტება გახსოვდეს: „მხოლოდ გულთბილობას მოაქვს სიმშვიდე, შეძლებული ცხოვრების სათავე უაირათიანობაა, უოვლის უწინარეს“.

მდიდრულად თუ ცხოვრობ და პატივში ხარ, გახსოვდეს უპოვართა და დამცირებულთა მძიმე უოფაც. ახალგაზრდა და ძლიერი როცა ხარ, გახსოვდეს ბებერთა და დამახუნებულთა ვაებანიც.

მდაბალ კაცს ნუ მტრობ. მას მტრები მხოლოდ მის მსგავსთა შორის ჰყავს. ნუ ეცდები კეთილშობილ ადამიანს ააშო. ის მოწყალებას ანგარებით არ მოიღებს.

თვითრჩულობისგან, თავნებობისგან განკურნება უფრო ადვილია, ვიდრე რეზონერობისკენ მიდრეკილებისგან. საქმეებში დაბრკოლებათა მოცილება უფრო იოლია, ვიდრე კერძმარიტებისაგან გამოთქვნა.

მდაბალ ადამიანთაგან ქების მოსმენას ძაგების მოსმენა ხჭობია. კეთილშობილი კაცი შენ. დამი გულგრილი რომ იყოს, იმას ისევ ვისაუვედუროს სჭობია.

ანგარებიანი კაცი სიმართლისგან შორსა დგას. მისი მავნეობა თვალნათლივ ჩანს. პატივმოყვარე კაცი მართალ კაცს თამაშობს. ის მავნეობა ღრმად და ირ ჩანს.

ავციები და ცილისმწამებლები თითქოს მზეს გადაფარებული ღრუბლებია; მათ სათნოების ნათლის დიდი ხნით დაბნელება არ ძალუძთ. რაღა პირმოთენნი და მლიქვნელნი და რაღა ხუბტი სიოს ქროლვა. მათ გაქირვებას ვერ ამჩნევ.



ჩამავალი მზის სხივებში ცისკიდრ განსაკუთრებით კაშკაშებს. წლის მიწურულს მანდარინის ხე განსაკუთრებით ძლიერ ამო სუნს აფრქვევს. სიცოცხლის მიწურულს, სიბერის უამს კეთილ-შობილი კაცის სუნი ახგზის უფრო მშვენიერია.



უაღრათიანობა დიდი სათნოებაა. მაგრამ თუ ზომიერად უაღრათიანი არ იქნები, შენ რამ-კირნეობა მანკიერებად — ჩვეულებრივ წუწურაქობად იქცევა. დამთმობლობა და მთმობლობა ნების ჩინებული ნიშანია, მაგრამ თუ ზომიერად დამთმობი არა ხარ, შენი დამთმობლობა მებლობად, პირმოთმობად გადაიქცევა და შენ მლიქვნელი გახდები.

ნუ გაბრაზებს ის, რაც შენს განზრახვებს ეწინააღმდეგება. ნუ გაბრაზებს ის, რაც შენს სულს სიამოვნებს. შეფოთვა-მღელვარებას ნუ გამოეშინები. პირველი მარცხისთანავე ნუ გატყდები.

ფაციფუცა კაცს მხიარულად ცხოვრება უნდა და ამიტომ ებმება ხიფათში. კრწმარიტებას ჩამწვდარი კაცი სიხარულს არ ეძებს, მაგრამ ბოლოს მაინც მოიპოვებს მას.

ის, ვინც ფუფუნებაში ცხოვრობს, პირთამდე ხაფხუფილია: წყალი სადაცაა დაი-ღვრება. ასეთ ფიალაში უკვე წვეთიც კი ვერ ჩავა. ფაციფუცის ტალახში ჩაფლული კაცი ჰგავს დამპალ ხეს, რომელიც სადაცაა წაიქცევა, ასეთი კაცისა და ხისთვის ოდნავ ხელის კვრაც ხაშია.

პატიოსანი კაცი ხულით ამალღებულია, ამიტომაც მისი ბედნიერება ღრმა და მყარი. ყო-ველ მის საქმეს თავისუფლების ბეჭედი აწის. გარეწარი კაცი ხულითაც მდაბალია, და ამიტომ მისი სიხარული წვრილმანი და სწრაფწარმავალია. ყველაფერს, რასაც ის აკეთებს, ჩირქი სცხია.

ქვეშევრდომის მიმართ უბეში ნუ იქნები, თორემ ის შენთან მუშაობას არ ისურვებს. მეგობრების მიმართ ნუ იქნები მოურიდებელი, თავაშეებული, თორემ მხოლოდ არარაობანი შემო-გრჩება მეგობრებად.

კრწმარიტად ღვთისმოსავ ადამიანებს შეუძლიათ სხვებთან შეწყობა თუ ვინმესთან შეუღებს, მტრობას არ დაუშვებენ. პატივსაცემ ადამიანებს შეუძლიათ შექმნან შთაბეჭდილება, რომ მათი სათნოებანი ყველას ეკუთვნის და შურს უფლებას არ მისცემენ ვინმეს გულს დაეუფლონ.

დიდი ადამიანი სამსახურში უცერემონიო, მოურიდებელი არ უნდა იყოს და სხვებს თავქარიანულად მოქცევის საბაბი არ უნდა მისცეს. სამსახურიდან გადადგომისა და სამშო-ბლოში დაბრუნების შემდეგ გადამეტებულიად ცერემონიული, გადაპრანჭული არ უნდა იყოს. გულთბილობა და ძველ მეგობრებთან ახლოს ყოფნა მართებს.

თუ ხელი გეცარება ხოლმე, შენზე უფრო ხელმოცარულები გაიხსენე და შევბავ იგრწნობ. სიწარმაცდ, მცონარობა თუ შეატყვე შენს თავს, შენზე წარმატებული ხალხი გაიხსენე და გა-ხნევდები.

ცხელ გულზე ნურავის ნურაფერს შეპარდები. სიმთვრალეში ნუ ბრაზობ. გიგმებს სიხა-რულით აღტკინების დროს ნუ დასახავ. მომავალ საქმეებზე დადლილი ნუ იფიქრებ.

როცა სხვებს მსჯავრსა ხდებ, მათ საქციელში უდანაშაულობა ეძიე. მაშინ ადამიანთა შო-რის თანხმობა გამეფდება. როცა შენს თავს სდებ მსჯავრს, დანაშაული იქ ეძებ, სადაც ის არ ჩანს. მაშინ შენი სათნოებები კიდევ უფრო გაშუარდება.

ხატები კეუის კარებია. თუ ამ კარებს ღიად დასტოვებ, გონება, კეუა გარეთ გაგისხლ-ტება. წარმოხატვა კეუის ფეხებია, თუ მას ღაგამს არ ამოხდებ, ხწორ გზას იგაცდენს.

კეთილშობილი კაცი, როცა გაჭირდება დაადგება, არ წუხს, როცა ღებინში მოხვდება, მხი-არულებას თავს არ არიდებს. იგი ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე არ ფრთხვება და ღატაკთა და მდაბიოთა თანამღმობეელია.



თქვანის კერა უდარდელი საქმეა. მაგრამ თქვენ ბედით გიჭირავთ იარაღი, რომელსაც სი-  
ფრთხილის მოსპობა ძალუძს. გადრეკის თამაში უწყინარი გართობაა. მაგრამ ის ჩაგაგონებთ  
უწყრებს, სასიკვდილო ორთაბრძოლაზე. არ შეიძლება არ შედეგდეთ უკუღმართ სასაზოგნო  
საქმე არაფრის კეთება. ხოლო სისადავე უკუღმართ დიდ დახელოვნებულობაზე მაღლა დგას.

როცა ბაღაბები ხასხასებენ, მოლაღური მღერის და მთის ქალთები თვალწარმტაცად ირთ-  
ებიან, ჩვენს თვალს აცბუნებს ამ სამყაროს მაცთური ცრუ გარეგანი სილამაზე. როცა ფოთლე-  
ბი წყალში ჩაცვივა და კლდეები შიშვლდებიან, მაშინ მწერს თვალი ცისა და მიწის ნამ-  
დვილ ბუნებას.

წლები და თვეები ხანგრძლივად მიზოზინებენ, ფაციფუცა ადამიანი კი თავად აჩქარებს  
თავის თავს. ცა და მიწა ფართოდაა განფენილი. მდებარე ადამიანი კი თვით ფარგლავს,  
მდუღავს თავის თავს. წელიწადის დრონი გარდაუვალი, უცხოობელი კანონებით მიედინებიან,  
ახეზარი ადამიანი კი გაუთავებლად იკვნეულია.

ადამიანის გულის მოსაგებად ცოტა კმარა. ხონჩიხბელა ბაღმა შეიძლება კმაყოფილება  
მოგვგვაროს. პეიზაჟით რომ დავტკბეთ, ამისთვის შორს წახვლა არაა საჭირო, ფანჯარაში მომ-  
ხირალნა მთვარემ შეიძლება ადგაფრთოვანოს.

მეგობრები და უცხოებები იყრიან თავს ნადიმზე და თავდავიწყებით მხიარულობენ. მაგრამ  
უცებ გუბრებში წყალი იღვავს, სანათი ქრება და ფინჯნებში ჩაი ცივდება. მაშინ სულში სევ-  
და გეპარება და მხიარულების ხალისი გეკარება. აი, ასე ვცხოვრობთ ამჟვეყნად. ადამიანები  
რატომ ცოტა ადრე არ დაუკვირდებიან თავიანთ ცხოვრებას?

თუ შეჩერება გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ შეჩერდი. ხელსაყრელ თამს თუ ელოდები, არც  
დაქორწინება შეგიძლიარს საზრუნავს და არც ბერად შედგომა ვაგზდის უფრო ბრძენს. ოდე-  
ხლაც ერთმა კაცმა თქვა: „წახვლა თუ გინდა, ნუ აყოვნებ. თუ ამის დროს გინდა დაელოდო,  
ის არახდროს არ დადგება“. აი, შესანიშნავი აზრი!

დროის ხანგრძლივობა ჩვენს განწყობილებაზეა დამოკიდებული. სივრცის ზომები ჩვე-  
ნი ცნობიერებითაა გაპირობებული. ამიტომ, როცა სული დაშვნიდებულია, ერთი დღე ათას  
საუკუნეს უდრის, ხოლო როცა ზრახვა-წადილები დიდია, პანაწიენტელა ქოხი მთელ სამყაროს  
იკვებს.

ის, ვინაც შეუძლია ბედს უმადლოდეს, ნეტარების საუფლოში ცხოვრობს, ის კი, ვინაც  
ეს არ შეუძლია, ჩვეულებრივ ადამიანთა სამყაროშია. ის, ვინც ჩაწვდა იმას, თუ სადაა სათავე  
ყოველივესი, რაც კი ქვეყნად ხდება, სიცოცხლეს თესავს, ხოლო ის, ვინც არ უწყის, სადაა  
ის სათავე, სიკვდილს თესავს.

ფიქვანში მოჩუბჩუბე მთის ნაკადულის გასწვრივ მარტოხელამ იარე კვერთხით ხელში.  
გაინახები და იგრძნობ: დაფლეთილი ხალათის ნაკეციები ღრუბლებზე გაფლნთეს. წიგნით ხელ-  
ში ჩათვლიშე ფანჯარასთან, რომელსაც ბამბუკები მოდგომია. გამოგდევძება და დაინახავ:  
მთვარე შემომძვრალა გაწეწილ საბანში.

მას, ვინც აღელვების წუთებში არ წრიალებს და არ ფაციფრობს, მას სიმშვიდის საათებში  
მიუღწევია სულის სიწმინდისთვის. ის, ვინაც სიკვდილის ტამსაც არ ღალატობს თავდაპირილო-  
ბა, ის სიცოცხლის წლებში ჩაწვდომია საგანთა არსს.

როცა წინ დგამ ნაბიჯს, დაფიქრდი. შეხებლებ თუ არა უკან დახევას. მაშინ აიცდენ ბედებს  
იმ უოჩისა, ვისი რქებიც კედელში ჩარჩა. ვიდრე რაიმე საქმეს დაიწყებდი, აწონ-დაწონე, შეგი-  
ძლია თუ არა მისი გასრულება. მაშინ არ დაეწვანები იმ კაცს, ვინც ვეფხვით გაჭირითება გა-  
დაწყვიტა.

მდინარის წყალი წამითაც არ ჩერდება, ისე მიედინება, მაგრამ ნაპირზე მისი ხმა სულ  
არ ისმის. ასე აღწევს სიმყუდროვეს ხმაურში. მთები მაღალია. მაგრამ მათ დაუბრკოლებლად  
უვლიან გვერდს. ასე აღმოაჩენ უსაზღვროებაში უოფნის საიდუმლოებას.



როცა ზმარსა და გაწამაწიაში ცხოვრობ, ისიც კი გავიწყდება, რისი დამახსოვრებაც ძნელი არაა. როცა შენს ირგვლივ სიმუდროვე და სიმშვიდეა, ისიც კი გახსენდება, რაც დავიწყებული გაქვს, რადგან დიდი ხნის წინათ მოხდა. უძველესი: სიმშვიდე და გაწამაწია ერთმანეთისაგან შორს დგანან: გონების სიბნელესა და სინათლეს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ.

დიდგვაროვან ადამიანს მთებში მცხოვრებ ბერიკაცთან შეხვედრა კიდევ უფრო უფასო ლეხს. მებადურებს ან ხისმჭრელებს სახელგანთქმულ ქარისკაცთან შეხვედრა უფასოა. გვმართებს ვიცოდეთ: მდიდრული ვერ დაჯახნის სადას; მდაბალი ამაღლებულამდე ვერ ააღწევს.

შე თუ დიდება არ მინდა, რატომ ვთქვა უარი მაღალ წოდებებსა და ჭილდოებზე? შე თუ კარიერის გაკეთება არ მინდა, სამსახურის უკუღმართობებისა რატომ უნდა მეშინოდეს?

როცა მთის ტყეებსა და ქვებზე მოჩუბჩუხე ნაკადულებს უშვებ, მიწიერი ტუტუხით შეღავათული გული თანდათან იწმინდება, როცა ძველ კანონებს ჩაკვირვებით კითხულობ და ძველ ოსტატთა ნახატებს ათვალთვრებ, ამქვეყნიური უზამსი სულისკვეთება თანდათან ქრება. ამიტომ კეთილშობილი კაცი საგნებით თავქარიანულ ტკობას არ აშუვება, მაგრამ სამყროში ისე იმშორება, როგორც სარკეში და ასე აუკეთესებს გულს.

გაწაფხულზე ბუნების უვავილობა მეტისმეტად აღელვებს სულს. მაგრამ უველაფერს სჯობია გრილი ქარისთვის სახის მიშვერა და შემოდგომის დღის თეთრი ღრუბლების მზერა, როცა მავრში ქადვარის სურნელი ტრიალებს, წყალი კი ციხკიდესავით მჭვირვალი და გამკაშაა. ასეთ დროს სულიც და სხეულიც უფრო წმინდა ხდება.

დაე, სხეული იყოს საბამიდან აშვებული ნავივით, რომელიც ხან მდინარებას მიუყვება, ხან უბეულში იხირება. დაე, გული იყოს გამხმარ ზესავით, რომელსაც დანით დაჭრა და ლაქის წასმა არ ემუქრება.

თმის ცვენის ან კბილების გამეჩხერების გამო დარდიანობა იმას ნიშნავს, რომ ცრუ, მაცდუნებელი ბილულობის კვდომა გწამდეს. ისმენდე ჩიტების გალობას და ხედავდე უვავილების გაშლას. — ეს უოვლი არსის ქეშმარიტი ბუნების წვდომას ნიშნავს.

სიყმაწვილეს მოხუცის თვალთ შეხედე და შენში დაცხრება შეძენისა და გამარჯვებათა წუურვილი. დიდების შარავანდს შეხედე სწეულებით ჩანგატებული კაცის თვალებით და განგშორდება ფიქრი ფუფუნებით და ლამაზად ცხოვრებაზე.

ბედის ტრიალის მეტისმეტად განცდა არ გმართებთ, იაოფუ? ამბობდა: „ის, ვისზეც უწინ ამბობდნენ, რომ ეს შე ვარ, ახლა უკვე სხვანაირია. მე კი, რომელზეც დღეს არაფერი უწყიან, მომავალში ვინ გავხდები, არავინ იცის“. ის, ვისაც უოველთვის ემახსოვრება ეს სიტყვები, შესძლებს სულის გათავისუფლებას ზუნდისგან.

თუ გვეცოდინება, რომ წარმატება დამარცხებას გვიქადის, წარმატების წუურვილი მეტისმეტად ძლიერი არ იქნება, თუ გვემახსოვრება, რომ უოველი ცოცხალი მოკვდავია, საკუთარი თავის დაწოგვის მოთხოვნილება მეტისმეტად დიდ ძალას არ წაგვართმევს.

როცა სიჩუმეში ტუიდან ფიქვების ზმარსა და ქვებში ნაკადულის რაკრაკს გაიგონებ, ჩაწვდები ცისა და მიწის სადა მუსიკას, როცა ხედავ ნისლმოფენილ მდელოს და წყალზე მცურავ ღრუბლებს, თითქოს ბუნების თვალწარმტაც გრაგნილს შლი.

მთვრის შუქზე ნებისმიერი მფრინავი არსება თავისუფლად დაფრინავს, მაგრამ ფარვნება ხანთლის ალში ცვივია. მწვანე ბაღებით შემოქობილ ანკარა წყაროსთან ნებისმიერი ნადირი გულიანად კაშხ და სვამს, ბუები კი აშმორებულ თავვებს კაშენ, არადა, ამქვეყნად რამდენი იქცევა ფარვანახა და ბუხავით.



როცა ხიდან მხოლოდ ფესვი რჩება, ხედები, რომ მისი ვარჯი წარმავალი დიდებაა. როცა ადამიანი კუბოში წევს, შენთვის გასაგები ხდება, რომ შთამომავლობა და სიმდიდრეები უმნიშვნელო რამაა.

ის, ვისაც სწყურია უანგარო კაცის სახელი გაუვარდეს, უარს იტყვის ათასგვარიან სამეფოზე, ხოლო წუწურაქი შავი ფულითვისაც კი თავს არ დაწოგავს. ესენი ერთმანეთისგან ისე შორიშორს არიან, როგორც ვარსკვლავები მიწის სიღრმეთაგან, მაგრამ პირველი წუწურვილი, რომ სახელი გაითქვას, არ განსხვავდება სიმდიდრისაგან მეორეს ღატაკისგან. იმერკატორი სახელმწიფოზე ზრუნვითაა შეფიქრიანებული, ღატაკი კი ერთ ჯამ შექამანდზე ოცნებობს. თავიანთი მდგომარეობით ისინი ერთმანეთისაგან ისე შორიშორს არიან, როგორც ღრუბლები და ტალახი, მაგრამ ერთის საზრუნავი რითი განსხვავდება მეორის საზრუნავისაგან?

როცა აზრებს თავისთავად ეხმიანება გული, ჩვენ თითქმის კეთილსურნელოვანი ბაღის წილ ვცხოვრობთ. მხოლოდ ის საგანია ნამდვილი, რომელიც თავის არსს შეესატყვისება. საკმარისია ვცადოთ იმის თუნდაც ოდნავ გაუკეთესება, რითაც აღტაცებულნი ვართ, რომ მთელი ხიბლი გაქრება. დარბაისელი ბოი ამბობდა: „აზრები მაშინ გვანიჭებენ სიამოვნებას, როდესაც ისინი უცაბედად ჩნდებიან. ქარი მაშინ ხდება სუფთა, როცა ის ლაღად ნავარდობს სივრცეში“.

ოქრო მადნიდან ამოაქვთ. იასპს ქვებიდან ამოღებენ. მაცდუნებელი ხილულობა რომ არ არსებობდეს, კემშარიტების ძიება შეუძლებელი იქნებოდა. ყველაზე ამალღებულიც კი შეუძლებელია ჩვეულებრივისაგან გამოიყოს.

თოვლიან ღამით მთვარის შუქზე გული წმიდა ხდება. გაზაფხულის ქარში, როცა დარიდგას, ხულში სიმშვიდე ისადგურებს. ბუნების სიცოცხლე და ადამიანის ხული განუყოფლადაა ერთმანეთს შერწყმული.

როცა საგნები ჩვენ გვემსახურებიან, გულგრილნი ვართ შეძენისადმი, წარუმატებლობები გულს არ გვტკენს და სულიერად ყოველთვის თავისუფალნი ვართ. როცა ჩვენ თვითონ ვემსახურებით საგნებს, უწესრიგობის გამო ვჭავრობთ; გვიუვარს, როცა ჩვენს გულს იგებენ და თავით ფეხებამდე შებორკილნი არიან.

დაავადდე და მხოლოდ ამის შემდეგ ჩათვალე ჯანმრთელობა განძად, წლების მანძილზე დავიდარაბაში ჩაფლულმა იცხოვრო და ამის შემდეგლა ჩათვალე სიმშვიდე. მუუდროება ბედნიერებად — ამას გამჭრიახობას ვერ დაარქმევ. ცხოვრობდე ბედნიერად და იცოდე, რომ ეს უბედურების ფესვია, ებლაუტებოდე სიცოცხლეს და იცოდე, რომ სიკვდილის მიზეზი ამაშია, — აი, შორსმჭვრეტელური შეხედულება.

მსახიობები სახეს იპუდრავენ და საღებავებით იღებავენ, რითაც ლამაზ და მახინჯ ხალხს გვიჩვენებენ. მაგრამ როცა წარმოდგენა დამთავრებულია და ხცენა ცარიელდება, სად იქნება სილამაზისა და სიმახინჯის სამყოფელი? მოკადრაკეები გამარჯვებისაგან ისწრაფვიან და ამისთვის ზედიზედ ცვლიან ფიგურებს. მაგრამ როცა ყველა გაცვლილია, მეტოქეებს რა დღე დაადგებათ?

ქარისაგან მოქანავე ყვავილების ხიბლი და მთვარით განათებული თოვლის სიწმინდე მხოლოდ მიწიერი, ამქვეყნიური ფუჭი ფაციფუცისაგან გამორიდებულ ადამიანებს ესმით. ქორფა ფოთლეულისა და ნაკადულის თავზე გაშიშვლებული ტოტების სიმშვენიერის, ნორჩი ყლორტებისა და ქვებში მდგარი ბამბუკის ბებერი ტანის სილამაზის დაფახებას მხოლოდ ის შეხძლებს, ვინც არ უწყის რაა ფუჭი ფაციფუცი.

ხმამალა შესრულებულ მუსიკალურ მელოდიებს ან თავაწყვეტილ სიმღერებს რომ გავიგონებ, უურზე სახელოაფარებული გავრბივარ. მშურს თვალახელილი კაცისა, ვინც ამქვეყნიურ გატაცებებს არაფრად აგდებს. დღელამის გასაყარზე, შუალამით დაუღალავად დავბორიანოზ ხიზნელეში იმით გულშეღონებული, რომ კაცთა მოდგმა ტანჯვათა ოკეანეშია შეტოპილი.

როცა სულით მტკიცე არა ხარ, ზურგი შეაქციე ამქვეყნიურ ფირებსა და ხგერებს, რათა



ამკვეთნიურმა ცდუნებებმა არ შეაცბუნონ გული შენი. როცა სული შენი შედეგი, მტკიცე გახდება, ჩაეშვი ამკვეთნიურ სიბილწეთა მორევში, რათა სული შენი იცნობდეს ამკვეთნიურ ცდუნებებს და არ შეუშინდეს მათ.



ის, ვისაც სიჩუმეში ყოფნა უყვარს და ხმაურს ვერ იტანს, ხალხს გაურბის და მყუდროებისკენ ილტვის, მას არ ესმის, რომ ადამიანებიდან შორს ყოფნის წადილი „მტკიცე“ ნამდვილობის ცრუ იდეას ქმნის, მყუდროებისკენ ლტოლვა კი მხოლოდ სულიერი „მტკიცეობის“ ბადებს. როგორ უნდა ჩაწვდეს ის სამყაროს ნამდვილობას, ხადაც „სხვები“ და „მე“ არსებითად ერთი და იგივეა, მოძრაობა და სიმყუდროვე კი ერთნაირადაა დავიწყებული?

როცა გრძნობები და ბუნება თანხმობენ, ფეხშიშველად დასერილობ სურნელოვან ბაღა-ზზე და ფრინველ-ჩიტებს შენს იქ ყოფნაში სიფრთხილე ავიწყდებათ, როცა პეიზაჟი გულს ვამბებს, ხალათგადედილი ზეზარ ფოთლებმოფარვადე უვავილებში და თეთრი ღრუბლები უსიბუჯოდ გემუსაიფებიან.

თოკი, რომლითაც ჭიდან ვედრო ამოაქვთ, გვიშს გადახეხავს, წყლის წვეთები ქვას ზვრეტს. ის, ვისაც ჭეშმარიტების წვდომა სურს, შეუპოვარი უნდა იყოს, წყალი თვითონ პოულობს თავის გზას. მწიფე ნაყოფი ძირს ვარდება. ის, ვინც ჭეშმარიტებას მიაგნო, მხოლოდ არსის, ბუნების ძახილს მიჰყვება.

როცა სიმალღებზე აღიზარ, გულზე გეფონება. როცა მდინარის მაღალ ნაპირზე დგახარ, ფიქრები შორს მიცურავენ. როცა თოვლიან ღამით წიგნს კითხულობ, სული იწმინდება, როცა გორაკის წვერზე შემომდგარი ღილინებ, ძალის მოზღვავენას გრძნობ.

უქაროდ და უმთვაროდ, უტირიფოდ და უუვავილებოდ ბუნების შემოქმედი ძალა არ არსებობს. უგურძნობებოდ და უწადილებოდ გულის სიცოცხლე არ არსებობს. ოდონდ, საგნები ჩვენ უნდა გვემსახურობდნენ და არა პირიქით. როცა ყოველი ჩვენი წადილის სათავე ჩვენსავე არსში, ბუნებაში იქნება, ყოველ ჩვენს გრძნობასა და ჭეშმარიტებას შორის თანხმობა დაივანებს.

წვიმის შემდეგ მთის პეიზაჟში ახალ-ახალ სილამაზეს აღმოაჩენ. ღამეულ სიჩუმეში ზარის ხმა განსაკუთრებით წმინდაა.

უსაქმო კაცს უსაქმო ფიქრები პარავს სიცოცხლეს. ჭეშმარიტ ბუნებას არ ძალუძს თავისი თავის გამოვლენა ფაციფუცა კაცში, ამიტომ სათნო ადამიანს არ ძალუძს არ უწყოდეს, რა არის ზორცისა და სულის ტანჯვა, და არ ძალუძს ქარიხა და მთვარის თავისუფლებისთანა თავისუფლებას არ ეხწრაფვოდეს.

როცა ბავშვი იხადება, დედის სიცოცხლე საფრთხეშია. თუ ფული ბლომად მოაქუჩი, შენს სახლში ქურდები შეიპარებიან, გულისტკივილს რომ არ გიქადდეს, ისეთი სიბარული არ არსებობს. სიღარიბე თავის შეკავებას, ზომიერებას გვასწავლის, ავადმყოფობა — ჩანმრთელობაზე ზრუნვას. არ არსებობს უბედურება, სიბარულს რომ არ წინასწარმეტყველებდეს. ამიტომ ჭეშმარიტებას ჩამწვდარი კაცი სიბარულს გულისტკივილისაგან არ აცალკევებს, არც ერთს ივიწყებს და არც მეორეს.

ნახევრადგაშლილი უვავილის მწერა, ღვინის ხმისას კი ოდნავ შეჭოკჭოკება ვესიამოვნებს. უვავილების ცვენისა და აღვირაზნული ღოთობის ყურება უსიამოვნო საქმეა. არ შეიძლება დაძაბული არ ვიყოთ ყოველივე იმის მიმართ, რაც უკიდურეს ზღვარამდე მისული, მოთავეებულია.

შენთვის განკუთვნილი ბედნიერება, უსაფუძვლოდ მოპოვებული რამ, შემოქმედისგან არა საშენოდ დადგენილი წარმატება — ყოველივე ეს საწუთროსაგან ადამიანებისთვის დაგებული მახეებია, როცა მათ წააწყდები, თუ ცხვირი აბზეცილი არ გეკნება, აუცილებლად აუვლი გვერდს.

ჩვენი ცხოვრება, არსებითად, — თოჯინების წარმოდგენაა. მხოლოდ სიჭირთა ძაფები შენ გეპიროს ხელთ, ერთმანეთში არ აგერიოს. შენი ნება-სურვილით ამოძრაო და შენვე გადაწყ-



ვითო, როდის იარონ და როდის გაჩერდნენ. სხვებს არ უნდა მისცე მათი წევა-ქაჩვის უფ-  
ლება, და მაშინ შენ ამაღლდები სცენის თავზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ი ბ ი



1. მაღალი თანამდებობის მოხელეები იგულისხმებიან.
2. „სუნთქვის რეპულიკაბა“, „ბულის მკამბა“ — ჩინეთის დაოურ და ბუდისტურ ტრადიციებში იოგური პრაქტიკის სახეობები.
3. ჩინელებს ძველად სწამდათ, რომ ზოგიერთი ქვეწარმავალი იბადებოდა ნავისგან, ფუ-ტუროს კი შეეძლო ციციანათელად გადაქცეულიყო.
4. ტრადიციული ჩინური მედიცინა მიიჩნევდა, რომ ადამიანის სხეულში თვალი დაკავში-რებული იყო ღვიძლთან, ყურები კი — თირკმლებთან.
5. ბაიშა — მეცნიერ ჩენ საინჩენის (1429-1499) ლიტერატურული ფსევდონიმი.
6. წითელხიშკარიანი სახლები — ძველ ჩინეთში მაღალი თანამდებობის მოხელეებს ჰქონდათ.
7. ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ ფილოსოფოსს ვან ი ანშის (1472-1528).
8. XI საუკუნის ცნობილი მეცნიერისა და პოეტის სუ დუნპოს ლექსის ციტატი.
9. იაოფუ — მეცნიერ შაო იუნის (1011-1077) მეორე სახელი.
10. ეტყობა, სახელგანთქმული პოეტი ბო ძიუი (772-846) იგულისხმება.





## ნოვალისი

„ნოვალისმა დაგვიტოვა ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი და საიდუმლოებით მოცული შემოქმედება, რაც კი ოდესმე სკოდნია გერმანული სულის ისტორიას... ამ ქმნილების საიდუმლო დამწერლობა არტისტულ-ალტკინებულ, ყვავილოვან საფარქვეშ გვიჩენს სულის ყველა უფსკრულს... სულით გაღმერთებისა და სულით დაექვევების ყველა უფსკრულს... საკუთარი ბედისწერა ნოვალისმა ცნობიერად და რწმენით ატარა, საკუთარი ტრაგედია გაიზარა და დასძლია, რადგან შემოქმედებითი ღვთისმოსაობა ანიჭებდა ძალას, არად ჩაეგდო სიკვდილი“.

ჰიმბან კისე

„ნოვალისი რომანტიკული სკოლის ერთადერთი გეშმარატი პოეტია, მხოლოდ მასში იქცა სიმღერად რომანტიზმის მთელი სული... ნოვალისის ცხოვრება და შემოქმედება ერთი განუყოფელი მთლიანობაა და როგორც ასეთი — მთელი რომანტიზმის სიმბოლოდ გვევლინება.“

ბერტოლტ ლუპატჩი

ნოვალისი ყველაზე ელვარე ვარსკვლავია გერმანული რომანტიზმის ხაკირველ ხომლში, ვარსკვლავი, რომლის ნათებასაც პოეტის სიცოცხლეშივე შემოევლო ლეგენდისა და გამოცანის ბურუსი.

თავისი ნამდვილი სათქმელის სიტუვადქცევა მან 22 წლის ასაკში დაიწყო და 29 წელს ვერ მიაღწია. ამ სამი წლის განმავლობაში შეიქმნა ნოვალისის პოეტური სამყარო. მოცულობით მცირე, მაგრამ უოვლისმომცველი თავისი შინაგანი სივრცით, და თითქმის შემაშინებელი თავისი სიღრმით, სამყარო, რომლის საბადოები მრავალ, მრავალ თაობას გაჟუვება საგზლად, და რომელიც მით უფრო მიუახლოვდება კაცობრიობას, რაც უფრო დაშორდება მას დროში ანუ, რაც უფრო მტანჯველად მოენატრება ადამიანთა მოდგმას ის ამოუცნობი საიდუმლოებანი, რითაც გაფლენთილია მთელი სამყარო: სიცოცხლე და სიკვდილი.

ეს შემოქმედება იწყება ფილოსოფიური აფორიზმებით (ფრაგმენტებით), მიიშართება ზღაპრებისაპენ, ადის ლირიკის მწვერვალზე და მთავრდება რომანით; და შემოქმედი ამ სამყაროსი, უოფიერებას იკვლევდა და ჩხრედა ბუნებისმეტყველის უზუსტესი თვლით, ფილოსოფოსის უღრმესი აზრით, პოეტის აღლო-გუმანიტა და გულმზურვალეობით, რელიგიური ადამიანის ღვთისმოსაობით. მის სახეზე უსახელო გამომეტყველებად შეერთებულა ეს თვისებები: ვეება, მუქი, ზავშეური თვალეები ისეთი ნდობით, ცნობისწადილით, სიხარულითა და სევდით, ამავე დროს ისე ფზილად იყურებიან სადლაც, შორს, რომ უნებურად გიჩნდება სურვილი, შენც იქით გაიხედო: ნეტავ რას ხედავსო?

ნოვალისის მიერ ნახილვებ-ნაგრძნობი თავბრუდამხვევი სიჩქარით გადაიდვარა მისი შემოქმედების გრძნულ რიტმებში, სიმღერებში, იდუმალ სახეებსა და გამონათქვამებში, გადაიდვარა იმ ძალმოსილებით, რაც საერთოდ გააჩნია პოეტურ სიტუვას უოფიერების მარადიული იგავის გახაცხადებლად.

### ნოვალისი ანუ შრიდრიხ ფონ მარდენბერგი დაიბადა

1772 წლის 2 მაისს შუაგერმანიაში (ობერვიდერშტეტში). იგი ბარონ ერანზ ფონ მარდენბერგისა და ბარონესა ბერნარდინე ფონ ბიულციგის უფროსი ვაჟი გახლდათ.

ამ ძველთაძველი, ქვემოხაქსონური გვარის ისტორიულად ცნობილი წინაპრები XII-XIII საუკუნეებში იჩენენ თავს — შუახაუკუნეებრივი პოეზიის აყვავების ხანაში, როდესაც ვარტბურგის ციხე-კოშკში შინეზინგერთა, რაინდ-მგოსანთა ცნობილი შეჯიბრება იმართე-



ბოდა. რადგან პოეტის მრავლისმეტყველი ფსევდონიმი სწორედ მის მამა-პაპათ უკავშირდება. აქვე აღვნიშნავთ: მის ერთ-ერთ უძველეს წინაპარს მამული (როდუ) მიუღია მანოვერში (ნიორტენთან, გოთინგენის ჩრდილოეთით). სადაც მარდენბერგთაგან მანამდე არაფრის უცხოვრია და ამიტომ ამ გვარის წევრები თავიანთ თავს უწოდებდნენ „de novall von Roden“ — პირველმოსახლეთა აზრით. პოეტის ახალი ქვეყნის გზისგამკაფავის აზრს დებს თავის ფსევდონიმში.

მარდენბერგების ერთი განშტოება შემდეგ შუა გერმანიაში გადასახლებულა, ძველ, დასავლელ მონასტრებში მიშენებულ სასახლეში. აი, სწორედ იქ დაიბადა პოეტი. იმ ციხე სასახლეში, რომელსაც კოშკადაცანებული, სქელი, გოთური გალავანი ერტყა გარს. ვიღაც წევრის ჩრდილი ეფინა და, რომლის ფანჯრებიდანაც ბშირი იახამნები და პატარა ხაუდარი მოჩანდა.

ნოვალისის მამა ახალგაზრდობაში ერთობ მიწიერ-მგრძნობელური ცხოვრებით ცხოვრობდა თურმე, როგორც ეპოქის მსუბუქ ზვირთებზე აღაცხებული. მაგრამ ერთ საბედისწერო შემთხვევას დიდი გარდატეხა გამოუწვევია მის არსებაში. მოულოდნელად სასახლესა და მის შემოგარენში უვავილის ეპიდემია გავრცელებულა. ბარონის ახალგაზრდა თანამეცხედრე გულითადად უვლიდა თურმე ავადმყოფებს. მაგრამ ერაწმ ფონ მარდენბერგს, ამის შიშით, ჩვენც არ დავხნეულდეთო. ძალით წაუყვანია მეუღლე და სოფელსახსახლეს გარიდებია. და ქალს, რომელიც ხალხალაშათად იყო სწეულთა შორის, ახლა სამშვიდობოს, უვავილი შეპყრია და გარდაცვლილა. ერაწმ ფონ მარდენბერგს ღვთის რისხვად მიუჩნევია მეუღლის სიკვდილი. უოველგვარი სიამე-გართობანი დაუგდია და პიეტისტური ღვთისმოსახობის გზას დასდგომა. რაღაც წერადობით აღთქმასავითაც კი მკონია დადებული ღმერთთან. იქიდან მოკიდებული მთელ სახლში მკაცრი რელიგიურ-რიტუალური წესრიგი მეფობდა. მერედა შეურთავს ბერნარდინე ფონ ბოლციგი, ნოვალისის დედა, კეთილშობილი წარმოსახობის ღარიბი, ადრე დაობლებული ქალიშვილი, რომელიც მარდენბერგების ოჯახში იზრდებოდა. ეს მძიმე ბედისთვის გაჩენილი ქალი მთელი ცხოვრება ერთგულად და მორჩილად ედგა გვერდით ოჯახის უფროსს და თერთმეტი შვილი შეეძინა მას. ძველი გვარტომის ბავშვებმა — ნოვალისმა და მისმა და-ძმამ უჩვეულოდ განათლებული ხული და სუსტი სხეული მიიღეს მემკვიდრეობად. ძველი სასახლის გრილმა და ბნელმა ოთახებმა აღებათ იმთავითვე კარგად აღვივს

ავბედითი მცენარე — ოჯახური ხენი: ტუბერკულოზი. რომელსაც დაუზარებლად მიჰყავდა იმ ოჯახის ბავშვები სახლიდან საფლავში. ათი შვილის სიკვდილს შეესწრო ნოვალისის დედა. და როდესაც მას წესიერად დასაწყობებულად და ფინიკურად შეაყვამა თვითონაც გაჰყვა მათ. ამ ქვეყნად ერთადერთი გავი, ნოვალისის ერთ-ერთი ძმადა დასტოვა.

პირველდაწყებით განათლებას ბავშვები სასახლეშივე იღებდნენ ღვთისმეტყველ მასწავლებელთა წყალობით. მაგრამ ნოვალისი დიდად ჩამორჩებოდა თურმე სწავლაში თავის და-ძმას. ცხრა წლისას მძიმე ავადმყოფობა შეპყრია. ბავშვი კარგა ბნით ჩაუგდია ლოგინად და ეკიმებსაც უოველგვარი იმედი გადასწორვიათ. მაგრამ ხრულიად მოულოდნელად ნოვალისი გამოჯანმრთელებულა და თითქმის სიკვდილის საუფლოდან დაბრუნებია სიცოცხლეს, სრულიად გამოცვლილი: ცნობიერებაგანათებული, გამოფხიზლებული და ძაღებმოკრეფილი. ამის შემდეგ გასაოცარ წარმატებებს აღწევდა თურმე სწავლაში და მასწავლებელთ დიდად ანცვიფრებდა თავისი მენსიერებით, სხარტი გონებითა და წარმოსახვის ძალით.

ამის გამო მამამ ერთ (მერნპუტერთა) რელიგიურ ძმობაში გააშწესა სასწავლებლად, რომლის ხაზოფელიც მეზობელ სოფელში გახლდათ. მაგრამ ნოვალისი ვერ შეეგუა ძმობის ორთოდოქსიას და დიდად გააწილა მამა ბატონი, რომელიც იმედოვნებდა, რომ მისი ვაჟი კონფირმაციამდე, მაშახადამე 14-15 წლის ასაკამდე იქ დარჩებოდა.

ამის შემდეგ ერაწმ ფონ მარდენბერგი 11 წლის ნოვალისს აგზავნის თავის ძმასთან, ლუკლუშიში. ეს ძმა გერმანელი რაინდთა ორდენის წარჩინებული წევრი, მდიდარი სასახლის ბატონ-პატრონი იყო, მარტოხელა კაცის ლაღი ცხოვრებით ცხოვრობდა და არაფრით მგავდა ნოვალისის მკაცრ მამას. ბიძის სასახლეში ნოვალისს მდიდარი ბიბლიოთეკა დაუბჯდა და ისეთი წიგნები აღმოაჩინა, მანამდე რომ არც გაეგონა. გოეთეს — „ვერთერი“ და „გოეცი“, ვილანდისა და ლესინგის, შექსპირისა და სერვანტესის ნაწარმოებები თუ ფრანგენციკლოპედიისტთა თხზულებანი. მაშინ მან პირველად მოავლო თვალი თავისი ეპოქის სულიერ-სოციალურ პანორამას: გვიანდელ ბაროკოსა და განმანათლებლობას, ფრანგულ აბსოლუტიზმსა და რაციონალიზმს, მთელს ევროპაზე მოდებულ — საფრანგეთის სამეფო კარის ეტიკეტსა და მოდას, ირონიასა და სეპატიციზმს.

ნიკიერი და სწავლა-განათლებას დაწაფებული ძმისშვილის შემეყრე ბიძას თამაში ოცნებები აეშალა. მინისტრად წარმოიდგინა იგი: (სხვათა შორის მარდენბერგთა გვარის ერთმა



განშტოვებამ მართლაც წარმოშვა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე: პრუსიის სახელმწიფო კანცლერი კარლ აუგუსტ ფონ მარდენბერგი (1740—1822). ნოვალისის ახლო ნათესავი, მამა კი ისევ მის კონფირმაციას ნატრობდა პერ-ნატურთა რელიგიურ სექტაში.

ამასობაში ოქსიის ცხოვრებაში დიდი სიახლე მოხდა. ერაჴმ ფონ მარდენბერგი ვაიხენ-ფელსის მარტალგამომხდელ საწარმოთა დირექტორად დაინიშნეს და მთელი ოქსიი მიუყრუბულ სოფლიდან მდინარე საალეზე მდებარე ქატარა, ცოცხალ ქალაქ ვაიხენფელსში გადასახლდა (უცნაური კია, და მათი საცხოვრებელი საბლი ისევ ძველი მონასტრის ადგილას იყო აშენებული).

ლუკლუმიდან დაბრუნების შემდეგ ნოვალისი ერთხანს აისლებენის გიმნაზიაში სწავლობდა (რომელსაც ხელმძღვანელობდა ლათინური პოეტიკის ავტორი და პორაციუსის ნაწარმოებთა გამოცემელი კ. დ. იანი). სწორედ აქ დაეწაფა იგი პირველად ბერძნულ-ლათინურ სამეცროს. ნოვალისი ბევრს კითხულობს, თარგმნის (იმდროინდელ თარგმანებში აღმოჩნდა „ოდისეას“ I. I. სიმღერა, ან ლექსი „ილიადადან“, პინდარეს I. I. ოლიმპიური ოდა და პორაციუსის ოდების ფრაგმენტები). თავადაც წერს ლექსებსა თუ დრამატულ ესკიზებს გოეთესა და კლოპშტოკის გავლენით (იმ კლოპშტოკისა, რომელიც მაშინ უწარმაწარ ავტორიტეტს წარმოადგენდა, და რომელზედაც მოგვიანებით ნოვალისი იტყვის: კლოპშტოკის ლექსები თითქოს ეიღაც უცნობ პოეტის ლექსთა თავისუფალი თარგმანებია, შესრულებული იალზედ ნიჟიერი, მაგრამ უცვლად არა-პოეტური ფილოსოფიის მიერ). ამ ნაწერებში ქერ არაფერია ორიგინალური, მაგრამ ისინი (თუნდაც მაგალითად, ერთ-ერთ ესკიზში („იესოს დაბადება“) აღწერილი მარიამისა და ელიზაბეტის შეხვედრა) — უკვე გვიმზღავნებენ მისი შინაგანი მწერის მიმართულებას.

15 წლის ნოვალისმა დაამთავრა გიმნაზიის კურსი და შინ დაბრუნდა. მალე იგი იენის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. აქ მას უნდა შეეხვალა იურიპარუდენცია, საგანი, რომელმაც მრავალ ევროპელ პოეტს გაუმწარა ახალგაზრდობა. ნაცვლად ამისა იგი პუშკინტარულმა საგნებმა გაიტაცა, რომელთაც ისევ მგზნებარედ დაეწაფა როგორც იენელი სტუდენტების ბოქმურ ცხოვრებას. მაშინ იენის უნივერსიტეტში ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამბავი ხდებოდა: კ. ლ. რაინჰოლდი კითხულობდა კანტის ფილოსოფიას, რომელმაც ინტენსიურად დასწაფებოდა გერმანელ პოეტ-მოაზროვნეთა ძველი თუ ახალი თაობა და ფრიდრიხ შილერი კითხულობდა ლექციების კურსს ევროპულ სახელმწიფოთა და ქვარობ-

ნული ომების ისტორიაში. შილერი, რომელსაც ნოვალისი თავუვანს ხცემდა როგორც ბუმბერაზ პოეტს (და მისი „საბერძნეთის ღმერთების“ დახატვად რაღაც მგზნებარე სიტუვა მქონდა უკვე დაწერილი) — ახლა ნოვალისის ფილოსოფოსად წარმოუდგა მას. ნოვალისი, აღფრთოვანებისა და მოწინააღმდეგეობისაგან, რომელსაც გამოიჩინებდა, შეეფუძნა კრიტიკულ-ტვოდა ცხოვრებაში პირველად ნანახ ცოცხალ გენიოსს და საერთოდ აღარ ახსოვდა, იურიპარუდენციის შესახსწავლად რომ იყო გამწენებული. მაგრამ ერთი წლის შემდეგ შილერი მძიმედ დაავადდა და ლოგინად ჩავარდა. მრავალი სტუდენტი ქაბუკური მგზნებარებით ამოუდგა მხარში დასწეულებულ პოეტს. „მარდენბერგმა, რომელიც მოგვიანებით ნოვალისის სახელით გახდა ცნობილი, უგულწრფელესი თანადგომა გვიჩვენა და სწორედ მაშინ განსაკუთრებით დაუახლოვდა შილერს,“ — წერს შილერის ახლო ნათესავი, შილერი თავისი მოწაფეებისათვის მხოლოდ სწავლულად და ქადაგად არ დარჩენილა: მან ხულიერი სიმტიკიცისა და მოწამეობრივი ამტანობის მაგალითი უჩვენა ახალგაზრდებს. იმზანად პირველად დაიბეჭდა ნოვალისის ლექსი („ქაბუკის გოდება“) დიდი სწავლულისა და მწერლის ვილანდის ურნალში. ამ ლექსში ნოვალისი შებოვს ბედისწერის ქაღმერთს: „მომეცი ტანჯვა, ვაება, საწუხარი და სულის ენერგიაო“. აქ შეღავნდება ნებისყოფისა და ჭულიერი დისციპლინის შილერისეული იდეები, კანტის კატეგორიული იმპერატივით რომ იყო განშტოცებული. მაგრამ ხულიერი ენერგიის ჩაუენება გაცნობიერებული მოვალეობის სამსახურში ნოვალისისთვის მხოლოდ სხვათა სიტყვებსა და საქციელში ამოკითხული სიბრძნე არ გახლდათ, იგი ბავშვობიდანვე „ცნობიერებდა, რომ შესაძლებელი იყო ფიზიკურ-ცხოვრებისეულ შეპირებათა შინაგანი ენერგიით დაძლევა. „კეთილშობილად ამტანი“, ტანჯვით ჯმალღებული მოძღვრის მოწამეობრივი სახე თავად ნოვალისის ბუნების ბორც-შესხმას წარმოადგენდა. პარკებმა ხომ ისე ზუსტად აუხრულეს თხოვნა: უხვად მიაგეს ტანჯვა, ავადმყოფობა და უბედურება, რასაც პოეტი შინაგან ძალთა მობილიზაციით ებრძოდა მთელი ცხოვრება.

ამასობაში მამა ერაჴმისათვის ცნობილი გახდა, რომ მისი ვაჟის სწავლა-განათლებას მთლად სასურველი მიმართულება არ მქონდა მიღებული. ამჟერად ბარონმა მარდენბერგმა დაწმარება სთხოვა (წერილობით) თვითონ შილერს: შილერმაც ურჩია ნოვალისს, შეეხვალა სამართალი, და ეტყობა, ისე ურჩია, რომ ნოვალისი აღფრთოვანებული დარჩა („თქვენმა ერთმა სიტყვამ უფრო მეტად იმოქმედა ჩემ-



ზე. ვიდრე გაუთავებელმა კუის სწავლებამ“).

21 წლის ნოვალისი თავის უსაყვარელს იმასთან — ერაზთან ერთად ლაიპციგში გაემგზავრა (მაშა იმედოვნებდა ძმები ერთმანეთს გაეცნობოდნენ და უკეთ შეისწავლიან სამართლის მეცნიერებას).

ლაიპციგში მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა. მან გაიცნო ფრიდრიხ შლეგელი, ორი ელვარე, სულისტალანტისა და მკვეთრად განხვავებული ფსიქიკის ადამიანი შეხვდა ერთმანეთს და, ცხადია, ამ შეხვედრას ერთიანად დამუხტული ხულიერი ველი უნდა წარმოექმნა. მართლაც, ერთმანეთით აღფრთოვანებას მალევე მოჰყვა განხეთქილება და შემდეგ კი მათი რთული ურთიერთობა სამუდამო მეგობრობაში გადაიზარდა: რამდენიმე წლის შემდეგ ორივენი ადრეული გერმანული რომანტიზმის, ე. წ. „იენის სკოლის“ მთავარ პურქებად გვევლინებიან.

მათი ურთიერთობა — ეს იყო დაპირისპირებულ ძალთა მიზიდულობა და კიბილი, კრიტიკულ-თეორიული ცოდნითა და განხვადულობით ფრ. შლეგელი უსწრებდა ნოვალისს, რომელიც მას ლირიკულ-ინტუიტური და მორალური სიღრმით აღემატებოდა. შლეგელის არაწიული გონი და შიღერის მოწყაფის — ნოვალისის ამაღლებულ-პოეტური მგზნებარება გაუთავებლად ეხლებოდა ერთმანეთს. ფრ. შლეგელმა ნოვალისის ხულის ნათელ, ანგელოზურ საწყისს შეაგება დემონური იმპულსები, ელადის დიონისური ღამე და ქაოსიც გადაუხსნა და ბიძგი მისცა ნოვალისის შინაგან თვისებას: ბედვის უნივერსალობას. (აი, რას სწერდა ფრიდრიხ შლეგელი თავის ძმას ვილჰელმს ნოვალისზე: „ბედისწერამ ერთი ახალგაზრდა კაცი მომაყვნა კარს... აშოლტილი კარგი აღნაგობისა; უადრესად ნატოფი სახე და შავი თვალები აქვს, რომლებიც დიდებულ გამომეტყველებას იძენენ, როდესაც ის მშვენიერ საგნებზე ლაპარაკობს. ერთ ხალაშის ველური ცეცხლოვანებით მამცრო თავისი აზრი; სამყაროში არაფერია ბოროტი და უვალაფერი თანდათან ოქროს საუკუნეს უახლოვდებაო...“ „პარდენბერგი ველურობამდე სწრაფია, სამქერ უფრო მეტს და ჩქარა ლაპარაკობს ვიდრე ჩვენ უვლანია“. „მუდამ ქმედითი, მოუსვენარი სიბარუდითაა სავსე“. და მერე მანვე იწინააგრძნო ნოვალისში „ღიღი, ლირიკული პოეტი“). ამის გამო წერდა პარდენბერგი შემდეგ ფრ. შლეგელს: „შენ ჩემთვის ელადის მთავარქურუმი იყავი. შენი წვალობით შევიყვანი ცა და ქვესკნელი და ვიგემე ნაყოფი ცნობადის ბისა.“

ლაიპციგში ნოვალისი ისევ ესთეტიურ-ფილოსოფიურ საგნებსა და დაწვავებული და ამავე დროს საკუთარ ხულში ჩაძირვის ფათე-

რაკიან, მტანჯველ გზას ადგას უჩუქულო ტრამპერამენტი. სწრაფად ცვალებადი ბუნებ-განწყობა, ეგზოტიკურულ-ზემეოცური ფსიქიკა, უსწრაფესი აზრობრივ-ინტუიტური მიგნებანი გაბმულ მიწისძვრასავით მსხვერპლ სულს, და მისი ბუნების მეორე მხარე — დამკვირვებლურ-ფსიქელი მწერა, ფილოსოფიური გამანძილება, შინაგანი დისციპლინა უნდა დაბარიზირებოდა ამ გამაღმრულ ხულიერ გიზგინს, რომ ის შემოესაზღვრა და მისთვის მიმართულება მიეცა, როგორც ჩანს, შინაგანი ქაოსის გარედან ალაგმვის გაუცნობიერებელი სურვილი იყო, რომ ლაიპციგის უნივერსიტეტში ამ ავბედითი იურისპრუდენციის შეხასწავლად გაგზავნილმა ნოვალისმა უეცრად გადაწყვიტა ქარისკაცი გამხდარიყო.

ეს სწრაფი გადაწყვეტილება სწრაფადვე გაქრა, მაგრამ ადარც სწავლა გაუგრძელებია, რადგან ამასობაში მისი ძმა — ერაზმა ტუბერკულიოზით დაავადდა და ბიძასთან ლუქსემში ჩავიდა, ზოლო ნოვალისი შინ გაემგზავრა.

ამის შემდეგ 21 წლის ნოვალისი ჩაირიცხა ვიტენბერგის უნივერსიტეტში და, როგორც იქნა, გაასრულა სამართლის კურსი, თან ექლესიისა და რელიგიის ისტორიაში დაინთქა მთელი არსებით. აღბათ, ბუნებრივი იყო, სწორედ ვიტენბერგში რომ აღანთო ამ საქმეს, ქალაქში, სადაც ლუთერმა პაპის ბულის წინააღმდეგ მიმართული თავისი მტეწისი გააკრა ექლესიის კარზე და მთელი საუკუნე ამდელვარა.

ვიტენბერგიდან შინ დაბრუნებული ნოვალისი მიღებულ ცოდნასა და შთაბეჭდილებებში გარკვევას ცდილობს. შესწავლილი მეცნიერებანი, გონებრივ-ხულიერი მონაპოვარი ქერ უფორმოდ, ქაოტურად ბურბურებს მასში, ქერ არ გაქერებულია იმ ნივთიერებად, საიდანაც მისი საკუთარი ბმა უნდა ჩამოიხსნას, როგორც თვითონ წერს, ზის და ელოდება რაღაცას, „ელოდება ბედისწერის ძაბილს“.

22 წლის ახალწი ნოვალისი სამსახურს იწყებს მდივან-პრაქტიკოსად მანლობლად მდებარე ქალაქ ტენშედტში, იმ მხარის უფროს მოხელე იუსტთან. აქ მას უბდება უამრავი, ყოვლად არაპოეტური, გამაწვალებელი საქმის შესრულება: ოქმების, საბუთების, ათასგვარი დოკუმენტების შედგენა, ფინანსურ-იურიდიულ-გეოგრაფიული საკითხების გარკვევა, ფაქტების დადგენა, და აქ, ტრადიციული მოლოდინის გასაწბილებლად უნდა ითქვას, რომ ნოვალისი ყოველივე ამას უდიდესი გულისყურით, პატიოსნად და ხალისიანად ასრულებს, რადგან მისი სულის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება გახლდათ ყოვლისმომცველი ცნობისწადილი, ყურადღება ცხოვრების ყველა ასპექტის მიმართ, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის



შეგრძნება. გარდა ამისა, ნოვალისს როგორც ისტორიული, მამაპაპური წინეობის კაცს უბრალოდ ბქონდა გაცნობიერებული, რომ ვალდებული იყო ოჯახს ეკონომიურად დახმარებოდა და თავისი ოჯახის შესაქმნელადაც. — თუკი ამას ღმერთი ინებებდა, — მზად უოფილიყო. მისი სულის უმაღლესი პოეზია სულაც არ გამორიცხავდა „ადამიანური, მეტისმეტად ადამიანური“. ჩვეულებრივი ცხოვრების პატრიზიცუმას, მისთვის ანგარიშის გაწევას. ის ამ ცხოვრების მოთხოვნებს სადად და უბრალოდ, გულის თანდაყოლილი სიწმინდითა და ზოგადებით პასუხობდა. თუ სხვა პოეტებს, მაგალითად, თუნდაც პოლდერლინს, ეველაფერს არგუნავდა (თითქმის ანადგურებდა) „რაც პოეზია არ იყო, ნოვალისი ეველაფერს პოეზიად აქცევდა, რასაც კი მიეკარებოდა.

აი, რას წერს სწორედ ის მთავარმოხელე იუსტი, რომელიც შემდეგ მისი პირველი ბიოგრაფი გახდა: „მე მისი მოძღვარი და ბელმძღვანელი უნდა ვუოფილიყავი, მოხდა კი პირიქით: ის იქცა ჩემს მასწავლებლად. მე ამ ხაზებშიც კი... რომლებიც მასზე უკეთ ვიცოდი, მთელი ჩემი ძალებისათვის უნდა მომეხმო, რომ მისი მაძიებელი სულიხათვის რაიმე სარგებლობა მომეტანა, სულიხათვის, რომელსაც არ აკმაყოფილებდა ჩვეულებრივი, ნაცნობი და უოველდღიური და ეველგან, ეველაფერში სიღრმეა და საიდუმლოს ეძებდა. არსებითად მან დამიპურო და გამიტაცა, გამათავისუფლა იმ ცალმხრივობისა და პედანტიზმისაგან, რაშიც აგრე ადვილად იძირება წლების მანძილზე ჩემნაირი ვიწრო საქმიანობათ. გართული მოხელე... ის მე მანათლებელად აღვიდისაკენ და მეც მივდევდი. როგორც ჩემი მოუქნელობის პატრონს შეეძლო გადევნება, მან ჩემში მთლიანად მიძინებული ესთეტიკური განცდა გამოავლინა. მას არაფერი სურდა ნაბევარი, არამედ უნდოდა ეველგან და ეველაფერში მთლიანად და მთლიანად უოფილიყო. არაფერს აკეთებდა ზედაპირულად, ეველა საგანს ძირისძირიდანვე ჩახედვდა, ამავე დროს, სულიერი წონასწორობა და თანდაყოლილი სილამე ზედს უწყობდა, ეველა საქმე საოცარი სიმსუბუქით შეესრულებინა.“

ასე გადიოდა დრო ტენშედტში. დღის სამი მეოთხედი სამსახურს ხმარდებოდა „სადამოუბი — კითხვას, შიგნით კი, გულის სიღრმეში იგი განაბული ელოდა რაღაცას, ელოდა „ბედისწერის დახილს“.

ეს ძაბილიც გაიხმა.

ერთ მშვენიერ დღეს, კერძოდ 1784 წლის 17 ნოემბერს, მთავარმოხელე იუსტი და ნოვალისი სამსახურებრივი მიზნით ცხენებით გაიშურნენ მეზობლად მდებარე გრიუნინგენში.

მოდგნენ ვინმე ფონ როკენშტაინის კარმიდამოს.

„მეოთხედ საათში გადავწყვიტე ჩემი ბედის“ — წერს ნოვალისი თავის „მამა ერაზმს. იგი იმ წუთებს გულისხმობს, როცა წემოხსენებული თავადის, როკენშტაინის, სასახლეში 12 წლის გოგონა — სოფია (როკენშტაინის გერი) დაინახა. **გრიუნინგენი**

სოფია ფონ კიუნი თავის ასაკთან შედარებით მაღალი იყო, რის გამოც ოდნავ უფროსი ჩანდა; იგი არავითარ მიხწრაფებას არ ამჟღავნებდა, მალე დაეტოვებინა ბავშვობა, იზრდებოდა უამრავი და-ძმით გარშემორტყმული, არისტოკრატი ჯარისკაცების (მამინაცვლის ნაცნობ-მეგობართა) ჩნაურიან წრეში, (ნადირობაში, სმასა და მკვახე-მკვახე სიმღერებში რომ ატარებდნენ დროს.) იგი საქსონურ დიამეტეტზე ლაპარაკობდა, უჭირდა მართლწერა და უხეშ შეცდომებს უშვებდა, უუვარდა თამაში, სხვისი მონათბრობის მოსმენა, ჩუმჩუმად ღვინის გადაკრა, და-ძმა, ხელსაქმე, მხიარულება და სხვისი განარება; თავაზიანი იყო უფროსთა მიმართ, მდიდარი წარმოსახვა ბქონდა; ეშინოდა თავგების, ობობების, მოჩვენებებისა და ქორწინების; ბავშვი იყო.

მრავალი მკვლევარი იმტკრებს თავს, ნეტავ რა უნდა მოხწონებოდა ბრწყინვალე ტალანტის კაცს ამ უბრალო, უწიგნურ გოგონაში! სოფიას გრამატიკული შეცდომებით აქრელებულ წერილებსაც აქვეყნებენ თავიანთი დაეცების საბუთად. (მერე იმასაც ასკვნიან: ალბათ კი არ უუვარდა ასე ძალიან, ეჩვენებოდაო) თითქოს საერთოდ შეიძლებოდეს ამ გრძნობის ახსნა და მით უმეტეს, რაიმე საბუთების წყალობით, ან როგორ უნდა გაეგო კაცს, რა უუვარდა ნოვალისს იმ გოგონაში. თუ არ ენახა, როგორ იღიმებოდა ან ტიროდა სოფია ფონ კიუნი, და თუ ნოვალისის თვლით მხოლოდ ნოვალისი ხედავდა და სხვა არავინ.

ის, რაც ნოვალისის სულში მოხდა, საიდუმლოა და თავად შეალია თავისი ცხოვრების დარჩენილი დრო ამ საიდუმლოს ამოხსნას (პატარა, უცნობი გოგონას ეს ელვისებური შეევარება, ძალიან მკავს დანტეს შეხვედრას მ წლის ბეატრიჩე პორტნართან და სამუდამო სიუვარულს მისდამი).

აკი მისი უახლოესი ადამიანი, საყვარელი ძმა ერაზმიც „დიდად განცვიფრდა“, როცა ნოვალისის ზემოხსენებული წერილი წაიკითხა: „...არა, მაინც როგორ შეგიძლია საათის მეოთხედში გოგონს ამოცნობა... წელიწადის მეოთხედი რომ გეთქვა, მაშინაც დიდად განცვიფრდებოდი ქალთა წვდომის ეს რა ტალანტი ბქონია-მეთქი, და საათის მეოთხედი ხომ მართლაც მეტისმეტია...“

სოფია ფონ კიუნი კი მართლაც მომაჯადოებელი და საყვარელი არსება უნდა უოფილიყო.



რადგან მასში სწორედ მისი ასაკი იშლებოდა ასე უფროდ: გოგონას ასაკი, ბავშვობიდან ქალიშვილობისაკენ გარდამავალი ხაფხურო, რომელსაც რილკე ადამიანური არსებობის ფორმათაგან უველაზე მშვენიერ, ღვთაებრივ ფორმად მიიჩნევს. ხოლო ნოვალისი ასე ხწის: „ქალწული — ეს არის მარადიული, მდებარი ბავშვი, გოგონა, რომელიც აღარ არის ბავშვი, არც ქალწულია.“ ხოლო სხვაგან: „როგორც უველა დიდი არ არის დიდი, ასევე უველა ბავშვი არ არის ბავშვი“. სწორედ ეს ბავშვობა უყვარდა ნოვალისს, ნოვალისის ძმებსაც მალე შეუყვარდათ ხოცვრად უშუალო, ლაღი გოგონა და ერანში ხშირად იგონებდა ხოლმე მის „შეუდარებელ, საყვარელ კეთილ, ფართო მზერას“, მართლაც, აკვარელით შესრულებული ერთადერთი ნახატი პროფილით გვიჩვენებს კეთილშობილ ფორმას თავისას, უმსუბუქეს, ოდნავ ხვეულ თმას, სახის მშვიდ, უცოდველ ბავსა და ვეება, შავ თვალს.

ნოვალისი და მისი ძმები სოფიას „შაკუნტალას“ ეძახდნენ, კალიდასას ნაწარმოების მიხედვით და ნოვალისიც ატარებდა ბეჭედს, რომელსაც უკანა მხარეს ეწერა: „სოფია — ჩემი მფარველი ანგელოზი“.

სოფიასა და მასზე 10 წლით უფროს ნოვალისს შორის მიმოწერა გაიმართა (სოფიას ფრანგი აღმზრდელის მეშვეობით). სოფიას პირველი წერილი ასეთი იყო: „ძვირფასო მარდენბერგ, პირველ რიგში მართლა ძალიან დიდ მადლობას გიხდით თქვენი წერილისათვის, მეორე რიგში თქვენი თმის კულულისათვის და მესამე რიგში ამ საყვარელი წარდახისათვის, რომელიც ძალიან, ძალიან მომეწონა. თქვენ რომ მეცოთებით, მაქვს თუ არა უფლება, წერილი მოგწეროთ, მინდა გჯეროდეთ, რომ უოველთვის ძალიან გამეზარდება თქვენი წერილის წაკითხვა. თქვენ ხომ იცით, ძვირფასო მარდენბერგ, აკრძალული მაქვს დიდხანს წერა. სოფია ფონ კიუნი“ სოფიას წერილები დიდად არ იცვლება (ეგ არის, რომ თავიდან სრულ სახელს აწერს, შემდეგ კი უბრალოდ: სოფია). წერს ბავშვურად გულუბრუნოდ, გრძნობამოკარბებულობის გარეშე, მოკლედ, უხარია პატარ-პატარა საჩუქრები, უურადღება და ხშირად წიანიწნებს თავის ფიზიკურ სისუსტეზე: „აკრძალული მაქვს დიდხანს წერა“.

როდესაც სოფიას 18 წელი შეუსრულდა (1781 წლის 17 მარტს) ისინი ჩუმად დაინიშნენ. ნოვალისი გრიუნინგენს „სამოთხეს“ უწოდებს, არა ჩვეულებრივი, ბიურგერული ბედნიერების აზრით, არამედ იმ რელიგიური თვალწარმართ, რომ მხოლოდ ხიუვარული უხელს თვალს ადამიანს და შებუავს იგი სამუაროს საიდუმლოში, მის პირველად ნათელში („უოველი საყვა-

რელი საგანი — სამოთხის შუაგულია“, — წერს ნოვალისი).

მაგრამ მალე სოფია ფონ კიუნი ავად შეიქნა, ღვიძლის საშინელ ტკივილებს განიცდიდა და სიცხით იწვოდა, თუმცა მალევე მოშობინდა.

ამასობაში ნოვალისს მარადწარმოშობილ საწარმოში ნიშნავენ ასისტენტად, მან კიმიონა და მარილების მოპოვების მოკლე კურსი გაიარა ერთ ცნობილ აფთიქარ-ქიმიკოსთან და 1786 წლის თებერვალში ამაღ სამსახურს შეუდგა.

მთელი ეს ბანი დაძაბულ პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად იგი დიდ გონებრივ მუშაობას ეწევა. არ აკმაყოფილებს თავისი განსწავლულობა, უჩივის „დიდ ბარვეებს“ განათლებაში, და განსაკუთრებით უღრმავდება ფილოსოფიას, კერძოდ, ფიბტეს „მოძღვრებას მეცნიერების შესახებ“.

ამასობაში სოფია ფონ კიუნს 14 წელი შეუსრულდა და როკენშტაინების ოჯახში მათი დანიშვნა ოფიციალურად გამოცხადდა. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ სოფიას ავადმყოფობა ისევ შეუბრუნდა და ლოგინად ჩაავდო. ვეღარ და ვეღარ გამოშობინდა, იგი იენის კლინიკაში დააწვინეს და ღვიძლის რთული ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ წარუმატებლად. ბავშვური სიამაყით და უშიშრობით იტანდა იგი აუტანელ ტანჯვა-წამებას, მრავალ თანამგრძნობელთა შორის გოეთესაც მოუნახულებია დასწრეულებული გოგონა და მისი ტანჯვითა და მოთწინებით ერთიანად შეძრულა. „სოფია გასაოცრად უძლებს უველაფერს, მუდამ მზნედ არის და ლაღად, მე იგი ავადმყოფობის გამო უფრო მეტად მიყვარს,“ — წერს ნოვალისი. მაღალი სიცხე და ტკივილები აღარ ეხსნებოდა ნორჩ სამატარძლოს, ამ პერიოდში იგი წერს ნოვალისს: „ძალიან, ძალიან მიზარია, რომ თქვენ უველანი კარგადა ხართ და განსაკუთრებით კი თქვენ, საყვარელო მარდენბერგ, მე არც ისე კარგად ვგრძნობ თავს, რამდენიმე დღეა სიცხემ ისევ ამიწია, რაც იმ ფატალური დღეების ბრალია აღბათ“. შემდეგ ძლიერი ხველებაც დაეწყო და ტკივილები გაუმძაფრდა, ღონეშიხდილმა გოგონამ ითხოვა, შინ წამოყვანეთო, და საშობაოდ მშობლიურ გრიუნინგენში დაბრუნდნენ. როგორც კი ოდნავ მოიხდავდა, მაშინვე ხალისი და სილაღე ავსებდა და უველას ანცვიფრებდა ამ აუბსნელი მზიარულებით. მდგომარეობა კი უარესდებოდა, გაუთავებლად ურცხავდნენ კრილობას, უკეთებდნენ წონდირებას და აუტანელ ტკივილებს აყენებდნენ.

ამასობაში, ნოვალისის ძმა ერანშიც (როგორც ფოტო გვიჩვენებს, უნატიფესი სახის ყმაწვილი) — უნუგეშოდ მისჯავოდა ლოგინს შინ, ვაისენფელსში.



1797 წლის 1 მარტს სოფიამ სასწრაფოდ მოინდომა ნოვალისის ნახვა. იგი ჩავიდა და 10 უმძიმესი დღე დამყო მომავლად საცოლესთან. მეტი ვეღარ შესძლო. მთლიანად ნუგეშ-დაკარგული დაბრუნდა შინ. 17 მარტს სოფია სრულიად ღონემიხდილი შეეგება თავის მეთხოველს დაბადების დღეს, ორი დღის შემდეგ კი გარდაიცვალა.

ერთი თვის შემდეგ ნოვალისის საყვარელი ძმა — ერაზმიც გამოეთხოვა წუთისოფელს.

ნოვალისი სოფიას სიკვდილის დღეს იქ არ უოფილა და არც დაკრძალვაზე ჩასულა. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, აღდგომის კვირაძალზე შინაგანად შესძლო სოფიას საულავეწ წასვლა და მთელი დღე იქ გაატარა. „სალამოს შინ დამშვიდებული დაბრუნდაო“, — წერს იუსტი.

სოფიას სიკვდილის შემდეგ დაიწყო ნოვალისის ტანჯვითა და სიუყარულით, სასოწარკვეთითა და შინაგანი გამოსავალის ძიებით უსაზღვროდ გამძაფრებული „საიდუმლოებით მოცული შინაგანი ცხოვრება. თუმცა შინა იმდროინდელი წერაილები და დღიურები ძალზე უხსტად გადმოგვცემენ მის სულიერ მდგომარეობას. მაგრამ იქაც იგრძნობა დუმილისა და სიჩუმის დიდი ინტერვალები, სადაც თრთის ის საიდუმლო, სიტყვად რომ არ იქცევა: „18 მარტს აქეთ, გოგონა, ვისაც მიჭაჭვული ვიყავი მთელი არხებით, 18 მარტს აქეთ ჩემი სოფია მკვდარია. ის იყო ხული ჩემი სიცოცხლისა... ჩვენ ისეთი მოკრძალებული სურვილები გვქონდა, ბედისწერას კი ესეც ებეჭდა და ორივენი სამარის ცივ სივიწროვეში გაგვასახლა“. „მწუბრი ჩამოწვა მძიმე ჩემს ირგვლივ, მაშინ, როდესაც მზის ამოსვლას ველოდებოდა, საზღვარი არ აქვს ჩემს მწუხარებას, ისევე როგორც სიუყარულს ჩემსას. ჩემი ყოველწამიერი ფიქრი იყო სოფია მთელი სამი წლის განმავლობაში. ის მე მაკავშირებდა სიცოცხლესთან, ამ კვეყანასთან და ჩემს საქმესთან. მე მასთან ერთად მოვწუდი ყველაფერს, რაღაცან საკუთარი თავიც დავკარგე, მწუბრი ჩამოწვა, ვგრძნობ, მეც მალე დავიდუპები“. „უცებ ძველთა-ძველ, დიდი ხნის წინათ ნანაბ პირველსამუაროში რომ გამეღვიძოს და ჩემს წინაშე სოფია იდგეს, ო, როგორი სიბარულით მოვუყუებოდი: „იცო? ხუთ წელს მესიზმრებოდა! მე შენ მიყვარდი დედამიწაზე, მიწიერ სხეულშიც შენ შენს თავს მგავდი, მერე შენ მოკვდი, გამოხდა შიშის მცირე ხანი და მეც გამოგყვეო“. „ის იყო დასაწყისი და დასასრულიც ის იქნება ჩემი ცხოვრების“.

ეს ნაწევრები გახლავთ პირადი წერილებიდან, ნოვალის დღიურები, რომელთა წერაც

ნოვალისმა ხწორედ იმ აღდგომა დღეს დაიწყო (პირველად რომ წავიდა სოფიას საფლავზე), განსაცვიფრებელი დოკუმენტია სიკვდილის საუფლოსთან ძალზე ახლოს მისული, მთელი არხებით სიკვდილის საიდუმლოს ჩაღრმავებული ადამიანის ცნობიერებისა თუ ზეცნობიერების. ნოვალისის მიხედვით სიკვდილის კოპული სიჭუსტით, მკვლევარ-დამკვირვებლის სიუბილუთა და პირუთვნელობით აღწერს თავისი ხულისა და სხეულის მდგომარეობას, სულიერ-ფიზიკურ განცდათა უმცირეს ნიუანსებს, მკითხველს გააოცებს ადამიანის — ამ ბიოლოგიურ-სულიერი არხების — წინააღმდეგობრივ განცდა-შეგრძნებათა ასეთი მართალი და შეუნიღბავი აღწერა ესოდენ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი პიროვნებისაგან (მაგალითად, როგორ შეიძლება თავი იჩინოს სხეულდებრივმა იმპულსებმა თვით უდიდესი სულიერი ტკივილებისა და ზემიწიერ განცდათა დროსაც), რა მართალი და სუფთა უნდა იყოს ადამიანი, რომ დაწეროს: „დღეს ხშირად ვფიქრობდი სოფიაზე, მაგრამ, არა გულითადად, ერაზმზე კი — ცივად“. მაგრამ განა ეს მართლაც ასე არ ხდება? განა ტკივილით უკიდურესად გამძაფრებულ-გამაგრული გული და ნერვები ადამიანისა საპირისპირო მდგომარეობაში, სიცოცხესა და სიგრილეში არ ეშვება ხოლმე, რათა შეისვენოს და ისევ გავარჯიღდეს ტანჯვა-ტკივილით? ნოვალისსაც ადამიანის ადამიანური ბუნება აინტერესებდა და არა მისი შენიღბვა მეტი შთამბეჭდაობის მიზნით. რაც დღიურებში ასე იქცევა ყურადღებას, ეს გახლავთ მუდმივი მინიშნება რაღაც „გადაწყვეტილებაზე“. „ჩემი გადაწყვეტილება ურყევია.“ „მე კიდევ ერთხელ დავიფიცე ჩემი გადაწყვეტილება“. რა გადაწყვეტა ნოვალისმა? — „სოფია მოკვდა. მაშ მეც უნდა მოკვდებოდა. სამუარო დაყარიელდა, ფილოსოფიაშიც აღარ უნდა შემაცვლევინოს ეს გადაწყვეტილება. მე სიბარულით უნდა მოკვდებოდა, როგორც ახალგაზრდა პოეტს შეშვენიის.“ „ჩემი სიკვდილი უნდა იყოს არა გაქცევა, არა გაჭირვებიდან თავის დაღწევა, არამედ კერძოპირი მსხვერპლშეწირვა. თან ისიც ვიგრძენი, რომ, როგორც ჩანს, ჩემი ცხოვრების აზრი ესაა: ამ ქვეყნად ვერაფერს მივაღწიო, აყვავების ხანაში მოვწუდე ყველაფერს, რათა უკანასკნელ წუთს შევიცნო ის, რაც ყველაზე ღირებულოა ნაცნობ საგანში. ასევე საკუთარ თავშიც. მე ახლა ვსწავლობ და გეცნობი ჩემს თავს, ამიტომაც, უნდა წავიდე სიცოცხლიდან. მე დედამიწაზე არ მიწერია დასრულება“.

მაშასადამე, ნოვალისმა გადაწყვიტა უკან გამყოლოდა თავის სატრფოს, მაგრამ თვით-მკვლელობას არ გულისხმობდა (— „დამშვიდებით ჩემო კეთილმო... მე არც საწამლავი და-



მაქვს და არც ხანჯალი. მაგრამ ვგრძნობ, ჩემი ხანუკვარი მიწის ასრულება შობას არ გადასცდება.“ — წერს იგი სოფიას გამწვანებულს. მას მხედველობაში მქონდა, გამოეწვია თავის თავში ისეთი ხულიერი პროცესი, რომ სიკვდილი მის ბუნებრივ დაგვირგვინებად ქცეულიყო, რაღაც ისეთ საიდუმლო ბილიკზე გაეშვა თავისი ხული, რომ იგი თავისით მისდგომოდა სიკვდილის ნაკადულს, რათა თავისი საცოლდე დიდხანს არ დაეტოვებინა მარტო და მიწაზე გადადებული ქორწინება ზეცაში შემდგარიყო. იგი ერთი წლის მანძილზე ვარაუდობდა თავისი სურვილის ასრულებას.

უცნაური ის არის, რომ ეს „გადაწყვეტილება“ გადაჭაჭვულია ამ დღიურებში თანდათან შემოქრილ და გაძლიერებულ სიხარულთან, რაც განსაკუთრებით ძლიერად შეღავნდება იმ ხილვისა და მისტიური ექსტაზის აღწერაში. ნოვალის ერთ დღეს სოფიას ხაფლაზე რომ დაუფლებია: „ხალაშოს სოფიასთან წავედი. იქ ერთი გამოუთქმელმა სიხარულმა შემოიპყრო. ამობრწყინდნენ სიმხნევის ელვარე წუთები. საფლავს სული შევუბერე და მტვრად ვაქციე. აშკარა იყო მისი სიხალისე. ველოდი, ყოველ წუთს შეიძლება გამომცხადებოდა“ და როგორც ნოვალისის პორტრეტიდან გამონათებული, შორს მიმართული ფართო მზერა უნებურად აკითხვინებს ადამიანს: „ნეტავ რას ხედავს?“ — ასევე ეს იდუმალი სიხარული, მთელს მის შემოქმედებას რომ გაჰყვება, თავს რომ გადაუვლის ყოფიერების შემზარავ უფსკრულებს, არა ერთხელ გააკვირვებს მკითხველს: ნეტავ რა ახარებს, საიდან მოდის ეს სიხარული? — ცხადია, იმ ქვეყნიდან, საითაც ასე ფხიზლად და ნდობით იყურება პოეტი: ცხადია, იმ რწმენის მოპოვებიდან, რომ სიკვდილი კარიბჭეა სხვა, უხილავი სიკაცხლისა, და რომ გარდაცვლილ ადამიანს შეუძლია ძალზე ახლოს მივიდეს თავის ახლობელთან, სულ მთლად ახლოს: იცხოვროს მასში. ორი მთავარი, აზრობრივი მახვილი მოდის დღიურის ბოლოს დაწერილ ორ სიტყვაზე: „ქრისტი და სოფია.“ და ეს ორი სიტყვა ყოველივე მომხდარის დედააზრად და სულის მომავალ გზად იკვეთება. შემდგომდროინდელ წერილებსა და ჩანაწერებში ნოვალისი აღარ ახსენებს ამ „გადაწყვეტილებას“, მაგრამ ნაადრევ სიკვდილის წინათგრძნობაზე ლაპარაკობს. ეგებ ნოვალისს სურდა ბედისწერა საკუთარ სურვილად ექცია და თავისი ნებით მომკვდარიყო, რადგან (გული უგრძნობდა, რომ) მალე უნდა მომკვდარიყო?

ასე იყო თუ ისე, ნოვალისმა უხილავი სამყარო აღმოაჩინა: განიცადა, იზილა, სამყარო, რომელიც მან აქამდე მხოლოდ წიგნებიდან, სხვათა სიტყვებით, მხოლოდ გონებისმიერი

რწმენით იცოდა. ამ ნაბილევები სამყაროს ნატი მასში თანდათან იწმინდებოდა. მკაფიოდ დებოდა და მის სულს აღმოაჩენდა სიხარულით აღავსებდა. როგორი კარგობა აერჩია უხილავ ქვეყნიერებასთან: ფაქიფი, სიკვდილის უმოკლესი გზით ნდობით დადამიწაზე მიჰაჭვული სხეულიდან, სხეულში ჩამწყვდეული ხულით ახწვდომოდა და საკუთარ შემოქმედებაში, პოეტურ სიტყვაში შეერთებოდა ხაყვარელ არსებას: აქ ეზიმა სულთა ქორწილი? ეს გზები იტოვებოდა მის სულში და სწორედ მეორე გზამ გადაუშალა ბრწყინვალე და იდუმალი შესაძლებლობანი. ეს იყო ყველაზე ბუნებრივი, ღვთისმსახურები „გზა შინისაკენ.“

სოფიას სიკვდილის შემდეგ კერძო წერილებშიც კი თავს იჩენს ორტერფიანი იამბი (პ. რიტერი), სულის თრთოლვა გაუცნობიერებლად იღვრება პოეტურ რიტმში. ამის შემდეგ ჩნდება ფსევდონიმი „ნოვალისი“, — რომელიც გულისხმობს ახალი გზის გამკაფავს, სიხალისე მაუწყებელს, ახალმოსახლეობას უცნობ ქვეყანაში.

სოფიას სიკვდილის შემდეგ პოეტად დაბადებული ნოვალისი პოეტად იქცა, დანტეს შემდეგ ყველაზე დიდ ორფეულ პოეტად, რომელიც სამყაროს ყველა სენლისკენ მიეშურება, ყველა სულდგმულს ესაუბრება, ცოცხლებსა თუ მკვდრებს — გარდაცვლილი სატრფოს საპოვნელად, რათა თავის პოეტურ სიტყვაში დააბრუნოს ამ ქვეყნად და მიანიჭოს მარადიულად ხილული არსებობა. ამ მოგზაურობისთვის ნოვალისს სამი წელი მქონდა მიგებული, სიკვდილისწინა სამი წელი, როცა შეიქმნა მთელი მისი პოეტური სამყარო.

„ჩვენსავ სიღრმეში შეგყავართ საიდუმლო გზას,“ — ასეთია ამიერიდან ნოვალისის დევიზი. ამ მიმართულებით განაგრძობს იგი გზას და სოფიას სიკვდილიდან მ თავის შემდეგ ჩადის ვერცხლის საბადოებით განთქმულ ფრაიბერგში, რათა სწავლა გააგრძელოს სამთო აკადემიაში, რომელიც ვერცხლის მოპოვების გასაძლიერებლად იყო დაარსებული.

ფრაიბერგის სამთო აკადემია იმ ეპოქის გაცხოველებული მეცნიერული კვლევა-ძიების უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა და ყველა კუთხიდან იზიდავდა მეცნიერ-პრაქტიკოსებს. აქ გატარებული დრო დაუჭერებლად ინტენსიური ხულიერ-პრაქტიკული კმედებით აღიბეჭდა. ნოვალისის დღე უმკაცრესად იყო განაწილებული დღის მ საათიდან შუადღამემდე. სასწავლო პროგრამაში შედიოდა სამთო-მშენებლობა, გეოლოგია, მინერალოგია,



შარკშაიდედრის საქმე, საბჭო საბართალი, უნივერსალური არითმეტიკა, გრაფიკაცია, ქიმიკა და სხვ. ამ დარგების გარდა, ნოვალისი დღე-ღამე ამუშავებდა ფილოსოფიურ, რელიგიურ, ალქიმიურ და სამედიცინო ლიტერატურას. ამასთან, კვირაში 3-4 დღეს მიწისქვეშა მღვდლებსა და მადარობებს ატარებდა, „ფილოსოფია მით უფრო უკეთ შეხმის, რაც უფრო ღრმად შევისწავლი ზუსტ მეცნიერებებს“, „მეცნიერებანი სულ უფრო ხაინტერესონი ხდებიან ჩემთვის, რადგანაც მათ უფრო მაღალი მიზნითა და თვალსაზრისით განვიხილავ... ზენა შემთხვევა — სოფიას სიკვდილი არის უკვალაფრის გახადება“. — წერს იგი. მაშასადამე, ზუსტ მეცნიერებებს იგი აუცილებლობისა და შემთხვევითობის, მარადისობისა და ბედისწერის, სიუვარულისა და სიკვდილის კონტექსტში შეიმეცნებდა.

ფრაიბერგში ჩახვლიდან 3 თვის თავზე ნოვალისმა ფრიდრიხ შლეგელს გაუგზავნა თავისი პირველი ორიგინალური ქმნილება, ფრაგმენტების ციკლი, რომელიც „უკვალთა მტვერის“ სახელწოდებით დაიბეჭდა ძმები შლეგელების მიერ დაარსებულ ჟურნალ „ათენაუმ“-ში (რომანტიზმის პირველ ორგანოში, სადაც თანამშრომლებად მიწვეულნი იყვნენ ნოვალისი და რელიგიის ფილოსოფოსი პახტორი შლაიერმახერი).

ეს ფრაგმენტები გახლდათ ნოვალისის მითოსის პირველი მანიფესტაცია, მხოფლმხედველობრივი პოზიციის ერთგვარი საპროგრამო თეზისები, აზრები გარეგან-შინაგან, უბილაგ-ფიზიკურ სსმყაროთა ურთიერთმიმართების შესახებ. აქვე ეყრება საფუძველი პოეზიის რომანტიკულ აპოთეოზს, პოეზიის ისეთ უნივერსალურ, ყოველისმომცველ გაგებას, როგორც მანამდე უცნობი იყო ლიტერატურისათვის. აქვე (ხათაურიდან) იწყება უკვალისის მითური-მისტიური გააზრება, რაც კულმინაციას აღწევს „ციხფერი უკვალის“ მიუწვდომელ სიმბოლოში და ცხადდება ნოვალისის ჭადოსნური მოგზაურობის ცალკეულ სურათ-სადგურებში:

— „ჩვენ ვოცნებობთ სამყაროში მოგზაურობაზე. მაგრამ განა სამყარო ჩვენშივე არ არის? ჩვენ არ ვიცნობთ ჩვენი სულის სიღრმეებს. ჩვენსავ წიაღში შევყავართ საიდუმლო გზას. ან ჩვენშივეა ანდა არსად — მარადისობა თავისი სამყაროებით, წარსულითა და მომავლით.“

„ადამიანს ყოველ წუთს შეუძლია ზემოწიერ არსებად იქცეს. უამისოდ ის არ იქნებოდა სამყაროს მოქალაქე, ის იქნებოდა ცხოველი“.

„ქეშმარიტი პოეტი ყოველთვის ქურუშია,

ისევე როგორც ქეშმარიტი ქურუში მუდამ პოეტი იყო“.

„ჩვენ უკვლანი ერთი მისიითა ვართ მოვლენებულნი — დედამიწის გაზაფხულზე ჩვენი მიზანი“ და ა. შ.

სამი თვის შემდეგ ნოვალისმა ფრიდრიხ შლეგელს გაუგზავნა ფრაგმენტების მეორე ციკლი ხათაურიტ „რწმენა და სიუვარული“, და ხათაური თავადვე განმარტა: მისი აზრით, ეს იყო ისეთი ტროპულ-იგავური ენა, რომელსაც მხოლოდ ის გაიგებდა, ვისაც უნდა გაეგოდა, რომლის წაკითხვაც რწმენისა და სიუვარულის გარეშე არ შეიძლებოდა. ნოვალისის სურვილისამებრ, ეს ფრაგმენტები დაიბეჭდა არა შლეგელების აღმანახში, არამედ პრუსიის სახელმწიფოებრივ ორგანოში და სრული გაუგებრობა გამოიწვია, რადგანაც მისი ღრმად სიმბოლური აზრი ამოუცნობი დარჩა. ფრაგმენტების სრული ხათაურია — „რწმენა და სიუვარული ანუ მეფე და დედოფალი“. ამ ფრაგმენტების პოლიტიკური ნაწილი ცენზურამ არ დაბეჭდა; ნოვალისის აზრით, სახელმწიფოს მართვის უფლება მქონდა მხოლოდ უკვალაზე სულიერ ადამიანს ანუ პოეტს, რადგანაც ქეშმარიტი პოეტი ამავე დროს ქურუშია. მეფე უნდა ყოფილიყო „პოეტთა პოეტი“, რადგან სახელმწიფოს განიერული მართვა შეეძლო მხოლოდ პოეტურ-მისწურ, მოაზროვნე, გენიას. ნოვალისი აქ იძლეოდა პოეტურ-რელიგიურ სახელმწიფოს პროექტს, სახელმწიფოსი, რომელსაც მართავს მეფე-ქურუში, მეფე-მგოსანი, და რომელიც ეყრდნობა პოეტური სულის იერარქიებს. (დარწმუნებული ვარ, დავით აღმაშენებელი რომ სკოდნოდა, ნამუშად დაასახელებდა.) ასეთი მომავალი რელიგიურ-პოეტური, იდეალური სახელმწიფოს შემამზადებლად ნოვალისი მიიჩნევდა პრუსიის ახალგაზრდა მონარქს ფრიდრიხ II-სა და დედოფალ ლუიზას, რომელთაც მაშინ საყოველთაო სიმპათია ებვით გარს, რადგან შედარებით ლიბერალური, თავისუფალი ატმოსფერო შექმნეს. მაგრამ მეფემ მაინც იგრძნო, რომ ნოვალისი, სინამდვილეში მას კი არ ასხამდა ხოტბას, არამედ იდეალურ ტიპს მეფისა, ამგვარად, ავადდებულდება ყოფილიყო ის, რაც არ იყო, რის გამოც, როგორც ამბობენ, ფრიდრიხ II-ს, დიდად გაღიზიანებულს, უთქვამს: „მონარქისაგან იმაზე მეტს მოითხოვენ, ვიდრე მას შეუძლია იუოსო.“

ამ ორი ციკლის გარდა ნოვალისს დაწერილი მქონდა უამრავი ასეთი ფრაგმენტი, რომლებიც მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ამ ფრაგმენტებში პირველად მუშავდება ცნება „რომანტიული“ თავისი უნივერსალური აზრით: „სამყარო უნდა გარომანტიულდეს, ამგვარად ვიპოვით ხელახლა მის თავდაპირველ აზრს.“ „გარომანტიულება ეს არის თვისობრივი პოეტნი-



ცირება. ამ ობერაციასა დაბალი თვითობა (selbstheit) მაღალი თვითობის იგივეობა რიგი ზღვრები როცა მე ბანალურ მოვლენებს ჩა-  
დავ. აზრს ვაჩვენებ ჩვეულებრივ საჯანს  
საიდუმლო სახეს ვაძლევ. ნაცნობ ნიშანდუ-  
ლებს — უცნობის ღირსებას, ხასრულს უსასრუ-  
ლოს ნათელში წარმოვადგენ, მაშახადამე, სამ-  
ყაროს ვაბრუნებინებო.

საინტერესოა, რომ რომანტიზმის მეორე დი-  
დი ადვოკატი ფრ. შენეგელიც თითქმის იმავე  
დროს დამოუკიდებლად აზუსტებს იგივე ცნებებს  
და შემდეგ, 1798 წელს თავის ურნალში აქ-  
ვეულებს რომანტიული პოეზიის ცნობილ დე-  
ფინიციას: „პროგრესული, უნივერსალური  
პოეზია“. რომლის მიზანია „გაბადოს პოეზია  
ცხოვრებისეულ-საზოგადოებრივი, ბოლოს ცხოვ-  
რება და საზოგადოება — პოეტური“.

აი, ხეორედ მათ ნაწერებშია მოხდა „რომან-  
ტიულის“ ცნების პირველი ნათლობა, ცნები-  
სა, რომელიც ხელაყ არ გულისხმობდა იმ  
ფხევდო-რომანტიულ, ბანალურ-სენტიმენტა-  
ლურ შინაარსს, მას რომ თანდათანობით, უო-  
ველდელიურ ცხოვრებაში მიენიჭა.

ნოვალისისთვის „რომანტიული პოეზიის მი-  
ზანთა მიზანია — ადამიანის ამაღლება საკუთარ  
თავზე“. ეს „ადამიანად ქცევის“ ხელოვნებაა.

ჩაკილა თავად ნოვალისი სულიერი ადამი-  
ანისა და მეცნიერ-პრაქტიკოსის სინთეზის წარ-  
მოადგენდა (რითაც ახე უპირისპირდება ტრა-  
დიციულ წარმოდგენას პოეტზე, როგორც პრაქ-  
ტიკულად ინჟანტილურ, სულიერად მაღალ-ორ-  
განიზებულ არსებაზე, მართოდენ ლაფარდებში  
რომ ღივლივებს და ცხოვრებასთან უოველი  
შეხება ფრთებს ამსხვრევს. ნოვალისი ეს სი-  
კოცხლის, ცხოვრების გულის-გულში იდგა),  
მას არ აკმაყოფილებდა ისეთი ფილოსოფია,  
რომელიც ადამიანის კონკრეტულ არსებობას,  
მისი ცხოვრების უმტკივნეულებს პრობლემებს  
არ ებებოდა და განუენებულ ცნებათა და სახე-  
თა საუფლოში ტრიალებდა. უახლოესი წარ-  
სულისა თუ აწმყოს სპეკულატიური ფილოსო-  
ფიური სისტემები (კანტი, ფიხტე, თუ პოე-  
ტური მეტეფიკადრობა ვერ აჩვენებდა „დედამი-  
წის ფორმირების“, „სამყაროს თვისობრივი  
პოტენცირების“, ცხოვრების გარდაქმნის რეა-  
ლურ გზებს. ეს ნამეტეფიკადრები სულიერი სა-  
ყარო ნოვალისისთვის პასუხს ვერ სცემდა მა-  
რადიულ კითხვას: ბოლოს და ბოლოს რეალუ-  
რად რა შეუძლია ადამიანს? კანტის შემეცნე-  
ბის თეორია, ნოვალისისთვის, ისევე როგორც  
უველა პოეტისთვის, არადაამაკმაყოფილებელი  
იყო „ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი თავის მთლი-  
ანად შემეცნება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია უფრო  
მეტო, ვიდრე შემეცნება“, — წერდა ნოვალისი.  
იგი, სამყაროს სინთეზური ანუ, მეცნიერულ-

პრაქტიკულ-აზრობრივ-საპირიტუალური შემეც-  
ნების გზას ადგა.

ნოვალისისთვის, რომელიც მთელი ცხოვრება  
თვალთშეუპყრებლად უახლოვდებოდა და  
საკუთარ ავადმყოფობას, უახლოეს ადამიანთა და  
საკუთარ სიკვდილს, უმტკივნეულები ში-  
ნაარსი მქონდა შეძენილი უცნობის ავადმო-  
ფობა. „წამალი“, „ტკივილი“, „მკურნალი“,  
„შემთხვევა“, „ბედისწერა“, „ღვთის ნება“ და  
იგი მოწამეობრივ ზეამოცანად მიიჩნეოდა ად-  
მიანის რეალურ გადარჩენას (ამიტომ სწავლობ-  
და დაძაბულად მედიცინას); იგი ებებდა შინა-  
გან ძალთა კონცენტრაციის იმ წესს, ცხოვრე-  
ბის იმ წესს, რომელიც დააძლევინებდა ავად-  
მყოფობას, რომლის წყალობითაც განკურ-  
ნავდა სხვას, აარიდებდა განსაცდელს, დაიკ-  
მაყოფილებდა სიკეთის ქმედების უსაზღვრო  
ადამიანურ მოთხოვნილებებს. სიკეთის ქმედე-  
ბის უსაზღვრო ადამიანური მოთხოვნილება ეს  
გარდაუვალად მიდის ადამიანის უსაზღვრო  
შესაძლებლობათა გამოვლენის სურვილთან. ნო-  
ვალისმა აქეთვენ ქერ კიდევ მაშინ აღო გეწი,  
როცა „უვადილთა მტკერში“ იკითხა: „ოდეხდეც  
პოეტი და ქურუში ერთი და იგივე პიროვნება  
იყო, არ დადგა დრო, რომ ისინი ისევ შეუერთ-  
დნენ“?

მაგია მიიჩნია ნოვალისმა იმ საუფლოდ, სა-  
დაც პრაქტიკულად შეიძლებოდა გადაჭრილი-  
ყო ადამიანისა და სამყაროს ურთიერთმიმართე-  
ბის პრობლემა, ახე ჩაეყარა საფუძველი მის  
გაბმურებულ მოძღვრებას — „მაგიურ იდე-  
ალიზმს“, და ამიტომ უწოდებს მას ნოვალისი  
„პრაქტიკულ იდეას“. უნდა მოპოვებულიყო  
ადამიანის ხულის საბადო, მისი აუთვისებელი  
შესაძლებლობანი და შინაგან ძალთა მობილი-  
ზაციით, ადამიანის უცნობი ენერგიის წყა-  
ლობით გაგებულებო და ათვისებულიყო ბუნე-  
ბა, წარმართულიყო ცხოვრება („მაგია არის  
გრძნობათა სამყაროს საკუთარი ნებასურვილით  
გამოყენების ხელოვნება“. „მაგიის ეპოქაში  
სხეული სულს, ან ხულთა სამყაროს ემსახურე-  
ბა“, — წერს იგი).

მაგრამ ეს პიროვნება უნდა ყოფილიყო  
ქრისტიანთან ლოცვით დაკავშირებული პოეტი-  
ქურუში. („ლოცვა უნივერსალური წამალია“,  
„ლოცვით ყველაფრის მიღწევა შეიძლება“,  
„პოეტი ტრანსცენდენტული ექიმია“); ეს უნ-  
და ყოფილიყო ქრისტიანული რწმენით, სიყ-  
ვარულითა და სინდისით ნაკურთხი მეფობა  
პოეტ-ადამიანისა. ეს იქნებოდა გრძნეულ მომ-  
ღერალთა — ორფევსისა თუ არიონის ქრის-  
ტიანი შთამომავალი, იმ პოეტებისა, თავიანთი  
ქნარითა და გალობით რომ ესაუბრებოდნენ  
ღმერთებს, ცხოველებს, მცენარეებსა თუ ბუ-  
ნების სტიქიონთ, რადგან მთელი სამყარო რომ  
ერთმანეთთან საუბრობს, მთელი სამყარო რომ



ერთიანი საუბარია. და მთელი სამყარო რომ ერთი საიდუმლო ენა და ერთი საიდუმლო დამწერლობაა. ეს ნოვალის ისევე სწამდა, როგორც მოლდერლინს (რომელიც ამბობს: „ჩვენ ვართ ხაუბარი“), თუ ბარათაშვილს: „მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსააკოთაც და უსუფთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი ხაუბრის“ პოეტი — მესია. ნოვალისი რწმენით, სწორედ ამ საუბარში მოხაწილედ, ამ საუბრის გამომწვევი მომდერალია: სტიქიონთა დამცხრობი, ნადირ-ფრინველთა მომწესხველი თუ გარდაცვლილთა მესაიდუმლოდ. მხოლოდ ასე ავიდოდა პოეტის თავის დაკარგულ ტახტზე. ასე დაიბრუნებდა ოდინდელ უკვლის შემძლეობას.

ერთიანისა და მთლიანისაკენ ლტოლვა, სწრაფვა — აღმოჩენილ სამყაროს შინაგანი ერთიანობის ძირითადი პრინციპები და მათი გამოვლენა, საერთოდ დამახასიათებელი იყო ამ ეპოქის ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველებისათვის და რომანტიზმის ერთ-ერთ არსებით ნიშნადაც იქცა. ამ მიმართულებას ამჟღავნებდა მაგალითად, შელინგის ნატურფილოსოფია, ვერნერის გეოლოგიური შრომები, ახალგაზრდა იენელი ფიზიკოსის — რიტერის „დასაბუთება, რომ განუზრეღი გაღვანიწმი ახლავს თან ცხოველთა სამყაროს სახიკოცხლო პროცესებს.“ და სხვ. ცდილობდნენ, სიკოცხლის ბირთვი დაეხასიათებინათ ისეთი პოლარული ცნებებით, როგორიცაა „ოქსიდაცია“ (დაჟანგვა) და „დეოქსიდაცია“ (აღდგენა), ელექტრობა ან მაგნეტიზმი. ნოვალისის, როგორც რომანტიკოსთა შორის ერთადერთი პროფესიონალი ბუნებისმეტყველისა და ჰუმანიტი პოეტის ნაწარვეში, ეს მისწრაფება უველაზე საინტერესო და ორიგინალურ გამონათქვამებს მოულოდნა, თომას მანი წერს: „ნოვალისმა დიდი მორალური ბოლოგური სიტყვა თქვა, აღზედელი ვნებისა და ზნეობის, თავისუფლებისა და ფორმის ღრმა ცოდნით. ეს სიტყვა ასე ეღერს: „ჩვენი ელემენტები მიეღუვიან დეოქსიდაციას, ხოლო სიკოცხლე იძულებითი ოქსიდაციაა. აქ სიკვდილი გვევლინება მოწესხვად და ცდუნებად, ჩვენი ელემენტების სწრაფვად თავისუფლების, უფორმოებისა და ქაოსისაკენ, სიკოცხლე კი — მოვალეობის დედააზრია.“

ნოვალისს სურდა მთელი მაშინდელი მეცნიერებაანი ერთმანეთთან დაეკავშირებინა, დაეგინა მათი ერთიანობის საფუძველი, მოეხდინა მათი სინთეზი, წაეშალა გარეგანი, საზღვრები (ეს მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები ცნობილია საერთო სათაურით „ზოგადი ჩანაწერები“ და პოეტის სიკოცხლეში არ გამოქვეყნებულა). განიხილავს რა ცალ-ცალკე ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, გეოლოგიის, ისტორიის, პოეზიის, უილოსოფიის, პოლიტიკისა თუ

მედიცინის საკითხებს, მას შემოაქვს ისეთი ხანთეზური ცნებები, როგორიცაა: „ქიმიური მუსიკა“, „ხულიერი ფიზიკა“, „პრაქტიკური ფიზიოლოგია“, „მორალური ასტრონომია“, „ფიზიკური ისტორია“ და სხვ. (განაგრძილ, მკაცრი აზრით, პოლიტიკა არ არის შენაშენი მეცნიერებათა შორის?).

ფრაიბერგის პერიოდში მოულოდნელი ცვლილება მოხდა ნოვალისის პირად ცხოვრებაშიც. იგი დაუახლოვდა პროფესორ ფონ შარპანტიეს ოჯახს და დაუმეგობრდა 22 წლის იული ფონ შარპანტიეს. მეგობრობა მალე გადაიქცა იმ განცდად, რომელსაც ერთი წლის შემდეგ დანიშნა მოსდევს (დანტემაც ბეატრიკეს გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ შეირთო ქვბი დონატი).

ნოვალისი მეორედ ემზადებოდა ქორწინებისათვის. მრავალი ახლობელი გააწილა მისმა საქციელმა, სოფიას მიმართ ლაღატად აღიქვს მეორე ხაცოლედ, ირღვეოდა სიკვდილით. საფლავით, ცრემლებით შეკირული მითი. მაგრამ გარეშე თვალი როგორ დაინახავდა ამ ურთულესი ხულის შინაგან კანონწომიერებას. სოფია ნოვალისისთვის, ისევე როგორც ბეატრიკე დანტესთვის, ზეციური სატრფო იყო, შუამავალი, დამავშირებელი უწილავ სამყაროსთან. აი, რას წერს იგი, უკვე იული შარპანტიეს საქმრო, თავის დღიურში: „როცა სოფია და ერაზმი ფიზიკალობენ, მე შემძლია მშვიდად ვიყო“. „მე სოფიას მიმართ სიყვარული კი არა, რელიგია მაქვს. გულის ცვალებადობისაგან დამოუკიდებელი, რწმენაზე დაფუძნებული, აბსოლუტური სიყვარული — არის რელიგია.“

ამ პერიოდის ერთი უაღრესად საინტერესო წერილი (ფრ. შლეგელისადმი) კი გვამცნობს, რომ ნოვალისი თავის უდიდეს ბედნიერებად მაინც სიკვდილს, ნაადრევ სიკვდილს ჩათვლიდა. ეს იქნებოდა ნახურვები მბღალეი ხვედარი, მაგრამ რაკი ვალდებულა, იცოცხლოს, ეს მისთვის მნიშვნელობით მეორე მონაპოვარია, და ეს იმ უდიდესი ხულიერ-პრაქტიკული ღწვის დროს, იმ მჩქეფარე ხულიერ-გონიერ ცხოვრებაში! მაგრამ იმ ქვეყნის, მარადიული ხაუფლოს სიყვარული, გახარებული ლტოლვა სამუდამო ცხოვრებისაკენ ნოვალისის არსებითი თვისება იყო.

დიდად საიდუმლო ცხოვრებით ცხოვრობდა ნოვალისი ფრაიბერგის პერიოდში, საკუთარი სულის წიაღსა და მიწისქვეშა გერცხლის მღვამეებში, და ეს საიდუმლო მისმა სახემაც აირეკლა ფრ. შლეგელი წერს: „მარდენბერგი იყო ჩვენთან, შესამჩნევად გამოცვლილია... მთლად სულთამბილავის თვალეზი აქვს, რომლებიც უფრო ნათელს ახსივებენ.“

[დოროთეა შლეგელი: „რამდენიმე დღეა მარდენბერგი აქ იმყოფება... მას ნათელმხილვე



ღის სახე აქვს. ლუდვოგ ტყის „მოხაზულობა“ და გამოჩენილები მისი ხანის ძალზე მოგვაგონებს იმანთ მხარობელს, როგორცაც დიურერის ნახატზე უხედავთ...

ფრაიბერგის პერიოდი იქცა სულსა და ხუნების მადარობაში ჩახვლიად. ძვირფასი საბადოს მოხაზვებლად — ფრაიბერგის მადარობი ვერცხლისთვის, ხოლო საკუთარ ხელში — სიბრძნის გვიხაოვის, ფილოსოფიური ოქროსთვის, დევნილი „შეცდამა თავი შენა“.

დარჩენილ ორ წელს ნოვალისი შინ გაატარებს ამარი წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ მეორე უხედავარდესი მეგობრის შეყვანა, ლუდვოგ ტყის გაყვანა, პირველი წიგნბინიდან რომ ორმოცე მგზნებარე ფრაიბერგის მოწოდებასა და სიყვარულში გადაიზარდა (ლუდვოგის რომანს „ფრაიბერგის მდგომარეობა“ — რომანტიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს, ნოვალისი კარგად იცნობდა და ძალზედ დიდ შეფასებას აძლევდა). და ჩახვლია ენაში თავშეუბრელ რომანტიკოსებთან.

ამ ორი წლის მანძილზე შეიქმნა: რელიგიური ლექსების ციკლი „სახსულიერო სიმღერები“ პროფ. პოეტის ხიბუხი: „ღამის მიმწევა“, და უმთავრესად ფილოსოფიურ-მისტიური თხზულება: „სახსული მოწოდებები“, რელიგიურ-ფილოსოფიური ესე „საქრისტიანო ანუ ევროპა“, და უმთავრესად რომანს „მინორი ფონ რეკორდების“ — რომანტიზმის ერთ-ერთი ძეგლად განსაცდირებული ქმნილება. „უნივერსალური რომანტიკული რომანი“ რომელსაც ხედავდნენ (მისი უმთავრესი სიმბოლოს მიხედვით) „ციხეში უფროსად უწოდებენ“.

„ღამის მიმწევა“ წარმოადგენს პირველ პოეტურ სარკვევებს დღიურებში კლდურული საიდუმლოსი: „ქრისტე და სოფია“. ამ ქმნილებაში ისევ როგორც „სახსულიერო სიმღერებში“ და რომანს, საფუძვლად უდევს პოეტის პირადი ბედისწერა. — საკუთარი მითოსური ხიფათი (სიყვარული, საცოლის სიკვდილი, სასოწარკვეთილი მარტოობა და შიშე, სიკვდილის გაყვანა, მაცხოვრის მნიშვნელობის წყდობა და ქრისტეს მოპოვება საკუთარ ხელში), დღიურებში მინიშნებული ბიძვა (განცდილი სოფიას ხედავზე) აქ წესტად მეორდება. მღელვარე უკვე პოეტური საყდის მისტიურ-ექსტატიურ ეპროფიში გადადგრილი. „შენა შემთავრება“ — სოფიას სიკვდილი“ გახლავთ ის პრიზმა, რომლის წყმდღაურ, წყმწიერ შექმნილება დღის ხინათლე და ჩნდება სამყაროს მთელი სივრცე „წინარე-გამიდან“ ვიდრე ეამის გაქრობამდე, სამყაროს წედროით მომავლამდე, გასაყვარი უშუალობა-გზნებითაა გამოქმნილი სამყაროს პირველადი, დედური საშო-წილიდან — წყვდიადიდან წაშობი სინათლისა და (ხინათლზე ფერო ძველი) ღამის

ის საიდუმლო შემოქმედება ადამიანის სულზე, მათი მონაწილეობა სულის გაშლა-ამაღლებაში, მოხარებულ-მოუქრებულ არა — ნახილვებ-ნაგრძნობია. ამ მღელვარებით და გულმზურვადებით ორთის მთელი ქმნილება ინტიმურადაა განცდილი მღელვარების, სიკვდილის (ქრისტეს სიკვდილისა და სიხილის) მიხტერია, ასევე წეგრძნობადი, წენა საუფლოს (უფლის „მზე-სახის“) საიდუმლოც, ხოლო სოფია „ღამის მზეა“, ანუ მანათობელი იმ სიბნელისა, რითაც მოცულია ღვთაებრივ ძალთა ურფიერება, მის შუკს მიუავს პოეტი ქრისტესთან — რომელიც მისთვის სიკვდილის ერთადერთი მძღველი, მზნელი და მარადიული კონსიურა ძალაა. მიმწევაში გაყვანებულია ადამიანის უმაღლესი, ღვთაებრივთან წილნაყარი მე-ს დაბადება, პიროვნების სრული, უკიდურესად დაძაბულ მარტოობაში, ტანჯვა-ტკივილით აყვანებული სულში (მანამდე დამარხული) უმაღლესი მე-ს მკვდრით აღდგომა; პირადი მისტერია გადაქსოვილია შობა-აღდგომის საიდუმლოსთან.

„სახსულიერო სიმღერები“ კი ინდივიდის გარიდებულ-კონცენტრირებული სიმარტოვას ექსტაზში შობილი „მე“-დან „ჩვენ“-ისკენ, მრევლისკენ, ხამოსა და თანამორწმუნეთა საკრებულოსკენ გახვლია. (რადგან მხოლოდ გრემარიტ მეობა მოპოვებულ ადამიანს, პიროვნებას შეუძლია დამყაროს ნამდვილი ქვეშირი ხევისთან, მხოლოდ მან იცის ერთობის ნამდვილი ფასი).

„სახსულიერო სიმღერები“ წარის წკრიალსა აქვს გაწაფხულის პირველ მოწმენდილ დილით, როცა ის-ის არის დაითრგუნა ცივი, საშიში წამთარი („წამთარი მიდის, წელი ახალი დგას წმინდა ქრისტის წმინდა ღირსთან: ბრწყინავს სამყაროს პირველი წელი, რომლის დადგომაც ხედავია ინება“). წამთარის მოგონებები ქერ არ გამქრალან, გაწაფხულის სიხარულს გადაჯდობიან, განვლილი სიმძიმელი და მოსული სიხარული ერთმანეთს ავხებენ, ერთმანეთს ხხნიან, ერთმანეთის წყალობით იძენენ აზრსა და ფაზს. (აქ პოეტის სულის წამთარ-გაწაფხულში ეპოქალური წამთარ-გაწაფხული იგულისხმება).

ნოვალისის მთელი შემოქმედება საერთოდ, მაგრამ უფრო უფრო „სახსულიერო სიმღერები“, — ნამდვილი პოეტური სახარებაა. პოეტი განსაცდელგამოვლილი ადამიანის სიწრფელითა და დამაქრებლობით ახარებს, ანუგეშებს თანამოძმეთ, ადამიანთა მოდგმას, იგი მღერის საკუთარი სულის სასწაულებრივ თავგადასავალს, თუ როგორ გადაიზარდა უახლოეს ადამიანთა სიკვდილით, წარმავლობის სიმწარით ნახარადობი სივალადე სიხარულში — გასხივონებული რწმენის წყიმში, რადგან შეიძინო



სიკვდილის აწრის და მნიშვნელობა. მასში სი-  
ცოცხლის წყაროს მოადგა და უშუალოდ აფო-  
ნო მაცხოვრის კოსმიური აწრის, სიკეთე, რომ-  
ლის წყალობითაც არ დაიღუპება სამყარო, რაც  
გადარჩენის ღირსია. — გადარჩება გადარჩება  
და აღწევდება. თუ „ღამის მიმნები“ გვიჩვენებს  
სულის სვლას სოფიასაგან ქრისტესკენ (სოფია  
შობს ქრისტეს პოეტის სულში, ისევე რო-  
გორც ღვთისმშობელი შობს მას სამყაროში).  
„სიმღერებში“ ქრისტესგან სოფია-მარიაში-  
კენ მიემართება ქრისტიანი ორფევესი თავისი  
ქნარით, ქრისტეს ნათელი ასხივონებს და  
აკურთხებს დედურ-ქალწულებრივ წიაღს. რომ  
სახელების (იესო-მარიაშის) რკალშია მოქცეული  
ეს სიმღერები და ფარულად მისდევს ქრისტი-  
ანული წელიწადისა და რიტუალის სიმბოლო-  
საიდუმლოთა რიგს (შობა, ჯვრის ზიდვა, ჭვარც-  
მა, აღდგომა, ზიარება და სხვ.) პოეტის სუ-  
ლის წელიწადი კოსმიურ წელიწადშია გაზავ-  
ებული. და მის დაფარულ სიბრძნეს ზიარებუ-  
ლი პოეტი მღერის სამყაროს შორეულ, მაგრამ  
გარდაუვალ განწმენდა-აღწევებაზე. „კოსმიურ  
შერიგებასა“ და ღვთიით ნაკურთხებ მომავალ-  
ზე, რომელსაც თავად თვალნათლივ ხედავს.

ნოვალისის ეს კმნილებები უბადლო მოვლე-  
ნაა არა მარტო გერმანულ ლიტერატურაში, დან-  
ტეს შემდეგ მთელს ევროპულ პოეზიაში არა-  
ვის აღუმატავს თავის პირად საიდუმლოზე  
დაფუძნებული ასეთი სრული, ქრისტიანული  
მსოფლხატი. მაგრამ დანტეს უკან ქრისტიანუ-  
ლი შუასაუკუნეები იდგა, შედუღებებული ზომა  
აქვინელის „Summa theologica“-ში და დანტე  
პოეტურ-რელიგიური შემქმნელი იყო იმ  
საუკუნეებისა, ნოვალისი კი რელიგიურ-  
სულიერი კრიზისის, სკეპტიციზმისა და  
ქრისტიანულ ღირებულებათა გადაფასების ეპო-  
ქაში იღვწოდა (როცა დეიზმი და ათეიზმი უკ-  
ვე სერიოზულად უტყვდნენ ქრისტიანობის გა-  
ლავნებს). და იგი თვით კანტისა და ფიბტეს  
ფილოსოფიასაც უნდა დაპირისპირებოდა  
ზეგრძნობადი შემეცნების უფლებამოსილების  
დამტკიცებისას.

ნოვალისის რელიგია არც პროტესტანტუ-  
ლია, არც კათოლიკური, ხაერთოდ არანაირად  
კანონიკურ-კონფესიური. მისი რელიგია სამ-  
ყაროსავით ვრცელი გულის, პოეტის უოვლის-  
მომცველი გულის სიბრძნე, სათნოება და სიმ-  
ღერაა (ამ ლექსებს სწორედ „სიმღერები“ ჰქვია  
და არა საგალობლები). სწორედ ეს გულითა-  
დობა, უსახელო ბავშვური უშუალობა და სი-  
ლადე, სისადავე და უზაკველობა ანიჭებს ამ  
„სიმღერებს“ დამაჭერებლობას, მომჭადოებელ  
ძალასა და აბსოლუტურ განუმეორებლობას.  
ქრისტიანული რწმენა არასოდეს ქცეულა  
ასეთ ანკარა, უბრალო, გამგვირვალე და ხალას  
სიმღერად, რომელიც ოდნავად არ გამძიმებს იმ

უფსკრულებრივი სიღრმით. ხაიდანაც ავი-  
თონ არის ამოფრენილი: სიმღერად, რომ-  
ელიც საღამურის წერილს გვაგონებს  
ამწვანებულ მინდორ-ველებზე, საზაფხულის  
სუფთა ჰაერში. ნოვალისის „სიმღერე-  
ბი“ მალე მოედო მოელი გარემოებისა და  
ეგზოს და ლაძრებს. ოქცა ქრისტიანული წყალობის  
საკუთრებად, რომელიც სიმღერის ლექსებივით  
თაობიდან თაობას გადასცემს მათ, ზოგჯერ  
სახესაც უცვლის და უმეტესობამ დღესაც არ  
იცის, თუ ვინ არის მათი ავტორი. ამ სიმღერე-  
ბისთვის იწერებოდა მელოდია, მარტო ფ. შუ-  
ბერტმა ხუთი ლექსი გადაიტანა მუსიკის ენა-  
ზე. ბოლო ამ ციკლის მეხუთე სიმღერას ოც-  
მა სხვადასხვა კომპოზიტორმა შეუთხზა მუსიკა.

„მარადიულად იცოცხლებენ ეს სიმღერები  
როგორც თავად ქრისტიანობა“. — წერს ე-  
დილთაი საუკუნენახევრის შემდეგ, დღესაც მღე-  
რიან ამ სიმღერებს ადამიანები მწუხარებისა  
თუ მარტოობის ეპოს და მძიმე ეპოქის სატ-  
კვრით შეჭირვებულთ აღმათ სულ უფრო  
აოცებთ და იწიდავთ ის საკვირველი და გა-  
დამდები სიხარული, რითაც პოეტი გვაუწ-  
უებს ხნებაშეყრილი, უფსკრულის პირას მი-  
ხული სამყაროს საბოლოო გადარჩენას. „ოქ-  
როს საუკუნის“ დაბრუნებას, მომავლის აღ-  
თქმული ქალაქის — „ახალი იერუსალიმის“  
ამობრწყინებას. „მე ვიტყვი ეველას, ეველა  
წავა და ეტყვის მეგობრებს თვისას, რომ მა-  
ლე ეველგან ამობრწყინდება ახალსაუფლო  
ღვთისა“. „წაგიუვანს ანგელოზი ხსნილს ნა-  
პირისკენ მალე, გადაგეშლება მზიარლს თვალ-  
წინ აღთქმული მზარე“. ბოლო „საქრისტიანო  
ანუ ევროპა“ ასე მთავრდება: „როდის, რო-  
დისღა? ეს აღარ არის საკითხავი მოთმინება  
იქონიერ, ის მოვა, უნდა მოვიდეს მარადიული  
მშვიდობის ღვთაებრივი უამი, ოდეს ახალი  
იერუსალიმი იქნება მთელი სამყაროს დედა-  
ქალაქი, მანამდე კი მზნედ და ლაღად შეტე-  
ბეთ წუთისოფლის ბიჟათ-განსაცდელთ. ჩემო  
თანამორწმუნენო, საქმით და სიტუვიო ილაღა-  
დეთ ღვთაებრივი სახარება და სიკვდილამდე  
უერთგულეთ კეშმარიტ, უსახრულო ხარწმუნო-  
ებას“.

„ახალი იერუსალიმის“ ახალმოხაზლედ, პირ-  
ველ მოქალაქედ აცნობიერებდა იგი თავს, ქა-  
ლაქისა, რომლის ოქროს ქონგურებსაც თავად  
სრულიად მკაფიოდ ხედავდა. ამ ქალაქისაკენ  
მიმავალი გზის მარჯვენაღად და ახალ მოციქუ-  
ლად ჰნდებდა იგი თავის ნაწერებში („ახალი ქრის-  
ტიანობის მაუწყებელს“ უწოდებს მას XX  
საუკუნის ერთი მოაზროვნე).

პოეტურ ფორმებში შეკუმშული მისი სამ-  
ყარო ხივრცეს, დინებას, ეპიურ სიფართოვებს  
ითხოვდა, ითხოვდა რომანის უნივერსალურ  
განზომილებას, ნოვალისის სულის საიდუმლო.



მოგზაურობა თბილის-სიმღერების გრძელ, რიტ-  
მულ ნაქადაში უნდა განსაზღვრებულიყო. ეს ბდე-  
ბა სწორედ რომანში „მანრიკ ფონ ოფტერ-  
დინგენი“ ეს რომანი წარმოადგენს. ნოვალისის  
ხიტუვებით რომ ვთქვათ „პოეზიის აპო-  
თეოზის“ პოეზია ადრეული გერმანული რომან-  
ტიზმისათვის (ისევე როგორც პოლდერლინისათ-  
ვის), უველიაზე მეტად კი ნოვალისისათვის. სამ-  
უაროს, უოფიერების ძირის-ძირი და უმთავრესი  
კანონია: სიუჟარული და პოეზია მართავს კოს-  
მოსს და უნდა მართოს ადამიანური ცხოვრე-  
ბაც. ნოვალისის რომანი ჩანაფიქრის მიხედვით  
(და იმის მიხედვითაც, რაც განხორციელდა)  
წარმოადგენს კოსმიურ დრამას, გნებათ, ოპე-  
რას. სადაც მონაწილეობენ ღვთაებრივი ძალებ-  
ი და ადამიანები, ბუნების სტიქიონები, მცუ-  
ნარები, ცხოველები, ლითონები, მინერალები,  
ცოცხლები და გარდაცვლილები. რომანში ერ-  
თიანი, გაუყოფელი უოფიერების ფარული მუ-  
სიკა და საუბარი, ენა და ანბანი იგრძნობა და  
ისმის. და ამ ანბანს კითხულობს, ამ კოსმიურ  
საუბარში ერთვება პოეტი გარდაცვლილი სატრ-  
ფოს საპოვნელად. უველა არსება მის გზას მია-  
ნიშნებს. „ღამის მიმდინაობა“ „ცისფერ ყვავი-  
ლამდე“ ნოვალისის სულმა იგივე ორფეული  
გზა გაიარა. რაც დანტემ „აბალი ცხოვრებიდან“  
„ღვთაებრივ კომედიაში“ — გზა, მიმავალი:  
სიკოცხლიდან სულთა მარადიულ საუფლოსა-  
კენ. ფსევდონიმს „ნოვალისი“ და სათაურს  
„ვიტა ნოვა“-საც ერთი სულიერი საფუძვე-  
ლი აქვს. ეს რომანი ნოვალისის შინაგანი სამ-  
უაროსა და საერთოდ, მთელი რომანტიზმის  
საუკეთესო სულიერ მიგნებათა კვინტენსიაცად  
გვევლინება. თუმცა იგი ფრაგმენტად დარჩა.

რომანზე მუშაობის პარალელურად ნოვა-  
ლისი წარმოუდგენლად ინტენსიურ პრაქ-  
ტიკულ საქმიანობას ეწეოდა. ძალზე ხშირად  
ცხენიდან ჩამოუხდომლად უხდებოდა მგზავ-  
რობა დრეზდენში, ფრაიბერგში, მარბურგის  
საწარმოში და სხვ. ამ დროს ნოვალისს სურ-  
და დაეკავებინა კურსაკსონიის მთავარმოხელის  
ვაკანტური ადგილი. მას ძალზედ აწუხებდა  
გერმანიის პატარა ქალაქებისა და ოლქების  
სულიერად მოღუწებული ცხოვრება და იმედი  
ბქონდა, ცვლილებებს შეიტანდა მოსახლეობის  
პრაქტიკულ ეოფაში. „ოფტერდინგენის“ პოე-  
ტურ პასაჟებზე მუშაობისას იგი წერს ვრცელ  
მოხსენებას ქვანახშირის მოპოვებელ მაღარო-  
ელთა მძიმე სამუშაო პირობებზე, მათ სნეუ-  
ლებებზე („მათი სამუშაო უკიდურესად მძი-  
მე, ჭუჭყიანი და მავნებელია. ამ ადამიანებში  
ძალზე გავრცელებულია კანისა და თვალის  
დაავადებანი“). შუამდგომლობას უწევს ღარიბ

არენდატორებს ფულადი დახმარების მისაღე-  
ბად. 1888 წლის ივნისში იგი მომწიფეობს  
პროფესორ ვერნერის მიერ წამოყენებულ საქ-  
სონიის გეოლოგიურ კარტოგრაფიულ სამუშაოში.  
საბოლოო პირველ მეცნიერულ ღონისძიებაში, და  
სამთო ავადმთის ურთ ~~სამუშაოში~~ ერთად  
ფებით შემოივლის მთავრად ~~სამუშაოში~~ გეო-  
ლოგიურ გამოკვლევას (რითაც დაიმსახურებს  
პროფესორ ვერნერის დიდ მოწონებას). იმავე  
წელს დაგეგმილია ქორწილი იული ფონ შარ-  
პანტიესთან, რომელიც ნოვალისს მხურვალე  
სიუჟარულით უყვარს. ვაიხენფელსის სახლში  
ერთი ოთახი უკვე მოწყობილია ნოვალისისა  
და მისი მომავალი მეუღლისათვის. „ოფტერ-  
დინგენი“ გამალებული ტემპით ბიიწევს წინ  
მაგრამ 1888 წლის შემოდგომადან ნოვალისს  
ოჯახური სენი ეძალდება. (წუსტად როდის გა-  
მოაჩნდა ამ დაავადების პირველი ნიშნები, ცნო-  
ბილი არ არის). კიდევ ერთი უბედურობა —  
18 წლის ძმის დაბრჩობა ძლიერ საფლესი —  
მოლიანად არუევს პოეტის განმრთელობას.

ნოვალისის ბოლოდროინდელ ჩანაწერებში  
ვკითხულობთ: „თუკი ახლა ავად გავხდები...  
მაშინ ეს საათები ჩემი ზნეობისა და რელიგი-  
ურობის განმტკიცებას უნდა მოვანდომო... ან-  
კეტურად, მორალურად, რელიგიურად უნდა  
გამოვიყენო...“ „შიში არის მერყეობა, გაურ-  
ვევლობა, უპირატებად ხმეულებრივი წამო-  
შობისა.“ „განა მე თვითონ არ ვირჩევ ჩემს  
ბედისწერას უკუნიით უკუნიხამდე? უოველი  
მწუხარე ფიქრი მიწიერი, შარბაბაღი ფიქრია  
შიშისა. უოველი ნადვლიანი განწყობა ილუზიაა“.  
„ვიდრე მე მწამს, რომ სოფია ჩემთან არის და  
შეუძლია გამოგეცხადოს... მაშინ ის მართლაც  
ჩემთან არის და შეცხადება კიდევ, სწორედ აქ,  
სადაც არ ველი. ჩემში, როგორც ჩემი სული“.

1891 წლის იანვარში იგი ატუობინებს მეგო-  
ბარ ლ. ტიქს: „მძიმე დაავადებამ მოლიანად  
მომწყვდიტა ჩემს საქმიანობას... ხაერთოდ ვეღარ  
ვმუშაობ. მაგრამ მუდამ პოეზიისთან ვარ  
ფიქრებში და კითხვარას...“ მშა და საცოფე  
გვერდიდან აღარ შორდებიან ავადმყოფს. სა-  
ვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მას უთქვამს  
ძმისთვის: „თუ მოვიკეთებ, მაშინ გავიგებ ნამდ-  
ვილად, რა არის პოეზია — ხრწყინვალე ლექ-  
სები და სიმღერები შიტრიალებს თავში“. სიკვდილამდე ორი დღით ადრე მეგობარი ფ-  
შლეგელი ჩავიდა ნოვალისთან და გაოცებული  
დარჩა ავადმყოფის სიმშვიდითა და წონასწო-  
რობით („...ის თავად თითქოს სულაც ვერ  
ამჩნევს ზიფათს... ძალზე მეგობრული და ე-  
თილია ჩემს მიმართ... თუმცა გარეგნულად  
უადრესად სუსტად გამოიყურება...“).

სიკვდილის დღეს ნოვალისს უთხოვნია ძმისთ-  
ვის, ფორტეპიანოზე დაერკა. ვიდრე გარდა



პარდენბერგი უკრავდა, ნოვალისმა ჩაბთვლიშა ფრ. წლებელსა და ძმას ჰგონებიათ, ხმინავსა. ასე გარდაიცვალა „ცისფერი ყვავილი“ - პოეტის მუხიკის პანტეონი.

თავის სიკვდილამდე 3 წლით ადრე, სოფიას გარდაცვალებიდან მეოთხე დღეს (1797) ნოვალისი ერთ მეგობარს ხწერდა:

„16 მარტს მან (სოფიამ — ნ. გ.) პირველად მითხრა, რომ სურდა ჩემი ყოფილიყო.

17 მარტს იყო იგი დაბადებული. 19 მარტს გარდაიცვალა. 21 მარტს შევიტყვე მისი გარდაცვალების ამბავი. განა არ უნდა ვიფიქრო, რომ მე 28 მარტს გარდავიცვლები?“ გარკვეული ლოგიკით შედგენილ, ამ თავისებურ პორტრეტში ნოვალისი მხოლოდ ორი დღით შეცდა. მაგრამ შემაშინებელ სიზუსტეს გვიჩვენებს არა-ცნობიერად შედგენილი, პოეტის არქივში მოგვიანებით აღმოჩენილი ერთი უცნაური დოკუმენტი: სოფია ფონ კიუნისა და ნოვალისის მიერ მათი ერთადყოფნის ბედნიერ ხანაში ხუმრობით შედგენილი მოსაწვევი ბარათი „ჩვენს ნათესავებსა და მეგობრებს ვატყობინებთ, რომ 19 მარტს მოხდა ჩვენი შეუღლება და ვიმედოვნებთ, გაიზიარებენ ჩვენს სიხარულს. სოფია და ფრიდრიხ ფონ პარდენბერგები, 1798 წლის 28 მარტი.“ ცხადია, ეს თარიღები გამოგონილია, მაგრამ 19 მარტს გარდაიცვალა სოფია ფონ კიუნი, ხოლო 28 მარტს (8 წლის შემდეგ) — ნოვალისი, გარდაიცვალა იმ ოთახში, მისი მეორე საცოლისთვის რომ იყო მოწყობილი. მიწაზე არშემდგარი ქორწინება განხორციელდა ორფეულ სიტყვასა და პოეტის საუფარდელ „მამის სახლში, შინ“, განხორციელდა როგორც სულთა შეუღლება („უნიო საკრას“ რომ უწოდებენ იდუმალმეტყველნი).

ნოვალისი ერთ-ერთი ყველაზე ხაკვირველი სულია, ვისაც კი ოდესმე უცხოვრია დედამიწაზე. ალბათ, არავის უვარებია ასე ინტიმურად ერთდროულად დედამიწა და ზეცა, ამკვეთიური ყოფა და მარადისობის საუფედო, სიცოცხლე და სიკვდილი, ადამიანი და ღმერთი, სხეული და სული. იგი თითქმის იმისთვის იყო მოვლინებული, რომ გჩვენებინა: თვით ხანმოკლე და უმძიმეს ცხოვრებაშიც როგორ

შეიძლება ადამიანი აკიდეს ხულის მწვერვალზე და ადევნოს მადლიერებით შემოქმედისადმი. თავისი შინაგანი ძალისხმევითა და სათნოებით ნოვალისმა თითქმის გააუქმა ბუდობა, როგორც გარედან მოხუდი ძაღლი, როგორც „არასაკმარისი თანხედრა ადამიანის ნებისა ღმერთის ნებასთან“. თითქმის გაქურდა ნებისა აქცია საკუთარი სიკვდილი. თუმცა მისი შემოქმედება ფრაგმენტად დარჩა, მაგრამ ეს ფრაგმენტი არ შეესაბამება მის შინაგან დასრულებულობასა და სიმწიფეს: ნოვალისი სრულიად მზად იყო სიკვდილისთვის — სულიერი სიმწიფის შემოწმებული ამ უდიდესი გამოცდისათვის.

ნოვალისის „ცისფერი ყვავილი“ უმაღლესი პოეზიის მარადიულ სიმბოლოდ იქცა, და, როდესაც ეპოქის ცივი ქარიშხლები ამ ყვავილს წაღვევით ეშუქრებოან, მაშინ გაიხმის დიდ პოეტთა გოდება:

იყო ირგვლივ ზიანება  
და ყორნების ჩხავილი  
თოვლმა, სილას მთანება  
ნოვალისის ყვავილი.

რადგან ამ ყვავილის სიკვდილი ადამიანური ყოფიერების სრულ გაველურებას, ოცნების დასამარებას ნიშნავს, — ამის დაშვება კი არ შეუძლია პოეტის გულსა და გონს, — ამ გოდებას დიდი განსაცდელის ხილრმიდან ამოწრილი კოსმიური იმედი ენაცვლება:

მაგრამ გულში დარდს ნუ ისევ  
ოცნება თუ გშორდება,  
ყოველივე იგი ისევ,  
ისევ განმეორდება.

ასე ხტერა გალაკტიონს („ადარ არის მენესტრელი“), და ამხვე ამბობს დიდი ავსტრიელი ლირიკოსი, გეორგ თრაქლი ლექსში „ნოვალისი“:

მისი სიმღერა  
ისევ ხარობს ცისფერ ყვავილად,  
დედამიწაზე  
ტყვილების ღამეულ სახლში.



## გერმანულენოვანი ლიტერატურა საქართველოში

**მ**ეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური განვითარების გეზი — რუსეთის გზით ევროპისაკენ. — საქართველოში ფართოდ გაეღო კარი ევროპულ ცივილიზაციას, აზროვნებისა და კულტურის მონაპოვარს. ამ პერიოდში გაძლიერდა ადრეც შესამჩნევი ინტერესი ევროპული ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი და თეორიულ-ფილოსოფიური ნააზრევის თუ მეცნიერული ხასიათის შრომების პარალელურად დაიწყო ინტენსიური თარგმნა ფრანგული, ინგლისური, იტალიური, გერმანულენოვანი და სხვა მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებისა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან რევოლუციამდელი პერიოდის საკმაოდ მდიდარ, ქართულად თარგმნილ თუ გადმოკეთებულ მხატვრულ ლიტერატურაში გერმანულენოვან ლიტერატურას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სწორედ ამ პერიოდში ითარგმნა ერაზმ როტერდამელის, კლოპშტოკის, ვილანდის, ლესინგის, ჰერდერის, გოეთეს, შილერის, ლაიზევიცის, მაინრიხ ფონ კლაიბის, რიუკერტის, ძმები გრიმების, ჰაინეს, ლუდვიგ ბიორნის, არტურ შნიცლერის, ზუდერმანის, პაუპტმანის და სხვათა შემოქმედების ნიმუშები, რომლებსაც 1852 წლამდე, პირველი ქართული ჟურნალის — „ცისკრის“ დაარსებამდე, ქართველი საზოგადოება ხელნაწერებში ეცნობოდა. ამ ხელნაწერებიდან ზოგს ჩვენამდე არც მოუღწია (მაგ. როგორც ქართული რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს თავის ბიძას, — ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს და რომანტიკოს პოეტს — გრიგოლ ორბელიანს, მას მოსწონებია და უთარგმნია რუსულ ჟურნალში „ბიბლიოთეკაში“ მოთავსებული „იულიუს ტარენტელი“ იოჰან ლაიზევიცისა, მაგრამ ეს თარგმანი დღემდე მიუკვლეველია). ნაწილი ხელნაწერების

ხანითაა დაკული არქივებში უმთავრესად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში და ლიტერატურული და თეატრალური მუზეუმების ფონდებში), მცირე ნაწილი ცალკე წიგნებად არის გამოქვეყნებული, ხოლო რამდენიმე მათგანი მოგვიანებითაა დაბეჭდილი სხვადასხვა ჟურნალებში ან ორიგინალურ ნაწარმოებებთან ერთად შესულია მთარგმნელთა თხზულებათა კრებულებში.

ამ საცნობარო ხასიათის წერილში, მისი მოცულობის შეზღუდულობის გამო, ძირითადად წარმოდგენილი იქნება გერმანულენოვანი მხატვრული ლიტერატურის ის ნაწილი, რომელსაც ფართო აღიარება ჰვდა წილად და მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ლიტერატურაში.

პირველი ასეთი ნაწარმოებია ფრიდრიხ შილერის „განყოფა სოფლისა“, რომელიც 1842 წელს უთარგმნია ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, დრამატურგსა და პოეტს გიორგი ერისთავს, და გამოქვეყნებულია 1852 წელს გ. ერისთავის მიერვე დაარსებულ ზემოდასახელებული პირველი ქართული ჟურნალის მეხუთე ნომერში, გ. ერისთავს, რომელმაც 1853 წელს ქართულ სცენაზე წარმოადგინა ფრიდრიხ ფონ შალმის „გრიზელდიდან“ გადმოკეთებული თავისი დრამა „უვარუვარე თუთაბერი“, 1858 წელს უთარგმნია შილერის ბალადი „ხელთათმანი“, რომელიც შესულია 1868 წელს გამოცემულ მის თხზულებათა კრებულში.

შილერის პოეზიის რევოლუციამდე თარგმნილი სხვა ნიმუშებიდან აღვნიშნავთ ილია ქავჭავაძის მიერ 1868 წელს თარგმნილ „ცრემლთა შინა ნუგეშს“.

შილერის პოპულარობა საქართველოში დაკავშირებულია უმთავრესად მის დრამებთან. პირველი პიესა, რომლითაც ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე გაეცნო შილერს, როგორც დრამატურგს არის „ვილჰელმ ტელი“, რომლის ნაწილი, თარგმნილი საზოგადო მოღვაწისა და მთარგმნელის ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ, დაიბეჭდა 1887 წელს, „ცისკრის“ ორ ნომერში. ერთი წლის შემდეგ გაზეთმა



„დროებაში“ გამოაქვეყნა ამ პიესის პირველი მოქმედების მეორე სცენის ახალი თარგმანი. შესრულებული ფართოდ განათლებული საზოგადო მოღვაწისა და პროზაიკოსის გ. წერეთლის მიერ. 1871-1872 წლებში უფროა „მნათობის“ ოთხ ნომერში მოთავსებულია ავალიშვილის მიერ შესრულებული სრული თარგმანი „ვილჰელმ ტელისა“. რევოლუციამდე ქართულ ენაზე „ვილჰელმ ტელის“ კიდევ ორი სრული თარგმანი გამოაქვეყნდა. ერთი მათგანი, იოსებ ბაქრაძის მიერ შესრულებული, 1905 წლის უფროა „მოამბის“ მეშვიდე და მერვე ნომერებში დაიბეჭდა. მეორე — პროზაული თარგმანი (უფრო სწორად, პროზით გადმოცემული დაწვრილებითი შინაარსი) — იოსებ სანებლიძეს ეკუთვნის. იგი 1898 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ქუთაისში „ამხანაგობაში“.

„ვილჰელმ ტელის“ მიმართ ასეთი ინტერესი გამოწვეული იყო იმით, რომ მისი პათოსი ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა — შეესაბამებოდა საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებას. ამას ადასტურებს წიგნის გამოცემისთანავე უფროა „კვალში“ მოთავსებული რეცენზია. რეცენზენტის აზრით, „ამგვარი, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ შინაარსიან“ წიგნთა გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მსგავსი ნაწარმოები „უოველი მკითხველის მოგონებაში მოსალოდნელ კვალს დაამჩნევს, გაადვილებს კეთილშობილ ლტოლვილებს, აღუძრავს პატიოსნური სიუყვარულის გრძნობებს სამშობლო ქვეყნის საბედნიეროდ თავგანწირულ მამულიშვილებს და წარმატების გზაზე დააყენებს მათ“. „მთელი ეს წიგნაკი, — აღნიშნულია რეცენზიაში, — თითქმის სავსეა ამგვარი, ჩვენი ქვეყნისათვის საგრძნობელი და ხანტარო სცენებით“ („კვალში“, 1898, №24, გვ. 18-19).

რევოლუციამდე, გარდა „უაჩაღებისა“ (რომელიც, ნ. ავალიშვილის მიერ თარგმნილი, 1878 წ. „მნათობში“ დაიბეჭდა, ხოლო ცალკე წიგნად 1912 წელს გამოქვეყნდა), ითარგმნა „ფიესკოს შეთქმულება გენუაში“, „ვერაგობა და სიუყვარული“, „დონ კარლოსი“, „მარიამ ხტიუარტი“ და „ორღენელი ქალწული“. ეს პიესები, გარდა „ფიესკოს შეთქმულებისა“ და „ორღენელი ქალწულისა“, თუმცა იმ პერიოდში არ გამოქვეყნებულა (მაგ. „ვერაგობა და სიუყვარული“, „დონ კარლოსი“), მაგრამ მეტნაკლები წარმატებით იდგმებოდა ქართულ თეატრებში. ქართულ სცენაზე დიდი წარმატება ზვდა წილად „უაჩაღებს“, რომლის მეხუთე მოქმედების პირველი სცენა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, ბელეტრისტის და პუბ-

ლიცისტის ანტონ ფურცელაძის თარგმანის მიხედვით პირველად 1888 წლის ნოემბერში, ხოლო სრული სახით (გ. ავალიშვილის თარგმანის მიხედვით) 1892 წელს იქნა წარმოდგენილი. ამის შემდეგ „უაჩაღები“ ქართულ სცენას არ მოცილებია (მართო რევოლუციამდე პერიოდში ნ. ავალიშვილმა, შემდეგ — მიხედვით დაახლოებით ოთხმოცამდე წინა წარმოდგენილი). შეიძლება ითქვას, არც რევოლუციამდე და არც რევოლუციის შემდეგ დროინდელი ქართული თეატრის რეპერტუარში შექსპირის გარდა არც ერთი ევროპელი დრამატურგი არ უოფილა ისე ფართოდ წარმოდგენილი, როგორც შეიღერი.

უფრო გვიან გაეცნო ქართველი მკითხველი გოეთეს მხატვრული შემოქმედების ნიმუშებს. მართალია, არსებობს ცნობა, თითქოს მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეხამედში გოეთეს რამდენიმე ლექსი ეთარგმნოს ალექსანდრე კავკაძემ, მაგრამ იმ თარგმანებს ჩვენამდე არ მოუღწევია და ამიტომაც „ვიამარელი ბრძენის“ შემოქმედების პირველ მთარგმნელად ითვლება თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი პოეტი-რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანი, რომლის მიერ 1842 წელს ლერმონტოვის თარგმანის მიხედვით შესრულებული „მგზავრის ღამის სიმღერა“ მხოლოდ 1885 წ. გამოქვეყნდა უფროა „ცისკარში“. შემდეგში არაერთ პროფესიულ მთარგმნელს და პოეტს უცდია გოეთეს ლირიკის ამ ერთ-ერთი შედევრის თარგმნა, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძესაც, რომელიც მას „თავისუფალი ლექსის“ ნიმუშად მიიჩნევს.

გოეთეს მეორე ნაწარმოები რომლის ორი სხვადასხვა თარგმანი გამოქვეყნდა, არის „ეგმონტი“. ერთი მათგანი, მ. ხუდადოვის მიერ რუსული თარგმანის მიხედვით შესრულებული, დაიბეჭდა ცისკარში 1889 წელს. მრავალ გამოტოვებულ და უზუსტოდ თარგმნილ პასაჟებთან ერთად ამ თარგმანს უოველგვარ ღირსებას უყარგავს გაუმართავი, ბარბარიზმით სავსე ენა. ორიგინალს შედარებით ერთგულად მიმყვება და ენობრივადაც უფრო გამართულია გ. წერეთლის მიერ შესრულებული და 1878 წელს „კვალში“ გამოქვეყნებული თარგმანი. „ეგმონტზე“ ადრე, სახელდობრ 1865 წელს, არის თარგმნილი „კლავიგო“, რომლის ხელნაწერი ლიტერატურულ მუზეუმში ინახება. იგი არ გამოქვეყნებულა.

რევოლუციამდე თარგმნილი გოეთეს პოეზიის მცირერიცხოვანი ნიმუშებიდან აღსანიშნავია საბავშვო პოეტის შიო მღვიმელის (დედაბრძენილი) თარგმანი ბალადისა „ტუის მეფე“.



რომელიც 1882 წ. დაიბეჭდა ჟურნალ „ქეჩილში“.

1890 წელს ჟურნალ „მოამბეში“ სათაურით „ვერტერი“ გამოქვეყნდა ი-ნის (ივანე ახალშენიშვილის) მიერ გერმანულიდან თარგმნილი „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“. თარგმანი როგორც სიწესტის, ისე ენობრივი თვალსაზრისით დამაკმაყოფილებლად არის შეფასებული.

ცხრაასიან წლებში, სახელდობრ 1898 წელს, ცალკე წიგნად გამოქვეყნდა „ფაუსტის“ ორივე ნაწილის სრული თარგმანი (მთარგმნელი პეტრე მირიანაშვილი). იგი აზრობრივი უზუსტობისა და დაბალი მხატვრული დონის გამო მკაცრად იქნა გაკრიტიკებული.

რევოლუციამდე „ფაუსტის“ რამდენიმე ნაწევრები ითარგმნა, 1884 წ. „კვალში“ გამოქვეყნდა „ძღვნი“ (მთარგმნელი „მოსე“ — ფსევდონიმი დაუდგენელია). 1901 წ. იმავე ჟურნალში დაიბეჭდა ფაუსტის მონოლოგი და დიალოგი ცეცხლის სახით მოვლენილ სულთან. 1914 წლის ჟურნალ „კლდეში“ მოთავსებულია ცნობილი პოეტის, დრამატურგის და მთარგმნელის ალექსანდრე (სანდრო) შანშიაშვილის გერმანულიდან თარგმნილი „ღამე“, „ქაღალტის კარებთან“ და „კაბინეტი“, „პროლოგი ცაში“ კი 1915 წელს უთარგმნია კონსტანტინე გამსახურდიას.

თუმცა რევოლუციამდე ქართველი მწერლები თავიანთ კრიტიკულ წერილებში ხშირად იმოწმებდნენ ლესინგის, როგორც უდავო ავტორიტეტის, ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს და წარმატებით იყენებდნენ მის დებულებებს ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის დამკვიდრებისათვის მწვავე ბრძოლაში. მაგრამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოეტისა და მთარგმნელის მამია გურიელის მიერ ოთხმოციან წლებში შესრულებულ „ლაპოონის“ თითქმის სრულ თარგმანს (აქლია შესავალი და XXVIII და XXIX თავები), რომელიც არ გამოქვეყნებულა (ხელნაწერი ინახება ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში), ამავე პერიოდში შესრულებულ „ემილია გალოტის“ თარგმანს, რომლის მხოლოდ ნაწევრები ხელნაწერის სახით დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში და ცნობას, თითქმის სამოციან წლებში ეთარგმნათ „ნათან ბრძენი“, ახალი გერმანული ლიტერატურის „მამის“ შემოქმედება წარმოდგენილი იყო მხოლოდ ჟურნალ „თეატრსა“ (1886 წ. №№ 45, 46, 48, 50) და „ქეჩილში“ (1895 წ. №6 და 8) გამოქვეყნებული რამდენიმე იგავით.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან თარგმნილ ლიტერატურაში შედარებით ფარ-

თოდ არის წარმოდგენილი მაინრიხ შაინე. ქართველი მკითხველი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ანტონ ფურცელაძის, ვაჟა-ფშაველას, შოა მღვიმელის და სხვათა მიერ თარგმნილი თუ გადმოკეთებული ლექსებით გაეცნო შაინეს პოეტურ მემკვიდრეობას — უმთავრესად სატრფიალო და სატირულ ლექსებს. შაინეს 82 ლექსი თარგმნა ი. წაქაჩაშვილმა, 18 ლექსებიდან 1885 წ. გამოქვეყნებული „ტურფავ, ტურფავ! რას მემდური“ სულ მალე ხალხურ სიმღერად იქცა, რომელსაც მღერიან მთელ საქართველოში, მაგრამ უმრავლესობამ დღესაც არ იცის, რომ სიმღერის ტექსტი შაინესია.

განსაკუთრებით გატაცებული უოფილა შაინეს შემოქმედებით პოლიტიკური მოღვაწე და ბელეტრისტი ჭოლა ლომთათიძე. მას სევასტოპოლის ციხეში უოფნისას უთარგმნია შაინეს თითქმის ყველა ლექსი, აგრეთვე „ჩრდილოეთის ზღვის“ ორივე ციკლი, „ატა ტროლი“, „გერმანია“, „ბიზინი“, „ვიცლიპუტლი“, „პრინცესა შაბაშ“, „იეზუდა ბენ ჰალევი“, „დისპუტი“ და დაუწერია თარგმნი „მოგზაურობის სურათებისა“, მაგრამ ყველა თარგმანი უანდარბერიას წაურთმევია და დაუწვავს. რამდენიმე ხნის შემდეგ ჭოლას არაღიგაღურად კვლავ უთარგმნია შაინეს ის ლექსები, რომლებიც ზეპირად ახსოვდა (სულ 178). ეს ლექსები ჭ. ოლიას ფსევდონიმით 1918 წელს გამოქვეყნდა. მას წამდღვარებული აქვს მთარგმნელის წერილი „მეგობარ მკითხველს“ და შაინეს მოკლე ბიოგრაფია.

ქართველი მკითხველი მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში ი. ბაქრაძის თარგმანის მიხედვით გაეცნო შაინეს თანამედროვე დრამატურგის, პროზაიკოსისა და ლიტერატურის კრიტიკოსის, კარლ გუცოკოვის „ურიელ აკოსტას“. რომელიც 1886-1887 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრში“ და 1887 წელს წარმოადგინა ქუთაისის დრამატულმა დასმა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ამ პიესის კოტე მარჯანიშვილისეულ დადგმას, რომელიც, ისევე როგორც შილერის „უჩაღები“, წლების მანძილზე ქართული თეატრის რეპერტუარის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

რევოლუციამდე გამოქვეყნდა ჭერ ჟურნალ „ქეჩილში“, შემდეგ ცალკე წიგნადაც ვილჰელმ და იაკობ გრიმების რამდენიმე ზღაპარი. იმავე პერიოდში ქართველი მკითხველი გაეცნო გერმანულენოვანი ლიტერატურის ახალ მიმართულებათა ზოგიერთ წარმომადგენელს. 1905 წელს ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა არტურ შნიცლერის „უსინათლო ჭერონიმო და მისი ძმა“, 1907 წ. ცალკე წიგნად გამოქვეყნდა მისივე ათი დიალოგი, ხოლო 1918 წ.



გამოცემულ კრებულში „უცხოეთის მწერლები“ შეტანილია „სიკვდილი“.

ოთხმოცდაათიანი წლებიდან ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გერმანულენოვან დრამატურგიას. შეიღერის პიესებთან ერთად ამ პერიოდის ქართულ სცენაზე იდგმებოდა ზ. ვერნერის, ე. ვილდენბრუხის, ლ. ფულდას, ო. ბლუმენტალის, გ. კადელბურგის და სხვათა დრამები; განსაკუთრებული წარმატება ჰქონდათ გ. მაუპტმანის და მ. ზუდერმანის პიესებს.

1898 წლიდან, ბერლინში დადგმულ „წავის ქურკის“ თაობაზე გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული რეცენზიის შემდეგ, საქართველოში ხშირად ქვეყნდებოდა წერილები მაუპტმანზე, მაგრამ მისი პიესა ჩვენში პირველად 1901წ. დაიდგა. ეს იყო „შერიგების წემი“, რომელიც ქართულად ითარგმნა „ფადმეოფი ხალხის“ სათაურით. ორი წლის შემდეგ თბილისის სახალხო თეატრმა დადგა გადმოკეთებული კომედია „წავის ქურკი“ „მელანის ოინების“ სახელწოდებით. ბოლო 1904 წელს ქუთაისში წარმოდგინეს „როზე ბერნდი“. ამ პიესების გარდა მომდევნო წლებში საქართველოს სხვადასხვა თეატრში წარმოდგენილი იყო „ფიქრები“, „პიპა კი ცეკვავს“, „კულეგა კრამატონი“, „მიხაელ კრამერი“, „მეეტლე ბენშელი“, „მარტოხელანი“, „შლუკი და იაუ“ და „მანელეს ამალღება“, რომელსაც განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა. რაც შეეხება ჯერ კიდევ 1902 წელს თარგმნილ „ჩაძირულ ზარს“, იგი პირველად 1912 წელს იქნა წარმოდგენილი და ქართულ სცენას დიდხანს არ შერჩენია.

მაუპტმანის დრამატურგიაზე აღრე გავცნო ქართველი ხალხი გერმან ზუდერმანის პიესებს. თბილისის დრამატულმა თეატრმა მისი „სამშობლო“ 1906 წელს წარმოდგინა, დიდი წარმატება ხვდა წილად პიესას „პაციონება“. სამაგიეროდ მაყურებელმა გულცივად მიიღო „სოდომის წარღვნა“, რომელიც მხოლოდ ორჯერ (1906 წლის 31 იანვარს და 24 ოქტომბერს) იქნა წარმოდგენილი. წარმოდგენილი იყო ზუდერმანის სხვა პიესებიც — „მიკუჭული ბედნიერება“, „პეკელათა ბრძოლა“ და „ივანობის ღამე“. რევოლუციის შემდეგ ზუდერმანის პიესები ქართულ სცენაზე აღარ დადგმულა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაწესებულმა კულტურულმა რევოლუციამ ხელი შეუწყო ლიტერატურისა და ხელოვნების დაქპარებულ განვითარებას თუ მანამდე იგი კერძო თაოსნობისა და ქველმოქმედების ობიექტი იყო, ახლა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად იქცა. გაი-

ზარდა თარგმნილი ლიტერატურის ზვედრითი წილიც. თანაც გერმანულენოვანი ლიტერატურის თარგმანები (განსაკუთრებით ორმოცდაწი წლებიდან) უშუალოდ ორიგინალიდან არის შესრულებული და მხოლოდ მცირე ნაწილი არის ბწარედის მიხედვით გაშართული.

დიდია დამსახურება ~~ქართულ~~ <sup>საბჭოთა</sup> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ~~ქართული~~ <sup>საბჭოთა</sup> უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის განყოფილებისა, რომელიც ორმოცდაწი წლებში ცალკე ფაკულტეტის სახით ჩამოყალიბდა. სწორედ ამ ფაკულტეტის აღზრდილები (რომლებსაც გვერდში ამოუდგნენ უნივერსიტეტის საფუძველზე ჩამოყალიბებული ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტების დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის განყოფილებებისა და თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის აღზრდილები) წარმოადგენენ ქართველი გერმანისტების — გერმანულენოვანი ლიტერატურის მთარგმნელებისა და მკვლევარების ძირითად ბირთვს. ცხადია, ორმოცდაწი წლებამდეც თარგმნიდნენ უშუალოდ ორიგინალიდან (მაგ. სანდრო შანშიაშვილი და კონსტანტინე გამსახურდია, ცნობილი რომანისტი, ნოველისტი და მთარგმნელი ნიკო ლორთქიფანიძე, „ფაუსტის“ მთარგმნელი დავით ონიაშვილი და სხვ.) და ამდიდრებდნენ ქართული თარგმნილი ლიტერატურის ბიბლიოთეკას, მაგრამ მთარგმნელთა უმრავლესობა ორიგინალად რუსულ თარგმანს იყენებდა.

ევროპული ლიტერატურის თარგმანთა რიცხოზობრივ ზრდას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო „სახელგამში“ (ამჟამად გამოცემილია „საბჭოთა საქართველო“) ჩამოყალიბებულმა თარგმნილი ლიტერატურის განყოფილებამ, რომლის ნაყოფიერი საქმიანობიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართულ ენაზე „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ ოთხმოცტომეულის გამოცემა. ამ გამოცემაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი გერმანულენოვან ლიტერატურას; ხელი შეუწყო იმავე გამოცემილობის ინიციატივით დაარსებულმა საზღვარგარეთული ლიტერატურის აღმანახმა „ზომლმა“, რომელიც ამჟამად „საუნჯის“ სახელწოდებით გამოდის და საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა როგორც სათარგმნი მახალისე შერჩევის, ისე თარგმნის მაღალმხატვრულ დონეზე შესრულების თვალსაზრისით.

დღეს ქართულად თარგმნილი ლიტერატურა



რის ბიბლიოთეკაში გერმანულენოვანი კლასიკური მწერლობის უმნიშვნელოვანეს ძეგლებთან ერთად ფართოდ არის წარმოდგენილი თანამედროვე მწერალთა შემოქმედების ნიმუშები.

ოც-ოცდაათიან წლებშივე გაეცნო ქართველი მკითხველი ფრანკ ვერფელის, ვალტერ შაუენკელევერის, ერნსტ ტოდერის, ჰუგო ფონ შაფშანსტალის პოეზიას, მათ დრამებს, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე; ფერდინანდ ფრაილიგრატის, შტეფან გეორგეს, იოჰანეს ბებერის და მაქს ბროდის ლირიკის ნიმუშებს; ვილდემარ ბონჰელსის, პერმან კესტნერის, ბერნჰარდ კელერმანის, ვოლფგანგ ლანგშოფის და შტეფან ცვაიგის ზოგიერთ მოთხრობას და რომანს.

ოცდაათიან წლებში ითარგმნა „ხიმღერა ნიბელუნგებზე“, რომელიც დღემდე ოთხჯერ გამოიცა. 1942 წელს დიდი ტირაჟით გამოქვეყნდა გერმანული საგმირო ეპოსის ამ ბრწყინვალე ძეგლის პროზაული თარგმანიც. ოც-ოცდაათიან წლებში ქართულ ენაზე თარგმნილი გერმანულენოვანი ნაწარმოებებიდან დავასახელებ ურიხ მარია რემარკის რომანს „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, ომის შემდეგ ცალკე წიგნებად გამოქვეყნდა მისი სამი რომანი: „სამი მეგობარი“, „უამი ხიცოცხლისა და უამი ხიცვდილისა“ და „ნახესხები სიცოცხლე“.

ხამამულო ომის მძიმე წლებში არ შეწყვეტილა ფაშიზმის ანტიჰუმანური არსის წინააღმდეგ მიმართული კლასიკური და თანამედროვე პროგრესულ გერმანულენოვან მწერალთა ნაწარმოებების თარგმნა, მაგრამ მასშტაბური ბასიათი მან ხამამულო ომის შემდეგ, განსაკუთრებით ორმოცდაათიან წლებიდან ნიილო. ხამამულო ომის შემდეგ ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე გაეცნო გერმანულ ხალხურ წიგნებს „ტილ ულენშიიგელსა“ და „შილდბურგელებს“, ანგელუს სილერზიუსის ლირიკას, გერმანული ბაროკოს თვალსაჩინო წარმომადგენლის ანდრიას გრიფიუსის „ქეთევან ქართველს“ და „შტურმ უნდ დრანგელებს“, რომანტიკოსების და რეალისტების, ერმოლ გეორგ ბიუნერის, იოჰან ლაიზეციუს, იოჰან გოტფრიდ პერდერის, ფრიდრიხ პოლდერლანის, ფრანკ გრილპარცერის, ლუდვიგ ულანდის, იოჰან ლუდვიგ ტაქის, ადელბერტ ფონ შამისოს, გუსტავ შვაბის, ერნსტ თეოდორ ამადეუს მოფმანის, გეორგ ვერტის, პერტა ფონ ზუტნერის, ფრიდრიხ ბოდენშტედტის, თეოდორ შტორმის, მორიც პარტმანის და სხვათა შემოქმედების ნიმუშებს, აგრეთვე იაკობ და ვილჰელმ გრიმების ზღაპართა უმრავლესობას და ვილჰელმ ჰაუფის ზღაპრებს

და რომანს „ლიბტენშტაინს“. გერმანულენოვანი ლიტერატურის ნიმუშები წარმოდგენილია ისეთ ენობრივ-თემატიკურ კრებულებში, როგორიცაა „ლორელაი“, „გერმანული ბალადები“, „გერმანული მოთხრობები“ და „გერმანული საბავშვო მოთხრობები“, „ლორელაიში“ გაერთიანებულია ქვეყნისა და ხალხისა და ბრენტანოს ხალხურ ბალადებს, ბიურგერის, ტაქის, შამისოს, ფრაილიგრატის, გაიბელის, ვილჰელმ ბუშის, გუსტავ ფალკეს, ულანდის, იოსეფ აიხენდორფის, ავგუსტ პლატენის, ჰაინეს, ავგუსტ კოპის, ნიკოლაუს ლენაუს, იულიუს მოზენის, ადოლფ გლასბრენერის, გეორგ პერვეგის, ადოლფ პფაუს, ფრიდრიხ პებელის, გოტფრიდ კელერის, თეოდორ ფონტანეს და სხვათა ბალადები; „გერმანულ მოთხრობებში“ დახვედრილია ჰაინრიხ ფონ კლაისტის, მოფმანის, შამისოს, ჰაუფის, ჰაინრიხ და თომას შანების, ალფრედ დიოპლინის, კაფკას, შტ. ცვაიგის, ტუხოლსკის, ფალადას, ბრენტის, ზეგერსის, ბრედელის, მაქს ფრიშის, ერვინ შტრიტმატერის, ბობროვსკის, შნურცის, ბორხერტის, ფიუშანის, შალიუკის, პერმან კანტის, ზიგფრიდ ლენცის და სხვ. მოთხრობები, ხოლო „გერმანული საბავშვო მოთხრობები“ მკითხველს აცნობს ერვინ შტრიტმატერის, მაინეკის, უტე კანტის, ეგონ შმიდტის, ლილო პარდელის, ელიტ ბერგნერის, ავგუსტ ლაზარის, ფრედ როდრიგის, ლუდვიგ რენის, მორსტ შენელერის და სხვათა საბავშვო და საუმაწვილო მოთხრობებს. ცალკე წიგნებად არის გამოქვეყნებული ვოლფ ბრენდელს, ადოლფ გიორკის, ლიხტლოტე ვნლესკოფ-პენრიხის, ურიხ კესტნერის, პერმან კესტნენის, ჭეიმს კრიუსის, მაინეკის, ანელის ჰაულის, ფალადას, ციმერინგის, შნურცის, შტრალიხ, ერვინ შტრიტმატერის, ვოლფის, რაიმანის საბავშვო და საუმაწვილო მოთხრობები.

თავისთავად ცხადია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თარგმნილი გერმანულენოვანი ლიტერატურის უდიდეს ნაწილს ლესინგის, გოეთეს, შილერის და ჰაინეს ნაწარმოებებთან ერთად შეადგენს XX საუკუნის ღრმად პუბლიური მაღალმხატვრული ღირსების პროგრესული ლიტერატურა, დღეს რევოლუციის შემდგომ პერიოდში ქართულად თარგმნილი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში მოიპოვება: ლესინგის დრამების ერთობეულები, რომელშიც შეტანილია — „მის სარა სამპსონი“, „მინა ფონ ბარნჰელმი“ (რომელიც პირველად 1948 წ. გამოქვეყნდა), „ემილია გალოტი“, „ნათან ბარჩენი“ და „ფაუსტისა“ და „სპარტაკის“ ჟრავმენტები, ახლანაა გამოქვეყნ



და „ლაოკონიკი“: გოეთეს „მერმან და დორო-  
თეას“ ორი თარგმანი, „რაინეკე შელა“, „ფაუს-  
ტის“ ერთი ჩრულო და ეურნალეში გამოქვეყ-  
ნებული ხამი ხევადასხვა მთარგმნელის მოწრ-  
დილო ნაწევრები (შათ შორის ერთი პირველი  
ნაწილის ჩრულო თარგმანი, წარმოადგენს). „ახალ  
გაზრდა ვერთერის ვნებანის“ ორი თარგმანი  
ცალკე წიგნებად გამოცემული ლირიკის რამ-  
დენიმე კრებული და ერთ წიგნად გამოქვეყნე-  
ბული დრამების ორი გამოცემა (პირველ გამო-  
ცემაში შეტანილია „გიოკ ფონ ბერლინზინგ-  
ნი“, „იფიგენია თავრიდში“, „ეგმონდი“ და  
„ტორკვატო ტასო“ მეორე გამოცემაში დამა-  
ტებულია „მოქალაქე გენერალი“, „პრომეთე“,  
„უკანონო ახული“ და „ელპერონი“); შილერის  
უველა ადრე თარგმნილი პიესების ცალკე წიგ-  
ნებად გამოცემული ახალი თარგმანები, პირვე-  
ლად თარგმნილი „მესინას სარძლო“, „ტურან-  
დოტი“ და ტრილოგია „ვალენშტაინი“ (ტრილო-  
გიის მეორე ნაწილის „პიკოლომინების“ ორი  
თარგმანია გამოქვეყნებული). აგრეთვე ცალკე  
წიგნებად გამოცემული ლირიკის რამდენიმე  
კრებული და რჩეულ თხზულებათა სამტომეუ-  
ლი, რომელშიც შეტანილია რჩეული ლირიკა,  
უველა დრამატული ნაწარმოები (გარდა „ტუ-  
რანდოტისა“ და დაუმთავრებელი „დემეტრიუ-  
სისა“) და ფილოსოფიურ-ესთეტიკური ხასია-  
თის ნაშრომები — „წერილები ადამიანის ეს-  
თეტიკური აღზრდის შესახებ“ და „სენტიმენტა-  
ლური და ნაივური პოეზია“. ცალკე წიგნებად  
გამოცემული რამდენიმე კრებული მაინეს ლი-  
რიკისა, „ათა ტროლი“, „გერმანია, ზამთრის  
ზღაპარი“ და მაინეს პროზის ბრწყინვალე ნიმუ-  
შის „მოგზაურობის სურათების“ მშვენიერი  
თარგმანი, აგრეთვე „მსოფლიო ლიტერატურის  
ბიბლიოთეკის“ ერთკომეული, რომელშიც თით-  
ქმის მთლიანად არის წარმოდგენილი მაინეს  
პოეზია და „მოგზაურობა პარცზე“, „ჩრდი-  
ლოეთის ზღვა“ და „იდები“ — წიგნი Le  
grand და სხვა მწერალთა ნაწარმოებები.

ორმოც ორმოცდაათიანი წლებიდან ქართუ-  
ლად თარგმნილ გერმანულენოვან ლიტერატუ-  
რაში განსაკუთრებით დიდია წილი მეოცე საუ-  
კუნის ძველი და ახალი თაობის იმ მწერალთა  
ნაწარმოებებისა, რომლებშიც ნაციზმის გამარ-  
ჯვების მიზეზთა ახსნის ცდასთან ერთად ღრმად  
არის გაანალიზებული მეორე მსოფლიო ომის  
შემდგომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდა-  
რი ძვრები და ნაჩვენებია ცვლილებანი გარე-  
სამყაროსთან პიროვნების დამოკიდებულებაში,  
ცვლილებანი ადამიანის შინაგან არსში, შეგნე-  
ბასა და ეთიკურ-ზნებორივ კცევაში, უმთავრე-  
სად ამ პერიოდში ითარგმნა და ცალკე წიგნე-  
ბად გამოქვეყნდა მაინრიხ მანის, თომას მანის,  
ანა ზეგერსის, ვილი ბრედელის, პერმან პესეს,  
მაინრიხ ბიოლის, ფრიდრიხ დიურენშატიხ, ზიგ-

ფრიდ ლენცის რომანები, ნოველები და მოთხ-  
რობები, ლიონ უოიხტვანგერის, მანს ფალადას,  
ლუონპარდ ლოანკის, მაქს ფრაშის, გოტფრიდ  
კელერის, პოდო უზეს, პეტრ-პოდ პ-  
ლერმანის, მანს-ვერნერ რისტერის, გო-  
უნტერ ვაინერბორნის, როზემარ შუდე-  
რის, მანფრედ გრეგორიუს-ჰუსტინ-  
კანის, პერმან კანტის, დიტერ ნილს-  
ოპიცის და კრისტა ვოლფის რომანები; ბერ-  
ტოლტ ბრენტისა და ფრიდრიხ ვოლფის პიე-  
სები და მოთხრობები, ერვინ შტრიტმატერის,  
ფრაიხ ფიუშანის, ულრიხ პლენცდორფის, ვოლ-  
ფგანგ ბორხერის და რობერტ მუზილის მოთხ-  
რობები; ევა შტრიტმატერისა და გიორგ ვერ-  
ტის ლექსები, ქართულ ეურნალეში დაბეჭდი-  
ლია იურეკ ბეკერის, ადოლფ ენდლერის, ვალ-  
ტერ იენსის, ბ. ტრავენის მოთხრობები; ფრანც  
კაფკას მოთხრობები და ერთი რომანი, რომე-  
ლიც მალე ცალკე წიგნად გამოქვეყნდება.  
პეტერ ვაისის ერთი დრამა და ელაუს მანისა  
და არაოლდ ცვაიგის თითო ნაწარმოების ნაწ-  
ევრები. ეურნალეშივეა დაბეჭდილი გიუნტერ  
აიხის, პეტერ ალტენბერგის, „ნგბორგ ბახმანის,  
ივან გოლის, მანს მაგნუს ენცენსბერგერის,  
ილკა ერბის, შტეფან პერმლინის, მუგო მუბერ-  
ტის, პეტერ მუხელის, რაინერ კირშის, ზარა  
კირშის, კუბას (კურტ ბართელის), რუდოლფ  
ლუონპარდის, რაინერ მარია რილკეს (მალე გა-  
დაეცემა წარმოებას როლკეს თხზულებათა სამ-  
ტომეული), ნელი ზაქსის, ვოლფდიტრის შნუ-  
რის, აქსელ შულცის, ერიხ ვაინერტის და სხვ.  
პოეზიის ნიმუშები, მოცულობის შეზღუდულო-  
ბის გამო დასაბეჭდებული არ არის ეურნალეში  
გამოქვეყნებული პროზის, პოეზიისა და დრამ-  
ების მრავალრიცხოვანი თარგმანები იმ ავტორ-  
ებისა, რომელთა შემოქმედების ერთი ნიმუში  
მაინც არის ცალკე წიგნად გამოქვეყნებული.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ი. ჭავჭავა-  
ძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლა-  
ძის, ალ. ცაგარელის და სხვა ქართველი მწერ-  
ლების ლიტერატურულ კრიტიკულ წერილებს;  
და პუბლიცისტიკაში თავიანთი შეხედულებათა  
დასახაბუთებლად ლენინგის, გოეთეს, შილერ-  
ის, მაინეს შეხედულებათა დამოწმებას, თით-  
ზე ჩამოსათვლელ რეცენზიებს, კ. ლომთათიძის  
მიერ მაინეს ლექსების თავის თარგმანზე დარ-  
თულ პოეტის მოკლე ბიოგრაფიას „აკაკის  
თვიურ კრებულში“ გამოქვეყნებულ ხომლელის  
(რომანოზ ფანცხავას) ვრცელ წერილს ლე-  
სინგზე და ივანე გომართელის წიგნს ფრიდრიხ  
შილერზე, რევოლუციამდელი პერიოდის ქარ-  
თული ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა  
არ შეეხება გერმანულენოვან ლიტერატურას,  
მხოლოდ საბჭოთა პერიოდში დაიწყო მისი გან-  
ვითარების ისტორიის, ცალკეულ მწერალთა შე-



მოქმედებისა და პრობლემების მეცნიერული შესწავლა და ფართო გაშუქება.

მართალია, უკვე ოცნას წლებში (ჩერ კიდევ მანამდე, ვიდრე პროფესორების — შალვა ნუცუბიძისა და ერეკლე ტატიშვილის ხელმძღვანელობით დახვედრით ევროპის ენებისა და ლიტერატურის კათედრებზე თავმოყრილ სპეციალისტთა ზრუნვის შედეგად შეიქმნებოდა გერმანისტთა საკმაოდ ძლიერი სკოლა) ქვეყნებოდა როგორც პოპულარული ისე მეცნიერული ხასიათის შრომები, მაგრამ ეს სპორადული მოვლენა იყო. მხოლოდ ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება გერმანულენოვანი ლიტერატურის სისტემატური მეცნიერული შესწავლა, იწერება დისერტაციები, მონოგრაფიები, ნარკვევები და წერილები, რომლებშიც გაშუქებულია გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორიისა და თანამედროვე პროცესების მნიშვნელოვანი პრობლემები.

გერმანულენოვანი ლიტერატურის გაცნობის თვალსაზრისით თარგმნილი ნაწარმოებებისათვის დართულ გამოკვლევებთან და კომენტარებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქონდა და აქვს როგორც მიმოხილვითი და ინფორმაციული ხასიათის ნაშრომებს და ლიტერატურის ისტორიებს, ისე ნარკვევებს ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობათა თაობაზე და ცალკეულ პრობლემებზე. ამ მიმართებით საზღვარგარეთის ისტორიის რამდენიმე სახელმძღვანელოსთან ერთად, რომლებშიც უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მიხედვით შესულია გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპები, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პროფ. გრიგოლ ხავთასის ორ წიგნად გამოცემული „ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან“ (პირველი წიგნი გამოქვეყნდა 1962 წ., მეორე — 1965 წ.), რომლებშიც გადმოცემულია გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია დასაბამიდან რომანტიზმამდე, მისივე „ნარკვევები გერმანული კლასიკური ლიტერატურიდან“, „წერილები გერმანულ ლიტერატურაზე“ და „შუა საუკუნეების გერმანული ლიტერატურა“. პროფ. ნოდარ კაკაბაძის „ნარკვევები XX საუკუნის გერმანული ლიტერატურიდან“, რომელშიც განხილულია ჰაუპტმანის, მ. და თ. მანების, შტ. ცვაიგის, ფონტანგერის, ფალადას და რემარკის შემოქმედება; პროფ. ზურაბ ქარხალაშვილის „გერმანული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის ზოგიერთი საკითხი“. პროფ. შოთა რევიშვილის „დემოკრატიული გერმანიის ლიტერატურა“. მისივე „ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობებიდან“ და „გერმანულ-ქართული ეტიუდები“; ნოდარ კაკაბაძისა და ნოდარ რუხაძის „კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში.“ დავით ლაშქარა-

ძის „გერმანული დრამატურგია ქართულ სცენაზე“. ვიქტორ კახიაშვილის, არჩილ ხოტივარის, ვენერა კავთიაშვილის, ოთარ შენგელიას საკანდიდატო დისერტაციები ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ და სხვ. უურნალებში გამოქვეყნებული წერილებიდან საუურადღებოა ნ. კაკაბაძის „დასავლეთის თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურა“, ბესიკ ადგიშვილის „გერმანულენოვანი თანამედროვე პოეზიის კრიტიკულ-ინფორმაციული ანალიზი“, ზ. ქარხალაშვილის „გერმანული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის ზოგიერთი საკითხი“. პროფ. შოთა რევიშვილის „დემოკრატიული გერმანიის ლიტერატურა“, მისივე „ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობებიდან“ და „გერმანულ-ქართული ეტიუდები“; ნოდარ კაკაბაძისა და ნოდარ რუხაძის „კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში.“ დავით ლაშქარაძის „გერმანული დრამატურგია ქართულ სცენაზე“ ვიქტორ კახიაშვილის, არჩილ ხოტივარის, ვენერა კავთიაშვილის, ოთარ შენგელიას საკანდიდატო დისერტაციები ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ და სხვ. უურნალებში გამოქვეყნებული წერილებიდან საუურადღებოა ნ. კაკაბაძის „დასავლეთის თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურა“, ბესიკ ადგიშვილის „გერმანულენოვანი თანამედროვე პოეზიის კრიტიკულ-ინფორმაციული ანალიზი“, ზ. ქარხალაშვილის „ექსპრესიონიზმი XX ს. პირველი მეოთხედის გერმანულ ლიტერატურაში“, დ. ლაშქარაძის „დემოკრატიული გერმანიის მხატვრული ლიტერატურა“ და სხვა.

რაც შეეხება გერმანულენოვანი ლიტერატურის წარმომადგენლებს, მათგან გოეთე იყო პირველი, ვისი შემოქმედებაც იქცა ქართველ გერმანისტთა მეცნიერული კვლევის საგნად. „ვაიმარელი ბრძენის“ ცხოვრებასა და შემოქმედებას ქართველი მკითხველი არსებითად პირველად გააცნო კ. გამსახურდიამ, რომელმაც ოც-ოცდაათიანი წლებში გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი, ვრცელი ესსე, რომელიც შემდეგ გადამუშავებული სახით ბევრჯერ გამოქვეყნდა და, რაც მთავარია, ფართო მხატვრული ტილო „გოეთეს ცხოვრების რომანი“. უმთავრესად გოეთეს ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებებზე დაყრდნობით შექმნილ ამ რომანში შთაბეჭდავად არის ასახული გოეთეს ცხოვრების რთული გზა. „ფაუსტის“ ავტორის პოპულარიზაციისა და მისი შემოქმედების შეფასების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქონდა გოეთეს გარდაცვალებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ შეკრებაზე კრიტიკოს ალი არსენიშვილისა და ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის და ლიტერატურათმცოდნის პროფ. შალვა



ნუცუბიძის სიტყვებს, რომლებიც შემდეგ გამოქვეყნდნენ. მაგრამ გოეთეს შემოქმედების პრობლემატიკის მეცნიერული შესწავლის პირველ ცდად გვევლიანება გრ. ბავთასის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1984 წ. დაცული საკანდიდატო დისერტაცია „გოეთე და რევოლუცია“. რომელიც ცალკე წიგნად 1987 წელს დაიბეჭდა (ეს წიგნი, საფუძვლიანად გადამუშავებული და შევსებული, ხათაურით „გოეთე და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია“. მეორედ 1989 წელს გამოიცა). ნაშრომში მკვეთრად არის დაპირისპირებული გოეთეს შემოქმედების წინადაცხადებული პერიოდი ვაიმარის შემდგომ პერიოდთან. შტურმერს გოეთე წარმოდგენილია ფეოდალური სამყაროს წინააღმდეგ ამხედრებულ გენიოსად, ხოლო ვაიმარის შემდგომი პერიოდის გოეთე — ფეოდალური სამყაროს წინაშე ქედმოხრილ ფილისტერად. ეს კონცეფცია, მორიდებულიად გაკრიტიკებული 1951 წელს ვახტანგ ქოჩორაძის მიერ დაცულ საკანდიდატო დისერტაციაში — „სოციალურ-უტოპიური ტენდენციები გოეთეს შემოქმედებაში“, იქცა ხანგრძლივი დისკუსიის საგნად, რომელმაც ახალი იმპულსი მისცა გოეთესა და საერთოდ გერმანული კლასიკური ლიტერატურის ინტენსიურ შესწავლას. დისკუსიაში გრ. ბავთასის მთავარმა ოპონენტმა, ცნობილმა გერმანისტმა ოთარ ჭინორიამ აღნიშნულ კონცეფციას დაუპირისპირა შეხედულება, რომლის მიხედვით გოეთეს შემოქმედება სიჭაბუკისდროინდელი შედარებით შეზღუდული მემკვიდრეობიდან თანდათან ვითარდებოდა და საბოლოოდ ფაუსტურ მეტროლ მუმანიჰსა და რეალიზმს აღწევს. ამ დებულების არგუმენტაციას მიუძღვნა ო. ჭინორიამ კაპიტალური ნარკვევი „გოეთეს შემოქმედებითი გზა“, რომელიც გოეთეს ლიტერატურული მემკვიდრეობის მრავალწლიანი შტუდიების შედეგია. ამ მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ (1986 წ.) გოეთეს შემოქმედებაზე, განსაკუთრებით „ფაუსტზე“ ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებულ მეტად მნიშვნელოვან წერილებში ოთარ ჭინორია წიგნში გატარებულ ზოგიერთ შეხედულებათა დაწუსებასთან ერთად (მაგ. „შტურმ უნდ დრანგის“ შეფასება) არგუმენტირებულად ავითარებს თავის კონცეფციას.

უაღრესად საინტერესოა გოეთეს შესწავლის თვალსაზრისით პროფ. მიხეილ კვესელავას ორტომიანი ნაშრომი „ფაუსტური პარადიგმები“, რომელშიც განხილულია ფაუსტური იდეის განვითარება ანტიკური აღმოსავლური ლიტერატურული ძეგლებიდან თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსამდე“ მ. კვესელავას შეხედულები. სამებრ ფაუსტურმა იდეამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია გოეთეს „ფაუსტში“, რომლის პათოსს მუმანიჰში და თავისუფალ მი-

წაზე თავისუფალი შრომის სუფიერის დამკვიდრება წარმოადგენს. გოეთეს შემდეგ არსებითად ფაუსტური იდეის რეინტეგრაცია ხდება.

სხვა შრომებიდან გოეთეზე აღნიშნავთ: ლეილა თეთრუაშვილის საკანდიდატო დისერტაცია „პანთეონის პრობლემა ახალგაზრდა გოეთეს ფილოსოფიურ მოსაზრებაში“ და გოეთეს პანთეონის სპეციფიკად ლმერთისა და ბუნების იგივეობასთან ერთად მიჩნეულია ლმერთისა და ადამიანის იდენტურობა და გაშუქებულია გოეთეს ადრინდელი ლირიკის მიმართება გვიანდელთან და მიხივე ვაჟა-ფშაველასა და გოეთეს იდეურ-მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებისათვის“, პროფ. დავით ლაშქარაძის ბროშურა „ი. ვ. გოეთე“ და მისივე წიგნი „გოეთე ქართულ ლიტერატურაში“, რომელშიც განხილულია და შეფასებულია როგორც ქართველ მეცნიერთა ნაშრომები გოეთეზე ისე გოეთეს ნაწარმოებთა ქართული თარგმანები.

შილერის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ქართულ გერმანისტთა მიერ შედარებით უკეთესად არის შესწავლილი მისი დრამები და ლექსები. შილერზე გამოქვეყნებულ ბროშურებში გადმოცემულია მისი დრამების ქართულ სცენაზე დადგმის ისტორია. „უჩაღების“ ავტორის ცხოვრება და შემოქმედება განხილულია გრ. ბავთასის ზემოდასახელებული „ნარკვევების“ პირველ ტომში და მისივე 1955 წელს გამოქვეყნებული საჯარო ლექციის სტენოგრაფიაში, ორივე ნაშრომში ბავთასი იცავს „გოეთე და რევოლუციაში“ ჩამოყალიბებულ კონცეფციას და ცდილობს დაახაზოს, რომ შემოქმედების მეორე პერიოდში არსებულ სინამდვილესთან შერიგებულმა შილერმა ხელი აიღო პირველ პერიოდში დასახულ იდეათა განხორციელებისათვის ბრძოლაზე. ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ დ. ლაშქარაძის მონოგრაფიაში „ფრიდრიხ შილერი“ (1955 წ.) დასაბუთებულია, რომ „კაცობრიობის ტრიბუნი“ სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა შტურმერული პერიოდის მაღალი იდეალებისა, მაგრამ, ჭერ კიდევ „უჩაღებში“ მანკიერი სინამდვილის ინდივიდუალისტური მემკვიდრეობის გზით მოსპობის შესაძლებლობაში დაეცვებოდა, ცვლის ამ განხორციელებისათვის ბრძოლის გზას და „ვაიმარული კლასიციზმის“ პერიოდში ფეოდალური გერმანიის მძლავრ კრიტიკასთან ერთად იგი ამხელს ბურჟუაზიული საზოგადოების ნაკლოვანებებს, მის კულტურას, შრომის ბურჟუაზიულ დანაწილებას, რომელიც ადამიანს ამახინჯებს და ამ ანტაგონისტურ საზოგადოებას შილერი უპირისპირებს, თუმცა აბსტრაქტულ, მაგრამ არსებითად პროგრესულ, პიროვნებისა და საზოგადოების მთლიანობაზე დაყრდნობულ იდეას „მშვენიერი კაცობრიობისა“, სადაც ეს-



თეტიკურად აღზრდილი, პარმონიულად განვითარებული ადამიანის სრულყოფას თავისუფალი შრომა დაავიარგინებს.

შილერზე გამოქვეყნებული სხვა შრომებიდან აღსანიშნავია შ. რეტიშვილის „ფრიდრიხ შილერი და ქართული საზოგადოებრიობა“ და „შილერი მარქსისა და ენგელსის პერსპექტივაში“, რ. ჭინორიას „ფრიდრიხ შილერი“, „შილერის ლირიკა“ (წინასიტყვაობა ფრიდრიხ შილერის ლირიკისა და ბალადების კრებულისა) და „ფრიდრიხ შილერის ესთეტიკური მრწამსი“, ზ. კარხალაშვილის „ხელოვნების დანიშნულების საკითხი შილერის ესთეტიკაში“ და ლილია თეთრუაშვილის „შილერის „ნაიფური“ და „სენტიმენტალური“ პირველხაზუისი“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მრავალი პოპულარული ხასიათის წერილი და არანაკლები რაოდენობის რეცენზია მიეძღვნა მაიკის მაინეს შემოქმედებას. მაგრამ პირველი ნაშრომი იყო გრ. ხავთასის სადოქტორო დისერტაცია „მაინის მაინეს ხელოვნების თეორია“, რომელიც მან 1948 წ. დაიცვა და 1958 წ. გამოაქვეყნა. უნდა ითქვას, რომ, როგორც კავთასიშვილის ნაშრომშია აღნიშნული, 1971 წლამდე, ვილფრიდ მაიერის დისერტაციის („ნარკვევი მაინეს ხელოვნების თეორიის შესახებ“) გამოცემამდე, მაინეს ხელოვნების თეორიის მცირერიცხოვან მკვლევართა შორის გრ. ხავთასი იყო ერთადერთი, ვინც მაინეს ესთეტიკურ-თეორიული შეხედულებების მისივე მხატვრულ პრაქტიკაში გამოვლენის ჩვენების გზით დაადგინა მაინეს ხელოვნების თეორიის სისტემატიზაციის შესაძლებლობა.

მაინეს ცხოვრება და შემოქმედებითი გზა შედარებით ვრცლად არის განხილული დ. ლაშქარაძის მონოგრაფიაში „მაინის მაინე“, რომელშიც ნაჩვენებია, რომ, მართალია, „თავისუფლების ენთუზიასტი“ და „მუშათა მოძრაობის პეროლდის“ შემოქმედება წინააღმდეგობრივია, „რევოლუციის მამაცი მედაფდაფე“ და კომუნიზმის გარდაუვალი გამარჯვების, მაყნე მაინე წვრილბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმსაც უხდის ხარკს და მატერიისა და სხეულის ემანსიპაციის მკაფადებელი ზოგჯერ იდეალიზმის ტყვეობაშიც ვარდება, მაგრამ მისი მსოფლმხედველობისა და შემოქმედების წამყვან ტენდენციას წარმოადგენს მუშაინიზმისა და პროგრესის ღრმა რწმენა და კაცობრიობის თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლა.

ქართულ მაინელოგიას დაწვრილებით გვაქნობს ვენერა კავთასიშვილის გამოქვეყნებული საკანდიდატო დისერტაცია „მაინის მაინე საქართველოში“, მაინეზე დაწერილი მრავალი საუურნალო წერილიდან ყურადღებას იქცევს დოც. არსენ ბიბიჩაძის „მაინის მაინეს ორი

მნათობი“ და ზ. კარხალაშვილის „მაინის მაინეს „სიმღერათა წიგნი“ და გერმანული რომანტიზმი“.

ლესინგის ცხოვრება და შემოქმედება განხილულია გრ. ხავთასის „ნარკვევი“ პირველ წიგნში და დოც. ურუშაძის „საზოგადოებრივი ლიტერატურის ისტორიის“ მეორე წიგნში. „დრამატურგიის პრინციპები“ ლესინგის ესთეტიკაში“ გაშუქებულია შ. რეტიშვილის გამოქვეყნებულ საკანდიდატო დისერტაციაში. ბოლო აკაკი გილოვანი ავტორია ნარკვევისა „ლესინგი და მისი „ლაოკოონი“, რომელიც წამდვარებული აქვს მის მიერვე თარგმნილ, ახლახან გამოცემულ „ლაოკოონს“. ლესინგის ესთეტიკური და ეთიკურ-ფილოსოფიური ხასიათის შრომები მის მხატვრულ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში ღრმად აქვს გაანალიზებული ოთარ ჭინორიას ნარკვევში „მებრძოლი მუშაინისტი“, რომელიც წამდვარებული აქვს ლესინგის დრამების ერთტომეულს. ნარკვევში, რომელმაც, როგორც ავტორი აღნიშნავს, თავისი ფართო დემოკრატიზმითა და მუშაინიზმით გადალახა ფეოდალური და ბურჟუაზიული ჩარჩოები, ლესინგის უდიდეს დამსახურებად მიჩნეულია ის, რომ მან განახლებული გერმანული ლიტერატურა აქცია საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლებისა და აღორძინების იარაღად, იმ ძალად, რომელსაც გერმანელი ხალხი სულიერად უნდა მოემზადებინა დემოკრატიული რევოლუციის მოსახდენად.

ლესინგის, გოეთეს, შილერის, მაინეს შემოქმედებასთან ერთად ქართველი გერმანისტები ბეჩითად იკვლევდნენ როგორც წარსული, ისე თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურის წარმომადგენლებს და პრობლემებს, რასაც მოწმობს ცალკე წიგნებად გამოცემული ნარკვევები და დისერტაციები (რომელთა უმრავლესობა გამოქვეყნებულია) გრიფიუსზე, ბიურგერზე, იაკობ ლენცზე, ე. თ. ა. პოტმანზე, პენეზე, ბორხერტზე, ფალადაზე, ფონტანგერზე, მაუპტმანზე, პერმან და თომას მანებზე, მუზილზე, ზეგერსზე, გერმანულ ექსპრესიონისტულ დრამაზე და სხვ. და მრავალრიცხოვანი ვრცელი წერილები როგორც დასახელებულ მწერლებზე, ისე კლოპშტოკზე, პერდერზე, პოლდერლინზე, რილკეზე, კაფკაზე, თრაპლიზე, ლეონმარდ ფრანკზე, ბრედელზე, რემარკზე, პლენდორფზე და ა. შ.

ამ დასახელებიდანაც აშკარად ჩანს, რომ ქართველ გერმანისტთა ყურადღების ცენტრში ამჟამად, უმთავრესად, XX ს. ლიტერატურა დგას.

პირველი შრომა არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც, რომელშიც მონოგრაფიულად არის შესწავლილი XX ს. მნიშვნელოვანი გერმანული რეალისტის



ლიტერატურული შემოქმედება, არის ნ. კაკაბაძის საკანდიდატო დისერტაცია „მაინრიხ მანის ცხოვრება და შემოქმედება“, რომლის შემოკლებული ვარიანტი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა. ნაშრომში ავტორი ავითარებს დებულებას, რომ მ. მანი ფაქტიურად სოციალ-პანორამული რომანის ფუძემდებელი გერმანიაში. უზვევს გერმანული რომანისტიკის მაგისტრალური ხაზიდან და ნაცვლად ტრადიციული გერმანული „განვითარების“ თუ „აღზრდის“ რომანისა (ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალი“, ვილანდის „აგათონი“, გოეთეს „ვილჰელმ მაისტერი“, ნოვალისის „მაინრიხ ფონ რუტერდინგენი“, ჰოლდერლინის „ჰიპერიონი“, კელერის „მწვანე მაინრიხი“, თ. მანის „ჰადონური მთა“ და სხვ.) კმნის, არსებითად, ფრანგული ეპიკური ტრადიციის რომანის (ზოლა, მოპასანი, ბალზაკი) გერმანულ სახესხვაობას. ნ. კაკაბაძე მსოფლმხედველობრივ-მხატვრულ-ესთეტიკური კრიტერიუმის საფუძველზე შეოფს მ. მანის შემოქმედებას ოთხ პერიოდად.

გერმანულენოვანი ლიტერატურის თანამედროვე პროცესებში დრამატიზებული სპეციალისტი, რომლის მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული ნარკვევები და მდიდარი მასალის შემცველი ინფორმაციული ხასიათის წერილები სისტემატურად ქვეყნდება, წარმატებით იკვლევს ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობებს შუა საუკუნეებიდან დღემდე და თანამედროვე გერმანული პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშების საკუთარ თარგმანებას აწვდის მკითხველს, მაგრამ მისი კვლევის ცენტრში უოველთვის იდგა და დგას თომას მანი, ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე ნარკვევებსა, ესეებსა და წერილებთან ერთად მას გამოქვეყნებული აქვს ოთხი წიგნი თ. მანზე — ორი ქართულად და ორი რუსულად. აქედან — თომას მანის ადრეული შემოქმედება — (1898-1900), ნ. კაკაბაძის სადოქტორო დისერტაცია, რომელშიც მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ადრეული შემოქმედების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მომწიფებული თ. მანის შემოქმედების გაგება, წიგნში „თომას მანის რომანის პოეტიკა“ ავტორი ადგენს მწერლის რომანის მორფოლოგიურ, სტრუქტურულ, პოეტოლოგიურ თავისებურებებს მწერლის მსოფლმხედველობასთან ორგანულ კავშირში, ხოლო წიგნში „თომას მანის შემოქმედების წახნაგები“ განხილულია თ. მანის მიმართება გოეთესთან, ნიცშესთან, დოსტოვესკისთან და სხვ. ნ. კაკაბაძე ადასტურებს თ. მანის რთულ ამბივალენტურ მიმართებას ნიცშესთან, არანაკლებ რთულ, წინააღმდეგობრივ მიმართებას გოეთესთან, რომელთანაც, ნ. კაკაბაძის აზრით, მსო-

ფლმხედველობრივად თითქოს უფრო ახლოსაა, მაგრამ მხატვრული მეთოდის მიხედვით უფრო შილერის ხაზის გამგრძელებელი, ისევე როგორც თეორიულად, თავის ესეებში დოსტოვის ანიჭებს უპირატესობას, იგი მიაჩნია ეპიკური იდეალად, მაგრამ მხატვრული მეთოდით გაცილებით მეტად ენახებოდა დოსტოვესკის, ვიდრე ტოლსტოის.

ხოლო კაკაბაძის ამ კონცეფციისაგან განსხვავდება ოთარ ჭინორიას კონცეფცია, რომელიც მას ჩამოუალიბებული აქვს თომას მანის ნოველებისათვის წამდგარებულ ვრცელ ნარკვევში. ო. ჭინორიას აკუთვნის აგრეთვე წერილები „ახალგაზრდა თომას მანი — ბურჟუაზიული ესთეტიკის კრიტიკოსი“ და „მოდერნიზმის არსი და ღირებულება თომას მანის „დოქტორ ფაუსტის“ მიხედვით“. სხვა ნაშრომებიდან თომას მანზე აღსანიშნავია დოც. დალი ფანჭიკიძის წერილები, გაერთიანებული წიგნში „წერილები თომას მანისა და მაქს ფრიშის შემოქმედებაზე“, ზ. ჭარხალაშვილის „ცხოვრება და სინამდვილე“, შეტანილი წიგნში „ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები“, დოც. ნანული კაკაურიძის „დოქტორ ფაუსტის“ მუსიკალური არქიტექტონიკა“ და ა. შ.

საქართველოში პირველი და დღემდე ერთადერთი გამოქვეყნებული მონოგრაფია ი. ბებერზე არის ზ. ჭარხალაშვილის საკანდიდატო დისერტაცია — „იოჰანეს ბებერის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელშიც განხილულია მისი შემოქმედებითი განვითარების გზა, თეორიული ნაშრომები და მხატვრული პრაქტიკა ექსპრესიონისტული ძიებებიდან სოციალისტურ რეალიზმამდე.

პრობლემას „ბერტოლტ ბრენტის „ეპიკური დრამა და თეატრი“ მიუძღვნა ზ. ჭარხალაშვილმა სადოქტორო დისერტაცია, რომელშიც პირველწყაროებისა და სარქივო მასალების საფუძველზე გაშუქებულია ბრენტის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი, სახელდობრ „ეპიკური“ დრამის იდეურ-მხატვრული თავისებურებანი, დრამის „დრამატული“ და „ეპიკური“ ფორმები, „არისტოტელური“ და „არა-არისტოტელური“ თეატრი, „გაუცხოება“, როგორც ბრენტის დრამისა და თეატრის ესთეტიკური საფუძველი, ბრენტის ბრძოლა რეალისტური დრამისათვის და დადგენილია ბრენტის „ეპიკური“ დრამისა და თეატრის ადგილი XX ს. ბელოვენების ისტორიაში.

ბრენტზე გამოქვეყნებული სხვა ნაშრომებიდან აღსანიშნავია ნ. კაკაბაძის „ბრენტის და „კავკასიური ცარცის წრე“ და ნ. კაკაურიძის „ბრენტის და შტურმერის იაკობ ლენცი“.

გერმან ჰესეს ლიტერატურული შემოქმედების შესწავლა დგას პროფ. რეზო უარალაშვილის კვლევის ცენტრში. ჰესეს შემოქმედების



პრობლემატიკა არის გაშუქებული მის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებში. პესეს ეძღვნება მისივე ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული მრავალი ნარკვევი, რომელთაგან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ფუნდამენტური ნაშრომები „გერმან პესეს შემოქმედების პრობლემები“ და „გერმან პესეს რომანის სამყარო“. პირველ მათგანში ავტორი აანალიზებს მწერლის შემოქმედების მიმართებას როგორც ცალკეულ ფილოსოფიურ სისტემებთან (ინდუიზმი, დაოსიზმი, ს. კირკეგორის მოძღვრება), ისე გერმანულ ლიტერატურულ ტრადიციასთან. აქვე გაშუქებულია პესეს ნაწარმოებთა ხატოვანება, სტილი, თხრობის ხასიათი. მეორე ნაშრომში შესწავლის საგანია პესეს რომანის ხტრუქტურა. აღსანიშნავია აგრეთვე რ. ყარაღაშვილის ნარკვევები თ. მანის, კაფკას, ჰ. ფონ დოდერის, ბიოლის, ერვინ შტრიტმატერის, მუზილის შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე და წერილები რომანის პოეტიკაზე და გოეთეს შემოქმედებაზე.

რობერტ მუზილის ადრეული შემოქმედების პრობლემები განხილულია დოც. დავით დავლიანიძის საკანდიდატო დისერტაციაში; მანს ფალადას შემოქმედებითი გზა გაშუქებულია პროფ. გიორგი გვაზავას ამავე სახელწოდების სადოქტორო დისერტაციაში; „ახალგაზრდა თაობის ბედი ვოლფგანგ ბორხერტის პროზაში“ არის საგანი დოც. ზურაბ ჩხენკელის საკანდიდატო დისერტაციისა; ლიონ ფონიხტვან-

გერის ადრეული შემოქმედება გამოკვლეულია რუსუდან ციხითათრიშვილის საკანდიდატო დისერტაციაში, საინტერესო ნაშრომია ლია თავარელიას საკანდიდატო დისერტაცია „ხელოვნების პრობლემა ე. თ. ა. პოლუანის შემოქმედებაში“. შტურმ უნდ დრანგის პერიოდის ლიტერატურის მნიშვნელოვან ქრუკეტებს ეხება ნ. კაკაურიძის („ი. რ. რეზინის შემოქმედებაში“) და თინა გაბიანის („ბიურგერი და მისი ადგილი „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურაში“) საკანდიდატო დისერტაციები.

უველა ნაშრომის (განსაკუთრებით ხაყურნალო წერილებისა და რეცენზიების) და მათი ავტორების დასახელება შეუძლებელია ერთ წერილში, რომელსაც სულაც არა აქვს ამ თვალსაზრისით პრეტენზია სრულყოფილებისა. აღვნიშნავ მხოლოდ-გერმანულენოვანი ლიტერატურის, მისი პრობლემატიკის შესწავლას და პროპაგანდას დიდად უწყობს ხელს გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილება, რომელიც თხუთმეტ წელზე მეტია არსებობს და ქართული გერმანიისტიკის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა, საზოგადოების მიერ გამართული სამეცნიერო კონფერენციებისა და რიგითი სხდომების მუშაობაში ქართველ გერმანისტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ როგორც საბჭოთა კავშირის ცნობილი გერმანისტები, ისე საქართველოში სტუმრად მყოფი გერმანელი სპეციალისტები.





ფრანგულიდან

თარგმნა ნინო გოგიჩაიშვილმა

### არაბული მინიატურა

გამჭადიანური არაბეთის ფერწერის განვითარებაში გადამწყვეტი ზანა მაშინ დადგა, როდესაც მას აბლო აღმოსავლეთიდან მონღოლები შემოესია. 1268 წელს ბაღდადის დაპყრობა და აბასიდთა უკანასკნელი ხალიფის მკვლელობა ამ მოვლენის კულმინაციურ წერტილად გადაიქცა. ეს მთელი არაბეთის ისტორიის განუმეორებელი კრახი იყო. ზოგიერთ ქალაქში ცხოვრების პირობები საფუძვლიანად შეირყა. ეკონომიკური და სოციალური კლიმატის შეცვლამ ილუსტრირებული ხელნაწერის აუვავება გამოიწვია. ამ დროს ქვეყანაში სამი ძირითადი ცვლილება მოხდა. მხატვარ-ხელოვანთა დიდი ნაწილი ძირფესვიანად მოიხსპო. თავშესაფრის საძიებლად ისინი დასავლეთისაკენ და ჩრდილო-დასავლეთისაკენ გაემგზავრნენ. დანარჩენები მოგვიანებით აღმოსავლეთისაკენ გაემგზავრებიან, რათა ახალ მონღოლურ საქალაქო ცენტრებში თავიანთების სამუშაო მოიძიონ. ბოლო ის მხატვრები, რომლებიც ახალ მეპატრონეთა თვის იღვწოდნენ, იძულებული იყვნენ თავიანთი შემოქმედება ახალი დროისა და გემოვნებისათვის შეეგუებინათ. და ბოლოს, ახლო აღმოსავლეთში, ერაყში, როგორც შორეული აღმოსავლეთის იმპერიის პროვინციამ, და მისმა ხელოვნებამ ამ იმპერიის ზეგავლენა განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ 1260 წელს სირიამ და ეგვიპტემ აინ-ჯალუტის წინამძღოლობით დამპყრობლებზე გამარჯვება მოიპოვეს, მის დაღს მაინც ატარებდნენ. თვით ერაყი 150 წელი იმყოფებოდა მონღოლ დამპყრობთა უღელქვეშ, მაგრამ ხელნაწერთა ილუსტრაციის ტრადიცია მან მაინც შეინარჩუნა.

იმ დროს გამჭადიანური ქვეყნების კეშმა-

რითი ცენტრი ეგვიპტისა და სირიის მამულეთა სამეფო გახდა, სადაც არაბული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები იქმნებოდა. როგორი იყო მონღოლთა შემოსევის ზეგავლენა არაბულ ფერწერაზე? ამ დროს შეიქმნა მინიატურების კრებული, რომელიც თერთმეტი ილუსტრაციისაგან შედგება. მისი ავტორია იბნ-ბაქტიშუ, წიგნის სათაურია „ცხოველთა სარგებლიანობის შესახებ“ (ნიუ-იორკი. პირპონტ მორგან დაიშვრეი. ხელნაწერი 600). ნაწარმოები შეიქმნა მარაგაში 1284-1299 წლებში. ერთი უბრალო მამაკაცის სურვილით, რომელიც არც სამეფო და არც ოფიციალურ წოდებას ატარებდა.

პირველი თავების ილუსტრაციებზე აღამიანები და დიდი ზომის ცხოველებია წარმოდგენილი; ისინი შეიძლება განვიხილოთ წინამონღოლური ხანის არაბული ფერწერის ტრადიციასთან კავშირში.

ეს გამოცემა ამასთანავე შეიცავს სხვადასხვა მხატვართა ნამუშევრებს, რომლებიც ჩინური ფერწერის დამახასიათებელი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ხატვის ამგვარი მრავალფეროვნების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ მონღოლეთის ცენტრში — მარაგაში — იქმნებოდა განსხვავებული ხელწერის მხატვართა ილუსტრაციები. ბუნებრივია, ამ ჩგუფს მიეკუთვნებოდა ერაყის სამხრეთიდან გამოსული მხატვარიც, რომელმაც თავისი განსაკუთრებული სტილი შექმნა. აი მინიატურა, — „ორი სპილო“, რომლის წინა პლანზე მოცემულია ცხოველთა საძოვარი ბაღანის ზოლი; უკანა პლანზე კი ხეები და ფრინველებია გამოსახული; ამგვარი სიუჟეტი ანასიათებს აგრეთვე არაბულ ფერწერას და განსაკუთრებით ბაღდადურ მინიატურას.



„ორი სპილო“ იმაზე მეტი სიკბოველით ხასიათდება, ვიდრე ეს მაჟურებელმა მეცნიერმა ანტონიო ბრუნიერმა შეიძლება აღიქვას.

აღნიშნული გამოცემის სხვა ილუსტრაციებიც ცხოველთა თემაზეა შექმნილი. მათზე ან შეუვარებული ცხოველებია ნაჩვენები ან ის წუთები, როდესაც ისინი თავიანთი პატარების მოვლით არიან გართულები. არაბულ ფერწერასთან მჭიდრო კავშირის მიუხედავად მინიატურა „ორი სპილო“ და მისი მსგავსი სხვა მინიატურები ძირითადად სპარსულ სტილშია გადაწყვეტილი.

ზღაპრების კრებული — „ცხოველთა შესახებ“ — (პატ-ალ-მაიავანი) წარმოადგენს არისტოტელესეული ტექსტის არაბულ ვერსიას. რომლის ერთი ცალი ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული; იგი დთარიღებული არაა, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ეკუთვნის მონღოლთა შემოსევის ადრეულ ხანას და შესრულებულია ბაღდადში.

სპილოს თემა ამ მინიატურაში მხოლოდ ფორმალურადაა მოცემული. სხვა დანარჩენ ნახატებში უმეტესწილად გამოსახულია სხვადასხვა ცხოველებისა და კურდღლების პერალდიური სახეები, ისინი პირისპირ დგანან ან ზურგიან არიან მიუუღებულნი. ერაყელი მხატვარი-მინიატურისტი ცდილობს ამ ფორმალურობის გადალახვას და ნახატს ამოღელვებელსა და სიცოცხლისუნარიანს ხდის, ამასთანავე ცხოველს პეიზაჟის ფონზე გვიხატავს, მაგრამ იშვიათად აღწევს თავს დეკორატიულობასა და უმოძრაობას, რაც საერთოდ ახასიათებს სპარსულ ფერწერას ცხოველთა გამოსახვის დროს. მორგანის ბელნაწერის თანახმად, მინიატურა „ორი სპილო“ წარმოადგენს ირანში შემოქრილი და გავრცელებული არაბული ფერწერის ნიმუშს თავისი ღირსებებით ეს მინიატურა შეიძლება მივიჩნიოთ არაბული ფერწერის შედეგად.

ეს მინიატურა არაჩვეულებრივად საინტერესოა, მაგრამ ამავე დროს იმაზე მეტყველებს, რომ იგი დამორჩილებულია სამეფო კარის მხატვრობას. ამას ადასტურებს მისი არასრულყოფილი და ნაკლებ შთამბეჭდავი გრაფიკული ხაზები. მათი მხატვრული საშუალებანი სრულყოფილი არაა, ნამუშევარს სიცოცხლისუნარიანობას ვერ ანიჭებს. მსგავსი მინიატურები ახასიათებს მოსულის რეგიონის ბელოვნებას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გრაფიკული ხაზი აქ უფრო ფორმალურია. არსებობს ერთადერთი ბელნაწერა, რომელიც იმის უეჭველ საბუთად გამოდგება, რომ შეიძლება გაერთიანდეს არაბული და ჩინური მხატვრობის ელემენტები. 1800 წელს ცნობილმა სპარსელმა მეცნიერ-

მა და ისტორიკოსმა ალ-ბირუნმა მოხავედრის ხალხის ქრონოლოგიას მიუძღვნა ცნობილი ნაშრომი „ქალაქების აღწერა“. მისი ილუსტრაციებიც სპარსულ უმეტესობა არაბული ფერწერის ტრადიციის აგრძელებს. ეს აგრძნობა სპარსელის მხატვრული გადმოცემის სტილს, აქაც ასოხილთა ქაღალდზე გახატულია. მათი თავები მონღოლურ სტილში, მსხვილი ხაზებითაა შემოვლებული. ბოლო ქსოვილთა ნაკეციები, ქლასიკური ტრადიციის მიხედვით, ყვავილწუნულებს მოგვაგონებენ.

აქვეა მოცემული ორგანიზმებისა და პიტექტურა და ინტერიერები წმინდა არაბული სტილისა. აი, ერთ-ერთი მინიატურა, სადაც მოცემულია მამადის ბოლო ქადაგების სცენა, რომელიც მოგვაგონებს შაჰმას მეჩეთზე გამოსახულ კომპოზიციებს.

პეიზაჟებში ჩაქსოვილია ჩინური მხატვრობის არაერთი ელემენტი, რომელთაც მხატვარი იუენებს ღრუბლების გადმოცემის დროს. ინტერიერის ზოგიერთი სცენა კი გვაძლევს სივრცის ახალი გაგების საშუალებას და ამ მხრივ ისინი შეიძლება არაბული ტრადიციის ნიმუშებს მივაკუთვნოთ, რადგან ამ ბელნაწერის მინიატურათა უმეტესი ნაწილი XIV საუკუნეშია შესრულებული და ირანული ილუსტრაციის ანტიპოდებს წარმოადგენს. ის გამოცემა, სადაც აღნიშნული მინიატურებია მოთავსებული განეკუთვნება სპარსეთში წარმოქმნილი მონღოლური სამეფოს... ერაყულ ნაწილს. მხედველობაში გვაქვს ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.

ადაპტაციის ამგვარი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდება შემდეგში. თუ არაბული ფერწერა განაგრძობს წარმოჩენას ალ-კაზვინის ტექსტებში და სხვა მეცნიერულ ბელნაწერებში, იგი ლიტერატურული ტექსტებისათვის გამოუსადეგი დარჩება, მით უმეტეს, რომ ამ დროს სპარსეთში ვითარდება ახალი სტილისა და მიმართულების ფერწერა.

იბნ-ბაქტიშუს გამოცემა იმ განსაკუთრებულ სახელმძღვანელოთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა გვერდები ცხოველებით, ვარსკვლავებითა და სხვადასხვა მცენარეებითაა სავსე.

აღსანიშნავია აგრეთვე 1188 წელს შესრულებული ილუსტრირებული წესდება, რომელიც შეადგინა ესპანელმა ექიმმა აბ-ზარავიმ, იგი დასავლეთში ცნობილია აბულკაზის სახელით. ეს წესდება შესრულებულია განსხვავებულ ენაში და სისტემატურად, თუმცა ლაკონურად, შეისწავლის ყველა ბუნებრივ ფენომენს, რომლებიც არსებობს შუასაუკუნეების აღმართა შეგნებაში. ცნობილია აგრეთვე ენციკლოპედიური ნაშრომის ავტორი ალ-კაზვინი (1203-1288), რომლის ნაშრომის



სათაურია: „სამუაროს წარმოშობის საოცრებანი და თავისებურებანი“. აქ გარჩეულია საკითხები ციური სხეულების და ინგელოზების შესახებ. ლაპარაკია ფლორასა და ფაუნაზე, მინერალებზე და სხვა და სხვა. საკითხის ცენტრში კი, რაღა რქმა უნდა, თვით ადამიანია.

მონღოლთა შემოსევას არაბულ და სპარსულ ფერწერაზე ერთგვაროვანი გავლენა არ მოუხდენია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ირანულ-თურქულმა ფერწერამ გადაიღო ჩინური მხატვრობის უმთავრესი ელემენტები. მას დამატა ზოგიერთი ირანული ელემენტი და შეიქმნა ახალი, სინთეზური ხელოვნება, რომელშიც თავისუფლად გაიფურჩქნა ახალი სპარსული მინიატურები. ათწლეულები იყო საჭირო იმისათვის, რათა მონღოლ მონარქებს იხლაში საკუთარ რელიგიად გამოეცხადებინათ. ამ დროს არაბულ სამეფოში სიტუაცია მეტად განსხვავებული იყო. ცენტრალური მმართველობისაგან უგულვებელყოფილი ერაყის მზე ნელ-ნელა ჩაესვენა. მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა სარწყავი სისტემა, რამაც სოფლის მეურნეობის დაქვეითება გამოიწვია. ბედუინები დამუშავებულ მიწებს ითვისებდნენ. ამ უძველეს ქვეყანას უნარი აღარ გააჩნდა შემოქმედებითი ძალის აღსადგენად, რადგანაც იგი მოკვეთილი იყო არაბული სამუაროსაგან. მონღოლთა შემოსევამ დააჩქარა ათწლეულთა მანძილზე აუვავებული ხელოვნების სიკვდილი. ხელოვნებისა, რომელიც მუდამ იმედის მომცემი ჩანდა.

მაკამას სასარგებლოდ ბაღდადში განხორციელებული ღონისძიების შედეგად არაბულმა ფერწერამ თავის აპოგეას მიაღწია. ალ-ჰარირის ტექსტი საკმაოდ უმნიშვნელო მასალას წარმოადგენდა მხატვარ-ილუსტრატორისათვის. მასში ხაზი ესმება ნაწარმოების მთავარი გმირის აბუ ზაიდის მქვერმეტყველებას არაბ მკითხველს საუკუნეთა მანძილზე ბიბლავდა მისი მრავალფეროვანი მეტაფორები და ქარაგმები, სიტყვათა თამაში და გამოცანები, რის გამოც მათ, ბოლოს და ბოლოს, ლიტერატურული ღირსება შეიძინეს. მაგრამ ამგვარ ილუსტრატორს ფილოლოგიურ ცდუნებასთან არაფერი აკავშირებდა. მას უფრო ნათლად ლოკალიზებული სიტუაციები იზიდავდა. ამის კვალობაზე იქაური მხატვარი ქმნის არაბული ცხოვრების განუშეორებელ პანორამას და ცდილობს თავი აარიდოს ბუნდოვანებასა და ორაზროვნებას. ეს მოვლენა ნაწილობრივ ერაყსაც შეეხო, რადგან პირველი ნაწარმოებები სწორედ აქ შეიქმნა.

„სენანების“ ორმოცდაათამდე ნიმუშიდან, რომლებიც სხვადასხვა ქალაქში შეიქმნა, ზოგიერთი ეპიზოდი ბაზარს ან ქარვასლას, სა-

საულოს ან უდაბნოს დაბანაკებულ ადგილს აღწერს. ზოგიც აღმოსავლეთის ზღვების რომელიმე ამწვანებული კუნძულის ცხოვრებას, ზოგიც მავანი და მავანი მმართველის ეზოს, ზოგიც მოსამხახურეებით სავსე სასახლეს ან სკოლას, სადაც მოწვევს გონით როზგავენ. აგერ ცეცხლის პირას მარტყვის დაკვლის სცენაა, აგერ აფრააშლილი გემი ან აქლემებზე ამხედრებული მუსიკოსებია და ა. შ. ესაა მდიდარ და ღარიბ, მზიარულ, ნაღვლიან თუ გულგრილ ადამიანთა მთელი ჯაჭვი. ეს რეალისტური ხურათები ნათლად წარმოაჩენს შუასაუკუნეების ყოველდღიური ყოფის უცნობ ასპექტებს.

აქვეა მოცემული დღეს ჩვენთვის უცნობი ე. წ. საქალაქო-საოჯახო არქიტექტურა, სახლების მოძრავი სახურავებით, შენობის განიავებისთვის რომაა განკუთვნილი. ამ ნაწარმოების ორი ხელნაწერი ყველაზე მეტადაა ცნობილი, რომელთაგან ერთი იმყოფება პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, იგი მისი ყოფილი მფლობელის სახელს ატარებს და შესაბამისად „პარიზი-შეფერი“ ეწოდება. ამ ხელნაწერის მინიატურების უმეტესი ნაწილი გარავლებულ იქნა და ისინი 1938 წელს პარიზში გამოფენაზე წარმოადგინეს.

„ალ-ჰარირის“ ხელნაწერი, 89 მინიატურას რომ შეიცავს, რომელთაგან ზოგი ორკეც ქალღელზეა შესრულებული, გამოცა 1937 წელს ერაყის სამხრეთში მდებარე პატარა ქალაქის მკვიდრის იაჰია იბნ მაჰმუდ-ალ ვაზიტის თაოსნობით. შემოკლებით მას ალ-ვაზიტის ეძახიან. მეორე ხელნაწერი ლენინგრადის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტშია დაცული და დაკარგული აქვს პირველი თერთმეტი გვერდი. ზოგი მინიატურა არაა დათარიღებული და მხოლოდ ზოგიერთია გადაბეჭდილ-გამრავლებული. აღნიშნულმა მიზეზებმა ხელი შეუშალეს ამ ხელნაწერს, რათა კუთვნილი ადგილი დაეკავებინა არაბულ მხატვრობაში. მიუხედავად ამისა, მისი ილუსტრაციები გამომსახველობის დიდი სიძლიერით გამოირჩევა. როგორც დ. ს. რისმა აღნიშნა, ლენინგრადის ზოგი ხელნაწერი პარიზში დაცულ ხელნაწერზე უფრო ადრეა შესრულებული, ზოგიერთი მინიატურა მშვენივრად ერწყმის ტექსტს და ზუსტად შეესიტუება მის ერთ-ერთ ეპიზოდს.

სავსებით ბუნებრივია, რომ მაკამას სხვა გვერდები დაკარგულია. მართალია, ახლახანს აღმოაჩინეს მესამე ხელნაწერი, რომელიც წინა ორი გამოცემის გადამუშავებულ მასალას შეიცავს. მხატვრობა უანრული ხასიათისაა და მეტად მდიდრულადაა შესრულებული (სტამბოლი. ესად ეფენდი — სულეიმანის ბიბლიოთეკა — 2918).



ამ ხელნაწერის ძირითადი ეპიზოდები თავისი სტილით და ეკონოგრაფიული შესრულებით მსგავსია პარიზსა და ლენინგრადში დაცული ხელნაწერებისა. როგორც ჩანს, ამ ხელნაწერთა ერთ-ერთ ილუსტრაციაზე მოთავსებული არქიტექტურული წარწერა მაშინაა შესრულებული, როცა აბსიდების უკანასკნელი ხალითა აღ-მუსტა-სიმ-ბილაში (1242-1255) ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. საუბედუროდ ბატის მებრძოლმა მთლიანად მოსპო იგი, როდესაც პერსონალების თავები და სხეულები წაშალა. ლენინგრადის ხელნაწერსაც იგივე ბედი ეწია.

შემდეგში თეოლოგებმა პასუხი მოითხოვეს მხატვრობის ასეთი დამახინჯებისათვის. უოველივე ეს ჩვენს მენსიერებაში აღადგენს იმ ურთულეს პირობებს, რომლებშიაც მუშაობა უზღუდოდათ მხატვრებს. ტკივილს იწვევს იმ პერიოდის ესოდენ ბევრი დანაკარგები და დამახინჯებანი.

მინიატურა, რომელზედაც აბუ ზაიდი გა-მოსახული, სადაც იგი წყალობას სთხოვს მერვის მთავარს (35-ე სეანსი), ნათლად წარმოგვიჩენს ლენინგრადში დაცული ხელნაწერის სტილს. 1222 წელს შესრულებულ ეგზეგეტიკურ აბუ ზაიდი ისევ მთავარ გმირად გვევლინება, დანარჩენ ადამიანებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება მეტად უსი-ცოცხლოა. მთელი სცენა ნამდვილ დრამატულ სპექტაკლადაა გადაქცეული.

აბუ ზაიდი რაღაცას უჩივის და თავისი საუბრის თემას ამტკიცებს მთელი სხეულის მოძრაობით, თუმცა უოველივე ამას მისთვის არავითარი წარმატება არ მოაქვს. მერვის მთავარს სახეზე მხოლოდ ზიზღი ახატია. მას ჯერ კიდევ არ მიუღია სათანადო გადაწყვეტილება. ამ ორი მამაკაცის ფიზიკური აღნაგობაც კი ხაზს უსვამს ერთ რამეს: — ღვთის გლახა აგდია ამა ქვეყნის ძლიერის წინაშე. წარმოსადგენი მთავარი მრავალნაკეციან სამოსელშია გამოწყობილი, რაც თითქოს მის პატივმოყვარეობაზე მეტყველებს. მარცხნივ გამოსახული ოთხი უძრავი ფიგურა დამსწრე საზოგადოებად წარმოგვიდგინა მხატვარმა. მათ შორის არის მთბრობელი აღ-მარტი, რომელიც მმართველის ზურგს უკან დგას. მეორე მხარეზე ორი პაფია გამოსახული, რომლებიც მოცემული სცენის მიმართ სრულ გულგრილობას იჩენენ და თავისთვის საუბრობენ. შენობას გვერდებიდან მცირე ზომის გუმბათები ამშვენებს და ეს იმითომ, რომ ნახატი უფრო ემოციური გახდეს. ამ ნახატის შუქჩრდილები გაცილებით უკეთ არის დამუშავებული, ვიდრე 1224 წლის დიოსკორიდეს „მეაფეთიქენი“ — მის ერთ-ერთ მინიატურაზე ნახატის დეკორი ფიგურებს თითქოს ჩარჩოში ათავსებს. მმართველის ფიგურა თაღზეა მო-

თავსებული, ხოლო მის უკან მღვდლი მა-ყურებელი კი — ნიშნე. კარისკაცთა სახეებში, რომლებიც მხატვარმა მისაღებ დარბაზთან გაცილებით აბლეს მოაქცია, არავითარი ინტერესი არ იგრძნობა. გარდა უსტიისა და დაბნეული მოძრაობისა, აღსანიშნავია აგრეთვე სამი ადამიანის პერსონალები ტაბლის წინ, მის შემოღობულ სივრცეში დგანან.

ამ სცენაში შემთხვევითი არაფერია — ამა-სვე ადასტურებს მხატვრის მიერ სივრცის გაჩუქდის ბშირი ძიების პროცესი. ზელოვანი ამ პრობლემას შიგ ინტერიერებში წუვეტს — უნაღირო კიბეების სახით. ოცდამეტ-ვრდმეტე „სეანსის“ ილუსტრაცია განსხვავდება წინამდებარე ილუსტრაციისაგან. თუმცა ფიგურები აქაც არქიტექტურულ ანსამბლშია განლაგებული და განწყობილება და ნა-ბატის ორგანიზაცია თითქმის იგივეა.

ამჯერად აბუ ზაიდი უადის მიმართავს და არა მმართველს. იგი უადისადმი კარგადაა განწყობილი და დამსწრეებიც მეტ ინტერესს იჩენენ მოსაუბრეების მიმართ. მარცხენა კარისკაცი ახლა ხვეტს კი არ უგრძნობა, არა-მედ დიდი გულმსურით ადევნებს თვალუფრს კამათის მსვლელობას. ერთ-ერთი დამჭდარი ფიგურა წერილობით აქაშებს კამათის შედეგებს გასული თწლებულის მინიატურებთან შედარებით, ამ ნახატში მეტი რეალი-ზმი იგრძნობა, როგორც ზელოვანს, აღ-ვაზიტის გაჩნდა განსხვავებული ზელწერა და ბატვის უნარი, რაც უფრო პანორამულ სტილს ემ-სგავსებოდა.

44-ე სეანსი ასახავს აღ-მარტობისა და აბუ ზაიდის მოგზაურობას ისინი ერთ სოფელში შეხვედებიან უილაყ უაცს და შეკამათდებიან. ეს არის ძირითადად ამ ნაწარმოების საწყისი წერტილი. ნახატის ნამდვილი ეფექტი იქმნება უკანა პლანზე გამოსახული სოფლის პეიზა-ჟით, თუმცა არანაკლებ საინტერესოა მაუურ-ბლისათვის სცენაში მოქმედ გმირთა სახეები და აქლემების გამოშეტყველებაც აქვეა თავმო-ყრილი შენობები. მინარეთიანი მეჩეთი, გუმბა-თიანი ბაზარი, უველგან გამოსახულია შორეული ქვეყნებიდან ჩამოსული ვაჭრები და მოვაჭ-რე ადამიანები.

მარცხნივ გამოსახული უზარმაზარი ციხის კედელი კარიბჭითაა გამაგრებული. აქვეა აღ-მოსავლეთის ქუჩებისათვის დამახასიათებელი ცხოველებიც: ძროხა, თხების ჯოგი, რომელთა უმსრავლეობა წინა პლანზეა გამოსახული ბუ-ბიდან წულის დაღევას დროს. სახლის სახუ-რავზე მამალი და ქათმა ზის. ორი ერთმანე-თისაგან იზოლირებული დეტალი სურათს თი-თქოს ჩარჩოში სვამს. მარცხნივ ძაფის რთვით გართული ქალია გამოსახული, მარცხნივ —



პალმა. აქ უკვე აღარ არის მოცემული არქიტექტურული დეტალები, რომელსაც ნახატში უოველგვარი სტატიურობა და მოულოდნელობა შემოაქვს. მასთან იგი კლასიკური კანონებისა და შუქ-ჩრდილის თამაშის გავლენას განიცდის. უოველივე ამის მაგივრად, ნამდვილი სოფელია გამოსახული — თავისი სოციალური და ეკონომიკური სინამდვილით.

მ-ე სენსის მინიატურა წინა მინიატურებთან შედარებით გაცილებით დაძაბულია. მასზე გამოსახულია მექაში მიმავალი მგზავრები. რელიგიური ექსტაზით შეპყრობილი ხალხი მუხიკის თანხლებით მიეშურება წმიდათაწმიდა ქალაქისაკენ, მხატვარი ჩინებულიად ასახავს პროცესიის მსვლელობის სიბძაყრეს და ცხოველთა ჯგუფს, რომლებიც, დროშებისა და საუვირების თანხლებით მთელი ძალით მიაქეზებენ მლოცველებს. აქაც, ისევე როგორც სოფლის პეიზაჟის სცენაშიც, მიწა ბალახითაა დაფარული, რომელიც თითქოს შემოხაზავს მთელ პორიზონტს. პერსონაჟები პირველ და მეორე პლანზე არიან განლაგებული. მათ სახეებში დიდი სიცოცხლე და ამავე დროს მოუთმენლობაც იგრძნობა. მაკამას მხატვრობა დიდ აღფრთოვანებას იწვევს — თავისი კარვებით, შეიხებით, აქლემთა ჯოგებით. მხატვარი არაბული ბელნაწერისათვის დამახასიათებელ სტილს არ ღალატობს და ცდილობს სენსებს ბუნებრიობა მიანიჭოს. ეს მინიატურები ერთდროულად თავისუფალია და ბრწყინვალეც. მაგრამ უველათერა იცვლება, როდესაც მ-ე სენსის ილუსტრაციას ვათვალიერებთ. აქ ჩვენ ვხედავთ სახლს, რომელშიც მისი პატრონის ცოლი მშობიარობის ტანჯვას განიცდის. ეს არის ჩვეულებრივ სამ ნაწილად დაყოფილი დეტალის არსსართულიანი კონსტრუქცია, რომელიც 1924 წელს შექმნილი დიოსკორიდეს „მეფათაქის“ ანალოგიურია. იგი გადმოცემულია რეალისტური ხელწერით, რომელიც უფრო მეტად პატივისცემას მთავგავონებს, ვიდრე გაოცებას. მთავარ ფიგურას მშობიარე ქალი წარმოადგენს, რომელიც იმდენად დიდია, რომ ნაყოფიერების სიმბოლოს მოგვაგონებს. აქვეა წარმოდგენილი დამხმარე პერსონალი, ბებია-ქალები, რომლებიც ქალს მშობიარობაში ეხმარებიან. შენობის გვერდით ორი შინამოსამსახურე დგას, რომლებიც მზად არიან საჭიროებისამებრ საქმეში ჩასაბმელად. ერთ მათგანს ხელში დიდი საცეცხლური უკავია. ქალების

თავს ზემოთ დახატულია გახსნილი შენობა, რომლის შუაში სახლის პატრონი ზის. იგი ორივე მხრიდან გარშემორტყმულია მსახურებით. ნახატი სიმეტრიულია: დამაშვი მანწილე ქველა ფიგურა უძრავია და შესრულების მხრივ სპარსულ ხელწერას მიეკუთვნება.

როგორც ტექსტი მოგვითხრობს, ალმოსავლეთის ერთ-ერთ კუნძულზე მიმდინარეობს. ამ სახლის პატრონი და მისი მოსამსახურეები ინდურად არიან გამოწყობილნი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახლის პატრონი უფრო წმინდანის პოზიცია წარმოდგენილი, ვიდრე ამა ქვეყნის ძლიერმოსილი. მარცხნივ მდგარი ფიგურები არაბები არიან, აბუ ზაიდი თილისშითაა გართული. მარჯვნივ მყოფ ადამიანს, რომელიც აღბათ აღმარირია, ხელში ახტროლოგიის წიგნი უჭირავს, რომლის მიხედვით იგი ახალშობილის შორს-სკოპს ადგენს. ამ ნახატების კომპოზიცია შეიძლება მხოლოდ დიდ ხელოვანს ეკუთვნოდეს...

მაკამას ილუსტრაციებში არსებული ინდური ელემენტები ეკონოგრაფიული ხასიათისაა, რამაც თავად ხელწერაზეც იქონია გავლენა. ფიგურები პროფილის სამ მეოთხედშია წარმოდგენილი. აღ-ვაზიტიც ხშირად სესხულობს ხატვის ამ წესს თავის პერსონაჟებზე მუშაობის დროს, რაც შეიძლება ვნახოთ სტამბოლში ნაპოვნი ბელნაწერის რამდენიმე თავში.

ასიმელოციის უნარის მიხედვით, მაკამას ილუსტრაციები მოგვაგონებენ „ათას ერთი ლამის“ ზღაპრების ილუსტრაციებს, რომლებზეც გ. ე. გრინებაუმმა თქვა, რომ „ინლამურ აზროვნებაში შეიჭრა ებრაული, ბუდისტური და ელინისტური მოთხრობები“. მაშადაიანური ზნე-ჩვეულებები და ფოლკლორი უხმაუროდ შეენაცვლა მატერიალ კულტურულ პირობებს, რათა ინლამური ცივილიზაციისათვის ის ერთიანი სახე მიეცა, რისგანაც მან შემდეგში თავისი რეალური სახე შექმნა.

და ბოლოს არის თუ არა მაკამას ილუსტრაციებში უფრო მეტი ფანტაზია, ვიდრე ეს „ათას ერთი ლამის“ ზღაპრებში არსებობს? ამის თქმა ჭერჭერობით ძნელია, ერთი კი ცხადია, ხატვის უცხო ელემენტების შესისხლბორცვით, რის საფუძველზეც ცდილობენ არაბული ცივილიზაციის ზუსტი ანარეკლის შექმნას, ეს ორი ნაწარმოები ძლიერ უახლოვდება ერთიმეორეს.





**«САУНДЖЕ»**  
**ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ**  
На грузинском языке

1987 № 5

**СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ**  
**ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ**  
**ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ**

გოდ. წარმ. 23. 06. 87 წ., ხელმოწ., დასაბუჯდად 06. 11. 87 წ., ქაღალდის ზომა 70×108<sup>1/16</sup>  
სააღრ. თ. 24,09, სისტ. თ. 28. სალუბაგის გატ. 28,7, ტირ. 20 000, შეკვ. № 1599.

ფასი 1 მან. 80 კაპ.

საქ. კ. ცკ-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის  
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14



وَكَاذِبُ عِزِّ الْجَمَالِ الثَّامِرِ وَالْمَشَدِّ  
 الْمَاكِحِ مُنِيرِكَ تَأْوِينًا وَادِّلا جَا وَلَا اِعْتِيَا مَلَكًا اِحْسَالًا وَاجْدَالًا





لَسْتَنِي لَا تَمْلِكُ عَلَيَّ عَمَّانَ فَكَتَفِي أَبُو رَبِّدٍ بِالنَّحْلَةِ وَهَاجِبٌ لِلرَّحْلَةِ فَلَمَّ يَسْمَحُ الْوَأَلِي

